On the one hand, there is a general belief that in order to be creative, one must not be conforming, i.e. one should be individualistic. Creative individuals are supposedly unpredictable, flaky, and not easily controlled.

On the other hand, as Ronald E. Purser puts it, "can there really be such a thing as a "lone" genius? Even if somebody works in physical isolation, is she or he not part of a larger discourse, and a social creature, working with a socio-historical context and tradition? Would the concept of a "genius," lone or otherwise, even exist without "others"?"⁸

A methodological individualist would argue that the whole is less than the sum of the parts. In order to participate in any group, all individuals have to inhibit some of their qualities, capacities, and desires. For methodological individualists, therefore, the group inhibits the full freedom and potential of the individual. The individual will almost inevitably have to comply with some of the constraints of the group, deal with the inevitable differences that may arise. This energy would clearly be better spent focusing on one's own individual efforts. However, while the group inhibits certain potentials in the individual, it also opens up new possibilities, depending on the quality and nature of the relations.

According to Ronald E. Purser, there are no people who are only individualists or pure collectivists. However, in general individualism prevails in creative professions, such as writing. But even among writers there are ones, who are "in the stream", and ones, who are very much different.⁹

Individualism and Gender

Psychologists and sociologists have come to conclusion, that, though there is no direct connection between gender and individualism / groupness, men lean more towards a command and control model of leadership, whereas women actively work to make their interactions with subordinates positive for everyone involved. More specifically, women tend to encourage participation, share power and information, enhance other people's self worth, and get others excited about their work. Thus, women are more characterized by collectivism, while men by individualism.¹⁰

Emily Dickinson (1830-1886)

Though Emily Dickinson lived during the Civil War era, in which hords of people were involved, she had a very private life in a big old house in her little hometown of Amherst, Massachusetts. She never married. During her lifetime only 7 of her 1,775 poems were published. Since her death, her reputation has grown enormously.

Her life was uneventful, but full of inner intensity. She loved nature and found deep inspiration in birds, animals, plants, and changing season of New England.¹¹

Although she rejected her family's Calvinist religious traditions, which she thought old-fashioned, she made the search for faith one of the greatest themes of her poetry:

Not seeing, still we know -
Not knowing, guess -
Not guessing, smile and hide
And half caress.

The theme she brought into American literature was pain - pain that the lonely person feels at night. Her writing is very laconic and compressed: she never uses two words when one is enough.

The major key to coming close to an understanding of Emily Dickinson's poetry is the fact that Dickinson never intended her poetry to be published. While it is true that she occasionally wrote poetry that accompanied many of her letters to friends, Dickinson **anticipated only an audience of one: herself**. Therefore, the poems offer a rare glimpse of human thinking that is uninhibited by publishing deadlines, literary critics, and fickle readers.¹²

Even though she was a recluse, Dickinson was much aware of the outside world, particularly of the beauty in nature (she was definitely less impressed by people - one more proof of her individualism). Her poetry often reflects upon the great themes of life: love and death. To Dickinson, all subjects (ndividually!) deserve scrutiny and are worthy of refection.

"Look back on time with kindly eyes,
He doubtless did his best;
How softly sinks his trembling sun
In human nature's west!"

Here “look back” (contrary to the direction of this world) suggests a traveler walking east, stopping, turning, and watching the sun slowly set in the west. With the dying of the day and at the end of our journey, we see only our “human nature’s west”- death. So, while looking back on our past life can be pleasant and we can look on time with “kindly eyes,” our looking back toward the west only offers a future that will end with the setting of the “trembling sun.”

I heard a Fly buzz - when I died -
The Stillness in the Room
Was like the Stillness in the Air -
Between the Heaves of Storm ...
 (“Not a Fly but a King”)

In “Not a Fly but a King” Emily Dickinson has the speaker talking from the grave. At first, a reader may think that a grave is the ideal for a romantic speaker to reflect upon the past and more particularly upon the moment of death itself. Unfortunately, in spite of the reflections, Dickinson does not offer much hope for mankind after death. Even though the speaker is conscious, this existence can hardly be called eternal life. Indeed, since the thoughts are preoccupied with death and the moment of death, the speaker is experiencing a form of everlasting death. Dickinson suggests that no hope of blissfulness exists beyond death.

The dead person in this person believes that she will witness a “King”. But, instead of a great, momentous event taking place at the point of death, the speaker is surprised with the mere arrival of a fly. The fly in this poem symbolizes Satan, but what an irritating servant of Satan it is!¹³

Dickinson’s manifesto of individualism is her probably most famous poem “I am nobody”:

I am nobody. Who are you?
Are you nobody too?
Then there’s a pair of us.
Don’t tell - they’d banish us, you know.
How dreary to be somebody,
How public - like a frog -
To tell your name the livelong June
To an admiring bog.

But, taking into consideration R.F.Purser's idea that nobody is an extreme individualist, we see in this very poem that even such "extreme" individualist as E.Dickinson, need people who understand them (though they pretend not to care about their existence).

Gertrude Stein (1874-1946)

A German Jew whose parents emigrated to the USA and who lived a large part of her life in Paris, Gertrude Stein was, unlike Emily Dickinson was a very public person. Her house in Paris was a place where all American writers and painters staying in Paris and many French painters gathered. Her individualism deals with the way she expressed herself - in her demonstratively manly haircut and dress, in her unusual writings, even in her political viewpoints (she supported fascism). She opposed Franklin D. Roosevelt and his New Deal and supported Francisco Franco in the Spanish Civil War. However, after the Second World War was over, Gertrude befriended the American soldiers she met, and her short life after peace was filled with speaking engagements and visiting with American G.I.s.¹⁴

Her incorporation of humor, sound, sex, and bawdiness, and unpredictable locutions and structures - always executed with the heightened consciousness of the observed performer - made her a pioneer of postmodernism as well as a central figure of modernism. Representative of the work being done by twentieth-century women artists, writers, and readers, Stein's writing gave readers an intimate sense of a woman's life and concerns. In a period when writers prided themselves on being able to shape language to new kinds of expressions, Gertrude Stein moved back into the most traditional relationship between writer and word: letting language find its own patterns, to express whatever meaning the reader might favor, viewing written art as a system of true and mutable communication.

Increasingly, she developed her own highly idiosyncratic, playful, sometimes repetitive and sometimes humorous style. Typical quotes are "Rose is a rose is a rose is a rose".

and

"Out of kindness comes redness and out of rudeness comes rapid same question, out of an eye comes research, out of selection comes painful cattle" as well as

"The change of color is likely and a difference a very little difference is

prepared. Sugar is not a vegetable”.

Stein’s individual manner includes using a high proportion of Anglo-Saxon words and a low proportion of Latin-based words: blood rather than sanguine. She also avoided words with “too much association”.

Stein predominantly used the present tense, “ing”, creating a continuous present in her work. Her extravagance is visible in quotations from her works, such as:

- “A writer should write with his eyes and a painter paint with his ears.”
- “Everybody gets so much information all day long that they lose their common sense”.
- “I’ve been rich and I’ve been poor. It’s better to be rich”.
- “It is extraordinary that whole populations have no projects for the future, none at all. It certainly is extraordinary, but it is certainly true”.¹⁵

from *Before the Flowers of Friendship Faded Faded*

I love my love with a v

Because it is like that

I love my love with a b

Because I am beside that

A king.

I love my love with an a

Because she is a queen

I love my love and a a is the best of them

Think well and be a king,

Think more and think again

I love my love with a dress and a hat

I love my love and not with this or with that

I love my love with a y because she is my bride

I love her with a d because she is my love beside

Thank you for being there

Nobody has to care

Thank you for being here

Because you are not there.

And with and without me which is and without she she can be late and then and how and all around we think and found that it is time to cry she and I.

Conclusion

Though women are believed to be less individualistic than men I personally have never been or wanted to be a member of some party and I was only for a short time a member (a Vice President) of a professional association. I comply normally with society rules and have a family and friends who are very important for me, but I have never wanted to either a leader or a lead person. So I got interested in problems of individualism. American Individualism has been studied by psychologists, sociologists and politologists. I have made an effort to analyze it as it is reflected in literature. Being a woman myself, I was especially interested in how women-writers revealed it. I have noticed that, however different E.Dickinson and H.Stein are, in their writings they represent American Individualism in a very similar way (even some lines seem to echo each other) - they respect others and want to be respected (not stupidly worshipped), they do not want to imitate anybody or ask anybody to imitate them, they may be lonely, but they are finally happy, as they managed to have the life they wanted.

References:

- ¹ Individualism. / G.Stein / E.Dickinson, en.wikipedia.org/wiki/G.S.
- ² R. E. Purser, In Search of Creativity: Beyond Individualism and Collectivism. <http://online.sfsu.edu/~rpurser/revise/pages/CREATIVITYwam.htm>
- ³ Ibid.
- ⁴ E. C. Stewart & M. Bennett , 1991, *American cultural patterns*. Dartmouth: Intercultural Press.
- ⁵ H. Hoover, "American Individualism", Hoover Presidential Library Association, 1922.
- ⁶ E. C. Stewart Op. cit.
- ⁷ B. A. Shain, *The Myth of American Individualism*, Princeton University Press, 1994.
- ⁸ R. E. Purser Op.cit.
- ⁹ Ibid.
- ¹⁰ C.N. Davidson, et al (eds). *The Oxford Companion to Women's Writing in the United States*, 1995, Oxford University Press.
- ¹¹ Individualism. Op.cit.
- ¹² Robert W. Watson, *Critical Essays*. <http://www.smarrpublishers.com/Dickinsonessay1.html>
- ¹³ Robert W. Watson, *Critical Essays*.

¹⁴ Individualism. Op.cit.

¹⁵ Ibid.

ნათიელა ღოღონაძე

შავი ზღვის საერთაშორისო
უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

ამერიკული ინდივიდუალიზმი აქვთი ქალაქის ნაწარმოებებში (ე. დიკინსონი და ბ. სტაინი)

მოსხენება ესება ინდივიდუალიზმის განმარტებას, ისეა საკითხებს, როგორცაა ამერიკის პოლიტიკა და ინდივიდუალიზმი, სქესი და ინდივიდუალიზმი, შემოქმედებითი სამუშაო და ინდივიდუალიზმი. აღნიშნული საკითხები განხილულია ემილი დიკინსონისა და გერტრუდა სტაინის ნაწარმოებების მაგალითზე. ნაჩვენებია, რომ ამ ორი თითქოსდა იმდენად განსხვავებული პოეტის (რომანტიულ ინტროვერტ დიკინსონსა და საჯარო ფიგურას – გერტრუდა სტაინს, რომელსაც ასე უყვარდა პუბლიკაზე შთაბეჭდილების მოხდენა) ნაწარმოებებს შორის ბევრი საერთო რამ არსებობს.

ამერიკული დემონსტრაცია

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობა უკავშირდება ფრანგი ფილოსოფოსის - ჟაკ დერიდას სახელს და იმ ინტერპრეტაციებს, რაც „გრამატოლოგიის“ ავტორის იდეათა ამერიკულ სივრცეში გადატანას მოჰყვა შედეგად. დეკონსტრუქციის რთული, ფილოსოფიური სტრატეგიები გავრცელებულ იქნა ყოფი.თ სფეროში, დაუკავშირდა პოლიტიკის, მოდის სამყაროს. ევროპული მეტაფიზიკის დეკონსტრუქციიდან მან უფრო მასობრივი შეხედულებებისა და ცნებების სფეროში გადაინაცვლა. თავად დერიდა თავის ინტერვიუებში ხშირად უარყოფს კავშირს დეკონსტრუქციის ვულგარულ თეორიებთან, რაც ამერიკაში მისი იდეების გავრცელებას მოჰყვა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია პოპულარობისათვის. ფართოდ გავრცელებული, ერთი შეხედვით თავისთავად გასაგები და უცვლელი შეხედულებების კრიტიკით ჰაიდეგერი ევროპული მეტაფიზიკის დესტრუქციას ისახავდა მიზნად, რაც ჯერ კიდევ პლატონიდან და არისტოტელედან მოყოლებული საფუძვლად უდევს ჩვენს აზროვნებას.¹ მიუხედავად იმისა, რომ ჰაიდეგერის შეხედულებანი ადვილად შეგვიძლია ამოვიცნოთ დერიდას ტექსტებში, დეკონსტრუქცია არ შეიძლება გაავივივოთ დესტრუქციასთან. მისი მიზანი არაა მეტაფიზიკის უარყოფა, არამედ მისი არაფორმულირებული, უთქმელად ნაგულისხმები წანამძღვრების მკაფიოდ მოხაზვა.

დეკონსტრუქცია ებრძვის სტრუქტურალიზმს, რომლის მიხედვითაც ყველაფერი სტრუქტურაა, თვით არაცნობიერიც კი სტრუქტურირებულია, როგორც ენა. ფროიდის მიხედვით, მას გრაფიზმი ახასიათებს. ეს არაა ის გრაფიზმი, რომელიც ცოცხალი სიტყვის გაფორმებას, დაფიქსირებას, ჩაწერას უკავშირდება და რომელიც პლატონთან მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობით იხმარება. მკვდარი ასო საპირისპიროა ცოცხალი სიტყვისა. ეგვობურ მითოლოგიაში დამწერლობის ღმერთი ტოტი დასაფლავების რიტუალს უკავშირდება და ასტრონომიული აზრით მეორად ფუნქციას ასრულებს, ცვლის რა ღამით მზის ღმერთს მთვარის სახით. ეს ის გრაფიზმია, რომელიც ნებისმიერ ცოცხალ სიტყვას წინ უსწრებს და შეეფერება ცნებები: რეპრეზენტაცია, განხორციელება, რეალიზაცია, გა-დროულება, განსხვავება. არქი-წერილი, პირველი წერილი იძლევა ნებისმიერი „გრაფიზმის“ შესაძლებლობას, თუ ამ გრაფიზმს გავიგებთ, როგორც დროში და სივრცეში ჩანაწერს, წერს (!) დერიდა², მაგრამ ეს ჩაწერილი დელიოზ-გვატარის ენაზე ჩანაწერის ჩანაწერია“. ევროპელებისათვის ტრადიციულია ხმის ჩანაწერის და

ნაწერის ცოდვითდაცემასთან შეწყველება. პოსტსტრუქტურალისტები ცდილობენ უპირატესობა მიანიჭონ ნაწერს, რითაც დაუპირისპირდებიდნენ ლოგოცენტრიზმს და მასთან დაკავშირებულ ონტოცენტრიზმს, თეოცენტრიზმს, ტელეოცენტრიზმს, ფონოცენტრიზმს და ფალოცენტრიზმს, რომლებიც დერიდას კრიტიკის ობიექტებს წარმოადგენენ. მეორე მხრივ, ნაწერის უპირატესობა არ უნდა გამოიხატებოდეს არსებისა და მოვლენის ტრადიციული სქემით, რაც რეპრეზენტაციის შედეგად ნაწერის გაცოცხლებას, გახმოვანებას, შესრულებას დაუკავშირებოდა და არაცნობიერი სტრუქტურების მიერ მოვლენათა სამყაროს დეტერმინირებულობაზე გვაიძულებდა გველაპარაკა. სოსიურის ენისა და მეტყველების დიხოტომია, რომელსაც სხვები კომპეტენცია-შესრულების, ნორმისა და განხორციელების ცნებებით გამოხატავენ, წერილისა და მეტყველების ოპოზიცია გადალახულია ტექსტში, რომელიც თავად წარმოადგენს ნებისმიერი პინარული ოპოზიციისა და დიხოტომიისათვის საფუძველს. ეს უკვე დერიდას თემაა, რომელიც როლან ბარტისაგან განსხვავებით, აგებს არა ლინგვისტიკის შემადგენელ სემიოლოგიას, არამედ ლინგვისტიკის (მეცნიერებების) შესაძლებლობების სემიოლოგიას. დერიდას შესახებ წერა რამდენიმე სირთულესთანაა დაკავშირებული. სხვადასხვა ნაშრომებში იცვლება მოხმარებული ცნებები და ტერმინოლოგია. ის წერს «თავისთავის-წამშლელ ცნებათა სტატუსზე, რომლებიც არ უნდა გადაიქცნენ მეტაფიზიკურ აბსოლუტებად». ნაშრომი «გრამატოლოგიის შესახებ» (რომელიც 1967 წელს გამოვიდა, ისევე როგორც «წერილი და განსხვავება» და «ხმა და მოვლენა») კლასიკური მეტაფიზიკის კონცეპტუალური კონსტრუქციის წინააღმდეგაა მიმართული. ეს არაა მეტაფიზიკის უარყოფა, არამედ მისი არაფორმულირებული, უთქმელად ნაგულისხმები წინამძღვრების მკაფიოდ მოხაზვა; რომლებთან მიმართებაშიც სხვა დანარჩენი შინაგანი მეტაფიზიკური გამიჯვნები და განსაზღვრულობები შექმნილი და მეორადია და არა აბსოლუტური და უნივერსალური. დამწერლობა, წერილი წარმოადგენს საზღვარს მეტაფიზიკური ეპოქისა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მეტყველებას, სიტყვას, ლოგოსს. რაციოცენტრიზმს დერიდა უპირისპირებს წერილის რეალობას, როგორც თავდაპირველ სხეულებრივ პრაქტიკას, რომელზედაც დაფუძნებულია ცნობიერი ორგანიზაციის ყველა სხვა დონე. თითქოსდა მეტაფიზიკური ტერმინი მისი ფილოსოფიისა - არქი-წერილი მხოლოდ საზღვრით სტატუსს ფლობს. ის ანტიუსტანციონალური და ანტიესენციალურია. კითხვა - რა არის, მას არ დაესმის. არქი-წერილი მსხვერპლად წირავს მოცემულს, ახლანდელს, აქ მყოფს, დასწრებულს. ის არის ფორმის პრე-ფორმაცია, მასტრუქტურირებელი მექანიზმი. აქედან გამომდინარე, დერიდას ცნებები არ მიეკუთვნება არსებულთა წესრიგს. სინამდვილე არ წარმოგვიდგება. ის არასდროს არაა მოცემული. წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრის, დასაყრდენის, სისაესის ფუნქციას შეიძინდა, წინააღმდეგ

თამაშისა, რომლის საფუძველია სიცარიელე - გადაადგილების, გაუიგივებლობის, შერეულობის დასაყრდენი. თამაში არის ურთიერთდაბადების, ურთიერთშეცვლის დინამიკა, ელემენტების ერთმანეთში გადასვლით გამოხატული, რაც შეუთავსებელი ცენტრთან, როგორც უნიკალურ წერტილთან. იგი არ გვადევნებს საშუალებას, მოვიაზროთ სტრუქტურა, როგორც სტრუქტურა. იმყოფება რა ცენტრში, კლასიკური რაციონალიზმი სტრუქტურის შიგნითა და თითქოს მასზე მალაა, მის გარეთაა, გაურბის სტრუქტურირების პრინციპს და ცვლის მას ხაზობრიობით (არქეოლოგიური მოძრაობით უკან), ან ტელეოლოგიურობით (წინ, მიღმა). ამ ცენტრების სახელები კლასიკურ აზროვნებაში სხვადასხვაა - ეილოსი, ტელოსი, უსია, ეგზისტენცია, სუბსტანცია, ღმერთი, ადამიანი, ტრანსცენდენტურობა. გარდამავალი მომენტია, როცა მოიაზრებენ სტრუქტურირებულობას სტრუქტურის ცენტრის გარეშე. მოიაზრებენ, რომ ცენტრი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ფუნქცია, ერთგვარი არა-ადგილი, რომელშიც უსასრულოდ თამაშდება ნიშანთა ჩანაცვლება და შენაცვლება.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა დერიდასათვის არის აღმნიშვნელის პრობლემა. სოსიურთან, როგორც ცნობილია, ენობრივი ნიშანი საგანსა და მის სახელს კი არ აკავშირებს ერთმანეთთან, არამედ ცნებასა და აკუსტიკურ ხატს, ანუ აღსანიშნა და აღმნიშვნელს. ენობრივი ნიშნის ორივე წევრი ფსიქიკური ბუნებისაა და ჩვენს გონებაში ასოციაციური კავშირით არის შეერთებული². დერიდა ლაკანს ეთანხმება ნიშნის ორმხრივობის კრიტიკას, რაც აღსანიშნის წინააღმდეგ ხდება. მეტაფიზიკა აღსანიშნს იაზრებს, როგორც დამოუკიდებელ ელემენტს, რომელიც არსებობს გამოსახვის და განხორციელების წინარე, ენობრივი გაფორმების გარეშე ყოველი აღსანიშნი უკვე არის აღმნიშვნელი, უფრო სუსტად, აღმნიშვნელის აღმნიშვნელი, როგორც დელიოზი და გვატარი უწოდებენ, დესპოტური აღმნიშვნელი არსებობს მხოლოდ და მხოლოდ აღმნიშვნელების თამაშში. იმინი წარმოადგენენ კვალს, იგი არაა სოსიურისეული ნიშანი, რომელიც წინარე არსებულ ბუნებაზე ან არსზე მოუთითებს, ის არაა მოტივირებული, არ განისაზღვრება სხვისგან, მხოლოდ საკუთარი ქმნადობით განისაზღვრება. იგი უკვე აპროირულადაა ჩაწერილი³ და არა მეორადად³ დელიოზ-გვატარი სოსიურისეულ დისოტომიას აღსანიშნ-აღმნიშვნელის ამჯობინებენ ელმსლევის ნიშანს. საინტერესო იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ჰუსერლთან პრივილეგირებული ადგილი მინც უჭირავს ნიშან-გამომხატველს და არა ნიშან-მიმთითებელს.

ვერობულ მეტაფიზიკას დერიდა ახსიათებს როგორც ლოგოცენტრიზმს, აზროვნების მიერ საკუთარი თავის არსებულთა წქაროში ჩაკეტვას, რომელიც ავილირებს გონებაზე, როგორც კანონის ინსტანციაზე, რომელიც იმყოფება თამაშგარეთ, დისპერსიისაგან თავისუფალია და ბატონობს დისპერსიაზე ტექსტის მეტაფიზიკურობას, რომელიც რეპრესიისა და ჰომოგენურობის სიფრცემი ლოგოცენტრიზმის დიქტატით ხორციელდება, დერიდა უპირისპირებს შიდატექსტობრივ წინააღმდეგობის კერებს, მარგინალურ,

რეპრესირებულ იმპულსებს, რაც მიუთითებს მეტაფიზიკის ჩუმ თვითდეკონსტრუქციაზე.

ამერიკულ ლიტერატურათმცოდნეობაში დეკონსტრუქციის გავრცელება იელის უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული. სწორედ აქ ჩამოყალიბდა ვეგუფი, რომელიც იელის სკოლის სახელით არის ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ვეგუფს მიაკუთვნებენ, ჰაროლდ ბლუმში უპირისპირდება პოსტსტრუქტურალიზმის, ფემინიზმის, პოსტმოდერნიზმის ადეპტების კონცეფციებს. ადანაშაულებს მათ პოლიტიკორექტულობაში, ქალებისა და ზანგების სახით ახალი ღმერთების შექმნაში. კანონი, ბლუმის აზრით, არის მხოლოდ მამაკაცური და მხოლოდ ევროპული მოვლენა და ისინი, ვინც ამ კანონს უპირისპირდებიან, არიან განაწყენებული და გაბოროტებული ადამიანები, რომელთაც არაფრის შექმნა არ შეუძლიათ.¹⁴ მიუხედავად ჟაკ დერიდას შეხედულებათა, ცნებათა და სტრატეგიათა გამოყენებისა და ევროპული ფესვებისა, ამერიკული დეკონსტრუქციეზმი თავის სპეციფიკას ინარჩუნებს, რაც მხოლოდ განაწყენებით არ შეიძლება აიხსნას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ M. Хайдегер, *Время и Бытие*. М., «Республика», 1993, стр. 68-83.
- ² J. Derrida, *Speech and Phenomena and Other Essays on Husserl's Theory of Signs*, Evanston, 1973, p. 128.
- ³ Paul De Man, *Blindness and Insight. Essays in the Rhetoric of Contemporary Criticism*. N.Y. Oxford University Press, 1971, p. 15.
- ⁴ H. Bloom, *Western Canon*. Oxford UP, 1997, p. 13.

MIRIAN EBANOIDZE

Akaki Tsereteli State University Professor

SUMMARY

AMERICAN DECONSTRUCTION

The roots of American deconstruction are European. American Deconstruction turned into a mass phenomenon and invaded politics and fashion. The principles and ideas borrowed from Derrida have very specific results because of the unemployment and self-denying status of Derridian terms. The spread of methodology of deconstruction is linked with Yale University. Despite of the fact that Harold Bloom belongs to the Yale school of deconstruction, he blames feminists, postmodernists and poststructuralists for political correctness and calls them adepts of resentment. Canon is only Masculine and European phenomenon and rejection of Canon is resentment, but, deconstruction's aim is not destruction. Not to deny metaphysics but to draft its unformulated prejudices is a different task from tasks of vulgar theory of Deconstruction.

შარლზნის მოტივი ამერიკის აბორიგენთა მითოლოგიაში

მსოფლიოში, ალბათ, ძნელად მოიპოვება ისეთი ერი, რომელსაც არ შეუქმნია ლეგენდები და მითები გარდასულ მოვლენათა შესახებ. ამ ტრადიციულ ამბებს არ ჰყავთ სახელდებული ავტორები, მაგრამ მათ ნებისმიერი ხალხის კულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. ამ თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს ამერიკის ინდიელთა მითოლოგია, განსაკუთრებით დღეს, როდესაც სამეცნიერო საზოგადოებაში ინტენსიურად განიხილება საკითხი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია იწყება არა მეთექვსმეტე საუკუნიდან, არამედ ოცდაათი ათასი წლით ადრე, ვიდრე პირველმა ევროპელმა კოლონისტებმა ფეხი დაადგეს ამერიკის კონტინენტზე.¹ ჩვენ მართებულად მივიჩნევთ ამგვარ ტენდენციას, ვინაიდან შეუძლებელია შესაბამისი ყურადღების გარეშე დატოვო ის თვითმყოფადი და ორიგინალური კულტურა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა ამერიკის აბორიგენთა მიერ და ქვეყნის ისტორიის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

პრეისტორიული დროიდან მოყოლებული დღემდე ცნობილია ამერიკის აბორიგენთა ექვსი უმთავრესი კულტურული (ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს, პრერიების, ზეგანის, აღმოსავლეთის ტყიანი ზონის, ჩრდილოეთისა და სამხრეთ-დასავლეთის) განშტოება.² აღსანიშნავია, რომ ამგვარი დაყოფა ძალზედ პირობითია, ვინაიდან თითოეული განშტოება აერთიანებს დაახლოებით ორმოცამდე თვითმყოფადი ეთნიკური ნიშნით გამოირჩეულ ტომს. ამერიკის აბორიგენთა ეთნიკურ ნაირფეროვნებაზე სამეტყველო ენათა სიმრავლევც მიუთითებს. ლინგვისტებისთვის ცნობილია ორასზე მეტი ენა, რომ არაფერი ვთქვათ ორმოცდათერთმეტ მცირე დიალექტზე, რომელთა ორი მესამედი მხოლოდ კალიფორნიის ტერიტორიაზე იყო გავრცელებული.³ ამას ემატება რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი პრინციპები, რაც ერთობლიობაში განაპირობებს ერთმანეთისაგან განსხვავებული კულტურული მოდელების არსებობას. ცხადია, რელიგიურმა და მსოფლმხედველობრივმა შესხედულებებმა გარკვეული გავლენა იქონია ინდიელთა მითოლოგიაზე, რომელიც ძალზედ მრავალფეროვანია თავისი შინაარსის მიხედვით. მეტიც, საესებით შესაძლებელია ვისაუბროთ ამერიკის აბორიგენთა ცალკეულ

მითოლოგიურ სისტემებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, ნაკლებადაა შესწავლილი ძველი სამყაროს ხალხთა მითო-პოეტურ შემოქმედებასთან შედარებით.

ამრიგად, მოცემულ ნაშრომში შევეცდებით ნათელი მოუფინოთ ინდიელთა მითოლოგიაში არსებულ ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ თავისი ვარიანტულობით გამორჩეულ წარღვნის მოტივს. ინფორმაცია წარღვნის შესახებ ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს ხალხთა მითებსა და ლეგენდებში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოტივის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარია, თქმულებათა ძირითადი სქემა შემდეგია: უხამსი საქციელის, ცხოველთა ჟლეტის გამო უზენაესი ღვთაება ადამიანებს სასჯელის სახით წარღვნას მოუვლენს. ადამიანთა მცირე ნაწილი (უმთავრესად უმწიკვლონი) წინასწარ არის ინფორმირებული მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. თავის გადარჩენის მიზნით ისინი აგებენ ხომალდებს (კიდობნებს, კანოეს, ტივებს, უზარმაზარ ნაევებს), ან იხიზნებიან მაღალ მთაში, მცურავ კუნძულზე, ადიან ხეზე, რომელიც იზრდება წყლის დონის აწვეის შესაბამისად, თავს აფარებენ გიგანტური კუს ბაკანს და ა. შ. ხშირად მათ თან მიაქვთ მცენარეთა თესლი, გადარჩენის მიზნით მიჰყავთ ცხოველები. თავსებმა, რომელიც წარღვნას იწვევს, გრძელდება საკრალური მნიშვნელობის მქონე პერიოდის განმავლობაში (შეიდი ან ორმოცი დღე, ნახევარი წელიწადი) და ანადგურებს სიცოცხლეს. გარკვეული დროის შემდეგ ღვთის რჩეულები საფუძველს უდებენ ახალ ცხოვრებას: ადამიანები, ცხოველები, მცენარეები მრავლდებიან და კვლავ განსახლდებიან მიწაზე. საკმაოდ ხშირია წარღვნისაგან ოჯახური წყვილების გადარჩენის მოტივი. ასეთი წყვილები ღვთაებრივ მცნებათა შესაბამისად ცხოვრობენ და წარღვნის შემდეგ ეთნიკური ტრადიციის ფუძემდებლებად გვევლინებიან (ასე მაგალითად, ბიბლიური სიუჟეტი ნოეს შესახებ; მითი დეკალიონისა და პირეს შესახებ, რომელთა ვაჟი - ელინი - ბერძენთა ტომების მამამთავარია და სხვა მრავალი).

აღსანიშნავია, რომ ამერიკის აბორიგენთა მითოლოგიაში წარღვნის მოტივი ნაწილობრივ შეესაბამება ჩვენს მიერ მოყვანილ სქემას. მეტიც, იგი საკმაოდ მრავალფეროვანია თავისი შინაარსის მიხედვით. წარღვნის თემის ყველაზე ადრეული ვარიანტი დამუშავებულია კირეს ინდიელთა მითოლოგიურ ეპოსში აპოპოლ-უხი.⁴ მითის თანახმად, მას შემდეგ, რაც წარუმატებლად დასრულდა ადამიანთა მოდგმის თხისაგან გამოძერწვის მცდელობა, ღმერთებმა შექმნეს ხის არსებები, რომელთაც არ გააჩნდათ სული და გონება. ხის ადამიანები უმიზნოდ დაეხეტებოდნენ მიწაზე და ღმერთებმა მათი განადგურების გადაწყვეტილება მიიღეს. ხის ადამიანებს თხრიდნენ თვალებს, უმსხვრევდნენ სხეულებს. ბოლოს ციდან წამოვიდა სქელი დღვილის წვიმა. შეწუხებულმა ცხოველებმა, მცენარეებმა, სალმა კლდეებმა, უბრალო ნივთებმა თავშესაფრის გარეშე დატოვეს ხის ხალხი,

რომელიც დევნილობაში დაიღუპა. მხოლოდ ერთი ნაწილი გარდაისახა ტყის მაიმუნებად.

საგულისხმოა, რომ მოყვანილ ვერსიაში წარღვნის მოტივი პერიფერიულ ხასიათს ატარებს, არ კეთდება აქცენტები საკუთრივ ხის ადამიანთა ბრალეულობაზე, რის გამოც ღმერთებმა მათ სასჯელი მოუვლინეს. საინტერესოა, რომ ზოგ ვერსიაში საერთოდ გამორიცხულია ღმერთების ფაქტორი. ხშირად წარღვნის გამომწვევ მიზეზად სახელდება მიტოვებული მიჯნურის (უმთავრესად მამაკაცის) ან ვჭვიანი მუღლის ცრემლები;⁵ სასიკვდილოდ დაჭრილი ურჩხულის მუცლიდან დაღვრილი წყალი.⁶ იაგანთა ტომის ინდიელები მიიჩნევენ, რომ წარღვნა მოავლინა მთვარემ იმ ადამიანებზე შურისძიების მიზნით, რომელთაც მის: საკრალური რიტუალის საიდუმლო გაიგეს.⁷ ბოროროს ტომის ინდიელები წარღვნას უკავშირებდნენ წყლის სულის ჭრილობას,⁸ არაუკანები კი - ორი საზარელი ურჩხულის შერკინებას, რომლებიც ძალის დემონსტრირების მიზნით აქოჩრებენ წყლის უზარმაზარ ტალღებს.⁹ კარაჯას ტომის ინდიელთა აზრით, წარღვნა იმიტომ წარმოიშვა, რომ მიწისქვეშეთის ერთ-ერთმა ბინადარმა გააპო წყლით საესე გოგრა!¹⁰ და სხვა.

ასევე საინტერესოა, როგორ ხდება ამერიკის აბორიგენტთა მითოლოგიაში წარღვნის განმანადგურებელი ძალისაგან ადამიანთა გადარჩენის მოტივის ინტერპრეტაცია. ამ კუთხით წარღვნის შესახებ არსებულ მითებში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ანდები და კორდილიერები, რომლებიც რჩეულ გმირებს იფარავდნენ თავიანთ გამოქვაბულებში.¹¹ ზოგი ტომის (გუარაიო, ჩირი-გუანო და სხვ.) მითოლოგიაში იკვთება წარღვნის დროს პატარა გოგონებისა და ვაჟების გადარჩენის მოტივი. მოზარდები თავს აფარებენ გიგანტურ გოგრას.¹² ძალზედ იშვიათია კილოზნის მოტივი (კარიბის ზღვის კუნძულებზე მცხოვრები აბორიგენების, მაკუშის, იაგუას, აბინაჟეს ინდიელთა ტომების მითოლოგია). მეცნიერთა აზრით, ეს მოტივი გვიანდელი წარმოშობის უნდა იყოს და ამკარად ბიბლიური სიუჟეტის ზეგავლენას განიცდის.¹³

ყურადღებას იმსახურებს მითები, რომლებშიც წარღვნა ცეცხლისა და წყლის სტიქიათა დაპირისპირებით აიხსნება (ტამანაკის ტომი). კერძოდ, უზუნაესი ღვთაება სიცოცხლის გასანადგურებლად ცეცხლს განამძვინვარებს, ჯადოქარი კი ამ ცეცხლის შესაჩერებლად უხვ ნაღვეს ისმობს: ხმელეთი იტბორება და სპობს ადამიანებს, ცხოველებს, გარე სამყაროს.¹⁴

საგულისხმოა, რომ ამერიკის აბორიგენტთა მითოლოგიაში გვხვდება ე.წ. ანტიწარღვნის მოტივი (არ გამოიყენება წყლის განმანადგურებელი ძალა): მზე დააშრობს ხმელეთზე არსებულ მთელ სითხეს და უკან ორთქლის სახით აბრუნებს მას. უპაერობა სიცოცხლის განადგურებას იწვევს.¹⁵

ამრიგად, როგორც დაგროვდნით, ამერიკის აბორიგენტთა მითოლოგიაში წარღვნის მოტივმა სათანადო ასახვა ჰპოვა. იგი მკვეთრად განსხვავდება ძველი

სამყაროს ხალხთა მითოლოგიაში არსებული წარღვნის მოტივის ინტერპრეტაციისაგან, სადაც ეს უკანასკნელი განიხილება როგორც ურჩ ადამიანთა მიმართ მოვლენილი ღვთის სასჯელი. ამერიკის აბორიგენტთა მითოლოგიაში თითქმის არ ფიგურირებს ადამიანთა კონკრეტული ბრალეულობის მოტივი, რის გამოც ისინი უნდა დაისაჯონ. მეტიც, წარღვნის მოტივი არ შეესაბამება მსოფლიოს ხალხთა მითო-პოეტურ შემოქმედებაში გავრცელებულ მოდელს და შინაარსობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ J. Arthurson, *The Very Beginning of the United State's History*. L.A., 2002, p. 5
- ² Ibid, p. 12.
- ³ Народы Америки. М., 1959, т. 1, стр. 74.
- ⁴ ამ საკითხთან დაკავშირებით დაწერ. იხ. G. Jobes, *Dictionary of Mythology, Folklore and Symbols*. Pt., 1, N.Y., 1962, p. 315.
- ⁵ P. Radin, *A Study of American Indian Mythology*, N.Y., 1956, p. 47.
- ⁶ Д. Бодде, *Мифология индейцев Сервеной Америки*. В кн. *Мифология древнего мира*. Перевод с английского. М., 1977, стр. 121.
- ⁷ С. А. Токарев, *Религия в истории народов мира*. М., 2-е изд, 1997, стр. 204.
- ⁸ С. Burland, *North American Indian Mythology*. N.Y., 1964, p. 714 .
- ⁹ G. Jobes, *Op. cit.*, p. 600.
- ¹⁰ L. Spence, *Myths and Legends of the North American Indians*. L.A., 1991, p. 76.
- ¹¹ P. Radin, *Op. cit.*, p. 62.
- ¹² Ibid, p. 113.
- ¹³ С. А. Токарев, *Op. cit.*, стр. 270-271.
- ¹⁴ G. Jobes, *Op. cit.*, p. 317.
- ¹⁵ Ibid, 103.

ZURAB ZVIADADZE

Akaki Tsereteli State University, Assist. Prof

SUMMARY

THE MOTIVE OF FLOOD IN NATIVE AMERICANS' MYTHOLOGY

The paper deals with the motive of Flood in Native Americans' mythology. The Native Americans were animists to whom every animal, plant, and object in nature contained a spirit to be propitiated or feared. Some of these, such as the sun, the buffalo, and the peyote plant, the eagle and rattlesnake were more powerful or more frequently helpful than others, but there was no overruling 'Great Spirit' as so frequently represented. Colors were symbolic and had abiding place, and

sometimes sex. Certain tribes had palladiums around which centered their most elaborate ritual. Each man had also his secret personal 'medicine'. Secret societies were in every tribe, claiming powers of prophecy, hypnotism, and clairvoyance. Dreams were in great repute, and implicitly trusted and obeyed, while witches, fairies, and supernatural monsters were as common as in medieval Europe. Each tribe had its genesis, tradition and mythical hero, with a whole body of mythological beliefs and folklore.

The motive of Flood is highlighted in the mythology of Native Americans. It is distinguished from the interpretation of the Flood motive existing in the mythology of the Old World. The latter is interpreted as the ordeal of God, punishment of guilty beings cannot be traced in the mythology of American Indians. Moreover, the Flood motive doesn't correspond to the model despread in the world's mythopoetic creativity and is characterized by its versatile contents.

ნანული ბაბაურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ამერიკა თომას მანის ნაწარმოებში „დოქტორ ფაუსტუსის“ შექმნის ისტორია. ერთი რომანის რომანი“

1938 წლიდან თომას მანი ამერიკაში ცხოვრობს. იგი ერთადერთი გერმანელი ემიგრანტი მწერალია, რომელმაც ამერიკაში ფართო საზოგადოებრივი აღიარება მოიპოვა და ლიტერატურული ემიგრაციის უგვირგვინო მეფედ იქცა. 1938 წელს „ნიუ იორკ ტაიმსის“ 22 თებერვლის ნომერში იგი აღნიშნავდა: „სადაც მე ვარ, გერმანია იქ არის“ („Where I am, there is Germany“). 1944 წელს მან ამერიკის მოქალაქეობა მიიღო. ამერიკული ემიგრაციის 14 წელი უაღრესად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა დიდი გერმანელი მწერლის შემოქმედებითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის. ამერიკაში ქმნის იგი თავის ყველაზე მნიშვნელოვან რომანს - „დოქტორ ფაუსტუსს“ (1947), 1949 წელს ქვეყნდება მისი „დოქტორ ფაუსტუსის“ შექმნის ისტორია. ერთი რომანის რომანი“.

ამ ნაწარმოებისათვის ტიპიური რომანის ჟანრის სახელის მიკუთვნება სათუთა, რადგან ეს არის მწერლის დღიურიდან ციტირებული მოსაზრებების, ესთეტიკური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური შეხედულებების, უამრავი ცნობილი ისტორიული პიროვნებისა თუ ხელოვანის პორტრეტული ჩანახატის ნაზავი, ამავედროულად ეს არის ავტორისეული კომენტარი თავის უმნიშვნელოვანეს რომანზე, ამ რომანის აგების ესთეტიკურ და ტექნიკურ პრინციპებზე, საერთო მხატვრულ ჩანაფიქრზე, განსხვავებულ მხატვრულ პლანებზე და ა.შ. იგი თითქოს რეალურ ასაქტში იმორებს „დოქტორი ფაუსტუსის“ ძირითად პრობლემატიკას, ზოგიერთ შემთხვევაში კომპოზიციური თვალსაზრისითაც კი ჰგავს მას.¹

სამეცნიერო ლიტერატურაში „ერთი რომანის რომანი“ განიხილავენ როგორც ავტორის კომენტარს, რომელიც საშუალებას იძლევა გაირკვეს „დოქტორი ფაუსტუსის“ ესთეტიკური მოდელის რთული სქემა, მხატვრული სტრუქტურა და ა.შ., მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, როგორ იკვეთება ამ ნაწარმოებში თავად თომას მანი - ამერიკის მოქალაქე, როგორ აღიქვამს იგი რუსველტისა და ტრუმენის პერიოდის ამერიკის საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებას, მსოფლიოში მიმდინარე ურთულეს პროცესებს, რამდენად ვრცობს თავს გერმანული სულიერი კულტურის წარმომადგენლად ამერიკულ ყოფაში.

ნაწარმოების ანალიზი თვალნათლივ აჩვენებს, რომ თომას მანი ზუსტად და

ღრმად ხედავს ამერიკისა და ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებას, როგორც მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, ასევე ომის შემდგომ რთულსა და დაძაბულ პერიოდში. რომანში დიდი ადგილი უჭირავს პოლიტიკური ხასიათის რეპორტაჟებს. აქ ყველაფერი აღინიშნება: სტალინგრადთან ბრძოლა, აფრიკის ბრძოლის ბატალიები, გასამხედროებული ვაშინგტონი, საფრანგეთის ფლოტის ჩაძირვა ტულონში, რუსული ჯარების მოძრაობა, რუზველტის სიტყვა ახალი კონგრესის წინაშე, რომელმაც განაცხადა ევროპაში მოკავშირეთა ჯარების შეჭრის შესახებ.²

აშკარად იკვეთება თომას მანის რწმენა რუზველტის ამერიკისადმი. ამერიკაში ხედავს იგი განსაკუთრებულ ძალას ჰიტლერული ფაშიზმისაგან ევროპის გასათავისუფლებლად. თომას მანს ნაწარმოებში მოაქვს ამონარიდი თავისი დღიურიდან (1943 წლის აგვისტო), სადაც აუცილებლად მიიჩნევს მეორე ფრონტის გახსნას. იგი ლაპარაკობს «ომის ფარულ პოლიტიკურ ბიძგებზე», ერთიანობის ნაკლებობაზე, მეორე ფრონტის არარსებობის გამო წარმოშობილ უნდობლობაზე, ლიტვინოვისა და მანისკის გაწვევაზე, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საქმე ეტება არა ამ ომს, არანეღ მომავალი ომის მომზადებას», - წერს იგი.³

თომას მანს აშინებს სეპარატისტული ზავის დამყარების შესაძლებლობა დასავლეთსა და ჰიტლერს შორის გერმანიის დამარცხების წინა პერიოდში, იალტის კონფერენცია აქარწყლებს დამძიმებულ ატმოსფეროს: «...ყველანი ერთად დარჩნენ – ახლა მთავარია ნაცისტური ბესტიის საბოლოო დამარცხება, რომელიც დიპლომატიური ხაზებით ცდილობს დასავლეთს ზავი შესთავაზოს და იბრძოლოს მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ».

ამერიკაში თომას მანი ხვდებოდა ამ და ასევე სხვა ქვეყნების პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს, რომლებიც თავად «ქმნიდნენ პოლიტიკას». ეს იყო უპირველესად პრეზიდენტი რუზველტი, ასევე სახელმწიფო მდივანი ბერლი, საბჭოთა კავშირის ელჩი ამერიკაში ლიტვინოვი და მრავალი სხვა. ამიტომ თომას მანის პოზიციები უფრო რეალისტური იყო ვიდრე გერმანელ ემიგრანტთა იმ ჯგუფისა, რომელთაც ამერიკაში შექმნეს გაერთიანება «დემოკრატიული გერმანია» და ისტერიულად ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის მიერ ტერიტორიულ დათმობებს, მათ შორის აესტრიის დამოუკიდებლობას.

თომას მანი აღწერს გერმანულ ემიგრანტულ მოძრაობას ამერიკაში სახელწოდებით “Free Germany”, რომელიც დაკავებული იყო იდეით – როგორ მოეწყოთ ომის შემდგომი გერმანია პოლიტიკურად, მათ თომას მანს შესთავაზეს ამ მოძრაობის ხელმძღვანელობა. მწერალი თავიდანვე სკეპტიკურად შეხვდა ამ ჯგუფის მიზნებს, მაგრამ მანაც შეასრულა შუამავლის როლი ამერიკის მთავრობასთან, თუმცა წარუმატებლად. «ეს შედეგი ჩემთვის ტვირთის მოხსნა იყო»-ო, აღნიშნავდა თომას მანი. ბერტოლდ ბრეჰტი უსაყვედურებდა თომას მანს გერმანული დემოკრატიის ურწმუნობას, თომას მანისათვის კი ბუნდოვანი იყო,

როგორი იქნებოდა გერმანია ჰიტლერის განადგურების შემდეგ. არც ისა გამოირიცხული, რომ გამოაცხადონ ნაციონალისტური ბოლშევიზმი და შეუერთდნენ რუსეთს", - წერს იგი.

თომას მანი განსაკუთრებით გამოჰყოფს 1944 წლის 23 ივნისს, როდესაც მან ამერიკის მოქალაქეობა მიიღო. თან მიუთითებს, რომ ეს მოხდა რუზველტის დროს, მის ამერიკაში. რუზველტთან თომას მანს ძალზედ თბილი პიროვნული ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ იგი ცდილობს ნაწარმოებში ობიექტურად შეაფასოს რუზველტი - პოლიტიკური მოღვაწე. რუზველტის გარდაცვალების წლის თავზე იგი წერდა: "მე მუდამ ვხედავდი რუზველტში ანტაგონისტს იმ უაზრო და ბრმა ბოროტებისა, რომელმაც მოიცვა გერმანია და რითაც იგი საშიში გახდა მსოფლიოსათვის. ის, რომ დემოკრატია შეძლო წინა პლანზე წამოეყენებინა მოქმედების ადამიანი, ამავდროულად ძლიერი, ჯიუტი, ემპატი, მომხიბვლელი, სიკეთის დიდი პოლიტიკოსი - ეს იყო ამ დემოკრატიის ხსნა, ადამიანისა და მისი თავისუფლების ხსნა". თომას მანმა დიდი სიხარულით მიიღო მონაწილეობა მიტინგში რუზველტის მხარდასაჭერად პრეზიდენტად მის მეოთხედ ასარჩევად.

მეტად საინტერესოა, რომ თომას მანი - ფსიხული ანალიტიკოსი, გრძობს საშიშ დაპირისპირებას უკვე გამარჯვებულ მოკავშირეთა შორის. ამერიკისა და მემარჯვენე პოლიტიკოსების დამოკიდებულების საკითხს საბჭოთა კავშირისადმი თომას მანი რამოდენიმეჯერ უბრუნდება - ჩერჩილის სიტყვასთან დაკავშირებით, ტრუმენის პოლიტიკასთან დაკავშირებით, ამერიკის გარკვეული წრეების სურვილთან დაკავშირებით, რომ შეაიარაღონ გერმანია რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს უკვე ტრუმენის ამერიკაა, სადაც, თომას მანის აზრით, ძლიერთა ჯგუფები თანდათან მიდიან რეაქციის გზით. "მანინც საით? ფაშიზმისაკენ?" - კითხულობს ავტორი.

ნაწარმოების ბოლო თავებში თომას მანი უფრო ნაკლებად მსჯელობს პოლიტიკურ თემებზე, მაგრამ მანინც ესება მათ. მას აწუხებს ამერიკისა და ევროპის პრობლემები უკვე "ცივი" ომის ვითარებაში. ყოველივე ამას იგი თავისი ნაწარმოების "ფონს" უწოდებს. რეალურად ეს ბევრად უფრო მეტია, ვიდრე "ფონი", იგი მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ თომას მანისათვის არსებითია აჩვენოს "დოქტორი ფაუსტუსის" დაწერის დრამატიზმი, წინააღმდეგობანი, ახსნას, რომ ეს იყო რომანი გერმანიის ბედის შესახებ, კონკრეტულად, მისი პოლიტიკური ბედის შესახებ, რომ მასში აისახა გერმანიის სულიერება მთლიანობაში.

ომის პერიოდის ამერიკა თომას მანს მუქ ფერებში აქვს წარმოდგენილი. მისთვის უცნაური და უცხოა ვაშინგტონის გასამხედროებული ვითარება, სამხედრო ტვირთით სავსე მატარებლები. ამ სიტუაციაში ამზადებს იგი ლექციას კონგრესის ბიბლიოთეკაში წასაკითხად და მადლობით მოიხსენიებს ბიბლიოთეკის დირექტორს მაკ-ლიშს და ამერიკის ვიცე-პრეზიდენტს ჰენრი უოლესს, რომელმაც შესავალი

სიტყვა წარმოთქვა თომას მანის საპატივცემულოდ. იგრძნობა, რომ რუზველტის რეჟიმის ოფიციალური პირები განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავენ მის მიმართ.

წიგნში აშკარაა თომას მანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა ამერიკაში. იგი დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს როგორც ამერიკის მოქალაქე და დიდი გერმანელი მწერალი: ყოველთვიურად ამზადებს სიტყვებს რადიოგადაცემებისათვის გერმანიაში, მონაწილეობს რუს და ამერიკელ ინტელექტუალთა გაცვლით მიმოწერაში - ამზადებს ღია წერილს ალექსეი ტოლსტოის სახელზე, წერს სტატიას აგრმანიის მომავლის შესახებ, რისთვისაც სამადლობელ წერილს იღებს ამერიკის სამხედრო-საინფორმაციო სამმართველოდან, რეგულარულად კითხულობს ლექციებს ამერიკის სხვადასხვა ქალაქში, სმირი კონტაქტი აქვს იუჯინ მეიერთან - ფომინგტონ პოსტის" გამომცემელთან, ჰენრი უოლესთან - აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტთან 1941-45 წლებში, აშშ-ს იუსტიციის მინისტრთან ფრენსის ბილთან, იღებს ინფორმაციებს ევროპაში მიმდინარე პროცესების შესახებ, ამზადებს მოხსენებას სათაურით: "What is German", რომელიც შემდეგ ატლანტიკ მანსლში" ქვეყნდება, საზგავსით მიუთითებს, რომ ერთი ვაჟი - კლაუსი, ამერიკელი: ჯარისკაცია, გოლო - სამხედრო მომზადებას გადის, ხოლო ერთი სამხედრო კორესპონდენტია, იგი დიდი ინტერესით ეკიდება მოსკოვში ჰელის, იდენისა და მოლოტოვის შეხვედრას, უარს ეუბნება იდემოკრატიულ გერმანიას" თანამშრომლობაზე, რადგან გრძნობს მათ პროფაშისტურ" განწყობას, სხარულით იღებს ცნობას ნორმანდიაში მოკავშირეთა ჯარების გადასმის შესახებ, რუსული ჯარების შეჭრას ევროპის ტერიტორიაზე, პარიზის გათავისუფლებას, წერს სტატიას სათაურით: "The End", რომელიც ქვეყნდება "ფრი უორლდში", ხოლო შემდეგ "რიდერზ დაიჯესტისა" და სხვა დიდი რადიოსადგურების მეშვეობით მთელს ამერიკაში ვრცელდება, ანტიფაშისტური კოალიციის განმტკიცებაში დიდ როლს ანიჭებს ეიზენჰაუერს, ხოტბას ასხამს რუზველტს, რომელსაც უწოდებს დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, არისტოკრატსა და ხალხის მეგობარს, უდიდეს პოლიტიკოსს.

გერმანიის დამარცხების შემდეგ თომას მანი ცდილობს გააანალიზოს თავისი ქვეყნის ტრაგედია ვაშინგტონში წაკითხულ ლექციაში "Germany and Germans", რასაც კრიტიკული რეაქცია მოჰყვა ამერიკაში მცხოვრები გერმანელი ემიგრანტებისაგან. მათ შორის იყო ალფრედ დიობლინიცი.

ამერიკელების შესულა ბონში და მოვლენათა სწრაფი განვითარება თომას მანში დაეჭვების გრძნობას იწვევს: მას რთულად ეჩვენება მოკავშირეთა მიერ ომის მოგების შემდეგ "მშვიდობის მოგება". ომისშემდგომ ამერიკაში თომას მანი აშკარად გრძნობს რუსულ-ამერიკულ ურთიერთობათა დაძაბვას გერმანიის ბედის გადაწყვეტის გამო. ამას ამძაფრებს რუზველტის გარდაცვალება, რაც მას

„საბედისწერო დანაკარგად“ მიიჩნია. რუზველტის გარდაცვალების გამო წარმოშობილ რეაქციას იგი ასე აფასებს: „მწუხარებას ხანდახან შეერეოდა ხოლმე კმაყოფილების გრძნობაც, რაც ოფიციალურ სამელოფიარო დეკლარაციებშიც კი გამოსჭვივოდა. ეს იყო თითქოს რაღაც შემსუბუქებული ამოსუნთქვა, რომელიც ისმის ხოლმე დიდი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ, რომელმაც თავისი ერი ახალ სიმაღლეზე აიყვანა, რაც იმავე ერისათვის ერთგვარად მძიმე აღმოჩნდა“. თომას მანის აზრით, რუზველტის მემკვიდრე აცხადებდა ერთგულებას ყოფილი პრეზიდენტის არჩეული კურსისა მშვიდობის მხარდასაჭერად, მაგრამ იგი გრძნობდა, რომ ცვლილებები მოსალოდნელი იქნებოდა.

აშშ აგ ზაენის ომისშემდგომ გერმანიაში საპარლამენტო კომისიებს, რომ სან-ფრანცისკოს კონფერენციას უტყუარი ფაქტები ჰქონდათ ფაშისტურ გერმანიაში არსებული საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ. ამასთან დაკავშირებით „Office of War Information“-ის თხოვნით თომას მანი წერს სტატიას „ბანაკები“, რომელსაც დიდი რეზონანსი ჰქონდა. თავის სამოქალაქო აქტიურობას თომას მანი ასე აფასებს: „მე ვიბრძოდი და სამარცხვინო ბოძზე ვაკრავდი კაცობრიობის გამხრწნელებს თუნდაც იმით, რომ ცოცხალი ვიყავი. ე.ი. გამარჯვება ჩემი პირადი გამარჯვებაც იყო. ამისათვის მადლობა რუზველტს ეკუთვნის“.

რუზველტის შემდგომი პერიოდის ამერიკის პოლიტიკისადმი თომას მანი თანდათან კრიტიკული ხდება. იგი მკაცრ შეფასებას აძლევს ამერიკელების მიერ იაპონიის დაბომბვას. მისი აზრით, ეს მხოლოდ პოლიტიკური აქტი იყო, რადგან ამ საშინელი იარაღის გამოყენება უკვე აღარავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა. ამერიკისათვის ეს საჭირო იყო იმიტომ, რომ დაესწრო რუსებისათვის იაპონიაში გამარჯვება. „მაგრამ არაფერი დამთავრებულა ... სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ხასიათის ცვლილებები მსოფლიოში შეუჩერებლად მიმდინარეობდა“, - აღნიშნავს თ. მანი.

თ. მანი ღრმა ანალიტიკოსია, რომელიც ომამდე, ომის წლებში და მას შემდეგ გონებით და ინტუიციით წვდება სხვებისთვის დაფარული ბევრი მოვლენის არსს: შემოქმედი, მისი აზრით, ჰვავს ინდიკატორს, სეისმოგრაფს, ან მგრძნობიარე შუამავალს, რომელსაც ხშირად გაცნობიერებულად შეიძლება არ ჰქონდეს ეს თავისი ორგანული ფუნქცია.

თ. მანი ნაწარმოებში უყურადღებოდ არ ტოვებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოშობილ კრიზისს ირანის გამო, ასევე ანგლო-ამერიკული სამხედრო კავშირის შეკვრას, რაც ჩერჩილის იდეა იყო და სტალინის მკაცრი კრიტიკა გამოიწვია, ასევე უოლეს-ბირნსის კონფლიქტს, რაც მოუთითებდა ამერიკის აგრესიული საგარეო პოლიტიკის წარმართვაზე. თ. მანი კრიტიკულად ეკიდება ჩერჩილის სიტყვას ციურიჰში პან-ევროპული იდეის შესახებ მისი საეჭვო გერმანოფილურობის გამო. იგი გრძნობს ფარულ სურვილს გერმანიის კვლავ

შეიარაღებისა რუსეთის წინააღმდეგ, მოჰყავს ევროპელი კომენტატორების მოსაზრება, რომ ტრუმენმა მისი პარტიის დისკრედიტაცია მოახდინა, აღნიშნავს, რომ ამერიკის ზოგიერთ ძლიერ დაჯგუფებას სურს რუზველტის საქმის დანგრევა. მას აწუხებს და აღაშფოთებს ანტიამერიკული საქმიანობის გამოძიების კომიტეტის მუშაობა. აყველა ამ საკითხით იყო დაკავებული ჩემი გონება და გასული წლების ამბებთან ერთად ეს ყველაფერი ქმნიდა „ერთი რომანის რომანის“ ფონს“⁴, - წერს თომას მანი. იგი თავად განსაზღვრავს თავისი ნაწარმოების სპეციფიკას: „.....ეს იყო ჩემი ძველი ჩვევა - შემეთავსებინა პოლიტიკური ინტერესები პოეტურ-ადამიანურთან და ერთი სფეროდან მეორეში გადასულიყავი“.⁵

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ H. R. Vaget, Schlechtes Wetter, gutes Klima: Thomas Mann in Amerika. In: Thomas Mann. Handbuch. Frankfurt a/M 2005, S. 168.
- ² Th. Mann, Die Entstehung des Doktor Faustus. Roman eines Romans. Frankfurt a/M 1984, S. 15.
- ³ Ibid, S. 38.
- ⁴ Ibid, S. 144.
- ⁵ Ibid, S. 154.

NANULI KAKAURIDZE

Akaki Tsereteli State University, Professor

SUMMARY

AMERICA IN TH. MANN'S "THE GENESIS OF "DOCTOR FAUSTUS". A NOVEL OF ONE NOVEL"

Fourteen years of American immigration occupy an important place in Th Mann's creative and public activities. Their significance is evident in his work "The Genesis of "Doctor Faustus". A Novel of One Novel" which was published in 1949. In it Th. Mann emerges, on the one hand, as a great German writer who has a full right to declare: "Where I am, there is Germany" and, on the other, a citizen of the USA whose observations on the wartime and post-war social and political life in Europe and America are accurate and insightful; he sympathizes with and believes in Roosevelt's America. He considers USA to be the state power capable of releasing Europe from the bondages of the Nazi. He gives a high evaluation to Roosevelt's political activities and adequately reacts to all significant social and political events. Looking deep into the roots of the tensions of the post-war period, he becomes more and more critical towards Truman's politics. Th. Mann's perception of social-political events proves him to be a man of analytical

mind who is able to gain deep insight into the latent essence of the events hidden from others' eyes. He compares an artist to an indicator, a seismograph, a sensitive mediator who himself might not even be conscious of this organic function of his.

It is doubtful to regard this work by Th. Mann as a typical novel; it is too intimate, a kind of combination of the quotations from the writer's diaries, his aesthetic and social-political views, portraits of many historical figures and artists; at the same time, it is the author's commentary on his most significant novel "Doctor Faustus", on aesthetic principles and technical devices used in it for construction purposes and its artistic conception.

დეტალები 8. ნაბოკოვის უმეოქმედეზაში (რომან „პინის“ მიხედვით)

ვლადიმირ ნაბოკოვი ერთდროულად ორი - რუსული და ინგლისურენოვანი - ლიტერატურის მოვლენაა, განსაკუთრებული მხატვრული სამყაროს შემქმნელი. იგი ნიჭიერი რუსი პროზაიკოსია, რომელმაც რევოლუციის შემდეგ რუსეთის საზღვრებს გარეთ დიდი მწერლის სახელი მოიხვეჭა. აშშ-ში ჩასვლისთანავე ნაბოკოვი ცდილობს გარდაიქმნას ამერიკელ მწერლად, იყენებს ინგლისურ ენას, რომელსაც ის ბავშვობიდან ფლობდა. ეს უპირველესად აიხსნებოდა მისი ნაწარმოებების უცხოურ ენებზე არასრულფასოვანი თარგმანებით. ამ სირთულეებს ნაბოკოვი თავის წერილებში აგონიას ადარებდა. ის თითქმის ფიზიოლოგიურ ტანჯვას განიცდიდა, როდესაც მოქნილ მშობლიურ ენას ეთხოვებოდა. მაგრამ ამ განსაცდელს ნაბოკოვმა ღირსეულად გაუძლო. ხელოვანი უნიკალურად გადაერთო რუსული ენიდან ინგლისურზე, რასაც, არსებითად, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ანალოგი არ გააჩნია. თავად მწერალს კი ეს თავისი ცხოვრების ტრაგიკულ მომენტად მიაჩნდა. ჩემი პირადი ტრაგედია, - თქვა მან ერთხელ, - ისაა, რომ მე მომიხდა უარი მეთქვა მშობლიურ ენაზე, ბუნებრივ მეტყველებაზე, ჩემს მდიდარ, უსაზღვროდ მდიდარ და ჩემს მონა-მორჩილ რუსულ სიტყვაზე მეორეხარისხოვანი ინგლისური ენის გამო¹.

ინგლისურ ენაზე გადასვლამ ნაბოკოვს უარი ვერ ათქმევინა რუსულ კულტურაზე, რუსულენოვან სამყაროზე. მის პროზაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ალუზიები, რემინისცენციები და ციტატები რუსული ლიტერატურიდან, პაროდული გამოძახილები რუსულენოვანი ტექსტებისა თუ რუსული სინამდვილისა. ინგლისურენოვანი „ლოლიტას“, „პინის“, „ფერმკრთალი სინათლის“ და რომანის „ადა, ანუ სიყვარულის გზებზე“ ავტორი გამოცხადებული იქნა ჯ. ჯოისის, ფრ. კაფკასა და ტ. ს. ელიოტის პირდაპირ მეშვედრედ.

ზოგიერთი ამერიკელი კრიტიკოსი ნაბოკოვში ხედავდა მხოლოდ მწერალს, ხელოვნურ სამყაროთა შემქმნელს, „სიტყვიერი კენჭებით“ თამაშის ბრწყინვალე ოსტატს, რაც, მკვლევარ ა. მულიარჩიკის აზრით, არ შეესაბამებოდა „ლოლიტასა“ და „პინის“ მრავალპლანიან შინაარსს, სადაც „ომისშემდგომი სინამდვილის გარკვეული ნიშნები დანახული იქნა დაკვირვებული რეალისტისა და გესლიანი სატირიკოსის თვალით“² ჩვენი აზრით, საკამათოა კრიტიკოს ო. მიხაილოვის მტკიცება, რომელიც ეფუძნება თავად მწერლის ესთეტიკის მთავარ თეზისს:

„ნაბოკოვის პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, ენის პრობლემაა“, მისი „შემოქმედება ენის ფუნოქცია და არა იდეებისა“.³ გ. მურიკოვი, მოჰყავს რა ო. მიხაილოვის მოსაზრება - „არა იდეებისა“ სულაც არ ნიშნავს „არა ხასიათების“, დასძენს: „ხასიათები კი ნაბოკოვთან არის და მერე როგორი! ფსიქოლოგიასა და სოციალურობას შორის ხომ მტკიცე კავშირია - როგორ შეიძლება სხვაგვარად გამოვლინდეს საზოგადოებრივი აზრი, თუ არა ადამიანთა სულების მეშვეობით?“

სწორედ ამ კუთხით გვასურს შევხედოთ ვ. ნაბოკოვის რომანს „პინინი“, რომელიც, ა. ბიტოვის აზრით, ნაბოკოვის ინგლისურ რომანებს შორის ერთადერთი „რომანი-ხასიათია“, სადაც სიუჟეტი უდრის ხასიათს.⁵ ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ ნაბოკოვის „შემოქმედებაში, კერძოდ, ზემოხსენებულ რომანში, იდეები, ენასთან ერთად, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. აღნიშნულ საკითხს განვიხილავთ დეტალების კონტექსტში.

1957 წ. გამოქვეყნებულ „პინინში“ აისახა ამერიკულ უნივერსიტეტებში რუსული და მსოფლიო ლიტერატურაში ლექციების წაკითხვის ნაბოკოვისეული გამოცდილება. უნდელში მკვლევარები ჩვეულებრივ ხედავენ კარიკატურას კორნელის უნივერსიტეტზე, სადაც მწერალი მუშაობდა 1948 - 1959 წლებში, „პინინს“ პერსონაჟებში კი - მისი კოლეგებისა და მოწაფეების შარჟირებულ კრებსით პორტრეტებს; მკვლევარები პოულობენ ასევე ამ პერსონაჟების რეალურ პროტოტიპებს. „პინინი“ - რომანი უთავბოლო, მარტოხელა რუს პროფესორზე, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება უიმედოდ უყვარს ერთადერთი ქალი და მისი (არა თავისი) შვილი - რა თქმა უნდა, არ მოგვითხრობს ნაბოკოვზე, მაგრამ რომანში ნათლად იკვეთება, თუ როგორია ზოგადად რუსი ადამიანის ცხოვრება ამერიკაში.

ეს არის ემიგრანტული პროზის ნიმუში, ნიმუში იმისა, თუ როგორ არსებობს უცხო, სხვა ეროვნულ (მოცემულ შემთხვევაში ამერიკულ) გარემოში ადამიანი, რომელიც სულით, ხასიათითა და თავისი ცხოვრების წესით რუსია, ადამიანი, რომელიც ამერიკაში ვერა და ვერ გახდა ამერიკელი. „პინინში“ წამოყენებული თემა დამახასიათებელია ამგვარი ლიტერატურისათვის - გმირის გაუცხოების თემა, დაკარგული სამშობლოს თემა, რომელსაც ი. ბუნიინი რუსული არყის ხის თემას უწოდებდა. გმირმა, რომელიც ვერ გახდა ამერიკელი, თავისი არყის ხეც ვერ იპოვა.

დასახელებულ პრობლემას ჩვენ განვიხილავთ სათაურის, როგორც დეტალის, გააზრებით, ასევე ნაწარმოებიდან ამორჩეული ცალკეული დეტალების მეშვეობით, რომლებიც ჯვარედინიან სათაურის ირგვლივ და გარკვეულწილად განაგრცობენ მას. ცნობილია, რომ სათაური, როგორც ტექსტური ნიშანი და ტექსტის აუცილებელი ელემენტი, ძლიერ პოზიციას იჭერს, უპირისპირდება ტექსტის კორპუსს და იპყრობს მკითხველის ყურადღებას. მიჩნევენ, რომ ტექსტის სათაური

შეკუმშული ფორმით შეიცავს ნაწარმოების ძირითად იდეას და წარმოადგენს გასაღებს მის გასაგებად. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი ინტერესი რომან „პნინის“ სათაურისადმი. ჩვენი ამოცანაა განვსაზღვროთ სათაურის, როგორც დეტალის, კავშირი ტექსტის შინაარსთან, ვაჩვენოთ მისი როლი ძირითადი თემის გაგებაში და ასევე ნაწარმოების არსის გარკვევაში. „პნინის“, როგორც გვარის, ეტიმოლოგიური მნიშვნელობის გააზრება, მისი გაგება, როგორც ტექსტის ინდექსალური ნიშნისა, შექაძლებელს გახდის გადაწყვეტილი ჩვენს წინაშე დასმული ამოცანა. სტატისის მოცულობის გამო შეუძლებელია განვიხილოთ მთელი ტექსტის დეტალები, ამიტომ ვირჩევთ მათ ტექსტის აზრობრივი პლასტებიდან დეკორატივობით ნაბოკოვის „სიტყვიერ თამაშს“ მკითხველთან, განსაკუთრებით მის მიერ საკუთარ სახელთა „გათამაშებას“ ნაწარმოებში. ყოველივე ამის საფუძველი კი არის მხატვრული ტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი.

მნიშვნელოვანია რომანის თემა - ტიპიური რუსი ინტელიგენტის გაუცხოება, რომლის გააზრება აუცილებელია რუსული მართლმადიდებლობის ჭრილში. ცნობილია, რომ „გაუცხოების“ ცნებას რუსულ მართლმადიდებლურ კულტურულ ტრადიციაში უპირისპირდება ცნება «соборность», როგორც რუსული ლიტერატურისა და კულტურისათვის იმანენტური რელიგიურ-ფილოსოფიური კატეგორია. მეცნიერთა აზრით, ნაბოკოვის შემოქმედება რუსულ მართლმადიდებლურ ლიტერატურულ ტრადიციასთან მიმართებაში შეიძლება განვიხილოთ როგორც „გოგოლის „მირგოროდის“ გაგრძელება, რომელიც შეესაბამება „სობორულობისაგან“ ჩამოშორების ოთხ სტადიას. „სობორულობა“ ასეთი გაგებით „ზნეობრივ ორიენტირს“ წარმოადგენს⁶. მაშასადამე, რაც უფრო მეტი დრო გადის და რაც უფრო მეტად შორდება ნაბოკოვის გმირი (პროფესორი პნინი) რუსულ „სობორულობას“, მით უფრო განმარტოებული და გაუცხოებული იგი. სამშობლოსაგან პნინის მოწყვეტა ნაწარმოების სათაურშივეა გამოხატული, რაზეც გვარის ეტიმოლოგია მიუთითებს: «Пнин», ჩვენი აზრით, წარმოშობილია სიტყვიდან «ПНИ» - ეს არის არსებითი სახელის «Пень» მრავლობითი რიცხვის ფორმა, ქართულად - „ჯირკი, კუნძი, ძირკვი“, რაც აღნიშნავს „მოჩეხილ ან მოტეხილ ხეს“.⁷ მაშასადამე, ესაა ფესვებგაუქმებული, მკვდარი ხე, რომელიც ფაქტობრივად, უფუნქციოდ და დარჩენილი. მისივე სემანტიკური ბუდიდან შეიძლება გამოვყოთ აგრეთვე სიტყვა «Пнище» (обгорелый пень) - დამწვარი ძირკვი, რომელიც, ჩვენი აზრით, ასევე უკავშირდება «Пнин»-ს.

ზემოხსენებული შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სიტყვათა მწკრივის სახით:

სქემა № 1

П и и и

|
пни

|
пень

|
пнище (დამწვარი ძირკვი)

|
რუსული „სობორულობის“ დაკარგვა

გ ა უ ც ხ ო ე ბ ა

აქვე მოვიყვანთ თავად მწერლის გამონათქვამს იმის თაობაზე, თუ როგორ გაუტყდა მას გული „ლოლიტას“ ინგლისური ტექსტის რუსულად თარგმნისას: «История этого перевода – история разочарования. Увы, тот «дивный русский язык», который, сдавалось мне, все ждёт меня где-то, цветет, как верная весна за наглухо запертыми воротами, от которых столько лет хранился у меня ключ, оказался несуществующим, и за воротами нет ничего, кроме обугленных пней и осенней безнадежной дали, а ключ в руке скорее похож на отмычку». ¹ ამ ავტორისეულ ციტატაში, რომელიც, ჩვენი აზრით, სრული უფულებით შეიძლება დაფუკავშიროთ რომან „ინისაც“, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ერთ-ერთი დეტალი: «обугленные пни» („დანახშირებული ძირკვები“); ის ავტომატურად შედის ზემოთ წარმოდგენილ სიტყვათა მწკრივში:

სქემა № 2

П и и и

|
пни

|
пень

|
пнище (დამწვარი ძირკვი)

|
«обугленные пни». („დანახშირებული ძირკვები“)

|
რუსული „სობორულობის“ დაკარგვა

გ ა უ ც ხ ო ე ბ ა

ვ. დალის განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილი სიტყვის «пень» სემანტიკურ ბუდეში ჩვენთვის საინტერესოა კიდევ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს: ზმნები «пнуть», «пинать» - ფეხის კერა, წიხლის კერა, პანლურის ამოკერა; არსებითი სახელი «пинок» - პანლური, წიხლი. საჭიროა მოვიძიოთ ისინი ნაწარმოებში და განვიხილოთ სათაურის ჭრილში.

საკუთარი სახელი «Пнин»-ი «გათამაშებულია», როგორც ინდექსალური ნიშანი, სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიებში: Пнин - пнинский, пнинизация, пнинизировал, пниниада. ის მოძრაობს რომანის მთელ ტექსტში როგორც უცვლელი, ასევე ვარიანტული ფორმით, განიცდის ბგერით ცვლილებებსა და გადაადგილებებს, იმატებს სულ ახალ და ახალ მნიშვნელობებს, რაც კიდევ უფრო აფართოებს მის სემანტიკას. მაგალითის სახით განვიხილოთ რამდენიმე ფრაგმენტი რომანიდან.


პირველ ფრაგმენტში პროფესორ პნინის ოთახის კარის გაღებას ფეხის კერით აპირებენ («... привела бы к тому, что Изабелла и в самом деле пинком отпахнула бы дверь Пнина»)¹, მეორეში მთავარ გმირს აინგ-პონგის ბურთს («пинг-понговый мячик») უწოდებენ² და ბოლოს, მესამე ფრაგმენტში პნინთან დაკავშირებით დაფიქსირებულია სიტყვა-დეტალი «ნახშირი» და მისი ვარიანტული ფორმები: «ნახშირის ნატეხი», «ნახშირის მტვერი», «შავი ატომი» («Мое первое воспоминание о Тимсфее Пнине связано с угольной соринкой, попавшей мне в левый глаз весенним воскресеньем 1911 года», «... милый доктор ... извлек из моего глаза терзавший его чёрный атом! Интересно, где теперь этот уголёк? Сжучная, безумная мысль, но ведь где-нибудь он да есть»³).

მოყვანილ ფრაგმენტთა ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გავაფართოვოთ «Пнин»-ის სივრცობრივი და აზრობრივი არეალი და შევავსოთ ზემოთ წარმოდგენილი სქემა. «წიხლის კერით» («пинком»), «пинок» - ზემოთ ნახსენები «пень»-ის სემანტიკური ბუდის წევრი) პნინის კარების გაღების მცდელობა იწვევს პნინის ცხოვრების იმ ტრაგიკული ეპიზოდის ასოციაციას, როდესაც ის პანლურის ამოკერით გამოაგდეს გასაბჭოებული რუსეთიდან. თვალში საცემია აგრეთვე ამ დეტალისა და სათაურის ბგერითი შედგენილობის მსგავსება. პნინის აინგ-პონგის ბურთად წარმოდგენა მიუთითებს გმირის აქეთ-იქით მიწყდომას ცხოვრებაში თავშესაფარის ძებნაში, მაგრამ მას, როგორც უფესვო ადამიანს, არც სახლი აქვს, არც მყარი ადგილი ცხოვრებაში და არც სამშობლო. ვარდა ამისა, «пинг-понговый» თავისი უღერადობითა და ბგერათა თანმიმდევრობით ესმინება, თავის მხრივ, სიტყვა-დეტალს «пинком» («пинок»), რაც იმის დასტურია, რომ პნინს, როგორც აინგ-პონგის ბურთს, ცხოვრება ხშირად აბურთავებს და სულ ფეხის თუ წიხლის კერით უმასპინძლდება. ბოლო ფრაგმენტში

კი დაფიქსირებული დეტალი «уголек» (ანახშირი, ნახშირის ნატეხი) უდავოდ უკავშირდება ნაბოკოვის ზემოაღნიშნულ ციტირებას: «об-угл-енные пни», რაც ამავე შესიტყვებაში მდგომ დეტალ «пни»-სთან ერთად იმაზე მეტყველებს, რომ მწერლის ციტატა რომან „პინსაც“ ეხება.

განხილულ ფრაგმენტებში გამოკლეული დეტალებით უცვლელად შეიძლება შევადგინოთ ზემოთ მოცემული სქემა, რომელიც შემდეგ სახეს მიიღებს:

სქემა №3




როგორც ვხედავთ, ყველა ზემომოყვანილი დეტალი თავს იყრის მთავარ დეტალ-სათაურში: «обгорелый, обугленный пень». ესაა ფესვებგაუქმებული, დამწვარი, დანახშირებული ძირკვი - რუსულ „სობორულობას“ დაშორებული და გაუცხოებული პროფესორი პინინი.

ქვემოთყვანილ ტექსტუალურ ანალიზს მივყავართ ისევ და ისევ რომანის სათაურთან. რუსული „სობორულობისადმი“ დამოკიდებულების ტრაგიკულ არსს ჩვენ შევიგრძნობთ რომანის მთავარი გმირის სახელისა და გვარის - Тимофей Пнин - ანტიოქსაში, ამ ორი დეტალის ურთიერთგამომრიცხავ მნიშვნელობებში: სახელი «Тимофей» ბერძნული წარმოშობისაა და ლმერთის პატივმცემელს, ლმერთის თაყვანისმცემელს ნიშნავს; ეს არის უპირობო, უცილობელი რწმენა, ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სარწმუნოება, ეს არის «собрность» - რუსული

სობორულობა". ნაწარმოების ტექსტში პროფესორ პნინს „წმინდანადაც“ კი მოიხსენიებენ.¹ მაგრამ ვვარი პნინი, როგორც ფესვებგაუქმებული ძირკვი, უკვე უფესვო რწმენაა, სარწმუნოება მართლმადიდებლური ფესვების გარეშე. ამას ადასტურებს აგრეთვე ერთ-ერთი დეტალის - მთავარი გმირის „მართლმადიდებლური ჯვრის“ (იგივე მართლმადიდებლობა, იგივე რუსული „სობორულობა“) - ფუნქციონირება რომანის ორ ფრაგმენტში. პირველში პროფესორ პნინს, რომელიც მდინარეში ბანაობის წინ იხსნის და ტოტზე კიდებს თავის ჯვარს, აფრთხილებენ, რათა არ დაჰკარგოს იგი. პნინი კი პასუხობს, რომ ის ამის წინააღმდეგი არ იქნებოდა: «Пожалуй, я был бы не прочь потерять его... Как вам хорошо известно, я ношу его исключительно из-за сентиментальности».² მეორე ფრაგმენტში მართლმადიდებლური ჯვარი კიდევ უფრო დამიწებულია: იგი მოცემულია პნინის ჩაცმულობის ჩვეულებრივ აქსესუართა რიცხვში და ყოფით დეტალადაა ქცეული. მაგალითად: «Потом он надел крест, часы, галоши и халат».³

პროფესორ პნინის სახელისა და გვარის ანტითეზა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სქემის სახით:

სქემა №4



ამრიგად, გმირის სახელისა და გვარის დაპირისპირებაში ვლინდება მისი ტრაგიკული გაორება: *ეს არის მორწმუნე ადამიანი, რომელსაც არა აქვს მართლმადიდებლური ფესვები, ვინაიდან ისინი მოჩუხილია.* მართლმადიდებლური ორიენტაციის დაკარგვას გმირი კატასტროფამდე მიჰყავს. არსებობს ცნობილი აზრი, რომ ნაბოკოვი წერდა არა რამდენიმე, არამედ ერთ რომანს, სადაც სვამდა ავტორის ზეამოცანას - ეჩვენებინა რუსული კულტურული ტრადიციისაგან მოწყვეტის, ეთნიკური ნორმებისა და სულიერ ღირებულებათა დავიწყების ტრაგიკული შედეგები. იგივე ზეამოცანა ნაჩვენებია რომან „პნინში“.

ნაწარმოების მთავარი გმირი რჩება სარწმუნოების, სამშობლოს, ოჯახის, ფესვების გარეშე - «დანახშირებულ ძირკვად», უნაყოფო ხედ, გაუცხოებულ ადამიანად.

ის, რომ რომანს «Пнин»-ი ეწოდება და არა «Тимофей Пнин», იმის მაჩვენებელია, რომ ამ რომან-ხასიათში წინა პლანზე სწორედ Пнин-ის თვისებებია წამოწეული: რუსული «სობორულობის» დამკარგველი Пнин-ი მძლავრობს ამ «სობორულობის» მატარებელ Тимофей-ზე. გარდა ამისა, რომანის სათაურში გვარის დაფიქსირება სახელის გარეშე გმირს ინდივიდუალობას აკარგვინებს და რომანი-ხასიათი განზოგადებულ მნიშვნელობას იძენს. ეს არ არის Тимофей Пнин-ი, არამედ უბრალოდ Пнин-ია, ისევე როგორც მრავალი სხვა. ამ მხრივ საინტერესოა თვალი გაეადგენოთ სათაურზე ავტორის პარატექსტუალურ მუშაობას. თავდაპირველად რომანს ეწოდებოდა «Мой бедный Пнин». აქ აშკარაა ავტორის ტენდენციურობა მთავარი გმირის მიმართ, რომელსაც ის სათაურშივე თანაუგრძნობს. რომანის სათაურის საბოლოო ვარიანტით კი მწერალი უკვე მკითხველს უტოვებს შესაძლებლობას თავად განსაზღვროს დამოკიდებულება პერსონაჟის მიმართ. მაგრამ რომანის ტექსტში პირვანდელი სათაური არა ერთხელ გვხვდება; ის ვარიანტები და სხვადასხვა მნიშვნელობებს იზიდავს თავისკენ. მაგალითად:

«нашему бедному другу»¹

«бедный Пнин»²

«бедный ископаемый череп»³

«моего бедного друга»⁴

«бедный дикобраз альбинос»⁵

«мой бедный Пнин»⁶

«моему сентиментальному другу»⁷

«мой добрый друг»⁸

“Der arme Kerl!”⁹

«моего старого друга»¹⁰

პროფესორ ჰინის ცოლის მიმართაც გვხვდება ეს უპიიტი «бедный»: «бедная Лиза»¹¹, «нет больше бедной девочки»¹² ეს არის აშკარა ირონიული ალუზია ნ. კარამზინის ამავე სახელწოდების სენტიმენტალურ მოთხრობაზე. მაგრამ თუ ჰინთან დაკავშირებით გამოყენებულია პირის ნაცვალსახელი («Мой»), ლიზას არ დაუმსახურებია მისდამი ავტორის ასეთი დამოკიდებულება. მწერალი მას არ თანაუგრძნობს.

რომან «ჰინის» სათაურის, როგორც დეტალის, და მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი მთელი რიგი სხვა დეტალების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, თუ როგორ გვიხსნის მწერალი სამშობლოსაგან მოწყვეტილი რუსი ინტელიგენციის ფსიქოლოგიას - მისი შინაგანი განმარტოებულობითა და გაუცხოებით, გვიჩვენებს მის ცხოვრებისეულ ტრაგედიას. რომანის სათაური გამართლებულია მთელი მისი შინაარსითა და აზრობრივი კოდების სისტემით. ამრიგად, ნაბოკოვის პრობლემა არა მხოლოდ ენის, არამედ იდეების პრობლემაცაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ А. Злочевская, Роман В. Набокова «Ада» в контексте русской литературной традиции. კრებულში: Вестник Московского университета. Серия 9. Филология, №2. М., МГУ, 2001, стр. 572.
- ² А. Мулярчик, Постигая Набокова. Предисловие к кн.: Владимир Набоков. Романы. М., Современник, 1990, стр. 5.
- ³ О. Михайлов, Король без королевства. Вступ. статья к кн.: Владимир Набоков. Романы. М., Худ. лит-ра, 1988, стр. 10.
- ⁴ Г. Муриков, Память. В кн.: Русская литература XX века. Автор-составитель Г. С. Меркин. Часть I, М., Траст-Имаком, 1995, стр. 346.
- ⁵ А. Битов, Ясность бессмертия (Воспоминания непредставленного). Вступ. статья к кн.: Владимир Набоков. Круг. Л., Худ. лит-ра, 1990, стр. 14.
- ⁶ И. Акимова, Владимир Набоков в контексте православной традиции русской литературы XIX – начала XX в. კრებულში: Русский язык, литература и культура на рубеже веков. IX Международный конгресс МАПРЯЛ. Тезисы докладов и сообщений. Братислава, 1999, стр. 192-193.
- ⁷ В. Даль, Толковый словарь живого великорусского языка. Том III. М., Русский язык, 1982, стр. 29.
- ⁸ В. Набоков, Собр. соч. американского периода: В 5 т. Т. 2, СПб, 1997-1999, стр. 386.
- ⁹ В. Набоков, Пнин. Роман. Перевод с английского Геннадия Барабтарло при участии В. Е. Набоковой. Иностранная литература, №2, 1989, стр. 38.
- ¹⁰ Ibid, стр. 14.
- ¹¹ Ibid, стр. 80.
- ¹² Ibid, стр. 18, 84.
- ¹³ Ibid, стр. 59.
- ¹⁴ Ibid, стр. 59.
- ¹⁵ Ibid, стр. 8.
- ¹⁶ Ibid, стр. 9, 19.
- ¹⁷ Ibid, стр. 17.
- ¹⁸ Ibid, стр. 19.
- ¹⁹ Ibid, стр. 20.
- ²⁰ Ibid, стр. 61, 66.
- ²¹ Ibid, стр. 66.
- ²² Ibid, стр. 85.
- ²³ Ibid, стр. 78.
- ²⁴ Ibid, стр. 86.
- ²⁵ Ibid, стр. 85.
- ²⁶ Ibid, стр. 21.

SUMMARY

DETAILS IN NABOKOV'S "PNIN"

The present essay deals with the use of details in V. Nabokov's novel "Pnin". In contradiction to the vast majority of literary critics, I argue that Nabokov's fiction is not just a phenomenon of language and style and the ideas embodied in lingual entities/units and stylistic figures are of no less importance. Through the analysis of details I have tried to make it clear that ideas, alongside with the language, occupy a very important place in Nabokov's fictional world in general and in particular in "Pnin" which is considered to be Nabokov's only "novel-character" written in English.

"Pnin" is an example of emigrant prose whose dominant theme is that of alienation, that of the quest for the lost motherland, lost roots. The novel depicts the existential crisis emerging in the soul of a Russian emigrant in American milieu.

The etymological analysis of the title of the novel ("Pnin", a consciously fabricated family name coined by the writer, literary means a rootless log, a dead tree metaphorically denoting alienation of the character of the novel from his/her paternal, national roots, traditions, Christian orthodoxy and cultural inheritance) and the movement of this index-sign throughout the texture serves the purpose of intensifying the major theme/motive of alienation. Thus, various types of details used in the novel, as well as the whole system of the ideas and the logical progress of the structure are directly or indirectly, in an immediate or more remote way, subordinated to the title of the novel "Pnin".

ქარის ქსოვა სარკმეზიან უღაბნოში:

ტ. ს. ელიოტის „ჯერონშენი“

რაც შესაძლოა მომხდარიყო არის აბსტრაქცია,
რომელიც მუდმივ შესაძლებლობად
მხოლოდ აზროვნების სფეროში რჩება.

ის, რაც შესაძლოა მომხდარიყო და ისიც, რაც მოხდა
მხოლოდ ერთ დროს გულისხმობს, ყოველთვის აწმყოს.

ტ. ს. ელიოტი, „ოთხი კვარტეტი“

იმ მრავალრიცხოვანი კომენტარების შემდეგ, რაც ინგლისსა და ამერიკაში „ჯერონშენის“ შესახებ გამოქვეყნდა, კიდევ ერთი წერილის გამოჩენას, ალბათ, მხოლოდ ის გამართლება აქვს, რომ ქართული მკითხველისათვის ეს ნაწარმოები პრაქტიკულად უცნობია. უკანასკნელ დრომდე არც ქართულ თარგმანში იყო შესაძლებელი ელიოტის ამ მეტად მნიშვნელოვანი ლექსის წაკითხვა. გარდა ამისა, როგორც პოეზიის ყველა გამორჩეულ ნიმუშს, ელიოტის ამ ნაწარმოებსაც სხვადასხვა დროსა და გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრები დაინტერესებულ მკითხველი სხვადასხვანაირად აღიქვამს. „ჯერონშენი“ არ არის უბრალოდ ლექსი, რომელიც ევროპაში ოდესღაც გამეფებულ კრიზისულ განწყობილებებს ასახავს და დღეს უკვე მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის ფაქტად აღიქმება. დიდი ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველთა ყოველ თაობას ის ახლებური, ამ თაობისათვის აქტუალური კუთხით წარმოუდგება, რომ აღარაფერი ვთქვათ ანგლო-ამერიკული მაღალი მოდერნიზმის იმ განუმეორებელ სიბლზე, რომელიც ელიოტის ყველა ძირითად ქმნილებას თან ახლავს. ცხადია, დღევანდელი გადმოსახედიდან ადვილად ვაცნობიერებთ, რომ ელიოტის მოდერნისტული აპოკალიფსი არ შედგა. ან უფრო, შედგა სწორედ ის, რაც ელიოტს თავისი ეპოქისათვის აპოკალიფსად მიაჩნდა. სამოციანი წლების „განტენზიანთა“ საზოგადოებამ, რომელმაც ჰესეს „ფელეტონური ეპოქა“ შეცვალა, წარმატებული სულა განაგრძო და საუკუნის მიწურულისათვის დამატებითი ტექნოლოგიზაცია განიცადა. ჩვენ ახლა ციფრულ სამყაროში ვცხოვრობთ, გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვებით ვიკვებებით და e-წიგნებს ვკითხულობთ (როდესაც ვკითხულობთ). თუმცა თანამედროვე ადამიანს ჰაქსლის „შშენიერი ახალი სამყაროს“ წინასწარმეტყველებათა აღსრულება ჯერ კიდევ წინ აქვს, არის ბევრი რამ, რაც

მან უკვე წარმატებით უკან ჩამოიტოვა. უკვე ჩამოყალიბდა ე.წ. პოსტ-პოსტინდუსტრიული ცივილიზაცია, რომელმაც ადამიანის ცნობიერებაში მთლიანად შეცვალა მოძველებული სულიერი კულტურა და მისი ტრადიციული ზნეობრივ-ესთეტიკური კრიტერიუმები. სიტუაციას ახალისებს ისიც, რომ ზოგი საზოგადოება, ან მისი გამორჩეული წარმომადგენელი ამ პოსტინდუსტრიულ ეპოქაში ეტაპთა გაუფლელად, პირდაპირ ჯორჯ ორუელის «ცხოველთა ფერმიდან» მოხვდა. ეს ყველგანაა მეტ-ნაკლებად საგრძნობი - ჩვენშიც, დასავლეთშიც. ამიტომაც არის, მაგალითად, რომ საკმაოდ გონიერი მწერალი ქალი სინთია ოზიკი, რომელიც მაღალი ხელოვნების შესახებ ელიოტის თეორიულ მოსაზრებებს ეკამათება, თავის ერთ-ერთ გახმაურებულ ესეს ოპტიმისტური შექმნილით ამთავრებს იმის შესახებ, რომ, საბედნიეროდ, თანამედროვე სამყაროში მაღალი ხელოვნება მკვდარია.²

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რასაც არ უნდა წერდნენ ცალკეული ავტორები, საგულისხმოა, რომ «ჯერონშენი» დღესაც აღიქმება არა მხოლოდ უჩვეულო პოეტიკით გამართულ, ძალზე სპეციფიკური განცდითი შინაარსის გამომხატველ ლექსად, არამედ ერთგვარ მსოფლმხედველობრივ დიაგნოზადაც. ალბათ, იგივე ითქმის ელიოტის მთელ ადრეულ პოეზიაზეც, თუმცა თვით პოეტს ხშირად აღუნიშნავს, რომ ამგვარი «დიაგნოსტიკა» მის გაცნობიერებულ მიზანს არასოდეს არ შეადგენდა. პოეზია მისთვის ყოველთვის განცდით-ინტელექტუალური კომპლექსი იყო და არა სოციალურ პროცესთა კვლევის ლაბორატორია. ამიტომაც არის, რომ დეფიციტურ სულიერ საწყისთა ძიებით გართული დღევანდელი დასავლური ჰუმანიტარია სულ უფრო ხშირად უბრუნდება 20-იანი წლების ელიოტის პირქუშსა და ირონიულ მუზას. ხშირად გაისმის ხოლმე ისეთი ხალასი, აღტაცებული შეფასებებიც, თითქოს საქმე ინგლისურენოვანი ლიტერატურის კლასიკოსს კი არ შეეხებოდეს, არამედ თანამედროვე, სულ ახლახან სახელმძღვანელო პოეტს. და მაინც, როგორც არ უნდა იყოს «ჯერონშენის» «კულტუროლოგიური» დატვირთვა, ის, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა როგორც ლექსი და არა როგორც «ეპოქის დოკუმენტი», რადგან საბოლოოდ, მთელ მის თვისებრიობას სწორედ პოეტიკა განსაზღვრავს. ესაა «კულტურულ ტრადიციათა ქაოსის ასახვა მედიტაციურ შინაგან მონოლოგში, ვერლიბრის ფორმით გამოხატული - არაფერი ამ ლექსის მსგავსი ინგლისურ ენაზე მანამდე არ შექმნილა», - აღნიშნავს «ჯერონშენის» შესახებ ერთი საკმაოდ კომპეტენტური წერილის ავტორი.³ საესებით შესაძლებელია იმის თქმა, რომ «უნაყოფო მიწის» გამოკლებით, ინგლისურ ენაზე არც მას მერე შექმნილა მსგავსი პოეტური ნაწარმოები. თავიდან ლექსი ისედაც ჩაფიქრებული იყო, როგორც «უნაყოფო მიწის» შესავალი, მაგრამ ესრა პაუნდმა გადააფიქრებინა ელიოტს პოემის მოცულობის გაზრდა და «ჯერონშენიც» ცალკე გამოქვეყნდა, კრებულში - «ლექსები, 1920».

„ჯერონშენისადმი“ თანადროული კრიტიკის დამოკიდებულება ყოველთვის არაერთგვაროვანი იყო და მას ქრონიკული კამათის სახე ჰქონდა. ერთადერთი, რის შესახებაც თანხმობა ყოველთვის სუფილდა, იყო ის, რომ ნაწარმოები უკიდურესად კრიზისულ განწყობილებებს გამოსატყვეს და რომ მასში დომინირებს ოთხი ძირითადი სიმბოლოური ხატი: თვით ჯერონშენი (სიტყვასიტყვით, „ბებრუხანა“), ქარი, გვალვა და წვიმა, რომელსაც ეს მოხუცი მთელი ლექსის მანძილზე ამაოდ ელოდება. არ დავობენ იმაზეც, რომ ლექსის „მოქმედება“ (თუკი ლექსის უზვეულო სახეთა მონაცვლეობას საერთოდ შეიძლება მოქმედება ეწოდოს) მოხუცის ფსიქიკაში, ან უფრო სწორად, მის ცნობიერების ნაკადში ხდება. ყველა ნახსენები თუ ნაგულისხმევი მოვლენა, ისტორიული, თუ პოეტის მიერ შეთხზული ფაქტის მინიშნება, მკაფიოდ გამოკვეთილ, გროტესკულ პერსონაჟთა სახეები და ასოციაციურ დეტალთა მონაცვლეობა, ყოველივე ეს, მხოლოდ ჯერონშენის ცნობიერებაში არსებობს. აქაც ვლინდება ელიოტის ასოციაციური პოეტიკის აზრობრივ-ფორმული მრავალნიშნადობა. საკვანძო სიმბოლოების მნიშვნელობასა და აღქმის მიმართულებას ის თითქოს თავად კარნახობს მკითხველს, ხოლო ინტელექტუალური ნიუანსებისა და ასოციაციური დეტალების ინტერპრეტაციას ის უკვე თვით მკითხველს, მის გემოვნებასა და განათლების დონეს მიანდობს.

ჯერონშენის მოგონებათა მდორე, სიზმრეული დინება აქვეყნდება როგორც მთელმარე მოხუცის შინაგანი მონოლოგი, სანახევროდ ცხადში ნაფიქრი და სანახევროდ სიზმრად ნანახი. გარეგნულად, ესაა ლოკაკურ კავშირს ბოკლებულ აზრთა და სიტუაციურ შთაბეჭდილებათა ფრაგმენტები, რომლებიც თითქოს „დაფარფატებენ“ მოხუცის ცნობიერების სივრცეში, ან უფრო - მის სიზმრეულ ფანტაზიაში. ზანტი თვლემის განწყობილებას თავიდანვე წაამოქმნის ლექსის შექმპირისეული ეპიგრაფი მანყაული მანყაულის წაღიდან (შიქს. III, სურ. I, 32-34), სადაც პერცოვი ეუბნება სიკვდილმანჯილ კოლოდიოს, რომ ის არც ახალგაზრდაა და არც მოხუცი, მაგრამ როგორც ნაადილევის ჩაძინებულს, ესიზმრება, თითქოს ორივეა:

Thou hast neither youth nor age
But as it were an after dinner sleep
Dreaming of both.

იმას, რომ კლოდიო არც ახალგაზრდაა და არც მოხუცი“ და თან ეზმანება, რომ ერთდროულად ორივეა“, ელიოტი სიმბოლოურად იყენებს. ჯერონშენის სახით ის წარმოსახავს „დროისაგან თავისუფალ“ ცნობიერებას, როგორც წარსულისა და აწმყოს ერთდროულობას“. შექმპირისეულ ეპიგრაფს სიტყვასიტყვითი კავშირიც აქვს ლექსთან: ჯერონშენის აზრთა დინება მართლაც წააგავს ნაადილევის ჩაძინებული მთელმარე მოხუცის წყვეტილ ასოციაციებს. წააგავს ის ელიოტის ლეოპოლდ ბლუმის ცნობიერების ნაკადსაც, რომელიც „ელისეს“ მე-17 ეპიზოდში,

(ითაკა) ჩაძინებისას, მთელ ტირადას წაიბუტბუტებს სინდბად-მეზღვაურზე ("Sinbad the Sailor and Tinbad the Tailor and...") და ბოლოს ფშვინვას ამოუშვებს სიტყვებით: "... Linbad the Yailer and Xinbad the Phthailer".

ამ ცნობილ პასაჟში ჩაძინების ფონეტიკური იმიტაციით, ჯოისი ბლუმის თვლემას უკიდურესი ნატურალიზმით წარმოსახავს (თუმცა ზედმეტსახელები, რომლებითაც ბლუმი სინდბადს მოიხსენიებს, მისივე დუბლინელი ნაცნობების სახელთა პაროდია და მნიშვნელოვან სიმბოლურ დატვირთვას შეიცავს). ელიოტის მიზანი სხვაა: სიმბოლურად, ჯერონშენის სიზმრეული ანალიზის³ საგანი არც მეტი, არც ნაკლები, ევროპის მთელი ისტორიაა, ძველი წელთაღრიცხვის 480 წლიდან, ისტორია, რომლის თვითმხლეველი ის ერთდროულად იყო კიდევ და არც ყოფილა, ან პირიქით, არ იყო, მაგრამ ახლა არის, რადგან ყველაფერი, რაც შესაძლებელია რომ ყოფილიყო, ახლა და აქ, მის ცნობიერებაში ხდება. "Here I am..." - აი, აქ ვარო, ამბობს იგი და ეს მისი ვარ (I am) ხაზს უსვამს ლექსის აწმყო სიტუაციას. მეორე მხრივ, ის, რომ ჯერონშენი უბრალოდ კი არ არის, არამედ სწორედ აქ არის, ადგილმდებარეობის, სივრცის აღმნიშვნელი და აქა ვარ სივრცე-დროის, ანუ სივრცედ ქცეული დროის, ანუ იმავე ერთდროულობისა და მყისიერების ხატად აღიქმება. ცხადია, ფრაზა "Here I am, and old man..." შეიძლება ისეც ითარგმნოს, როგორც მარტივი აი, მეც, მოხუცი-, მაგრამ ლექსის მთლიანი კონტექსტის გააზრებისას ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ელიოტის ტექსტუალური პედანტიზმი და უმკაცრესი პოეტური ეკონომია აქ სულ სხვა აზრს აქსოვს. დაუკვირვებელი მკითხველა ასეთ, ერთი შეხედვით, «წვრილმანს», ყურადღებას ნაკლებად მიაქცევს; არადა, სწორედ ამ დასაწყისში ყრება საფუძველი არა მხოლოდ ნაწარმოების თემატიკას, არამედ მის პოეტიკასაც:

Here I am, an old man in a dry month...

ლექსის პირველსავე სტროფში ელიოტი ერთობ უჩვეულო ხერხს მიმართავს: სიმბოლური მნიშვნელობისა და პოეტიკური ჩანაფიქრის გამოსახატავად ის სახის აზრობრივ დატვირთვას კი არ იხმობს, არამედ სიტყვათა ლექსიკურ და გრამატიკულ ფორმას. იმას, რომ "ჯერონშენის" უკიდურესად სუბიექტური სივრცე-დრო არა მხოლოდ "ერთდროულია", არამედ პროცესუალურიც, ის ყოფნა-ზმნის კონტინიუუსის ფორმით გამოხატავს. ჯერონშენს ბიჭი წიგნს უკითხავს, ის ელოდება წვიმას, ანუ მისი აწმყო ცნობიერება ერთგვარ პროცესშია ჩაფლული:

Being read to by a boy, waiting for rain...

ამგვარად, იქმნება პროცესუალური და ამავე დროს მყისიერი სივრცე-დროის ხატი, ერთგვარი მითოპოეტიკური ქრონოტოპი,⁴ რომელიც ლექსის მთელ მხატვრულ სისტემას უდევს საფუძველად. არსებითად, ეს გაცნობიერებული რეალიზაციაა ი. ლოტმანის მიერ მოგვიანებით გამოთქმული მოსაზრებისა იმის თაობაზე, რომ მხატვრულ ნაწარმოებში ხდება სამყაროს მოდელირება და რომ

თვით ნაწარმოები, თავისი პოეტიკური წყობით, სამყაროს მინიატურულ მოდელს წარმოადგენს.⁵ „ჯერონშენში“ ეს მხატვრული ხერხი სივრცობრივ და დროისმიერ წარმოდგენათა მოდელირების საშუალებით ხორციელდება. როგორც გროვერ სმიტი აღნიშნავს,⁶ ამ ლექსში ელიოტის პოეტიკური ჩანაფიქრი ის არის, რომ წარსული აღიქმებოდა აწმყოდ, რომ ის აწმყო ცნობიერებად წარმოგვიდგეს, ხოლო თვით აწმყო ცნობიერება წარმოჩინდეს მესსიერებაში შემონახულ წარსულად. ცხადია, აქ თავს იჩენს ანრი ბერგსონის გავლენაც, რომლის ლექციებს „ხანიერებს“, „გახანგრძლივებული აწმყო“, ანუ სუბიექტური დროის შესახებ ახალგაზრდა ელიოტი ჯერ კიდევ სორბონში სწავლისას ისმენდა. აწმყო, რომელიც დრო კი არ არის, არამედ დროთა აღრევის შედეგად წარმოქმნილი კონტინუუმი, მესსიერების ძალით შეიცავს წარსულს და შესაძლებლობათა წარმოდგენის ძალით - მომავალს. სწორედ ეს მომენტია ასახული „ჯერონშენის“ პოეტიკაშიც, თუმცა თვით ელიოტი ბერგსონიანელი არასოდეს ყოფილა, ის უბრალოდ იყენებდა ბერგსონის იდეებს თავისი მხატვრული მეთოდის შემადგენელ ნაწილად.

ჯერონშენის ცნობიერებაში წაშლილია დიქოტომია თვით ზმანებასა და იმ რეალურად არსებულ საგანთა შორის, რომლებიც მას ეზმანება. მისთვის წარსულის რეალობა სწორედ იმ ფიქრად არსებობს, რომელიც ამ რეალობის შესახებ აწმყო მომენტში ფიქრობს. ელიოტის მხატვრულ მიზანს წარსულის აწმყოდ წარმოსახვა შეადგენს და ამიტომ, ჯერონშენის ნაზმანებიც „ქრონოლოგიური“ კი არ არის, არამედ კალეიდოსკოპურია. ამგვარი ფიქრი წმინდა პროცესუალობაა, ის „ერთდროულია“ და აქედან გამომდინარე, „ზედროულიცაა“. ესაა ერთგვარი პარადოქსი, „მყისიერი კონტინუუმი“, რომლის მიღმა ისტორია არ არსებობს, მაგრამ რომელიც ამ ისტორიას თვითონ მოიცავს, თანაც მოიცავს მას არა ქრონოლოგიურ, არამედ დიაქრონულ ჭრილში, როგორც აწმყო პროცესუალობას, ამ შემთხვევაში - მესსიერებას.

„ჯერონშენში“ სამყაროს მოდელირება აპრიორთა ოთხების⁷ სიმბოლიკის მოხმობითაც ხორციელდება. ლექსში გაუთავებლად უბერავს ცხელი, ორპირი ქარი (ჰაერი, ამაოება), ჯერონშენის სახლი ბორცვის ძირასაა განლაგებული. მიწაზე, რომელსაც გვალვის ცეცხლი უკიდია და ის წვიმას (წყალს) ელოდება: იმას, რომ მოვლენათა შორის კავშირები მოშლილია და სამყაროს გლობალური ლოგიკური სტრუქტურა დეფორმირებულია, ისიც განასახიერებს, რომ ოთხი აპრიორული სტიქიიდან ქარს (ჰაერს) ძირითადი სიმბოლური დატვირთვა აქვს. ცეცხლი მხოლოდ გვალვისმიერი სიცხით არის წარმოსახული, წყალი კი (იუდეო-ქრისტიანულ რელიგიურ ტრადიციაში - ხსნა) ლექსში ფიზიკურად არ არის, თუმცა წვიმის დეკლარებული მოლოდინი სიმბოლურად კიდევ უფრო ტყვადია, ვიდრე გვალვაც (სულიერი უდაბნო) და ქარიც. აღსანიშნავია, რომ ქარის სიმბოლო ასოციაციურად აკავშირებს „ჯერონშენს“ ბიბლიური იოზის წიგნთან. როგორც

უჭა ენჯელა ლანგი აღნიშნავს, ერთადერთი უშუალო მინიშნება იობის წიგნზე, რომელიც "ჯერონშენში" გვხვდება,

"Vacant shuttles / Weave the wind"

ქარს ქსოვენ უძაფო დაზგები"

ცხადად მეტყველებს იმ მნიშვნელობაზე, რომელიც ამ ლექსში ქარს ენიჭება— ბიბლიის სხვა წიგნებისაგან განსხვავებით, სადაც ქარში ღმერთის ხმა, მისი სიტყვები გაისმის, იობი და მისი მეგობრები" ქარს ასსენებენ, როგორც ფუჭი საუბრისა და უაზრო სიტყვების მეტაფორას (იობი, 6:26, 8:12, 15:2). "ქარს" აგრეთვე ღვთაებრივი რისხვისა და დესტრუქციული ნების გამოძახატველის სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს (იობი, 21:18, 27:21, 30:15, 30:22). "ჯერონშენში" ქარს ფუჭსიტყვაობისა და დესტრუქციის გარდა, გამოსძობისა და გამოშრობის, ელემენტთა დეჰიდრატაციის სიმბოლური მნიშვნელობაც ენიჭება.⁷ ასე რომ, "ჯერონშენის" დისონანსურ სამყაროში თვით პირველსტიქიებიც ტრადიციული თვალსაზრისით მოუაზრებადსა და ალოგიკურ ურთიერთობაში იმყოფებიან.

ლექსი იწყება "ნეგატიური" მოგონებებით, ანუ იმის გასსენებით, რასაც ჯერონშენი სიფხზლისას ვერ გაიხსენებდა იმიტომ, რომ ამ მოვლენებს ის არ მოსწრებია:

I was neither at the hot gates
Nor fought in the warm rain
Nor knee deep in the salt marsh, heaving a cutlass,
Bitten by flies, fought.

"Hot gates", სადაც ჯერონშენს "თბილ წვიმაში არ უბრძოლია", არც ამძივე ხმალი არ უთრევიდა და არც ჭაობებში ჩაფლულა. ბუზებით დატენილი", სიტყვასიტყვითი თარგმანია გეოგრაფიული სახელწოდება თერმოფილების (Thermopylae), - ბერძნული ადგილმდებარეობისა, სადაც ძველი წელთაღრიცხვის 480 წელს ბერძნებსა და სპარსელებს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა მოხდა. თერმოფილები და იქ მომხდარი ბრძოლა ისტორიულ რეალობაში, ანუ კონკრეტულ სივრცე-დროში არსებული ის ერთგვარი "ათვისის წრტილია", რომლის ხსენების შემდეგაც ჯერონშენის ცნობიერებაში იწყება ერთმანეთთან ლოგიკურად დაუკავშირებელ ასოციაციურ სახეთა და სიტუაციათა დინება.⁸

ასოციაციური თვალსაზრისით, მრავალნიშნადია თვით "ჯერონშენის" სახე. ერთი მხრივ, ის ელიოტის "ბებრუხანაა", რომლის ცნობიერებაც სიმბოლურად მთელ ევროპულ ისტორიასა და თანამედროვეობას იტევს, ხოლო მეორე მხრივ - ის აგრეთვე ჯონ ჰენრი ნიუმანის (1801-1890) რელიგიური პოემის, "ჯერონტიუსის სიზმრის" მთავარი გმირის პაროდული ასლია. გარდა ამისა, ჯერონშენის სახე ომარ ხაიამის პოეზიის ცნობილი ინგლისელი მთარგმნელის, ედუარდ ფიცჯერალდის ასოციაციასაც შეიცავს. ბ. ს. საუთემის ცნობით⁹, თვით ელიოტს

პირად საუბარში უხსენებია, რომ ლექსის პირველი ორი სტროფი სიტყვასიტყვითაა ნასესხები ედუარდ ფიცჯერალდის ე. ს. ბენსონისეული ბიოგრაფიიდან, სადაც ფიცჯერალდის სიცოცხლის ბოლო დღეები ერთობ მხატვრულადაა აღწერილი: „ი აქა ზის, გამომშრალ თვეში, ბრმა და მოხუცი, მას სოფლელი ბიჭი უკითხავს წიგნს და ის ელოდება წვიმას“.

როგორც ჩანს, ახალგაზრდა ელიოტისათვის ფსიქოლოგიურად და მსოფლმხედველობრივად ახლობელი იყო ცნობილი რელიგიური მოღვაწის; კარდინალ ნიუმანის სახე, რომელმაც თავისი კარიერის შუა ეტაპზე ანგლიკანიზმი უარყო და კათოლიკედ მოიქცა (მოგვიანებით, სულიერი ევოლუციის ანალოგიურ გზას თვით ელიოტიც გაივლის). ნიუმანი თავის პოემაში აღწერს გარდაცვლილი მოხუცის, გერონტიუსის სულის მოგზაურობას იმქვეყნად, ღვთის სამსჯავროზე, რომელიც ცოდვათა გამოსყიდვითა და მისი ინდივიდუალური ხსნიით მთავრდება. ჯერონშენის სულის შინაგანი მოგზაურობა მის წარსულ შთაბეჭდილებათა საწყაროში პირქუშია და ირონიული; მისთვის არ არსებობს ხსნა, იგი ამაოდ ელოდება წვიმას. თუ ნიუმანის გერონტიუსი იმქვეყნიურ საწყაროში მოგზაურობს, ჯერონშენისათვის იმქვეყნიურობა“ მისი ნაზმანვეი წარსულია. გარდაცვლილი გერონტიუსის ამოგზაურ“ სულს უფალი შეიწყალებს, ჯერონშენის სიზმრეული მოგზაურობა კი იგივე ცოცხლად კვდომის პროცესია. „სიზმარი“ ნიუმანის პოემაში სიკვდილის მეტაფორაა, მაგრამ გერონტიუსის სული ჭეშმარიტ სიცოცხლეს სწორედ სიკვდილის გზით ეზიარება. სიზმარი „ჯერონშენშიც“ სიკვდილის მეტაფორაა, მაგრამ არა „უკვე მომხდარის“, არამედ უსამველოდ გაჭიანურებულის. მისი სიზმარი მეტაფორულად წარმოსახულია როგორც მთელი ევროპული ცივილიზაციის სიბერე, მიხრწნა და კვდომა. ამ მოტივის, რომელიც ელიოტისტიკაში „ცოცხლად კვდომის“ მოტივად (death-in-life motif) არის ცნობილი, „უნაყოფო მიწაში“ პირველივე მნიშვნელოვანი ასციაციური სახე, კუმეს სიბილა განასახიერებს, რომელსაც ღმერთებმა უკვდავება უბოძეს და რის გამოც ის უსასრულოდ ბერდება და უსასრულოდ კვდება. ჯერონშენი, რომელიც თავიდან „უნაყოფო მიწის“ შექავალი ნაწილის პროტაგონისტად იყო ჩაეთქრებული, პოემაში ამ თემატიკის შემომტან სახედ მოიაზრეპოდა.

ლექსის დასაწყისშივე ვიგებთ, რომ ჯერონშენის სახლი ჩამონგრეულია“ და რომ ის აქ მხოლოდ მდგმურია; რომ სახლის მეპატრონე ებრაელი იქვეა მიმჯდარი, ფანჯრის რაფაზე; რომ ქალი, რომელიც მას ჩაის უდლდება, საღამოობით აცემინებს და რომ თხა ღამლამომბით ველებზე ახველებს“. ანტიკური წარსულის მოგონებების შემდეგ, უცებ თვალწინ წარმოგვიდგება პროზაული და ერთობ ნატურალისტურად აღწერილი აწმყო, თუმცა თვით ევროპის სურათი, როგორც ჩამონგრეული სახლისა“, სადაც ჯერონშენს წარსულის მოგონებები ერევიან, ასოციაციურად ძალზე ტყვადია. ეპიზოდს ერთგვარ სიმბოლურ მთლიანობად

წარმოაჩენს ევროპული სივრცის ხატი (ბრიუსელი, ანტვერპენი, ლონდონი) და სახლის მეპატრონე ებრაელის სახე, რომელიც ფანჯრის რაფაზეა მიმჯდარი და ამავე დროს, მთელ ამ სივრცესაც არის მოდებული. ის ანტვერპენის კაფეებში გამოირეკა, მეჭეჭებით ბრიუსელში დაიფარა, ლონდონში დაიბლანდა და გაითალა:

And the Jew squats on the window sill, the owner,
Spawned in some estaminet of Antwerp,
Blistered in Brussels, patched and peeled in London.

ეპიზოდის ბოლოს ჯერონშენი ერთგვარი შეჯამების სახით იმეორებს საკუთარი თავის შესახებ: "მე, მოხუცი კაცი, - ფუტურო თავი, ქარიან სივრცეებს შორის გაჩხერილიო":

I an old man,
A dull head among windy spaces.

ჯერონშენის სულიერი და ფიზიკური სიძაბუნე, მისი "ფუტურო თავი", მისი პასიური და დეგრადირებული ყოფა სრულ აზრობრივ-ემოციურ კონტრასტს ქმნის იმ ექსტრატექსტულურ სახეებთან, რომლებსაც ის ასოციაციურად განასახიერებს - "იმქვეყნად" მოგზაურ ღვთისმოსავ გერონტოუსთან, თვით კარდინალ ჯონ ჰენრი ნიუმანთან და, რაღა თქმა უნდა, თავისი დროის ერთ-ერთ დიდ ინტელექტუალთან, ჰაიმის მთარგმნელ ედუარდ ფიცჯერალდთან. არა მხოლოდ იმუამინდელი ნაკითხი ინგლისელი სათვის, არამედ თანამედროვე ინგლისურენოვანი ჰუმანიტარისთვისაც კი, ეს მნიშვნელოვანი სახელებია, რომლებიც არსებითად ვიქტორიანული ეპოქის ფილოსოფიას, თეოლოგიას, მხატვრულ ლიტერატურასა და აღმოსავლური კულტურისადმი ინტერესს, ანუ მთელი ვიქტორიანული მსოფლმხედველობის მნიშვნელოვან ნაწილს განასახიერებენ. ჯერონშენის სახეში ამ პარადიულ ასოციაციათა შემოტანით, ვიქტორიანული და, ფართო გაგებით, წინა საუკუნის მთელი ევროპული კულტურა პაროდირდება; ნაჩვენებია თანადროულ სამყაროში ამ ტრადიციის სიძაბუნე, უუნარიობა და მის ფასეულობათა დეგრადაცია.

მაგრამ ელიოტი კიდევ უფრო შორს მიდის: მისი ჯერონშენის სიზმარეული ცნობიერება მთლიანად დასავლური კულტურის წიაღშიც "მოგზაურობს". პარადიისა და ირონიის საგნად პოეტს ორი ძირითადი და ერთმანეთში გადაჯაჭვული თემა აქვს არჩეული - რელიგია და ისტორია. საგანგებოდ არაერთგვაროვან ასოციაციებს ელიოტი ისე ალაგებს, რომ არსებითად, ჯერონშენის სიზმარი მთელი ევროპული ისტორიის, კულტურისა და თანამედროვეობის შესახებ რეფლექსიას წარმოადგენს. ეს პარადიული რეფლექსია ხან მკაფიო, ვიზუალური ხატების, ხან თეოლოგიური დებულებებისა და ხანაც ციტატების სახით წარმოგვიდგება. შემდეგ, სტროფებში ჯერონშენის სახე ფაქტობრივად იშლება დამსხვრეული ევროპული ცივილიზაციის ატომებად,

რომელთა გაერთიანება მხოლოდ მათი საერთო, მოჩვენებისმაგვარი ხასიათითა და თვით ჯერონიმის რიტორიკით ხდება".⁹

ასოციაციურ სახეთა მთელ ამ კორიანტელში პირველივე რემინისცენცია რელიგიურია. ესაა ციტატი მე-17-ე საუკუნის ცნობილი მოღვაწის, ეპისკოპოს ლენსლოთ ენდრუსის (1555-1626) საშობაო ქადაგებიდან, რომელიც თავის მხრივ სახარებიდან ნასესხები სახეებისაგან შედგება:

Signs are taken for wonders. "We would see a sign!"

The word within a word, unable to speak a word,

Swaddled with darkness.

ამოძღვარო, გვინდა ნიშანი ვიხილოთ შენგან" ("We would see a sign!"), ანუ, შენი ღვთაებრიობის ნიშანი მოგვაგვლინეო. ამ კითხვით მწიგნობარნი და ფარისევლები მიმართავენ მაცხოვარს, რომელიც მიუგებს: „ბოროტი და მრუში მოღვაძე ეძებს ნიშანს, მაგრამ ნიშანი არ მიეცემა მას...“ (მათე, 12. 38-39). ლექსის ამ ნაწილის საინტერესო ინტერპრეტაციას იძლევა ჯ. ს. ბრუკერი, რომელიც აღნიშნავს, რომ ფარისეველთა მიერ ნიშანთა ვერ ცნობა რომ მენტალობის ბრალია, რომელშიც გონება, სურვილი და რწმენა ერთმანეთისაგან იზოლირებულია... ქრისტეს მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი სწორედ იმას დაეთმო, რომ ის ნიშნებს აძლევდა სამართლისა და რელიგიათმცოდნეობის ამ პროფესორებს (მწიგნობრებსა და ფარისევლებს – თ. კ.), მაგრამ, როგორც კი მათ ნიშნები მიეცემოდათ, ეს ამაყი, მაგრამ არსის ბოლომდე ვერმწვდომი მეცნიერები მათ სასწაულებად აღიქვამდნენ და რაც ყველაზე ირონიულია, თავიდან წამოიწყებდნენ ხოლმე კამპანიას მათთვის ნიშნის მიცემის თაობაზე. სასწაულთა ავთენტურობაზე მათ ეჭვი არ ეპარებოდათ, მაგრამ ისინი ვერ აღიქვამდნენ ამ სასწაულებს. როგორც ნიშანს. ანუ ის, რაც მათ სასწაულების სახით ეძლეოდათ, სწორედ რომ ნიშანი იყო, მაგრამ მათივე ცოდნისაგან გამომდინარე ურწმუნოების გამო, ისინი ამ ნიშანს ვერ აღიარებდნენ".¹⁰ ერთი სიტყვით, სკეფსისი, ფარისევლობა და ურწმუნოება ფუჭ განსწავლულობაში („მწიგნობრობაში“) იღებს დასაბამს, რომელსაც ჭეშმარიტ ცოდნასთან არაფერი აქვს საერთო. ამგვარი „ცოდნა“ სიბრძნისა და სარწმუნოების დათმობის ხარჯზე მიიღწევა. როგორც მოგვიანებით იკითხავს ელიოტი,

Where is the wisdom we have lost in knowledge?

Where is the knowledge we have lost in information?

სად არის სიბრძნე, ცოდნას რომ ვანაცვალეთ?

სად არის ცოდნა, ინფორმაციას რომ ვანაცვალეთ?

(The Rock, 1934)

აქვე, ლექსში ციტირებულია ლენსლოთ ენდრუსის იმპროვიზაცია იოანეს სახარების ცნობილ დასაწყისზე, სადაც სიტყვა, ლოგოსი, წარმოსასულია როგორც

პარადოქსი: „Verbum Infans, უსიტყვო სიტყვა, მარადიული სიტყვა, რომელსაც სიტყვის წარმოთქმა არ ძალუძს“, ანუ ყრმა იესო, რომელიც ხმას ვერ ვერ იღებს იმიტომ, რომ ჩვილია (რაც თავისთავად უკვე პარადოქსია, რადგანაც ეს ჩვილი სიტყვა – მარადისობაა). ელიოტს ეს ციტატა სახეშეცვლილად გადმოაქვს: ენდრუსის ქადაგებაში საუბარია „უსიტყვო სიტყვაზე“ (Verbum Infans, the Word *without* a word; the eternal Word not able to speak a word), ჯერონიმში კი ვკითხულობთ ფრაზას „სიტყვა სიტყვაში“ (The word *within* a word). თანაც, სიტყვა (ლოგოსი) მთავრული ასოთი არ არის გამოყოფილი და მას „ბნელი მოსაგს“ (მდრ. სახარება: „ბნელი მას ვერ ეწია“), რაც ერთი მხრივ, ევროპული კულტურული ტრადიციის სეკულარიზმსა და სულიერ სიბნელეზე მიუთითებს, ხოლო მეორე მხრივ – უბრალოდ „სიტყვათა“, ანუ ფუნქციონირების თავიანთი ცემანზე და თუმცა „წლის სინორჩისას“ სამყაროს მრისხანე „ქრისტე-ვეფხვი“ მოველინება (უილიამ ბლეიკის ცნობილი სახეა ლექსიდან „The Tyger“), თვით სამყაროში ეს ბევრს ვერაფერს შეცვლის:

რყენა შეუპარა მაისის თვეს, შინდიც და წაბლიც, იუდას ხეც
გაირჩევა, შეიჭმება, შეიხვრიკება
ჩურჩულსა შინა.

(ზ. რატიანის თარგმანი)

ამ სამყაროში კი უცნაური სახეები ირევინ: სახლის მფლობელი ებრაელი, რომელსაც მთელი ევროპა მოუვლია და ახლა ფანჯრის რაფაზეა მიმჯდარი; ქალი, რომელიც ჯერონიმს ჩაის უდღუღებს და ლამბამობით სამხარეულოს ნიჟარაში იქექება; მისტერ სილვერო, „ალერსიანი ხელებით“, რომელიც „ლიმოჟშია“ (ლიმოჟის დახვეწილ ფაიფურს „ელერსება“?) და იმავდროულად, მთელი ღამე გვერდით ოთახში ბოლთას სცემს გაუთავებლად; ჰაკაგავა, თავს რომ ხრის ტიცინის სურათებს შორის“ (ირონიული შეხვედრა დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციებისა, რომელთაც ერთმანეთის არაფერი გაეგებათ); მადამ დე ტორნკვისტი, „ბნელ ოთახში სანთლებს რომ გადააადგილებს“; ფროილიან ფონ კულპი, „ჰოლში რომ მოტრიალდება და ხელი კარის სახელურზე შერჩება...“. ეს მოჩვენებები მექანიკურსა და არაადეკვატურ ქმედებებს ჩადიან. ლექსში თავიდანვე ისეთი მაღალი პოეტურ-ფილოსოფიური ნოტაა აღებული, რომ მის ფონზე ტრივიალური ყოფითი დეტალების ხსენება მეტად უჩვეულო ეფექტს წარმოქმნის:

... Mr. Silvero

With caressing hands, at Limoges

Who walked all night in the next room;

By Hakagawa, bowing among the Titians;

By Madame de Tornquist, in the dark room

Shifting the candles; Fraulein von Kulp

Who turned in the hall, one hand on the door.

რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ვთქვათ, ჰაკაგავას ტრადიციულ იაპონურ თავის დაკვრას, ან იმას, თუ რატომ სცემს ბოლთას მთელი ღამე მეზობელ ოთახში ბ-ნი სილვერო, რომელსაც ალერსიანი ხელები აქვს? ვინაა ფროილიანი ფონ კულპი, ბნელ ოთახში რომ მოტრიალდება, ან მაღამ დე ტორნკვისტი, სანთლებს რომ გადაადგილებს, ან ვინ არიან მისის ქემელი, ფრესკა და ვინმე დე ბეილაში, ბოლოს ცაში რომ აფრინდებიან და დათვის თანაგარსკვლავედს გარს უვლიან? „გარყენილ მისის“ თვეში სწორედ ამათ მიერ „გაირჩევა, შეიჭმება, შეიხვრიება“ ქრისტე-ვეფხი (ზიარების პაროდია), რომელიც „წლის სინორჩისას“ ევლინება კაცობრიობას. უცნაურია ამ ხალხის გვარები: ისინი თითქოს ევროპულ ყაიდაზეა „მოჭრილი“, მაგრამ რომელიმე კონკრეტულ ევროპულ ეთნოსთან მათი ასოცირება შეუძლებელია და თვით ამ მიმსგავსებაშიც“ მძაფრი ირონია ჩაქსოვილი. უღერადობით, ეს „ზოგადევროპული“ (და არა კონკრეტულ-ეთნიკური) გვარები გამეფებულ კოსმოპოლიტიზმს, კულტურულ ქაოსსა და ტრადიციულ სოციალურ, ან ეთნიკურ ფესვთა უარყოფას გამოხატავენ. არსებითად, საკუთრივ ევროპასთან ამ ხალხს ისეთივე კავშირი აქვს, როგორიც ჰაკაგავას - ტიცთან. ეს მოჩვენებები იმ თანამედროვე „სარკეების უდაბნოს“ (Wilderness of mirrors) მკვიდრნი არიან, რადაც ქცეულა ევროპული ცივილიზაცია. მათ მექანიკურ, უმიზნო ქმედებებს და ერთი შეხედვით ტრივიალურ ვესტებს (თავის დაკვრა, სანთლების გადაადგილება, ოთახში სიარული, შეპოტრიალება, კარის სახელურზე ხელის წაწვლა) ელიოტი მკაფიო ვიზუალურ შთაბეჭდილებებად გარდასახავს. ერთიან ლოგიკურ შეუსაბამობაში ისინი თანადროული ყოფის აბსურდულობის გამოხატველ სატყეად აღიქმებიან და ერთობ დამთრგუნველ ემოციას ასხივებენ. ნიშანდობლივია, როცა ლექსის ყველა პერსონაჟის მოქმედება (ფინალში მისის ქემელის, ფრესკას და დე ბეილაშის „გაფრენის“ გარდა) ინტერიერში ხდება, ჯერონშენის მონგრეული სახლის ოთახებში, ხოლო ეს სახლი კი სიმბოლურად ევროპას განასახიერებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯერონშენის მთელი ეს „სიზმარეული სურათი“ არა მხოლოდ ელიოტის თანადროული ევროპისა და მისი წარსულის პოეტური ჩანახატი, არამედ გარკვეულწილად ევროპული მომავლის ელიოტისეული პროგნოზიცაა. ამ მკაფიო პოეტურ სახეებში თავს იჩენს ელიოტის სოციალურ-თეორიული შეხედულებები, რაც მის პოეზიაში არც ისე ხშირად გვხვდება. უკვე „ჯერონშენის“ შექმნის პერიოდში, მისთვის მოუღებელი იყო ინდუსტრიალიზაციის გზაზე დამდგარი საზოგადოების ის ტენდენცია, რომელიც, მისი აზრით, კონკრეტული კულტურულ-ისტორიული ფესვებისაგან ადამიანთა მოწყვეტასა და აქედან გამომდინარე, მათ ზნეობრივ ნიველირებას იწვევდა. როგორც ის მოგვიანებით აღნიშნავდა, „შეუზღუდავი ინდუსტრიალიზაციის შედეგად წარმოიქმნება კულტურული ტრადიციისაგან გასხვისებულ, რელიგიისაგან გაუცხოებულ და მასობრივ წარმოდგენებზე დამოკიდებულ მამრთა და მდედრთა ერთობლიობა, სხვანაირად

რომ ვთქვათ, ბრბო. და ეს ბრბო იმ შემთხვევაშიც ბრბოდ დარჩება, თუ ის გამაძლარი, კარგად ჩაცმული, კარგ ბინებში ცხოვრებას ჩვეული და საერთოდ, ცხოვრებააწყობილი იქნება." მთელი პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ თვით ელიოტიც, გავეროპელებული და თანაც პოლიგლოტი ექსპატრიაცი, მშენიერ მაგალითს წარმოადგენდა საკუთარ სოციალურ-ისტორიულ ფესვებს მოწყვეტილი კოსმოპოლიტის, ანუ იმ სოციალურ-კულტურული ტიპისა, რომლის პირველი ტალღაც ვრცლად მოედო იმჟამინდელ ევროპას და რომლიც მას, კულტურულ ტრადიციათა უდავო მატარებელს და დიდ ჰუმანიტარს, ესოდენ აღიზიანებდა.

ლექსის ინტელექტუალური და ემოციური სიმძიმის ცენტრი გამოსატყულია ჯერონშენის რიტორიკულ შეკითხვაში,

After such knowledge, what forgiveness?

ამის შემცნობელს, რაღა მრჩება მისატყეები?

რომელიც რელიგიურ და ისტორიულ მოტივთა ერთგვარ სინთეზს შეადგენს, რადგან ის, რასაც ჯერონშენი სიზმარში "შეიცნობს", ისტორიაა, ხოლო ხსნასა და მიტყეებას სიმბოლურად ის წვიმა განასახიერებს, რომელსაც ის გვალვიან სეზონში ამაოდ ელოდება. სახე-სიმბოლოებით ლექსი აშკარად ბიბლიურ განწყობილებებს გამოხატავს და ჯერონშენის ეს შეკითხვაც აღიქმება, როგორც ექო ეკლესიასტეს ცნობილი გამონათქვამისა: "რომელმან შეიძინა მეცნიერება, შეიძინა ლმობა" (ეკლ. 1:18). აქ ვითარდება მწიგნობრებისა და ფარისევლების თემა, რომლებიც ქრისტეს შესთხოვდნენ, ნიშანი მოგვივლინეო. ჩვენ ყველას, ჩვენი ღრმა "განსწავლულობის" გამო ლმობით აღვსილებს, ისტორია ამპარტავნობის გზით დაგვატარებს" და "პატიმოყვარეობის ჩურჩულით გვეთვალთმაქცება..."

History has many cunning passages, contrived corridors

And issues, deceives with whispering ambitions,

Guides us by vanities.

ელიოტის გვიანდელი პოეზიისაგან განსხვავებით, სადაც უკვე ხსნის გზაც იკვეთება და აქცენტიც "მბრუნავი სამყაროს უძრავ წერტილზე" გადატანილი, "ჯერონშენი" მხოლოდ სიტყვის წინააღმდეგ აწრიალებულ "ქვეყნიერებას ასახავს, თვით საწუთროს ჩარხს, "მბრუნავი ბორბლის" კიდეს, "ხვეულ დერეფნებს", "უშველებელი და ცარიელი საავადმყოფოს ქვით ნაშენ გასასვლელებს", და არა "ბაღნარს, სადაც ყველა სიყვარული აღესრულება" (ოთხი კვარტეტი). ის "ვარდების ბაღი", ის "უძრავი წერტილი", სადაც დრო უქმდება და მარადისობა სუფევს, სადაც ისტორია ქრება და მარადიული სიტყვა მთელ ქვეყნიერებას აბრუნებს (ანუ "ნაცრისყრის ოთხშაბათისა" და "ოთხი კვარტეტის" ტრანსცენდენტური სამყარო), "ჯერონშენში" ჯერ კიდევ არ ჩანს.

ცხადია, ლექსში კონკრეტული ისტორიული ფაქტების მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე კი არ არის საუბარი, არამედ მხატვრულად არის ხორცშესხმული

ისტორიის ზოგადი კონცეფცია. პრაგმატიზმით აღსავსე ცივილიზაციის მკვიდრთათვის ხსნა მიუწვდომელია. გაჭიანურებული კვდომისა და ზნეობრივი დეგრადაციის ხანგრძლივი ისტორია თანადროული სულიერი და ფიზიკური სტაგნაციით სრულდება. პოეტი სულაც არ ამარტივებს ისტორიულ პროცესს (უთვალავ ახვეულ დერეფანთა", გასასვლელ-გამოსასვლელთა, ფარულ მადრომთა ერთობლიობად წარმოაჩენს მას), მაგრამ მთავარი მისთვის ამ პროცესის ზნეობრივი პათოსია, მისი ფასეულობითი მხარე, სულიერებასთან კავშირი, რომელიც ადამიანს დაკარგული აქვს. ზნეობრივი კომპრომისა და ამპარტაგნობას ჩვეული კაცობრიობა ასცდა ღმერთთან აღმაჯალ გზას და ამიტომ ხსნა მისთვის მიუღწეველია. ლექსში "გვალვის სეზონი" დგას, წვიმა არ მოდის, შვება არსაიდან ჩანს და მხოლოდ ამოკების ქარი უბერავს.

თვით ჯერონშენს ჯოისის სტივენ დედლოსივით სავსებით შეეძლო ეთქვა, რომ ისტორია... ის კომპარია, რომლისგან გამოღვიძებასაც ვცდილობ". ნიშანდობლივია, რომ ელიოტი ისტორიის ერთგვარ პერსონიფიკაციასაც ახდენს - თავნება და მაცდურ ქალად წარმოსახავს მას და ლექსში ამ სახეს მღედრობითი სქესის პირის ნაცვალცახელით (She) გამოხატავს:

... deceives with whispering ambitions,

Guides us by vanities.

She gives when our attention is distracted

And what she gives, gives with such supple confusions

That the giving famishes the craving. Gives too late

What's not believed in, or if still believed,

In memory only, reconsidered passion.

...თვითგანდიდებას გვიჩინებს, გვაცდუნებს ამით,

და ჩვენივე ქედმაღლობის კვალში მიგვათრევს...

ის წყალობას იმეტებს მაშინ, მოღუნებული არის როცა სიფხიზლე ჩვენი

და რასაც გვწყალობს, გვწყალობს მუდამ პირმთონე თრთოლვით

და მით უფრო ამძაფრებს შიმშილს. ნაგვიანები არის მუდამ წყალობა მისი -

როს გვეშრიტება უკვე რწმენა ნაწყალობევის, ანკი, ჯერ თუკი არ გვეშრიტება,

გვწამს მხოლოდ სსოვნით გამოსხმობილ, უძალო უინით.

(ზ. რატინის თარგმანი)

"ჯერონშენის" შექმნისას პოეტს ძალიან გართულებული ჰქონდა ურთიერთობა ფსიქიურად დაავადებულ ცოლთან, რის გამოც ის ერთი პერიოდი დეპრესიისაგანაც მკურნალობდა. თანამედროვენი იხსენებენ ვივიენ ჰეივუდს, როგორც მიმზიდველსა და ნიჭიერ ქალს, მაგრამ ამავე დროს, როგორც არასტაბილური ფსიქიკის მქონე ნეგროტიკს, ან უფრო, მკვეთრად გამოხატულ ფსიქოპათს. პოეტი აქ სწორედ იმ ამძაფრ პირად შთაბეჭდილებაზე დაფუძნებულ განზოგადებულ სიმბოლოს"

წარმოსახავს, რომლის შექმნასაც ის თეორიულ წერილებში ჭეშმარიტი პოეზიის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად მიიჩნევს. ამ „მძაფრი სუბიექტური შთაბეჭდილების“ გაობიექტურებასა და „წეუთავსებლის შეთავსებას“ (discordia concors) ელიოტი ასოციაციურ სახეთა ვირტუოზული კომბინაციით აღწევს. ზემოთ მოყვანილი ეპიზოდი ერთდროულად წარმოადგენს ისტორიის შესახებ ელიოტის პოეტურ მსჯელობასაც და ვივიენ ჰეივუდის ერთგვარ ფსიქოლოგიურ პორტრეტსაც. ეპიზოდის “She”, იმავდროულად მინიშნება ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსის, მწერლისა და მოგზაურის, ჰენრი ადამსის (1838-1918) ავტობიოგრაფიულ ნაშრომზე, რომელშიც ის ისტორიის პოზიტიურ მამოძრავებელ ძალად, ლიბერალიზმისა და პროგრესის სიმბოლოდ „ქალწულს“ (Virgin) სახავს, „მანქანის“ (Dynamo) საპირისპიროდ, რომელიც მისთვის საზოგადოების უსულგულო ტექნოლოგიზაციას განასახიერებს. „ქალწულმა, - წერს იგი, - იმოქმედა, როგორც იმ უდიდესმა ძალამ, რომელიც კი დასავლურ სამყაროს ოდესმე შეუგრძენია. ის ყველა სხვა, ბუნებრივ თუ ზებუნებრივ ძალაზე უფრო ძლევეამოსილად გაუძღვა წინ ადამიანთა ქმედებას. ისტორიკოსის საქმე ისაა, რომ მიჰყვეს ამ ენერჯის კვალს, გაარკვიოს, საიდან მოდის და სად მიემართება, შეისწავლოს მისი რთული სათავეები და ის ხვეული არხები, რომლებითაც ის მიედინება, მოიკვლიოს მისი ფასეულობები, ექვივალენტები და სახეცვლილებები“.¹² ისტორიის ამ ერთობ აღტაცებულ, გვიანრომანტიკულ კონცეფციას ელიოტი მძაფრ პაროდიალ გარდასახავს. „ჯერონშენში“ ისტორიას სათნოება ოდითგანვე დაკარგული აქვს; უთვალავ ზნეობრივ კომპრომისთა გამო მას იმგვარი ცოდნა და გამოცდილება აქვს შეძენილი, რომ ის „ქალწულის“ სიმბოლურ სახედ, უკვე ვერასგზით ველარ მოიაზრება.

თუ „ჯერონშენს“ უილიამ ბატლერ იეიტსის ცნობილ ლექსს, „მეორედ მოსვლას“ (“The Second Coming”, 1920) შევადარებთ, რომელიც დაახლოებით იმავე პერიოდში შეიქმნა, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იეიტსი სულ ექვსიოდე სტრიქონში იმავე სათქმელს გამოხატავს, რომლის გადმოცემასაც მთელი „ჯერონშენი“ დასჭირდა:

Things fall apart: the centre cannot hold;
 More anarchy is loosed upon the world,
 The blood-dimmed tide is loosed, and everywhere
 The ceremony of innocence is drowned;
 The best lack all conviction, while the worst
 Are full of passionate intensity.

მაგრამ სინამდვილეში, საერთო ან ანალოგიური აქ მხოლოდ აზრობრივი წყობაა. მხატვრული სათქმელი რთულ ინტელექტუალურსა და განცდით კომპლექსს შეადგენს, სადაც ის, რაც უშუალოდ ითქმის, სმირად მხოლოდ საშუალებაა სულ სხვა აზრობრივ-ემოციური დატვირთვის გამოსახატავად. განცდით

შთაბეჭდილებებს ელიოტი იეიტსისაგან სრულიად განსხვავებული პოეტიკით აწესრიგებს. ის ყოველთვის ქარაგმულია, ასოციაციურად მრავალნიშნადი, არაპირდაპირი, არადეკლარაციული და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი ლექსის პოეტური თავისებურება. ასოციაციური პოეტიკა მას ლექსის მცირე მონაკვეთში აზრობრივ-ემოციური ინფორმაციის დიდი რაოდენობის ჩატევის საშუალებას აძლევს. როგორც ა. ა. რიჩარდსი აღნიშნავდა, „ელიოტისათვის ალუზია ინფორმაციის შეკუმშვის ტექნიკური საშუალებაა“, ¹¹ თუმცა, ალუზიას ელიოტის ტექსტში კიდევ სხვა, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი დანიშნულებაც ეკისრება. ფაქტობრივად, ის მეტაფორაა, რომლის აღსანიშნის როლს არა საგანი ან მოვლენა, არამედ მხატვრული ლიტარატურის სხვა ტექსტები ასრულებენ. მეტაფორას კი ხშირად გააჩნია თავისთავადი ემოციური ზემოქმედების უნარი, რომელიც მის აღსანიშნზე ნაკლებად არის დამოკიდებული. მაგალითისათვის, „ჯერონშენის“ შეუმზადებელმა მკითხველმა შეიძლება ისე ჩაიკითხოს შექსპირის „მეფე ლირის“, ანტონიოს და კლეოპატრას“, „ვენეციელი ვაჭრის“, ჩეპმენის, ტურნერის, მიდლტონის, ბენ ჯონსონის, შემდეგ ისევ ჩეპმენის რემინისცენციები, რომ ვერც ვაცნობიეროს, რომ მას საქმე აქვს ინგლისური რენესანსული დრამატურგიის პაროდირებასთან. გარკვეულწილად, მთელი ლექსი შედგება ელიზაბეთისა და ჯეიმზ პირველის დროინდელი დრამატურგების აზრობრივი და სტილური იმიტაციისაგან. მათი ცალ-ცალკე განხილვა ბევრს ვერაფრს ეტყვის ქართველ მკითხველს, მაგრამ ინგლისურენოვანი მკითხველისათვის ეს ყოველივე მახვილგანივირულ და ირონიულ თამამად აღიქმება, „ოდესღაც ვაგონილი მელიოდის“ გახსენებისა და „მიხვედრის“ სურვილს აღუძრავს მას. ამასთან, ელიზაბეთისა და ჯეიმზ პირველის ეპოქის დრამატურგთა პაროდირება ისე ორგანულადაა შერწყმული „ჯერონშენის“ სხვა ასოციაციურ ელემენტებთან, რომ შეუმზადებელი მკითხველი ხშირად ვერ აღიქვამს ლექსის მსუბუქ არქაულ ინტონაციას, ვერც მის მძაფრ პაროდირულ მუხტს, ვერც ალუზიებსა და მათთან დაკავშირებულ წყაროებს. მაგრამ ის, რაც მასზე მაინც მოახდენს განცდით შთაბეჭდილებას, ძირითადაა. ესაა ღრმა ემოციით გაჯერებული ელიოტის ლექსის ტექნიკური სრულყოფილება, რომელიც იმის საშუალებასაც იძლევა, რომ „ჯერონშენის“ რთული ინტელექტუალურ-ემოციური კომპლექსი აღქმული იქნას, როგორც მუსიკა“ (რიჩარდსი). ესაა ალუზიის ხატოვანი ბუნების უშუალო ზემოქმედების შედეგი, განურჩევლად იმისა, თუ რამდენად რთულ ასოციაციურ მექანიზმს შეიცავს ის, როგორც „უჩვეულო“, პაროდირული, მოდერნისტული ტრაპი.

თუ მაგალითს ქართული პოეტური ტრადიციიდან მოვიხმობთ, როდესაც ვკითხულობთ, რომ ნესტან-დარეჯანი „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპარალსა ვეფხი პირ-გამეხებული“, იშვიათად ვაცნობიერებთ (ან საერთოდ არ ვაცნობიერებთ) იმას, რომ „კლდისა ნაპარალი“, სადაც ნესტანი „ქვე წვა“, უბრალოდ, სარეცლის, ან ტახტის მეტაფორაა. უფრო მეტიც, რუსთველი, ალბათ, არც შექმნიდა ამ

სახეს, თუ მკითხველის ცნობიერებაში სწორედ „სარეცლის“, ან „ტახტის“ ცნება აღიბუჭდებოდა. დიდ პოეზიაში მეტაფორის აღსანიშნი ხშირად უკიდურესად პირობით სახეს ლებულობს და განცდით ფასეულობას კარგავს. ასე რომ, ისევ ელიოტის პოეტიკურ არსენალს თუ დავუბრუნდებით, „ჯერონიმის“ უშუალო, „შეუმზადებელი“ აღქმისას მკითხველისათვის სულაც არ არის აუცილებელი მთელი ასოციაციური სირთულის გაცნობიერება. ლექსის უჩვეულო მეტაფორიზაციის დონე ყველა შემთხვევაში წარმოქმნის სასურველ განცდით ეფექტს. მეორე მხრივ, ცხადია ისიც, რომ მოდერნიზებული ესთეტიკის საციფიკიდან გამომდინარე, რაც უფრო მეტ ასოციაციას გააცნობიერებს მკითხველი, მით უფრო მძაფრი იქნება კითხვისგან შექმნილი შთაბეჭდილება და განცდითი ეფექტიც შესაბამისად გამდიდრდება და დაისვეწება.

ხშირად ისეც ხდება, რომ მეტაფორის აღსანიშნი არა მხოლოდ განცდით, არამედ აზრობრივ პირობითობასაც იძენს: ხატოვანება ელიოტისათვის აზრის „მხატვრული ფორმით გამოცემის“ საშუალება კი არ არის, არამედ მხატვრული აზროვნების არსია. „მოაზროვნე პოეტი“, უბრალოდ, აზრის ემოციური ექვივალენტის გამომხატველი პოეტია; თავისთავად აზრი პოეტს ნაკლებად აინტერესებს“, წერდა ის ესეში „შექსპირი და სენეკას სტოიციზმი“.¹⁴ „ჯერონიმის“ უკიდურესად პესიმისტური, პირქუში ქღერადობა მთელი ეპოქის ემოციურ განწყობილებას გამოხატავს, მაგრამ აზრები, იდეები, წარმოდგენები, რომელთა კომბინირებითაც ეს ემოციური მუხტი მიიღწევა, ელიოტისათვის განცდის გამომხატვის საშუალებაა და არა მსოფლმხედველობრივი კრედოს დეკლარაცია. სხვადასხვა ნასესხებ „იდეათა“ მოხმობით, პოეტმა შესაძლოა განზრახ გააშუქოს, ან პირიქით, „გაახალისოს“ კიდევ ლექსის სიტუაცია მისთვის სასურველი განცდითი ეფექტის მისაღწევად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ყველა ამ „გამოყენებული“ აზრისა სჯერა, ან „იდეების“ სწამს. ცხადია, პოეტი გულგრილი ვერ იქნება იმ აზრთა მიმართ, რომლებსაც მისი პოეზია გამოთქვამს, მაგრამ ელიოტის „ფილოსოფიის“ აღქმისას „ზომიერი სკეფსისი ნამდვილად გამოსადეგი ინსტრუმენტია. ძნელია იმის თქმა, - წერა იგი, - სწამდა თუ არა დანტეს თომისტური ფილოსოფია. ვერც იმას ვიტყვით, რამდენად სწამდა შექსპირს რენესანსის არეული და ეკლექტიკური სკეპტიციზმი. უკეთეს ფილოსოფიაზე დაყრდნობით რომ ეწერა შექსპირს, შესაძლოა უარესი პოეზიაც შეექმნა. მისი საქმე ეპოქის უდიდესი ემოციური დაძაბულობის გამომხატვა იყო იმაზე დაყრდნობით, რითაც მის ეპოქას მოუხდა აზროვნება“.¹⁵

ამიტომ, რომ „ჯერონიმის“ საკმაოდ ხსტი და ნაკლებად ტოლერანტული „ფილოსოფია“, რომელიც დღევანდელ ლიბერალურ ფასეულობათა მატარებელ მკითხველს, შესაძლოა, რეტროგრადულადაც მოეწევენოს (ანუ ის, რომ ისტორია და რელიგია განუყოფელია, რომ კულტურის გადარჩენა მხოლოდ რელიგიას

შეუძლია, რომ რელიგია კულტურის ისტორიის არსია და მისი წარმმართველი ძალა და ა.შ.), სიტყვასიტყვით არ უნდა იქნას აღქმული. ელიოტის მიზანი, უბრალოდ, აზრების პოეტური დალაგება" რომ ყოფილიყო, მისი ლექსი, როგორც მხატვრული ნაწარმოები, ვერ შედგებოდა. „ჯერონშენის“ განცდით-ინტელექტუალური სინთეზი, ევროპის სულიერი ცხოვრების მთელი ეს პესიმიზმით აღსავსე პანორამული ტილო, შეუდარებლად უფრო რთულსა და დახვეწილ ესთეტიკურ მთლიანობას წარმოადგენს, ვიდრე ის „იდეური“ მასალა, რომლითაც „მის ეპოქას მოუხდა აზროვნება“. მითუმეტეს, რომ ლექსში ასახულ ყველა კულტუროლოგიურ, თეოლოგიურ და სხვა თვალსაზრისთა ამოკითხვა მე-20 საუკუნის დამდეგის სამეცნიერო გამოკვლევებშიც შეიძლება, მაგრამ ამგვარ შემეცნებით ვარჯიშს პოეზიით ტკობასთან საერთო არაფერი ექნება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- 1 „ჯერონშენის“ ქართული თარგმანი ეკუთვნის ზვიად რატიანს. იხ. ტომას სტერნზ ელიოტი. ლექსები, პოემები. თბილისი, „მერანი“, 1998.
- 2 Cynthia Ozick. “T.S. Eliot at 101”, in *The New Yorker*, 119-54, November 20, 1989.
- 3 იხ. URL: <http://www.everything2.com/index.pl>
- 4 იხ. В.Н. Топоров. Пространство и текст. obuyib5 Текст: семантика и структура. М., 1983.
- 5 Ю. М.Лотман. Структура поэтического текста. М., 1970, стр. 256, 264, 266.
- 6 Gr. Smith. T.S. Eliot's Poetry and Plays. A Study in Sources and Meaning. Chicago, Univ. of Chicago Press, 1966, გვ. 58.
- 7 Z. A. Lang. “After such knowledge, what forgiveness?” The quest for spiritual integrity in “Gerontion” and the Book of Job. *The anachronist*. 2000. გვ. 241.
- 8 B .S. Southam. A Guide to the Selected Poems of T.S.Eliot. San Diego, Harcourt Barace & Co, 1994, გვ. 69.
- 9 S. Spender. T.S.Eliot. H-M., Penguin Books, 1975, გვ. 61
- 10 J.S.Brooker. Mastery and Escape: T.S. Eliot and the Dialectic of Modernism. Amherst: University of Massachusetts Press, 1994, გვ. 154.
- 11 იხ. URL: <http://www.newcriterion.com/archive/18/oct99/eliot.htm>
- 12 H.Adams. The Education of Henry Adams. H.-M., Penguin Books, 1996, გვ. 400.
- 13 I.A.Richards. Principles of Literary Criticism. London, Routletge, 1995, გვ. 232.
- 14 T.S. Eliot. Selected Essays. London, Faber & Faber, 1999, გვ. 135.
- 15 Ibid, გვ. 137.
- 16 Ibid, გვ. 137.

SUMMARY

WEAVING THE WIND IN THE WILDERNESS OF MIRRORS:
T. S. ELIOT'S "GERONTION"

The practice of allusion performs in "Gerontion" the function of condensing into decent compass a whole panorama of the past. What are contrasted in this poem are the secular history of Europe, which the life of Gerontion parallels, and the unregarded promise of salvation through Christ. Gerontion symbolizes civilization gone rotten. The mysterious foreign figures who rise shadow-like in his thoughts - Mr. Silvero, Hakagawa, Madame de Tornquist, Fräulein von Kulp - are the inheritors of desolation. Against them is set the "word within a word, unable to speak a word" - the innocent Redeemer, swaddled now in the darkness of the world. The futility of a world where men blunder down the blind corridors of history, guided by vanity and gulled by success, asserting no power of choice between good and evil but forced into alternatives they cannot predict - this is the futility of a labyrinth without an end. The opposite movement, which discloses "a door that opens at the end of a corridor", opening, as one reads in "Burnt Norton", "Into the rose garden" and "Into our first world", leads to "the still point of the turning world", where, as Eliot put it in *Ash Wednesday*, "the unstilled world still whirled / About the centre of the silent Word". "Gerontion" describes only "the unstilled world", the turning wheel, the hollow passages - not "the Garden / Where all love ends", the ending of lust and the goal of love. The point at which time ends and eternity begins, at which history disappears in unity and the winding spiral vanished in the Word, is lost to the world of the poem. Yet the Word exists; it is only history which cannot find Him, history with a positivistic conception of the universe, a deterministic view of causation, a pragmatic notion of morals. Eliot's symbol of the mazelike passages, or the clocklike wheel of time, or the whirlwind of death, the gaping whirlpool, is the antithesis of the single, unmoving, immutable point within. History is the whirlwind, for history is of the world, and history like the world destroys all that dares the test of matter and time.

ენტროპიის ცნება თომას პინჩონის

„ენტროპიის“ მიხედვით

ამერიკელი მწერლის თომას პინჩონის შემოქმედებითი დებიუტი შედგა XX ს-ის 50-იანი წლების დასასრულს, როდესაც გამოქვეყნდა მისი ნაწარმოებების კრებული და მათ შორის - მოთხრობა „ენტროპია“. ამის შემდეგ მწერალმა კიდევ ოთხი რომანი გამოსცა. თ. პინჩონის შემოქმედებით დაინტერესება იმდენად დიდი იყო და არის, რომ ახლაც მის შესახებ უამრავი გამოკვლევა, წერილი თუ მონოგრაფია იწერება. მის სამწერლო მოღვაწეობას ეძღვნება სემინარები, სიმპოზიუმები, პრესტიჟული ჟურნალების სერიები... კრიტიკული ნაშრომების რაოდენობა გაცილებით აღემატება მწერლის მხატვრულ შემეცნიერებას.

გამოქვეყნებიდან დაახლოებით ორმოცდაათი წლის განმავლობაში მოთხრობა „ენტროპია“ უამრავ ანთოლოგიასა თუ ქრესტომათიაში დაიბეჭდა. შეიძლება ითქვას, რომ მან საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა ლიტერატურული კლასიკის ოქროს ფონდში. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ 2005 წელს ლიტერატურულ გაზეთში „ტექსტები“ (რედაქტორი: მ. ებანოიძე) დაიბეჭდა „ენტროპიის“ პროფესიონალური თარგმანი (მთარგმნელი: ლ. ბერიშვილი) ქართულ ენაზე.

50-იანი წლების დასასრულს თომას პინჩონი ქმნის თავის პოეტიკას, რომელიც, მისივე აზრით, შეესაბამება ჩვენი დროის რეალობასა და თანამედროვეობისათვის დამახასიათებელ მსოფლალქმას. ეს არის უარის თქმა ნაწარმოებში აღწერილ ცხოვრებისეულ სიტუაციებში ნათელი აზრის შეტანაზე, ყურადღების გამახვილება არალოგიკურზე, უმნიშვნელოსა და არა მთავარზე, არაარსებითზე, რაც ქმნის ქაოსის შთაბეჭდილებას, ხელს უწყობს ნაწარმოების კომპოზიციისა და სტილის არატრადიციულ გააზრებას. საინტერესოა, რომ ასეთი პოზიციები პინჩონის შემოქმედებაში გაცილებით უფრო ადრე იკვეთება, ვიდრე პოსტმოდერნიზმი - რომელმაც მწერალი თავის ლიდერად აღიარა - ესთეტიკური და კონცეპტუალურ-ფილოსოფიური სისტემის სახით ჩამოაყალიბებოდა. თავად პინჩონს ამ მიმდინარეობისადმი მისი დამოკიდებულებაზე კომენტარები არასოდეს გაუკეთებია, თუმცა მისი მოთხრობა „ენტროპია“ ლამის პოსტმოდერნიზმის საკულტო ტექსტად, ქრესტომათიულ ნიმუშად გამოაცხადეს. ცნობილია მხოლოდ ის, 1984 წელს გამოცემული ადრეული ნაწარმოებების კრებულის „Slow Learner“ (რომელშიც, რალა თქმა უნდა, „ენტროპია“ შედიოდა) წინასიტყვაობაში მწერალი გამოხატავს

უკმაყოფილებას თავისი ადრეული შემოქმედებით, რომელიც, მისი აზრით, გადატვირთული და დამძიმებულია თავსმოსვეული, ხელოვნური სიმბოლიკით. პინჩონის თქმით, ყველა დამწყები მწერალი გატაცებულია თავისი იდეებით; ახალბედა შემოქმედს ნებისმიერი ბანალობა საკუთარ აღმოჩენად მიაჩნია და ამ „გენიალური აღმოჩენებით“ ზღუდავს მკითხველს, არ აძლევს მას საშუალებას რაღაცაზე იკამათოს, რამეში ეჭვი შეიტანოს... ამავე წინასიტყვაობაში პინჩონი აღიარებს, რომ რაც უფრო ბევრჯერ გადაიკითხა თავისი მოთხრობა, მით უფრო კლებულობდა მისი რწმენა, რომ მას ენთროპიის არსი სწორად ესმოდა. ყოველ მკითხველს აქვს უფლება გააკეთოს არჩევანი და ისევე როგორც მოთხრობის პერსონაჟმა, კალისტომ. ივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს შეუსაბამოს.¹

კომუნიკაციის თეორიაში „ენტროპიის“ ცნებას უკავშირებენ ხმაურს კავშირგაბმულობის არსებში, როდესაც ინფორმაციის სიჭარბე ქმნის ე.წ. სემანტიკურ ხმაურს, რომელიც საშუალებას არ აძლევს არც ინფორმაციის გამგზავნს და არც მიმღებს, რაიმე გაიგონოს.² აქ იგულისხმება სხვადასხვა სიძლიერით გაუღერებული ხმები, რომლებიც ქმნიან ქაოსის შთაბეჭდილებას. ამის უამრავი მაგალითი თვით ტექსტშიც მოიპოვება: “Duke, Vincent, Kriickle and Paco sat crouched over a 15-inch speaker... listening to 27 watts' worth of The Heroes Gate at Kiev”³; “music which emerged at intervals from a howling darkness of discordancy”⁴; “the final hiss remained for an instant in the room, then melted into the whisper of rain outside”⁵; “the chatter of birds and fitful car honking scattered along the wet morning and Earl Bostic's alto rising in occasional wild peaks through the floor”.⁶

მეორე მხრივ, როგორც მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი, საული გვიმტკიცებს, ეს ხმები, უაზრო, გაუგებარი ხმაური, ორაზროვნება, შეუსაბამობა სიმბოლიურად გამოხატავს ადამიანთა შორის გაუგებრობას, გაუცხოებას: “All this is noise. Noise screws up your signal, makes for disorganization in the circuit... What it is most of the things we say, I guess, are mostly noise”.⁷

თეორიული ფიზიკა ენთროპიის თავისებურ გაგებას გვთავაზობს. თერმოდინამიკის მეორე კანონის მიხედვით, ჩაკეტილ სისტემაში იზრდება ენთროპიის ხარისხი, მყარდება თერმოდინამიკური წონასწორობა, რომლის დროსაც ტემპერატურა, წნევა და სხვა მარევენებლები გათანაბრდება, ენერჯის გამოყოფა წყდება, რასაც სისტემა დაღუპვამდე მიჰყავს.⁸ ჯერ კიდევ კლაუზიუსმა გამოთქვა ვარაუდი, რომ თუ ჩვენ სამყაროს წარმოვიდგენთ, როგორც ჩაკეტილ სისტემას, მაშინ მისი ენთროპია მუდმივად გაიზრდება და მიაღწევს მაქსიმუმს. პინჩონის მოთხრობაში ამ მოსაზრებას აყალიბებს კალისტო, რომელიც თავისი სტუდენტური მიგნებების ჭეშმარიტებაში სიჭარბეგის პერიოდში რწმუნდება. მის მსჯელობაში ფიზიკის კანონები გარდაიქმნება სოციალურ ტერმინებად. კაცობრიობა ელოდება კულტურის „სითბურ სიკვდილს“, როდესაც იდეები, სითბური ენერჯის მსგავსად,

ველარ გავრცელდება, ვინაიდან ენერგია სისტემის ყველა წერტილში, ისევე როგორც ინტელექტუალური მოძრაობა, შეწყდება.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ენთროპიის ყოველი განმარტება „ქაოსის“ ცნებას შეიცავს, რაც ერთმანეთთან აახლოებს ენთროპიის გაგებას ინფორმაციისა და თერმოდინამიკის თეორიაში.

თხრობა პინჩონის ნაწარმოებში შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ენთროპიული პროცესების იმიტაცია. დაძაბული კოლიზია თუ სიტუაცია სწრაფადვე განიშუბტება; ფაქტობრივად, ნაწარმოები მოკლებულია ინტრიგას, ინდივიდუალურ ხასიათებს, მაგრამ საინტერესოა აღწევს თუ არა მაქსიმუმს ენთროპიის ხარისხი მოთხრობაში, ისევე, როგორც თერმოდინამიკის კანონში?

პინჩონის მოთხრობას თან ერთვის ამონარიდები ჰენრი მილერის რომანიდან „კიბოს ბილიკი“: «ქნება მეტი უბედურება, მეტი სიკვდილი, მეტი სასოწარკვეთა. არავითარი მინიშნება, რომ რაღაც შეიცვლება... ჩვენ უნდა ვიაროთ ნაბიჯებით, სიკვდილის ციხეში. ვერსად გაიქცევი - ამინდი იგივე რჩება».⁹ თუმცა უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად ნაწარმოებში არ იგრძნობა არანაირი სასოწარკვეთა. მასში აღწერილი სიტუაციების არსს უფრო ზუსტად გამოხატავს ტერმინი „კომიკური აბსურდი“. მოქმედება ხდება 1957 წლის თებერვლის ერთ საღამოს. ნადიმი გრძელდება 40 საათის განმავლობაში, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი არასოდეს დამთავრდება. ღრეობა სულ უფრო და უფრო ქაოტური ხდება: სტუმართა რიცხვი იზრდება, მოდიან მთვრალი მეზღვაურები, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ ბორდელში მოხვდნენ, აბაზანაში ჩაძინებული გოგონა დახრჩობას გადაურჩება, წყობიდან გამოდის მაცივარი; ერთი სართულით ზემოთ კი ნაწარმოების პერსონაჟი, კალისტო, თავის საცხოვრებელ სახლს ორანჟერეად აქცევს - იგი დიდი რუდუნებით ცდილობს თავის მკერდზე დასვენებული მომაკვდავი ჩიტის გადარჩენას და თან გულმოდგინედ მსჯელობს თერმოდინამიკის კანონებისა და კულტურისა და საზოგადოების განვითარების კანონებთან მათი შესაბამისობის შესახებ. ეს სიუჟეტური ხაზები არასოდეს იკვეთება, ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდება და ყოველგვარი მოტივირების გარეშე, მოულოდნელად წყდება. სიუჟეტის ასაგებად მწერალი იყენებს მონტაჟის ტექნიკას. საინტერესოა, რომ ორივე სართულზე, ფაქტობრივად, მსგავსი მოვლენები ხდება, ოღონდ კონტექსტებია ერთმანეთისაგან განსხვავებული. ამ მოვლენებს ერთმანეთთან აახლოებს ტრაგიკულის გაურკვეველი წინათგრძნობა, მოახლოებული კრახის განცდა, რასაც ვერ იხსნის ვერც თავაწყვეტილი გართობა და ვერც მეორე სართულზე ხელოვნურად შექმნილი ბუდე... ეს კრახი შეიძლება გამოიწვიოს როგორც რეალურმა აქტივობამ სიკვდილმა, ასევე არანაკლებ სამშიმმა უხილავმა საფრთხემ - ინტელექტის მოკვდინებამ. ენთროპია ხდება როგორც ადამიანის სულის, ასევე მთელი სამყაროს არსებობის უნივერსალური მეტაფორა.¹⁰ მწერლის

ალიარებით, ენთროპიის მისეულ გაგებაზე დიდი გავლენა იქონია ჰენრი ადამსმა, ასევე ნორბერ ვიპერმა. რომელმაც თერმოდინამიკის კანონები მსოფლიოს სოციალური განვითარების კანონებზე გაავრცელა. უნდა ითქვას, რომ 60-იანი წლების დასაწყისში ფიზიკის პრესტიჟი იმდენად გაიზარდა, რომ მისი საშუალებით ლამის სამყაროში მიმდინარე ყველა მოვლენის ახსნას ცდილობდნენ. ამ ფონზე გასაკვირი არ არის, რომ პინჩონი თავისი ნაწარმოების სათაურით მიგვანიშნებს ფიზიკისა და მისი თანამედროვე საზოგადოებრივი ატმოსფეროს ურთიერთმიმართებაზე.

მწერლის ჩანაფიქრის მიხედვით, მოთხრობაში ნაჩვენებია უნდა ყოფილიყო მისი დროის სურათი, რომელშიც „უმიზნობის“, „დათრგუნულობის“, „გზაკვალარეულობის“ შეგრძნებება და განწყობილება ბატონობდა.“ მწერლის თანამედროვეობა ხან უსასარაულო ჰედონიზმს ეძლეოდა, ხანაც - მიზანთრობას. პინჩონმა თავის მოთხრობაში შეძლო გადმოეცა ის პანიკური ძრწოლა, რომელმაც მისი თანამედროვეობა მოიცვა, ის ნიშნები და სიმპტომები, რომელნიც მიგვანიშნებენ ადამიანთა მძიმე სვედრზე - სიცარიელეზე, მარტოსულობაზე, უიღბლობასა და ტოტალურ ქაოსზე.

თხრობის პროცესში ქაოსის შეგრძნება თანდათან იზრდება. ენთროპიის სხვადასხვაგვარი ნიმუშები გაბნეულია მოთხრობის მსატერულ ქსოვილში, თუმცა საბოლოოდ შესამჩნევი ხდება, რომ მედოუმის ენთროპია სემანტიკურ ენთროპიასთან ერთად თანდათან იკლებს და ქრება. პინჩონი, როგორც მისტიფიკაციების უდიდესი მოყვარული, ნაწარმოებს ენთროპიის ტრიუმფით არ ასრულებს, ამ საკითხს სამომავლოდ გადადებს და თავს არიდებს კვანძის საბოლოო გახსნას. მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი მიტბოლი არჩევანის წინაშე დგას: მას ვერ გადაუწყვეტია, კარადაში ჩაიკეტოს, თუ შეიტანოს წესრიგი, თუნდაც დროებითი, მის ირგვლივ გამეფებულ ქაოსში. იგი მეორე გზას ირჩევს - ღვინოს უსხამს მეზღვაურებს, დახრჩობას გადაარჩენს გოგონას, რეკავს სახელოსნოში გაფუჭებულ მაცივართან დაკავშირებით... ამ დროს ერთი სართულით ზემოთ კალისტო გრძნობს, რომ ჩიტი სულს ღაფავს. კალისტოს ძრწოლა იპყრობს - მან ვერ შეძლო ჩიტი გადაერჩინა, მისთვის სითბო გადაეცა. მასთან ერთად მცხოვრები სასოწარკვეთილი ობადი ორანჟერეის ფანჯარას ამტვრევს. ისინი უცდიან ტემპერატურის გათანაბრებას ორანჟერეის გარეთ და მის შიგნით, წყდება ყველა მოძრაობა, ირგვლივ წყვილადი დაისადგურებს. თუმცა აუცილებელი არ არის, რომ წყვილადი რეალურად დადგეს. ადამიანის ცხოვრებაში ფარული, ილუმალი ჩანაფიქრების ძიებამ შესაძლოა იგი ნამდვილ პარანოიამდე მიიყვანოს, რაც თავისთავად ქმნის მისი არსებობის პარანოიულ მოდელს.

მოთხრობას „ენთროპია“ დიდი მნიშვნელობა აქვს პინჩონის მთელი შემოქმედების გაგებისათვის, რადგან ამ ნაწარმოებში გამოკვეთილი იდეები და სახეები თითქოს

სრულყოფილებას იძენენ პინჩონის შემდგომდროინდელ ქმნილებებში. თავად ენთროპიის არსი უფრო სიღრმისეულადაა გამოკვლეული რომანებში “V” და “The Crying of Lot 49”¹; საულის ცოლი, “ენთროპიის” პერსონაჟი, შეპყრობილია იდეით, რომ კომპიუტერები ადამიანებივით იქცევიან; რომანში “V” პინჩონი ქმნის ადამიან-რობოტების სახეებს; ავტორის მსჯელობები ხმაურისა და სიგნალების შესახებ კომუნიკაციის თეორიაში უფრო განიერცობა მის გვიანდელ რომანებში და “The Crying of Lot 49” და “Gravity’s Rainbow”, მუსიკა, როგორც “ენთროპიის” ერთ-ერთი მთავარი მეტაფორა, თავის მნიშვნელობას არ კარგავს პინჩონის სხვა რომანებშიც...¹²

პინჩონის პოეტიკის ნოვატორულობა 60-იანი წლების დასაწყისისათვის უდავო იყო. მის პროზაში გამოკვეთილი კოლიზიები და თავად ენთროპიის მხატვრული ინტერპრეტაცია უნივერსალურ მიგნებად აღიარეს. თამაშის პოეტიკა იქცა ერთგვარ მოდელად, რომელიც ნაწარმოების ნებისმიერი ფრაგმენტისა და მთლიანად ტექსტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის პროვოცირებას ახდენს. ამავე მიზანს ემსახურება რემინისცენციები, შტამპები, ბანალურობის უსასრულო პაროდირება და სხვა.

ამავდროულად თანამედროვე კრიტიკისათვის პინჩონის შემოქმედება ჯერ კიდევ გამოცანად რჩება. დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, თუ როგორ წერს, რას წერს და წერს თუ არა ის საერთოდ... შესაძლოა, სწორედ ეს არის მიზეზი მკითხველისა და კრიტიკის შეუწელებელი ინტერესისა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ Thomas Pynchon, Introduction to “Slow Learner”, http://www.pynchon.ponoma.edu/slow_learner/entropy.html. p. 3.
- ² Thomas Pynchon, “Entropy”. In: *Twentieth Century Literature*. p. 2586.
- ³ *Ibid*, p. 2586.
- ⁴ *Ibid*, p. 2588.
- ⁵ *Ibid*, p. 2589.
- ⁶ *Ibid*, p. 2590.
- ⁷ *Ibid*, p. 2592.
- ⁸ *Ibid*, p. 2586.
- ⁹ *Ibid*, p. 2586.
- ¹⁰ *Ibid*, p. 2586.
- ¹¹ Thomas Pynchon, Introduction, *Op. cit.*, p. 2.
- ¹² С. Кузнецов, Обучение хаосу. Иностранная литература, 1996, №3.

SUMMARY

**THE CONCEPT OF ENTROPY IN THOMAS PYNCHON'S
"ENTROPY"**

A term "Entropy" is used in several scientific fields for describing a state of chaos. In communication theory, entropy is reached when communication ceases because too much information overwhelms the ability to understand. This term is also used in theoretical physics to describe a phenomenon when all matter has the same temperature and as a result of it there is no heat energy necessary for conversion to mechanical work. In the 1960s known as the years of the intensive development of physics social sciences borrowed many terms from this science. For example, entropy in social theory means the state of chaos in which any society may decline.

The narration development of the story "Entropy" seems to imitate the processes of entropy: the tension of collision and situation ease as soon as they appear and there is no development of any plot or characters. Various images of entropy are evenly spread in the whole story, but at the end, it is felt that entropy volume is gradually decreasing and disappearing. Pynchon seems to leave the controversial issue of the entropy triumph beyond the story. The author avoids the moment of final denouement as if playing with it not taking it seriously.

ხელოვანის პრობლემა XIX საუკუნის ამერიკულ რომანტიკულ ნოველაში

ხელოვანისა და ხელოვნების თემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს XIX საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით - ამერიკულ რომანტიკულ ნოველაში, ედგარ პოსა და ნ. პოთორნის შემოქმედებაში.

XIX საუკუნის ევროპული და ამერიკული ნოველისათვის დამახასიათებელია მრავალგვარობა. ამ ფაქტში არაფერია გასაოცარი, ვინაიდან ნოველის ფორმათა სიმდიდრე მისი წარმოშობის პროცესშივე იყო ჩადებული. შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ლიტერატურის ისტორიკოსებსა და თეორეტიკოსებს შორის არ არსებობს საერთო აზრი, საყოველთაოდ გაზიარებული შესდელეზება ნოველის, როგორც ჟანრის, გენეზისთან დაკავშირებით. ერთნი მას ადრეული შუასაუკუნეების ლიტერატურას მიაკუთვნებენ: «ლევანდების, ზღაპრების, ისტორიული მოთხრობების და ნაწილობრივ აღმოსავლური წარმოშობის თქმულებებს».¹ სხვები უფრო შორს მიდიან და ნოველის საწყისებს ანტიკურ პროზაში ეძებენ, ზოგიერთნი კი შუასაუკუნეობრივ ქალაქურ პროზაულ ლიტერატურაში - გერმანულ შვანკებსა და ფრანგულ ფაბლიოებს. შეიძლება ისიც დაუშვათ, რომ ნოველა თავისი წარმოშობისთანავე ისწრაფოდა პროზის სხვადასხვა სახის სინთეზისაკენ.

ასეთი მცირე ზომის სტატიაში, რა თქმა უნდა, არც შევეცდებით გადავჭრათ ნოველის ჟანრული გენეზისის ურთულესი პრობლემა. უბრალოდ, გვინდა აღვნიშნოთ ამ ჟანრის სინთეზირების უნარი, რადგან მან თავიც შეინარჩუნა, ევოლუციაც განიცადა და დღესაც აგრძელებს არსებობას.

ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ხაზი გაუყვავთ, რომ თავისი არსებობის ადრეულ ფაზაში ნოველას ახასიათებდა განსაზღვრული ნიშნები: ეს იყო პატარა მოთხრობა, რომელსაც გააჩნდა უბრალო, მაგრამ დინამიური სიუჟეტი, ძირითადად ფილოსოფიური და თეორიული პრობლემატიკის გარეშე, ხასიათების სუსტი ფსიქოლოგიური დამუშავებით.

XIX საუკუნის დასაწყისში ნოველამ, როგორც ლიტერატურის სხვა ჟანრებმა, გაიარა გრძელი და რთული გზა. აღნიშნულ პერიოდში ნოველა, მიუხედავად მთელი მისი მრავალსახეობისა, გამოირჩევა თავისი წინამორბედებისაგან. სიუჟეტის უბრალოება, ლაკონიზმი და ხშირ შემთხვევაში სიუჟეტური დინამიკა ადგილს უთმობს ადამიანის ხასიათის გახსნას, რის გამოც მატულობს ფსიქოლოგიური ელემენტები. მოაზროვნე და მგრძნობიარე გმირი ქმედებებზე მნიშვნელოვანი

განდა. იგი არამართო "ფაქტების", არამედ "სულის" სამყაროშიც ცხოვრობს. მისი ინტელექტი და ემოცია მწერლის ყურადღების ცენტრში ექცევა.

XIX საუკუნის ნოველისტიკა, განსაკუთრებით რომანტიკული ესთეტიკის ბატონობის დროს, ხასიათდება აბსტრაქტული აზროვნებით, ფილოსოფიური პრობლემატიკით, რასაც მოგვიანებით ნოველისტური ჟანრის ტრადიციული პარამეტრების ნგრევაც მოჰყვება. შეიძლება გვეფიქრა, რომ ნოველის თვითგანადგურება" გამოიწვევდა მის შერწყმას მცირე ფორმის სხვა სახეობებთან, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დროთა განმავლობაში ნოველა თანდათანობით გადადიოდა სააჟურნალო ლიტერატურის" სახეობაში. ამ ლიტერატურას კი თავისი კანონები, კრიტერიუმები და სტანდარტები ჰქონდა. ამის დასადასტურებლად საკმარისი იქნებოდა გვეხსენებინა ფ. ს. ფიცჯერალდის წუხილი იმის შესახებ, რომ იგი იძულებული იყო "გაეფუჭებინა" თავისი ნოველები, რათა მოერგო სააჟურნალო მოთხოვნებისათვის. სააჟურნალო "კანონები" კი განაპირობებდნენ ნოველის საწყისი ჟანრობრივი პრონციპების აღდგენას: ლაკონიზმს, უბრალოებას, სიუჟეტურ დინამიკას, თუმცა მათ ვერ შეძლეს ნოველის ევოლუციის შეჩერება.

უდავოა, XIX საუკუნე წინა პერიოდებთან შედარებით ხასიათდებოდა დინამიური, ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმებით. მას არც ეპოქის სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრება ჩამორჩებოდა. რაღა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული პერიოდის მატერიალურმა და სულიერმა ცხოვრებამ თავისი ანაბეჭდი დაადო ევროპულ და ამერიკულ მხატვრულ აზროვნებას, ხელოვნების თეორიას და პრაქტიკას და პირველ რიგში ლიტერატურას.

საუკუნის დასაწყისი კლასიციზმსა და რომანტიზმს შორის სასტიკი ბრძოლითაა ნიშნდებული, რაც საბოლოოდ ცნობილი რომანტიკოსი მოაზროვნეების ესთეტიკაში აისახება. მათ ხელოვნება უმაღლესი ჭეშმარიტების" შეცნობის საშუალებად აღიარეს, ხოლო პოეტები - კაცობრიობის ლიდერებად. რომანტიკული ესთეტიკის მიღწევები დიდი მნიშვნელობისა იყო, თუმცა მათი აქ წარმოჩენა და თუნდაც ჩამოთვლა სასესებით უადგილოდ გვეჩვენება. რომანტიკული ტრადიციები XIX საუკუნის ბოლომდე დიდ ზეგავლენას ახდენდა ევროპისა და ამერიკის ლიტერატურის განვითარებაზე.

ზემოაღნიშნული ეპოქის ესთეტიკური და ლიტერატურული ცხოვრების სქემატურად გადმოცემის მიუხედავად სასესებით ნათელია, რომ იგი სასესე იყო ენერგიით, დინამიკით და შინაგანი წინააღმდეგობრიობით. რომანტიკულმა იდეოლოგიამ დაამკვიდრა ახალი შეხედულება ხელოვნებისა და ხელოვანის მნიშვნელობასა და ღირებულებაზე საზოგადოების ცხოვრებაში. მრავალი საუკუნის განმავლობაში ხელოვანი აღიქმებოდა "მსახურად". XIX საუკუნემ კი იგი აიყვანა უმაღლეს მწვერვალზე, როგორც "ფიქრთა მეუფე". ასეთ სიტუაციაში ხელოვნებამ და მისმა შემქმნელმა შეიძინა ახალი სტატუსი და დიდი პასუხისმგებლობა, რისი

გააზრებაც მას აქცევდა ტრაგიკულ ფიგურად. არ არის გასაკვირი, რომ რომანტიკულ ლიტერატურაში თვით ხელოვნება გადაიქცა მხატვრული ძიების საგნად, ხოლო ხელოვანი - მის გმირად.

რა თქმა უნდა, სხვადასხვა ერების ლიტერატურაში აქცენტები სხვადასხვაგვარად ნაწილდებოდა და თავად პრობლემისადმი დამოკიდებულებაც არა ცალსახა გახლდათ. თუმცა რომანტიკული ნოველის კლასიკური მაგალითები ხელოვნების შესახებ უნდა ვეძებოთ გერმანულ რომანტიკოსებთან და, კერძოდ, ე. თ. ა. ჰოფმანის შემოქმედებაში.

გერმანული რომანტიკოსები მიიღტვოდნენ აბსტრაქციებისაკენ. მათ ყველაზე მეტად აინტერესებდათ ფილოსოფიურ-ესთეტიკური პრობლემები. ფაბულა, სიუჟეტი, ხასიათები კი მხოლოდ საჭირო იყო ამ პრობლემების გაფორმებისა და ილუსტრირებისათვის. აქედან იღებს სათავეს სიუჟეტების და მხატვრული სახეების პირობითობა.

ამერიკელებთან, სადაც ეროვნული ხელოვნება ის ის იყო ყალიბდებოდა, შეიძლება შევნიშნოთ ასასტიკი¹ ესთეტიზმის აფეთქება. რომელიც წარმოიშვა როგორც რეაქცია ეროვნული იდეოლოგიის უტილიტარიზმზე და პრაგმატიზმზე. არ არის გასაკვირი, რომ ამერიკელი ავტორების შემოქმედებაში თვითონ შედეგის შექმნის აქტი და სილამაზესთან შესება უფრო მნიშვნელოვანია ხელოვანისათვის, ვიდრე მხატვრული შედეგი (ნ. პოთორნი) და თვით ადამიანს სიცოცხლე, რომელიც მსხვერპლად ეწირება ხელოვნებას (ე. პო).

ბუნებრივია, რომ ხელოვანი რომანტიკულ ნოველისტიკაში წარმოდგენილია როგორც არაორდინალური პიროვნება, რომლის მისწრაფებანი, იდეები, შესხედულებანი მალდდება მასების ტრივიალურ აზროვნებაზე. მისი ადამიანური ბედი, როგორც წესი, ტრაგიკულია, რადგან არ შეუძლია დაემორჩილოს ეთიკურ „ნორმებს“ მისი ტალანტის დაღუპვის გარეშე. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ტრაგიზმის ფესვები უფრო არა ხელოვანის და საზოგადოების კონფლიქტშია საძიებელი, არამედ თვით შემოქმედებითი შემეცნების სპეციფიკაში, რომელიც ხელოვანს, როგორც „განსხვავებულს“, „ყველასაგან გამორჩეულს“, აშორებს და აუცხოებს კაცობრიობისაგან.² არ არის შემთხვევითი, რომ გერმანელი და არა მარტო გერმანელი რომანტიკოსები, თავიანთი ნოველების გმირებად ირჩევდნენ რეალურად არსებულ ხელოვანებს: მხატვრებს, პოეტებს, მუსიკოსებს, რომლებიც „შეშლილები“ რეპუტაციით სარგებლობდნენ.

რომანტიკოსების ფილოსოფიური ორიენტაცია ცალსახად იდეალისტური იყო. მათ ნოველისტიკაში, სადაც ხელოვნებისა და ხელოვანის პრობლემა იდგა, ყოველთვის არსებობს ღმერთის, აბსოლუტური სულის, ინტუიციის, წარმოსახვის კატეგორიები.

ხელოვანისა და ხელოვნების ფუნქციის განსაზღვრისათვის მეტად საინტერესოა

ცნობილი ამერიკელი რომანტიკოსის ნათანიელ პოთორნის ესთეტიკა და მხატვრული პრაქტიკა.³ პოთორნი აღიარებდა რომანტიკულ ხედვას - იმ იდეებს, ახალი ინგლისის ცნობიერებაში უორდსუორთისა და კოლრიჯის საშუალებით რომ შემოიჭრა. გერმანული იდეალიზმის ფილოსოფიამ ახალ აზროვნებას დაუდო სათავე. პოთორნიც, მსგავსად სხვა რომანტიკოსებისა, იდეალისტი გახლდათ, მაგრამ მისი ლეგენდების კონფიგურაცია, თხრობისა და ხასიათის დაძაბულობა, სიმბოლოები და ტონი საპირისპიროს ნიშნავს. იგი ძირითადად მაინც ტრანსცენდენტალისტების შეხედულებას ეთანხმებოდა ხელოვნების შესახებ, თუმცა მის შემოქმედებაში მათი კრიტიკაც შეიმჩნევა.

რომანტიკოსებს ლიტერატურული რეალიზმი ხელოვანის მართალი ხედვის მტრად მიაჩნდათ. ასეთი მიდგომა ხელოვნებისა და რეალობისადმი განაპირობებს ხელოვნების მატერიალური მასალის უარყოფას, უფრო ხელოვანის ხედვას და განზრახვას აზვიადებს, ვიდრე განხორციელებული იდეის ზუსტ გამოვლენას. პოთორნის კომენტარები ხელოვნების შესახებ ამჟღავნებს, რომ ის უფრო მეტად დაინტერესებული იყო ხელოვანის შთაგონებით ვიდრე ხელოვნების ნიმუშის ტექნიკური ხარისხით. იგი აქებდა გვიდოს, სოდომს, პერუჯინოს იმ შთაგონების ხარისხის მიხედვით, რაც მათ ნამუშევრებში დაინახა. ასე მაგალითად, ის გრძნობდა, რომ ჰანტისა და ზოგიერთი პრერაფაელიტის ტილოები «იყო თანამედროვე სურათები, რომლებიც აღწევდნენ უფრო მაღალ მიზანს, ვიდრე თვალის სიამოვნებაა. ესენი ერთადერთნი არიან, გონების დაპყრობა რომ შეუძლიათ. მეტისმეტად ბევრი ხელოვანი მხოლოდ თვალის დასაკმაყოფილებლად მუშაობს და არ ხატავს სულის შადრევნებს».⁴

«მშენიერების ოსტატში» (“Master of the Beautiful”) პოთორნი წერს: «უაი, რომ ხელოვანი, თუნდაც პოეზიაში, ან ხელოვნების სხვა დარგში, არ უნდა კმაყოფილდებოდეს შინაგანი ტკობის მშენიერებით, არამედ უნდა მისდევდეს მოფარფატე მისტერიას ეთერული სფეროს საზღვრის ზემოთ და თავისი ავადმყოფური ყოფა ამ ქვეყნად უნდა ამოწუროს».⁵ პოთორნისათვის უფრო მნიშვნელოვანია,

თუ რას გულისხმობს ხელოვნების ნიმუში, ვიდრე ის, რასაც რეალურად გამოხატავს. მართლაც, არაფინ წაიკითხავს ლექსს ან შეხედავს სურათს, ქანდაკებას, თუკი არ შეუძლია უფრო მეტი დაინახოს მათში, ვიდრე პოეტმა თუ მხატვარმა რეალურად გამოხატეს. ხელოვანს, ჭეშმარიტი ხელოვნების თაყვანისცემელს, უნდა ჰქონდეს უკეთესი ხედვა იმასთან შედარებით, რასაც იგი ხილულ ფორმაში წარუდგენს კაცობრიობას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოთორნი ხელოვნების ნიმუშის დასრულებული ფიზიკური ფორმის მიმართ რომანტიკულ სიძულვილს განიცდიდა. იგი უპირატესობას ანიჭებდა შინაგან არსს და განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდა ნანგრევების მიმართ. რომანტიკოსი ხელოვანი უნდა

ჰგავდეს სპირიტუალისტურ მედიუმს ან რელიგიოზურ მისტიკოსს, რომელიც ერთი შესვლით ვერ ჩასწვდება ბუნების არსს.

მწერალი, თავის თანამედროვეთა მსგავსად, ეთანხმება ხელოვანის აღმატებულების იდეას, მის უნიკალურ ძალას, ჩასწვდეს საგანთა გულს. ღვთიურად შთაგონებული ხელოვანის ნამუშევრები ჯადოსნურია. ჰოთორნი გრძნობდა, რომ მხატვრობა ამ ზებუნებრივ ძალას სხვა დარგებზე მეტად ფლობდა: „ეს ჩემი ახლანდელი აზრია, რომ ფერწერულ ხელოვნებას გამოხატვის საშუალებებში შეუძლია იყოს მაგიური, უფრო აღმატებული და მიუღწეველი, ვიდრე პოეზია ან ხელოვნების სხვა დარგი.“ მისი აზრით, ლიტერატურასაც შეეძლო ჯადოქრობა. მწერალი იმედოვნებდა, რომ თითოეული წიგნი, რომელსაც ის კითხულობდა, ფლობდა ჯადოს, რომლის საშუალებითაც აღმოაჩენდა განძს ჭეშმარიტების გამოქვაბულში.⁷ ჰოთორნისათვის ხელოვნება გულისხმობს მაყურებლისათვის იმ იდეალურის წარდგენას, რომელიც ხილული სამყაროს ფარდის უკან იმალება. მხოლოდ ხელოვანს შეუძლია შთაგონების მომენტში თვალი მოჰკრას უმაღლეს რეალობას, იმას, რაც მნიშვნელოვანია ხელოვნების ნიმუშში და ზედაპირული კი არ არის, არამედ ნამდვილ შთაგონებაზე მიაწინებს.

რომანტიკული ტრანსცენდენტალიზმი უფრო პოეტური იყო, ვიდრე ფილოსოფიური. ამ ესთეტიკაში წარმოსახვა დაპირისპირებულია ფანტაზიასთან. ჰოთორნი ეთანხმებოდა ხელოვანის რომანტიკულ მდგომარეობას, რომელიც ფილოსოფიურად წარმოსახვასა და ინტუიციურ იმპულსზე იყო დამოკიდებული. ყოველივე ეს ჰოთორნმა გამოიყენა თავის ნააზრევში, რაც ყველაზე მეტად იგრძნობა ნოველაში „მშენიერების ოსტატი“. მასში გამოხატულება ჰპოვა მწერლის შესვლულებებმა პრაგმატულ გარემომცველ სამყაროსთან ხელოვანის ურთიერთობების სირთულეზე.

ამასთანავე, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სიუჟეტი მასში წარმოადგენს მხოლოდ საფუძველს ფილოსოფიური განსჯისათვის, თუ რას წარმოადგენს მშენიერება, რაში მდგომარეობს ხელოვნების დანიშნულება, როგორ მიმართებაში იგი სინამდვილესთან...

ჰოთორნისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ხელოვანის მარტოსულობის თემა, რომელსაც იგი გაიაზრებდა არა როგორც პოზას, არამედ აღიქვამდა, როგორც ერთსა და ბევრს შორის განლაგების რეალურ შედეგს. აქ იგულისხმება ხელოვანი და აუდიტორია, განხეთქილება და უფსკრული მათ შორის კი იდეალისტმა ფილოსოფოსებმა კიდევ უფრო გააღრმავეს. ხელოვანის გაუცხოების თემა, რომელიც დღესდღეობით ასე აქტუალურია, სწორედ აქ იღებს სათავეს. ამ მხრივ ბრძოლა ხანგრძლივი იყო არა მისი გმირებისათვის (კოვერჯელი ნაწარმოებიდან „ბლათიდელის რომენსი“), არამედ თვითონ მწერლისათვის. ის არ კმაყოფილდებოდა იმით, რომ მისი ხელოვნება ყოფილიყო საქმიანობა ცხოვრების განაპირა მხარეს,

როგორც ეს „მშენებლების ოსტატი“ მთავარი გმირის ოუენ უორლანდის შემთხვევაში ხდება.

„მშენებლების ოსტატი“ მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი გამოხატავს მწერლის შიშს იმ ფატალური შედეგებისადმი, რაც შეიძლება მოჰყვეს იმას, თუ ადამიანი თავს მიუძღვნის ხელოვნებას. ეს კი განსაკუთრებით საბედისწეროა ახალ ინკლისში. ჰოთორნის ნოველას სოციალური ელფერიც დაჰკრავს, რადგან, მწერლის აზრით, ამერიკული საზოგადოების პრაქტიკული ცხოვრება „განქორწინებულია შემოქმედებით იმპულსთან“, რადგან მისი დროის ამერიკა ვერ წარმოშობდა მაღალ ხელოვნებას.

ის იყო პურიტანი, მაგრამ არც ისაა გასაკვირი, რომ იგი ვერ მიიღებდა ხელოვნების იმ განსაზღვრებას, რომელიც ამ უკანასკნელს მეორეხარისხოვან და უსარგებლო საქმიანობად თვლიდა.

მიუხედავად ჰოთორნის არაცალსახა დამიკიდებულებისა ხელოვნებისა და ხელოვანის პრობლემისადმი, იგი იყო იდეალისტი, ვინც ესთეტიკურ რეალობას ხშირად ტრანსცენდენტალურად აღიქვამდა. ამ ესთეტიკაში წარმოსახვა დაპირისპირებულია ფანტაზიასთან, რაც გულის ქმედებებს გონებისგან აცალკევებს. ჰოთორნი ეთანხმებოდა ხელოვანის რომანტიკულ მდგომარეობას, რომელიც ფილოსოფიურად დამოკიდებული იყო უმაღლეს მიზეზზე, წარმოსახვაზე და ინტუიციურ იმპულსზე, რაც ასე ნათლად გამოიხატა მის შემოქმედებაში და კერძოდ, ნოველაში „მშენებლების ოსტატი“.

მეტად საინტერესოდ გვეჩვენება ამერიკული რომანტიზმის ასევე თვალსაჩინო წარმომადგენლის ე. ა. პოს დამოკიდებულება ხელოვნებისა და ხელოვანის პრობლემისადმი. ამ მხრივ ნოველა „აშერთა დაქცევის“ თემატიკა ზუსტად ეხმიანება შემოქმედი კაცის რაობასა და საერთოდ ხელოვნების პრობლემას. ხელოვნება ხომ, პირველ რიგში, შემოქმედის ბუნებითაა განპირობებული. დიდი ხელოვანის თვალი (ხედვა), თითქოსდა მიკროსკოპის ქვეშ რომ სჭკრეტს ადამიანსა და ადამიანის სარბიელს (ამგვარად, ადამიანს - ფართო გაგებით), დიდი ნიჭისა და უნარის მეშვეობითაა მომართული. დიდი მწერალი, ვაჟა ფშაველას მინდიას დარად, გებულობს სხვის სატკივარსა და გულისთქმას. თანაღმობის გრძნობა უმნიშვნელოვანესი დამასასიათებელი ნიშანია დიდი ხელოვანისა.⁸ როდერიკ აშერი კი სწორედ ისეთი გმირია, რომელიც ზემოთ ხსენებულ ხელოვანთა რიცხვს არ მიეკუთვნება. ე. პოსავე სიტყვებით რომ ვთქვათ: „რად არ ვიცი, მაგრამ ამ შენობის შეხედვისთანავე შემოიპყრო გაუსაძლისმა კაჟანმა“.⁹ სწორედ ამგვარი კაჟანის გამო, ცხოვრება აუტანელი გამხდარა როდერიკ აშერისათვის. თუმცა ავტორი აქვე აზუსტებს, რომ აშერების „უძველესი ჩამომავლობის ხალხი უხსოვარი დროიდანვე გამოირჩეოდა საოცრად მგრძნობიარე გულით, რაც საუკუნეების მანძილზე ხელოვნების მრავალი შედეგის შექმნით, ხოლო უკანასკნელ ხანებში

ნადავ საბოძვარსშირი, მაგრამ არაშემაწუხარი ქველმოქმედებით გამოხსატებოდა. მუსიკის საყოველთაოდ ცნობილ, ყველასათვის ხელმისაწვდომ ნაწარმოებთა მშვენიერებით კი არა, უფრო რთული ვარიაციებით იყვნენ გატაცებულნი.¹⁰ "გრძნობიერება სიკეთის საფუძველია, ადამიანურობის უძირითადესი ნიშანია," და ამგვარად, ე. პოს მიხედვით, ხელოვნების შედევრის შექმნა, ისევე როგორც სიკეთე, ადამიანის გარკვეულ დამახასიათებელ თვისებას მოითხოვს.¹¹

როდერიკ აშერს მართლაც ჰქონდა მრავალი მუსიკალური, პოეტური თუ ფერწერული ნაწარმოები: "მიწყვი მიჟღერს ყურში მისი გაუთავებელი სამგლოვიარო სიმღერა - იმპროვიზაციები", "მრავალი სურათი, რომლის შექმნაზეც მუშაობდა მისი ფანტაზია..." მისი პორტრეტიც ნამდვილად დიდი შემოქმედის დასასიათებაა: "მიცვალებულისნაირად სახეგაფითრებული, თვალები შეუდარებელი, ბრიალა, სველი და დიდრონი, საოცრად მშვენიერი, სულ უსისხლო და თხელი ტუჩები; კეხიანი ლამაზი ცხვირი..." "ასულიერ უღონობაზე მეტყველებდა მისი ნატიფი, პატარა ნიკაპი..."¹²

როდერიკ აშერის სულიერი ძალის სისუსტე, რისი საფუძველიც დიდი ხელოვნის მგრძნობელობაა, გადმოცემულია არამარტო პორტრეტის დახატვისას, არამედ ბევრ სხვა ადგილას.

საგულისხმოა, რომ ხელოვნისა და ხელოვნებისადმი დამოკიდებულება ე. პომ მრავალ სხვა ნოველამიც გამოხატა, თუმცა მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია "ოვალური პორტრეტი" ("The Oval Portrait"), რომელიც პირველად 1842 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში "Gody's Ladies and Gentlemen's Magazine", ხოლო 1842 წლის აპრილში სახელწოდებით - "სიკვდილშია სიცოცხლე". 1845 წელს "Broadway Journal"-ში კი გამოვიდა გადამუშავებული ვარიანტი - პომ თითქმის ორჯერ შეამცირა ნოველის ექსპოზიცია და ბოლოს მოაცილა მხატვრის შეძახილი "მაგრამ ეს განა სიკვდილია!", რითაც გააძლიერა ნოველის "ფექტის მთლიანობა". აზრი იმის შესახებ, რომ ხელოვნებასა და რეალობას შორის არსებობს განუწყვეტელი, თუმცა ძალიან რთული კავშირები, მწერალმა გამოხატა კონკრეტულ სახეებში: ადამიანი და მისი პორტრეტი. ეს ხერხი კი არაერთხელ იქნება მოგვიანო ლიტერატურაში გამოყენებული.

ცნობილია, ხელოვნებას მაღალი შემეცნებითი წინშვნელობა აქვს, რაკილა გვიჩვენებს ყოფიერების ისეთ შრეებს, რომლებიც მეცნიერულ ადამიანისმცოდნეობას გამორჩება ხოლმე. დიდი მწერალი ღრმად სწვდება ადამიანის ბუნების საიდუმლოს... პოსეული გმირების გრძნობები ქაქსიმალურად ადეკვატურია რეალობისა, როცა სხვა მწერლები გმირის გრძნობის გამოხატვისას ამ გრძნობების ასლს გვთავაზობენ.

ხატოვნად თუ ვიტყვი: "დაჩუდით ვიოლებო, ანკარა კრისტალებო, სწრაფო სფეროებო: თქვენ სიტყვებს წარმოთქვამთ, ის კი საცნებს".¹³

ნოველა ყოველთვის იყო და რჩება გარკვეული აზრით ექსპერიმენტალურ

უანრად. თავისი „მცირე ფორმატის“ გამო იგი მოსახერხებელ საჯილდო ქვას წარმოადგენს ახალი იდეებისა და მხატვრული პრინციპებისათვის. ხელოვნებისა და ხელოვანის ბედი - XIX საუკუნეში ექსპერიმენტულად „შემოწმებული“ თემა - შევიდა ძირითად თუ დამხმარე თემად იმ რომანებში ან ეპიკური რომანების ციკლებში, რომლებიც შეიქმნა შემდგომი ეპოქების დიდი ოსტატების მიერ. მათ მიმართავენენ ზოლა და მოპასანი, უაილდი და გოლზუორთი, თომას მანი და ჰაინრიხ მანი, რომენ რ.ოლანი, ლონდონი, დრაიზერი და სხვა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ზემოთ აღნიშნული თემები და მათთან არსებული პრობლემები აღარ გვხვდება ნოველისტიკაში. ექსპერიმენტების აუცილებლობაც არ გამქრალა. პირიქით, იგი დღითიდღე იზრდება. იზრდება ნოველისტთა რიცხვიც, რომლებიც ისეთივე ძალით არიან დაინტერესებული ხელოვნებისა და ხელოვანის პრობლემებით, როგორც გასული საუკუნეების შემოქმედნი.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ С. Мокульский, Бокаччо – Из кн.: История западноевропейской литературы. Раннее средневековье и Возрождение. М., 1947, стр. 311.
- ² Ю. Ковалёв, Искусство новеллы и новелла об искусстве в XIX веке. Из кн.: «Искусство и художник в зарубежной новелле XIX века». Л., 1986, стр. 19.
- ³ ნ. ჭიღვარია, ნ. ჰოთორნის ესთეტიკური შეხედულებანი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ტ. VII (II), ქუთაისი, 2005, გვ. 299.
- ⁴ M. T. Elder, Hawthorne: Transcendental Symbolic, Ohio University Press, 1969, p. 49.
- ⁵ R. H. Fogle, "The Artist of the Beautiful". In: Hawthorne's Fiction: The Light and the Dark, University of Oklahoma Press, 1952, p. 104.
- ⁶ ციტირებულია წიგნიდან: M. Bell, Hawthorne's View of the Artist. UP of NY, 1962, p. 80.
- ⁷ Ibid, p. 57.
- ⁸ ზ. კილაძე, ედგარ პოს მოთხრობები. ბოლოსიტყვაობა წიგნში: ედგარ პო. „17 მოთხრობა“, თბ., 1982, გვ. 220.
- ⁹ ე. პო, 17 მოთხრობა. თბ., 1982, გვ. 161.
- ¹⁰ Ibid, გვ. 163.
- ¹¹ Ibid, გვ. 168.
- ¹² Ibid, გვ. 165.
- ¹³ ზ. კილაძე, Op. Cit., გვ. 232.

SUMMARY

**THE PROBLEM OF ARTIST IN THE XIX CENTURY
AMERICAN ROMANTIC TALE (N. HAWTHORNE, E. A. POE)**

The problem of Art and Artist plays essential role in the 19th century American romantic literature in general and in short fiction in particular. This problem finds expression in N. Hawthorne's and E. A. Poe's literary writings.

Western European and American short story paved the most difficult way making special efforts to develop.

In writings of American romanticists the act/process of creating a masterpiece itself is more important than its literary output (N. Hawthorne); the life was to be sacrificed to Art, the latter being more sublime and perfect than the former (E. A. Poe).

In Hawthorne's imagination reality stands in sharp contrast with fantasy. Hawthorne's perception of aesthetic reality is transcendental.

Nowadays, short story still continues to be an experimental genre, an array for implementing new ideas and artistic principles. The form of the short story is a suitable space for this experimenting.

It should be mentioned that the problem of Art and Artist remains to be the most essential problem in literature up to the present days.

Contemporary literature takes as much interest in this problem as the artistic imagination of the last century.

ირაიდა ბროტანო

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობა პოლიფუნქციურ თეორიულ სივრცეში

ლიტერატურათმცოდნეობის პირველი დამოუკიდებელი სამეცნიერო მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება რუსეთში მოხდა ფორმალისტების მიერ, მაგრამ რუსი ფორმალისტები არ განიხილავდნენ ლიტერატურული ტექსტის ისეთ კომპონენტებს, როგორცაა სემანტიკა, რეცეფცია, დიალოგიზმი. ფილოლოგიის მეცნიერების ეს ნაწილი შეაგუს მ. ბახტინმა და ა. ლოსევმა. XX საუკუნის 10-იან წლებში რუს ფორმალისტთა ძალისხმევით გამოცხადებულ იქნა დამოუკიდებელი მეცნიერება - პოეტიკა. უკვე ემიგრაციაში (პრადის ლინგვისტური წრე) რუსული ლიტერათმცოდნეობა გარდაიქმნა დამოუკიდებელ მეცნიერებად. მ. ბახტინის, დ. ლიხაჩოვის, ი. ლოტმანის სახელებს კარგად იცნობს მთელი ფილოლოგიური სამყარო, მათი გამოკვლევების საფუძველზე იკითხება სალექციო კურსები მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტში, მათ შორის პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებშიც. რუსი ფორმალისტებისაგან სწავლობდნენ ფრანგ, პოლონელ, ამერიკელ მკვლევართა თაობები. განვითარდა აგრეთვე ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური სკოლები.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაწყებული 90-იან წლებამდე თეორიული პოეტიკა სასტიკ რეპრესიებს განიცდიდა, ნებადართული ლიტერატურათმცოდნეობის სახით კი თითქმის XX საუკუნის დასასრულამდე გვევლინებოდა სოციოლოგიური მეთოდოლოგიის საფუძველზე არსებული კულტურულ-ისტორიული სკოლა. ლიტერატურათმცოდნეები წერდნენ მწერალთა ცხოვრების ისტორიულ-ლიტერატურულ მიმოხილვას; ლიტერატურული შემოქმედების მეორე დამკვიდრებულ სახეობას თხზულებათა და ფაქტოგრაფიების კრებულთა კომენტარები წარმოადგენდნენ. ამ ფონზე მძლავრი განვითარება მხოლოდ ტექსტოლოგიამ ჰპოვა. ხრუშჩოვის «оттепель»-ის დროს აღორძინდა მორფოლოგიური ლიტერატურათმცოდნეობა და ისიც მხოლოდ ესტონეთში, ტარტუს უნივერსიტეტის კედლებში (ი. ლოტმანი). ეს იყო საბჭოთა სკოლათაგან ერთადერთი, რომელმაც მიიღო საერთაშორისო აღიარება.¹

იმ დროს დასავლეთისა და აშშ-ს ლიტერატურათმცოდნეობამ შექმნა ლიტერატურულ-კრიტიკულ სკოლათა რთული სისტემა (ესენია: ჰერმენევტიკა, ახალი კრიტიკა, სტრუქტურალიზმი, რეცეფციული ესთეტიკა, მითოლოგიური კრიტიკა, დეკონსტრუქტივიზმი, პოსტმოდერნიზმი), ასევე განშტოებული

ტერმინოლოგიური აპარატი, რომლის ცოდნაც აუცილებელია ყოველი ლიტერატურათმცოდნესათვის. ამ სკოლათაგან თითოეულს გააჩნია საკუთარი მეთოდოლოგიური პარადიგმა, ის ფუნქციონირებს თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის ფართო კონტექსტში. ტერმინოლოგიური და თეორიული სიჭრელე ბევრ რამეში დაკავშირებულია ლიტერატურული მეცნიერების სპეციფიკასთან, ტერმინოლოგიის აბსოლუტური უნიფიკაცია გამორიცხებულია. მაგრამ დასავლეთეუროპული და ამერიკული სკოლების საბაზისო ცოდნის შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბებისა და პოსტსაბჭოთა დონის ქვეყნების პოლიფუნქციურ თეორიულ სივრცეში მისი შეყვანის გარეშე შეუძლებელია სამეცნიერო დიალოგი, პროფესიული ურთიერთობა მეცნიერთა შორის, საერთოდ, პროფესიული სამეცნიერო მოღვაწეობა. წინამდებარე ნაშრომში დამოუკიდებელ ტერმინთა არსებითი წარმოდგენა არ გამორიცხავს ლიტერატურათმცოდნეობითი ლექსიკონების მომზადებას, რომლებიც ასახავენ ზემოხსენებულ სკოლათა ძირითად ტერმინებს და მათ ინტერფერენციას მოსაზღვრე მეცნიერებათა ინტეგრაციის ხარჯზე.²

უნდა აღინიშნოს, რომ დასმული მეთოდოლოგიური ხასიათის ამოცანის სირთულესთან ერთად თავს იჩენს სრულიად არაჰუმანიტარული დონის პრობლემათა მთელი რიგი. დასავლეთის იმ ქვეყნებშიც, რომლებსაც იდეოლოგიური ტერორი არ შეხებია, XXს. 40-50-იან წლებში ასევე იგრძნობა ლიტერატურათმცოდნეობითი სოციოლოგია ძლიერი გავლენა. დასავლეთეუროპული ლიტერატურათმცოდნეობა „წითელ ათწლეულს“ განიცდიდა, ეს გავლენა ნაკლებად შეიმჩნეოდა ამერიკულ ლიტერატურასა და ამერიკულ თეორიულ პოეტიკაში. მსოფლიოში, უპირველეს ყოვლისა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ჩამოყალიბდა მიმდინარე თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე ამერიკული თეორიული აზრის ქმედითი გავლენის ტენდენცია. ბევრ რამეში ეს ფაქტი აიხსნება ამერიკული დემოკრატიის არსით. მე-20 საუკუნის შუა წლებიდან ამერიკულმა თეორიულმა პოეტიკამ და მხატვრულმა პრაქტიკამ დაიწყო 3 უმანიზმის არატრადიციული ვერსიების განვითარება. ამ მხრივ ის საფრანგეთის, გერმანიისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების შემდგომ, შეუდგა ცხოვრების, ინფორმაციის, კულტურისა და მეცნიერების ამაღლებული ხარისხის სტრატეგიას. თუ XX საუკუნის 70-იან წლებში დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაში ხდებოდა რეცეპტიული პოეტიკის, ესთეტიკის და ნარატოლოგიის დამუშავება, ხოლო ლიტერატურული თეორია და პროდუქცია კი წარმოდგენდა იდეებისა და მეთოდების თავისუფალ ბაზარს, ამერიკაში 60-იანი წლებიდან ჭარბობს დეკონსტრუქტივიზმი, რომელიც ხასიათდება თავისი პოლიფუნქციური ზემოქმედებით თეორიასა და ლიტერატურულ პრაქტიკაზე არა მარტო ამერიკაში, არამედ მთელ მსოფლიოში. თავისი ზემოქმედების ძალით ეს მიმართულება

შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ახალ კრიტიკას", რომელსაც წამყვანი ადგილი ეჭირა ამერიკანისტიკაში ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ახალმა კრიტიკამ შექმნა მხატვრულ ტექსტზე მუშაობის მეთოდიკა, რომელიც დღესაც გამოიყენება აშშ-ს უნივერსიტეტების პრაქტიკაში. დეკონსტრუქტივიზმის საფუძვლები ჩამოყალიბდა საფრანგეთში (მ. ფუკო, ი. კრისტევა, რ. ბარტი), მაგრამ სწორედ აშშ-ში მან შეიძინა ერთ-ერთი გავლენიანი მიმართულების მნიშვნელობა, გადაამუშავა ფრანგული თეორია ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობის ეროვნული ტრადიციების პოზიციიდან (ჟ. დერიდა, მანი, ბლუმი, ჰარმანი, მილერი).³ არანაკლები გავლენა ამ ტრადიციის ჩამოყალიბებაზე მოახდინა ამერიკული პრაგმატიზმის თეორიამ, ამერიკულმა ოცნებამ. პრაგმატულმა თეორიებმა მოახდინეს თეორიული სისტემების დეცენტრალიზაცია, წინა პლანზე წამოიწია ეკოლოგიის, პოლიტიკის, კულტურისა და განათლების ჰუმანიზაციის ტიპური ამოცანები. თუ ლიტერატურის ტრადიციულ თეორიებში პირველ ადგილზე ავტორი იდგა, ახალი დროის თეორიებში წამყვანი ადგილი ტექსტმა დაიკავა. დერიდამ გადასინჯა ლოგოცენტრული კონცეფცია. მისი აზრით, დეკონსტრუქტივიზმი ათავისუფლებდა აზრს ცენტრისაგან; სიტყვების მნიშვნელობა თავად სიტყვებში კი არ ძეგს, არამედ მათ შორის; ენა იჭრება უნივერსალური პრობლემატიკის სფეროში. ტექსტუალობის ამერიკულმა თეორიამ გააფართოვა თეორიის პირვანდელი საზღვრები (ი. კრისტევა). ლიტერატურის შესწავლა ამ გაგებით ნიშნავს ინტერტექსტუალობის შესწავლას. ამერიკული დეკონსტრუქტივიზმის თეორიების პოლიფუნქციურობამ განაპირობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მოსაზღვრე დარგების - სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის, თეოლოგიის - სწრაფი ექსპანსია. პოსტმოდერნისტულ აზროვნებაზე დაფუძნებული დეკონსტრუქტივიზმი ითვალისწინებდა ინტერპრეტაციათა სიმრავლეს ტექსტის მრავალგანზომილებიანი სტრუქტურის გაგების ჭრილში. კულტურის პერიფერიულმა დარგებმა (თამაში, მასობრივი კომუნიკაცია) გავლენა იქონიეს აშშ-ში "მულტიკულტურის" სფეროებზე. ამგვარი ფონი იდეალური აღმოჩნდა ინდივიდუალური შემოქმედების თავისუფალი თამაშისათვის. დეკონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი პოსტულატი იყო ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა "ზოგადკულტურული დისკურსის" ფართო კონტექსტში. ასეთი მიზანდასახულობა ასევე შეესაბამება ამჟამად გავრცელებულ აზრს ხელოვნების თეორიების კონცეფციებში კულტურაცენტრიზმის პრიორიტეტის თაობაზე. ლიტერატურაცენტრიზმი ჰუმანიზმის ტრადიციული თეორიების კონცეფციას წარმოადგენდა. ამერიკული დეკონსტრუქტივიზმის მსხვილ მიმართულებად მოგვევლინა "ფემინისტური კრიტიკა", რომელიც წარმოიშვა ქალთა ემანსიპაციის ტალღაზე; ამ საფუძველზე ფემინისტებმა შექმნეს თანამედროვე გენდერული თეორიები, რომლებმაც ფართო გავრცელება ჰპოვეს

თანამედროვე სამყაროში. აღნიშნულ თეორიებს (ლაკანი, კალერი) საფუძვლად უდევს ტრადიციული კულტურის, როგორც მამაკაცურის, მამასადამე, არაჰემსმარიტის, მხილების ხარისხობრივად ახალი პრინციპი.⁴

ამერიკულ დეკონსტრუქტივისტთა მიღწევად გვევლინება დასკვნა იმის თაობაზე, რომ ტექსტის რედუცირება მის სწორ, ერთადერთ, ჰომოგენურ წაკითხვამდე ნიშნავს მისი ელემენტების თავისუფლების შეზღუდვას. ამერიკული ლიტერატურის თეორიების პოლიფუნქციური თეორიული ასპექტი მოწმობს იმას, რომ ნებისმიერ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს მოსდევს ცვლილებები, უწინარეს ყოვლისა, ენობრივ, ლიტერატურულ და კულტურულ სფეროებში, და არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. როდესაც ვლაპარაკობთ თანამედროვე ლიტერატურული დისკურსის სპეციფიკაზე, აუცილებელია გავითვალისწინოთ ლინგვისტური დისკურსის, ე. წ. ჩაცინონალურ-ენობრივი პიროვნების⁵ თეორიების მიღწევები, რომლებიც, მიუხედავად მათი ტრადიციული დამუშავებულობისა საქართველოში, უკრაინაში, ბალტიისპირეთსა და რუსეთში, მხოლოდ ახლა იძენენ შემოსხენებულ ქვეყნებში დეიდოლოგიზირებულ მიდგომას, ახდენენ ეროვნული მენტალიტეტის ნორმების აღორძინებას მისი ისტორიული და კულტუროლოგიური არსით. მასიური გავლენის პრიორიტეტულ სფეროში კულტურაცენტრიზმის შეყვანის ტენდენციიდან გამომდინარე (ა. რადუგინი), ამერიკულ ლიტერატურათა და თეორიათა დიალოგი პოსტსაბჭოთა სივრცისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ხელს შეუწყობს კულტურული ველის უნივერსალური თეორიის შექმნას. ასეთი თეორიული მიმართულების აუცილებლობა აღნიშნული იქნა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ა. ბელის მიერ. დღეს, როდესაც იცვლება წარმოდგენები სულიერ ღირებულებებზე, ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამის აუცილებლობა გამოწვეულია აგრეთვე ეროვნული მენტალიტეტის, თვითგამორკვევისა და შენარჩუნების მიზანდასასულობით. ამერიკული ლიტერატურა, კულტურა, მის საფუძველზე კი თეორიული აზრი წარმოადგენს მრავალეროვნული ერთიანობის უნიკალურ ფენომენს. პირველმა ევროპელებმა ამერიკის მიწაზე ფეხი მე-15 საუკუნეში შედგეს. მათ კონტაქტი დაამყარეს ადამიანებთან, რომლებიც ცხოვრობდნენ ევროპული სანჯაროს ფარგლებს გარეთ; სხვა კულტურულ რეალიებში, მაგრამ ეს კონტაქტი შესაძლებელი აღმოჩნდა. ამ გამოცდილებამ თავისი შედეგი იქონია და მე-20 საუკუნეში ჩვენ ვხედავთ მის შემდგომ განვითარებას. ამერიკაში ამის საფუძველზე წარმოიშვა მოვლენა, რომელმაც მიიღო „მულტიკულტურის“ განსაზღვრა; ბევრ რამეში ის უნდა უმაღლოდეს სხვა ხალხთა ნატურალიზაციის პროცესის გაგრძელებას.⁵⁵

ასეთივე მრავალეროვნა საქართველოც, აგრეთვე ევროპული და არაევროპული რეგიონების სხვა სახელმწიფოები, რომელთათვის მნიშვნელოვანია ამერიკული დემოკრატიის გამოცდილება. მაგრამ ეს გავლენა ყველაფერში ერთმნიშვნელოვანი

როდია. მთელ მსოფლიოში ფილოლოგიის ახალ თეორიულ სივრცეში არანაკლებ მნიშვნელობას იძენს ტრადიციულად ჩამოყალიბებულ ცნებათა „ვეროპეზაცია“, „გასაბჭოება“, „ვესტერნიზაცია“ თეორიული დასაბუთება. აღნიშნულმა ცნებებმა აგრეთვე განიცადეს პარადიგმატული ძვრა, როდესაც ახლებურად დაიწყეს ცვლა ურთიერთობების ვექტორებმა: ამერიკა-დასავლეთი-აღმოსავლეთი. თანამედროვე ლიტერატურულ პროცესში აშკარად ისახება ტენდენცია ვესტერნიზაციისაკენ, მწერალთა მხატვრულ გამოცდილებაზე ამერიკული ლიტერატურისა და კულტურის აქტიური გავლენის ტენდენცია. თეორეტიკოსები (ნ. არსენიევი, გ. პომერანეცი, ფ. ჯეიმსონი, მ. რიანი) ყურადღებას ამახვილებენ აგრეთვე ამ პროცესის ნეგატიურ მხარეებზეც, იმაზე, რომ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებისათვის ჩვეული წარმოდგენები ეროვნულ გარემოზე დეფორმირებას განიცდიან, ქმნიან სულიერ ქაოსს. ამგვარად წარმოქმნილი კულტურის ანკლანობა კონტრასტს ქმნის უმრავლესობის ტრადიციულ სამყაროსთან, ხდება საზოგადოებრივი აზრის გათიშვა: დასავლეთელი ვესტერნიზატორებისა და ეთნოფილების დაპირისპირება; უკანასკნელნი თავს იცავენ ეროვნული ცხოვრების წალეკვისაგან. 1990 წელს გერმანიაში ჩატარებულ ვაინგარტენის სიმპოზიუმზე (ინდივიდუალური და მასიური ცნობიერება) წამოყენებული იქნა ახალი ცნება პოლიცენტრიზმი“. ეს არის გლობალიზაციისადმი სწრაფვა. პოლიცენტრიზმის თეორიას მრავლად უყავს როგორც მომხრენი, ასევე მოწინააღმდეგეებიც.

როგორც ცნობილია, უნივერსალური თეორიები არ არსებობენ; ამერიკაში მოქმედი ყველაზე გავლენიანი დეკონსტრუქტივიზმის სკოლა მოექცა კრიტიკის ქვეშ ამერიკელი სოციოლოგების მხრიდან. ყველა ეს ცენტრიზმები და დეცენტრიზმები ყოველთვის როდი ითვალისწინებენ ინდივიდუალობის, ცალკე აღებული სოციუმის ინტერესებს. ამერიკელმა სოციოლოგმა ჯ. ჰოუმენსმა მიმართა სამეცნიერო სამყაროს მოწოდებით: დაგაბრუნოთ ადამიანები თეორიაში“. არსებითად, ეს ნიშნავს ისტორიაში, ეკონომიკასა და კულტურაში ადამიანების დაბრუნების აუცილებლობას და ვარაუდობს თანამედროვე სოციოლოგიის საფუძვლების, ავტორის სუბიექტურობის რადიკალურ გადაინჯვას. არა მხოლოდ აღნიშნული საკითხის, არამედ თეორიული პოეტის დისკუსიურობა უდავო მოვლენას წარმოადგენს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკულმა დეკონსტრუქტივიზმმა, მისმა მიმართულებებმა და სკოლებმა შექმნეს დღეს მძლავრი თეორიული არსენალი. ამ სკოლათა წარმომადგენლებმა დაიკავეს მტკიცე პოზიციები უნივერსიტეტებში, იბეჭდებიან წამყვან გამოცემლობებში და ჟურნალებში, სათავეში უდგანან პროფესიულ ორგანიზაციებს, იღებენ პრესტიჟულ პრემიებს. ყველაფერი ეს მეტყველებს ამ თეორიების წამყვან როლზე თანამედროვე თეორიული აზრის ინტელექტუალურ ისტებლიშმენტში პოლიფუნქციურობის თვალსაზრისით. ამ სკოლის ცნებითი და ტერმინოლოგიური აპარატის გაცნობა მკვლევარ-ფილოლოგის

აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. ამ თეორიული თეზაურუსის გამოყენება ფილოლოგიის ტრადიციულ და სპეციფიკურ ეროვნულ მიღწევებთან შეპირისპირებაში - ეს უკვე მომავლის ამოცანაა, მაგრამ ამ თანამედროვე აპარატის ფლობა აუცილებელია. ასეთია უმაღლეს სასწავლებელთა პრაქტიკაში ამერიკული თეორიული აზრის ათვისების საკმაოდ არასრული წინაპირობები.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ Эстетическая мысль XX века. М., 1997.
- ² Чтения по истории и теории культуры. РГУ, Москва, 1998.
- ³ J. Miller, Tradition and difference. N.Y., 1979, passim.
- ⁴ Современное зарубежное литературоведение. Страны Западной Европы и США, М., 1996.
- ⁵ И. Ильин, Постструктурализм. Деконструктивизм. М., 1996.

IRAIDA KROTENKO

Akaki Tsereteli State University, Professor

SUMMARY

AMERICAN LITERARY THEORY IN POLIFUNCTIONAL THEORETICAL SPACE

The article deals with the European genesis of the term “deconstruction” and its functional transformations and adaptations in various spheres of Humanities in America. The author discusses the influence the tradition of American literary theory and literary criticism exerted upon the term.

The theory of deconstruction, in its turn, has influenced contemporary schools and practices of American literary criticism, causing an explosion of the old conception of history and social and cultural outburst in humanities. The author also touches upon the problem of deconstruction beyond the limits of humanities. American “deconstruction” in its polifunctional aspect is associated with the practice of modernist “High School”, from which it adopted the critical terminology thus creating scientific paradigm.

The integration of the practices and terminology of deconstruction into the postsoviet literary theory turned out to be a rather difficult process.

TYRUS MILLER

University of California, Santa-Cruz,
Professor of Literature

RIDICULOUSLY MODERN MARSDEN: TRAGICOMIC FORM AND QUEER MODERNITY

Marsden Hartley's artistic relation to the ridiculous is complex, and although in his work he provides a number of essayistic, visual, and poetic references to the comic and laughter, any "theory" of the ridiculous we might attribute to him must be derived from this network of examples. I wish to suggest, however, that Hartley utilized a stylistic strategy of the ridiculous as a personal idiom with which to address various aspects of modernity, including his own homosexuality, his relation to key cities such as New York and Berlin, his national and cosmopolitan identifications, and his positioning of himself within the modernistic possibilities of the new art and poetry.

In an important statement of poetics from 1919, "The Business of Poetry", Hartley advocated greater attention to comic poetry, implicitly suggesting that comedy's potential to mobilize the intellect and evoke lighter modes of feeling than tragic pathos makes it an especially appropriate form of expressing modern life. The comic artist has a rare gift and represents a special type:

I personally would call for more humor in poetry. If it is true with poetry as with the play, that almost anyone can write a drama or a tragedy, while the comedy man is rare, this would at least account for the lack of charming humor in verse. Satire is delectable, as Henry James has shown. Even the so serious-minded Emily Dickinson had her inimitable gift of humor. She did the best kind of fooling with "God". An intellectual playfulness with great issues she certainly had to an irresistible degree.¹

Hartley goes on to suggest that art must take its cue from "the mechanism of the time". In our condition of technological modernity, of "radio-telephony" and overseas plane flights, he writes -

We cannot feel as we do and attempt Keats' simplicities, or Keats' lyricism even. We have other virtues and defects. We are not melodists. Cacophonists, then? We do not concentrate on the assonant major alone. We find the entire range of dissonance valuable as well as attractive. Or is it all a fierce original harmonic we are trying to achieve? (319)

Notably, Hartley casts his response to the challenge of technological modernity as a question of feeling, of communication, and of style. Although the term “dissonance” could embrace a spectrum of expressionistic possibilities, it seems clear that the “cacophony” that he has most closely in mind involves exaggerated *comic* gestures of idiom and style, especially those of intellectual complication.

In his essay on Emily Dickinson in *Adventures in the Arts*, Hartley thus emphasizes her “celestial frivolity”, her intellectual play with God that he had praised in “The Business of Poetry” essay. More surprising, however, is his reading of vaudeville as an *intellectual* comedy, precisely in its by-passing of dramatic imitation and its abstract concentration on the comic shapes traced by the moving bodies of the actors:

The stage should be swept of actors. It is not a place for imitation and photography. It is a place for the laughter of the senses, for the laughter of the body. It is a place for the tumbling blocks of the brain to fall in heaps. I give first place to the acrobat and his associates because it is the art where the human mind is for once relieved of its stupidity. The acrobat is master of his body and he lets his brain go a-roving upon other matters, if he has one. He is expected to remain silent. He would agree with William James, transposing “music prevents thinking” into “talking prevents silence”.²

Hartley, however, continues by making his own acrobatic leap of thought to affirm a kind of talking that is valuable precisely insofar as it approaches the condition of pure verbalization, the “idle talk” that for Martin Heidegger, whose *Being and Time* was published only a few years later, was the very epitome of inauthenticity:

In so many instances, [talking] prevents conversation. That is why I like tea chit-chat. Words are never meant to mean anything then. They are simply given legs and wings, and they jump and fly. They land where they can, and fall flat if they must. (173)

For Hartley, it is in animated chatter that words become the abstract tokens of shape and movement, akin to the acrobat's or the vaudeville performer's eccentric body, so that paradoxically, it is not the “dramatically” significant

conversation but rather the acrobatic nonsense of chit-chat that is the comic index of superior intellectuality. Moreover, Hartley's aesthetic equation of vaudeville acrobatics, tea-time verbal gymnastics, and modern comic art takes on a homoerotic shading when we consider an aside he make slightly earlier in the essay:

There are more dancing men of quality this season, it seems to me, who are obscured by dancing women of fame, and not such warrantable artistry. Perhaps it is because male anatomy allows of greater eccentricity and playfulness. There are no girls who have just such laughing legs as the inimitable Frances White. It is the long-legged American boy who beats the world in this sort of thing. (170)

Acrobatic chit-chat with a long-legged boy is more artistic than tea-talk with the ladies, it seems. Yet the fullest statement that brings these various elements of Hartley's modernistic language, nonsense, laughter, intellectuality, homosexuality, and comic ridiculousness is the last essay in *Adventures in the Arts*, "The Importance of Being 'Dada'".

The title, of course, alludes to that masterpiece of gay comic verbal acrobatics, Oscar Wilde's *The Importance of Being Earnest*, bringing this representative of the 1890s into connection with the Dadaist avant-garde that emerged during World War II in Zurich, Berlin, and Paris. Wilde's play unfolds a plot of masquerade and unknown identity, spinning out a complicated comic intrigue woven around the name "Ernes". Jack Worthing, a country squire, uses the name Ernest when he comes to London, and sheds the virtuous exterior he must maintain in the country. Gwendolyn, who is in love with Jack-Ernest, seems to be especially attracted to his name, Ernest, which for her is the most beautiful name in the world. Along with several other confusions and twists of identity around the name, it finally turns out that Jack, who was an abandoned child, is actually of a good family and his real name is - Ernest. Accompanying the question of who really possesses the name and identity of Ernest, Wilde's comic plot plays on the comic pun of "earnestness" as a quality: seriousness, sincerity, trueness of heart and intention. Joel Fineman has neatly suggested that in this diverging comic play of name and quality, Wilde enacts a "paradoxical alternation and oscillation of the subject ... which Lacan would call *autodifférence*", noting that "Ernest will himself be earnest only when he isn't, just as he will not be earnest only

when he is".³ The name Ernest can be possessed only as an empty sign, and the quality it signifies can be embodied only under an assumed name, a mask or metaphor of the original name. The fact that the real Ernest assumes the name of "Jack", which connotes a rake or jokester, despite "Jack's" serious country squire persona, suggests that this oscillation is inseparable for Wilde from the comedy of identity and language, whose dissonances are not "earnest" but ridiculous, and provoke laughter rather than tears.

An intriguing comic play of names exists for Hartley himself, suggesting that his allusion to Wilde's "Ernest" touched close to his own issues of personal identity and its vicissitudes. Hartley had been christened "Edmund", but in 1907, at the age of thirty, he adopted the name "Marsden", which was the maiden name of his stepmother.⁴ His fond memory of his stepmother, and implicitly, his desire to identify himself more closely with her through the signifier of her family name, was especially associated with her sense of humor and his father's laughter, which Hartley believed gave the old man a long life. He recounts being taken along during his father's courtship of his stepmother:

I remember even yet those moors, even though I was only eleven, and my father went over on a visit taking me with him, spending most of the time with Martha Marsden, our second mother. Martha was to become a wonderful man for my father and a dear memory to us all, for besides being "true blue" she had a killing sense of humor and made my father laugh the rest of his time out - which was twenty-five years later-dying at the age of eighty-five.⁵

Hartley's essay "The Importance of Being 'Dada'" redoubles Wilde's comic gesture, while reversing its value signs. If "Ernest" is a meaningful name that falls short of the quality it signifies, then "Dada" is a meaningless name that fails its own meaninglessness. If the punning name "Ernest" signifies a seriousness that it is impossible for Wilde's character to embody seriously, then for Hartley, "Dada" signifies a nonsensical lack of seriousness which, paradoxically, the artwork can only comically fail to achieve, by ending up being seriously meaningful despite all. By implication, the artwork, even when it has nonsensical laughter as its basis, ends up being an earnest matter:

Having fussed with average intelligence as well as with average

stupidity over the various dogmatic aspects of human experience such as art, religion, philosophy, ethics, morals, with a kind of obligatory blindness, I am come to the clearest point of my vision, which is nothing more or less than the superbly enlightening discovery that life as we know it is an essentially comic issue and cannot be treated other than with the spirit of comedy in comprehension. It is cause for riotous and healthy laughter, and to laugh at oneself in conjunction with the rest of the world, at one's own tragic vagaries, concerning the things one cannot name or touch, or comprehend, is the best anodyne I can conjure in my mind for the irrelevant pains we take to impress ourselves and the world with the importance of anything more than the brilliant excitement of the moment.⁶

This is, in a sense, Hartley's confessions of a ridiculous man, in which he confesses that he finds his "tragic vagaries" as laughable as the rest of the world, and he is one with them insofar as he, like they, take Marsden Hartley as an object of laughter. For Hartley, the comedy of modern existence - his own, first and foremost - lies in the inextricable entanglements of the serious and the ridiculous, which is really what is most laughable about it.

* * *

In conclusion, I would like to discuss briefly two works, one in verse, the other in paint, that offer self-portraits of Hartley and put into artistic practice the reflexive presentation of the modern self, the homosexual modernist, as ridiculous man - worthy of "riotous and healthy laughter ... at one's own tragic vagaries". The poem is a short, untitled work included in Hartley's collection of the 1920s called *Bach for Breakfast*. The editor of his poems, Gail R. Scott, notes that this poetry was connected to Hartley's "struggles... to eschew what he saw as obsessive subjectivity and the need to find clarification in both poetry and painting".⁷ The collection also included a quotation from Spinoza's *Ethics*, from the fourth book, which deals with the emotions and their relation to freedom. In general, Spinoza offers an analysis of how humans can be enslaved by their emotions, rendered passive by passion, but he also affirms bodily pleasure, mirth, and active feeling as the opposite of pain, melancholy, and sorrow. With this background, we can see that in his poem, Hartley is analyzing his own enslavement to passion,

yet also gaining a mirthful perspective on himself through self-conscious, ironic distance, rendering his gestures, speech, and physiognomy in broad, caricature-like strokes:

Holding in reserve
a certain tendency to speed
accentuation,
mistaking nevertheless the pistol shot
for the race,
paying the huge penalty of ultra-previous
enthusiasms, love squashed flat
into patterns of adoration,
all flatness misconstrued for
serene quantitative -
"I see, in time, there is yet
time to make it round,
pumpkins in round heaps of fire,
bodies made round"
his hat still sitting,
rakishly,
above his ears.⁸

The poem depicts a man animated by sexual desire, trying to check his impatience to get past the wooing and down to the act, going too fast at the outset and failing to reach the goal. It is structured around two basic oppositions: rushing and taking time, and flatness and roundness, which metaphorically translates the first pair to a visual language. One might say that if one could take one's time, one could make it round, could have a full experience of sexual love; but in rushing it is flattened out into a physical press of bodies. The final image captures the comic ambiguity of this hurried, perhaps even anonymous sexual act, which has its visual corollary in a drawing by another homosexual artist in Alfred Stieglitz's circle and a friend of Hartley, Charles Demuth. In one of his 1916 *Turkish Bath* series, Demuth depicts a bare-chested man, "his hat still sitting, / rakishly, / above his ears", either not yet fully undressed or not yet fully dressed, facing the viewer with a smile. Jonathan Weinberg's comment on Demuth's drawing applies equally to Hartley's poem: "The hat works like the famous shoes on the otherwise

naked Olympia of Manet - it forces us to think about the character's state of undress, to wonder why he wears a hat but not a shirt. We could say that the picture is about dressing and undressing, but doing so with such impatience that the normal order for putting on or taking off clothes is disrupted".⁹ Hartley's scene is less explicit, but I believe that something like Demuth's bathhouse figure is the only partly disclosed subtext of the poem.

I will conclude with one of Hartley's best-known images, his 1939 painting entitled *Sustained Comedy*. This painting is generally considered a self-portrait, but clearly a symbolic one, since it turns Hartley into a much younger blond man, a sailor or circus clown, covers him in tattoos and surrounds him with symbolic entities. According to Bruce Robertson, the symbolism and an inscription on the back that reads "Sustained Comedy - [*crossed out*] /Portrait of an object [*crossed out*] /"O Big Earth"- / or - the sustained travesty" indicate a dark, grim tone to the work.¹⁰ Robertson also points to two late poems that correspond to the symbolic imagery of the painting, "Trapezist's Despair" and especially "He Too Wore a Butterfly", which mentions the butterflies, the woman, the ship, and a Christ on tattooed on the chest. But I think one can exaggerate the dark irony of the painting if one does not acknowledge the ludicrousness of the figure and its context in a much longer meditation in Hartley on the ridiculous as an artistically productive identity. Both poems also refer back to Hartley's appreciation of the acrobat, whose resonance for the modernist artist is his comic relation to nonsense, his suspension of the symbolic dimension in the abstract language of pattern, in the "sustained comedy" of his physique and movement. Indeed, in light of "He Too Wore a Butterfly", one might see the strange acrobat-sailor-transvestite figure of "Sustained Comedy" as another avatar of "Marsden", the wife of Hartley's father, who keeps age and death at bay with her good humor and provocation of laughter:

He wore a butterfly upon his flanks as though he
felt the fear of being musclebound,
or, saying to himself - "I must have the breath of
spring upon my beam" - that smiling morning of a man
and - as if the sea had crowded all its waves
within his eyes, making him think of numberless
casual afternoons, the lashes curling up to let the
floods of evening in,
staving off for later years the pale textures of
immitigable distance.¹¹

Indeed, if we recognize that not only is this bizarre self-portrait surrounded by and marked by butterflies and flowers, but also, in his made-up mask of a face, himself bears the physiognomy of a moth or butterfly, we can read the painting as a metaphor of comic metamorphosis of suffering into laughter, with Hartley himself being the comic butterfly, his quivering thought the antennae.

If this interpretation of the picture's imagery is plausible, then another poem of the late 1930s, "Go Lightly", suggests that the painting may ultimately imply that, for Hartley, to sustain the travesty, to draw out the comedy of his existence as a gay artist, is a positive goal and that the life-giving force of laughter has the last, consoling, nonsensical word. This is the comedy of the sexual instinct shared by moth and man alike, the spectacle of the "evening moth" venturing out to sip the delicate honey of his chosen flower:

Evening moth
sips at mouth
of some flowers,
his feet touching
spirit-like
their lips -
go lightly, said moth
to himself
for delicate is honey
of the evening.

morning is filled
with humming;
if you put your ear
to the telegraph pole
you can hear the world
saying bon jour
to the world.

this mysticism
of the antennae
reaching out, as tendrils
of the vine
bringing certain laughs
to the troubled
soul.¹²

გამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ Marsden Hartley, "The Business of Poetry" (1919), in *The Collected Poems of Marsden Hartley, 1904-1943*, ed. Gail R. Scott (Santa Rosa: Black Sparrow Press, 1987) 318.
- ² Marsden Hartley, "Vaudeville", in *Adventures in the Arts: Informal Chapters on Painters, Vaudeville, and Poets* (New York: Boni and Liveright, 1921) 173. For an excellent treatment of Hartley's "light figures", derived especially from circus and other popular spectacle, see Justus Nieland, "Marsden Hartley's Light Figures", *Modernism / Modernity* 11/4 (2004): 621-650.
- ³ Joel Fineman, "The Significance of Literature: *The Importance of Being Earnest*", in *The Subjectivity Effect in Western Literary Tradition: Essays Toward the Release of Shakespeare's Will* (Cambridge, Massachusetts: The MIT Press, 1991) 35.
- ⁴ Jonathan Weinberg, *Speaking for Vice: Homosexuality in the Art of Charles Demuth, Marsden Hartley, and the First American Avant-Garde* (New Haven: Yale University Press, 1993) 131.
- ⁵ Marsden Hartley, *Somehow a Past: The Autobiography of Marsden Hartley*, ed. Susan Elizabeth Ryan (Cambridge, Massachusetts: The MIT Press, 1997) 199.
- ⁶ Hartley, "The Importance of Being 'Dada'", in *Adventures in the Arts* 248-249.
- ⁷ Gail R. Scott in *The Collected Poems of Marsden Hartley* 331.
- ⁸ Hartley, *Collected Poems* 96.
- ⁹ Weinberg 97.
- ¹⁰ Bruce Robertson, "Marsden Hartley and Self-Portraiture", in *Marsden Hartley*, ed. Elizabeth Mankin Kornhauser (New Haven: Yale University Press, 2002) 154.
- ¹¹ Hartley, *Collected Poems* 171.
- ¹² Hartley, *Collected Poems* 150.

ბაიბრუს მილერი

კალიფორნიის სანგა კრუზის
უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი

რეზიუმე

უსნაურად თანამედროვე მარსლენი: ტრაგიკომიკური ფორმა
და ექსპანტირული თანამედროვეობა

ნაშრომში განხილულია ამერიკელი ავანგარდისტი შემოქმედის, მარსდენ ჰარტლის ამბივალენტური, რთული, არაურთგვაროვანი დამოკიდებულება სასაცილოს, კომიკურის,

როგორც ესთეტიკური კატეგორიისადაში. ავტორის აზრით, ჰარტლის მიმართება „სასაცილოსადმი“ კომპლექსური ხასიათისაა და ესეისტური, ვიზუალური და პოეტური რეცეფციების მთელ სპექტრს მოიცავს. ჰარტლი „სასაცილოს“, „დამცინავის“ სტილურ სტრატეგიას იყენებს როგორც პერსონალურ იდიომს თანადროულობის სხვადასხვა ასპექტისადმი, საკუთარი ჰომოსექსუალიზმის, ნიუ-იორკისა და ბერლინის, ეროვნული სულისკვეთებისა და კოსმოპოლიტიზმისადმი თავისი დამოკიდებულების გადმოსაცემად.

მარსდენ ჰარტლი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს კომიკურ პოეზიას; იგი მიანიშნებს, რომ კომიკურ ჟანრს უდიდესი პოტენციალი გააჩნია ინტელექტის მობილიზებისათვის და ტრადიციული პათოსის საპირისპირო მსუბუქი გრძნობებს აღსაძრავად. ეს ფორმა ზედმიწევნით შეესაბამება და ზუსტად გამოხატავს თანადროულობის, თანამედროვე ცხოვრების არსს.

მკატერინე შვაჯანაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მასწავლებელი

დროისა და სივრცის კონსტრუქცია კურტ ვონეგუტის შემოქმედებაში

კურტ ვონეგუტი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ამერიკელი პროზაიკოსია - მრავალრიცხოვანი რომანების, ესეების, მოთხრობების ავტორი. შეუძლებელია კურტ ვონეგუტის შემოქმედების ზუსტი განსაზღვრების მოცემა. მას მიიჩნევენ მწერალ-ფანტასტად, შავი იუმორის მწერლად, სატირიკოსად, სიურეალისტად, აბსურდის ლიტერატურის ლიდერად. შეუძლებელია ვონეგუტი ერთ რომელიმე მიმდინარეობაში მოათავსო, რადგან ის ყველა ზემოჩამოთვლილ სალიტერატურო ტექნოლოგიას იყენებს და ქმნის თავის განუმეორებელ სტილს, რომელსაც თავად „ტელეგრაფულ-შიზოფრენიულს“ უწოდებს.

კურტ ვონეგუტს ეკუთვნის ტერმინი **Chrono - Synclastic Infundibulum**. "**Chrono**" - ნიშნავს დროს; "**Synclastic**" - ნიშნავს ერთსა და იმავე მხარეს და, იმავდროულად, ყველა მიმართულებით ამოზნექილს, მრგვალად გაფუცქვნილი ფორთოხლის კანის მსგავსად; "**Infundibulum**" - ასე ძველი რომაელები უწოდებდნენ „ძაბრს“, ანუ Chrono-Synclastic Infundibulum ნიშნავს სამყაროში ისეთი ფენომენის არსებობას, რომელშიც ხდება მატერიის სივრცესა და დროში გაბნევა, ანუ შესაძლებელია მისი ერთდროული არსებობა სხვადასხვა ადგილსა და სხვადასხვა დროში. შესაბამისად, ბევრი ცნება - რომლებიც ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს - შეიძლება თანაარსებობდეს ერთ სივრცეში.

კურტ ვონეგუტის რომანის „სასაკლაო ნომერი ხუთი ანუ ბავშვების ჯვაროსნული მსვლელობა“ მოქმედება ხდება მე-20 საუკუნეში და ასახავს მთავარი პერსონაჟის ბილი პილიგრიმის ცხოვრებას სხვადასხვა პერიოდში, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ბილის გამოცდილება მეორე მსოფლიო ომის დროს. რომანი წარმოადგენს, ერთი შეხედვით, შემთხვევით მომხდარ მოვლენათა ერთობლიობას, რაც ჯამში ქმნის რომანის ერთიან თემატურ ელემენტს.

„სასაკლაო ნომერი ხუთი“ არის Chrono-Synclastic Infundibulum-ი სადაც ერთმანეთშია გადახლართული უამრავი ერთმანეთის საწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი მოვლენა: ეს არის ადგილი, სადაც ავტობიოგრაფიული და მეცნიერული ფანტასტიკის ელემენტები თანაარსებობს. რომანი სივრცესა და დროში გადაადგილების, მოგზაურობის სცენებს აღწერს, მაგრამ რომანს ვერ მივაკუთვნებთ მეცნიერული ფანტასტიკის უანრს, რადგან ვონეგუტი არღვევს მეცნიერული ფანტასტიკის ტრადიციულ კანონებს. ინგლისელმა პროფესორმა

ჯეიმზ ლუნდისმა ჩამოაყალიბა ლიტერატურაში არსებული scientification-ის ანუ მეცნიერულობის" განმარტება. ეს არის მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მასების მეცნიერული განათლებისკენა მიმართული. ეს განმანათლებლური ხარისხი, როგორც წამყვანი ელემენტი, დომინირებს რეი ბრედბერის, არტურ კლარკისა და აიხუკ აზიმოვის რომანებში".¹

ასე აღწერს კურტ ვონეგუტი ბილი პილიგრამის სივრცესა და დროში გადაადგილებას: "Billy Pilgrim has come unstuck in time. Billy has gone to sleep a senile widower and awakened on his wedding day. He has walked through a door in 1955 and come out another one in 1941. He has gone back through that door to find himself in 1963. He has seen his birth and death many times, he says, and pays random visits to all the events in between".²

ბილი ხდება დროში მოგზაური, მაგრამ ავტორი არ გვიხსნის, თუ საიდან აქვს ბილს ეს ზებუნებრივი ნიჭი. ვონეგუტი არ გვიხსნის რატომ ან როგორ ფუნქციონირებს «კარი», რომლითაც ბილი დროში, სივრცეში და სამყაროებში მოგზაურობს. ჩვენ არ ვიცით თუ როგორ ხედავს ბილი თავის დაბადებასა და გარდაცვალებას – პირველ პირში თუ მესამეში.

მეცნიერული ფანტასტიკა, რომელიც ადრე გამოიყენებოდა რეალური ცხოვრების ფენომენის დასახასიათებლად, ახლა გამოიყენება აქამდე არსებული რეალობის ცნების დეკონსტრუქციისათვის. "Single reality"-ს ანუ ერთიანი რეალობის რღვევა არის ის, რაც წარმართავს რომანს «სასაკლაო ნომერი ხუთი».

ბილის მოგზაურობა ძალზედ დინამიურია, არ არსებობს მკაფიო ზღვარი მისი ცხოვრების წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის. Infundibulum-ი შეიძლება აღვიქვათ როგორც სივრცე, რომელშიც ვონეგუტი იყენებს მკითხველს თავისი ექსპერიმენტის უშუალო გმირად. ამ გაგებით, თხრობის ექსპერიმენტული ფორმა თვითონ ქმნის Chrono-Synclastic Infundibulum-ს ანუ ადგილს, სადაც ხორციელდება მკითხველისა და მწერლის თანაარსებობა. ამბის თხრობის ამ ახალი ფორმის გამოყენებით ვონეგუტი ქმნის რომანს, რომელიც მის პირად გამოცდილებას ასახავს უფრო ზუსტად, ვიდრე ამას მოახერხებდა ჩვეულებრივი, რომანის ტრადიციული სტილის გამოყენებით.

ერთ-ერთი მთავარი ეფექტი, რომელსაც ავტორი ქმნის ეს არის *deja vu*. მაგალითად, პირველ თავში მოყვანილია სიმღერა:

"And I'm reminded, too, of the song that goes:

My name is Yon Yonson,

I work in Wisconsin,

I work in a lumber mill there,

the people I meet when I walk down the street,

they say, "What's your name?"

And I say,
my name is Yon Yonson,
I work in Wisconsin,
And so on to infinity".³

რომანის სტრუქტურას ქმნის სწორხაზოვანი დროის დინების პატარა მონაკვეთები, განცალკავებული სივრცესა და დროში მოგზაურობის სცენების აღწერით. რომანის კითხვის დროს ვონეგუტი აიძულებს მკითხველს გაისხნოს რომანის წინა წაკითხული ადგილები.

Infundibulum-ი ჰგავს ვონეგუტის მიერ პლანეტა ტრალფმადორის აღწერას: "There are no telegrams on Tralfmadore. But you are right: each clump of symbols is a brief, urgent message - describing a situation, a scene. We Tralfmadorians read them all at once, not one after the other. There isn't any particular relationship between all the messages, except that the author has chosen them carefully, so that, when seen all at once, they produce an image of life that is beautiful and surprising and deep. There is no beginning, no middle, no end, no suspense, no moral, no causes, no effects, what we love in our books are the depths of many marvellous moments seen all at one time".⁴

ამრიგად, კურტ ვონეგუტი შეეცადა დაეწერა ტრალფმადორული რომანი.

რომანის სათაური Slaughterhouse - Five (სასაკლაო ნომერი ხუთი) აღწერს ბილის მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს დრეზდენში მიღებულ საშინელ გამოცდილებას, როცა ის მოხვდება ტყვედ გერმანელებთან და მას მოათავსებენ ყოფილი სასაკლოს შენობაში. ამ რომანს აქვს ქვესათაური - The Children's Crusade ბავშვების ჯვაროსნული მსვლელობა. ქვესათაური რომანის დასაწყისშივეა ახსნილი. ავტორი აღწერს XIII საუკუნეში მოწყობილ ბავშვების ჯვაროსნულ ლაშქრობას. დაუზუსტებელი ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ ინფორმაციას უცნობი ახალგაზრდის შესახებ, რომელიც ქადაგებდა რომ მას გამოეცხადა ქრისტე და დააეღა სათავეში ჩადგომოდა ჯვაროსნულ მსვლელობას.

მან დაახლოებით 20.000 ბავშვი შეაგროვა და ხმელთაშუა ზღვისაკენ წარუძღვა იმ იმედით, რომ ზღვა გადაიხსნებოდა და ისინი შეძლებდნენ იერუსალიმში შესვლას, მაგრამ ეს სასწაული არ მოხდა. ორმა ვაჭარმა ბავშვები ხომალდებზე მოათავსა. ბავშვების ნაწილი გზაში გარდაიცვალა, გადარჩენილთა ნაწილი მონებად გაყიდეს აფრიკაში. მკვლევარები ამ ამბავს უფრო ლეგენდად მიიჩნევენ, ვიდრე დადასტურებულ ფაქტად, მაგრამ ვონეგუტს ეს მოვლენა მიზანმიმართულად აქვს გამოყენებული, რათა პარალელი გაავლოს მეორე მსოფლიო ომთან და გააჩვენოს, რომ ეს იყო ძეოცე საუკუნის ფსევდოჯვაროსნული მსვლელობა, რაც ბავშვების მონებად გაყიდვის ტოლფასია, რადგან ამ ომში გამოუცდელი ახალგაზრდები, თითქმის ბავშვები, იღებდნენ მონაწილეობას.

“You were just babies in the war... You will probably pretend you were men instead of babies and you’ll be played in the movies by Frank Sinatra and John Wayne or some of those other glamorous, war-loving, dirty old men. And war will look just wonderful, so we’ll have a lot more of them. And they’ll be thought by babies like the babies upstairs. ... I’ll tell you what - I said. I’ll call it “The Children’s Crusade”.⁵

კურტ ვონეგუტი გვაფრთხილებს, რომ ამ რომანის დაწერა უჭირს, რადგან წარსულის მტკივნეული მომენტების თავიდან გაცოცხლება მისთვის ძალზე ძნელია.

ამერიკელი ჯარისკაცი - ბილი პილიგრიმი აუხსნელი მიზეზების გამო განიცდის დროის ჩვეული მსვლელობიდან, ჩვეული რიტმიდან ვარდნას “has become unstuck in time”. ბილი მოძრაობს დროში ისე, თითქოს დრო სტატიური მოვლენა იყოს და მას შეეძლოს მისი ფოტოალბომივით გადაფურცვლა. ბილი ხვდება პლანეტა ტრალფმადორზე, შემდეგ უკან ბრუნდება ბავშვობაში. ის მომსწრე ხდება თავისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებისა, მათ შორის საკუთარი სიკვდილისაც. ბილის განმარტებით, მან ეს თვისება შეიძინა მას შემდეგ, რაც ის გაიტაცეს პლანეტა ტრალფმადორის მობინადრეებმა, მოათავსეს ზოოპარკში და მასზე ექსპერიმენტების ჩატარება დაიწყეს. ბილის შეკითხვაზე, თუ რატომ აირჩიეს ტრალფმადორელებმა სწორედ ის, მას ასე უპასუხეს: იმიტომ რომ ამას მოითხოვს მოცემული მომენტის სტრუქტურა.

“Any questions?”

“Why me?”

“That is a very earthling question to ask, Mr. Pilgrim. Why you? Why us for that matter? Why anything? Because this moment simply is. Have you ever seen bugs trapped in amber?”

“Yes”.

“Well, here we are. Mr. Pilgrim, trapped in the amber of this moment. There is no why”.⁶

რომანის ერთ-ერთი მთავარი თემაა “bugs in the amber” - „ქარვაში გაქვავებული მწერი“ ანუ წარსულის, აწმყოსა და მომავლის არსებობა ერთდროულად. ავტორი ხაზს უსვამს თემის აქტუალობას იმიტომ, რომ პირველივე თავში გვაუწყებს, რომ რომანი ერთდროულად იწყება და მთავრდება კიდევც.

ტრალფმადორელებს დედამიწის მკვიდრთაგან განსხვავებით, რომლებიც სამგანზომილებიან სივრცეში ცხოვრობენ, გააჩნიათ მეოთხე განზომილება - დრო. მათ უკვე ნანახი აქვთ საკუთარი ცხოვრების ყველა მონაკვეთი. მართალია, მათ არ ძალუძთ საკუთარი ბედისწერის შეცვლა, მაგრამ შეუძლიათ ყურადღების იმ მომენტზე ფოკუსირება, რომელიც მათ ყველაზე მეტად მოსწონთ.

კურტ ვონეგუტს სურს რომ ჩვენ აღვიკვთო ცხოვრება ისეთად, როგორც ის არის და გავიგოთ, რომ სიკვდილი გარდაუვალია და მისი არ უნდა გვეზინოდეს.

"I am a Tralfmadorian, seeing all the time as you might see a stretch of the Rocky Mountains. All time is all time. It does not change. It does not lend itself to warnings or explanations. It simply is. Take it moment by moment, and you will find that we are all, as I've said before, bugs in amber".

"You sound to me as if you don't believe in Free Will", said Billy Pilgrim.

"If I had not spent so much time studying Earthlings", said the Tralfmadorian, "I wouldn't have any idea what was meant by "Free will". I've visited thirty-one inhabited planets in the universe, I have studied reports on one hundred more. Only on Earth is there any talk of Free will".⁷

დროში მოგზაურობა და საკუთარი ცხოვრების ხელახლა ხილვა სცენური შიშის მუდმივი შეგრძნების განცდას ბადებს ბილში, რადგან მან არ იცის თავისი ცხოვრების რომელი მონაკვეთის გმირი გახდება. საკუთარი მკვლევლობის დროისათვის მას შემეცნებული აქვს ტრალფმადორული ფატალიზმი, რაც მას უდიდეს პიროვნულ სიმშვიდეს გვრის. ბილი ამ ფილოსოფიას ავრცელებს დედამიწაზე და ამით უდიდეს პოპულარობას იხვეჭს. ტრალფმადორელები სამყაროს აღიქვამენ როგორც დასრულებულ ნახატს: "all time is all time. It does not change".

ბილის ფატალიზმი იმ რეალობას ეფუძნება, რაც მის ირგვლივ სუფევს. თავის ოფისში მას კედელზე აქვს ჩამოკიდებული სიმშვიდის მომგვრელი ლოცვა - "Serenety Prayer"

"God Grant Me
The Serenity to Accept
The Things I Cannot Change
Courage
To change the Things I can,
And Wisdom Always
To Tell the
Difference".⁸

ღმერთო, მომეცი მე სულიერი სიმშვიდე, იმისათვის რომ მოვილო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია; გამბედაობა, შევცვალო ის, რისი შეცვლაც შემიძლია; და სიბრძნე ყოველთვის განვასხვავო ერთი მეორისაგან".

იმათ შორის, რისი შეცვლაც ბილს არ შეეძლო იყო წარსული, აწმყო და მომავალი.

რომანში დაახლოებით ასჯერ მეორდება ფრაზა "so it goes", რომელსაც ავტორი მაშინ იყენებს როცა სიკვდილის სცენა ან მისი მოახლოებაა აღწერილი

ან მაშინ, როცა ავტორი ცდილობს ალოგიკური მოვლენის ახსნას. ამ ფრაზის მრავალჯერადი გამოყენება მიგვიითებს სიკვდილის ცნების გაუფასურებასა და მის ყოველდღიურ ხასიათზე.

ბილის სიკვდილი უცნაურ მოვლენათა რიგის შედეგია. ბილმა, რომელიც დროში მოგზაურობს, წინასწარ იცის სად და როგორ მოკლავენ: ლაზარო მას ესერის ერთ-ერთი საჯარო ლექციის შემდეგ. საჯარო ლექციის დროს ბილი აუდიტორიას განუცხადებს, რომ მომავალი ლექციის დროს ის უკვე მოკლული იქნება. ბილი ამ ფაქტს იყენებს, როგორც იმის დასტურს, რომ გარდა ჩვენთვის ცნობილი განზომილებებისა არსებობს კიდევ მეოთხე განზომილება - მარადიული დრო და, მაშასადამე, ყველა ყოველთვის ცოცხლობს და სიკვდილი სულაც არ არის ტრაგიკული მოვლენა. ბილი, რომელიც მრავალჯერ გახდა საკუთარი სიკვდილის თვითმხილველი ამბობს: "I, Billy Pilgrim, ... will die, have died, and always will die on February thirteenth, 1976".⁹

ავტორი იკვლევს ბედისწერას, თავისუფალ ნებას და ადამიანთა ალოგიკურ ბუნებას. მისი აზრით, ადამიანთა უმრავლესობა სრულიად უდანაშაულოა თავის ქმედებაში რადგან ისინი აკეთებენ იმას, რასაც აკეთებენ, იმიტომ რომ მათ უნდა" გააკეთონ ასე, რადგან ამას მოცემული მომენტის "სტრუქტურა" მოითხოვს.

ბილის შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობენ ტრალფმადორელები ომებსა და ტრაგიკულ მოვლენებზე, ტრალფმადორელები პასუხობენ, რომ ისინი მათ უბრალოდ იგნორირებას უკეთებენ: "We know how the universe ends" - said the guide" and Earth has nothing to do with it, except that it gets wiped out, too".

"How does the Universe end?" said Billy "We blow it up, experimenting with new fuels for our flying saucers. A Tralfmadorian test pilot presses a starter button, and the whole Universe disappears". So it goes.

"If you know this", said Billy "isn't there some way you can prevent it? Can't you keep the pilot from pressing the button?"

"He has always pressed it and he always will. We always let him and we always will let him. The moment is structured that way".

"So - says Billy gropingly: "I suppose that the idea of preventing war on Earth is stupid, too?"

"Of course".

"Today we do, other days we have wars as horrible as any you've ever seen or read about. There isn't anything we can do about them, so we simply don't look at them. We ignore them. We spend eternity looking at pleasant moments - like today at the zoo. Isn't this a nice moment?"

"Yes".

"That's one thing Earthlings might learn to do, if they tried hard enough: Ignore the awful times, and concentrate on the good ones".¹⁰

ვონეგუტი ტრალფმადორელების ფილოსოფიის გაცნობით ყურადღებას ამახვილებს ჩვენს რეალობაში არსებულ პრობლემებზე. ტრალფმადორელებს არ გააჩნიათ ნებელობა, რადგან ისინი თვლიან რომ სამყაროს დაწერილი მსვლელობის შეცვლა შეუძლებელია. მათ აქვთ მხოლოდ ფიქრის უფლება. რომანის დასაწყისშივე ვონეგუტს ეუბნებიან, რომ ანტი-საომარი წიგნის დაწერა ისევე უსარგებლო მოვლენაა, როგორც ვამეცინვარების საწინააღმდეგო წიგნის დაწერა, რადგან მაინც ვერ შეძლებ ვერც ერთის შეჩერებას. ტრალფმადორელების სამყაროს ნგრევა იმაზე მიუთითებს, რომ ავტორი არ იზარებს მათ ფილოსოფიას. საინტერესოა წიგნის კულმინაციური მომენტიც, რომელსაც უკავშირდება არა დრეზდენის დაბომბვა, არამედ უმნიშვნელო ქურდობისათვის დაჭერილი მამაკაცის სიკვდილით დასჯა. სიმბოლურია, რომ ავტორი ამდენ დროს უთმობს დრეზდენის საშინელი ნგრევის დროს ერთი ადამიანის დასჯის სცენის აღწერას.

ამრიგად, ვონეგუტმა შექმნა ე. წ. დროისა და სივრცის უნიკალური ურთიერთშეფარების ფენომენი - Chrono-Synclastic Infundibulum-ი, სადაც რეალობა ისევე პირობითობაა, როგორც ადამიანის წარმოსახვა. ეს ის ადგილია, სადაც სიცოცხლე გაუფასურებულია, ხოლო სიკვდილი - სასაცილო. ეს არის ადგილი, სადაც მეცნიერება - ჭეშმარიტების დასადგენი ინსტრუმენტი გამოიყენება სიცოცხლის დასასრულებლად. ვონეგუტის სამყაროს ტემპორალობა საესებით უნიკალურია. აქ ყველაფერი პირობითია; საოცარია ის, რომ ცხოვრება, ვონეგუტის აზრით, ერთდროულად ფეერულიცაა და მარადიულიც. ბილი პილიგრიმის ცხოვრება შუშისკედლებიან გვირაბს გვაგონებს, რომელშიც წინ და უკან სპონტანურად მოძრაობს ასევე გამჭვირვალე ლიფტი. ბოლოს, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბილი პილიგრიმი „კვდებოდა, მოკვდა და მოკვდება კიდევ“, არამედ ცოცხლობდა, ცოცხლობს და იცოცხლებს ყოველთვის.

შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ Leslie Phillips, So It Goes, <http://www.geocities.com>
Paul Young, Vonnegut's Crusade: A Duty Dance with Reality, 2003.
- ² Kurt Vonnegut, Slaughterhouse Five or the Children's Crusade. a Duty-Dance with Death, Random House, Inc., 1969, p. 23.
- ³ Ibid, p. 3.
- ⁴ Ibid, p. 14.
- ⁵ Ibid, p. 76.
- ⁶ Ibid, p. 85.
- ⁷ Ibid, p. 60.
- ⁸ Ibid, p. 78.
- ⁹ Ibid, p. 117.

SUMMARY

**CONCEPT OF TIME AND SPACE IN
KURT VONNEGUT'S WORKS**

The article deals with the concept of time and space in Kurt Vonnegut's works. Kurt Vonnegut is one of the XX century outstanding American writers. He describes his works as telegraphic-schizophrenic. He created the term Chrono-Synclastic Infundibulum, which means "Time, Expansion and Funnel". In "Slaughterhouse-Five" he created the unique phenomenon of Time and Space correlation. The main protagonist Billy Pilgrim travels in time and space visiting different periods of his life as if it were the transparent tunnel in which transparent lift moves up and down in the space of life. The structure of the narration makes the reader remind the previous part of the novel. It is the novel that starts after finishing and can be read without ending. It creates the image of life that does not end after death and can be relived again and again. The subtitle of the novel "The Children's Crusade" or Duty- Dance with Death which describes the World War II underlines the absurdity of war no matter under what sign or in what century it takes place. Describing the end of the planet Tralfamador: inhabitants of which do not believe in Free Will the author warns the reader of the great power the man possesses and therefore the responsibility it has.

ნატალია ორლოვსკაია

ივანე ჯაეასიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რობინსონ ჯეფერსი და მისი პიესა „მედა“

რობინსონ ჯეფერსი (1887–1962) ცნობილი ამერიკელი მწერალია, რომელიც აქტიურად მოღვაწეობდა XX საუკუნის პირველ ნახევარში. იგი სწავლობდა შეერთებულ შტატებში და ევროპაშიც, მიიღო ღრმა და მრავალმხრივი განათლება. ახალგაზრდობიდან მისი მთავარი მისწრაფება იყო პოეტური შემოქმედება. ბიძის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის მიღების შემდეგ იგი დასახლდება კალიფორნიაში ოკანის პირას მუდრო ადგილას, მაღალ კლდეებს შორის. როგორც პიროვნება და მოაზროვნე, ჯეფერსი მეტად თავისებური ფიგურაა. ტანით მაღალი კაცი, მზით გარუჯული სახით და კეხიანი ცხვირით, იგი ჰგავდა კეთილშობილ ინდიელს.¹ ფიზიკურად ცლიერმა მწერალმა საკუთარი ხელებით იმ მიდამოებში გაფანტული ქვებისაგან ააშენა სახლი და მის გვერდით კოშკი, სადაც წერდა თავის ნაწარმოებებს.² ჯეფერსი ცხოვრობდა კარჩაკეტილად, საკუთარი ოჯახისა და ორიოდე ახლო მეგობრის გარდა, არავის ნახულობდა. საკუთარი სახელის პოპულარობის საკითხი მას არ აინტერესებდა და ამიტომ არ უნდოდა ჰქონოდა რამე შეხება პრესასთან.

ჯეფერსის პირველი ლექსები გამოქვეყნდა 1912 წ., მაგრამ მხოლოდ 1924 წელს გამოსული კრებულის შემდეგ იპყრობენ მისი ნაწარმოებები მკითხველის ყურადღებას. მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მეტად დიდია, იგი ქმნიდა ლექსებს, პოემებს, დრამატურგიულ ნაწარმოებებს. უმეტესად იგი წერდა თეთრი ლექსით, მისი პოეტური ენა არის ნათელი და გამოირჩევა კლასიკური სიზუსტით (classical directness and clarity³).

ჯეფერსის მსოფლმხედველობა მეტად პესიმისტურია. ავტორი უიმედოდ უყურებს კაცობრიობის მომავალს, სამაგიეროდ აღმერთებს ბუნებას: “He has made the core of his thought the renunciation of humanity and the reliance upon nature”.⁴ მის სულთან განსაკუთრებით ახლოს იყო მთები და კლდიანი გარემო, სადაც იგი ცხოვრობდა. სწორედ ამ გარემოთია შთაგონებული მისი მრავალი ნაწარმოები. მთა და ქვა, როგორც მარადიულობის სიმბოლო, ხშირად გვხვდება მის პოეზიაში: ისინი წარმოადგენენ კონტრასტს ადამიანების ცვალებად ცხოვრებასთან. მათში, მარკ ჰერცბერგის თქმით, “he found elements of timelessness and permanence absent in the commercial and industrial life of cities”.⁵ აქედან გამომდინარეობს მისი უიმედო დამოკიდებულება კაცობრიობის მომავლის მიმართ.

ბუნებრივია, რომ ასეთი მსოფლმხედველობის ავტორს იზიდავდა ანტიკური ტრაგედიების პირქუში კოლორიტი და მათი სიუჟეტები, სადაც ადამიანი საბოლოოდ ემორჩილება მასზე უფრო ძლიერ ბედისწერას. ჯეფერსს გამოყენებული აქვს „ორესტეს“ თემატიკა, დამუშავებული აქვს ორესტესა და ელექტრას, აგრეთვე ფედრასა და იპოლიტეს ისტორიები. უკვე შემოქმედების ადრეულ პერიოდში იგი მიმართავს სიუჟეტს არგონავტებისა და მედეას შესახებ, მაგრამ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები არის პიესა „მედეა“, რომელიც დაწერილია 1946 წელს.

ანტიკური ლიტერატურიდან მითი მედეას შესახებ ერთ-ერთი ყველაზე კარგად ცნობილი გახლავთ. ვერიპიდედან დაწყებული ამ თემის უამრავი დამუშავება არსებობს. დიდი ფრანგი დრამატურგი პიერ კორნელი წერდა: „ყველაზე ცნობილი რაც ანტიკურობამ დაგვიტოვა, არის ლეგენდა არგონავტებზე“⁶. თვითონ კორნელს ამ თემაზე დაწერილი აქვს ორი პიესა: ერთი სათაურით „მედეა“ და მეორე „ოქროს საწმისის მოტაცება“, სადაც აღწერილია კოლხეთში მომხდარი ამბები.

პიესებში მედეას შესახებ გამოყენებულია თქმულების სხვადასხვა ეპიზოდი და შეტანილია ცვლილებები სიუჟეტის განვითარებასა და ინტერპრეტაციაში. შუა საუკუნეებში მედეას სახეში ხაზგასმული იყო მისი, როგორც გრძნეულის, ძალა. მაგალითად, XIV საუკუნეში ინგლისელ მწერალს ჯონ გაუერს დაწერილი აქვს მოთხრობა, რომელშიც გამოყენებულია მითის მხოლოდ ერთი ეპიზოდი, კერძოდ, აღწერილია, თუ როგორ გააახალგაზრდავენ მედეა თავის მამამთილს. ამბავი ბედნიერად მთავრდება; მითის შემდგომი ტრაგიკული ამბები ავტორის მიერ განხილული არ არის; სამაგიეროდ ვრცლადაა აღწერილი, რა ნივთიერებებს აგროვებს მედეა თავისი ჯადოსნური ხსნარის მომზადებისათვის. მითის მრავალი გადამუშავება გვხვდება კლასიციზტურ ლიტერატურაში. შემდეგშიც ეს თემა იწვევს ინტერესს და დამუშავებულია სხვადასხვა ქვეყნის ავტორთა მიერ.

ჯეფერსის „მედეა“ წარმოადგენს მწერლის შემოქმედების მწვერვალს. პიესა მიძღვნილია ცნობილი მსახიობის ჯუდიტ ანდერსონისადმი, ვისთვისაც ავტორმა გადამამუშავა ეს ძველი მითი: „To Judith Anderson for whom this was written“⁷. ნაწარმოების სათაურშივე აღნიშნულია, რომ პიესა წარმოადგენს ვერიპიდეს ტრაგედიის თავისუფალ ადაპტაციას. ისევე როგორც ბერძნულ პიესაში, მოქმედება ხდება ერთი დღის განმავლობაში კორინთოში, მედეას სახლის წინ. იგივე რჩებიან მოქმედი გმირები, ოღონდ მაცნეს ნაცვლად შეყვანილია ახალგაზრდა მონა. ინგლისური ტექსტისათვის დამახასიათებელია მრავალი შენიშვნა და რემარკა, რომლებიც ხაზს უსვამენ სცენაზე წარმოდგენილ ამბებს. უკვე მოქმედ გმირთა სიაში მოცემულია ზოგიერთი ცნობა გმირების შესახებ. მაგალითად, აღნიშნულია, რომ მეფე კრეონი არის 50 წლის კაცი, მასზე უფროსია ათენის მეფე ეგეუსი, რომელიც ამასთან დახასიათებულია როგორც კეთილი ადამიანი: „A kindly

person, a little older than Creon".⁸ ბერძნული ენის კარგი მცოდნე, ჯეფერსი იქვე მიუთითებს, რომ ამ სახელის წარმოთქმისას მახვილი უნდა იყოს პირველ მარცვალზე: "E'geus - accent on the first syllable".⁹

ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ ევრიპიდეს სიუჟეტის ძირითადი საზი არ არის შეცვლილი ჯეფერსის მიერ, მაგრამ მის ადაპტაციაში მოქმედება უფრო დინამიურად ვითარდება. ამერიკელი ავტორი შეამოკლებს ბერძნული პიესის გრძელ მონოლოგებს. მაგალითად, ბერძნულ პიესაში კრეონის წასვლის შემდეგ მედეა გამოხატავს თავის გრძობებს ვრცელ მონოლოგში, ინგლისურ ტექსტში კი იგი ამბობს მხოლოდ ერთ, მაგრამ ძალიან შთამბეჭდავ ფრაზას: "I will thank you, and the whole world will hear of it".¹⁰ ზოგ ადგილას მონოლოგების ნაცვლად გამოყენებულია დიალოგები. ამავე დროს გვხვდება ადგილები, სადაც ტექსტი გაზრდილია და ამით ავტორი ცდილობს საზი გაუსვას პიესაში შექმნილ დაძაბულ სიტუაციებს. ამავე მიზანს ემსახურება ტექსტში გაკეთებული რემარკები, რომლებშიც ავტორი აძლევს მსახიობებს სათანადო მითითებებს. მაგალითად, იმ ადგილას, სადაც სცენაზე გამოდის იასონი, აღნიშნულია: "Medea slowly turns and faces him, her head high, rigid with inner violence".¹¹ მედეასა და ეგეუსის შეხვედრის სცენაში კი მითითებულია: "Medea pays no attention; she ignores him"¹²; "...says in bitter mockery".¹³

ამერიკელი ავტორის პიესაში საგრძნობლადაა გაზრდილი მედეას გადიის როლი. ესქილესთან გადას სცენაზე მხოლოდ პიესის დასაწყისში არის, ნაწარმოები იწყება მისი მონოლოგით. ინგლისურ ტექსტში კი გადია პიესის ბოლომდე იღებს აქტიურ მონაწილეობას მომხდარ ამბებში. იგი ყოველნაირად ცდილობს დაქსმაროს მედეას, გაიგებს ათენის მეფის ჩამოსვლის შესახებ და უნდა შეახვედროს მას მედეა; სწორედ გადია თხოვს ეგეუსს, რომ მისცეს მედეას თავშესაფარი. ევრიპიდეს მაცნეს ნაცვლად გადია ყვება კრეონისა და მისი ქალიშვილის დაღუპვის ამბავს.

ჯეფერსის მიერ მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი აგრეთვე ქოროს როლშიც. ორივე პიესაში ეს არის კორინთოს ქალების ქორო, მაგრამ ჯეფერსთან მისი შემადგენლობიდან ცალკე გამოყვანილია სამი ქალი, რომლებიც გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს. ისინი დაახლოებული არიან პიესის გმირებთან, უფრო შინაურულად ესაუბრებიან მათ. ტექსტის ეს ნაწილი უმეტეს შემთხვევაში მთლიანად დაწერილია თვით ჯეფერსის მიერ. ქალები გულთან ახლოს იღებენ მედეას განცდებს. მაგალითად, მას შემდეგ, რაც კრეონი აცხადებს თავის განაჩენს მედეას განდევნის შესახებ, ქალები გამოთქვამენ აღშოთობას მეფისა და მისი მმართველობის - წინააღმდეგ: "I have seen that man's arrogance, I watched and heard him and I say that Corinth is not well ruled".¹⁴ იმავე აზრისაა ქოროს მეორე ქალიც. მაგრამ ზოგ შემთხვევაში ისინი სხვადასხვანაირად აფასებენ მომხდარ ამბებს. მაგალითად, როდესაც ისინი თავიდან ხედავენ მედეას, პირველი და მეორე ქალი

შეშინებული არიან, როცა ამჩნევენ მედეას დატანჯულ სახეს; მესამე ქალი კი დიდი თანაგრძობით ლაპარაკობს მის განცდებზე.¹⁵ ბერძნული პიესის ტექსტიდან ჯეფერსი ორჯერ იღებს ძირითად იდეას, მაგრამ სხვანაირად, უფრო გასაგებად გადმოსცემს მას. მაგალითად, იასონისა და მედეას საუბრის შემდეგ ქალები მსჯელობენ სიყვარულის შესახებ: "A little love is a joy in the house, a little fire is a jewel against frost and darkness... God save me from the violence of love; a great love is a fire that burns the beams of the roof".¹⁶

პიესის ზოგ ადგილას ჩართულია სცენები, სადაც მედეა ესაუბრება ქალებს, რაც ავტორს საშუალებას აძლევს უკეთესად გააშუქოს მთავარი გმირის სახე. ვერიპიდესთან ქორო დგას მოქმედ გმირებზე მალა, ქორო აფასებს მათ საქციელს და წინასწარ იცის რა უნდა მოხდეს. ჯეფერსის პიესაში კი არის ადგილები, სადაც მბრძანებლის როლში გამოყვანილია მედეა. ერთ ადგილას იგი პირდაპირ აჩერებს ქალებს და ამბობს: "Be silent".¹⁷ ერთი ქალი შეშინებულია მედეას შურისძიებით და მას უნდა სახლში წავიდეს: "Let me go, Medea, let me go to my house", მაგრამ მედეა მას ნებას არ აძლევს: "You will stay here, and watch the end".¹⁸

რაც შეეხება იასონს, ჯეფერსის პიესაში მისი სახე, ვერიპიდესთან შედარებით, თითქმის უცვლელი რჩება - ზოგ ადგილას კიდევ უფრო ხაზგასმულია მისი უარყოფითი თვისებები. იგი მოდის მედეასთან შეიარაღებულ მსახურებთან ერთად, რის გამოც მედეა დასცინის მას. ქოროს ქალები განწყობილი არიან მის წინააღმდეგ. პიესის ბოლოს, უკვე ბავშვების დაღუპვის შემდეგ, ქოროს პირველი ქალი უწოდებს იასონს "The accursed man"-ს და ყველაფერში ადანაშაულებს მას: "You caused these things; she was faithful to you and you broke faith".¹⁹

ცხადია, რომ პიესის ცენტრში დგას მთავარი გმირი ქალი - მედეა. ჯეფერსს იზიდავდა ეს არაჩვეულებრივი ქალი, უსაზღვროდ ძლიერი სიყვარულშიც და სიძულვილშიც. თავის პიესაში იგი ცდილობს, რაც შეიძლება ღრმად და მრავალმხრივად აჩვენოს მისი შინაგანი სამყარო. ამისათვის ავტორი ზოგჯერ ცვლის ან გადააკეთებს ცალკე ეპიზოდებს. მაგალითად, შემთხვევითი არ არის, რომ მოქმედ გმირთა რიცხვში შეყვანილია ახალგაზრდა მონა. ეს პერსონაჟი ავტორს დასჭირდა, რათა საზი გაესვას მედეას გულკეთილობისა და უბრალო ხალხისადმი კარგი დამოკიდებულებისათვის. ახალგაზრდა მონა გამოჩნდება პიესის ბოლოს, კრიონის და მისი ქალიშვილის დაღუპვის შემდეგ და აფრთხილებს მედეას, რომ სწრაფად გაიქცეს კორინთიდან: "You were good to me while I was here in the house. Escape, Medea".²⁰

მთელი პიესის განმავლობაში ხაზგასმულია მედეას სიამაყე როგორც მეფის შვილისა. ამავე დროს ტექსტში ნახსენებია მისი აღმოსავლური წარმოშობა. ნაწარმოების დასაწყისში, როდესაც მედეა დასტირის თავის ბედს, ავტორი აკეთებს

რემარკას: "She is asiatic and laments loudly".²¹ თვითონ მედღა უბირისპირებს თავისთავს ბერძნებს და ეუბნება კორინთოს ქალებს: "you came to see how the barbarian woman endures betrayal".²²

ძლიერი და ამაყი ხასიათის ქალი, მედღა ძალზე გაბრაზდება, როცა კრეონი, მისი მტერი, ამბობს: "I pity you, Medea, but you must go". მედღას პასუხში უკვე იგრძნობა მისი შურისძიების ტრაგიკული დასასრული: "You pity me?.. We shall see in the end who's to be pitied".²³

პიესაში შთამბეჭდავადანა ნაჩვენები, თუ როგორ მწიფდება მედღას გულში შურისძიების გრძნობა. ანასთან დაკავშირებით მედღასა და ათენის მეფის შეხვედრის სცენა ჯეფერსთან სულ სხვა ხასიათს ატარებს. ევრიპიდესთან მედღა მუხლებზე მდგომი ეხვეწება ეგეუსს, რომ მისცეს თავშესაფარი მას და მის შვილებს, ჯეფერსის ადაპტაციაში კი სცენის დასაწყისში მედღას საერთოდ არ უნდა შეხვდეს ათენის მეფეს. მის ნაცვლად მოქმედებს გაღია, მედღა კი ჩაფლულია თავის ფიქრებში და აქტიურად ჩაებმება ლაპარაკში მხოლოდ მაშინ, როდესაც ეგეუსი ჩივის, რომ არის უშვილო: "One's children are the life after death". აქედან ებადება მედღას აზრი, რომ იასონის მიმართ სრული შურისძიებისათვის საჭიროა დატოვოს იგი უშვილოდ, მაგრამ ეს ფიქრი ამინებს მას: "My dear, my love... I would not hurt my children".²⁴

ტექსტში შეტანილი ცვლილებებით ჯეფერსი კიდევ უფრო უსვამს ხაზს, თუ როგორ იბრძვიან მედღას გულში შეურაცხყოფილი ქალის და მოსიყვარულე დედის გრძნობები. მისი სიამაყე მოითხოვს შურისძიებას და იგი ღუპავს კრეონსა და მის ქალიშვილს, მაგრამ შურისძიების მეორე საფეხური მისთვის აუტანელია: "I wish all life would perish, and the holy gods in high heaven die, before my little ones come home to my hands".²⁵

მედღას გრძნობების ბრძოლა გრძელდება პიესის ბოლომდე, მაგრამ ქალის სიამაყე საბოლოოდ იმარჯვებს. ქოროსადმი მიმართულ სიტყვებში მედღა პირდაპირ ამბობს, რომ არ არის ჩვეულებრივი ქალი, რომელიც მოითმენს შეურაცხყოფას: "You there! You thought me soft and submissive like a common woman - who takes a blow and cries a little and runs about the housework, loving her master? I am not such a woman".²⁶

ძალიან მრისხანე, საშიში, მაგრამ დიადი გვევლინება მედღა პიესის ბოლო სცენაში, როდესაც იგი სვდება აღშფოთებულ იასონს და უწინასწარმეტყველებს, რომ იგი დაიღუპება მისივე გემის, არგოს ნამსხვრევებში.

ჯეფერსის "მედღა" დაიდგა სცენაზე ნიუ იორკში და ასენსაციური წარმატება ჰქონდა.²⁷ ყველა წყაროში აღნიშნულია, რომ მედღას როლს უბრწყინვალესად ასრულებდა ჯუდიტ ანდერსონი, ვისთვისაც დაიწერა ეს ადაპტაცია. მარკ შორერი ყურადღებას ამახვილებს პიესის მელოდრამატულ მომენტებზე, მაგრამ ასიც

ადასტურებს, რომ "მედეას" დადგმის შემდეგ, "Jeffers found a wide audience".²⁸
ბ. კოსტელო ვეფერსის პიესას უწოდებს "A powerful adaptation"-ს²⁹ და აღნიშნავს მის დიდ წარმატებას.

ვეფერსის პიესა უდავოდ არის ევრიპიდეს ნაწარმოების უაღრესად საინტერესო ადაპტაცია, რომელშიც კარგად არის გათვალისწინებული მეოცე საუკუნის სცენის სპეციფიკა და მისი თანამედროვე მკითხველის მოთხოვნილებები.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ M.Schorer. The Literature of America. Twentieth Century. McGraw-Hill Book Company, 1970, p. 196.
- ² A. J. Porter, H.L.Terrie, E.J.Gordon. American Literature. Ginn and Company, 1979, p. 649.
- ³ The Wordsworth Companion to Literature in English, 1992, p. 480.
- ⁴ J.D.Hart. The Oxford Companion to American Literature. Oxford University Press, 1941, p. 370.
- ⁵ M.J.Herzberg. The Reader's Encyclopedia of American Literature. New York, 1962, p. 539.
- ⁶ P.Corneille. Oeuvres Complètes, IV, Paris, 1909, p. 1.
- ⁷ Robinson Jeffers. Medea. New York, 1946, p. 1.
- ⁸ Ibid, p. 2.
- ⁹ Ibid, p. 2.
- ¹⁰ Ibid, p. 27.
- ¹¹ Ibid, p. 33.
- ¹² Ibid, p. 44.
- ¹³ Ibid, p. 50.
- ¹⁴ Ibid, p. 27.
- ¹⁵ Ibid, p. 15.
- ¹⁶ Ibid, p. 40-41.
- ¹⁷ Ibid, p. 73.
- ¹⁸ Ibid, p. 81.
- ¹⁹ Ibid, p. 98-99.
- ²⁰ Ibid, p. 81.
- ²¹ Ibid, p. 7.
- ²² Ibid, p. 81.
- ²³ Ibid, p. 21.
- ²⁴ Ibid, p. 47-48.
- ²⁵ Ibid, p. 78.
- ²⁶ Ibid, p. 93.

²⁷ H.Waggoner. Jeffers. The McGraw-Hill Encyclopedia of World Biography, vol.5, New York, 1973, p. 545.

²⁸ M.Schorer, Op. cit., p. 196.

²⁹ B.Costello. Robinson Jeffers. The World Book Encyclopedia, vol.11. Chicago, London, 1996, p. 75.

NATALIA ORLOVSKAYA

Tbilisi Ivane Javakhishvili State University, Professor

SUMMARY

ROBINSON JEFFERS AND HIS PLAY "MEDEA"

Robinson Jeffers (1887-1962) is a well-known American poet, author of lyrical verses, narrative poems and plays. Many of his poems are based on biblical stories and ancient myths. He wrote mostly in free verse. His poetic language has classical directness and clarity. Jeffers glorified the stern beauties of nature and situated most of his poems near his home in California, a region of steep mountains, in which he found elements of permanence absent in the present industrial and commercial life of mankind. He had a pessimistic view on the development of society and often used Greek myths to emphasize man's tragic position in the universe. His best-known play is "Medea" (1946). It was staged in New York and proved to be his greatest popular success.

"Medea" is a free adaptation of Euripides' play. In the present paper the two texts of the play are compared to show the changes made by Jeffers in order to produce the ancient myth on the modern stage.

როსტომ ჩხეიძე

შოთა რუსთაველის ლიგერატურის
ინსტიტუტის პროფესორი,
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარი რედაქტორი

როგორ იძიეს შური ნოვებით (ჯეკ ლონდონი და მართლმსაჯულება)

ქარტერ უოტსონს, სოციოლოგსა და ზნეობის დამცველს, 27 მშვენიერი წიგნის ავტორსა და თავისებურ რეფორმატორს, ილლიაში ჟურნალი ამოუჩრია და დინჯად მიაბიჯებს იმ ქვაფენილზე, სადაც ოცი წელიც იქნება აღარ გაუვლია და ასლა გულდასმით აკვირდება აქ მომხდარ საოცარ ცვლილებებს.

ეს ჟურნალია, მალე დიდ დავიდარაბას რომ გადაჰყრის, მაგრამ უოტსონი ჯერ თავის ფიქრებში გახვეულა (არც მოკლე გზა არსებობს და არც მოულოდნელი გარდატეხის იმედი - კაცობრიობამ თავისი უკეთესი მომავალი ტანჯვითა და წვალებით უნდა გამოსჭედოს. ასე იყო წინათ, ასე იქნება მომავალშიც), ახალ თემებს ეძებს და ერთი სამიკიტნოს ჭყეტულა აბრა თვალს რომ მოსტაცებს და შიგნით შუვა, აზრი გაუელვებს, ერთხელ კიდევ მოვალ და ამ სამიკიტნოს მიუმტრებს შვისწავლიო.

ასე იწყება ჯეკ ლონდონის ნოველა „გამართლება“, ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში მის შემოქმედებაში და ქართული მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი ანდრუჟაფარ ჭივივილის მეოხებით და თუნდ ამერიკელი მწერლის ხუთტომეულის მესამე ტომში გადაიკითხავდა კაცი ხელახლა.

ერთხელ უკვე დამჭირდებოდა ეს ნოველა „შურისგების“ მეორე თავში, როდესაც იმის საილუსტრაციოდ მოვიხმობდი, თუ როგორ უხდინან ადამიანს სამაგიეროს ზუსტად ისევე, რა დანაშაულიც მან ჩაიდინა. შურისმაძიებლისათვის მთავარი ის კი არ არის, მინცდამინც აზღვევინოს შემცოდეს დანაშაული, არამედ ზუსტად ისევე მიაგოს - ამიტომაც უნდა განმეორდეს თითოეული რეალია და ფრაზაც. მხოლოდ ასეთნაირი შურისგება დაუშოშინებს სულს, მხოლოდ ეს დაუოკებს აბობოქრებულ სისხლს.

ამჯერად სხვა კუთხიდანაც დაუკვირდეთ - სინამდვილისა და მხატვრული გარდასახვა-განზოგადების შეპირისპირებიდან, ოღონდ თვალსაჩინოებისათვის სიუჟეტური ქარგაც და ცალკეული პასაჟებიც უსათუოდ უნდა აღვიდგინოთ მეხსიერებაში.

ქარტერ უოტსონი სად მივატოვეთ?

აქ ერთხელ კიდევ მოვალო, თავის თავს რომ შეპირდება და სამზარეულოს

ჩაუვლის, სადაც სამიკიტნოს მეპატრონე პეტსი ჰორანი ფაცხაფუცხით სადილობს, რათა მუშტრების მოზღვაებამდე მოასწროს დანაყრება. დილიდანვე ცუდ ფეხზეა ამდგარი, მთელს ქვეყანაზე გაბრაზებული და რაკილა არც უოტსონს იცნობს და ვერც იმას მიხედება, რა ჟურნალი ამოუდვია ილლიაში, მოჩვენება, ეს კაცი ერთი იმ აბეზართაგანია, ჩემი დარბაზის კედლებს რომ ამახინჯებენ ათასგვარი განცხადებითა და რეკლამითო. ჟურნალის ფერადი ყდა ეგონება რეკლამა. და დანა-ჩანგალსაც არ გააგდებს ხელიდან, ისე მივარდება უოტსონს და აუყვირდება: გაეთრიე აქედან! ვიცი, რა მაიმუნებიცა ხართ! კედლები უნდა გამიფუჭო.

უოტსონი არ აჰყვება თავდამსხმელს, მოუბოდიშებს კიდევ: თუ რამე დავაშავე, ალბათ უნებლიეთო, - და გასასვლელისაკენ შემობრუნდება. რა გგონიათ - მშვიდობიანი ვაცლა კიდევ უფრო გამძინვარებს პეტსი ჰორანს და უოტსონს ეცემა. პეტსის ჩხუბი დუქნებსა და სამიკიტნოებში აქვს ნასწავლი და მხოლოდ უხეშობითა და შეუპოვრობით სჯაბნის მოწინააღმდეგეებს, უოტსონი კი მოკრივეა, მაგრამ ამ უპირატესობას არასოდეს არავისთან არ იყენებს: კრივს, ჯურღმულებისა და გეტოების კელევას იგი თავდაჭერილი გაუხდია.

ამიტომაც არ ურტყანს და მხოლოდ პეტსის შერევა-მოგერიებას ცდილობს, და მაშინაც, როდესაც ორივე იატაკზე დაეცემა, მკლავებს შემოაჭლობს და გასაქანს არ აძლევს, თანაც იმედოვნებს, გამშველებული როგორ არ გამოჩნდებაო.

მართლაც შემოვარდება დარბაზიდან ექვსი კაცი და იატაკზე დაცემულთ ნახევარწრედ შემოერთყვიან.

- ბიჭებო, მომამორეთ! - ითხოვს უოტსონი, - მე არ გამირტყამს და არც მინდა ვეჩხუბო.

ნახევარწრე საშიშრად დუმს.

პეტსი ვერაფრისდიდებით ვერ მოუხერხებს მუშტის დარტყმას და თითქოს მორიგებას ამჯობინებს: გამიშვი და ხელს არ გახლტებო.

უოტსონი მაშინვე შეუშვებს ხელს, მაგრამ პეტსი ფეხზე წამოვარდება თუ არა, მუშტს მოუღერებს იატაკზე გამოლტილ მოწინააღმდეგეს დაუღრიალებს, ადევით.

უკან დაიწივ და ავდგებიო, - სთხოვს უოტსონი, რომელიც მიხვედრილია, რომ შეწყალების იმედი არ უნდა ჰქონდეს, პეტსის კი სახე რისხვითა და უღმობულობით უელავს და ამფსონების შემომატებით დიდგულზეა:

- შენ თუ პატიოსანი კაცი ხარ, რატომ არ დგები!

და მოუნდომებს წიხლის ჩარტყმას სახეში. უოტსონი მოასწრებს წამოხტეს და სამიკიტნოს მეპატრონე კვლავ ჩაბლუჯოს, თან მაყურებლებს შეევედრება: მომამორეთ, ხომ ხედავთ, თითსაც არ ვაკარებ, ჩხუბსაც არ ვაპირებ, აქედან წასვლა მინდა მხოლოდო.

პეტსი კვლავ შეეცდება მის: წაქცევას, მაგრამ უოტსონი პირაღმა დასცემს, ფეხზე წამოხტება და კარისაკენ გაეშურება, მაგრამ წრე კედელივით აღიმართება

მის წინ. უოტსონი შეამჩნევდა, რომ მათ ისეთი სახეები ჰქონდათ - ფერმკრთალი და შეშუპებული - ეტყობა, მზის სინათლეს ემალებოდნენ, და მიხვდებოდა, ქალაქის ჯუნგლის ღამის მტაცებლებს გადაყრივარო.

მეტად უთანასწორო შეჯახება გამოდიოდა - ერთი შვილის წინააღმდეგ, და ისაა, უოტსონის გულში ჩათვლემილმა მხეცმა უნდა გაიღვიძოს, რომ ჯერ ცოლ-შვილი გაახსენდება, მერე დაუმთავრებელი წიგნი, მერე თავისი საყვარელი ათი ათასი აკრი მთავორიანი მამული, გაახსენდება, რომ სიცოცხლე ძალიან კარგია და თუ მისი შენარჩუნება სურს, არც თავდამსხმელს არ უნდა დააკაროს ხელი და არც მის დოსტებს.

რამდენჯერაც დაუსხლტება სამიკიტნოს მეპატრონეს და კარს მივარდება, ღამის მტაცებლები იმდენჯერ შემოაბრუნებენ უკანვე, და გაცოფებისაგან ჭკუაზე გადასული პეტსი გამწვარებით დაარტყამს სახეს თავზე, ისე, რომ მთლად ჩაიღურჯებს და დაისისხლიანებს თვალს, ცხვირსა და ღაწვებს. ეს სულ გადარეცხს და რაც მეტად სტკივა, უფრო მეტად ურტყამს სახეს უოტსონს.

როგორც იქნა დაუსხლტება სოციოლოგი ბანდას და გარეთ გამოლწევას მოახერხებს, კიდევ ზედ სამიკიტნოს კართან შეეფეთება პოლისმენს, შველას შეევედრება, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უოტსონი კარგადაა გარკვეული ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისხით-მისხამდე შეუსწავლია მისი დაფარული მხარებიც, თურმე წინ დიდი გაოგნება ელოდა - ჯერ პოლისმენისაგან და მერე მოსამართლისგანაც.

პოლისმენი აშკარად კეთილგანწყობილია სამიკიტნოს მეპატრონის მიმართ და მეგობრულად გაესაუბრება, ის კი თავის მტაცებლებს მოწმეებად დაასახელებს: სამზარეულში ვიჯექი და წვენს ვხვრებადი, ეს საფრთხობელა კი, ალბათ, მთვრალი, შემოვიდა და აქაურობა თავდაყირა დააყენა. მე ტიმ მაკგრეტი ვარ, - მეუბნება, - და შემიძლია, რაც მინდა, ის გიქნა. აბა, ხელები მადლად. მე გავიცინე. მან კი ლაწ, ლუწ - ორჯერ მთხლიშა და წვენი დამაქცევინა. ნახე, თვალი როგორა მაქვსო.

და პოლისმენი... ქარტერ უოტსონს დააპატიმრებს, რატომ დაესხი თავს, კაცი თავისთვის იჯდა და წვენს ხვრებადო.

უოტსონი გაშმაგდება და რას გაშმაგდება - არამართო უმიზეზოდ დაესხნენ თავს, სცემეს და მერე დააპატიმრებს, ყველა დილის ვაზეთი გამოაქვეყნებდა მთვრალი სოციოლოგისა და ყბადაღებული "ვენდომის" მეპატრონის ჩხუბის სენსაციურ ცნობას ერთიერთმანეთზე სკანდალური სათაურებით.

სასამართლოზე კი უოტსონი მოჰყვება თუ არა მტკიცებას, პეტსიმ თვითონ დაისისხლიანა თავ-პირი, რადგანაც გაბრაზებული მირტყამდა სახეს თავზეო, მოსამართლე უიტბერგი სასაცილოდ აიგდებს: შეგნებულნი გაქვთ თუ არა ფიცის სიწმინდე? აბა, რა ზღაპრებს გვიყვებით. განა შეიძლება კაცმა თავისით დაისახჩროს

თავი? განა შეიძლება სახის რბილი და მგრძობიარე ნაწილები თავში ურტყას ვინმეს. განა ჭკუთამყოფელი ასე მოიქცევაო? - და როდესაც პასუხად სოციოლოგი შეასხენებს: გაშმაგებული ადამიანი აღარ არის ჭკუთამყოფელიო, - მოსამართლე ამ უწყინარ პასუხში სასამართლოს შეურაცხყოფას დაინახავს და აყვირდება.

ყველას კარგად მოეხსენება, ვინ არის პეტსი ჰორანი, და მოსამართლემაც ჩინებულად უწყის. გულში სჯერა კიდევ. რომ პეტსი ტყუილად იფიცებს: უოტსონი დამესხა და იძულებით ვიცავდი თავს სიცოცხლის გადასარჩენადო, - მაგრამ არჩევნებისას პეტსის გარკვეული გავლენა აქვს და ანგარიშს ამიტომაც უწყევნ. ალალმართალი უოტსონიც უნდა დაისაჯოს!... ამიტომაც განაჩენს ისე მოაკვარახჭინებს, რომ ორივეს გაამართლებს და ხელის ჩამორთმევას და შერიგებას ურჩევს.

გაზეთებში ეს ყოველივე ათასგვარად გადაკეთებულ-გადმოკეთებული დაბეჭდება, უხვად შეზავებული ჭორებით. ერთი გაზეთი იმას ირწმუნება, მოსამართლე უიბტერგმა ორივე მოჩსუბარს ხელის ჩამორთმევა რომ ურჩია, მათ მაშინვე შეასრულეს რჩევაო.

- მოდი ცოტა გადავკრათ ამის აღსანიშნავად, - უთხრა პეტსი ჰორანმა.

- გადავკრათ, - უპასუხა ქარტერ უოტსონმა და ისინი ხელისხელგადახვეულნი გაემუხრნენ უახლესი სასაუზმისაკენ.

ასე გადააქცია სოციოლოგის ცხოვრების ეს მწარე ეპიზოდი გაზეთმა ფარსად, საერთოდ კი წვეთივით აირეკლა მოშლილი საზოგადოებრივი და ზნეობრივი ყოფა, როდესაც სიმართლე იოლად ჩაიხშობა და გაცამტვერდება სათამაშოდ გადაქცეული მართლმსაჯულების ხელში.

საერთოდ, ამ თავგადასავალმა მაინცდამაინც მძიმე მოგონებები არ დაუტოვა ქარტერ უოტსონს, ამ თავისებურმა სოციალურმა ცდამ ახალი წიგნი დააწერინაო, - ასე გვაცნობს მწერალი გმირის სულიერ მდგომარეობას, თუმც მისი პროტოტიპისათვის მთლად ასე იოლად და უცვალოდ არ ჩაუვლია ამ თავგადასავალს. პროტოტიპისათვის...

ეს ნოველა პირად თავგადასავალს შთაეგონებინა, ქარტერ უოტსონის პროტოტიპი თვითონ ჯეკ ლონდონია, და ეს დაბეჯითებით ვიცით მისი მეუღლის, ჩარმიან ლონდონის, მოგონებების წყალობით.

თურმე მხოლოდ მარტინ იდენის პროტოტიპი კი არ ყოფილა მწერალი ამავე სახელწოდების რომანში, არამედ აკერ "გამართლების" პერსონაჟისაც.

ჩარმიანი კი ქმრის ზიოგრაფიას რომ შეადგენდა, იმასაც გაიხსენებდა, თუ როგორ შეეცვალა მათი თანაცხოვრების ერთი უდიდესი სიხარული უმძიმეს მწუხარებას. სანუკვარი ოცნება აღუსრულებოდა ცოლ-ქმარს, ჩარმიანს ბავშვი ეყოლებოდა. მართალია მწერალი ბიჭზე ოცნებობდა და გოგონა კი გაჩნდებოდა, მაგრამ თურმე ბედნიერებისაგან ბრწყინავდა და აღტაცებას გამოთქვამდა

ახალშობილის სათუთი კანისა და ჭროლა თვალების გამო.

მშობიარობა მძიმე იყო და გოგონა ორ დღე-ღამესაც ვერ იცოცხლებდა. ცოლ-ქმარი სასოწარკვეთას მიეცემოდა.

თავსდატეხილი უბედურებით მოცული ჯეკი ქალაქში დახეტიალობდა და უნებურად ამოჰყოფდა თავს მიყრუებულ კვარტალში, ჩინური სათამაშო სახლებით რომ გადავსებულიყო. ამერიკულ აზრას მოჰკრავდა თვალს და პატარა კარში შევიდოდა, ეგონა, საპირფარეოში მიმიყვანსო, ღამის ბუნაგში კი აღმოჩნდებოდა.

ყოველივე რაც შემდეგ მოხდა, საკმაო სიზუსტით აღიწერა ნოველაში. შემომსვლელის ხელში ჟურნალი რომ დაინახა, მეპატრონემ იფიქრა, კედლებზე რეკლამის გაკვრას აპირებსო, და გაცოფებული ეცა. მის დასახმარებლად ვიღაც ბნელ-ბნელი ტიპებიც დაიდრნენ და თავპირდაღწეული ჯეკი ქუჩაში ისროლეს.

რაღა დოკუმენტური ჩანაწერი და რაღა ნოველის ეს ნაწილი!...

ლონდონს აღიარებული მწერლის მთელი გავლენის გამოყენება დასჭირდა, საქმე სასამართლოში რომ მოხვედრილიყო, თუმცა - 'ზუსტად ისევე, როგორც ნოველაშია - მოსამართლემ საქმე „საეჭვოდ“ მიიჩნია. ხოლო რადგანაც - არსებული კანონის თანახმად - განსასჯელის სასარგებლოდ წყვეტს საქმის მსვლელობას, ხულიგანმა მეპატრონემ სასჯელს თავი უფებლად დააღწია.

შემდგომ გამოირკვა, რომ ამ ბუნაგის ნამდვილი მესაკუთრე... თვითონ მოსამართლე ყოფილა. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი ნოველაში არსად ამოიკითხება.

მწერლის მეუღლე ამის თაობაზე დარწმუნებით ვერაფერს ამბობს და ვარაუდობს, რომ ეს ჯეკ ლონდონის სურვილით არ მოხდებოდა: მოვლენათა - ამჯერად უკვე სიუჟეტის განვითარების - ასეთ სენსაციურსა და თავზარდამცემ შემობრუნებაზე ჯეკი უარს არ იტყოდაო.

რედაქტორები და გამომცემლები მოერიდნენ სასამართლოსთან ურთიერთობის გამწვავებას და მწერალს სთხოვეს, ეს უსიამოვნება აერიდებინა მათთვის?

მაგრამ იქნებ სწორედაც სიუჟეტის შინაგანმა ლოგიკამ უკარნახა მწერალს, მაინცდამაინც ისე წარმართულიყო თხრობა, რომ მოსამართლის პირადი დანტერესება საქმის ჩაფარცხვით და თავისი ხელქვეითის გამოსხნით კანონის ბრწყალთაგან ნაკლებმნიშვნელოვანი გამოჩნდა სხვა მოტივთა ფონზე?

ისევე როგორც ნოველაში არ შესულა ის მთავარი მიზეზი, თუ რატომ აღმოჩნდა ჯეკ ლონდონი ღამის ბუნაგში.

განა არ შეიძლებოდა, რომ ქარტერ უოტსონიც ახალშობილი გოგონას გარდაცვალებით ყოფილიყო შეძრული და ფიქრის გასაქარვებლად მოსდებოდა ქალაქის ქუჩებს?

ნოველის შინაგანი ლოგიკისა და ფონის მიხედვით სწორედაც არ შეიძლებოდა - საეჭვო ღირებულების სენტიმენტალურობა გაჩნდებოდა თხრობისას და მწერალი

ამიტომაც შეელოდა თავისთავად გულისშემძვრელ რეალიას.

ისეთი რამ არის გამოტოვებული შეგნებულად ამერიკელი ბელეტრისტის ნოველაში, რაც მანამდე ჭართველი პოეტის ერთ ლექსშიც ქარვის მიღმა დარჩებოდა. გრიგოლ ორბელიანის შედევრი იგულისხმება - ჩემს დას ეფემიას".

პატიმრობის დღეების მოგონებებზე ამოზრდილა ლექსის ლირიკული სარჩული, გაუნელებელი სიმძაფრით ტრიალებს ის განწყობილებანი და ცალკეული რეალიები, მაგრამ გაკრთომითაც არ გაკრთება ის თავისთავად გულისშემძვრელი ეპიზოდი, სწორედ იმხანად დედა რომ გარდაეცვლებოდა „სადღეგრძელოს“ შემოქმედს და ტუსაღს დაკრძალვაზე დასწრების უფლებასაც არ მისცემდნენ. პროცესიას საპატიმროს ჭუჭრუტანიდან ვუყურებდით, - მწარედ დაიკვნესდა ერთ კერძო ბარათში, ლექსში კი...

რაოდენ საგულისხმოა დავით წერედიანის ის დაკვირვება, პოეტური ქსოვილის სიფაქიზეს რომ წარმოაჩინს და გვიბიძგებს, ამ თვალთ ჩაუევიკრდეთ - როგორც კი საამისო შემთხვევა მოგვეცემა - სხვა თხზულებებსაც, თუ რა და როგორ იცვლება რეალობის გარდათქმისას მხატვრულ წარმოსახვებად:

„ეს მაცდუნებელი დეტალი ლექსში არ შეუტანია, რაც მის პოეტურ ტაქტზე მეტყველებს, - ნაწარმოების ტრაგიზმით აღსავსე პათოსში საეჭვო ღირებულების სენტიმენტალურობა შემოიჭრებოდა“.

რა უცნაურად შეიძლება დაუკავშირდეს ერთმანეთს სრულიად სხვადასხვა მხატვრული ქმნილება.

სად გრიგოლ ორბელიანის ჩემს დას ეფემიას" და სად ჯეკ ლონდონის „გამართლება“.

და მინც, ერთი საგულისხმო რეალიაა, როგორ აახლოებთ - მხატვრული ტაქტი.

მოსამართლის პირადი დაინტერესება ნაკლებმნიშვნელოვანი გამოჩნდაო...

ასეა თუ ისე, მას შემდეგ რაც სასამართლო დაუსჯელს დატოვებდა ბნელი ადამიანების მუშტი-კრიეს გამოჩენილ მწერალთან, ჯეკ ლონდონს მოსამართლისა და სანფრანცისკოს ყველა გაზეთისათვის ამ შინაარსის წერილი გაუგზავნია:

„ოდესმე, სადმე და როგორმე, მაგრამ გამოვიჭერთ კანონიერ საფუძველზე. სულაც არ ვაპირებ თავს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საფრთხე შევეუქმნა. თქვენს წარსულს არ ვიცნობ. მაგრამ ამიერიდან თქვენი წარსულით დაინტერესებასა და მომავალი საქმიანობისათვის თვალყურის დევნებას ვიწყებ და გამოვიჭერთ კანონითა და კანონიერი ძიებით აღჭურვილი...“

განზრახული შურისძიება ვერ აღსრულდებოდა.

ვერ გამოიჭერდა და მინცდამინც აღარ მოინდომებდა მსაჯულის ბნელ საქმებში ქექვას.

„ოდესმე“, „სადმე“, „როგორმე“ ჰაერში გამოეკიდებოდა.

კი მაგრამ, ჯეკ ლონდონის დაუშრეტელი ენერგია? ის შეუპოვარი ჟინი, რითაც ამ ბრძოლაში ჩაება? ბოლოსდაბოლოს, ის დიდება, რაც მის სახელს ახლდა?

ეს ყოველივე ფუჭი აღმოჩნდა, - აღნიშნავენ ბიოგრაფოსები და სინანულით დასძენენ, რომ ჯეკი სამაგიეროს მიუზღველად გარდაიცვალა.

შურისგების დაუოკებელი წყურვილი ნოველის ორ უკანასკნელ თავშიც ვერ დაიოკა?

რეალურ სურათს მხატვრული წარმოსახვა გააგრძელებს და ქარტერ უოტსონი, ვისაც თითქოს მაინცდამაინც მძიმე მოგონებები არ დაუტოვა ამ თავგადასავალმა, თავის მიწაზე შემთხვევით გადააწყდება მოსამართლე უიტბერგს, ვინც ქალაქიდან სასიერნოდ წამოსულა და უნებურად მოხვედრილა სოციოლოგის მამულში. მოსამართლე ხელს გაუწყდის ჩამოსართმევად, მაგრამ უოტსონი თვალს აარიდებს და ეტყვის: გასეთება დამბარალეს, თითქოს ხელი ჩამოშორთვას პეტსი ჰორანისათვის, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ ათასჯერ მეტი სიხარულით ჩამოვართმევდი ხელს მასაც და მის ბილწ ამფონებსაც, ვიდრე თქვენო.

არაფრით არ ველოდი, რომ თქვენ, ასე განათლებულსა და გამოცდილ ადამიანს, მტრობა ჩაგრჩებოდათ გულშიო, - ძლივს ამოღერღავს მსაჯული, მაგრამ უოტსონს უეცრად აზრად გაუელვებს, მხიარული, მაგრამ ბოროტი ოინი მოუწყოს მოსამართლეს.

შურისძიებისათვის აუცილებელია, რომ უიტბერგმა ზუსტად ის იწვინოს საკუთარ თავზე, რაც უოტსონმა გამოსცადა - კიდევ მას დაესხან თავს, კიდევ იგი შეეონ და სასამართლოს წინაშე კი მას გადამბარალდეს ცემა-ტყეპის ატეხვა.

ქარტერ უოტსონი ჯერ ერთ ქვას დაირტყამს საჯეში, მერე მეორეს და გაოგნებულ მოსამართლეს მიმართავს: ჩემი სახის დალილავება თქვენი მარჯვენის ბრალია, ორჯერ გამარტყით: ბაც, ბაც! ეს უხეში და უმიზეზო თავდასხმაა, ჩემი სიცოცხლე საფრთხეშია, იძულებული ვარ თავი დაეიცავო, - და ისეთს შემოკრავეს სახეში, ოფიციალური პირი გულაღმა გაიშლართება მდელიოზე.

- ადექი, - უბრძანებს უიტსონი, - თუ წესიერი ადამიანი ხარ, ადექი, ადექი! აი, ამას მეუბნებოდა პეტსი...

წამოგდებს ფეხზე და ისეთ ცემა-ტყეპას გაუმართავს, წითელკანიან ინდიელებსაც კი შეშურდებოდათო. ხან სახეში ურტყამს, ხან ყურისძირში, ხან მიწაზე ათრევს და თან წამდაუწუმ უხსენებს პეტსი ჰორანს.

ნაცემ-ნაბეგვი მოსამართლე კოჭლობით რომ მიაღწევს თავის სასტუმრომდე, სოფლის კონსტებლი დააპატიმრებს: უოტსონმა გიჩივლა, თავდასხმასა და ცემაში გდებს ბრალსო.

განმეორდა ერთი სცენა.

ახლა მეორე სცენაც უნდა განმეორდეს - ეს უკვე სასამართლო დარბაზში, და უოტსონი ასე მოჰყვეს იმ უსიამოვნო ეპიზოდს:

- ჩემს საკუთარ მიწაზე ვკრეფდი ყვავილებს და არავითარ საფრთხეს არ ველოდი. უცებ ეს კაცი, რომელიც თურმე ხეებს ამოფარებოდა, ზურგიდან მეძგერა. - მე დოდო ვარ, - მითხრა მან, - და შემიძლია ნიორივით დაგნაყო. ხელები მაღლა! - მე გამელიძმა, მაგრამ მან დაუნდობლად გამარტყა ორჯერ.. თანაც ბინძურად იგინებოდა. ეს ყოვლად უმიზეზო და მხეცური თავდასხმა იყო. აი, სახე რას მივაფს, აი, ცხვირი. სანამ გონს მოვიდოდი, მომდგა და ცემა დამიწყო. ჩემი სიცოცხლე საფრთხეში იყო და იძულებული გავხდი, თავი დამეცვა.

უიტბერგს ხშირად მოუხმენია ცრუ ჩვენებანი თავის სავარძელში მჯდარსა და პოლიციელთა ხელკეტებითა და ციხის საკნებით ზურგამაგრებულს, მაგრამ ახლა ყალბი ჩვენების მახვილი თვითონ მის წინააღმდეგ შეტრიალებულიყო და ამოდ იფიცებს და ივედრება, ხელიც არ გამინძრევიაო.

გახსოვს, უიტბერგ, რას გარწმუნებდა უოტსონი და ყურიც არ ათხოვე?

ისე, თუკი ხელი არ გაგინძრევია, რატომ ჩალურჯვებია ასე სახე სოციოლოგს? უიტბერგი მსაჯულს უმტკიცებს, თვითონ დაირტყა ორი ქვაო.

და დავაში უოტსონი უნდა ჩაერიოს:

- შეიძლება, რომ აღამიანმა, თუკი ის ჭკუათმყოფელია, ასე დაისახიროს თავი? შეიძლება საკუთარი სახის ნახსა და მგრძობიარე ნაწილებზე ქვა დაირტყას? მოგაგონდა, უიტბერგ, შენივე საკუთარი სიტყვები?

აბა, ახლა აღიარე, შეიძლება თუ არა აღამიანმა, გამშაგების წუთებში, საკუთარი სახეც გაიმეტოს დასალილავებლად?

მოწმე არავინაა, ორივე დაზარალებული საპირისპიროს ამტკიცებს და მოსამართლე იძულებულია, ქარტერ უოტსონიც გაანთავისუფლოს და სოლ უიტბერგიც.

ამბავი აქ მოთავდება.

შურისგება აღსრულებულია.

მაგრამ სოციოლოგს ერთი დეტალიც ძალიან აწუხებს, მაშინდელი კომპარიდან მწარედ ჩარჩენილი, და მოინდომებს ის მძიმე მოგონებაც გააქარწყლოს და ყოფაშიც შექმნას ის ნოველური ფინალი, რამაც "გამართლების" კომპოზიციური ქარგა სრულყოფილად უნდა შეკრას:

- მოდი, ცოტა გადავკრათ ამ ამბის აღსანიშნავად, - ეტყვის სასამართლოდან გამოსული უოტსონი უიტბერგს, მაგრამ იგი მკლავს გამოაცლის და არაფრისდიდებით არ გაჰყვება სასაუზმეში.

რა გამოდის:

რაც ვერ შეძლო ჯეკ ლონდონმა რეალობაში, ნოველის სიუჟეტში შეასხა ხორცი.

სამაგიეროს გადახდის სურათები, წარმოსახვაში რომ უტრიალებდა, ამ სახით გადმოიღვარა ფურცლებზე.

გადმოიღვარა და - დაოკდებოდა თუ ვერ დაოკდებოდა შურისძიების წყურვილი, ასე რომ მოსდებოდა მწერლის არსებას?

ვერაო, - ზოგი მკვლევარი თუ მკითხველი ამ აზრისაა, - ეს ყოველივე მხოლოდ სუსტი საზღაურია რეალურ ცხოვრებაში უკეთურ მოსამართლეზე შურისძიების შეუძლებლობისაო.

ეს ყოველივე: პირადი წერილიც და ნოველაც.

მწერლის მეუღლე ცოტა სხვა მოსაზრებისა გახლდათ, ოღონდ უპირატესობას უფრო იმ კერძო ბარათს მიანიჭებდა:

• - შიში, რითაც გალია ცხოვრება მოსამართლემ მას შემდეგ, რაც ჯეკის მრისხანე წერილი მიიღო, თავისთავად უკვე შურისძიება იყო".

მანც რომელი მოსაზრებაა უფრო სარწმუნო?

მოსამართლეს როგორც უნდა ეკანკალა დაუნდობელი თავდასხმის მოლოდინში, მანც რას ნიშნავს ნოველის ამგვარი ფინალი, ისევე რომ სცემს ქარტერ უოტსონი კანონის შემბლაღავ მსაჯულს, როგორი ცემა-ტყეპაც გაამართლა პოლიციელთა ხელკეტებზე ამალღებულმა?

ეს ჯეკ ლონდონი ურტყამს და ათრევს წარმოსახვაში იმ მსაჯულს, ასე ცინიკურად რომ შურაცხყო მისი პიროვნული ღირსება და კიდევ უფრო გაუმაგრა ფესვები უსამართლობასა და ძალმომრეობას.

უმწეობისაა ამ ნოველის შექმნაც და მის ფურცლებზე გადაღვრილი პირადი ბრაზი და მრისხანება?

ოცნება დააშოშმინებს ამორგებულ გულს?

ნეტა რა ეგონა ჯეკ ლონდონს ნოველის შექმნამდე და გაუცრუვდა თუ არა იმედი, უკვე დასრულებული რომ გადაიკითხა?

იქნებ მის დაწერას ერჩივნა მართლა ეთრია მოსამართლე მიწაზე და თან წამდაუწუმ ეხსენებინა იმ სამიკტნოს მეპატრონის სახელი?

მაგრამ მწერლის პროფესიას იგი თავდაჭერილი გაეხადა.

ამიტომაც დაემუქრა მხოლოდ ასე უსამართლო დამცველს კანონიერებისა:

კანონის საფუძველზე გამოგიჭერთო.

და მანც - უმწეობისაა თუ არ არის უმწეობისა?

რასაც ვერ შეიძლებ რეალობაში, ოცნებასა და ნოველის ფურცლებს მიანდობ?

პირველბიძგი იქნებ ესეც ყოფილიყო, შურაცხყოფილი სულის დასამშვიდებლად მოინახა წარმოსახვაში ამგვარი სიუჟეტი და რეალობა და ოცნება ერთმანეთს გადაეჯაჭვა, მაგრამ ყველაზე დიდი შურისგება მანც ის გახლდათ, რომ ეს ნოველა შეიქმნა - ამერიკული და მსოფლიო ნოველისტიკის თვალსაჩინო ნიმუში. მხატვრული შთამბეჭდაობა იძიებდა შურს ყველაზე უკეთ და იქნებ მისი დასრულებისთანავე ჯეკ ლონდონს სურვილი გაუჩნდა, მოეძებნა ის მოსამართლე და მახლობელ სასაუზმეში დაეპატიჟა:

- მოდი ცოტა გადაგკრათ ამ ამბის აღსანიშნავად.

ROSTOM CHKHEIDZE

Shota Rustaveli Institute of Literature, Professor.
Editor-in-chief of the Journal "Chveni Mtserloba"

SUMMARY

"THE NOVEL TOOK REVENGE": JACK LONDON AND JUSTICE

Jack London's "Justification" is a biographic novel. This dramatic story - motiveless assault and battery - took place in the life of the writer, but the justice of United States treated him with absolute indifference and discharged the offender.

Besides personal insult Jack London got interested in the social side of this event and tried to find appropriate social explanation to the incident. In this very novel, which is a kind of an ethical revenge, in the final scene, the writer suggests the imaginative sequel of the story where the judge happens to find himself in the similar situation the writer was in. This situation would be arranged by Jack London himself to make the mockery of the dramatic character. This is how the realistic episode turns into a thoughtful and profound work of art. The creative analysis of this novel elucidates the peculiarities of the creative laboratory and leads us to the problematic issue of common ethics and aesthetics. Moreover, it is a kind of an evolution of one of the motives from the researcher's monograph "Revenge".

ჯონ დოს პასოსი და ჯეიმზ ჯოისი: ტრანსატლანტიკური ლიტერატურული მოღერნიშვის პოეტიკა

ამერიკული ლიტერატურული მოღერნიშვის საერთოდ და, კერძოდ, ჯონ დოს პასოსზე ჯეიმზ ჯოისის მსატერული მეთოდის ზეგავლენის შესწავლისას ლიტერატურული კრიტიკა, ძირითადად, ორ ურთიერთგამომრიცხავ პოზიციას ემხრობა: კრიტიკოსთა ნაწილი ამერიკულ მოღერნიშვს მხოლოდ ნაციონალური ძალების და ამერიკის ისტორიული განვითარების კონკრეტული ეტაპის პროდუქტად მიიჩნევს, ხოლო დოს პასოსს - სპეციფიკურად ამერიკელ მწერლად, უნიკალური მსატერული მეთოდის შემქმნელად; სხვანი კი, პირიქით, ევროპული მოღერნისტული კულტურის ზეგავლენას გადამწყვეტ ფაქტორად თვლიან ამერიკული მოღერნიშვის ჩამოყალიბებისათვის, ხოლო დოს პასოსის მსატერულ მეთოდს, წერის ტექნიკას, მთლიანად მის შემოქმედებას - ჯოისის მსატერული მეთოდის, მისი წერის ტექნიკის, რომან „ულისეს“ მიბაძვად და იმიტაციად; ერთი სიტყვით, ლიტერატურის ისტორიკოსთა და კრიტიკოსთა ეს ნაწილი ამერიკულ მოღერნიშვს, პირველ რიგში, ტრანსატლანტიკურ ფენომენად მოიაზრებს.

ამერიკული, ისევე როგორც ევროპული მოღერნიშვის ისტორია კომპლექსური ფენომენია, უაღრესად მდიდარი და ნაირგვაროვანი მსატერული ფორმებითა თუ ესთეტიკური მანიფესტებითა და თეორიული პოსტულატებით; ამერიკული მოღერნიშვის კულტურულმა მემკვიდრეობამ, თავად ტერმინ „მოღერნიშვის“ მსგავსად, უამრავი ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასება გამოიწვია და დაუსრულებელ დებატებსა და პოლემიკას დაუდო სათავე.¹

მოღერნიშვი, როგორც ისტორიულ-კულტურული ფენომენი, ევროპაში დაიბადა, სადაც ფასეულობათა ტრადიციული სისტემის ტოტალური რღვევა-გადაფასება და ტექნოლოგიური პროგრესი სამყაროში ადამიანის ადგილის, სამყაროსა და ადამიანის, ადამიანისა და ღმერთის ურთიერთმიმართების, პიროვნების კონცეფციისა თუ მისი ეგზისტენციის ახლებური გააზრების აუცილებლობას წარმოშობდა; ბუნებრივია, შეერთებული შტატები, ქვეყანა, რომლის ურთიერთობაც ევროპულ კულტურულ ფორმაციებთან დიდი ხნის მანძილზე ახდენდა ზეგავლენას ამერიკული ურბანული იდენტობის ჩამოყალიბებაზე, ამ ისტორიულ-კულტურული პროცესებისაგან მოწყვეტილი ვერ დარჩებოდა.

ინტერესი ევროპული კულტურისადმი, ევროპაში მიმდინარე სახელოვნო თუ სალიტერატურო პროცესებისადმი განსაკუთრებით 1920-იან წლებში გაღვივდა; ბუნებრივია, ევროპული კულტურის გამანაყოფიერებელი ზეგავლენაც უწყობდა ხელს ახალი ესთეტიკისა და პოეტიკის დამკვიდრებას ამერიკის შეერთებულ შტატებში; შემთხვევითი არ არის, რომ ლიტერატურის კრიტიკოსები ამ პერიოდს, როგორც წესი, ამერიკული ლიტერატურის მეორე რენესანსს უწოდებენ, ვინაიდან იგი ჰემინგუეის, ფოლკნერის, ფიცჯერალდისა და სხვათა სახით ემერსონის, პოთორნის, მელვილის, თოროსა და უიტმენის კლასიკური ტექსტების ჰეგემონიას დაუპირისპირდა.

გერტრუდ სტანი, ერნესტ ჰემინგუეი და ეზრა პაუნდი ჰენრი ჯეიმზის შემდეგ პირველი თაობა იყო, რომელმაც ექსპატრიაციის გზა აირჩია ავთენტური ამერიკული ცნობიერების „გამოსაჭედად“ ახალი სამყაროს ნაპირებიდან ძალიან შორს. რაღა თქმა უნდა, ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ჯაზის ეპოქა“ და „დაკარგული თაობა“ მარტივი კრიტიკული და ისტორიული კონსტრუქციებია, რომლებიც ვიწრო ჩარჩოებში მოაქცევენ ეპოქალურ განწყობილებებს, სოციალურ ტენდენციებსა თუ ბევრი ამერიკელი ხელოვანის რთულ, ამბივალენტურ დამოკიდებულებას 1920-იანი წლების ინტელექტუალური დიასპორის კულტურული მისწრაფებების მიმართ. მარკუს კლანი საეჭვოდ მიიჩნევს იმ მოსაზრებას, რომ ე. წ. „თაობის გადასახლება“ (generation's exile) (პირდაპირი აზრითაც და მეტაფორულადაც) მაღალი იდეალების მსხვერველთა და უხეში კომერციალიზმით გამოწვეულმა იმედგაცრუებამ განაპირობა. ამერიკული ცივილიზაციის ეს ნიშნები არანაკლებ საგრძნობი იყო საუკუნის დასაწყისამდე, ე. წ. „ძმარცველი ბარონების“ პერიოდში.² შემოქმედნი, რომლებიც მე-19 საუკუნის მიწურულს მოღვაწეობდნენ, ასევე გრძნობდნენ, რომ მამინ, როცა სამოქალაქო ომის შემდეგდროინდელმა ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ სოციალური სტაბილურობის და სიმდიდრის არნახულ დონეს მიაღწია, რეკონსტრუქციის პერიოდში ნაციის (nation under Reconstruction) „კულტურული გული“ კონსერვატიული, მოუძიფებელი რჩებოდა და არ იყო მზად ცვლილებების მისაღებად.³ წინა თაობის ანტაგონიზმს ამერიკულ საზოგადოებაში გამატონტებული ტენდენციების მიმართ შეიძლება გადასწავლია 1920-იანი წლების პრივილეგირებული დისკურსი; ამერიკული იმედგაცრუების, იმედების მსხვერვისა და ექსპატრიაციის ამ ოქროს ხანის კულტურული მითოლოგია ინარჩუნებს კავშირს ჩამოყალიბების გზაზე მდგარი ერის კულტურულ მემკვიდრეობასთან.

ისევე როგორც ტომას სტერნს ელიოტის ისტორიის შეგრძნებამ (“historical sense”⁴) განსაზღვრა ევროპული გრძნობიერების პოეტურ-ისტორიული პარადიგმა, ამერიკასა და ევროპაში მოღვაწე ამერიკელ ხელოვანებსაც სურდათ, საკუთარი ანაბეჭდი დაეტოვებინათ ხელოვნების ახალ ფორმებზე. ჰენრი ჯეიმზიდან გერტრუდ

სტიანამდე და კამინგსიდან ჰარტ კრეინამდე ამერიკელი მწერლები ცდილობდნენ დაერღვიათ ტრადიციული, „ყავლგასული“ და „გაქვავებული“ ფორმები და პოეტური სენტიმენტები.

ჯონ დოს პასოსმა თავისი შეხედულებანი ინდუსტრიული ხანის ამერიკის შესახებ, ისევე როგორც ნაციონალური ლიტერატურული ესთეტიკის ძირითადი პოსტულატები, ჩამოაყალიბა პირველივე ორ ესეში, რომლებიც 1916 წელს გამოქვეყნდა (“A Humble Protest”; “Against American Literature”). მოკრძალებულ პროტესტში წარმოდგენილია მოდერნიზმისა და პროლეტარიატის იდეოლოგიის თეორიული და ესთეტიკური გადაკვეთის წერტილები. დოს პასოსის პროზაში, სადაც ხელოვნება და პოლიტიკა ერთმანეთშია გადახლართული, მხატვრულად ტრანსფორმირებულია მწერლის ესეებში გამოთქმული შეხედულებები.

დოს პასოსის მხატვრული სამყაროს ადეკვატური აღქმა-გააზრებისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა როგორც მწერლის მოსაზრებანი საკუთარი პროზის შესახებ, ასევე მისი შეხედულებები ევრო-ამერიკულ მოდერნისტულ რომანთან დაკავშირებით. მართალია, დოს პასოსის სტილსა და წერის ტექნიკაზე ევროპული მოდერნისტული პროზის ზეგავლენის შესახებ ბევრი დაწერილა⁵, მაგრამ გაცილებით უფრო მეტის გაგება შეიძლება მოდერნისტულ ხელოვნებაზე ჯოისის ზეგავლენის თავად დოს პასოსისეული ანალიზიდან.

რეტროსპექტულ ესეებში “Contemporary Chronicles” (1960) და “What Makes a Novelist” (1967) დოს პასოსი მიმოიხილავს ჯოისის გავლენას თანამედროვე ხელოვნებაზე იმ ეპოქაში, როცა სხვადასხვა მხატვრული სტილი ეპიდემიასავით ვრცელდებოდა, ოკეანეებსა და საზღვრებს გადაკვეთდა და მთელ მსოფლიოს მოედებოდა.⁶ საკუთარ თავს დოს პასოსი სოციალური ჟღერადობის მწერლობას უკავშირებდა. მისი სეკულარული ოდისეა თანამედროვე ამერიკის ცნობიერებაში მიზნად ისახავდა რომანის ფორმით გადმოეცა „მაშინერიის დამოკიდებულება ადამიანისადმი“ (“the ways of machinery to man”), საკუთარ რომანებს კი თვითონვე განსაზღვრავდა როგორც „თანადროულ ქრონიკას“, ან აწმყოს ქრონიკას“, პროტესტის ქრონიკას“, „სიმულტანეურ ქრონიკას“, „რომანს, რომელიც სასესა ცხოვრებით ისევე, როგორც დოკუმენტური ფილმი“.⁸ მართლაც, დოს პასოსის რომანი “Manhattan Transfer”, როგორც ესთეტიკური არტეფაქტი, თავისი ფორმალური სტრუქტურით განასხეულებდა ამერიკული მოდერნიზმის ტენდენციას - ტექსტუალურ დონეზე გადმოეცა ურბანული გამოცდილების ენერჯია და გეომეტრია.

დოს პასოსი იხსენებს, თუ როგორ წაიკითხა მან „ღუბლინელები“ და „ხელოვნის პორტრეტი ახალგაზრდობისას“ ჰარვარდში სტუდენტობის პერიოდში, მოგვიანებით

კი - "ულისეს" ნაწევრები "Little Review"-ში, ხოლო თავიდან ბოლომდე ჯოისის ურბანულ ეპოსს მწერალი 1922 წლის გაზაფხულზე გაეცნო, როცა გემით "აკვიტანია" ამერიკაში ბრუნდებოდა ევროპაში მოგზაურობიდან:

"ჯოისის "ულისეს" წაგიკითხე, როცა ევროპიდან შინ ვბრუნდებოდი. საშინელი გრიპი მქონდა და მესამე კლასის პაწაწინა კაიუტაში გამოკეტილი ვიწექი. შესანიშნავი გზაა წიგნის წასაკითხად. "ულისეს" სტერნის "ტრისტრამ შენდი" გამახსენა. ორივე სუბიექტური რომანია. მე კი სრულიად საპირისპირო ინტერესები მაქვს: მინდა ვწერო ობიექტურად... მე ვოცნებობდი გამოძევენებინა ყველაფერი, რაც კი ყველა ამ მეთოდიდან ვისწავლე, იმ სამყაროს სატირული ქრონიკის შესაქმნელად, რომელსაც ვიცნობდი. ვგრძნობდი, რომ აქ ყველაფერი უნდა შესულიყო: პოპულარული სიმღერები, პოლიტიკური მისწრაფებები და ცრურწმენანი, იდეალები, იმედები, იმედგაცრუებანი, ამონაჭყრები ყოველდღიური გაზეთებიდან".⁹

სამი ჯარისკაცის" ხელმეორე გამოცემის (1932) წინასიტყვაში პასოსი ხაზს უსვამს ჯოისის "ულისეს", როგორც ხელოვნების მოდერნისტული კონფიგურაციის იდეალური ნიმუშის, მსიშენელობას და მის ზეგავლენას მთელ თანამედროვე პროზაზე:

"...მისი წიგნის (იგულისხმება "ულისეს" - ი. ც.) გავლენა სხვა მწერლების საშუალებით იმ მწერლებზეც ვრცელდება, რომელთაც არც კი სმენიათ "ულისეს" შესახებ".¹⁰

აღსანიშნავია, რომ პასოსი უპირისპირდება კრიტიკულ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ჯოისი აპოლიტიკური მწერალი და ბუნდოვანი ფორმალისტია.¹¹

როგორც ვხედავთ, ჯეიმზ ჯოისის "ულისეს" დოს პასოსისეულ შეფასება-დახასიათებაში სამი მთავარი მომენტი იკვეთება: 1. ამერიკელი მწერალი იცავს ჯოისს იმ ოპონენტების თავდასხმებისაგან, რომელნიც მას აპოლიტიკურობაში, ასოციალურობაში, თვითმიზნური ფორმალქმნადობით გატაცებასა და მორალურ ინდიფერენტობაში, ზოგიერთ შემთხვევაში კი სულაც ამორალურობაში ადანაშაულებდნენ; 2. პასოსი ხაზგასმით აღნიშნავს "ულისეს" უნივერსალურ ზეგავლენას თანამედროვე პროზაზე და, როგორც ჩანს, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, იმპლიციტურად იმასაც აღიარებს, რომ მისი მხატვრული კონცეფცია გარკვეულწილად სწორედ ჯოისისაგანაა ჩაესხებები" ("...ყველაფერი, რაც კი ყველა ამ მეთოდიდან ვისწავლე..."); 3. დოს პასოსი ასევე ხაზს უსვამს არსებით განსხვავებას "ულისესა" და საკუთარ შემოქმედებით განზრახვებს შორის: მწერალი "ულისეს", ისევე როგორც ლორენს სტერნის რომანს "ტრისტრამ შენდი", სუბიექტურ რომანად მიიჩნევს, თავის მიზნად კი სრულიად საპირისპიროს - ობიექტურად წერას" - ასახელებს.

ძნელია ბოლომდე გაიზიარო დოს პასოსის მოსაზრება "ულისეს" "სუბიექტურობის" შესახებ, ვინაიდან ჯოისის მხატვრული მეთოდის სუბსტრატს

„აულისეში“ სწორედ „ობიექტური“/„იმპერსონალური“ საწყისი შეადგენს; უმთავრესი კი ის არის, რომ ზემოხსენებული ქსეების ქვეტექსტში აშკარად იკითხება მწერლის მცდელობა, დააჯეროს მკითხველი და იქნებ საკუთარი თავიც, რომ მან მხოლოდ არადაც ისწავლა“ ჯოისის მეთოდიდან, ანუ, იგი მიანიშნებს, რომ ირლანდიელი მწერლის გაღვნა მის შემოქმედებაზე არც ისე მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელია - თითქოსდა წინასწარ ემინოდა, რომ ლიტერატურულ საზოგადოებას სწორედ ასე არ შეეფასებინა მისი რომანები; გარკვეული აზრით, დოს პასოსის ეს შიში, როგორც ჩანს, საფუძველს მოკლებული არ ყოფილა.

* * *

დოს პასოსის მხატვრულ მეთოდზე ჯოისის ზეგავლენის შესახებ არაერთი გამოკვლევა, კრიტიკული წერილი თუ მონოგრაფიაა დაწერილი. ლიტერატურის კრიტიკოსები იკვლევენ ჯოისის ექსპერიმენტული ტექნიკის, მისი თხრობის მეთოდის კომპონენტებს და ელემენტებს დოს პასოსის „Manhattan Transfer“-ში, თუმცაღა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი ჯოისის ურბანული პოეტიკის ლიტერატურულ-კრიტიკული მნიშვნელობა ქაღაქის დოს პასოსისეული მოდერნისტული კონცეფციის ჩამოყალიბებისათვის; ნაკლებადაა გამოკვლეული ჯოის-პასოსის ურთიერთმიმართება, როგორც იმ ტრანსატლანტიკური მოდერნისტული დისკურსის ცენტრალური ნაწილი, რომელიც ფოკუსირებულია ქალაქზე, როგორც თანამედროვე ადამიანის ცნობიერების განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორზე (ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს დესმონდ პარდინგის მონოგრაფია „Writing the City: Urban Visions and Literary Modernism“, სადაც ჯოისისა და პასოსის ურბანული პოეტიკის შედარებით შესწავლას მთელი თავი ეთმობა). ჯეიმზ ჯოისის „აულისე“, სადაც გამოსახულია „მოდერნიზმის კვინტესენციური ლიტერატურული ქალაქი“¹², და დოს პასოსის „მანჰეტენ ტრანსფერი“ („Manhattan Transfer“), ექსპერიმენტული ნარატივი, რომლის თემაა „მოდერნიზმის კვინტესენციური მატერიალური ქალაქი“¹³, არ არის გაანალიზებული როგორც ერთმანეთთან დაპირისპირებული, მაგრამ ამავე დროს ურთიერთგამანაყოფიერებელი ურბანული ესთეტიკური ფილოსოფიებისა და კრიტიკული იდეოლოგიების ტრანსატლანტიკური სისტემის პარადიგმული ნიმუშები.

ამ ფაქტს, როგორც ჩანს, ის გარემოებაც განაპირობებდა, რომ კრიტიკოსთა საკმაოდ დიდ ნაწილს უჭირდა დოს პასოსის აღქმა მოდერნისტ მწერლად, ვინაიდან პასოსის პოლიტიკური ოდისეა სშირად ჩრდილავდა მწერლის, როგორც რადიკალური ამერიკელი მოდერნისტის, მნიშვნელობას. როგორც ვენეტ კეისი აღნიშნავს, ის ფაქტი, რომ დოს პასოსი ერთდროულად ორი დაპირისპირებული ბანაკის „წევრი“, ორი ურთიერთგამომრიცხავი დისკურსის წარმომადგენელი

იყო, მჭიდროდ უკავშირდება მის პოზიციას, ადგილს ამერიკული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში.¹⁴ ცხადია, მკვლევარი გულისხმობს იმ პარადოქსს, რომ დოს პასოსი, ერთი მხრივ, მარქსიზმის მომხრე, მარქსისტული იდეოლოგიის მიმდევარი იყო (საბჭოურმა მწერალთა კავშირმა 1933 წელს დოს პასოსის შემოქმედების ირგვლივ სამდღიანი დისკუსიაც კი დააფინანსა), მეორე მხრივ კი, პროზაში მოდერნისტულ ექსპერიმენტებს ახორციელებდა და ექსპერიმენტულ ნარატივებს ქმნიდა. მართალია, დოს პასოსი კარგა ხანია აღიარებულია მოდერნისტ მწერლად, მაგრამ, როგორც მწერლის ცნობილი ბიოგრაფი თაუნსენდ ლუდინგტონი აღნიშნავს დოს პასოსისადმი მიძღვნილ I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე (რომელიც სულ ახლახან, 2006 წლის 12-14 ნოემბერს გაიმართა პორტუგალიაში, საიდანაც არის წარმოშობით მწერალი), წაკითხული მოხსენების რეზიუმეში, “his primacy as such and his involvement with all the arts is less acknowledged”.¹⁵ თაუნსენდ ლუდინგტონის მოხსენების სათაურიც - “John Dos Passos: A Major American Modernist” - ნათლად მოწმობს, რომ მკვლევარს დღესაც კი უხდება იმის მტკიცება, დოს პასოსი ამერიკული მოდერნიზმის ცენტრალური ფიგურააო. მოხსენების რეზიუმეში დოს პასოსის ბიოგრაფი და მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი მიზანიც სწორედ ესაა: “An attempt at an overview of Dos Passos’s early career, the talk means as well to position him as central to American modernism”.¹⁶

* * *

1926 წელს გამოქვეყნდა სინკლერ ლუისის რეცენზია პასოსის რომანზე “Manhattan Transfer” (1925). ცნობილი ამერიკელი მწერალი მიქსალმა ამ წინააღმდეგობრივ ნაწარმოებს და აღნიშნა, რომ იგი სათავეს უდებდა სრულიად ახალ მიმართულებას ამერიკულ პროზაში და არაფრით ჩამოუვარდებოდა ევროპული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. ამ წერილში ლუისი გამოხატავს უკმაყოფილებას ზოგადად რომანის თანადროული ტრანსატლანტიკური განვითარების მდგომარეობით და მიიჩნევს, რომ ამ ფონზე აშკარად გამოირჩევა “Manhattan Transfer”, როგორც ახალი პროზის ნიმუში.¹⁷ ამკარაა, რომ სინკლერ ლუისისათვის ეს რომანი, ტიპოლოგიური თვალსაზრისით, მოასწავებდა კავშირის გაწყვეტას რომანის ჰომოგენურ ტრადიციასთან, რომელსაც აღარ შეეძლო ეპოქის სულის გამოხატვა.

დოს პასოსის ექსპერიმენტები თხრობის ტექნიკის, ენისა და სტილის სფეროში ფართომასშტაბიანი და რადიკალური პირველად სწორედ “Manhattan Transfer” - ში ხდება. რომანი წარმოადგენს მრავალი ეპიზოდის, მოვლენისა და სახელისაგან შემდგარ კალეიდოსკოპს, რომელშიც მკითხველს ძალიან უჭირს თვალი მიადევნოს რამდენიმე პერსონაჟის ჰედს, მათი ცხოვრების გზას, მით უმეტეს, რომ ზოგჯერ

ეს გზები არც კი იკვთება; სიუჟეტი დარღვეულია - „მანჰეტენი“ თითქოსდა რამდენიმე დამოუკიდებელი ნაწარმოებისაგან შედგება, რომელთა ეპიზოდები და ნაწყვეტები, ერთი შესვლით, აქ შემთხვევითაა თავმოყრილი: მათ მხოლოდ მოქმედების ადგილი (ნიუ-იორკი) და დრო (1890-1925) აერთიანებს. დოს პასოსი მიიჩნევდა, რომ რომანის ასეთი აგება მას საშუალებას აძლევდა ყოველმხრივ და ობიექტურად ეჩვენებინა სინამდვილე, გადმოეცა არა მარტო პერსონაჟების ცნობიერების ნაკადი, არამედ - თავად ნიუ-იორკის ცხოვრების დინებაც.

რომანში მწერალი მიმართავს კოლაჟს - ტექსტი დანაწევრებულია პეტროგენული მასალით: ამონარიდებით გაზეითიდან, ნიუ-იორკის ცხოვრების ჩანახატებით, რომელნიც უშუალოდ არც ერთმანეთთან და არც პერსონაჟების ბედ-ოდბალთან არ არიან დაკავშირებული; რომანის ტექსტში ერთმანეთშია „გადასლართული“ პერსონაჟების შინაგანი მონოლოგები და მათი ცხოვრების ცალკეული ეპიზოდების აღწერა, დასაწყისში მკითხველს მთავარი გმირების გამორჩევაც კი უჭირს. წიგნი დიდი ქალაქის ცხოვრებიდან აღებული „ნამსხვრევების“ უწყრილო გროვის შთაბეჭდილებას ტოვებს. მწერალი ცდილობს დიდი ქალაქის ცხოვრების ქაოსი რომანის სტრუქტურითაც გადმოსცეს.

ნიუ-იორკის ცხოვრების ცალკეული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ჩანახატები რომანს ალბომს ამსგავსებს, სადაც რამდენიმე პერსონაჟის მსხვილი პლანიტ დახატული პორტრეტი „უჩინარდება“ ეპიზოდთა სიმრავლეში, ადგილისა და დროის დეტალურ აღწერებში და სხვ. დოს პასოსს მიაჩნდა, რომ რომანის ასეთი აგებით მან შესძლო სრულყოფილად და ყოველმხრივ წარმოქაზა სინამდვილე და ხაზი გაესვა, რომ რომანის მთავარ გმირს, უფრო ზუსტად, ეპიზოდების, ჩანახატების, შინაგანი მონოლოგების, საგაზეთო სათაურების გამაერთიანებელ საწყისს დიდი მეტროპოლია, ნიუ-იორკი წარმოადგენს.

დოს პასოსისათვის თანამედროვე ამერიკის ისტორიის არამყარობის, არასაიმედოობის საძირკველი სწორედ თანამედროვე ქალაქშია საძიებელი. „Manhattan Transfer“, დოს პასოსის მესამე რომანი და პანორამული ტრილოგიის „U.S.A.“ (1930-1936) ერთგვარი კარიბჭე, გვიხატავს ნიუ იორკს, როგორც ისტორიის მოცემული ფაზის სიმბოლოს, ახალი გამეცნიერებული (scientized) მსოფლიო წესრიგის სანიტარული ცივილიზაციის“ განსხვავლებას, სამყაროს, რომელმაც საკუთარი თავი ინდუსტრიულ სისტემას დაუმონა...“¹⁸ დოს პასოსის რომანი ეყრდნობა იმ ამოსავალ კონცეპტუალურ პოზიციას, რომ თანამედროვე ქალაქის ტოტალობა, ისევე როგორც თავად ამერიკის ისტორიის ტოტალობაც, გაუგებარი, მიუწვდომელი გახდა ადამიანის შემეცნებისათვის. უფრო კონკრეტულად, ვუდროუ უილსონის პრეზიდენტობისდროინდელი ამერიკა გადაიქცა აუთვისებლად, როგორც აშშ-ისთვის დასავლური სამყაროს იმედი.“¹⁹ დესმონდ ჰარდინგის ზუსტი ფორმულირებით, ჯოისის დუბლინისაგან განსხვავებით, დოს პასოსის

ნიუ იორკი მასიური ურბანული პალიმფესქსტია, რომელიც გამსჭვალულია ინდუსტრიული სახეებით და „დასერილია“ ურთიერთგადაკვეთი ამბების, ცხოვრების გზების ქსელით. მართალია, “Manhattan Transfer”, თუ შეიძლება ასე ითქვას, კოლექტიური ხედვის მხატვრულ განსხვავლებას წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს ეპიფანიის მომენტებში XX საუკუნის პირველი ათწლეულების ნიუ იორკის, ამ მეგაპოლისის მშვენიერებაც ვლინდება.

მანჰეტენ ტრანსფერისაგან განსხვავებით, „ულისეში“, რომანში, რომელიც სხვადასხვა ევროპულ ქალაქში (პოლა, ტრიესტი, რომი, პარიზი და ციურხი) მძაფრი ისტორიული გარდაქმნების პერიოდში იწერებოდა, ჯოისი გვთავაზობს დუბლინის ინტერნაციონალურ „ხატს“. რომანში ირლანდიის დედაქალაქი ნატურალისტური დეტალიზაციითაა აღწერილი. ჯოისი ირჩევს არა მოდერნიზმის რომელიმე კულტურულ დედაქალაქს, არამედ დუბლინს, როგორც მორალური, კულტურული და სოციალური დეგრადაციის ადგილს. თავად მწერალიც აღნიშნავდა, მართალია, დუბლინი დიდი მეტროპოლია არ არის, მაგრამ არც იმდენად პატარაა, ევროპული ქალაქის, საერთოდ ქალაქის სიმბოლოდ არ გამოდგესო. ჯოისის დუბლინი მეტროპოლიის ტოპოსს უნივერსალური ქალაქის წარმოსახვით ურბანულ ხატად გარდაქმნის.

“Manhattan Transfer”, ისევე როგორც „ულისე“, არღვევდა ფორმისა და შინაარსის სიმბიოზს, რაც ტრადიციულად სიუჟეტის საშუალებით მიიღწეოდა. პასოსი, ჯოისის მსგავსად, პერსონაჟის ფიქრებს და აზრთა დინებას წამიერი გაელვებებითა და ალუზიებით, ასოციაციების თავისუფალი დინებით გამოხატავდა და არანაირ მყარ, ლოგიკურ თანმიმდევრობას არ იცავდა. ჯოისის „ულისეს“ გავლენა “Manhattan Transfer“-ზე აშკარაა „ცნობიერების ნაკადის“ პასაჟებში, როგორცაა, მაგალითად, სტენ ემერის თვითმკვლელობის სცენა. უფრო მეტიც, დოს პასოსი არა თუ ჯოისის ვერბალურ ტექნიკას იყენებს, არამედ „ულისედან“ ზოგჯერ პირდაპირ შინაარსსაც კი ასესხულობს“. შეიძლება ითქვას, რომ დოს პასოსის ურბანული ტოპოსისა და მისი პერსონაჟების ემოციური ასპარეზი მონოტონური და შეზღუდულია. დოს პასოსი, როგორც ჩანს, არ იყო მზად მხატვრულად გამოეკვლია „შინაგანი ლანდშაფტი“ - თანამედროვე ადამიანის სულის ბერწი მიწა“.

თანამედროვე სამყაროში ადამიანის მდგომარეობის ჯოისისეული ხედვა უფრო სიღრმისეული და დამაჯერებელია; დოს პასოსი არ არის ის მოაზროვნე, რომელიც „ნედლ მასალას“ წინასწარვე საგანგებოდ შემუშავებულ კონცეპტუალურ სისტემას დაუქვემდებარებდა. ჯოისი, მისგან განსხვავებით, ბოროტების არსებობას ადამიანური საზოგადოების უნივერსალურ პრინციპად აღიქვამს და ამიტომაც უწყვეტ პარალელს ავლებს თანადროულობასა და ისტორიულ წარსულს შორის, რათა ამ გზით „ულისეს“ პერსონაჟები ზოგადადამიანური ყოფიერების გარკვეული

მოდელის, არქიტექტურული საწყისების განსხვავებად აქციოს. ჯოისი არც ერთ მომენტში არ წყვეტს პარალელს ნატურალიზმსა და სიმბოლიზმს შორის, რათა გადმოსცეს შინაგანი და გარეგანი სამყაროების მთელი სპექტრი. ადამიანის დოს პასოსისეული კონცეფცია კი შეზღუდულია ტრანსცენდენტული ოპტიმიზმითა და ჯეფერსონისეული იდეალიზმით. ჯოისისაგან განსხვავებით, დოს პასოსს ბოროტება ადამიანის ბუნების იმანენტურ თვისებად არ მიაჩნია და ამიტომაც ინდივიდის ტანჯულ არსებობას ქალაქის მექანიზებულ რეპროდუქციონალურობასა და ცენტრალიზებული ხელისუფლების ნაკლოვანებებს მიაწერს. მიუხედავად ამისა, როგორც აღენ ბელკინდი აღნიშნავს მაკლუჰენის კონცეფციების შეფასებისას, მაინც არ შეიძლება დოს პასოსის "Manhattan Transfer"-ის განსჯა-შეფასება ჯოისისეული რეალიზმის სტანდარტებზე (ობიექტურობა, იმპერსონალურობა) დაყრდნობით ("McLuhan tends to judge the supposed shortcomings of Dos Passos' work on the basis of Joycean standard of realism with its accompanying objectivity and impersonality".²⁰). ბუნებრივია, რომ დოს პასოსისათვის, როგორც ამერიკული მოდერნიზმის წარმომადგენლისათვის, თანამედროვე ადამიანის ეგზისტენციური კრიზისი ინდუსტრიული ეპოქის ბრალია და არა - თავად ადამიანის შინაგანი ბუნებისა. არც ის არის სწორი, რომ რამდენადაც დოს პასოსის მხატვრული მეთოდი სატირული და იმპერსონალურია, ამდენად მისი იმპრესიონისტული ტექნიკა და მსოფლხედვა. საუკეთესო შემთხვევაში, ჯოისისაგან წარმოსდგება, მისი მიბაძვისა და იმიტაციის შედეგია, ხოლო უარეს შემთხვევაში ჩამოუვარდება ჯოისის მეთოდს.²¹

ამერიკული მოდერნიზმი არც მხოლოდ ტრანსატლანტიკური ფენომენი - საერთაშორისო კულტურული ატმოსფეროს ზეგავლენის პროდუქტია და არც მარტოოდენ ნაციონალური ენერჯის ემანაციის, ამერიკის ისტორიული განვითარების კონკრეტული ეტაპის შედეგი. ორივე ფაქტორი გარკვეულ როლს ასრულებდა ამერიკული მოდერნიზტული კულტურისა და ხელოვნების ჩამოყალიბებასა და სპეციფიკის განსაზღვრაში. არც დოს პასოსია ჯოისის ბრმა მიმბაძველი, თუმცაღა მისი მეთოდი არც ისეთი უნიკალურია, როგორც ამას სინკლერ ლუისი ამტკიცებდა. ორივე შემთხვევაში ჭეშმარიტება სადღაც შუაშია.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ M. Hoffman, P. Murphy, Introduction. In: Hoffman M., Murphy P. (ed.), *Critical Essays on American Modernism*. NY: G.K. Hill & Co., 1992, p., 1-15.
- ² Marcus Klein, *Foreigners: The Making of American Literature: 1900-1940*, Chicago: U of Chicago Press, 1981, p. 9.
- ³ M. Hoffman, P. Murphy, *Op. cit.*, p. 3.
- ⁴ T. S. Eliot, *Tradition and the Individual Talent*. In: *Selected Prose of T. S. Eliot*, ed. Frank Kermode, NY: Harcourt Brace Jovanovich, 1975, p. 38.

- 5 ab. Allen Belkind (ed.), *Dos Passos, the Critics, and the Writer's Intention*. Carbondale: Southern Illinois UP, 1971.
- 6 John Dos Passos, *What Makes a Novelist*. In: Donald Pizer (ed.), *John Dos Passos: The Major Nonfictional Prose*. Detroit: Wayne State UP, 1988, p. 270.
- 7 John Dos Passos, *The Writer as a Technician*. *The Major Nonfictional Prose*, p. 169.
- 8 John Dos Passos, *Contemporary Chronicles*. *The Major Nonfictional Prose*, p. 238-39.
- 9 *Ibid*, p. 239.
- 10 John Dos Passos, *Introduction, Three Soldiers*, *The Major Nonfictional Prose*, p. 147-148.
- 11 *Ibid*, p. 147.
- 12 Desmond Harding, *Writing the City: Urban Visions and Literary Modernism*. NY, Routledge, 2003, p. 97.
- 13 *Ibid*, p. 97.
- 14 Janet Calligani Casey, *Dos Passos and the Ideology of the Feminine*. Cambridge: Cambridge UP, 1998, p. 20.
- 15 Townsend Ludington, *John Dos Passos: A Major American Modernist*. In: *1st John Dos Passos International Conference/Abstracts*. Centro Cultural John Dos Passos. Ponta Do Sol, 2006.
- 16 *Ibid*.
- 17 Sinclair Lewis, *John Dos Passos "Manhattan Transfer"*. NY: Harper and Brothers Publishers, 1926, p. 17.
- 18 John Dos Passos, *A Humble Protest*. In: *Harvard Monthly* 62 (June 1916), p. 115-120.
- 19 John Dos Passos, *Young Spain*. In: *Seven Arts* 2, August, 1917, p. 478.
- 20 Allen Belkind, *Op. cit.*, p. 62.
- 21 Marshal McLuhan, *Techniques vs. Sensibility*. In: Allen Belkind (ed.). *Dos Passos, the Critics, and the Writer's Intention*; *Op. cit.*, *passim*.

IRAKLI TSKHVEDIANI

Akaki Tsereteli State University, Professor

SUMMARY

JAMES JOYCE AND JOHN DOS PASSOS: POETICS OF TRANSATLANTIC LITERARY MODERNISM

In the present essay I investigate the ways in which Joyce's 'Ulysses', "the quintessential literary city of modernism", and Dos Passos' 'Manhattan Transfer', an

experimental narrative that takes as its subject “the quintessential material city of modernism”, New York, are paradigmatic examples of a transatlantic system of competing yet mutually informing urban aesthetic philosophies and critical ideologies.

No single critical approach has been able to accommodate adequately the literary-critical significance of Joyce’s urban poetics for Dos Passos’ own conception of modernist city. Aside from identifying those narrative moments where ‘Manhattan Transfer’ appears to be suggestively resonant of Joyce’s verbal techniques, criticism has yet to analyze fully the Joyce-Passos connection as central to an emerging transatlantic modernist discourse that focuses on the city as the primary site of modern experience.

Like ‘Ulysses’, ‘Manhattan Transfer’ radically challenged the symbiotic relationship between form and content, a feature which had traditionally been maintained through plot. Critics, however, while identifying Joyce as a probable influence on Dos Passos’ work, have been somewhat cursory in dealing with the open acknowledgment of the intellectual debt.

In ‘Ulysses’ Joyce constructs an internationalist vision of Dublin in interlocking and recursive ways. The novel demarcates Dublin in naturalistic/realistic terms: Ulysses is a reading of modernity grounded not in a modernist culture-capital but in a city of moral, cultural, and social destitution. At the same time, Joyce’s Dublin transforms the topos of the metropolis into an imaginative urban vision of the city in universal terms.

‘Manhattan Transfer’, Dos Passos’ third novel and gateway to the panoramic ‘U.S.A.’ (1930-1936) trilogy, isolates the city of New York, set on the granite rock of Manhattan, as a symbol for this phase of history: the embodiment of a “sanitary civilization of a scientized New World Order”, a world that had enslaved itself to a debilitating “industrial system”. Dos Passos’ novel supports the premise that the totality of the modern city, like the totality of American history itself, had grown beyond human comprehension. Unlike Joyce’s Dublin, however, Dos Passos’ New York is a massive urban palimpsest riveted by industrial imagery and criss-crossed by the multiple frenetic rhythms of intersecting lives. But while ‘Manhattan Transfer’ lends itself to a collectivist vision where individuals are less the central concern than the city itself, Dos Passos’ New York also reveals the beauty of this nascent megalopolis in the opening decades of the century through evanescent moments of epiphany.

ბრიტოლ ჯოხაძე

ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

იოსებ ბროდსკის ამერიკული პერიოდი (1972-1991)

1972 წლის 4 ივნისს, როგორც აღმოჩნდა, სამშობლოდან საბოლოოდ გადასვლის წინ, „პულკოვოს“ აეროპორტში, ბროდსკიმ წერილი მისწერა სკკპ ცკ-ს გენერალურ მდივანს:

„პატრიცემულო ლეონიდ ილიას ძე, ვტოვებ რუსეთს უნებლიეთ, რის შესახებაც, ალბათ, გსმენიათ, და მოგმართავთ თხოვნით, რის უფლებასაც იმის მტკიცე შეგნება მაძლევს, რომ ყველაფერი, რაც თსუთმეტწლოვანი ლიტერატურული შრომით გამოიკეთებია, ემსახურებოდა და მომავალშიც ემსახურება მხოლოდ რუსული კულტურის დიდებას - სხეას არაფერს. გთხოვთ, მომცეთ შესაძლებლობა, დაერჩე, ვიარსებო რუსეთის ლიტერატურულ პროცესში, თუნდაც - მთარგმნელად, როგორც დღევანდლამდე.

თავს ნებას მივცემ, ვიფიქრო, რომ რასაც ვაკეთებდი, კარგად ვაკეთებდი და ეგებ, მომავალშიც შევძლო სარგებლის მოტანა. ბოლოს და ბოლოს, ასეთი რამ ასი წლის წინათაც კი შესაძლებელი იყო. მე ვეკუთვნი რუსულ კულტურას, თავს მის ნაწილად, მის შესაქრებლად მივიჩნევ და ადგილმდებარეობის გამოცვლა საბოლოო შედეგზე ვერაფრით იმოქმედებს. ენა უფრო ძველი და უფრო აუცილებელი რამაა, ვიდრე სახელმწიფო. მე ვეკუთვნი რუსულ ენას, რაც შეეხება სახელმწიფოს, ჩემი აზრით, მწერლის პატრიოტიზმის საზომი ისაა, თუ როგორ წერს იგი თავისი ხალხის ენაზე და არა - როგორ ფიცს წარმოთქვამს იგი ტრიბუნიდან. გული მტკივა, რუსეთიდან რომ მივემგზავრები. მე აქ დავიბადე, გავიზარდე, აქ ვცხოვრობდი და რაც გამაჩნია, სწორედ რუსეთს ვუმაღლი. ყოველგვარ ცუდს, რაც წილად მხვდომია, ერთი-ორად სჭარბობდა კარგი და თავი არასოდეს მიგრძენია სამშობლოზე გაბრაზებულად. არც ახლა ვგრძნობ, რადგან საბჭოთა მოქალაქეობაზე ხელს ვიღებ, მაგრამ რუს პოეტად ვრჩები. მჯერა, რომ დაებრუნდები. პოეტები ყოველთვის ბრუნდებიან: ხორციელად ან ფურცლის მეშვეობით. ერთისაც მინდა მწამდეს და მეორისაც. ადამიანები გამოვიდნენ იმ ასაკიდან, როცა ძლიერი ყოველთვის მართალი იყო. საამისოდ ქვეყნად ძალზე ბევრია სუსტი ადამიანი. ერთადერთი სიმართლე სიკეთეა. ბოროტებით, რისხვით, სიძულვილით - თუნდაც, სამართლიანით - ვერაფერ ვერაფერს მოიგებს. ჩვენ კვლავ ერთი და იგივე რამ გვაქვს მოსჯილი - სიკვდილი. ამ სტროფების დამწერიც მოკვდება და თქვენც, მათი მკითხველი. ჩვენი საქმეები დარჩება, თუმც, ისინიც განქარდებიან. ამიტომ ერთი არ უნდა უშლიდეს ხელს

მეორეს თავისი საქმის კეთებაში. საარსებო პირობები ისედაც მძიმეა, რომ უფრო მეტად გავართულოთ ცხოვრება. ალბათ, სწორად გამოგეტ, მიხვდებით, რასაც ვითხოვ. ვთხოვთ, მომცეთ შესაძლებლობა, ამის შემდეგაც ვიარსებო რუსულ ლიტერატურაში, რუსულ მიწაზე. მეგონა, ჩემი ქვეყნისთვის არაფერი დამიშავებია. პირიქით, ბევრ რამეში მართალი ვარ მასთან. არ ვიცი, როგორ უპასუხებთ ჩემს თხოვნას, საერთოდ, გაითვალისწინებთ თუ არა მას. ვწუხვარ, უფრო ადრე რომ არ მოგწერეთ. ახლა, უკვე დროც აღარ იცდის. მაგრამ მაინც გეტყვი, რომ თუ ჩემს ხალხს ჩემი სხეული არად არგია, ჩემი სული მაინც გამოადგება".

ემიგრაციის პირველ დღეებში ბროდსკი იხსენებდა:

ახმელეთზე დავეფი ვენაში, 72 წლის 4 ივნისს. შემხვდა კარლ პროფერი, რომელიც მიჩიგანის უნივერსიტეტში მუშაობდა. მან მკითხა: "რის გაკეთებას აპირებ?" ვუპასუხე: "აზრზე არა ვარ". "რას იტყვი, რომ გახლე მიჩიგანის უნივერსიტეტის poet in residence (სიტყვასიტყვით, ახოეტი ადგილსამყოფლის მიხედვით) - საბატო თანამდებობა, რომლის მპყრობელს გასამრჯელოსაც უხდინან. გავრცელებულია ამერიკულ სასწავლებლებში"? "დიდი სიამოვნებით". ამან გამათავისუფლა ბევრი ფიქრისგან. იყო სხვა წინადადებებიც - ინგლისიდან, საფრანგეთიდან, მაგრამ მიჩიგანმა ყველას დაასწრო. ამას გარდა, მიხვდი, რომ ვითარება ჩემს ირგვლივ საკმაოდ სწრაფად იცვლება. ევროპაში დარჩენას ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა და ხიბლი, მაგრამ შემექმნებოდა ფიქტიური ვანცდაც, რომ ჩემი ძველი ცხოვრება გრძელდება. მაშინ ვიფიქრე: თუ ცვლილებაა, ბარემ ბედს ასი პროცენტით შევცვლი-მეთქი. ენ-ერბორში 6 წელი გავატარე. მიხვდი, რომ უკვე მოგონებები მაკავშირებდა ამ ადგილთან. ეს ადრეც მომხდარა შტატების სხვა რომელიმე ადგილთან დაკავშირებით, მაგრამ - მინიატურულად. გავიფიქრე: ახლა კვლავ დამისვამენ მარადიულ კითხვას - როდის დაბრუნდები რუსეთში და ა.შ. კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა დაგბრუნდე რუსეთში, თუ ენ-ერბორშიც შემიძლია დაბრუნება? ამ დონის წარსული იქაც მაქვს".!

აშშ-ში ბროდსკიმ სრულად განახორციელა თავისი შემოქმედებითი და თანამდებობრივი ზრდის ის შესაძლებლობები, რომელნიც ორასწლოვანმა დემოკრატიამ, ზეგანვითარებულმა საბაზრო ურთიერთობებმა და უსაზღვროდ ძლიერმა საუნივერსიტეტო განათლების სისტემამ შესთავაზა. გამორჩეულმა შემოქმედებითმა პოტენციალმა და მუდმივმა თვითგანათლებამ მალე შეაძლებინა ახალი სამშობლოს ენაზე - ინგლისურად დაეწყო წერა, ამასთან, ბროდსკის ინგლისურენოვანი პოეზია და პროზა მსოფლიო კულტურის ისეთივე შენაძენადაა მიჩნეული, როგორც - რუსულ ენაზე შექმნილი ნაწარმოებები.

აშშ-ში ჩამოსვლიდან ერთი თვის შემდეგ, 1972 წლის 9 ივლისს ბროდსკი ჩავიდა ენ-ერბორში და დაიკავა სლავისტიკის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორის თანამდებობა (tenured professor in the slavic department) მიჩიგანის

უნივერსიტეტში, სადაც 9 წლის განმავლობაში მუშაობდა ნიუ-იორკში გადასვლამდე (1981 წ.). აქ კითხულობდა ლექციებს რუსული პოეზიის ისტორიაში, მეოცე საუკუნის რუსულ პოეზიაში, ლექსის თეორიაში, უძღვებოდა სემინარებს, წვრთნიდა მომავალ ამერიკელ სლავისტებს.

ენ-ერბორში პოეტმა რამდენიმე სახლი და ქუჩა გამოიცვალა. პირველ ადგილ-სამყოფელზე ამბობდა:

მარლბორო სთრითზე დავსახლდი, კოტეჯში. დიდი სახლი დავიქირავე, რადგან მეიმედებოდა, რომ ჩემს მშობლებსაც გამოუშვებდნენ და ადგილი ყველას უნდა გვეოფნოდა. როგორც გაირკვა, ეს ილუზია იყო".

მარია მოსეს ასულსა და ალექსანდრე ივანეს ძეს შვილთან წასვლის ნება არ მისცეს სამედიცინო დააკენის მიუხედავად (გულით დაავადებული ბროდსკი განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას საჭიროებდა). 1972 წელს, ენ-ერბორში გამოიცა ბროდსკის რუსულ ლექსთა და პოემათა კრებული, ავტორმა თვითონ რომ შეადგინა. 1973 წელს გამოსცეს იოსებ ბროდსკის რჩეული ლექსების ინგლისურ თარგმანთა ტომეული (მთარგმნელი - პროფესორი ჯორჯ ქლაინი). ან-მარი ბრამის თქმით, მბროდსკი ავლენდა მსოფლიო ლიტერატურის, ხელოვნების, მუსიკის და სხვა მისთვის საინტერესო სფეროთა უსაზღვრო ცოდნას.²

ვრცელი გამოკვლევა არსებობს მაუნტ-პოლიოქში ბროდსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

წარმოვიდგინოთ მსაჩუქეთისის შტატის დასავლეთით მდებარე მაუნტ-პოლიოქი; აქ მრავლადაა მიტოვებული ფაბრიკები. ბიზნესს არაფერს მისდევს, თუ არ ჩათვლით მარიხუანითა და ჰეროინით ვაჭრობას. ქალაქელთა მესამე თაობა სახელმწიფო დახმარების სარჯზე ცხოვრობს. ამ ხეობაში 4 კოლეჯია: ორი - ქალთა - მაუნტ-პოლიოქი და სმიტი; ელიტარული ამჰერსთი და ჰიპების სულიერი მეძვიდრე - ჰემფშირი. აქ არის მსაჩუქეთისის გლეხთა და მუშათა შვილების უდიდესი უნივერსიტეტი იუ მესი. აქ არის სოფელი საუთ ჰედლი და ამავე სახელწოდების მთა, პოლიოქთან ახლოს. პოლიოქი, ალბათ, ინდიელთა ტომონიმა. თუმც, ეს სიტყვა ჩამოჰვავს ინგლისურ Hollyhock-ს, რაც "ერთგვარი ვარდია" და Hollyoak-ს, რაც "წმინდა მუხას" ნიშნავს. მაუნტ-პოლიოქი 1837 წელს დაფუძნდა. მაუნტ-პოლიოქის კოლეჯი ერთ-ერთი უკანასკნელი ქალთა კოლეჯია - კერძოა და კარგი რეპუტაციით სარგებლობს, სადაც ოთხი წლის განმავლობაში სწავლობენ ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად. მშობლები ას ოცდაათ ათას დოლარს იხდიან. რასაკვირველია, არსებობს სტიპენდიათა და შეღავათთა სისტემა. ჰუმანიტარულ საგნებთან ერთად აქ ასწავლიან საზოგადოებრივ და ზუსტ დისციპლინებს, ასევე, - უცხო ენებს. ბიოქიმი და ლინგვისტიკას ეთავსება, არფაზე დაკერა - მათემატიკას და ა.შ. რუსული ლიტერატურის საეციალისტმა უნდა მოისმინოს ერთი კურსი დოსტოევსკის, ერთი - ტოლსტოის, ერთი - ბულგაკოვის

შემოქმედებაზე, ერთი - რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე, ერთი - რუსულ რევოლუციებზე, რამდენიმე კურსი რუსულ ენაში. სამაგიეროდ, არ არსებობს ნაკრები კურსები, ვთქვათ, ასეთი: რუსული ლიტერატურა დერჟავინიდან - ბროდსკიმდე" ან რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე". შედეგად, შესაძლოა, აშბავი იგორის ლაშქრობისა" ან, თვით პუშკინიც, შეუცნობი დაგრჩეთ. საკრედიტო სისტემა ნიშნებთან თანაარსებობს. ბაკალავრის ხარისხისთვის საჭიროა 128 ქულის მოგროვება.

ბროდსკი მაუნთ-პოლიოქის სეობაში 1974 წელს ჩავიდა და ერთდროულად 5 კოლეჯის პროფესორი გახდა. მიიწვია ფითერ უირექმა, რუსეთის ისტორიის პროფესორმა. უირექმა ბროდსკი ჯერ კიდევ 1962 წელს გაიცნო, როცა ახმატოვასთან და ოდენტან საუბრის შედეგად, გაარკვია, რომ ცოცხალთა შორის ყველაზე დიდი რუსი პოეტია, ახალი პასტერნაკი". 1973 წელს ბროდსკი იუ მესის ხელოვნების ფესტივალს ეწვია. უირექმა ბროდსკის შესთავაზა 1974-75 სასწავლო წლების მაუნთ-პოლიოქში გატარება. ბროდსკი დათანხმდა.

ექვსი წლის შემდეგ, 1981-ში, ბროდსკი საბოლოოდ კადმოდის აქ. ამჯერად მისი დათანხმება ჯო ელისმა, მაუნთ-პოლიოქის დეკანმა შესლო. ელისმა ბროდსკიზე უირექისგან შეიტყო. თუმც, ვილაც-ვილაცების დარწმუნება, რომ ჯერ ზენიტს მიუღწეველი ბროდსკის მიწვევა კოლეჯისთვის მისწრება იქნებოდა, მანც მოუხდა. ბროდსკის არავითარი დიპლომი არ გააჩნდა. იგი სკოლიდან 15 წლის გაიქცა და იქ აღარასოდეს დაბრუნებულა. ერთხელ, როცა სმით-კოლეჯის ადმინისტრაცია დაინტერესდა, თუ სად მიიღო დოქტორის ხარისხი, ელისმა უპასუხა: "ციმბირის უნივერსიტეტში". თუმც, ირონიასაც სჭირდებოდა არგუმენტაცია.

ყველას გასაკვირად, ბროდსკის საუთ ჰელდი მოეწონა. მოეწონა მე-40 სახლი, კოლეჯმა რომ გამოუყო ვუდბრიჯ ავნიუზე. თუმც, ჯერ არ ფიქრობდა საბოლოოდ გადმოსვლაზე. აქ მხოლოდ საგაზაფხულო სემესტრში ასწავლიდა და ხელფასის ნახევრის მიღებაზეც თანახმა იყო. ამიღებთ სრულ ხელფასს", - უპასუხია ელისს. ბროდსკიმ იუარა, რომელიმე კათედრისთვის მიეკუთვნებინათ და მთლიანად ამ კათედრის ცხოვრებით ეცხოვრა. 1986 წელს მელონის ფონდმა მაუნთ-პოლიოქს გრანტი მისცა. ელისმა ისარგებლა ამით და ბროდსკისთვის საგანგებო - "უკათედრო ლიტერატურის პროფესორის" შტატი შემოიღო. ელისმა ადმინისტრაციის დასარწმუნებლად იცრუა: "ბროდსკი მალე მიიღებს ნობელის პრემიას". მაშინ ჯერ არავინ იცოდა, რომ ელისს, უბრალოდ, ენამ უყვილა. მელონის ფონდმა დააფინანსა, ასევე, პოეტური კითხვის ყოველწლიური პროგრამა. ბროდსკიმ და ელისმა მიიწვიეს ჰინი, უოლკოთი (ნობელის პრემიის ლაურეატები) და სხვ. 1987 წლის შემოდგომაზე ბროდსკის დაურეკავს ელისისთვის ლონდონიდან: "ერთი კვირის შემდეგ, გამოაცხადებენ, რომ ნობელის პრემია მე მომენიჭა".

მალე ჩამოყალიბდა ბროდსკის მეგობართა წრე: ამჰერსთის პროფესორი, რუსი

ემიგრანტი ვიქტორია შვეიცერი, ავტორი წიგნისა მარინა ცვეტაევაზე (მას მიუძღვნა „ქარბუქი მასაჩუსეტსში“, 1990 წ.), თაუბმანების ოჯახი - როცა ბროდსკის ამერიკის მოქალაქეობა უნდა მიეღო, ჯერ თაუბმანმა წერილობით დაუდასტურა იმიგრაციის და ნატურალიზაციის სამსახურს ბროდსკის კრედიტია ანუ დაარწმუნა მის უსაფრთხოებაში.

ბროდსკი ასეთი გრაფიკით მუშაობდა:

საგაზაფხულო სემესტრს მაუნთ-პოლიოქში ატარებდა (იანვრიდან მაისამდე), ზაფხულს - ევროპაში, შემოდგომას - ნიუ-იორკში, შობას - ვენეციაში. საუთ ჰედლიში ჩაწერილი იყო. ნიუ ინგლანდში, როგორც ეძახდნენ მაუნთ-პოლიოქს, ბროდსკიმ დაწერა ორი საპროგრამო ლექსი: „ერთეუზათა კონცხის იანანა“, (1975) და „ქორის წივილი შემოდგომაზე“ (1975).

სასწავლო წლის განმავლობაში, საუთ ჰედლიში ორშაბათ საღამოს ან სამშაბათ დილით ჩნდებოდა. სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს ლექციებს ატარებდა, შემდეგ კი, ნიუ-იორკში მიდიოდა. ეს პროფესორისთვის არატიპური საქციელი იყო. მაგრამ ჯო ელისი ამასაც ჰპატიობდა და იმასაც, რომ მანქანას აარასწორ“ ადგილას აყენებდა: „ეს ჯოზეფ ბროდსკის მანქანაა და ყოველთვის აქ იდგება“, - ცივ წყალს გადაასხამდა ხოლმე მომჩივანს. ვუდბრიჯ ავენიუს მე-40 სახლი კოლეჯიდან ნახევარი კილომეტრით იყო დაშორებული, 250 წლის წინ, მე-18 საუკუნეში რომ აეგოთ. ბროდსკის შენობის ნახევარი ეკავა და ამბობდა, რომ იქ ყველაზე უკეთ მუშაობდა. ყოველწლიურად, ზამთრის ბოლოს ან გაზაფხულის დასაწყისში, ბროდსკი მაუნთ-პოლიოქში პოეზიის საღამოებს აწყობდა, რომელთა პუბლიკა იმასაც შეეკუა, რომ ამერიკაში ფართოდ გავრცელებული ანტინიკოტინური პარანოიის მიუხედავად, ის გამუდმებით ეწეოდა თამბაქოს. ლექსებს ჯერ ინგლისურად კითხულობდა შემდეგ - რუსულად, ბოლოს კი, კითხვებზე პასუხობდა. ვიღაც ვიდეოთიც იღებდა, ასე რომ, ეს კადრები საღდაც, შესაძლოა, ინახება კიდევ.

ბროდსკიმ ძალიან ვაითქვა სახელი. ნობელის პრემიამ (1987 წ.) და აშშ-ს პოეტ-ლაურეატის სტატუსმა (1991-1992 წწ.) ფორმალური კვარცხლბეკი შეუქმნა მას. მიიღო მომხიბლავი წინადადებები წამყვანი უნივერსიტეტებიდან, მათ შორის, როდ-აილენდის შტატის პროვიდენსის ბრაუნის უნივერსიტეტის პრეზიდენტისგან, რომელიც ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორიც იყო და თავის თანამომძიეთაგან განსხვავებით, ლიტერატურაში კარგად ერკვეოდა. ბროდსკი არც ერთ შეთავაზებას არ დაეთანხმა. ფეხი გაუსვა ხის იატაკს და თქვა: „აქ შეიძლება, ფეხში ხიწვი შეგერჭოს, ისევე როგორც - პეტერბურგში, ჩემი შშობლების სახლში“. ოცნებობდა სახლზე ზღვის პირას, რომ „ბალტიკასთან სიახლოვის განცდა დაუფლებოდა“. ასეთი სახლი ვერ იპოვა, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ბროდსკის ნიუ-იორკის ბინა ისტ-რივერის ნაპირზე იყო და იქიდან მანჰეტენის ცთამბზენები ჩანდა.

ბროდსკი არ ცნობდა კომპიუტერს. ვუდბრიჯზე სამი მექანიკური საბეჭდი მანქანა ჰქონდა. ძირითადად, სამზარეულოში მუშაობდა. ფანჯარასთან ედგა ვიწრო საწერი მაგიდა. ყველა სტუმარი, საბოლოოდ, აქეთ გადმონაცვლებდა ხოლმე. სხდებოდნენ ბარის მაღალ სკამებზე და ბროდსკი ამზადებდა უსაშველოდ ძლიერი ყავა „ქაპრესოს“. სხვა არაფრის გაკეთება არ ეხერხებოდა. ყავის მომზადებას კი, განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა. ჯერ თავისთვის ჩამოისხამდა, შემდეგ სტუმარს გაუმასპინძლებოდა და ასე - დაუსრულებლად, ვიდრე ყავა ორივე ფინჯანში თანაბარ დონეს არ მიაღწევდა. საუთ ჰედლიში ხანდახან თავისი სათაყვანებელი კატა მისისიპი ჩამოჰყავდა. კატები განსაკუთრებით უყვარდა და ედვინა კრუზის თქმით, სატელეფონო საუბარს ასე ამთავრებდა: „მიაუ! მიაუ!“ ექიმების რჩევას ყურს არ უგდებდა და თავისი სახლი არ აქცია პოეტ-განდეგილის სენაკად. ვინმე, ალბათ, შეადგენს ბროდსკი-დონ ჟუანის“ სიასაც. ელისის თქმით, ბროდსკი იოლად ახერხებდა მასთან მოპატიჟებული ხუთი ყველაზე ლამაზი და ჭკვიანი ქალის ყურადღების მიპყრობას.

ბროდსკის სახლი მყუდრო და მოხერხებული იყო პატრონისთვის, იგი საგანგებოდ აკულტებდა იქ გამეფებულ კომფორტულ სიცარიელეს. ჯო ელისი პოეტის სახლს „ბელეს“ ადარებდა, სვენ ბირქერტსი კი - „ბუნაგს“. მერი ჯო სალტერი დელიკატურად აჰპირანტის ოთახად“ მოიხსენიებდა. ბროდსკის შექმლო, ყოველივე ეს პროფესორის საცხოვრისად“ ექცია, მაგრამ არ ინდობებდა“. რუსული ტრადიციისამებრ, ბინას სულის შესუთვამდე ათობობდა და ამითაც, ალბათ, პეტერბურგისთვის დამახასიათებელ ყოფას იქმნიდა.

დადიოდა ჩინურ და კორეულ რესტორნებში. საყვარელი კერძი რუსული პელმენი იყო. საყვარელი სასმელი, დღისით, - „მარგარიტა“ ან „დაიკირი“, საღამოობით - ირლანდიური ვისკი. ყველაზე მეტად მოსწონდა „Single Malt“-ის კლასის ელიტარული ვისკი „ბუშმილსი“. მართავდა უძველეს, მუქ კრემისფერ „მერსედესს“. როგორც ჩანს, მანქანას კიდევ ერთ სახლად აღიქვამდა. სავარძლებზე ეყარა წიგნები, ქაღალდები, ასევე, - ოდენის ლექსების კასეტა ავტორის კითხვით. დაამკვიდრა მეტაფორა, რომ „კატასავით ასეირნებდა მანქანას“. „მერსედესი“ 1972 წლის გამოშვება იყო, მაგრამ არაფრით ცვლიდა, შესაძლოა, იმიტომ, რომ თვითონ სწორედ ამ წელს ჩამოვიდა დასავლეთში. მძლოლობით ვერ დაიკვებინდა. სერიოზულ ავარიში არასოდეს მოხვედრილა, მაგრამ პოლიციას უამრავჯერ დაუჯვარიმებია. ზოგი მეგობრის მტკიცებით, ბროდსკი საჭესთან კითხულობდა. იმაზე, რომ გადაჭარბებული სიჩქარით დაქროდა, გაზეთშიც წერდნენ (1994 წლის 5 მაისი). ამისთვის დაუპატიმრებიათ კიდევ.

უყვარდა ტვიდის და ველვეტის პიჯაკების ჩაცმა: ზეთისხილისფერიდან მოყოლებული, - ჟანგისფერის ჩათვლით. ატარებდა ჰალსტუხს. ეცვა, როგორც წესი, ოქსფორდული ტილოსგან შეკერილი გახამებული პერანგები.

მასთან ბევრი სტუმარი მოდიოდა. ერთხელ, პეტერბურგიდან ბროდსკის შვილი - ანდრეიც ჩამოვიდა. სტუმართა შორის იყო უახლოესი მეგობარი მიხაილ ბარიშნიკოვი, რომელსაც ცუკვით აკურთხებინა მაუნტ-ჰოლიოქის ახალი საცეკვაო სტუდია. მეგობრების დახასიათებით, იყო გულწრფელი, კაცთმოყვარე და აბსოლუტურად არავეოისტური.

ქორწინების შემდეგ საუთ ჰედლის სახლმა ბროდსკისთვის ახალი ღირებულება შეიძინა. 1991 წელს, პარიზში, ი. ბროდსკიმ გაიცნო იტალიელი არისტოკრატი მარია სოზანი, მამით იტალიელი, დედით - რუსი და იქორწინა კიდევ მასზე. 1993 წელს შეეძინათ ანა ალექსანდრა მარია (ანა - ახმატოვას საპატივცემულოდ უწოდა, მარია კი, - დედას და მეუღლეს ერქვათ). სხვათაშორის, მარია ერქვა მის პირველ ცოლსაც (მარია, მარინა ბასმანოვა, ანდრეის დედა, რომლისადმიც მიძღვნილია ბროდსკის თითქმის ყველა ლირიკული ტექსტი). მარია სოზანი იშვიათად ჩამოდიოდა საუთ ჰედლიში.

როგორც ლექტორი, ბროდსკი უადრესად სერიოზულად ეკიდებოდა თავის საქმეს. მისთვის მიუღებელი იყო აკადემიური რუტინა. ძალზე ხშირად, ლექციაზე ერთ-ერთი ლექსის გარჩევას მოისურვებდა, იქვე იწყებდა ცვეტაევასა თუ მანდელშტამის რომელიღაც ლექსის ძებნას და ვაი, კოლეჯთან არსებულ მაღაზიას, ესა თუ ის წიგნი იქ შემთხვევით თუ არ აღმოჩნდებოდა. არ გააჩნდა გეგმა ან კონსპექტი. ლექცია იწყებოდა ლექსის განხილვით, რაც ბროდსკის ისე იტაცებდა ხოლმე, რომ ყველაფერი ავიწყდებოდა. სულ რაღაც 8-12 სტროფის გარჩევას ასწრებდა და ბოლოს დაასკენდა: „პოეზიაზე ჩქარა საუბარი შეუძლებელია“.

სტუდენტებს უჭირდათ მისი ასოციაციებისთვის თვალ-ყურის მიდევნება, მაგრამ აღნიშნავდნენ, რომ ლექციის ყოველი 20 წუთი „მაჯალლო ოქროსი“ იყო. სწორედ ამ საუბრების შემდეგ იბადებოდა მისი ესეები. თუმც, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ბროდსკის ჰქონდა თავისი სისტემა. ყოველი ლექციისთვის სტუდენტებს უნდა ესწავლათ ერთი ლექსი, რომელზეც საკონტროლოს წერდნენ და რომელშიც პუნქტუაციურ შეცდომასაც კი სერიოზულ ნაკლად თვლიდა. ლექციები, ძირითადად, ან თარგმნილ რუსულ პოეზიას ეხებოდა, ან ინგლისურენოვან ლექსებს: ჰარდს, ოდენს, ფროსტს. ფითერ უირექთან ერთად უძღვებოდა კურსს „პოეტი ტოტალიტარული რეჟიმის ეპოქაში“. თვითონ ბროდსკი ამ კურსს „რითმას და სასჯელს“ ეძახდა - ეს იყო კალამბური დოსტოევსკის ცნობილი რომანის სათაურისა „Crime and Punishment“ (დანაშაული და სასჯელი). კატეგორიულად უარყოფდა ლექსთწყობის კურსისა (ინგლისური არ არის ჩემი მშობლიური ენა!“-ს მომიზეზებით) და ლექციის რუსულად წაკითხვის („ვერ გამოიგებენ!“) შესაძლებლობას. რუსული პოეზიის კურსიც ანტიკანონიკური იყო: ძირითადად, იგნორირებულ პოეტებს ასწავლიდა: დერჟავინს, კანტემირს, ბარატინსკის, რომელსაც, სხვათაშორის, როგორც თავის უსაყვარლეს პოეტს, უფრო დიდ დროს

უთმობდა, ვიდრე - პუშკინს. თითო კურსი კვირაში ორჯერ ტარდებოდა, 150 წუთის განმავლობაში. სემესტრში 13 კურსა, შესაბამისად, კურსის ბოლოს, თითოეულ სტუდენტს არანაკლებ 25 ტექსტი უნდა სცოდნოდა. ის ამბობდა, რომ „4+“-თ შექმლო, ყველასთვის დაეწერა, ოღონდ, არ ეფიქრათ ნიშანზე. ბევრს აღაშფოთებდა მისი ასეთი ქცევა. იმის გამო, რომ ბროდსკი გამუდმებით ეწეოდა თამბაქოს, სტუდენტები დეკანატში ჩიოდნენ. ის კი, მშვიდად უპასუხებდა: „განა კონსტიტუცია მიკრძალავს აუდიტორიაში მოწვევას“?! მეგობრებმაც ვერ შეძლეს, სიგარეტის წვეისთვის გადაეჩვიათ. უკანა მერხებზე მსხდომი სტუდენტებიც ეწოდნენ და ამით, ცხადია, ბროდსკის ბაძადნენ. დეკლამაციის დროსაც ეწეოდა და ერთადერთხელ, ისიც მოქაჩვის დროს, კარგავდა ლექსის მელოდიას. როგორც ჩანს, თავი რომ დაეცვა იმისგან, რომ სტუდენტებს, სხვა ლექტორებივით, მისთვისაც შენობით არ მიემართათ, თვითონ უწოდებდა მათ „მისთერ-ს“ ან „მისის-ს“. სტუდენტებს აღიზიანებდათ, როცა ის ბიჭებო და გოგონებო! -ს ეძახდა მათ. „ქალებო და კაცებო! უკულტურო გამოთქმა“, - პარირებდა ბროდსკი. სტუდენტებს ისიც სწყინდათ, როცა პოეტი უსაზღვრო გაცივებას გამოხატავდა მათი გაუნათლებლობის გამო. პირდაპირ შოკში აგდებდა ის ფაქტი, რომ ამერიკელმა სტუდენტმა არ იცოდა საკუთარი მშობლიური ენა - ბროდსკის აზრით, საჭირო იყო ეტიმოლოგიის კურსის შემოღება: როცა სიტყვების ისტორია ეცოდინებათ, ენააც უკეთ ისწავლიან“. ყველა ამ მიზეზის გათვალისწინებით, ბროდსკის ლექციები ხალხმრავლობით არ გამოირჩეოდა და სტუდენტებსაც, ან უაქელაციოდ უყვარდათ ან სძულდათ. ბროდსკისთვის კოლეჯში ყოფნის რაიმე განსაკუთრებული დრო არ არსებობდა. ხანდახან კლასგარეშე სამუშაოსთვის კაფეებს და თავის სახლს იყენებდა. ასე იქმნებოდა ბროდსკის ფანატთა წრე. ასე ეწეოდა საკუთარი პერსონის აფიშირებას. ბევრ სტუდენტს მის ნობელიანტობაზე არაფერი სმენოდა. არასოდეს დამალვია თაყვანისმცემლებს და თანამემამულეებს. ფულით ეხმარებოდა სტუდენტებს და ამაზე არაფერს თან ამბობდა რამეს. იცლიდა სტუდენტი პოეტებისთვისაც. საერთო გაუნათლებლობით შეშფოთებული, ერთხელ დაჯდა და საგანგებოდ ჩამოწერა სია იმ წიგნებისა, რომელიც ყველა სტუდენტს უნდა წაეკითხა. აღსანიშნავია, რომ ზოგი მისი სტუდენტი ახლაც ამ სიით ხელმძღვანელობს.

მეცადინეობის დაწყებამდე უყვარდა რუსული სიტყვიერების კათედრაზე შევლა და მის საყვარელ შვიტყავის საგარძელში ჩასვენება. ყავას მთარმევდნენ. ეწეოდა და ყვებოდა უწმანურ ანეკდოტებს. ყოველთვის ინგლისურად მეტყველებდა, რადგან ვერ იტანდა, როცა ამერიკელი სლავისტები მის მშობლიურ ენას ამხანჯებდნენ. ინგლისურს სრულყოფილად ფლობდა, თუმც, შესამჩნევი სლავური აქცენტით ლაპარაკობდა. ცდილობდა, ზუსტი სიტყვისთვის მიეგნო და არ ისვენებდა, ვიდრე ამას მოახერხებდა. პაუზებს აესებდა გამოთქმებით: “Well, Well, Well”, “Etc, Etc, Etc,“, “And then and then and then” და ყველაზე სშირად, “Basically, Basically, Basically...”

ბროდსკი ხშირად გამოდიოდა კურსდამთავრებულთა წინაშე, გზას ულოცავდა მათ და ყოველთვის აქვეყნებდა ამ გამოსვლათა ტექსტებს. მაუნთ-პოლიოქის კურსდამთავრებულთა წინაშე გამოსვლის ტექსტი არ დაუბეჭდეს და ბრალი დასდეს „რასიზმში, პოლიტიკურ არაკორექტულობაში, რეაქციულობაში“. თვით ბროდსკი, ამ ტექსტს 1956 წელს, მეოცე ყრილობაზე სრუშოვის გამოსვლის დარად, „საიდუმლო მოხსენებას“ უწოდებდა. მაუნთ-პოლიოქის გამოსვლაში ბროდსკიმ გააცამტვერა ამერიკაში წმიდათაწმიდად მიჩნეული პოლიტიკური კორექტულობა (ეს ათი წლის წინ დამკვიდრებული ტერმინი საფუძველს ორუელის რომან „1984“-დან იღებს), რომლის თანახმადაც, ზანგს ზანგი არ უნდა უწოდო და ადამიანზე არ უნდა თქვა „Man“. სტუდენტებს უნდა მიმართო სიტყვით - „ახალგაზრდებო!“, უნივერსიტეტში ეთნიკური უმცირესობანი უგამოცდოდ უნდა მიიღო და სხვ. ჩვენი ვარაუდით, ბროდსკის აღიზიანებდა პოლიტკორექტულობის ფარისევლური არსი, რადგან სწორედ ამ ყბადაღებული პოლიტკორექტულობის ფონზე ქალაქებში იზრდებოდა ლათინური და აფროამერიკული გეტოები, ეთნიკურ უმცირესობათათვის დაწესებულ შეღავათებს არავინ აკონტროლებდა, სოციალური ცხოვრება კვლავაც გულისხმობდა სეგრეგაციას (სოციალურ იზოლაციას), პროფესურის ტერორიზმებს და ა.შ.

ამბობდნენ, რომ ბროდსკის პოლიტიკა არ აინტერესებდა, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. მაგალითად, თაუბმანებთან ის მხოლოდ პოლიტიკაზე ლაპარაკობდა. ასევე, უსაუბრია შემდგომში ქლინთონის თანაშემწესთან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში - იონი ლეიქთან; ჯო ელისს, ვიეტნამის ომის ვეტერანს, არწმუნებდა, რომ ამერიკის გამოსვლა ინდოჩინეთიდან შეცდომა იყო; ლექსი მიუძღვნა სთროებ თელბოთს და მის მეუღლეს (თელბოთმა სრუშოვის მიმუხარები გამოსცა, 1994 წელს კი, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე გახდა). ყველაზე მეტად სძულდა გორბაჩოვი და შევარდნაძე. ამ უკანასკნელზე ამბობდა: „რას უნდა ველოდოთ მისნაირი წარსულის ადამიანისგან?“ ბროდსკის დამოკიდებულება აისახა მის პიესაში „დემოკრატია“. ამ პოზიციის გაზიარებას უფრთხოდა აშშ-ს პრესა და მის ტექსტებს ან არ ბეჭდავდა ან ცვლიდა, რითაც, რა თქმა უნდა, პოეტის აღშფოთებას იმკიდა.

ბროდსკი მაუნთ-პოლიოქში კალამბურისტის რეპუტაციით სარგებლობდა. ფემინისტთა წრეს ერთხელ უწოდა „ლესბი-იანკი“; „ვამინგტონს“ - „ნამინგტონი“ დაარქვა; 1981 წელს, როცა იარუხელსკიმ პოლონეთში სამხედრო მდგომარეობა შემოიღო, ბროდსკიმ თქვა: „ეს აღარაა ჩვენი ტანკები, ახლა ესაა თქვენი ბანკები!“ მისი აზრით, დასავლეთს ეშინოდა პოლონეთში საბჭოთა ხელისუფლების დამსობის, რადგან პოლონეთის კოლოსალური საგარეო ვალეების გადახდას საფრთხე შეექმნებოდა.

სხვადასხვა აზრი არსებობდა მისი წამღერებით კითხვის მანერაზეც: ის ისე

კითხულობს პუშკინს, ვით ფსალმუნს - სინაგოგაში", - შენიშნავდა ზოგიერთი. ზოგს, პირიქით, სწორედ ეს მოსწონდა ბროდსკიში. თვითონ პოეტის ასე მოძღვრავდა სტუდენტებს: "ანუ კითხულობთ ლექსს პროზასავით. პოეზია ინფორმაცია არ არის. ლექსის ინფორმაცია მის მელოდიაშია".

რაც შეეხება მისი ლექსების ავტორიზებულ თარგმანებს, რასაკვირველია, ახლოსაც ვერ მივა ორიგინალთან და ამაში დაძვინჯებულ თვითვე იყო: ზოგჯერ ისე იტაცებდა ინგლისურში მიკვლეული ანალოგი, მას მიჰყვებოდა და ლექსი პაროდული უფრო გამოდიოდა, ვიდრე - ფილოსოფიური. აი, ერთი მაგალითი: "I sit at my desk, My life is grotesquel". სერიოზულ კონტექსტში ბეგრათა თამაშისას ინტონაცია იკარგებოდა". ასევე ხდებოდა მის ინგლისურ ლექსებშიც, რომლებშიც ამგვარსავე კონსტრუქციებს ვხვდებით და რიმელთაც "ჯოჯოხეთის მშენებელს" ეძახდნენ. ბროდსკი თავის თავს რუს პოეტად და ინგლისურენოვან ესეისტად მიიჩნევდა. გასაკვირი არც იყო, რომ ამერიკამ სწორედ მისი ესეისტიკა დააფასა და ნობელის პრემიაც მისთვის მიანიჭეს. სხვათაშორის, მის ესეეთა საუკეთესო კრებულის - "ერთზე ნაკლებს" სათაური სრულიად შემთხვევით დაიბადა: ხელში სიგარეტის კოლოფს ატრიალებდა. უცებ ყურადღება მიაქცია წარწერას: "ერთ გრამზე ნაკლები კუპრი".

ბევრს არ მოსწონდა პროზის შეფასებისას ბროდსკის მიერ გამოთქმული უარყოფითი კატეგორიზმი: "დღეში ორ სიტყვას თუ დაწერენ და ნელნელა რომანამდე აღწევნენ". ანდა: "პოეზია სადღესანტო შენაერთია, სწრაფად უნდა დაიპყრო დიდი პლაცდარმი. პროზა მხოლოდ ქვეით ჯარს შეიძლება შევადაროთ". ყველაზე დიდ რუს პოეტებად მანდელშტამს და ცვეტაევას მიიჩნევდა. ყველაზე მეტად ოდენი უყვარდა და მასავით საშინელი რეპუტაციით მოსარგებლე "L&M"-ს ეწეოდა. უყვარდა ბიბლიის კანონიკური თარგმანი, რომლის მეშვეობითაც დაეუფლა ინგლისურს. ენა ერთგვარი მარადი რეალობაა, ჩვენ კი, მხოლოდ დროებით ვფლობთ მას. ზოგიერთს ღმერთი ამ როლისთვის ირჩევს, მაგალითად, - მე, - ამბობდა ბროდსკი. ედვინა კრუზი აღწერს მის უცნაურ მუშაობას თარგმანზე: "დაიწყო პირველი სტროფის გამეორება და ხელის რიტმული კაკუნის მაგიდაზე რიტმი უფრო და უფრო იმატებდა. თარგმანი ბრწყინვალე გამოვიდა".

მოსწრო მანუთ-ჰოლიოკის ლექსით უკვდაყოფაც: "Mount Holyoke College, famed for its feminists and foliage".³

1977 წელს ბროდსკიმ დაწერა რეცენზია ა. სოლჟენიცინის წიგნზე "არქიპელაგი გულაგი" და მას "ბოროტების გეოგრაფია" უწოდა. 1989 წლის ივლისში წარდგა დართმუთის კოლეჯის სტუდენტთა წინაშე მოხსენებით "ქება მოწყენილობისადმი", რომელიც შემდეგ შევიდა რჩეულ ესეეთა კრებულში. "წუხილსა და გონიერებაზე" (1995). ბროდსკი აირჩიეს ამერიკის ხელოვნების აკადემიის წევრად, რომელიც პროტესტის ნიშნად დატოვა აკადემიის წევრად ევგენი ევტუშენკოს არჩევის გამო. ნიუ-იორკში ბროდსკი ცხოვრობდა გრინვიჩ-ვილიჯის ოროთახიან ბინაში, სადაც 184

ხშირად იღებდა ჟურნალისტებს და თავისუფალ დროს ინტერვიუებზეც თანხმდებოდა. ბროდსკის 1979 წლის დეკემბერში ვესაუბრე. გაუპარსავი იყო. დალლილი და მშფოთვარე მჩვენა. იმ დღეებში ამზადებდა გამოსაცემად წიგნს „მეტყველების ნაწილს“ და ჩქარობდა. კაბინეტის იატაკზე უამრავი ქაღალდი ეყარა. შეეთავაზე ინტერვიუს გადადება, მაგრამ ბროდსკი არ დამეთანხმა. ყველა კედელი და საერთოდ, მთელი თავისუფალი სივრცე მის პატარა ბინაში მოეცვა წიგნებს, ღია ბარათებს, ფოტოებს. ზოგიერთ მათგანზე თვალი მოგკარი ჭაბუკ ბროდსკის, ბროდსკის - ოდენთან, სვენდერთან, ოქტავიო პასთან, სხვა მეგობრებთან ერთად. ბუხარის თავზე ორი ჩარჩოიანი სურათი ეკიდა: ანა ახმატოვას პორტრეტი და ბროდსკი, რუსეთში დარჩენილ ვაჟთან ერთად.

ბროდსკიმ დამისხა. ძალიან ძლიერი ყავა და ბუხართან მდგომ სავარძელში მოკალათდა. სამი საათის განმავლობაში პოზა თითქმის არ შეუცვლია - ფეხი ფეხზე გადაედო და თავი მხრისკენ ოდნავ გადაეხარა. დროდადრო მარჯვენა ხელს მკერდზე მიიდებდა ხოლმე, მაგრამ უფრო ხშირად, იმ ხელით სიგარეტს ეწვოდა. ბუხარი ნამწვებით ივსებოდა. იშვიათად მოსწევდა ბოლომდე ნამწვს დაუფიქრებლად ისროდა ბუხარში. პირველ კითხვაზე საკუთარი პასუხით უქმაყოფილო დარჩა და რამდენიმეჯერ მოითხრია პასუხის ხელახლა ჩაწერა. ხუთი წუთის შემდეგ კი, საერთოდ დაავიწყდა ჩართული მაგნიტოფონი, ჩემი არსებობა და სულ უფრო და უფრო აგზნებულად და სწრაფად ლაპარაკობდა. ბროდსკის უჩვეულოდ მდიდარი ხმა აქვს, მკაფიო ცხვირისმიერი ბგერებით შეფერილი. ნადეჟდა მანდელშტამი ამბობდა: „ეს ადამიანი კი არა, სასულე ორკესტრია“. ცოტა ხანს შევისვენეთ, ბროდსკიმ მკითხა, რომელი ლუდი მომწონდა და საყიდლად იქვე მდებარე მაღაზიაში გავიდა. როცა ბრუნდებოდა, გავიგონე, ეზოში როგორ შეესმინა მეზობელი: „რამა საქმე, იოსიფ, მგონი, წონაში იკლებ!“ ბროდსკიმ უპასუხა: არ ვიცი, ნგონი, მართალი ხარ.. თმები რომ დამაკლდა, ეს ფაქტია!“ შემდეგ დაამატა: „ცოტ-ცოტა ტვინიც“. როცა ინტერვიუ დავსრულეთ, ბროდსკი სულ სხვა ადამიანად წარმომიდგა, ვიდრე ოთხი საათის წინ მჩვენებოდა. დალლილობა და აღელვება სახიდან გაჰქრობოდა, მზად იყო, ელაპარაკა შეუსვენებლივ. მაგრამ საწერ მაგიდასთან უნდა მჯდარიყო. „მისარია, რომ წამუშავება მოვასერხეთ!“ - მითხრა დამშვიდობებისას და გამომაცილა ჩვეული სიტყვებით: „ყარგად. გკოცნი!“⁴

1977 წელს გამომცემლობა „არდისმა“ ენ-ერბოროში გამოაქვეყნა იოსიფ ბროდსკის ორი უმნიშვნელოვანესი კრებული აშშ-ში დასასრული. 1964-71 წლების ლექსები. შემდგენლები ვ. მარამზინი და ლ. ლოსევი“ და „მეტყველების ნაწილი. 1972-76 წლების ლექსები, შემდგენლები ვ. მარამზინი და ლ. ლოსევი“.

1977 წლის 14 მაისს სოლჟენიცინის მიერ გამოგზავნილი წერილის პირველივე ბეკარებში ჩანდა პოეტის შემოქმედებით გამოწვეული აღფრთოვანება: არც ერთ რუსულ ჟურნალს არ ვტოვებ წაუკითხავს, რომლებშიც კი იბეჭდება თქვენი

ლექსები, არ მბეზრდება თქვენს ოსტატობაზე აღფრთოვანებული სიტყვების თქმა. ხანდახან, შიშიც კი შემიაყრობს ხოლმე, რომ თქვენ ერთგვარად ანგრევთ ლექსს, მაგრამ ამასაც შეუღარებლად ნიჭიერად აკეთებთ". ბროდსკის სიკვდილის შემდეგ სოლჟენიცინმა, როგორც ჩანს, აზრი შეიცვალა.⁵

1980 წელს ბროდსკიმ ამერიკის მოქალაქეობა მიიღო: ამერიკის მოქალაქე გახდით დეტროიტში. წვიმდა. ადრიანი დილა იყო. სასამართლოს შენობაში სამოცდაათ-ოთხმოცამდე კაცი შევიკრიბეთ. ფიცი ერთად წარმოვთქვიით. აქ იყვნენ ეგვიპტიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ზიმბაბუედან, ლათინური აპერიკიდან, შვედეთიდან ჩამოსულები. მოსამართლემ აღნიშნა: ფიცის მიცემით სრულიადაც არ წყდებით თქვენს ყოფილ სამშობლოს; მას აღარ ეკუთვნით პოლიტიკურად, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს მხოლოდ გაამდიდრებს, თუ თქვენს ემოციურ და კულტურულ კავშირს შეინარჩუნებთ". ამ სიტყვებმა შემძრა. აფორიაქებული ვარ ახლაც, იმ დღეს რომ ვიხსენებ.⁶ 1980 წლის 29 თებერვალს იოსიფ ბროდსკი მინესოტის უნივერსიტეტის ლიტერატურულ საღამოზე გამოვიდა. 1981 წელს შუნტირება ჩაუტარეს გულზე. ექიმებმა სიგარეტის წვეა აუკრძალეს, მაგრამ იგი მაინც ეტანებოდა თამბაქოს: ძლიერ სიგარეტებს ფილტრსაც კი აძრობდა. პირველი ინფარქტი ჯერ კიდევ 1976 წლის 13 დეკემბერს გადაიტანა.

1981 წელს რამდენიმე თვე იცხოვრა რომის ამერიკულ აკადემიაში. 1983 წელს გამომცემლობა არღისმა ენ-ერბორში დასტამბა ბროდსკის ლირიკა "აგვისტოს ახალი სტანსები. მ. ბ.-სადმი მიძღვნილი ლექსები. 1962-82". 1984 წელს იმავე გამომცემლობამ გამოაქვეყნა ბროდსკის პიესა "მარმარილო".

1986 წელს მისი ესეების ინგლისური კრებული "Less than one" ამერიკის წლის საუკეთესო ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომად აღიარეს.

1987 წელს სამი შეტევა გადაიტანა. ინფარქტის შედეგებს მკურნალობდა პრესვიტერიანულ საავადმყოფოში (ნიუ-ჯერსის შტატი).

1987 წელს პოეტი წერდა: ოს თხუთმეტი წელი, აშშ-ში რომ გავატარე, უჩვეულო იყო ჩემთვის, რადგან აღარაფერს მაფორიაქებდა. ისე ვცხოვრობდი, როგორც უნდა ცხოვრობდეს პოეტი: საერთო-სახალხო საცთური ვერას მაკლებდა, განმარტოებით ვცხოვრობდი. შესაძლოა, დევნილობა პოეტის ყველაზე ბუნებრივი მდგომარეობაა, რომანისტიგან განსვავებით, რომელიც მის მიერ აღწერილ საზოგადოებრივ სტრუქტურათა შიგნით უნდა იმყოფებოდეს. გვრძნობდი ერთგვარ უპირატესობას, რომ ჩემი საარსებო პირობები და საქმიანობა ერთმანეთს ეთანადებოდა. ამჟამად კი, ამ უპირატესობის გამო, გამიჩნდა განცდა, რომ ვიღაც ძალით ცდილობს ჩემს ცხოვრებაში შემოჭრას. "უსუსტად ისეა, ბაზარში ბოშა-ქალი რომ გადაგეკიდება, შენს ხელს დასცქერის და ამბობს: ახლა გეტყვი, რა გელის..." მიეჩვიე განკერძოებით ცხოვრებას და არ მსურს რამის შეცვლა. იმდენი ხანია, ჩემს სამშობლოს დავცილდი, რომ ჩემი მზერა გარეშეს მზერა და

შეხედულებაა. რაც იქ ხდება, კანით ვერ ვგრძნობ. დაბეჭდავენ ჩემს ლექსებს? კარგია. არა? არც ესაა უბედურება. მომავალი თაობები წაიკითხავენ. ეს სრულიად არ მალეღვებს, სულ ერთია... თითქმის სულერთია...”?

1987 წლის დეკემბერში ორმოცდაშვიდი წლის იოსიფ ბროდსკის ანიჭებენ ნობელის პრემიას (ბუნინისა და პასტერნაკის შემდეგ, ბროდსკი მესამე რუსი პოეტი იყო, ნობელის პრემია რომ მიანიჭეს) „ყოველმომცველი ავტორობისთვის, რაც გამოიხატება აზრის სიფხვანითა და პოეტურ სიღრმეში“ (ბროდსკი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ავტორი იყო ნობელის პრემიის გადაცემის ისტორიაში).

1988 წლის სექტემბერში ხანგრძლივი განშორების შემდეგ ნიუ-იორკში პირველად შეხვდა სიჭაბუკის მეგობარსა და პოეტურ მეტრს - ევგენი რეინს.

1988 წლის დეკემბერში მიჩიგანის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა წინაშე წარმოთქვა თავისი ცნობილი სიტყვა „სტადიონზე“ - რჩევა, მოწოდება და შეგონება ახალგაზრდებისადმი.

1990 წელს ი. ბროდსკიმ შეაკეთა მორთონ-სთრიტზე მდებარე თავისი სახლი, სადაც 24 მაისს 50 წლისთავის აღსანიშნავი დღესასწაული მოაწყო. ესწრებოდნენ: დერეკ უოლქოთი, მარკ სთრენდი, სიუზან ზონტაგი, როჯერ სთრაუსი, ლ. ლოსევი, ა. სუმერკინი და სხვები.

1990 წლის 11 ოქტომბერს ბრიტანეთის აკადემიაში პირველი ყოველწლიური ლექცია „Times Literary Supplement“ წაიკითხა, რაც საფუძვლად დაედო მის ესეის „Altra Ego“. 1991 წელს ლეიდენის უნივერსიტეტშიც წაიკითხა ლექცია „კლიოს პროფილი“.

ნობელის პრემიის მიღების შემდეგ, ბროდსკი განსაკუთრებულ დიდ დროს უთმობდა ამერიკაში მყოფ მრავალ ემიგრანტს, სამსახურის მოძებნაში ეხმარებოდა, წერდა სარეკომენდაციო წერილებს, ურეკავდა და სტუმრობდა საჭირო ხალხს. თუმც, ძალზე ცოტა თუ დარჩენია მადლიერი.

1991 წელსვე მასაჩუსეტისის შტატის ქალაქ საუდ ჰედლის მაუნთ-ჰოლიოქის კოლეჯის ლიტერატურის პროფესორობა მიანიჭეს.

1991 წლიდან 1992 წლის მანამდე აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკის პოეტ-ლაურეატად აირჩიეს, რაც მის ფაშინგტონში ყოფნას მოითხოვდა. ქალაქი ბროდსკის არ მოეწონა, რაც მის ერთ ლექსშიც გამოჩნდა. 2 ოქტომბერს კონგრესის ბიბლიოთეკაში წაიკითხა ლექცია „მოუზიდებელი წინადადება“, შემდეგ ესეთა კრებულშიც რომ შეიტანა.

1991 წლის ზაფხული ინგლისში გაატარა, საავტორო შესვედრებს მართავდა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობდა.

1993 წლის 9 სექტემბერს გეტებორგის წიგნის ბაზრობაზე იოსიფ ბროდსკიმ და ამერიკელმა პოეტმა, ნობელიანტმა დერეკ უოლქოთმა მოაწყვეს დისკუსია „პოეზიის ძალა“. 1993 წლის შემოდგომა ბროდსკიმ ოჯახთან ერთად, ისკიაში (კუნძული ტირენის ზღვაში, ნეაპოლთან ახლოს) გაატარა.

1994 წლის შემოდგომაზე მაუნთ-პოლიოქის კოლეჯის სტუდენტებისთვის წაიკითხა ლექცია თომას ჰარდის პოეზიაზე ის, რომ იოსიდ ბროდსკი მაქსიმალურად კონცენტრირებული იყო საკუთარ შემოქმედებაზე, მოსაუბრეზე უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა. როცა წელიწადნახევრის წინ შევხვდით ტორონტოში, ის გამოიყურებოდა ადამიანივით, რომელსაც ამ სამყაროსთან, ყოველ შემთხვევაში, მის მატერიალურ მხარესთან არაფერი აკავშირებდა. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბროდსკის პოეტური ფუნქცია თითქმის ამოწურული იყო. იგი იმდენად შორს იდგა სინამდვილისგან, როგორც უცხო სფეროებში, განსხვავებულ განზომილებებში მფრენი არსება, რომელიც დედამიწაზე იმიტომ მოვიდა, რომ ჭეშმარიტი, ცინცხალი გენიის ნათებით გაგეასხივოსნოს და წავიდეს, თავისი მისიის შესრულების შემდეგ".⁸

მეგობრები სხვა რამეს ჭვრეტდნენ: საკუთარი შემოქმედებისადმი ირონიულად განწყობილად მიიჩნევდნენ. საკუთარი პერსონის დამდაბლება თითქოს აბალანსებდა სიმაღლეს, რომელსაც მისი ლექსები იპყრობდნენ. არასოდეს შევხედრივარ ასე უშურველ, ფაქიზ, მზრუნველ და ყურადღებიან ადამიანს. აღარაფერს ვამბობ ბროდსკისთან საუბარზე - თვით უბრალო ლაზღანდარობაც კი ფეხბურთზე, კალამბურების გაცვლა-გამოცვლა უსაშველო ნეტარება იყო. მასთან ერთად წასვლა ნიუ-იორკის ჩინურ რესტორანში ან ლუკას ბაზარში დღესასწაულად გადაიქცეოდა ხოლმე, იგი ხარობდა სიყვარულით, მეგობრობით, ოჯახური ბედნიერებით. ხარობდა ბევრი ყოფითი სიხარულით: სიამოვნებით მართავდა ავტომანქანას, აჭაშნიკებდა ღვინოს, აგემოვნებდა საკვებს, არ დაუტოვებია გრინვიჩ-ვილიჯის არც ერთი კაფე, ალტაცებაში მოჰყავდა მერილინ მონროს და ჰემდერი ბოგარტის, უსმენდა აკვიატებულ პერსელას და ჰაიდნს. უცქერდა მსოფლიო პირველობის მატჩებს, 1994 წლის ზაფხულში დაწვრილებით განვიხილავდით ყოველი საფეხბურთო დღის ამბებს".⁹

1995 წელს ა. სობჩაკის ბრძანებულებით, სანკტ-პეტერბურგის საპატრიო მოქალაქედ გამოაცხადეს. ამავე წლის მარტში ბროდსკი შესვლა სობჩაკს სასტუმრო „ჟოლდორფ ასტორიაში“, ნიუ-იორკში. მერმა თითქმის დაითანხმა, სწვეოდა მშობლიურ ქალაქს, მაგრამ 1995 წლის 8 აპრილს გაეზავნილ წერილში კვლავ უარი თქვა: „ამ განზრახვის განხორციელებას სჭირდება შინაგანი და წმინდა ფიზიკური რესურსები, რაც ამჟამად არ გამაჩნია. ღვთის ნებით, ეგებ, ჩამოვიდე მშობლიურ ქალაქში. როგორც ჩანს, ეს გარდაუვალია. ვფიქრობ, ეს კერძო შემთხვევა უნდა იყოს, არ უნდა გამოიწვიოს საერთო ხმაური“.

1995 წლის 9 აპრილს ბროდსკიმ რუსი ემიგრანტებისთვის უკანასკნელი საავტორო საღამო მოაწყო ბოსტონის უნივერსიტეტის მორზ აუდიტორიუმში. 1995 წელს ნიუ-იორკში მყოფი პოეტი ტატიანა ბეკი იგონებს ერთ-ერთ შეხვედრას: „ჰკითხეს, დამღუპველი ხომ არ არისო პოეტისთვის თავის ენობრივ გარემოსთან

დაცილება. უპასუხა, რომ სწორედ ემიგრაციაში დარჩა ენასთან ტეტ-ა-ტეტ... ვენაში, ემიგრაციის პირველ წელს პანიკას შეუპყრია, როცა რომელიღაც სიტყვის გართიმვა ვერ შეძლო. მაგრამ მეორე დღეს რითმა იპოვა, ბარიერი გადალახა. ბროდსკიმ თქვა, რომ მასწავლებლობა იშვიათი შესაძლებლობაა შენთვის ამალეღვებულ თემებზე სასაუბროდ. კითხვაზე, თუ რატომ არ სურს სამშობლოში დაბრუნება და ცვეტაევასა და სოლჟენიცინის ბედის გამეორება, უპასუხა, რომ ცვეტაევას ბედის გამეორება არ უნდა, ხოლო სოლჟენიცინი მისთვის არც იმდენად ახლობელია, მის წილხვედრ ბედზე რომ იოცნებოს. მისი ცხოვრება - მისი ცხოვრებაა და არა ლიტერატურულ ტრადიციათა გაგრძელება.¹⁰

მარია სოზანი-ბროდსკაია იგონებს: „სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე იოსიფი გაიტაცა იდეამ, შეექმნა რომში რუსული აკადემია ამერიკულის მსგავსად, სადაც ყოფნამ პოეტზე მეტად ნაყოფიერად იმოქმედა. ასეთი აკადემია საშუალებას მისცემდა რუს მწერლებს, ხელოვნების წარმომადგენლებს, მეცნიერებს, ცოტაოდენი დრო გაეტარებინათ რომში და ახალი შემოქმედებითი და სამეცნიერო წარმატებებისთვის მიეღწიათ. ბუერს ეცადა იოსიფი: შეადგინა ჟიური, შეარჩია კონსულტანტები, შექმნა ინტელექტუალური საფუძველი, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ვერ მოასწრო.“¹¹

იოსიფ ბროდსკი 1996 წლის 28 იანვარს გარდაიცვალა 55 წლის ასაკში. ზოგი ამტკიცებდა, აბაზანაში გაუსკდა გულიო, ზოგი ამბობდა, ძილში გარდაიცვალაო. გარდაცვალების მიზეზი გახლდათ ინფარქტი. დამთხვევების მოყვარულთათვის: 28 იანვარს გარდაიცვალნენ პეტრე დიდი და დოსტოევსკი.

2001 წელს გამოცემულ „თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში“ წერია: „ბროდსკის ესთეტიკა მოდერნის, პოსტმოდერნის და ტრადიციონალიზმის მათემატიკური ჯამი კი არ არის, არამედ ყველა ამ მხატვრული სისტემის ინტეგრირება, მათგან საერთო მხატვრული და ფილოსოფიური ფესვის ამოღება“. ამ ინტეგრალმა თუ ფესვმა, ერთი მხრივ, ბაროკოს ესთეტიკასთან სიღრმისეული კავშირი გამოავლინა; მეორე მხრივ, თავისი სიცოცხლისუნარიანობა დაადასტურა იმით, თუ რამდენად ორგანული გახდა ბროდსკის მიერ „დამყნობი“ ანტიკურობის, მეტაფიზიკური ტრადიციის, მეოცე საუკუნის ინგლისურენოვანი პოეზიის (ვლიოტი, ოდენი, ფროსტი), თითქმის, ფუტურისტული ენობრივი თავისუფლების, აბსურდის ნერგები“.

ბროდსკის ნიუ-იორკი 31 იანვარს გამოეთხოვა. ის მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში გაურბოდა ებრაულ ორთოდოქსალიზმს, არ გამოდიოდა სინაგოგებში და სხვ; ამიტომ იუდაურ სასაფლაოზე ვერ დაკრძალავდნენ. ბროდსკი არც მონათლული იყო, რის გამოც ბერძენ მართლმადიდებელთა სასაფლაოსკენაც გადაეკეტა გზა. საბოლოოდ, მანც იპოვნეს გამოსავალი და ნიუ-იორკის სასაფლაოს საეპისკოპოსო ნაკვეთში დაკრძალეს, ეზრა ფაუნდის გვერდით. საბოლოო განსასვენებელი ბროდსკიმ ვენეციაში, სან მიქელეს კუნძულზე ჰპოვა.

ბათუმის უნივერსიტეტის ლიტერატურა:

- ¹ С. Волков, Диалоги с Иосифом Бродским, глава 6. Преследования. Высылка на запад: осень 1981- лето 1983. <http://lib.ru/BRODSKI/wolkow.txt>
- ² Страницы сайта поэта Иосифа Бродского (1940-1996). Биография Иосифа Бродского. <http://br00.narod.ru/0003br.htm>
- ³ К. Плешаков, Бродский в Маунт-Холиоке, «Литературная газета», 2001, 24-30 января8
- ⁴ Интервью с Иосифом Бродским Свена Биркертса, пер. с английского И. Комаровой, Журнал «Звезда», 1997, № 1.
- ⁵ А. Солженицын, Иосиф Бродский – избранные стихи, журнал «Новый мир», 1999, №12.
- ⁶ Сочинения Иосифа Бродского., СПб, 2001.
- ⁷ Ibid, стр. 227.
- ⁸ В. Полонский, Статья для энциклопедии «Кругосвет», www.Krugosvet.ru/articles/103/1010358
- ⁹ Иосиф Бродский: Труды и дни, сост. Л. Лосев и П. Ваиль, М., 1998, стр. 248-256.
- ¹⁰ Т. Бек, интервью Е. Градовой, «Литературная газета», 1993, 13 мая, стр. 3.
- ¹¹ Полухина В. Иосиф Бродский глазами современников, кн. 2 (1996-2005), СПб, 2006, стр. 301.

GRIGOL JOKHADZE

Ilia Chavchavadze State University Assoc. Prof.

SUMMARY

THE AMERICAN PERIOD OF JOSEPH BRODSKY (1972 - 1996)

In 1972, Brodsky left Russia forever. The story usually told of his departure is that he was given an exit visa, put on an aircraft to Austria and told not to come back. At this time the Soviet Union stopped killing or jailing those it regarded as a nuisance and was instead persuading them to leave the country. In Europe, Brodsky was taken under the wing of W.H. Auden, who gave him useful advice. He moved to America and received an abundance of grants and academic work. American poetry, he said, made him an American "long before I arrived". He was a poet-in-residence and visiting professor at the University of Michigan, Queens College, Smith College, Columbia University and Cambridge University in England. In 1978, Brodsky was awarded an honorary degree of Doctor of Letters at Yale University, and on May 23, 1979, he was inducted as a member of the American Academy and Institute of Arts and Letters. He became an American citizen in

1980, and in 1981, Brodsky was a recipient of the John D. and Catherine T. MacArthur Foundation's award for his works of "genius". In 1987 he was awarded the Nobel prize for literature, but Brodsky treated the award lightly". A big step for me,"he said in a humble tone "A small step for mankind". In 1991, he was made American poet laureate, an honor given by the Library of Congress.

American medicine probably helped the chain smoker and hard drinker survive several heart attacks before the one that finally killed him at age 55 in 1996.

Joseph Brodsky, who was America's first foreign-born and fifth American Poet Laureate, is known for his poetry and his essays. Often he is referred to as one of the greatest poets of his generation. He wrote his poetry in Russian; therefore, he translated most of his poems into English. His poetry reveals feelings of sorrow and grief that humans experience as they face the struggles of survival. His themes included issues about morality, religion and history. Brodsky's style resembles classical tradition. He utilizes exquisite imagery, powerful metaphors, and strong rhythmic internal/external rhyming schemes. Once asked in an interview after winning the Nobel Prize for Literature in 1987, "if he had won as an American poet of Russian origin or a Russian poet living in America, and he firmly replied: "A Russian poet, an English essayist, and, of course, an American citizen". Brodsky's poetry reaches beyond the self; the paradox is that he incorporates a universal thread that creates a connection to any person, regardless of sex, culture, or age. At times, one is reminded of Frost, who often wrote for the common folk and focused many poems upon the simplicities of life. Brodsky utilizes the almost anywhere, everyday occurrences along with powerful metaphoric issues. Frost wrote for the common folk and Brodsky wrote for all globally. Robert Haas notes about Brodsky that "He's a - he's a poet of immense verbal brilliance, lots of pyrotechnics, and when people try to bring that into English, what you often get is almost pyrotechnics, and almost brilliance, so partly you read his poetry in English as an act of faith, but I think the poems in the book *A Part of Speech* conveys the - his passion and his irony and a kind of a ferocious intelligence that will give people a sense of what he's like".

ამერიკული ლიტერატურული კრიტიკა ვლადიმერ პოს „გოთური“ ნოველის შესახებ

ვლადიმერ პოს ნოველისტიკის, ისევე როგორც მთელი მისი შემოქმედების, კრიტიკული და ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი მწერლის სიცოცხლეშივე დაიწყო: იმ პერიოდის ამერიკულ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში ამერიკელ რომანტიკოსზე არაერთი კრიტიკული წერილი, რეცენზია თუ გამოხმაურება გამოქვეყნდა. კრიტიკოსთა და რეცენზენტთა დიდი უმრავლესობა ნეგატიურად იყო განწყობილი როგორც თავად მწერლის პიროვნების, ასევე მისი შემოქმედების მიმართ. უფრო მეტიც, XX საუკუნის 50-იან წლებამდე პოს მის სამშობლოში საკმაოდ ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა. ამერიკელ კრიტიკოსთა საკმაოდ დიდი ნაწილი მას შარლატანად თვლიდა (შესაძლოა იმიტომ, რომ ისინი იზიარებდნენ იმ ცრურწმენას, რომელიც პოს ირგვლივ მისმა პირადმა მტრებმა, უმთავრესად რუფუს გრისუოლდმა შექმნა). როგორც პეტრიკ ქუინი აღნიშნავდა 1957 წელს, ამერიკელი მწერლების დამოკიდებულება პოს მიმართ ადრევე მტრული იყო და 50-იან წლებშიც მტრულადვე რჩებოდა. რაც ნიშნავდა ლიტერატურულ კრიტიკას, ქუინის მიხედვით, ამერიკელი კრიტიკოსები არათუ არ ცდილობდნენ პოს შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურის ასპარეზზე გაეტანათ, არამედ მას თვით ამერიკული ლიტერატურის მასშტაბითაც მეორეხარისხოვან მწერლად მიიჩნევდნენ.¹

1941 წელს გამოქვეყნებულ პოს ბიოგრაფიაში არტურ ქუინმა დაასაბუთა, რომ გრისუოლდის ბრალდებები პოს წინააღმდეგ აბსოლუტურად უსაფუძვლო იყო.² მიუხედავად ამისა, პოს ძველი იმიჯი ურყევი რჩებოდა. კრიტიკოსთა უმრავლესობა კვლავაც იმ აზრზე იდგა, რომ პოს მდარე ნაწარმოებების ავტორი იყო: "...his tales are sick, or best little more than a tissue of cleverly wrought impressionistic effects – of horror, fear, melancholy, disgust, or analytic ability".³

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში დამკვიდრდა მითი, რომ პოს ზეგავლენა არ მოუხდენია იმ ამერიკელ მწერლებზე, რომლებიც ამერიკული ლიტერატურის მაგისტრალურ ხაზს თუ ნაკადს მიეკუთვნებიან (mainstream writers), რასაც იმით ხსნიდნენ, რომ პოს შემოქმედება მეტისმეტად პირქუში (too dark-side) იყო. XX საუკუნის II ნახევარში სურათი რადიკალურად შეიცვალა.⁴ თავდაპირველად ფრანგული კულტურის გავლენის მქონე მწერლებმა - ამბროს ბირსმა, რობერტ

ჩემბერსმა და ლავკრაფტის სკოლის წარმომადგენლებმა გამოხატეს ინტერესი პოს შემოქმედების მიმართ, თუმცა ეს ჯერ კიდევ ზღვაში წვეთი იყო. აშშ-ში პოს რეპუტაციის გამოსწორების საქმეში, ჩემი აზრით, გარკვეული როლი ითამაშა ტ. ს. ელიოტის, როგორც კრიტიკოსის, ავტორიტეტმა (მხედველობაში მაქვს ელიოტის ცნობილი ესეი „აოდან ვალერიმდე“ (1949)), სადაც ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს პოს როგორც ინტელექტუალს, მოაზროვნესა და პირველხარისხოვან ლიტერატურის კრიტიკოსს, თუმცა აკრიტიკებს მას როგორც პოეტს⁵).

1951 წელს ალენ ტეიტმა ბოსტონის კოლეჯში წაკითხულ ლექციაში განაცხადა დაასლოებით იგივე, რაც დ. ჰ. ლორენსმა ჯერ კიდევ 1923 წელს აღნიშნა ესეების კრებულში „ესეები კლასიკური ამერიკული ლიტერატურის შესახებ“ (Studies in Classic American Literature): „პო დაინტერესებული იყო არა ინდივიდუალთა და ბუნებით, არამედ ადამიანის სულის დეზინტეგრაციის პროცესით.“⁶ ალენ ტეიტიც მიიჩნევდა, რომ პომ აღჰოაჩინა თანამედროვე ლიტერატურის მთავარი თემა - პიროვნების დეზინტეგრაცია, რითაც იგი თანამედროვე ლიტერატურაზე გარდამავალ ფიგურად მოგვევლინა („...the transitional figure in modern literature because he discovered our great subject, the disintegration of personality“). ალბათ, ალენ ტეიტის ავტორიტეტმა და ამ ზუსტმა ფორმულირებამაც შეუწყო ხელი იმის აღიარებას, რომ რომანტიკული „ფანტაზიები“, უჩვეულო, პარანორმალური მოვლენები, ნარცისული გმირები, პირქუში ფონი პოს „საშინელებათა“ ნოველებში არ არის უბრალოდ იაფფასიანი ეფექტების მისაღწევად გამიზნული „გოთური“ ელემენტები, თავად ეს ნოველები კი - „გოთური“ ეპოსის მდარე ნაწარმოებები. ლიტერატურულმა კრიტიკამ პოს „გოთურ“ პროზაში აღმოაჩინა ფარული შრეები და პლასტები, რომლებიც ოსტატურად იყო დამალული დახვეწილი ფასადის მიღმა.

50-იანი წლებიდან ე. პოს შესახებ შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურაში დომინანტურ ტენდენციად ფსიქოანალიტიკური მიდგომა იქცა. შესაბამისად, პოს შემოქმედების შესწავლაც იუნგისა და ნაწილობრივ ფროიდის თეორიების შუქზე წარიმართა.⁷ ფსიქოანალიტიკურ ლიტერატურულ კრიტიკას უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის პოს შემოქმედების ახლებური გააზრების საქმეში, მაგრამ ამგვარი მიდგომის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ იგი არ იძლევა მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულების შეფასების საშუალებას. შესაბამისად, იმ შრომებში, რომლებშიც კვლევის მეთოდი ფსიქოანალიტიკურ მიდგომას უკავშირდება, ნებით თუ უნებლიეთ პოს შემოქმედებასთან მხატვრული თვალსაზრისით გათანაბრებულია ზოგიერთი თანამედროვე, არც თუ მეორეხარისხოვანი, მაგრამ პოსთან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი მწერლების შემოქმედება.

ფსიქოანალიტიკურ მიდგომას პოს შემოქმედების მიმართ ლიტერატურულ

კრიტიკაში ჯერაც არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები, რასაც თუნდაც ბოლო დროს შექმნილი საინტერესო გამოკვლევებიც მოწმობს, თუმცა ისიც უდავოა, რომ უკანასკნელ ათწლეულებში ფსიქოანალიტიკური მიდგომა ჩრდილში მოექცა. თანდათანობით დაიშვრა ის მითი, რომ პოს საშინელებათა ნოველების პირქვეშ, შავბნელ სამყაროში ადგილი არ რჩება იუმორის, ირონიისა და არასერიოზულობისათვის, მკითხველთან თამაშისათვის. არაერთმა მკვლევარმა ცხადყო, რომ პოს მიმართება „გოთური“ რომანის ტრადიციისადმი რთული და ამბივალენტური იყო,⁸ მისი მხატვრული პერსექუცია კი - გაცილებით უფრო ფართო და მრავლისმომცველი, ვიდრე ეს აქამდე ვგანათ; უფრო მეტიც, მსვრევა დაიწყო ლიტერატურულ კრიტიკაში დამკვიდრებულმა კლიშემ „გოთიკით“, „გოთური“ ლიტერატურით პოს გატაცების შესახებ; გამოითქვა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც პოს შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია არა „პოზიტიური“ (“Positive Gothicism”), არამედ „ნეგატიური გოტიციზმი“ (“Negative Gothicism”) - „გოთური“ რომანის მოტივებისა და აქსესუარების გამოყენება მათი კრიტიკისა და სარკასტული დაცინვის მიზნით.⁹ ამ პოზიციას კონცეპტუალურად გამოხატავს და უკიდურესობამდე ავითარებს გ. რ. ტომპსონი ნაშრომში “Poe’s Flawed Gothic: Absurdist Techniques in Metzengerstein and the Courier Satires”. მკვლევარის აზრით, პო „გოთურ“ ელემენტებს მათი პაროდირების მიზნით იყენებს და ამავე დროს მკითხველს შეცდომაში შეყვანის სტრატეგიას მიმართავს: მწერალი ასერსებს, დაჯეროს მკითხველი, რომ იგი „გოთურ“ ნოველას (“Gothic” Tale) კითხულობს, როცა სინამდვილეში მის წინაშეა „გოთური“ ლიტერატურის წინააღმდეგ მიმართული სატირული ნაწარმოები. ტომპსონი კიდევ უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ პომ კარიერა დაიწყო როგორც სატირიკოსმა და იგი ბოლომდე სატირიკოსად დარჩა. ერთადერთი რეალური ცვლილება მის შემოქმედებით კარიერაში ის იყო, რომ გაიზარდა ფილოსოფიური და მხატვრული ირონიის სვედრითი წილი: “Poe began his career as a satirist, and he remained a satirist to the end of his career. The only real shift was his increased philosophical and artistic irony”.¹⁰ ტომპსონის მიხედვით, პოს შემოქმედების კომიკური ასპექტი მხოლოდ უკანასკნელ 15 თუ 20 წელიწადში გახდა მნიშვნელოვანი მისი „გოთური“ ნოველების ადეკვატური წაკითხვისათვის. მისივე აზრით, დროა ტრადიციულმა შებენილებამ პოზე, როგორც რომანტიკულ სენტიმენტალისტსა და „გოთური“ რომანის ტრადიციის გამგრძელებელზე, ადგილი დაუთმოს უფრო მყარ და კარგად არგუმენტირებულ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც პო ეგზისტენციალისტი, აბსურდისტი და ირონიული მწერალია.¹¹ ძნელია ბოლომდე დაეთანხმო ტომპსონის დებულებებს: რამდენადმე გადაჭარბებულად მიმანია მისი მოსაზრება, რომ პო მთელი კარიერის მანძილზე სატირიკოსად რჩებოდა; ცხადია, შეუძლებელია მისი შემოქმედების

სატირული ასპექტის უარყოფა, თუმცა, ჩემი აზრით, სადავოა სატირის გამოცხადება მისი მხატვრული პროზის დომინანტურ ტენდენციად; პოსათვის თუ უფრო მეტად არა, ნაკლებად მნიშვნელოვანი ნამდვილად არ არის მისტიკა, „მისტიკური“, თუნდაც როგორც ლიტერატურული ხერხი თუ ტექნიკა, რომელიც გამიზნულია თხრობაში მკითხველის ღრმად ჩასართავად. გარდა ამისა, არც იმ ფაქტის ცალსახად უარყოფა შეიძლება, რომ პო პაროდირების გარეშე იყენებს და გარდაქმნის „გოთური“ რომანის ზოგიერთ ტრადიციას თუ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებას. პოს „გოტიციზმი“, როგორც ჩანს, ძირითადად მართლაც ნევატიურია, თუმცა მწერლის მიერ „გოთური“ ელემენტების გამოყენების დაყვანა მხოლოდ პაროდიასა თუ სატირაზე, რასაც ტომპსონი ცდილობს, საკითხის გამართლება და გალარობება იქნებოდა, ვინაიდან პოს „გოტიციზმი“ ამბივალენტური და კომპლექსურია. პოს ნოველებში ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პერსონაჟის ფსიქიკის ბნელი სფეროების მხატვრულ ინტერპრეტაციას, თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ პოს „გოთური“ ნოველების მხატვრული სამყარო არ შემოიფარგლება „მისტიკით“, „გოთიკით“ თუ ადამიანის ფსიქიკის ქვეცნობიერი სიღრმეების გამოხატვით. თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაში ძველი ფსიქოანალიტიკური მიდგომა შეცვალა კონცეფციამ, რომლის მიხედვითაც პო „განზე გამდგარი, განაპირებული, ინტელექტუალი ხელოვანია“, თუმცა ასევე გამოიკვეთა ამ ორი მიდგომის კომბინირების ტენდენციაც. ბოლოდროინდელ გამოკვლევებში აქცენტი გადატანილია იუმორის, გროტესკის, ბურლესკის, კომიკურ-სატირული ასპექტის კვლევაზე პოს „საშინელებათა“ ნოველებში,¹² მისი მხატვრული მეთოდის უმთავრეს ნიშნებად კი მიიჩნევენ „გოთურისა“ და „კომიკურის“, რეალურისა და ფანტასმაგორიულის სინთეზს და, შესაბამისად, გროტესკულობას, კონკრეტული დეტალის რეალურობას და მთლიანი, ტოტალური შთაბეჭდილების არარეალურ ხასიათს, „ღია“ და „დახურული“ სიმბოლოების კომბინირებას, წარმოსახვითისა და რეალურის აღრევას.¹³ ბუნებრივია, პოს „საშინელებათა“ პროზის ახალი, მანამდე უცნობი შრეებისა თუ ასპექტების, მისი მხატვრული პერსპექტივის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების აღმოჩენამ¹⁴ განსაზღვრა ის ფაქტი, რომ გაფართოვდა XX საუკუნის ამერიკულ პროზაზე პოს ზეგავლენის შესწავლის დიაპაზონიც.

თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურულ კრიტიკაში ანალიზის ობიექტად იქცა XX საუკუნის ისეთი მწერლების მიმართება ედგარ პოს შემოქმედებისადმი, როგორიცაა ჰ. ჯეიმსი, შ. ანდერსონი, უ. ფოლკნერი, თ. მანი, ხ. ლ. ბორხესი, კ. აბე, ს. ჰედაიათი, ჯ. ბართი, ტ. პინჩონი და სხვ. ერთი სიტყვით, ლიტერატურის კრიტიკოსები პოს შემოქმედებას ხშირად XX საუკუნის ლიტერატურასთან მიმართებაში სწავლობენ; ანალიზებენ მისი ნოველების პოეტიკის იმ ნიშან-თვისებებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ XX საუკუნის

ამერიკული პროზის ზოგიერთი ტენდენციის სპეციფიკის განსაზღვრისათვის, ხაზს უსვამენ იმ მხატვრულ სიახლეებს, რომლებიც პომ დაამკვიდრა ნოველის ჟანრში. ერთი სიტყვით, საბოლოოდ იმსხვრევა ის მითი, რომ პო არ მიეკუთვნება ამერიკული ლიტერატურის მაგისტრალური გეზის გამსაზღვრელ მწერალთა რიცხვს. დღესდღეობით აღარაინ დაგობს, რომ ედგარ პო ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული და თვითმყოფადი ფიგურაა ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ P. Quinn, *The French Face of E. A. Poe*, Carbondale, 1957, p. 18.
- ² A. Quinn, *E. A. Poe: A Critical Biography*. NY, 1941.
- ³ *Ibid*, p.39.
- ⁴ თუმცა კ. რიშარი მიიჩნევს, რომ მრავალი ამერიკელი კრიტიკოსისათვის პო დღესაც წარსულს ეკუთვნის, ევროპაში კი, განსაკუთრებით საფრანგეთში, პო „ცოცხალი“ ავტორია (იხ. C. Richard, *Poe Studies in Europe: France. Poe Newsletter*. Vol. II, NO. 1, January, 1969.). ცხადია, აქ რიშარი აჭარბებს: ამერიკაში პოს რეპუტაციის გამოსწორებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აშშ-ში გამოდის არაერთი სამეცნიერო ყოველწლიური ჟურნალი (*Mississippi Quarterly, Poe Messenger, Poe Studies*), რომელიც პოს შემოქმედების სხვადასხვა ასპექტს იკვლევს.
- ⁵ T. S. Eliot, *From Poe to Valéry*. In: *To Criticize the Critic*. New York, 1965.
- ⁶ დ. ჰ. ლორენსი, ესეები კლასიკური ამერიკული ლიტერატურის შესახებ. თბილისი, 2004, გვ. 1
- ⁷ R. Benton, *Love and Idea of Madness in Poe's Fiction*. Poe Society of Baltimore, 1978; R. Cadding, *Poe: Rituals of Life and Death*. In: *American Horror Fiction*, 1989; M. Estern, *Horrors Within and Without: A Psychoanalytic Study of E. A. Poe and H. P. Lovecraft*. DAI, 39, 1978; D. Grantz, *Perversity, Poe's Primal Impulse as Illustrated in "The Black Cat" and Other Talcs*. Poe Decoder, 1963.
- ⁸ R. Hume, *Levy on the Gothic Novel*. *Poe Studies*, vol. IV, no. 2, December 1971; C. Richard, *Poe Studies in Europe: France. Poe Newsletter*. Vol. II, NO. 1, January, 1969; D. Ross, *The Grotesque: A Speculation*. Poe Studies, vol. IV, no.1, June, 1971.
- ⁹ C. Richard, *Op.cit* 1969, p. 20-23.
- ¹⁰ G. Thompson, *Poe's Flawed Gothic: Absurdist Techniques in Metzengerstein and the Courier Satires*. In: Benton R. (ed.), *New Approaches to Poe*. A Symposium. Hartford, 1970, p. 50.
- ¹¹ *Ibid*, p. 38.
- ¹² J. Justus, *Poe's Cosmic Vision and Southwestern Humor*. *Poe Studies*, 1997; Lewis P., *Poe's Humor: A Psychological Analysis*. SSF 26, 1989; C. Richard,

The Tales of the Folio Club and the Vocation of E. A. Poe as Humorist. UMSF, n. s. 1989; M. Tribe, The Scornful Grin: A Study of Poesque Humor. Poe Studies, vol. IV, no. 2, December, 1971.

- ¹³ D. Ross, Op.cit; R. Wilbur, The House of Poe. In: Poe: A Collection of Critical Essays. Englewood Cliffs, NY, 1967.

TAMAR CHEISHVILI

Akaki Tsereteli State University, Teacher

SUMMARY

PERCEPTION OF E.A. POE'S "GOTHIC" TALES IN AMERICAN LITERARY CRITICISM

The article deals with some aspects of the history of Poe criticism; in particular, it is focused on the analysis of various periods in the critical perception of Poe's Gothic tales. An attempt has been made in it to retrace radical shift in Poe criticism from total "negativism" up to present day critical acclaim. It is stated that recent Poe scholarship stresses the rational, grotesque and satiric elements in Poe. Only within the last fifteen to twenty years has the comic side of Poe come to seem in any way important for an adequate reading of his Gothic works. Critics have begun to acknowledge the importance of the narrator as character in Poe's tales and to suspect that even his most famous Gothic works have ironic double and triple perspectives playing upon them. Defending Poe's "too horrible grotesquerie" from unjust accusations critics argue that Poe evidently conceived of the term grotesque as "a genre allied primarily with the ludicrous and the ironic, but curiously fusing these comic qualities with the sinister. From this perspective, it is not too difficult to see that even in Poe's allegedly "serious" tales, e. g. "The Black Cat", "Ligeia", "The Cask of Amontillado", "The Fall of the House of Usher", and "The Pit and the Pendulum", there is likely to be an undercurrent of unexpressed mockery that is either at cross purposes with, or a counterpart to, the apparent meaning or intent of the surface plot.

It is time, however, for the traditional conception of Poe as Romantic sentimentalist and "Gothicist" to give way to a more firmly grounded and balanced conception of Poe as a detached and ironic writer. The tradition of critical clichés about Poe's "Gothicism" is crushing. Poe's references to the Gothic novel reveal nothing but distaste for that literary genre. There is ample proof of Poe's antipathy for the tricks and excesses of Gothic novelists. Poe did use the motifs of the Gothic tradition, but his critical intentions, his sarcastic ridiculing of the Gothic

hero reveal different aims and Poe's relationship with the Gothic tradition may be situated on a radically different plane. We might call it "negative" rather than "positive Gothicism". Most of Poe's "Gothic" tales are examples of his extraordinary versatility in combining amusing and horrifying elements with seemingly matter-of-fact detail.

This very technique of combining mutually exclusive and contradictory elements (Gothic and comic, imaginary/phantasmagorical and real, ironic and sinister), multidimensional, purely Poesque grotesque, the refusal of closure as well as Poe's mastery of creating the so-called "implied reader" played an essential role in the development of certain narrative strategies and devices in American modernist fiction. Thus, the myth that Poe had no influence on mainstream American writers has been crushed.

**ქართულ-ამერიკული
ურთიერთობები
GEORGIAN-AMERICAN
RELATIONS**

AMERICAN EXAMINATION SYSTEMS IN ENGLISH AND GEORGIAN REALITY

Nobody is arguing these days about the need of knowing the English language in the modern world. Modern international business, politics, communications, media, new technologies can not operate without this language. Our country is more and more actively becoming involved in global processes, and, therefore, everybody is striving for learning English. Different language courses, schools, higher educational institutions are being established to meet the growing need. However, the best way to master the language is to learn it in the country where it is a native language.

In the last decade hundreds and thousands of Georgian students got admission to British and American universities by participating in local or international competitions. The number of young fellows who want and have the means of studying abroad is growing considerably. This requires excellent knowledge of English and passing language tests. Scores obtained will enable the students to enter respective universities and institutions.

Almost all of us have tried to learn the English language either at school, institute or different language courses. But, what about the result? Pick up any English newspaper and try to read at least one article or think of the feeling you had when, say, a foreigner asked you something in English and you had to not only understand the question but also to respond with more than "yes" or "no". Of course, first of all, we have to blame ourselves for not knowing the language. However, in most cases, low quality of learning and not enough conditions are also the reasons. Besides, your learning environment does not very much contribute to the development of your language skills. The language lesson is over and the process of active learning of the language is over too, at least, until the next lesson. This all is revealed later, when it comes to continuing studies abroad, for this purpose taking the test of English and getting the required score.

To complete graduate study in the United States successfully, you will need to be able to read, write and communicate orally in English with a high degree of proficiency. English language proficiency also helps students to achieve their academic and personal goals while in the United States.

To determine the level of language proficiency, students need to take the TOEFL test. As with many areas of US education, each institution sets its own English language admission standards. Some institutions accept English language examination other than TOEFL. Even if you have a good basic level of English proficiency and have met the minimum TOEFL requirements for a university, some schools may require you to take courses to improve your mastery of American English, academic or research usage and study skills. Other American exams accepted worldwide are:

SAT – Scholarship Aptitude Test – a mixture of Math and English

GRE – Graduate Record Examination – a mixture of English and Logic

GMAT – Graduate Management Test – Math and English

These tests were designed by American educational services. Admission committees of colleges and universities in Great Britain accept results of these tests. Based on the results, conclusions are made on the ability of applicants to learn at the selected faculty in different foreign educational institutions where English is the medium of instruction.

All the above-mentioned factors place much responsibility on us – the language teachers and, on our behalf, we are ready to help Georgian students to pass exams successfully.

In this article I will dwell on TOEFL only and relate it to the Georgian reality. TOEFL is a very important exam for students of English as a foreign language. TOEFL results have far reaching effects, since they are used as criteria for measuring achievement and predicting future success by a host of authorities: college administration boards, employers and teachers. The test uses a multiple choice and essay format to measure each examinee's ability to understand North American English. Since 1975, the TOEFL which was established in early 1960's, has been divided into 4 sections: listening, structure, reading and writing. The writing section requires the test taker to write an essay. TOEFL is a computer-adaptive test, which means that not all students answer exactly the same questions on the test. Instead, depending on how the students perform on each question, the computer determines whether the level of the next question should be easier or more difficult.

There is no passing or failing score on the test, but 490 (paper-based version) is considered to be about the mean. As a result of these scores, it is possible to say whether or not a candidate is ready to study at 1st degree level in an English-medium university. The total number of questions you answer correctly, together with your score on the essay, form the raw scores for

each section. Raw scores then are converted to a scaled score for each section, which for the computer-based test ranges from 0 to 30. From these a total score is calculated, which ranges between 40 and 300 for the computer-based test. In general, colleges and universities consider a total score of 250 or above to be excellent and a score below 173 to be inadequate. Most institutions require a score of between 213 and 250 (550 and 600 on the paper-based test) for admission to a graduate program.

It needs to be emphasized here that the development of modern life and great demand on taking the TOEFL test, led to its computerization. If before it was paper-based, tests were sent to the US and scored by the computer, now it is possible to take the test at a distance, by the computer and the results respectively are known in a considerably short period of time.

However, it appeared that TOEFL had many drawbacks. One of the first drawbacks is its multiple-choice nature where guesswork plays an important role. This is a well-known feature of all multiple-choice tests and there even exist some formulae for taking it into account. At the lower end of the scale no distinction can be seen between the skillful guesser, who, for instance, selects one letter as the answer to all questions in a section and secures 25 % of the marks available, and the conscientious "plodder" who has used his or her skills to get 25 % on merit. Of course, the counter argument might be that the TOEFL is not meant for students of such low ability in English. Yet, the criticism remains valid that the TOEFL is not a fine measuring instrument and it also serves as a warning to those who might be inclined to use it with any group of students.

If related to the Georgian reality, we will see that Georgian students face considerable difficulties when preparing and taking the test. Firstly, it is due to the fact that the test format is unfamiliar to them. Secondly, it needs to be taken into account that when they were learning English, there were different teaching and learning systems. Some degree of laziness also adds to the problem. However, it appeared that this was not the problem of only Georgians. It has become an issue in the whole world, and, respectively, ETS decided to change the TOEFL format completely in order to relate it to the reality.

The next generation TOEFL test will help individuals demonstrate the English skills needed for success. It will help institutions make better decisions about prospective students' academic readiness for academic coursework. The test will also impact the teaching and learning of English

worldwide. The format of the test is as follows: reading; listening; 10-minute break; Integrated speaking; integrated writing; It focuses more on the ability to communicate and use English and reflect the use of English in a university classroom. The test takes 4 hours. Tasks are integrated: Reading/Listening/Speaking; Listening/Speaking; Reading/Listening/Writing; Scoring: 0-30 for each section; 120 total score. Evaluation is based on topic development and demonstrating understanding. Necessary skills: synthesizing information from more than one source, showing relationship between texts, distinguishing between essential and non-essential information; taking notes on key information; organizing of ideas; speaking clearly in an organized manner.

Thus, it is obvious that both test takers and teachers are confronted with strict requirements for the test. My experience has shown that Georgian test takers face considerable problems in writing and listening as these skills were not developed adequately in schools and universities. They do not know basics of essay and organized writing. But, this can be improved as the world is demanding and there is no way out.

Lastly, let me conclude by saying that acronym TOEFL closely resembles the German word for "devil" (Teufel) and might therefore be loosely translated as "a devil of a test".

ლელა აბღუშელიშვილი

ბრიტანეთის საბჭოს პროექტი ინგლისური სამშეიღობო მიზნებისათვის".
ინგლისური ენის მასწავლებელი / მასწავლებელთა ტრენერი

რეზიუმე

ამერიკული საბავოცლო სისტემები ინგლისურ ენაში

და ქართული რეალობა

წინამდებარე ნაშრომში ავტორი განიხილავს ამერიკულ საგამოცდო სისტემებს ინგლისურ ენაში და მათ ქართულ რეალობას უკავშირებს.

იმისათვის, რომ წარმატებით ისწავლოთ აშშ-ში, ინგლისური ენის ცოდნის საკმაოდ მაღალი დონე გესაჭიროებათ. მის დასადგენად უნდა ჩააბაროთ შემდეგი ამერიკული გამოცდები ინგლისურ ენაში: TOEFL, SAT, GRE, GMAT. შედეგების მიხედვით სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებები საზღვრავენ, შეგიძლიათ თუ არა სწავლის გავრძელება შესაბამის ფაკულტეტზე. ეს ყველაფერი საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს როგორც სტუდენტებს, ისე ენის პედაგოგებს.

ავტორი საუბრობს იმ პრობლემებზე, რომლებიც ქართველ სტუდენტებს გააჩნიათ და იძლევა სასარგებლო რჩევებს.

გახტანზ ამაღლოპალი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სტაინბეკის გიზიტი საქართველოში სსრპ - აშშ ურთიერთობების კონტექსტში

(საქართველოს სსრ მწერალთა კავშირისა და
პოეტ კოლაუ ნადირაძისადმი მიწერილი წერილები)

ცნობილი ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ჯონ სტაინბეკი პირველი ამერიკელი მწერალია, რომელმაც „რკინის ფარდის“ ჩამოშვების შემდეგ, 1947 წელს, იმოგზაურა საბჭოთა კავშირში და 1948 წელს შესანიშნავი ესეების წიგნი - „რუსული დღიური“ გამოცა, რომელშიც ორი ვრცელი თავი მიუძღვნა საქართველოში მოგზაურობას. ამ წიგნში მწერალმა აშკარად გამოხატა თავისი დამოკიდებულება როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი. სწორედ ამის გამო „რუსული დღიური“ საბჭოთა ცენზურის მიერ აკრძალული იყო და მხოლოდ 42 წლის შემდეგ, აერესტროიკის დროს, 1990 წელს, რუსულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა „ჟურნალ ზნამიაში“.¹ ამ თემაზე არსებობს თამაზ ნატროშვილის(სამოთხის ნაცვლად- საქართველოში,² ამერიკელი სტუმრები³) და ცაცა ბენაშვილის(„ჯონ სტაინბეკი საქართველოში“,⁴ თუ საქართველო არ გინახავს“⁵, „ჯონ სტაინბეკის „რუსული დღიური“ საქართველოს შესახებ“⁶) მიერ გამოქვეყნებული საგაზეთო და სამეცნიერო პუბლიკაციები. მაგრამ წინამდებარე სტატიაში აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას არ ვაპირებ.

ამჯერად ჩემი მიზანია, განვიხილო ჯონ სტაინბეკის ორი წერილი, ამერიკელი მწერლის საქართველოში მეორე სტუმრობას რომ ეხება და რომელთაგან ერთი 1964 წლის 15 იანვარს ნიუ-იორკიდანაა გამოგზავნილი თბილისის მწერალთა კავშირისადმი (სტაინბეკი წერს: „...თბილისის და არა საქართველოს მწერალთა კავშირი“) და მეორე, რომლის ადრესატი ცნობილი ქართველი პოეტი, კოლაუ ნადირაძეა. მეორე წერილის რუსული თარგმანი, რომელიც უთარილოა, საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში აღმოვაჩინე. აღნიშნული წერილებიდან მხოლოდ პირველია გამოქვეყნებული და ისიც დიდი ხნის დაგვიანებით. ჩემი აზრით, ამ წერილებში ნათლადაა გადმოცემული ეპოქის სულისკვეთება.

პირველი წერილის შესახებ:

1991 წლის 13 დეკემბერს ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა დარეჯან გაგაშელაშვილის წერილი ჯონ სტიანბეკის მიერ 1964 წლის 15 იანვარს ნიუ-იორკიდან საქართველოს სსრ მწერალთა კავშირისადმი გამოგზავნილ წერილზე. მთელი 27 წლის განმავლობაში, როგორც ჩანს, იგი ცენზურის მიერ იყო ტაბუდადებული. აი, რას წერს ქალბატონი დარეჯანი:

„მისი წასვლიდან (ჯონ სტიანბეკი - ვ. ა.) კარგა ხნის შემდეგ რედაქციაში შემოვიდა მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველი ბატონი იროდიონ ქაჯვარაძე, ნიუ-იორკიდან გამოგზავნილი ჯონ სტიანბეკის წერილი შემოგვიტანა და გვითხრა: ანაბე, იქნებ გაზეთისათვის გამოგადგეთო“. წერილი ჩამოვართვი და თარგმანს დავირდი. იგი სახლში ჩემს დასთან ერთად წავიკითხე და სახელდასელოდ ვთარგმნე-საინტერესოდ გვეჩვენა, გულმა არ მოგვითმინა და წერილი ჩვენს მეგობარს, მთარგმნელ თამარ ერისთავს გადავცანი. მან იგი ჩვეული გულმოდგინებითა და სიზუსტით თარგმნა.

გამოქვეყნების სურვილი სურვილად დარჩა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთმა ლიტერატურაში გაზეთამ" გამოაქვეყნა პატარა ინფორმაცია - „სტიანბეკის წერილი“, სადაც ვკითხულობთ: „მარმან ზაფხულში გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ჯონ სტიანბეკი მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისისა და ერევნის ლიტერატორთა სტუმარი იყო. ამას წინათ საბჭოთა მწერალთა ლენინგრადის განყოფილებაში და სომხეთის მწერალთა კავშირში მოვიდა ჯონ სტიანბეკის წერილები. ვაქვეყნებთ ლენინგრადში გამოგზავნილ წერილს“. იქვე დაბეჭდილია აღნიშნული წერილიც. რაც შეეხება სომხეთში გამოგზავნილ წერილს, ის, როგორც მასსოვს, გამოქვეყნდა თურნალ ინოსტრანსია ლიტერატურაში“.⁷

მართლაც, მეორე სტუმრობასთან დაკავშირებით არსებობს ოფიციალურად გამოქვეყნებული მხოლოდ სამადლობელი წერილები, რომლებიც სტიანბეკმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოუგზავნა ლენინგრადის, კიევის, ერევნისა და თბილისის მწერალთა კავშირებს. ამათგან თვითონ ჯონ სტიანბეკი ერევანში, თბილისსა და კიევში გაგზავნილ წერილებს გამოპოჟფს და ერთ-ერთში, რომელსაც თავის ახლო მეგობარს უგზავნის, ჩვენთვის საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს: „წინასწარ უნდა გაგაფრთხილო, საერთოდ რომ არ გსმენია, ისეთი მალაღმარადოვანი წერილები მივწერე ერევნის, თბილისისა და კიევის მწერალთა კავშირებს. ჩვენს სმენას საკმაოდ უფრს სჭრის, მაგრამ ასეთი სტილი იქ ავითვისე“.⁸ აქვე მინდა ხაზი გავუსვა, ჩემის აზრით, ერთ მნიშვნელოვან გარემოებას - სტიანბეკს აღნიშნული სამადლობელი წერილების გარდა არც უცდია რაიმე გამოქვეყნებინა. როგორც ელენ სტიანბეკი და რობერტ უოლსტენი აღნიშნავენ: „სტიანბეკს სიტყვა ჰქონდა მიცემული რკინის ფარდის მიღმა მოგზაურობის შესახებ სამშობლოში დაბრუნებამდე ოფიციალურად არაფერი გამოქვეყნებინა. სამაგიეროდ, რამდენიმე სამადლობელი წერილი დაწერა...“.⁹ თუმცა, არც შემდეგ უცდია საბჭოთა კავშირში

მეორედ მოგზაურობის შთაბეჭდილებებისათვის თავი მოეყარა და ერთ წიგნად გამოეცა, როგორც ეს პირველი მოგზაურობის შემდეგ „რუსული დღიურების“ გამოქვეყნებით გააკეთა.

არც ჩვენთან, საქართველოში, გაშუქებულა მისი სტუმრობა სათანადოდ. ამ მოვლენას 1963 წლის 3 ნოემბერს მხოლოდ გაზეთი „კომუნისტი“ გამოქმნაურა მოკლე ინფორმაციით¹⁰ და იმავე წლის დეკემბერში ჟურნალ „დროშაში“ (№12) გამოქვეყნდა გულნარა ბახტაძის წერილი - „კალამი, დუდუკი და სალამურები“,¹¹ რომლებიც არ ასახავენ ამ სტუმრობის ნამდვილ მიზანსა და მნიშვნელობას. მთავარი, რასაც ეს ინფორმაცია და წერილი გვატყობინებს, არის ის, თუ როგორ გადასცა ქალაქური მუსიკით აღფრთოვანებულმა ჯონ სტაინბეკმა თავისი ავტოკალაძი მედუდუკე ალექსი ადამაშვილს მისგან ნაჩუქარი სალამურის სანაცვლოდ.

ამერიკელი სტუმრის უშუალო მასპინძლებიც, ცნობილი ქართველი პოეტი, იმ დროს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ირაკლი აბაშიძე და ცნობილი მწერალი და მთარგმნელი, იმ დროს საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფროსი, ვახტანგ ჭელიძე საკმაოდ მოგვიანებით გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნებენ თავიანთ ვრცელ მოგონებებს ამერიკელი მწერლის საქართველოში აღნიშნული სტუმრობის შესახებ, ირაკლი აბაშიძე - 1985 წლის ოქტომბერში,¹² ხოლო ვახტანგ ჭელიძე - 1996 წლის ივნისში.¹³ არცერთი მათგანი ზემონახსენებ წერილს, რომელიც ბატონმა იროდიონ ქაჯვარაძემ გადასცა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ თანამშრომლებს, თავის მოგონებებში არ ახსენებენ, რაც, ერთი შეხედვით ძალიან უცნაურად სჩანს. განსაკუთრებით ეს ბატონ ირაკლი აბაშიძეს ეხება, რომელიც ამ წერილის უშუალო ადრესატი უნდა ყოფილიყო, როგორც მაშინდელი მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჯონ სტაინბეკს მის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამო არ სწყალობდა, რაც მან ქართველ მწერლებთან შეხვედრის დროსაც გამოხატა, მათი სიფრთხილე გასაგები გახდება. სტაინბეკის საქართველოში მეორე სტუმრობის თემას ეხმიანება ცნობილი მწერალი როსტომ ჩხეიძე თავის ესეიში „ფოლკნერის ჩიბუხი“.¹⁴

სტაინბეკის მაშინდელი სტუმრობა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და იგი განხილული უნდა იქნას „ცივი ომის“ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების - სსრკ-სა და აშშ-ს ურთიერთობების კონტექსტში. სტუმრობის მიზანი მართო კულტურული გაცვლითი პროგრამების ფარგლებში არ უნდა განვიხილოთ, მას პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ მწერალი აღნიშნულ ვიზიტს მისი ქვეყნის პრეზიდენტის, ჯონ კენედის თხოვნით ასრულებდა, რასაც თავადაც ადასტურებს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პრეზიდენტ

ლინდონ ჯონსონისადმი მიწერილ წერილში სტაინბეკი აღნიშნავს: პრეზიდენტ კენედის თხოვნით მე და ჩემმა მეუღლემ ვიმოგზაურეთ რკინის ფარდის მიღმა, ვესაუბრეთ მწერლებსა და სტუდენტებს. როგორც არა დიპლომატებს, შესაძლებლობა გექონდა ბევრი ისეთი რამე გვენახა, რაც ჩვეულებრივ მიუწვდომელია. თუ ჩვენს შთაბეჭდილებებს თქვენთვის რაიმე ღირებულება აქვს, მზად ვართ თქვენდა სამსახურად. ზოგიერთი მათგანი არაორთოდოქსულიცაა.⁵ ამ წერილიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ სამადლობელი წერილების გარდა არსებობს მისი საბჭოთა კავშირში მეორედ მოგზაურობის შთაბეჭდილებები, რომლებიც პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონს გადასცა და არ გამოქვეყნებულა. მას პრეზიდენტმა შემდეგი პასუხი გაუგზავნა: თქვენმა წერილმა ნუგეში მომგვარა. იმედი მაქვს ძალიან მალე ერთად დავსხდებით და ჩვენი ქვეყნის შესახებ ვისაუბრებთ.⁶

ამასთან დაკავშირებით არსებობს სინთია ბერკჰედის საინტერესო მოსაზრება: „1963 წელს მწერალმა (ჯონ სტაინბეკმა. ვ. ა.) კულტურული გაცვლითი პროგრამით იმოგზაურა საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში, სადაც, მიუხედავად კგბ-ს მხრიდან გამოუდმებული თვალთვალისა, მაინც შეძლო შესვედრები იმ ადამიანებთან, რომლებიც, სხვა დასავლეთეუროპელების მსგავსად, სტაინბეკს ჯერ კიდევ თავიანთ ფაფორიტად მიიჩნეოდნენ. სტაინბეკმა საკმაო პრობლემები შეუქმნა საბჭოელებს, რადგან, როგორც პრეზიდენტ ჯონ კენედის შეპირდა, ის ბევრს ეცადა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობას შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება მისი წიგნების რუსული გამოცემებისათვის ჰონორარის გაცემის აკრძალვის თაობაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ კენედის მკვლევლობიდან ერთი თვის თავზე დაბრუნებულ სტაინბეკს პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი თეთრ სახლში იწვევს სადილზე, სადაც საფუძველი ეყრება სტაინბეკებისა და ჯონსონების ოჯახების დამეგობრებას. ჯონსონთან მეგობრობასა და მის მიმართ ერთგულებას ვიეტნამის კონფლიქტის გამწვავებამაც მოუწყო გამოცდა.“⁷

საქართველოს მწერალთა კავშირშიც მწვავე შესვედრები ჰქონია სტაინბეკს. ვახტანგ ჭელიძე იგონებს, რომ საუბარი გარეგნულად თითქოს მშვიდობიანად დაწყებულია, მაგრამ მალე გამოკვეთილა მკვეთრი დაპირისპირება. თურმე სტუმარი საყვედურობდა საბჭოთა მწერლებს, რომ ისინი მხარს უჭერდნენ ხელისუფლების ყოველგვარ მოქმედებას, ხოტბას ასხამდნენ მას. მწერლის მოვალეობა კი ის არის, ოპოზიციაში ედგეს მთავრობას, აკრიტიკებდეს ხელისუფლებას, გმობდეს მის შეცდომებს და უსამართლობასო. ჩვენს მწერლებს, განსაკუთრებით კი ბესარიონ ჟღენტსა და დემნა შენგელაიას, არ მიუღიათ ეს შენიშვნა, თუ ბრალდება, და განუცხადებიათ: „მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული ცხოვრების წესისაგან განსხვავებით გასაკრიტიკებელი ჩვენს სისტემას ძალიან ცოტა აქვს, როცა საჭიროა ჩვენ ვაკრიტიკებთ კიდევ ჩვენს ხელისუფლებასო. თუმცა კონკრეტულად არ

დაუსახელებიათ ასეთი კრიტიკის მაგალითები" - ამბობს ვანტანგ ჭელიძე საერთოდ, მაგრად შეუტევიათ ამერიკის პოლიტიკისათვის. ამერიკელ მწერალს არა გაცხარებით, თუმცა საკმაოდ მკაცრად უპასუხნია: "თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ მე ჩემი ხალხი მძულს და ჩემი ქვეყნის მტერი ვარ, რაკი ასე მკაცრად ვაკრიტიკებ და ვგმობ ყოველგვარ უსამართლობასა და შეცდომებს. თქვენ ხელისუფლების სამსახურში ხართ. ჩემს მუშაობაში მთავრობა რატომ უნდა ერეოდეს, მას ჩემთან არაფერი ესაქმებაო". შემდეგ თავი დაუსრია და კეფიდან შუბლამდე ხელით შემოუხაზაყეს: "ეს ტერიტორია ჩემი საკუთრებაა და ამაში ვერაფერს შეგეცილებათ".¹⁸

სტაინბეკის ამ სიტყვების გულწრფელობაში ეჭვი არ შეგვაქვს, იმდენად, რამდენადაც მან თავისი ცხოვრების წესითა და ლიტერატურული მოღვაწეობით დაამტკიცა, რომ ის იყო დამოუკიდებელი შემოქმედი, მაგრამ ამავე დროს, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი, მის სამსახურში იდგა. უფრო მეტიც, უორენ ფრენჩი მოგვითხრობს, რომ, როცა მექსიკის მთავრობამ უარი უთხრა ჰოლივუდის გადამღებ ჯგუფს, სტაინბეკის სცენარის მიხედვით ფილმი გადაეღოთ რევოლუციის ლიდერზე ემილიანო ზაპატაზე, სტაინბეკი შტატებში დაბრუნდა საერთო-სახალხო პოლიტიკური სიტუაციის გართულების გამო, რომელსაც ფარულად თანაუგრძნობდა, მაგრამ გარკვეულ დრომდე ამას საიდუმლოდ ინახავდა. ფრენჩი აღნიშნავს: "მისი (სტაინბეკის. ვ. ა.) მეგობრობა ადლეი სტივენსონთან, ჯონ კენედისთან და განსაკუთრებით ლინდონ ჯონსონთან საყოველთაოდ ცნობილი ხდება. ამ დროისათვის ის მართლაც ჩართული გახლდათ ეროვნულ პოლიტიკაში, თანაც, როგორც სწანს, თავადაც არ ჰქონდა გაცნობიერებული ბოლომდე, რომ უკვე რეგიონალური დონის აღარ იყო და ამ არენაზე მსოფლიო კლასის მოთამაშე ხდებოდა".¹⁹

მიუზღრუნდეთ ჩვენს მთავარ სათქმელს, - წერილებს, რომელთაგან ერთი მწერალთა კავშირისადმი გამოგზავნილი 27 წლის შემდეგ და ისიც მხოლოდ საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის პირველსავე წელს, 1991-ში გამოქვეყნდა, მეორე - კი კოლაუ ნადირაძისადმი მიწერილი დღემდე გამოუქვეყნებელი ინახებოდა პოეტის არქივში. ბუნებრივია, იზადება კითხვა: თუ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკების მწერალთა კავშირებისადმი გაგზავნილი ყველა დანარჩენი წერილი გამოქვეყნდა საკავშირო თუ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, საქართველოში მოსულ წერილებს რატომ ხვდათ ასეთი ბედი?

სტაინბეკის მიერ თბილისში, ერევანსა და კიევში გაგზავნილი სამი წერილის გაცნობის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ თბილისში გამოგზავნილი წერილი სცდება წმინდა საპროტოკოლო-სამადლობელი წერილის ფორმატს. ეს წერილი ეპისტოლური ჟანრის საუკეთესო ნიმუშია, რომელშიც ცნობილი ამერიკელი მწერალი უბრალოდ კი არ ამქდავენებს თავის სიყვარულს, არამედ ცდილობს ეს

სიყვარული დაუმტკიცოს საქართველოსა და ქართველ ხალხს. ამავე დროს, ჩემი აზრით, იგი უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში. მასში პირველად ქარაგმულად, თუმცა საესკით ნათლად, გამჟღავნდა ამერიკის გეგმები საქართველოსთან მომავალი სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ. მხედველობაში მაქვს სტაინბეკის შემდეგი მოსაზრება: - მე ვიცი ისტორიაც და პრეისტორიაც ამ ორ სამყაროს შორის მდებარე ზღურბლისა - როგორ იზიდავდა იგი ყოველი მხრიდან მგლებს, რომლებიც ანთებულნი თვალებით დაეძებდნენ ჯერ კიდევ დაუპყრობელ მიწებს და ისწრაფვოდნენ გამოეცქათ კარები, რათა ამ გასასვლელს დაატარებოდნენ. ჩანს, ეს მოხდება, - და ჩვენც ამაზე გულმხურვალედ რაღას ვინატრებდით, - რომ დროისა და ვითარების წყალობით ყველა მგელი გალიაში დაიმწყდეს და მსოფლიოში ყველა კარი გაიხსნას. ეს ჩემი ლოცვისმაგვარი სურვილია და რომ შემძლებოდა ჩემთვის მისია ამერჩია, სწორედ ამას ავირჩევდი - ხელი შემეწყო მგლების დამწყვდევისა და კარების გახსნისათვის".²⁰

თუ სტაინბეკის ალევორიას გავაგრძელებთ, სწორედ, ამ "მგლების" შიშით ვერ გამოქვეყნდებოდა აღნიშნული წერილები, რადგან ამერიკელი მწერლის მიერ გამოყენებული ალევორია იმდენად გამჭვირვალეა, რომ მისი ამოხსნა არ გაუჭირდებოდათ, მითუმეტეს კგბ-ს ანალიტიკოსებს. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ვახტანგ ჭელიძე თავის მოგონებაში ამ წერილზე არაფერს ამბობს, იგი ადასტურებს იმას, რაც სტაინბეკმა ფიგურალურად აღნიშნა თავის წერილში და რაც, ჩემი აზრით, მთავარი გზავნილია ამ წერილისა. მათ პირადი შეხვედრების დროს ამ საკითხებზე დია და გულახდილი საუბრები ჰქონდათ. შემთხვევითი არ არის, რომ ვახტანგ ჭელიძე თავის მოგონებას ასე ასათაურებს: ამერიკა განსაცდელში არ მიგატოვებთ".

ვახტანგ ჭელიძე აღწერს ამერიკელ მწერალთან იმდროინდელ ერთ-ერთ შეხვედრას, რომლის დროსაც საუბარი კარგა ხანს გაგრძელებულა, გაუხსენებით ჩვენი ხალხის მძიმე წარსული, როგორც ჩანს, ისიც უთქვამთ, რომ გარშემორტყმულნი ვართ მტრულად განწყობილი სახელმწიფოებით. მართალია, იგი ზუსტად ვერ იგონებს, უშუალოდ რასთან დაკავშირებით, თუმცა კარგად ახსოვს სტაინბეკის სიტყვები: ახლა სხვა დროა, სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, დიდი სახელმწიფოები მფარველობას გაუწევენ მცირერიცხოვან ერებს... ამერიკა განსაცდელში არ მიგატოვებთ... ამის იმედი უნდა გქონდეთო..."²¹ მწერალს აქვე გამოუთქვამს დიდი სიმპათიები თავისი ახალგაზრდა პრეზიდენტის მისამართით.

სტაინბეკის წერილთან დაკავშირებით კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე მინდა შევანიშნო თქვენი ყურადღება. კერძოდ, მის შესავალ ნაწილზე, რომელშიც იგი წერს: ძვირფასო მეგობრებო! როდესაც თქვენ დაგზორდით და ჩრდილოეთისაკენ გაეფრინდით, ერთი კეთილშობილური, მაგრამ მიუღწეველი განზრახვა მქონდა

- მინდოდა წერილი მომეწერა სათითაოდ ყველასათვის... უნდა ვაღიარო, და ეს სამარცხვინოდ სულაც არ მიმაწინია, რომ საამისო ძალა არ შემწევს"²² და აღნიშნავს, რაკილა ამის გაკეთება არ შეუძლია, ამიტომ მთელ თბილისს, ყველა თბილისელს ერთად გწერთ წერილსო. ცნობილი, ამერიკელი მწერლის ამ სიტყვებში, ალბათ, ვერავენ ეჭვს ვერ შეიტანდა, რომ არა ერთი გარემოება, რომელიც ცნობილი ქართველი პოეტის კოლაუ ნადირაძის პირად არქივში აღმოჩენილ წერილს ეხება. წერილი მოცულობით დიდი არ არის, ამიტომ მოგვყავს მთლიანად:

«Дорогой друг, после того как моя жена Элани и я вернулись домой после нашего визита к Вам в Тбилиси, Вы и Ваш Великий город все время в наших мыслях.

Как много теплых и восхитительных вещей Ваш город дал нам. Это остаётся у нас в памяти. Конечно, у нас были споры и различные мнения, но они не повлияли на нашу дружбу.

Наши споры убедили меня, что хорошие люди всегда стремятся к одному и тому же.

Как небольшой знак того что я ценю Ваше хорошее отношение, я посылаю Вам экземпляр единственного... что я сделал или сделаю, в этом отношении оно уникальное. То что посылаю может дать немного веселья и немного смеха и это не принесет никакого вреда и я помню, что когда мы были в Тбилиси, мы много смеялись, танцевали и пели.

Мы надеемся, что когда-нибудь Вы нас посетите и мы надеемся, что мы в равной мере сможем отплатить Вам тем же гостеприимством и щедростью, которую Вы так щедро предложили нам. Элани присоединяется ко мне в этих пожеланиях. Желая счастья и здоровья. Ваш друг Джон Стейнбек ».²³

აღნიშნული წერილი ძალიან ბევრ კითხვას ბადებს, რაც ცალკე კვლევის საგანია და რის შესახებაც სხვა ქროს ვისაუბრებთ, მაგრამ ორ მომენტს აქვე მინდა გაეუსვა ხაზი. პირველი, აქ წერილის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკელი მწერალი, შეგნებულად «ცრუობს» კეთილშობილური მიზნებიდან გამომდინარე, და მწერალთა კავშირისადმი გამოუზავნილ წერილში სპეციალურად, ალბათ, «მგლებს» თვალის ასახვევად ამბობს, რომ მხოლოდ ამ ერთ წერილს ვწერ და იმასაც მთელ თბილისს ვუძღვნი, არავის პირადად არ ვწერ, კი მინდა მაგრამ ეს შეუძლებელიაო. და მე არე: რადგან მან, როგორც აღმოჩნდა, პირადი წერილი გამოუგზავნა კოლაუ ნადირაძეს, სავარაუდოა, იგი ასეთ წერილებს სხვებსაც გამოუგზავნიდა.

ჩემი ღრმა რწმენით, აღნიშნულ საკითხებზე კვლევა-ძიების გაგრძელება საშუალებას მოგვცემს აღვადგინოთ ის ურთიერთობები, რაც რეალურად არსებობდა ამერიკელ და ქართველ მწერლებს შორის საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული „ცივი ომის“ პირობებში.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ Журнал «Знамя», §1-26, 1990.
- ² თამაზ ნატროშვილი, «სამოთხის ნაცვლად... საქართველოში», გაზეთი «თბილისი», 1996, 9 ნოემბერი, გვ. 4; 12 ნოემბერი.
- ³ თამაზ ნატროშვილი, «ამერიკელი სტუმრები», გაზეთი «ახალი ეპოქა», 2003, 14-20 მარტი, «ჩვენი მწერლობა», №10 (140).
- ⁴ ცაცა ბენაშვილი, «ჯონ სტაინბეკი საქართველოში», ამერიკის შესწავლის საკითხები II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 358-361.
- ⁵ ცაცა ბენაშვილი, «თუ საქართველო არ გინახავს, გაზეთი «ახალი ეპოქა» 2002, 22-28 ნოემბერი, «ჩვენი მწერლობა», №47 (125).
- ⁶ ცაცა ბენაშვილი, «ჯონ სტაინბეკის «რუსული დღიური» საქართველოს შესახებ: თსუ სიღნაღის ფილიალის შრომები, 2003, IV, გვ. 76-84.
- ⁷ დარეჯან გავაშელაშვილი, «გამოუქვეყნებელი წერილი», გაზეთი «ლიტერატურული საქართველო», 13 დეკემბერი, 1991.
- ⁸ Steinbeck. A Life in Letters. Edited by Elaine Steinbeck and Robert Wallsten. Penguin Books, 1976, p. 788.
- ⁹ Ibid, p. 788.
- ¹⁰ «სტაინბეკის საჩუქარი», გაზეთი «კომუნისტი», 3 ნოემბერი, 1963.
- ¹¹ გულნარა ბახტაძე, «კალამი, დუდუკი და სალამური», ჟურნალი «დროშა», №12, დეკემბერი, 1963.
- ¹² ირაკლი აბაშიძე, «ჯონ სტაინბეკი – ჩვენი სტუმარი», გაზეთი «ლიტერატურული საქართველო», 11 ოქტომბერი, 1985.
- ¹³ ვახტანგ ჭელიძე, «ამერიკა განსაცდელში არ მიგატოვებთ...», გაზეთი «ლიტერატურული საქართველო», 14-21 ივნისი, 1996.
- ¹⁴ როსტომ ჩხეიძე, ფოლკნერის ჩიბუხი, გაზეთი «ლიტერატურული საქართველო», 1985, 27 სექტემბერი.
- ¹⁵ Steinbeck. A Life in Letters, Op. cit., p.788.
- ¹⁶ Ibid, p. 788.
- ¹⁷ Cynthia Burkhead, Student Companion to John Steinbeck. Student Companions to Classic Writers, Greenwood Press, Westport, Connecticut, London, 2002, p.13.
- ¹⁸ ვახტანგი ჭელიძე, «ამერიკა განსაცდელში არ მიგატოვებთ...», გაზეთი «ლიტერატურული საქართველო», 14-21 ივნისი, 1996.

¹⁹ Warren French, University College of Swansea, Wales. Twayne Publishers, an Imprint of Simon & Schuster Macmillan, New York, 1996, p. 61.

²⁰ დარეჯან გავაშელაშვილი, "გამოუქვეყნებელი წერილი", გაზეთი ლიტერატურული საქართველო, 13 დეკემბერი, 1991.

²¹ ვახტანგ ჭელიძე, ამერიკა განსაცდელში არ მიგატოვებთ...", გაზეთი ლიტერატურული საქართველო, 14-21 ივნისი, 1996.

²² დარეჯან გავაშელაშვილი, "გამოუქვეყნებელი წერილი", გაზეთი ლიტერატურული საქართველო, 13 დეკემბერი, 1991.

²³ სსლმ 2873V/41, კ. ნადირაძის არქივი.

VAKHTANG AMAGLOBELI

Akaki Tsreteli State University, Assoc. Prof.

SUMMARY

STEINBEK'S VISIT IN GEORGIA IN THE CONTEXT OF USSR-USA RELATIONS

(Letters to the Writers Union of Georgia and the Poet Kolau Nadiradze)

We can identify the attitude of the American writers towards the Soviet Georgia even from the materials we own. It is quite obvious that they had the right and the unbiased approach towards the processes going on from Georgia's annexation by the Soviet Russia in 1921 to 70-s of the 20th century. It is noteworthy to mention about their attitude concerning the relations between free West and Soviet System representing two opposing ideologies, which as it is known resulted in collapse of the Soviet Union and independence of Georgia. Due to the reasons listed above it seems very essential and interesting to study artistic-aesthetical and world-outlook positions of all American writers who visited Georgia in this very period through analysing their works, impressions and observations. In this way we will be able to make reevaluation of a difficult heritage we inherited from the Soviet Union.

In this terms the non-fiction of the famous American writer, Nobel Prize winner John Steinbeck is very outstanding to be argued, in which his personal attitude towards the processes taking place in Georgia is highlighted. John Steinbeck is a first American writer, who traveled to Georgia after drawing the "Iron Curtain" in 1947 and published wonderful travelogue: *Russian Journal* in 1948, where he devoted two big chapters to his journey in Georgia. This book was forbidden by the Soviet censorship and translated and issued into Russian 42 years later in 1990, after the "Perestroika".

In 1963 John Steinbeck visited the Soviet Union for the second time. The article deals with John Steinbeck's letters: One sent in January 15, 1964 from New York to the Writer's Union of Georgia which was published in Georgian translation in the Newspaper "Literaturuli Sakartvelo" in 1992, 27 years later. The second one was addressed to the Georgian Poet Kolau Nadiradze which was not published till today. The letter I discovered in Russian translation in the private archives of the Poet kept in the Giorgi Leonidze Georgian Literature State Museum.

I believe there should be some other letters sent to other Georgian writers who hosted the famous American writer during his stay in Georgia. The successful research in this direction will help us to restore the real picture of the relations of John Stienbeck and Georgian writers during the "Cold War" period between the USSR and USA.

თინათინ ბიჭოლაშვილი
თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მასწავლებელი

ემილი დიკინსონის შემოქმედების ქართული მთარგმნელები და მკვლევარები

თუ ჩავთვლით, რომ თვითმყოფადი ამერიკული პოეზიის სული უიტმენია, მაშინ დიკინსონი მეორე სულია მასი... უიტმენი და დიკინსონი ერთმანეთს აესებენ, თავიანთი წვლილი შეაქვთ XIX საუკუნის II ნახევრის მსოფლიო პოეზიაში". ეს სიტყვები, ამერიკული ლიტერატურის გამოჩენილ რუს მკვლევარსა და მთარგმნელს ივანე კაშკინს ეკუთვნის.

ემილი დიკინსონის სულის წვდომას არა ერთი პოეტი და მკვლევარი შეეცადა საქართველოში. ამ წერილის მიზანია, ზოგადად მიმოვიხილოთ, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი; ვინ, როდის და როგორ დაიწყო და ვინ აგრძელებს ამერიკელი პოეტი-ქალის შემოქმედებია თარგმნასა და კვლევას. კარგადაა ცნობილი, თუ რა დახვეწილი პოეზია გააჩნია ქართველ ხალხს და როგორი ნატიფი გემოვნებით არის დაჯილდოებული ქართველი მკითხველი. ჩვენს მიერ შესწავლილ გამოცემებში წარმოდგენილი ემილი დიკინსონის პოეზიის ქართული თარგმანები მეტყველებს იმაზე, რომ ქართველთა ინტერესი ამ პოეტისადმი შემთხვევითი არ არის. ვან ვინ ბრუკსი თავის სტატიაში „ემილი დიკინსონი (ფსიქოგრაფია)“ წერს: „მისი ლექსები მასავით კოხტა და პატარა, ღრმა და შინაარსიანია... ემილი დიკინსონის ლექსებს აქვთ განუმეორებელი თვისება და იგი მას ერთადერთს ეკუთვნის მთელი დედამიწის ზურგზე. ემილი დიკინსონმა იცოდა რა არის გამარჯვება, რადგან თვითონ დამარცხდა. იცოდა რა არის სიყვარული, რადგან სამუდამოდ დაკარგა იგი. რაც პირადად აკლდა, იმას პოეტური გრძნობის ძალა უფესებდა და თუ სხვები ბეჭუტადნენ, ემილი დიკინსონი კაშკაშა ალით იწვოდა.“¹ იქნებ ასეთი ინტერესის ერთ-ერთი მიზეზი ზუსტად ეს კაშკაშა ალია.

აქვე ორ მოსაზრებასაც მოვიყვანოთ პოეზიის თარგმნასთან დაკავშირებით: პოეტური ქმნილების სხვა ენაზე თარგმნა შეუძლებელია. ეს ფაქტი დიდი ხანია აღიარებულია, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ეს აზრი მაღალი პროზის მიმართაც სწორი იყოს? - წერდა თავის უნგრულ გამომცემელს თომას მანი.²

ქართველი მთარგმნელი თედო ბექიშვილი წერს: „ყველაზე ცხადად ესენინის ლექსთა თარგმანზე მუშაობისას მივხვდი, რომ ჭეშმარიტი პოეზიის თარგმნა თითქმის შეუძლებელია. მაგრამ ზოგჯერ ჩნდება სურვილი, შეუძლებელთან შეჭიდებისა. პოეზია ხომ სხივივით მიუწვდომელია, იმ სხივივით, რომელიც კიდევ ათბობს და კიდევ ანათებს. როგორ გინდა, რომ თარგმანებს ორივე ეს თვისება

შეუნარჩუნო! თავს იმით ვინუგეშებ - ცხადში დამარცხება ჯობია უიმედო ხელის ჩაქნევას".³

მიუხედავად ასეთი მოსაზრებებისა, ქართველმა მთარგმნელებმა გაბედეს ემილი დიკინსონის პოეზიის ქართული საზოგადოებისათვის გაცნობა.

ემილი დიკინსონის ლექსების პირველი ქართულენოვანი თარგმანები 1971 წელს გამოქვეყნდა წიგნში "ამერიკელი პოეტები". მთარგმნელი ზვიად გამსახურდია იყო. ზემოთ აღნიშნულ კრებულში პოეტი ქალის ორი ლექსია წარმოდგენილი "გაზაფხულს სჩვევია ნათელი" და ჩიტი გადმოფრინდა ბილიკზე".⁴

წინასიტყვაში ზ. გამსახურდია აღნიშნავს, რომ მიმოხილვას, ცხადია, ინფორმაციული ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე კვლევითი. მონიშნა ძირითადი მაგისტრალური გზები, რომლებითაც მიემართება თანამედროვე ამერიკული პოეზია, ზოგადი შტრიხებით დახასიათებულია ამერიკელი პოეტების მრწამსი, მათი შემოქმედებითი სტილი და მეთოდი. მათი ლექსების ქართული თარგმანები კი, ალბათ, უფრო მეტს იტყვიან ყოველივე ამის შესახებ. ამ ორ ლექსში მთარგმნელმა მართლაც მოახერხა ემილი დიკინსონის უნატიფესი ლირიული სულის ჩვენება:

გაზაფხულს სჩვევია ნათელი,
უჩვევი წლის ყველა დროისთვის,
იგი ბუნებაში გაჩნდება,
მარტი რომ გრიგალებს მოირთავს,

რალაც ფერი ჩნდება უეცრად,
შორეულ ლივლივა ტატნობზე,
იგი სწავლულთათვის უცხოა,
კაცის ბუნებისთვის - საგრძნობი.

იგი გვევლინება მდელოზე,
შორეულ ხეებში გუბდება,
შორეულ აღმართებს ატყვია,
თითქოს კიდევ გვესაუბრება.

მერე ჰორიზონტებს გაჰყვება,
ან შუადღეებში ზავდება,
არც კვალს, არც ფორმულას არ სტოვებს,
ჩვენთვისაც უდროოდ თავდება.

არის დანაკარგი ერთგვარი,
გულის ტკივილი შინაგანი,
თითქოს სოვდაგარმა გაჰყიდა
წმიდათაწმიდა რამ საგანი ...

ამ თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ გადის 10 წელი და 1981 წელს დალი ინწკირველის მიერ ქართულად თარგმნილი ეპილი დიკინსონის ლექსების კრებული გამოდის.

გამორჩეულ მთარგმნელად გვევლინება გიორგი ნიშნიანიძე. 1985 წელს ინგლისური და ამერიკული პოეზიის მცირე ანთოლოგიაში "წარმოდგენილი ეპილი დიკინსონის 32 ლექსის თარგმანი მაღალი პოეტურობით გამოირჩევა. მთარგმნელი წერს: «ორსტროფიან ლექსებში აღწევს საოცარ ფსიქოლოგიურ სიღრმეებს, ყოველდღე იზრდება მისდამი ინტერესი, ზოგი კრიტიკოსი მას ამერიკის ყველაზე ღიდ პოეტად თვლის. ეპილი დიკინსონმა პირველად იხმარა ამერიკულ პოეზიაში ე. წ. პარა-რითმა».⁵

მრავალი სიტყვა ავტორს ასომთავრულითა აქვს გამოყოფილი და აქცენტირებული. ფრაზა დაძაბული, ნერვული და წყვეტილ-წყვეტილია. ბევრ მათგანს აკლია ზმნა. ზოგან გამოტოვებულია რითმაც. ერთობ ხშირად გვევლება ტირე. ყოველივე ამის გამო, მიუხედავად ცდისა, ქართული თარგმანები ორიგინალისაგან განსხვავებით უფრო «ლიტერატურული» გამოვიდა.⁶

ეპილი დიკინსონის პოეზიის არანაკლებ საინტერესო მთარგმნელად გვევლინება ოთარ ჩხეიძე. 1997 წელს მაისში გაზეთში «ლიტერატურული საქართველო» გამოქვეყნდა მის მიერ შესრულებული თარგმანები. წინასიტყვაში მთარგმნელი წერს: «ჩემი ძველი ხელნაწერების გადარჩევისას ალაგ-ალაგ წავაწყდი სხვადასხვა სტროფებსა და ტაეპებსა ეპილი დიკინსონის პოეზიიდანა. გამახსენდა: ერთხანს მაგიდაზე რო მედო მისი ლექსების წიგნი: ვკითხულობდი, ვიზუალებდი, ვთარგმნიდი კიდევაცა შესვენებისა და შეჭირვების ჟამსა, ჩემთვის ვთარგმნიდი, გამოქვეყნება ფიქრად არ მომსვლია; წავაწყდი, ამოვკრიფე, დავალაგე და ეს ჭიაც შემინდა, ჭიამ გამოქვეყნებისა. რატომ თუ შემინდა, მეც არ ვიცი, ახსნას არც ვაპირებ. რატომაო, რო ვამბობ, ვამბობ იმიტომ: ეპილი დიკინსონი ჩვენში უცნობი ავტორი რო არ არის. თარგმნიდნენ და კარგადაცა თარგმნიდნენ. ზვიად გამსახურდია, გიორგი ნიშნიანიძე, დალი ინწკირველი. ...ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა ახალგაზრდა საიმედო პოეტი ქალის ლელა სამნიაშვილის თარგმანებიცა დიკინსონის პოეზიიდანა. უცნობი არ არის დიკინსონი, რალა თქმა უნდა. სხვა ამერიკელ პოეტებზე უკეთ ნაცნობი მაინც არის ჩვენში.

ჩემი თარგმანის გამოქვეყნება მაინც გადაეწყვიტე, ერთხელ კიდევ რომ გაეიხსენოთ ეს მშვენიერი პოეტი ამერიკელებისა. სხვა არა იყოს არა, - უკვე რომ აღარ ჩავაბრუნებდი უკანვე ჩემს ძველ ხელნაწერებში».⁷

ამ წინასიტყვაობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია, თუ როგორ აფასებს უმცროსი თაობის მთარგმნელების დამსახურებას და გზას ულოცავს ახალგაზრდა საიმედო პოეტსა და მთარგმნელს უფროსი მეგობარი ოთარ ჩხეიძე.

ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“ 2005 წლის ივლისის ნომერში ოთარ ჩხეიძეს 85 წლისთავს აღნიშნავს და წერს: ასეთი ქართულით მხოლოდ ბატონი ოთარ ჩხეიძე გვანებიერებს. მის წერის მანერას, სიტყვათწყობას, ესოდენ გამორჩეულსა და ღონიერს, თამამად შეიძლება ვუწოდოთ ქართული ენის სამოთხე.⁸

ზემოთ წარმოდგენილი მთარგმნელები და მათი შემოქმედება კარგადაა ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის, მაგრამ ქართველი მკითხველისათვის ემილი დიკინსონის პოეტური მემკვიდრეობის გაცნობაა არაერთმა ნიჭიერმა მთარგმნელმა შეუწყო ხელი და დღესაც აქტიურად გრძელდება ეს საქმიანობა. ამ თვალსაზრისით აუცილებლად აღსანიშნავია მ. კობაიძის, ლ. ებრაღიძის, მ. ჯიჯეიშვილის, ნ. გოგოლაშვილის, ზ. რატანის, ნ. ტულუშის, დ. ახალაძის, ლ. სამნიაშვილის, ც. ბენაშვილის მიერ შესრულებული თარგმანები.

2005 წელს კი გამომცემლობამ „დიოგენე“ ემილი დიკინსონის რჩეული ლირიკა გამოსცა ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეს წიგნი ქართველ მთარგმნელთა ერთობლივი ნამუშევარია, რომელსაც დ. ახალაძე უდგას სათავეში. გამომცემა ნათლად მეტყველებს, თუ როგორი მაღალი მთარგმნელობითი კულტურაა საქართველოში.

ჩვენი ნაშრომის მიზანს ამჯერად არ წარმოადგენს ყველა ზემოთ ხსენებული მთარგმნელის შემოქმედების განხილვა. ერთს კი შევეცდებით, მაგალითის სახით წარმოგიდგინოთ ემილი დიკინსონის ლექსის “I’m Nobody, Who are you?” ქართველი მთარგმნელების მიერ შესრულებული ნიმუშები.

“I’m Nobody, Who are you?
Are you – Nobody – too?
Then there’s a pair of us!
Don’t tell! They’d banish us – you know!

How dreary – to be – Somebody!
How public – like a Frog –
To tell your name – the livelong June –
To an admiring Bog!”⁹

ეს ლექსი ემილი დიკინსონმა 1861 წელს დაწერა. პირველად გამოქვეყნებული იყო ჟურნალში “Life” 1891 წლის 5 მაისს. იგი დიკინსონის ერთ-ერთი პროგრამული ლირიული ნაწარმოებია.

ოთარ ჩხეიძის თარგმანში ის ასე უღერს:

მე არაფინ ვარ, შენც არაფინა?
ორნი ვყოფილვართ, ეგეც გვყოფნიდეს.
ოღონდ იცოდე: არსად წამოგცდეს,
არ გაგვაძეონ ამა სოფლიდან.

საშინელია იყო ვიღაცა,
ბრბოში ასტეხო შენ შენი ჩქამი
და ყიყინებდე აღტაცებული
როგორც ბაყაყი თიბათვის ღამით.

გიორგი ნიშნიანიძე თარგმანის ასეთ ნიმუშს გვთავაზობს:

მე ვარ არაფინ, - შენ, ნეტავ, ვინ ხარ? -
ნუთუ შენც დღემდე არაფინ იყავ?
- კეთილი, მაგრამ ნურაფის ვეტყვი, -
ყველა არაფინ იმქვეყნად მიჰყავთ.

ვიყოთ მე და შენ ბედის ანაბრად,
კიდევ კარგი რომ არაფინ არ ვართ -
როგორ აღვილად ავცდით ორივე
აურზაურს და დავიდარაბას...

1992 წლის 12 ივნისს გაზეთმა „ლიტერატურული საქართველო“ ამ ლექსის ორი თარგმანი გამოაქვეყნა: ნინო ტულუშის და მანია ჯიჯეიშვილის. ზემოთ წარმოდგენილი თარგმანების შემდეგ ამ ნიმუშების გაცნობა, ბუნებრივია, ისეთ ძლიერ პოეტურ განცდას ვერ გამოიწვევს, მაგრამ ეს ადამიანები მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამენ.

თარგმანი ნინო ტულუშის:

მე არაფინ ვარ, და შენ ვინა ხარ?
ნუთუ ჩემსავით შენც არაფინ ხარ?
მაშინ ორნი ვართ, პატარა წყვილი
არაფის უთხრა, არის სირცხვილი.

ძნელია ვინმეს წარმოადგენდე

საქვეყნოდ შენს თავს წარმოაჩენდე,
სახელი უთხრა მშვენიერ ივნისს
და კვლავ ჩაეფლო ალტაცებაში.¹⁰

თარგმანი მია ვივივივივილის:

მე არარა ვარ, ნეტავ შენ ვინ ხარ?
თუ არარა ხარ შენც,
ორნი ვყოფილვართ, მართალი გითხრა,
გავუწირივართ ზენას.

ხომ დამღლეღია, რომ იყო ვინმე,
ხაესებს უფარცხნო ხაო,
შენი სახელი, ნასათუთევი,
ამცნო ობიან ჭაობს.¹¹

რატომ მიემართავთ ამ გზას? თარგმანზე მსჯელობისას ყველაზე ხელსაყრელ მასალას ერთი დედნის რამდენიმე თარგმანი იძლევა. ასეთ შემთხვევაში უფრო იოლია ობიექტური დასკვნის გამოტანა, რა შეიძლებოდა თარგმანში ზუსტად გადმოცემულიყო და რა - არა. ასევე სხვადასხვა თარგმანის შედარება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ობიექტურად შესაძლებელი სიზუსტის ფარგლები და შესაბამისად, მიასლოებით მაინც მოვინშნოთ პოეტური თავისუფლების საზღვრები.¹²

აქედან გამომდინარე, ყველა მთარგმნელი ცდილობს ზუსტად მიჰყვეს დედანს, მაგრამ ამასთანავე ისინი პოეტური თავისუფლებითაც გამოირჩევიან. რაც მთავარია, ემილი დიკინსონის ლექსის სისადავე თითქმის დაცულია. ლექსის არქიტექტონიკას, სინტაქსურ წყობას, მუსიკალობას ყველაზე მეტად მაინც გიორგი ნიშინანიძე ერთგულობს და ისიც მხოლოდ, პირველ ნაწილში, ხოლო მეორე კუპლეტი მას თავისუფალი თარგმანის მეშვეობით აქვს შესრულებული. მთლიანად ემიჯნება დიკინსონის ლექსს, მაგრამ ამით სრულიადაც არ ეშვება იმ პოეტური სიმაღლიდან, რასაც მისი თარგმანი მშვენივრად წარმოაჩენს.

ჩვენი ნაშრომის მეორე განსახილველი საკითხია ემილი დიკინსონის შემოქმედების ქართველი მკვლევარების მოღვაწეობა. საინტერესოა, რომ რამდენიმე შემთხვევაში მთარგმნელსა და მკვლევარს ერთი და იგივე პიროვნება წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით დალი ინწკირველსა და ზვიად გამსახურდიას ეხება. დალი ინწკირველის მიერ ჩატარებული კვლევები აისახა მის სტატიებში აპოეტე ქალის გზა¹³ და „ემილი დიკინსონის პოეზია“.¹⁴

ზვიად გამსახურდიამ ნაშრომში „XX საუკუნის ამერიკული პოეზია“ ამომწურავად იმსჯელა ემილი დიკინსონის ადგილზე და მნიშვნელობაზე ამერიკულ პოეზიაში.

საყურადღებოა გიორგი ნიშნაიძის სტატია ამერიკული პოეზია. ემილი დიკინსონი".¹⁵

ემილი დიკინსონის შემოქმედება უპირველეს ყოვლისა, ალბათ, იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იგი თითქმის სრულიად თავისუფალია ყოველგვარი სალონურობისაგან, ესთეტიზმისა და არტისტიზმისაგან; ხიბლის, გართობისა და ფიქციის ექვემდებარებას, ამით იგი ცხოვრებას უფრო ჰგავს, ვიდრე ხელოვნებას. ამ ლექსებს ისევე აკლია ზემოთ ჩამოთვლილი თვალისმომჭრელი სამკაულები", როგორც მათ ავტორს აკლდა ცხოვრებაში უზრუნველყოფა, ნებივრობა, მოცალეობა, კაპრიზი და სხვა ადამიანური ბედნიერებანი. თითოეული ლექსი სიკვდილ-სიცოცხლის, კეთილისა და ბოროტის ჭიდილის ანარეკლია, მათ შემოქმედს არ გააჩნია არავითარი დამცველი, გამანეიტრალებელი თუ თავის მოსატყუებელი საშუალება - იგი პირისპირ ებრძვის ბოროტებასა და ნეგაციას. და სიკვდილი მისთვის არარაობა კი არა, ცნობიერების მომენტია, შემეცნება და განცდა, ანუ არარაობისავე უარყოფა. აქედან მოდის მისი, როგორც ჭიდილში ერთგვარად გამარჯვებულის, უჩვეულო სითამამეც. იმ ჭიდილის სიმძაფრეში ტანჯვა და სიხარული ერთი და იგივეა".¹⁶ ამ ნამუშევარში ძალზე საინტერესოა წარმოდგენილი ავტორის, როგორც მთარგმნელის პოზიცია.

და ბოლოს, ორი ახალგაზრდა მეცნიერის სტატიებს აღვნიშნავდით. ეს არის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის ნატალია ბაღდაძის ემილი დიკინსონი და სიკვდილის ცნება". ეს თემა ემილი დიკინსონის პოეზიაში უმნიშვნელოვანესია და ახალგაზრდა მკვლევარის მიერ მისი გადაწყვეტის პოეტური საშუალებებიც ორიგინალურად არის წარმოდგენილი. მეორე მკვლევარი - ელისო ფანცხავა, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი თავის ნაშრომში ემილი დიკინსონი - სტილის რევილუცია" ძალზე საინტერესოდ იკვლევს პოეტი ქალის პოეზიის ენას, რადგან ეს მართლაც განსაკუთრებული მოვლენაა.¹⁷

ემილი დიკინსონის პოეზიის ქართული მთარგმნელებისა და მკვლევარების თარგმანების შედარების შედეგად კიდევ უფრო მკაფიო ხდება ქართული პოეტური თარგმანის განვითარების ტენდენციები, მთარგმნელების თვითმყოფადობა და გამორჩეული დახვეწილობა, მკვლევარ-მეცნიერთა ინტერესების მრავალფეროვნება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

¹ "ცისკარი", 1977წ, №4, გვ. 142.

² დ. ფანჯიკიძე თარგმანის თეორია და პრაქტიკა", "განათლ.", თბ., 1988, გვ. 30.

³ სერგეი ესენინი - ლექსები, პოემები, თბ., "მერანი", 1985, გვ. 56.

⁴ ამერიკელი პოეტები. თარგმანი ზ. გამსახურდიასი, თბ., 1971, გვ. 24-25.

- ⁵ ინგლისური და ამერიკული პოეზიის მცირე ანთოლოგია, თბ., 1985, გვ. 316.
- ⁶ „საუნჯე“, 1980 წ., №1, გვ. 180.
- ⁷ „ლიტერატურული საქართველო“, 1997 წ., 23-30 მაისი, გვ. 21.
- ⁸ „ლიტერატურული პალიტრა“, №7 (10), ივლისი, 2005, გვ. 2.
- ⁹ Американская поэзия в русских переводах, Москва, «Радуга», 1983, стр. 160.
- ¹⁰ „ლიტერატურული საქართველო“, 1992 წ., 12 ივნისი, გვ. 10.
- ¹¹ Ibid, გვ. 14.
- ¹² დ. ფანჯიკიძე, Op. cit. გვ. 31.
- ¹³ „მნათობი“, 1975 წ., №3, გვ. 180-188.
- ¹⁴ „საუნჯე“, Op. cit., გვ. 333-339.
- ¹⁵ „საუნჯე“, 1974, №3.
- ¹⁶ „საუნჯე“, 1980, №1, გვ. 18.
- ¹⁷ „ამერიკული ლიტერატურა და ქართულ-ამერიკული ლიტერატურული ურთიერთობები“. ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ოქტომბერი 2004 წ., ქუთაისი, გვ. 29-35, გვ. 96-100.

TINATIN BICHOLASHVILI
Telavi State University, Teacher

SUMMARY

GEORGIAN TRANSLATORS AND INVESTIGATORS OF EMILY DICKINSON'S WRITINGS

This work represents the review of literary and scientific analyses done by Georgian Translators and Investigators on the creative works of an American poet Emily Dickinson.

Here are discussed the translations and scientific researches done from the 70-s of the XX century up to today. Great attention is paid to Z.Gamsakhurdia's, G.Nishnianidze's, D. Intskirveli's, O. Chkheidze's, N.Tugushi's, M.Jijeishvili's, L.Samniashvili's, Z.Kobaidze's, L.Ebraldidze's, Z.Ratiani's, D.Akhaladze's, N.Gogilashvili's, E.Pantskhava's and N.Bagdavadze's works and researches.

After comparing the translations, the main tendencies of Georgian poetical translations, individual approach of translators and their variety of interests gets more distinct.

გიორგი ზოციანიძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ჯორჯ კენანი კახეთში მოგზაურობის შესახებ

მოგზაურთა დღიურებში არაერთი საინტერესო ცნობაა დაცული გამოჩენილ ადამიანთა არა მხოლოდ ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, არამედ იმ ქვეყნების წარსულისა და კულტურის შესახებაც, რომლებსაც სტუმრობდნენ და დაკვირვების ობიექტად აქცევდნენ. ასეთი ცნობები ნედლი მასალაა მეცნიერებისათვის, რომელიც სათანადო გადამუშავებისა და კრიტიკული მიდგომის შედეგად პირველხარისხიან მეცნიერულ ღირებულებას იძენს. ასეა ჯორჯ კენანის „კავკასიური დღიურის“ შემთხვევაშიც.

ჯორჯ კენანი საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება არ ყოფილა, მისი გავლენა ცხოვრების ყველა სფეროს არ მისწვდომია. მისი მოღვაწეობის სფერო მხოლოდ რუსეთის იმპერიით შემოიფარგლებოდა, მაგრამ იგი იყო პირველი ამერიკელი, რომელმაც ფეხი დაადგა საქართველოს მიწას, გადაკვეთა გზა კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ესტუმრა კახეთს, მოინახულა თელავი, თბილისი, ქუთაისი, ფოთი და შთაბეჭდილებებით საესე ევროპაზე გავლით დაბრუნდა ამერიკაში. ჯორჯ კენანის საქართველოში მოგზაურობას იმიტომაც აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ იგი იყო რუსეთის პირველი აღიარებული ექსპერტი ამერიკის შეერთებულ შტატებში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში. იგი ამ დიდი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე შთაბეჭდილებებსა და განწყობას უქმნიდა მეორე დიდ ქვეყანას - ამერიკის შეერთებულ შტატებს და ბევრწილად მის დამოკიდებულებასაც განსაზღვრავდა რუსეთის მიმართ.

რუსეთის დიდი პოლიტიკით მოცულმა კენანმა რა კუთხით დაინახა საქართველო და როგორ გადატყდა მისი პოლიტიზირებული გონების პრიზმაში ჩვენი ქვეყანა, განსაკუთრებით საინტერესოა დღეს - საქართველო-რუსეთის გართულებული ურთიერთობების პირობებში, როდესაც ამ ორი ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულების თითოეულ დეტალს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ჯორჯ კენანის წიგნის „კავკასიური დღიურის“ რედაქტორი ფრით მაიერი წერს წინასიტყვაობაში: გასული საუკუნის 90-იან წლებში კავკასიაში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, ჩეჩნეთის ომმა კიდევ ერთხელ საზი გაუსვა ამ რეგიონის მნიშვნელობას მსოფლიოსათვის და იმ ფაქტსაც, რომ რუსეთს, და საერთოდ დასავლეთს, ძნელად ქმით თავისუფლებისმოყვარე კავკასიელი ხალხისა, ჯორჯ კენანი კი კარგად ჩასწვდა მათ შინაგან სამყაროს და ეს არც დაუძალაგს. აი, რას წერს ის XIX საუკუნის კავკასიის მთიელთა ბრძოლაზე: „რა

ძალამ გააძლებინა ჩეჩნებს ამდენ ხანს, რომლებიც ასე საშინლად იტანჯებოდნენ შიმშილით და ვაჭირვებით, იხოცებოდნენ და სასიკვდილოდ გზავნიდნენ შვილებს ბრძოლის ველზე. ეს ძალა იყო მამაცი ადამიანის სიყვარული ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი, რომელიც იბრძოდა საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ღირსებისა და თავისუფლებისათვის.¹

ჩენი ამ საკითხით დაინტერესებაც სწორედ თემის აქტუალობამ განაპირობა. ჯორჯ კენანს წიგნის სახით არასდროს გამოუქვეყნებია კავკასიური ჩანაწერები, თუმცა ხშირად ამუშავებდა მოპოვებულ მასალას და მას საჯარო ლექციებსა და საგაზეთო სტატიებში იყენებდა, რითაც გამოავლინა, რომ იგი სერიოზულად იყო დაინტერესებული კავკასიის შესწავლით. როგორც მისი წიგნის რედაქტორი აღნიშნავს, ეს იყო ამისი ცხოვრების პროექტი.² მართალია, იგი არასოდეს თვლიდა თავს კავკასიის ექსპერტად, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებულმა კავკასიის შესახებ წაიკითხა ყველაფერი, რაზეც კი ხელი მიუწვდებოდა. აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის ამ კუთხის შესახებ არსებული ლიტერატურა ძირითადად რუსულენოვანი იყო და თანაც საკმაოდ მწირი. ასეთ პირობებში მან მოახერხა გამხდარიყო კავკასიის რეგიონის სერიოზული მკვლევარი.

ორიოდე სიტყვა ჯორჯ კენანის შესახებ. იგი დაიბადა ოჰაიოს შტატში 1945 წელს. ბავშობაში ბევრს კითხულობდა წიგნებს მოგზაურობის შესახებ. ოჯახის მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ აიძულა, სკოლა 12 წლის ასაკში მიეტოვებინა. მუშაობა კლევლენისა და ტოლედის რკინიგზის კომპანიაში მიკრიკად დაიწყო. მალე მენეჯერად დაწინაურდა. მოგზაურობის დაუცხრომელი სურვილი ბავშობიდან თან სდევდა. და როდესაც 1864 წელს შეიტყო სატელეფონო ხაზის გაყვანის შესახებ ამერიკიდან ევროპაში, აღარ დაუხანებია და ბერინგის სრუტისა და ციმბირის გავლით რუსეთში გაემგზავრა. ასე მოხვდა კამჩატკისა და ჩუკოტკის ნახევარკუნძულზე. ის აქ ორი წლის განმავლობაში მოგზაურობდა. მართალია, რუსულ-ამერიკული სატელეგრაფო ხაზის გაყვანა ვეღარ მოხერხდა, მაგრამ კენანი მოგზაურობის სენით დაავადდა. პირველი შთაბეჭდილებები ასახა ცნობილ წიგნში „კარვის ცხოვრება ციმბირში“.³ ციმბირიდან ამერიკაში მიმავალმა სანკტ-პეტერბურგში გაიარა, სადაც მამინ ბევრს საუბრობდნენ ახალ რუსულ შეეცარიაზე - დალესტანზე. მისი ნახვის გადაწყვეტილება პეტერბურგშივე მიიღო. ოჰაიოში დაბრუნების შემდეგ, 1868-1869 წლებში ბევრს ფიქრობდა კავკასიაზე. ეძებდა პარტნიორს, ვისთან ერთადაც გამოემგზავრებოდა, მაგრამ რუკაზე არარსებულ ქვეყანაში წასვლის მსურველი ვერ იპოვა. მიუხედავად ამისა, 1870 წლის ივნისში, 600 დოლარით ჯიბეში სანკტ-პეტერბურგისკენ გამოემართა, სადაც ივლისის თვე გაატარა, დაამთავრა თავისი წიგნი ციმბირზე, გაიღრმავა რუსული ენის ცოდნა, შეიძინა წიგნები კავკასიის შესახებ. მისმა გეგმამ კავკასიაში მოგზაურობის შესახებ რუსი მეგობრები შოკში ჩააგდო. ისინი

ცდილობდნენ მის დარწმუნებას, რომ გადაწყვეტილება შეეცვალა, რადგანაც ველურ ქვეყანაში მოგზაურობა სერიოზულ რისკთან იყო დაკავშირებული. როდესაც კენანი მათ დაემშვიდობა, ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ მას უკანასკნელად ხელავედნენ.

კავკასიაში ჩამოსული კენანი დარწმუნდა, რომ არც ისე რომანტიკული იყო ამ მხარეში მოგზაურობა, როგორაც მას სანკტ-პეტერბურგში წარმოედგინა. "თქვენ ვერ იპოვით ამ ადგილებს ვერც ერთ რუკაზე" - წერდა კენანი თავის ოჯახს პეტროვსკოედან (დღევანდელი მახაჩკალა) 1870 წლის 11 სექტემბერს. სირთულეს ქმნიდა ისიც, რომ მის წინამძღოლობას არაფერ იღებდა თავის თავზე. ასეთ გამოწვევალ მდგომარეობაში იყო, როდესაც შეხვედრა მოუწია ქართველ დიდებულთან, რუსეთის იმპერატორის სამსახურში მყოფ თავად გიორგი ჯორჯაძესთან. თავის მოგონებებში ჯორჯ კენანი ასე აღწერს ამ შეხვედრას: "მისაღები ოთახი მოხატული იყო სპარსულ სტილში წითელი და მწვანე ფერსკებით. ოთახში იდგა მოხატულ კოსტუმებში გამოწყობილი ექვსიოდე მთიელი. თავად ჯორჯაძე კი - ქართველი თავადი სპარსულად იყო ჩაცმული... იგი კარგი შესახედლობის, 55 ან 60 წლის ჭაღარა კაცი იყო". იგი შეეცადა კენანი დაერწმუნებინა, რომ გამოუცდელი ახალგაზრდა მთებში სიარულს ვერ შეძლებდა. მაგრამ კენანმა მოუთხრო ციმბირში მოგზაურობის შესახებ და საბოლოოდ ქართველი თავადი აიძულა მას ხლებოდა. "აიღე მძიმე სამგზავრო ფეხსაცმელები, ნაბადი, უნაგირზე გადასაკიდებელი წყვილი ჩანთა და მზად იყავი გასამგზავრებლად" - ამ სიტყვებით დაამთავრა ამერიკელ მოგზაურთან პირველი შეხვედრა ქართველმა თავადმა.⁴ როგორც ჩანს, ამერიკელმა და ქართველმა ერთმანეთს გაუგეს. მართალია, ჯორჯაძე კენანს მიანიშნებდა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, მაგრამ ფაქტია - რომ არ მოსწონებოდა ეს უცნობი ამერიკელი ახალგაზრდა, მას საქართველოში არ ჩამოიყვანდა.

აქამდე მიუვალ ადგილებში ხეტიალის შემდეგ, სადაც ნორმალურად ღამის გათენების საშუალებაც არ ჰქონდა და ფეხები ფანჯრის რაფაზე ელაგა, კენანს საშუალება მიეცა ქართული სტუმართმოყვარეობით ქარგებლა და ფართო თავადურ საწოლში გამოეძინა. ამ ფაქტს ის სიამოვნებით უსვამს ხაზს თავის მოგონებებში: "მე არასდროს მძინებია გახდილს სანკტ-პეტერბურგის დატოვების შემდეგ. ეს იყო მხოლოდ ერთხელ, თავად ჯორჯაძესთან ცხოვრების დროს. სწორედ აქ, ამ ადგილას ვნახე ზეწრები, ბალიშები ბალიშისპირებით და სხვა კომფორტი".⁵ შთამბეჭდავია მისი პირველი შთაბეჭდილებები კახეთის დანახვისას 1870 წლის 30 სექტემბერს. აი, როგორ აღწერს ის ამ სურათს: "ცხენების დასასვენებლად შეჩერდით. თავადმა ჯორჯაძემ, მიმანიშნა რა ღრუბლების დაბლა, მითხრა: იქ მდებარეობს კახეთი და კარგ ამინდში ჩვენ შევძლებდით ალაზნის ველის დანახვას 100 მილის მანძილზე. გონებაში გაკვეთე ღრუბლები და დავეში დაბლა. 600

ნაბიჯითაც არ ვიყავით დაშვებული, ჩვენს ქვემოთ ღრუბლებმა გაფანტვა დაიწყო. ღრუბლების პატარა ჭუჭყრუტანაში გამოჩნდა კახეთის მზიანი მწვანე ველი. როდესაც ღრუბლებში ღრეო თანდათან გაიზარდა, ჩვენს წინ გადაიშალა ყველაზე საუცხოო სურათი, რაც კი ოდესმე მინახავს. შორს ჩვენს ქვემოთ მოჩანდა მზიანი მწვანე ველი, ვერცხლისფერი ძაფების მსგავსი ნაკადულებით დასერილი, ვენახებითა და ბაღებით მოჩითული...⁶

კახეთის ბუნებითა და ქართველი მასპინძლის სტუმართმოყვარეობით მოხიბლულმა ამერიკელმა ფიზიკურად და სულიერად დაისვენა საქართველოს ამ ლამაზ კუთხეში. თავად ჯორჯადის მამულში - ენსელში, გრემსა და საბუეში, სადაც ლეინო წყალივით მოედინებოდა⁷ - სუთი დღე დარჩა. აქ გატარებულ დღეებს სასიამოვნოს უწოდებს და განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ქართული სუფრის სილაზათეს, აღწერს თავად ჯორჯადის სახლს, მის მამულს, გაოცებას გამოთქვამს ამ პატარა ტერიტორიაზე 14 ეკლესიის არსებობის გამო, მათ ციხე-სიმაგრეებს აღარებს, მიტოვებულსა და გავერანებულს. თვითონ ქართველები კი იტალიელებს აგონებს.⁸

ჯორჯ კენანი თავის „კავკასიურ დღიურში“ ზოგადად ესება კავკასიელთა ბუნებას, მათ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, ცხოვრების წესს. გაოცებას გამოთქვამს ზოგიერთი კავკასიელი ტომის უჩვეულო ზნის შესახებ, რაც ვლინდება სისხლის აღების, ქორწინების, ქალის მშობიარობისა და ამ მოვლენისადმი საზოგადოების დამოკიდებულების წესში, ოჯახში მამაკაცის უსზღვრო უფლებებში და სხვ.

1870 წლის 5 ოქტომბერს ჯორჯ კენანი ენსელიდან თბილისში გაემგზავრა, ღამე თელავში გაათენა.⁹ ამ ფაქტის შესახებ კენანი თავის ხარჯების ჩამონათვალში აღნიშნავს და მასპინძლის ვინაობას არ ასახელებს. ვფიქრობთ, მეტი ინფორმაცია იქნება დაცული მის არქივში, რომელიც კონგრესის ბიბლიოთეკაში, ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება. მისი შესწავლა, რა თქმა უნდა, ინტერესმოკლებული არ იქნება.

თბილისში ჩასულს უსიამოვნებანი ელოდა აქაურ ჩინოვნიკთა მხრიდან. მეფის რუსეთის ბიუროკრატიულმა სისტემამ ლამის ათი დღით შეაფერხა მისი ვლადიკავკაზში გამგზავრება. ამ ამბების აღწერას კენანი თავის წიგნში სუთ გვერდს უთმობს, დიპლომატებსაც კი დაწერილობით ვადმოსცემს.¹⁰ მაგრამ ჩვენთვისა და დალესტნის მიწა-წყლის მოვლის შემდეგ, 1870 წლის 19 ნოემბერს დარიალის ხეობით კვლავ თბილისში გამოემგზავრა, საიდანაც ქუთაისის გავლით ფოთში ჩავიდა და 28 ნოემბერს საქართველო გემით დატოვა.¹¹ ასე დასრულდა ამერიკელთა პირველი ოდისეა საქართველოში. „უცნაური, საინტერესო და ლამაზი ქვეყანა“ - ასე შეაფასა ჯორჯ კენანმა საქართველო.¹²

ჯორჯ კენანს იცნობენ ამერიკელები და არა მხოლოდ ამ წიგნით. ვაშინგტონში ფუნქციონირებს მისი სახელობის ინსტიტუტი, რომელიც მისმა შთამომავალმა,

XX საუკუნის ცნობილმა ამერიკელმა, სახელმწიფო მოღვაწემ, ჯორჯ ფროსტ კენანმა 1974 წელს დაარსა.¹

ამრიგად, ჯორჯ კენანი იყო პირველი ამერიკელი, რომელმაც არა მხოლოდ იმოგზაურა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, არამედ საინტერესო მოგონებები შემოგვინახა ამ კუთხის მაცხოვრებელთა ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და ზნე-ხასიათის შესახებ. იგი მოიხიბლა საქართველოს ბუნებით, ქართველთა სტუმართმოყვარეობით და ეკლესია-მონასტრების სიმრავლით. მართალია, მას პოლიტიკური შეხედულებები არ გამოუთქვამს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ და ამ მიმართულებით თავისი პოზიციები არ დაუფიქსირებია, მაგრამ მის დღიურებს ქართული ისტორიოგრაფიისათვის მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ VAGABOND LIFE, THE CAUCASUS JOURNALS OF GEORGE KENAN, edited, with an introduction and afterward, by FRITH MAIER, with contributions by Daniel C. Waugh, UNIVERSITY OF WASHINGTON PRESS, SEATTLE AND LONDON, p. XII.
- ² Ibid, p. XI.
- ³ Ibid, p. 6.
- ⁴ Ibid, p. 123.
- ⁵ Ibid, p. 169.
- ⁶ Ibid, p. 157.
- ⁷ Ibid, p. 42.
- ⁸ Ibid, p. 161
- ⁹ Ibid, p. 45.
- ¹⁰ Ibid, p. 163-169.
- ¹¹ Ibid, p. 45.
- ¹² Ibid, p. 169.
- ¹³ «НАУКА И ЖИЗНЬ», МОСКВА, ИЗДАТЕЛЬСТВО «ПРАВДА», 1986, №5, стр.146.

GIORGI GOTSIRIDZE

Telavi State University, Professor

SUMMARY

GEORGE KENNAN ABOUT THE TRAVELLING IN KAKHETI

George Kennan was the first American who stepped the land of Georgia, took the route from the Caspian to the Black sea, visited Kakheti, stopped in

Telavi, Tbilisi, Kutaisi, Poti and with strong impressions, passing through Europe, returned to his home-land - America. This person not only traveled in Caucasus but also recorded some memories about the customs, traditions and characteristics of this region. He was impressed by the nature of Georgia, hospitality of the people and the great number of churches and cathedrals.

George Kennan was not a well-known person. His influence did not reach all the fields of the life but covered only the sphere of Russian Empire. He was the first recognized Russian expert in the United States at the end of the XIX and the beginning of the XX centuries. He gave the USA an impression about the political life of Russia and was mostly the mediator in the field of relations between these two countries.

Unfortunately, George Kennan did not declare his own political attitude towards Russian-Georgian relations. Consequently no records of his points of view exist nowadays, still his diaries are considered to be quite important for Georgian historiography.

რუსუდან დანუშვილი

ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქართული სტამბა და გამომცემები ამერიკაში

ქართველი ემიგრანტები ამერიკაში პირველად XIX ს. მეორე ნახევარში ჩადიან. XX ს. ემიგრაცია უფრო მასიური გახდა. 1921 წ. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ამერიკაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა რიცხვი პოლიტიკური დევნილებით გაიზარდა. 30-იანი წლების კრიზისმა და დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ბევრი ემიგრანტი აიძულა ევროპიდან ამერიკაში გადასახლებულიყო. 1932 წ. იაპონიის მიერ მანჯურეის ოკუპაციის შემდეგ, იქ მცხოვრებმა ქართველებმაც მიაშურეს ამერიკას. 1931 წ. 1 დეკემბერს პავლე და თამარ კვარაცხელიების, ვანო კობახიძის, ვასო ღუმბაძისა და გიორგი მაჩაბლის ინიციატივით ამერიკაში ქართული სათვისტომო დაარსდა. 1932 წ. 31 იანვარს მისი საზეიმოდ კურთხევის მეორე დღეს იანკერსის გაზეთში დაიბეჭდა ცნობა სათვისტომოს დაარსების ზეიმთან დაკავშირებით და ინფორმაცია საქართველოს შესახებ. სხვადასხვა დროს სათვისტომოს თავმჯდომარეები იყვნენ პავლე კვარაცხელია, ირაკლი ორბელიანი, ვასილ ღუმბაძე, ვანო კობახიძე, გივი ზალდასტანიშვილი და სხვები.¹ მის საქმიანობაში დიდი როლი შეასრულეს: კირილე გურგენიძემ, ასლან ყრუაშვილმა, ნიკოლოზ ამილახვარმა, ლევან (ჯონჯი) და მიხეილ დადიანებმა, ნესტორ ალავეიძემ, ლადო არველაძემ, გრიგოლ დიასამიძემ, ალექსანდრე სულხანიშვილმა, გიორგი გამყრელიძემ, ლეო ღუმბაძემ, ალექსანდრე ჯაყელმა, ალექსანდრე ცომაიამ, დიმიტრი სინჯიკაშვილმა, ვანო ნანუაშვილმა, ძმებმა გალაშვილებმა და სხვებმა.

სათვისტომო ხელს უმართავდა გაჭირვებულებს არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპაში. ეხმარებოდა ახალჩასულებს. 1938 წ. ქართველებმა აისლიპში სახლი შეიძინეს, 1951 წ. მის ნაცვლად ნიუ-იორკში, ჯექსონ ჰეიტში 91 ქუჩაზე შეიძინეს მიწა და ააშენეს ორსართულიანი სახლი, სადაც სტუმოები, შექვედრები და სხვადასხვა ღონისძიებები იმართებოდა. ზეიმებისათვის დიდ დარბაზებს ქირაობდნენ. ნიუ-იორკის საუკეთესო ნაწილში გახსნილ სვიმონ სილამონ-ერისთავის რესტორან „კავკასიის არწივი“ ქართველები და კავკასიელები ხშირად იყრიდნენ თავს და ეროვნულ დღესასწაულებს აღნიშნავდნენ. მდინარე ჰუდონის ნაპირზე, კლოდ-სპრინგის რაიონში, სე. სილამონ-ერისთავმა, გ. მაჩაბელმა და ი. ორბელიანმა დააარსეს დასასვენებელი სახლი „ალავერდი“, რომელსაც ზაფხულობით თავს ქალაქის ხვატს გარიდებული ნიუ-იორკში მცხოვრები კავკასიელები აფარებდნენ. ამ „კავკასიურ წალკოტში“ შედიოდა ორსართულიანი სახლი, სტუმართა მისაღები

და დამხმარე ნაგებობები, ულამაზესი ეზო და ბაღი, საცურაო აუზი და ბოსტანი, სადაც წიწმატი, ტარსუნა და ქინძი ხარობდა.²

დიდ ტალღებად მიაწყდნენ ამერიკას ქართველები II მსოფლიო ომის შემდეგ, მათ შორის ტყვედნაგრძენილი ყოფილი „საბჭოთა ქართველებიც“. ომის შემდეგაც კი ქართული დიასპორა დიდი არ იყო, მისი რიცხვი 1955 წ. 300-ს არ აღემატებოდა, მაგრამ ქართველებმა გარკვეული წვლილი მანაც შეიტანეს ახალი სამშობლოს აყვავებაში. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მინის მრეწველი, მილიონერი ჯორჯ კობი (გრიგოლ კობახიძე), რომელმაც ორი დიდი მინის ქარხანა ააშენა მასაჩუსეტსა და როდაილენდში; საქართველოს ყოფილმა ელჩმა იტალიაში გიორგი მაჩაბელმა ნელსაცხებლების ფირმა „პრინცი მაჩაბელი“ შექმნა. ამ დარგში წარმატებას მიაღწია არჩილ გურიელმაც. ჩინეთში საქართველოს ყოფილი კონსულის, მანჯურიიდან ჩასული ექიმის, ნიკოლოზ ჯიშკარიანის ნერვული და ანემიური დაავადებების სამკურნალო პრეპარატმა „ჰემოდინმა“ ბევრს შეუნარჩუნა სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ამერიკის და კანადის საავიაციო მრეწველობაში სახელი გაითქვა კონსტრუქტორმა მიხეილ გრიგორაშვილმა; გამანადგურებელი „მესდამცემის“ კონსტრუქტორმა, უმსხვილესი ამერიკული საავიაციო კომპანიის „რიპაბლიკის“ ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ქართველიშვილმა. 40-იან წწ. ამერიკაში ბესტსელერად ქცეული, ქართველი ემიგრანტის, სკულპტორ ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილის ავტობიოგრაფიული წიგნის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მიხედვით რეჟისორმა ჯორჯ სიტონმა, კინოვარსკვლავ ხოზე ფარერის მონაწილეობით, 1951 წ. პოლიუდში ფილმი გადაიღო. ქართული სიმღერებისა და ცეკვების მოტივებზე მუსიკა კომპოზიტორმა ვიქტორ იუნგმა დაწერა. ტექნიკური ღირექტორი იყო დიზაინერი ლადო ბაბიშვილი. მონაწილეობდა ქართველი ემიგრანტი ალექსანდრე ფუტკარაძე.

სხვადასხვა დროს სახელი გაითქვეს ამერიკაში მცხოვრებმა ქართველებმა: ქორეოგრაფმა ჯორჯ ბალანჩინმა, ბალერინა თამარ თუმანიშვილმა, პიანისტმა ერეკლე ორბელიანმა, მოქანდაკე ლადო გუჯაბიძემ, მოფარეკავემ და მსახიობმა ანდრო რეხვიაშვილმა, მოჭიდავე კოლა ქვარიანმა, მწერალმა სანდრო ნებლომ (პაპუაშვილი), ისტორიკოსმა თეიმურაზ ბაგრატიონმა, ინჟინრებმა ალექსანდრე გრიგოლაშვილმა, თევდორე ლობჯანიძემ, ქართული ღვინოების პოპულარიზატორმა კალიფორნიაში ვანო კობახიძემ, ექიმებმა შოთა დვალმა, გივი გაბლიანმა და გივი კობახიძემ, დამოუკიდებელი საქართველოს სრულყოფილებიანი ელჩის აკაკი ჩხენკელის შვილმა, რადიო თავისუფლების ამერიკელმა კორესპონდენტმა ალექსი ჩხენკელმა, მისმა ქალიშვილმა, გაეროს შტაბბინის თარჯიმანმა თამარ ჩხენკელმა, მისმა კოლეგამ გაეროში, მთაყარმა მრჩეველმა და თარჯიმანმა მოსე შანიძემ, ნიუ-იორკის ვიცე-მერმა კონსტანტინე სიღამონ-ერისთავმა, გენერალმა ჯონ-მალსაზ შალიკაშვილმა.

ამერიკულ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პროფესორებმა: ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ბიზანტოლოგმა კირილე თუბანიშვილმა, ითაკის კორნელის უნივერსიტეტში აგრეკულტურისა და მცენარეთა დაცვის დარგში პავლე კვარაცხელიამ, იუტას შტატის უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტის გამგემ ვახტანგ ჯობაძემ, პენსილვანიის უნივერსიტეტში ანთროპოლოგმა ალექსანდრე გრიგოლიამ, პრინსტონის უნივერსიტეტში დავით ჯაფარიძემ, კოლუმბიის უნივერსიტეტში გიორგი ნაკაშიძემ, კლიველენდის ქირურგიის ცენტრში გედევან ასათიანმა, ჰარვარდის უნივერსიტეტში აეროდინამიკოსმა და მშენებელმა ოთარ ზალდასტანიშვილმა, რომლის დაპროექტებულია რამდენიმე უმსხვილესი, მათ შორის ბოსტონის აეროპორტი, მაღლივი შენობები არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპასა და აზიაში, ასევე მთელი ქალაქი საუდის არაბეთში, მისმა ძმამ ბიზნქმენმა გივი ზალდასტანიშვილმა და სხვებმა.³

ქართველთა კონსოლიდაციისა და შეკავშირებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ გამოცემებსა და სტამბას.

სტამბის, ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების საჭიროება უფრო II მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა. ომამდე ამერიკელი ქართველები ევროპიდან იღებდნენ მრავალრიცხოვან ქართულ ემიგრანტულ გამოცემებს. ომგადახდელ ევროპაში კი ძნელი იყო საგამომცემლო საქმის ომამდელი მასშტაბების აღდგენა. ამერიკაში ქართული პერიოდიკისა და სტამბის დაარსების საქმეში უფრო აქტიური ტყვედ ჩაეარდნელი და ემიგრაციაში დარჩენილი „საბჭოთა ქართველები“ აღმოჩნდნენ.

პირველი ქართული ბეჭდური ორგანო «თავისუფალი საქართველოს ხმა» (The voice of free Georgia) 1953 წ. გამოვიდა ინგლისურ ენაზე, პირველი ტალღის ემიგრაციის ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ეროვნულ-დემოკრატი ალექსანდრე ცომაიას რედაქტორობით. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ ლ. დუმბაძე, ალ. ჩხენკელი, დ. სინჯიკაშვილი, გ. ზალდასტანიშვილი და სხვები. სულ გამოვიდა 8 ნომერი. ჟურნალის გამოცემა 1957 წ. აღ. ცომაიას გარდაცვალების შემდეგ შეწყდა. ჟურნალში დაბეჭდილია პოლიტიკური, სამეცნიერო, პუბლიცისტური ხასიათის ა. გუგუშვილის, მ. კვიციანიშვილის, ალ. მანველიშვილის, გ. მაღალაშვილის, ნ. ნაკაშიძის, დ. შალიკაშვილის, ს. ჭირაქაძის და სხვათა წერილები საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს 1921 წ. კონსტიტუციის ინგლისური თარგმანის გამოქვეყნება.⁴

ქართულ ენაზე დაბეჭდილი პირველი ჟურნალი «ცნობის ფურცელი», საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს საინფორმაციო ბიულეტენი იყო. თავდაპირველად ამ ორგანიზაციას «ქართველთა დემოკრატიული

კავშირი" ეწოდებოდა. იგი 1952 წ. 5 ოქტომბერს დაარსდა ნიუ-იორკში. ეს იყო უპარტიო, ნებაყოფლობითი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის გამგეობაში მისი დამფუძნებელი 7 წევრი შედიოდა (ალექსანდრე სულხანიშვილი, ივანე ნანუაშვილი, ისიდორე გაეონია, ვახტანგ აბაშიძე, გიორგი ლოლობერიძე, სანდრო ბარათელი, ლადო არველაძე). გივი კობახიძის მიერ შედგენილი წესდების მიხედვით, კავშირის მიზანი იყო ამერიკის საზოგადოებრივი აზრისათვის საქართველოს გაცნობა, ქართველი ხალხისათვის წართმეული დამოუკიდებლობის აღდგენაში დახმარების გაწევა. ორგანიზაციის საქმიანობაში ამერიკელთა ჩასაბმელად იმავე წლის 2 ნოემბერს კავშირს ახალი სახელი «საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო» უწოდეს. გამგეობის პირველ მდივნად არჩეული ი. გაეონია რამდენიმე თვეში ვ. აბაშიძემ შეცვალა, მდივანი იყო გ. კობახიძე, მოლარე - გ. ლოლობერიძე. წესდების პროექტი და მოწოდება დაეგზავნა სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართულ ემიგრაციას, სხვადასხვა ქართულ ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებსა და ცალკეულ პირებს, მათ შორის ნოე ჟორდანიასაც. ორგანიზაციას ფინანსურად ეხმარებოდნენ ამერიკაში მცხოვრები ქართველები და დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი შრომის მინისტრის მოადგილე ილია გოლდმანი.⁵

«ცნობის ფურცელი» 1953 წ. თებერვალში გამოიცა. ეს იყო ორგანიზაციის წევრთათვის საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი და ჰექტოგრაფზე გამრავლებული საინფორმაციო ბიულეტენი (გამოვიდა 6 ნომერი), ხოლო იმავე წლის ივნის-ივლისიდან მას მიემატა ოფიციალური ორგანო «ჩვენი გზა». ორივე გამოცემის რედაქტორი იყო ომის პირველსავე წელს ტყვედნაპარდნილი, ახალგაზრდა ექიმი გივი კობახიძე⁶. სარედაქციო კოლეგიაში მიწვეული იყვნენ: ძველი საზოგადო მოღვაწე, ცნობილი რედაქტორ-გამომცემელი, გაზეთ «თემის» რედაქტორი გრ. დიასამიძე, პ. კვარაცხელია, ლ. არველაძე, ნ. ალაფიძე, ი. გოლდმანი, ვ. ნანუაშვილი. «ცნობის ფურცელის» წერილების უმეტესობა გ. კობახიძის მიერ იყო დაწერილი. ორენოვანი (ინგლისურ-ქართული) ჟურნალ «ჩვენი გზის» 5 ნომერი ნიუ-იორკში 1953-1961 წწ. ჰექტოგრაფზე დაიბეჭდა. «საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო» აქტიური ორგანიზაცია იყო და მჭიდრო კავშირი ჰქონდა აშშ კონგრესთან, რომელიც ჟურნალის ინგლისური ნაწილის ინფორმაციებს სახელმძღვანელოდ იყენებდა. ამ ჟურნალშიც ბევრი სტატიის ავტორია გ. კობახიძე, თუმცა იბეჭდებოდა სარედაქციო კოლეგიის წევრებისა და სხვა ავტორთა წერილებიც (კ. კანდელაკი, გრ. რობაქიძე, ა. პაპაეა).

«ჩვენი გზის» პარალელურად გ. კობახიძემ 1956 წ. გამოსცა საკუთარი დიდი ფორმატის გაზეთის «ქართველი ვრი» ერთადერთი 12 გვერდიანი ნომერი (ქართულ-ინგლისური მოწინავეთი). რუბრიკებში: «ჩვენს სამშობლოში», «საქართველოს ამბები», «ქართველები სხვადასხვა ქვეყნებში», «კრიტიკა და ბიბლიოგრაფია», გივი კობახიძის

გარდა, დაბეჭდილია მიხაკო წერეთლის მოგონება 26 მაისზე, გრიგოლ დიასამიძის წერილი ქართულ თეატრზე და გიორგი გამყრელიძის რეცენზია გრიგოლ აბაშიძის თბილისში 1953 წ. გამოცემულ წიგნზე „ლექსები და პოემები“. იქვე დაბეჭდილია გრ. აბაშიძის ლექსი „შივილი მეცისონენ“.

გამორჩენილი მეცნიერის, პროფესორ მიქელ თარხნიშვილის რჩევით, გ. კობახიძემ გაზეთი სპექტანთან ჟურნალ „კრებულად“ გადააკეთა. იგი ნიუ-იორკში 1957 წ. გამოვიდა და ყოველწლიურ ორგანოდ იყო ჩაფიქრებული. ჟურნალი შთამბეჭდავია როგორც ვიზუალურად, რომლის ყდაზე ნიკორწმინდის ტაძრის შავ-თეთრი ფოტოა დაბეჭდილი, ასევე შინაარსობრივად. გ. კობახიძის მრავალრიცხოვანი მასალების (ლექსი, ნარკვევების, ჩანაწერის, საიუბილეო წერილის, რეცენზიის, მიმოხილვის) გარდა, დაბეჭდილია სხვა, როგორც ემიგრანტთა, ასევე საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ ავტორთა: გ. გამყრელიძის, ლ. ბელიაშვილის, გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, გრ. აბაშიძის, ნ. ნადირაძის ლექსები; თ. და აკ. პაპაევის, გ. კერესელიძის, რ. გაბაშვილის, ირ. ოთხმეზურის, ალ. მანველიშვილის ნარკვევები და გრიგოლ დიასამიძის მოგონება. „კრებულს“ დიდი კმაყოფილებით შეხვდა ქართული ემიგრაცია და მალალი შეფასებაც მისცა, მაგრამ მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა და გ. კობახიძეს შემდეგ საკუთარი ბეჭდვითი ორგანო აღარ ჰქონია.

1955 წ. ნიუ-იორკში ასევე ყოფილმა ტყვემ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა დიმიტრი სინჯიკაშვილმა (შინჯიკელი) ქართული სტამბა დააარსა. შემოიკრიბა თანამოაზრეები და დეკემბერში ნიუ-იორკში დაიბეჭდა გაზეთის „ქართული აზრი“ პირველი ნომერი. ეს იყო ამერიკაში სტამბურად გამოცემული პირველი ქართული გაზეთი. მის დაფუძნებაში რედაქტორთან - დ. სინჯიკაშვილთან ერთად მონაწილეობა მიიღეს გ. გაბლიანმა, ს. კაიშაურმა, გ. ზალდასტანიშვილმა, გ. ლოლუამ და ალ. ცომაიამ. 1974 წ. ოქტომბრამდე სულ 97 ნომერი გამოვიდა და მის ფურცლებზე მრავალი საინტერესო მასალა გამოქვეყნდა. გაზეთის ავტორები, თანამშრომლები და კორესპონდენტები სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები, უმეტესად ეროვნული დემოკრატიის პლატფორმაზე მდგარი ემიგრანტები იყვნენ: გრ. აბულაძე, ლ. არველაძე, დ. ასვლედიანი, მ. ახმეტელი, გ. გაბლიანი, ს. გაბუნია, გ. ვეფხვაძე, ლ. დუმბაძე, დ. ვაჩნაძე, გ. ზალდასტანიშვილი, ო. ზალდასტანიშვილი, რ. ინგილო, შ. კალანდაძე, გ. კვინიტაძე, ი. კუჭუხიძე, გ. ლოლუა, ი. მელია, გ. ნაკაშიძე, ნ. ნაკაშიძე, ა. პაპაევა, თ. პაპაევა, ელ. პატარიძე, ვ. სანგულია, დ. საღირაშვილი, ალ. ცომაია, დ. შალიკაშვილი, ს. ჭირაქაძე, გ. ჯაყელი და სხვები. გაზეთი ვრცელდებოდა ევროპაშიც და მას ემიგრანტები მალალ შეფასებას აძლევდნენ.

დ. სინჯიკაშვილი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის დახმარებით უშვებდა, მაგრამ ძირითად სარედაქციო სამუშაოს თვითონ ასრულებდა. უახლოესი მეგობრისა და

თანამებრძოლის ალ. ცომაიას გარდაცვალების შემდეგ, გაზეთის გამოშვების მთელი სიმძიმე მას დააწვა. სტატიების წერასთან ერთად, მთელი დღე ქარხანაში მძიმე სამუშაოს შემდეგ, გაზეთს ლინოტიპზეც თვითონ აწყობდა და ხშირად ღამეებსაც ათენებდა. იგი ემიგრანტ ნიკო თოფურას სახლში ცხოვრობდა, რომელიც გაზეთის ექსპედიტორი იყო და რითაც შეეძლო ესმარებოდა რედაქტორს.⁷

„ქართული აზრის“ გარდა სინჯიკაშვილის სტამბაში დაიბეჭდა გაზეთი „ქართველი ერი“, უურნალი „კრებული“ და არაერთი ქართული წიგნი.

XX ს. 50-70-ან წლებში ამერიკაში დაარსებული ქართული სტამბის და პერიოდული გამოცემების, უურნალების: „თავისუფალი საქართველოს ხმა“, „ცნობის ფურცელი“, „ჩვენი გზა“, „კრებული“, გაზეთების: „ქართველი ერი“ და „ქართული აზრი“ გამოცემა ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებაში და ქართული ემიგრანტული უურნალისტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი იყო. მათ დიდი როლი შეასრულეს საქართველოს საკითხის გახმაურების, ამერიკული საზოგადოების აზრის ფორმირებისა და ქართული ემიგრაციის კონსოლიდაციაში.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ კვარაცხელია პ., როგორ დაარსდა ქართული სათვისტომო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდა, 1956, გ. კობახიძის პირადი არქივი, ემიგრაციის მუზეუმის ფონდი, გვ. 9-11.
- ² ინასარიძე კ., ქართველები ამერიკის შეერთებულ შტატებში, რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქცია, მიუნხენი, 1970, გვ. 155.
- ³ კობახიძე გ., ქართველები ამერიკის შეერთებულ შტატებში - „ქართველი ერი“, ნიუ-იორკი, 1955-56, №1, გვ. 12.
- ⁴ The voice of free Georgia, 1953, №1, p. 4-6.
- ⁵ მოწინაავე, „ცნობის ფურცელი“, 1953, №1, გვ. 1-3.
- ⁶ შარაძე გ., გივი კობახიძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. II, თბ., 1993, გვ. 225-307; აგრეთვე, ამერიკელი ქართველები თვალის ერთი გადავლებით, თბ., 1992, გვ. 111-224.
- ⁷ თოფურია ნ., „სადაურსა სად წაიყვან“, ნიუ-იორკი-თბილისი, 1998, გვ. 186-7.

SUMMARY

**GEORGIAN PRINTING AND PUBLISHING HOUSES
IN AMERICA**

The article is about printing and publishing houses appurtenant to Georgian emigrants in US in from 50-ies to 70-ies.

Georgian emigrants first came to US in the first half of the XIX century. In XX century this movement became more popular. The number of emigrants rose in 1921 after the occupation of Georgia due to many political refugees and after the World War II due to "soviet Georgian" captives from Europe and Manchuria. In 1931 Georgians formed a community. Its members organized meetings in New York in community's house, Georgian restaurant "Kavkasiuri Artsivi" (Caucasian Eagle) and leisure house "Alaverdi". Georgian printing and publishing houses were of great importance to the community. The first Georgian magazine "The voice of free Georgia" was being published in 1953-57 years under the editorship of Alexander Tsomaia in English (№№ 1-8). First magazine in Georgian language – "Cnobis Purtseli" appeared in 1953. It was an informative bulletin of Georgian political organization "American Council of Restoration of Democracy in Georgia", established in 1952 (№№ 1-6). In the same year an official body "Chveni Gza" (Our way) joined it. Both magazines multiplied on a hectograph were edited by Doctor Givi Kobakhidze. In 1956 he published the first and only edition of the newspaper "Kartveli eri" (Georgian nation), containing 12 pages and leading article in both Georgian and English. Later he published it as a magazine – "Krebuli" (Collection) (№ 1). In 1955 National-democrat Dimitri Sanjikashvili (Shinjikeli) established a printing house and in December printed first Georgian newspaper "Kartuli azri" (Georgian Idea) (1955-75 №№ 1-97). Georgian newspaper "Georgian Nation", magazine "Collection" and many Georgian books were printed in Sanjikashvili's printing-house.

These magazines and newspapers played a significant part in distribution of information about Georgia, forming of public opinion in America and consolidation of Georgian emigrants.

პეტრე მატრიკე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

არჩილ ზოსხეთელი ამერიკის შესახებ (XX ს. 10-იანი წლები)

არჩილ ზოსხეთელსა და მის შთაბეჭდილებებზე ამერიკის შესახებ საუბარი გვექნება ამერიკიდან გამოგზავნილი, ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი, ორი წერილის მიხედვით, რომელთაგან ერთი გამოქვეყნებულია, ხოლო მეორე დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

1908 წლის 26 აპრილს ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ცენტრალურ ორგანოში, გაზეთ „ამირანში“, გამოქვეყნდა „გარდასვენილის წერილი“, რომელსაც ხელს აწერდა არჩილ ზოსხეთელი. ამ ვიყავი რაჭა-ლეჩხუმის რაზმში - წერდა ი. ვ. რეაქციის გამარჯვების გამო, ჩვენი რაზმი 1906 წლის 6 იანვარს სადგურ მექვენაში (ლეჩხუმის მაზრა) დაიშალა. მე ქუთაისში წავედი, საიდანაც მომიხდა წასვლა ტფილისში, ალექსანდრეპოლში, ულუხანლუში, ერევანში, ქ. თაფრიზში (სპარსეთი). მერე დაებრუნდი ბათუმში და ივლისის შუა რიცხვებში სოფ. ჭყვიშში (ლეჩხუმის მაზრა) ავედი, სადაც გადაბუვებული დამხვდა ჩემი და მეზობლების სახლ-კარი. ათი დღის შემდეგ ბათუმში დაებრუნდი, მაგრამ იქ საქმე ისე მოეწყო, რომ 1906 წლის 1 აგვისტოს სწრაფად მომიხდა იქიდან წასვლა და საფრანგეთისაკენ გამგზავრება. გავიარე კონსტანტინოპოლი და სმირნა (ოსმალეთი), პერია (საბერძნეთი), ნეაპოლი (იტალია) და მეთორმეტე დღეს მივედი მარსელში, საიდანაც სამი დღის შემდეგ პარიზში ამოვყავი თავი. პარიზში ხუთ თვეს ვიმუშავე რკინის კრაოტების ფაბრიკაში, შემდეგ ლონდონში (ინგლისი) ავედი და დავრჩი იქ შვიდ თვეს. ლონდონში შვიდ თვეში ოთხი თვე ვიმუშავე ერთ ქარხანაში, დანარჩენი დრო კი ცუდად გავატარე უადგილობის გამო.

1907 წლის 17 აგვისტოს ლონდონიდან ლივერპულში მივედი. იქ მატროსად დავდექე გემზე. ამ გემთან ერთად მოვიარე აფრიკის ნავსადგურები და კვლავ ლივერპულში დაებრუნდი. შემდეგ ევროპის ნავსადგურებში მომიხდა მოგზაურობა და 1907 წლის 28 სექტემბერს ქ. როტერდამიდან (ჰოლანდია) გემით ამერიკაში გავემგზავრე. გავიარე კალკუტა (ინდოეთი), ნოვი ზელანდია, ავსტრალია და 27 დეკემბერს სან-ფრანცისკოში (შეერთებული შტატები) მივედი. აქ გემის სამსახურს თავი გავანებე და 1908 წლის 3 იანვარს მივედი ქ. ნიუ-იორკში, სადაც ახლა ვცხოვრობ..

ამ ორი წლის განმავლობაში სულ ერთიანად დავშორდი ამხანაგებსა და ნაცნობებს. ბევრს ვეცადე, მაგრამ უადრესობის გამო წერილი მათ ვერ მივანწვდინე.

ვაცნობ ამხანაგებს ჩემს ადრესს: "Mr. Lasareu 116 chrystie street New-York city U.S.D. pon Socetely".

გაზეთში წერილის გამოქვეყნების შემდეგ თანამებრძოლებს, ახლობლებს და ნათესავებს, საშუალება მიეცათ ურთიერთობა დაემყარებიათ არჩილ ზოსხეთელთან. გაიმართა მიწერ-მოწერა, რამაც ზოგიერთი ცნობა შემოგვინახა ამერიკაში გადახვეწილი ამ საინტერესო ქართველი კაცის შესახებ, კაცისა, რომელსაც აღარ ეწერა სამშობლოში დაბრუნება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღემდე მისი პიროვნებით არავინ დაინტერესებულა.

ვინ იყო არჩილ ზოსხეთელი? ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ყოფილი თანამშრომლის ს. ვ. შოთაძის, შირეული ნათესავის მ. ქურციკიძის და მის ოჯახთან დაახლოებული პირის, აწ განსვენებული მიხეილ ლომთაძის დახმარებით შესაძლებელი გახდა შემდეგი მასალების შეკრება:

არჩილ ზოსხეთელი - არჩილ ლუკას ძე ქურციკიძე, 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო. დაიბადა ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭყვიშში, გლეხის ოჯახში. მისი დედა - ფრუიძის ქალი, მეზობელი სოფლიდან - ყოშხეთიდან (ზოსხეთი) ყოფილა და არჩილს ფსევდონიმად დედის მშობლიური სოფლის სახელი აუღია. დედა ადრე გარდაცვლია. მამას მეორე ქალი შეურთავს, ხოლო არჩილი ბიძას, ნიკო ქურციკიძეს, ქუთაისში წამოუყვანია აღსაზრდელად - ქუთაისში ვაატარა მან ბავშვობა და ჭაბუკობა.

ქუთაისში დიდი გავლენა მოახდინა დაკვირვებულ და ნიჭიერ ახალგაზრდაზე არჩილი ბეჯითად სწავლობდა და ამასთან ერთად მონაწილეობდა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ მოსწავლე-ახალგაზრდობის გამოსვლებში.

არჩილი, შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ, სოფელში დაბრუნებულა და მექვენის სოფლის კანცელარიაში დაუწყია მუშაობა მამასახლის ეგნატე ლაზარეს ძე კახიძისთან. პროგრესულად მოაზროვნე გლეხი კაცის ქომავი მამასახლისა და მისი ახალგაზრდა თანამშრომელი გულწრფელად დამეგობრდნენ.

თვითმპყრობელობისადმი წინააღმდეგობით გამსჭვალულ მეოცნებე არჩილს, სოფლის კანცელარიაში გადაწყვიტის როლი არ აკმაყოფილებდა და თავისი ხალხის სამასხურისათვის ფართო გეგმე სს სახატდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი სოციალისტ-ფედერალისტებთან იყო დაკავშირებული. ამასვე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ ზოსხეთელმა ამერიკიდან წე რილი გამოუგზავნა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალური ორგანოს, გაზეთ ამირანს".

1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ისე როგორც მთელს საქართველოში, რაჭა-ლეჩხუმშიც ჩამოყალიბდა რადიკალიზმი ე.წ. წითელი რაზმი, რომელთა მიზანი იყო დახმარებოდნენ ქართველ ხალხს ევსკუციებისა და დამსჯელი ექსპედიციებ ს წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთ-ერთი ასეთი რაზმის წევრი იყო არჩილ ზოსხეთელი. 1905 წლის დეკემბრის ბოლოს, როდესაც მთავრობამ დასავლეთ საქართველოში

გამოგზავნა ჯალათი გენერალი ალიხანოვ-ავარსკი ყაზახ-რუსებით, მთელი გუბერნიის რევოლუციური ძალები ქუთაისისაკენ დაიძრნენ. რაჭა-ლჩხუმის წითელი რაზმები ქუთაისის მშრომელთა დასახმარებლად გამოემართნენ. მაგრამ მოვიდა ცნობა მოსკოვში შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შესახებ და მათ მიიღეს მითითება, დაშლილიყვნენ. როგორც არჩილ ქურციკიძე წერს, რაზმი, რომლის წევრიც ის იყო, მექვენამდე მოვიდა და იქ დაიშალა.

ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის დასავლეთ საქართველოში თარეშის დროს, არჩილ ქურციკიძისა და მისი თანამებრძოლების სახლ-კარი გადაწვეს, ხოლო წითელრაზმელები სხვადასხვა მიმართულებით დაიფანტნენ. თვით არჩილმა მთელი ამიერკავკასია შემოიარა, იყო სპარსეთშიც. ჩვენი ვარაუდით, იგი საპასუხისმგებლო პარტიულ დავალებას ასრულებდა. ბათუმში მას ჩავარდნის სარფთხე დამუქრებია და იძულებული გამხდარა საქართველო დაეტოვებინა.

არჩილ ზოსხეთელმა ერთხანს ევროპას შეაფარა თავი, ხოლო შემდეგ ამერიკაში გაემგზავრა. ამერიკაზე თავისი პირველი შთაბეჭდილების შესახებ იგი წერდა: როგორც აქ, ნიუ-იორკში, ისე მთელ შეერთებულ შტატებში დიდი კრიზისი და აუარებელი უადგილოთ დარჩენილი ხალხია. როგორც გაზეთები იუწყებიან, თებერვლის თვეში 195.000 სული ითვლებოდა მშვიერ-მწყურვალნი და უბინაო. გარეთ ესენი ყინვაში ათევენ ღამეს. ხშირად შევხვედრივარ ნიუ-იორკის ქუჩებში აქა-იქ თავმოყრილ ხალხს პატარა ცეცხლის გარშემო შეკრებილთ. წვიმა და თოვლი დასდიოდათ საცოდავებს, პოლიციაც არ აყენებდა. აუარებელი ხალხი ესალმებოდა წუთისოფელს. იყო ასეთი შემთხვევა: ერთმა ქვრივმა ქალმა, როდესაც საჭმელი ვეღარ იშოვა, თავისი ორი პატარა შვილი (სამი-ოთხი წლისანი) ქალვაჯი საბანში გამოაღრჩო და შემდეგ თვითონაც თავი მოიკლა.

ყოველ წელს აქ დიდძალი ხალხი მოდის რუსეთიდან, ავსტრია-უნგრეთიდან, რუმინეთიდან შვეცია-ნორვეგიიდან და სხვა ქვეყნებიდან; აუწერელია ამათი გაჭირვება. სხვადასხვა კამპანიები სარგებლობენ ამათის გაჭირვებით, იაფად ქირაობენ მუშებს და ნიუ-იორკიდან დასავლეთ შტატებში მიჰყავთ სამუშაოდ. გზას 35-50 დოლარამდე სჭირდება, რომელსაც კამპანია იხდის, მაგრამ ბოლოს სულ სხვა რამ აღმოჩნდება. იქ 8 საათის ნაცვლად 11-12 საათს ამუშავენ. გზის ხარჯს ჯამაგირიდან უკლებენ და რომ ამ პირობებს მუშები არ გაექცნენ ამწყვდევენ პალატებში და ყარაულს უყენებენ--

ამერიკული გაზეთების სიტყვით 37 შტატში ამჟამად 4.700.000 უადგილოდ დარჩენილი მუშაა ეს იმას ნიშნავს, რომ ხუთმეტ მილიონამდე ღლებ შტატებში მშვიერ-მწყურვალნი, რადგან თითო მუშის ოჯახში სულ ცოტა ოთხი სული მარცხ იქნება.

ასეთი იყო ახალგაზრდა მშრომელი კაცის პირველი შთაბეჭდილება ამერიკაზე, რომელიც ამქვეყნიურ სამოთხედ იყო წარმოდგენილი.

ამერიკაში მყოფი არჩილ ზოსხეთელი არ შეცდილა გამდიდრების, კაპიტალის დაგროვების გზები და საშუალებები ეძებნა. იგი არც ევროპისა და ამერიკის

დიდი ქალაქებისათვის დამახასიათებელი ფუქსავატური ცხოვრებით დანტერესებულა. თუმცა ზოსხეთელს, როგორც პირველის, ასევე მეორის შესაძლებლობა ჰქონდა - ახალგაზრდა, ახალნობილ სახეს, მომზიბლელ კავკასიელზე, რომელიც შესანიშნავი სპორტსმენიც (ცხენოსანი) იყო და ნიუ-იორკის ქუჩებში ზოგჯერ ერთნულ ტანსაცმელში გამოწყობილი გამოდიოდა, კონკურსი ჰქონდათ გამოცხადებული უმდიდრეს ამერიკელ ქალებსა და ქალიშვილებს.

როგორ წარიმართა არჩილ ზოსხეთელის ცხოვრება ამერიკაში, ამაზე ნაწილობრივ წარმოდგენას გვაძლევს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-მუზეუმში დაცული წერილი მისი უახლოესი მეგობრის ევანტე კახიძისადმი. წერილის ავტორი მას საინტერესოდ მოუთხრობს მართლაც ამ საოცარ ქვეყანაზე, მისი ცხოვრების ცალკეულ მომენტებზე. ამერიკის ზოსხეთელისეული დახასიათების დროს უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ იგი თავისი მსოფლმხედველობით სოციალისტია, რომელსაც კაპიტალიზმში ადამიანთა ჩაგვრაზე დამყარებულ უსამართლო წყობილებად მიაჩნია.

წერილი ასეთი შინაარსისაა: ძვირფასო ევანტე ლაზარჩი!

ვისურვებ თქვენთვის ყოველგვარ ბედნიერებას, თქვენი წერილი მივიღე, რომელზედაც დიდად გმადლობთ, მე კარგად გასლავართ ჯერ-ჯერობით, ვიბეზარე ყველა მხარეებზე როგორც მაგალითად: ეკროპში, აზიაში, აფრიკაში, ავსტრალიაში და ამერიკის ყველა შეერთებულ შტატების შესამჩნევ ქალაქებში, კანადაში, მექსიკაში, სამხრეთ ამერიკის: - ბრაზილია, არგენტინა, ბოლივია, ჩილი, კოლუმბია, ცენტრალური ამერიკა და სხვ რესპუბლიკების შესამჩნევ ქალაქებში. ამასთანავე რამდენიმე დრო დაეყავი შესამჩნევ პირველხარისხიან და მილიონ მცხოვრებთან ქალაქებში. ... პარიზში, ლონდონში, ნიუ-იორკში, ჩიკაგოში და ფილადელფიაში. ეს სამი თვე არის ვსწავლობ ფილადელფიის და ტემპლის უნივერსიტეტებში. რამოდენიმეთ გავეცანი, პროლეტარიატის ცხოვრებას, ვიწერე დღიური და განზრახვა მაქვს როდესაც უკეთ განვითარებული ვიქნები - მეც დავწერო რაიმე, (საზგასმა ჩვენია, პ. ვ.) ქ. ნიუ-იორკში მივიღე უნცროსი სწავლა (უნცროსი სწავლა უფასოთ არის). დღემდე რაც გაჭირვება გამოვიარე იმაზედ ასე მალე გერას მოგწერ, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ, რადგანაც ვიმოგზავრე ძლიერ, ბევრი. უნივერსიტეტების ქირა საზოგადოთ ძლიერ ძვირი არის. აღმოსავლეთის შტატებში ღირს წლიურად 250 (500 მანეთი) და დასავლეთ შტატებში კი 150-200 დოლარი (300-400 მანეთი). აღმოსავლეთის შტატების უმაღლეს ვანათლებას პირველი ხარისხი აქვს, ოთხ-ოხთ წლიანია: სადოხტურო, სადოკატო, საგზო საინჟინერო, მესანიკის საინჟინერო და ელექტრიკის საინჟინერო. მე ავიღე საგზო, საინჟინერო, რომელშიდაც ვსწავლობ როგორც საგზო ნაწილს, ისე რკინიგზის ხიდების, ვოდოპროვოდების ამნაირ ნაწილებს. ამ საგზო ნაწილს დაესჭირდები ოთხი წელიწადი. სწავლის ქირათ უნდა 1000 დოლარი (2000

მანეთი) და ამ წლის ხუთასი მანეთი ქე შევიტანე. წიგნებს აქ ბევრი სჭირია და აგრეთვე სახლსა და ხარჯსაც.

მე განზრახვა მაქვს როდესაც ამ საგზაო ნაწილს გავათავებ შემდეგ ორ წელიწადს შემოიძლია როგორც გზის ინჟინერი ვიქნები, ისე ინჟინერი მესახიკი გავხვო და შემდეგ ორ წელიწადს ინჟინერი ელექტრიკი. ამგენს ყველას ოთხ-ოხთ წლიანი კურსი აქვს და რვა წელიწადში შემოიძლია ყველა შევისწავლო და მაშინ ვიქნები ინჟინერ-პროფესორი. საშვალთო წელიწადში 800-1000 მანეთამდე არის საჭირო სტუდენტისათვის; ქ. ფილადელფიაში ორმოცამდე ითვლება უმაღლესი სასწავლებლები (ეს ერთი ქალაქია თელს დედამიწაზედ, რომელშიდაც მეტი უმაღლესი სასწავლებლები არის). ამ უმაღლეს სასწავლებლებში ორი უნივერსიტეტი არის: ფილადელფიის უნივერსიტეტი და ტემპლის უნივერსიტეტი. ჩემი მიზანი რადგანაც კიდევ სხვანაირი იყო ამისათვის მე შევისწავლე ბერძნული და ლათინური გარდა ახალი ენებისა და მეორე უნივერსიტეტში საღამომობით დღეში სამ საათს ვსწავლობ ისტორიკო-ფილოსოფიურს ნაწილს. ამაჩიდ ვიხთი 90 დოლარს წელიწადში და ოთხ წელიწადში საღამომობით მივიღებ ისტორიკო-ფილოსოფიურს სწავლას. ეს სწავლა არის დღეს ჩვენთვის საჭირო და ამაჩიდ შედის პოლიტიკური ეკონომია. ფილოსოფია, სოციოლოგია და სხვა ამგვარები (Economics, Politics, Sociology, Philosophy, Ethics and Psychology). შემდეგ ამ კურსისა თუ მარჯვე სტუდენტი გამოვედი ორს ან სამს წელიწადში შემოიძლია მარტო ამ საგანზე გაფიქრდე უნივერსიტეტში და მივიღო სწავლა დოქტორ ფილოსოფიისა; ეს არის პირველ ხარისხიანი და შემდეგ უნივერსიტეტებში ამით სწავლა მიღებულებს პირველი ხარისხი აქვს პროფესორის ადგილზედ. მე ამაზედ გამოვდგები თუ არა არ ვიცი და შევიტყობ მხოლოდ ოთხს წელიწადში. მხოლოდ თუ ცოცხალი კი ვიქნეი ყველა ნაწილზედ უნდა მივიღო სწავლა. საინჟინეროს და ოთხწლიან ფილოსოფიურს გავათავებ კი. ინჟინრები აქ ბევრ ფულს აკეთებენ. ე.ი. მეტს ვინემ სხვა ნაწილზედ სწავლამიღებულები. ამნაირათ პირველი კლასის ინჟინერი ათას დოლარს თვეში არ გავა და ყველა ნაწილზედ (ესე იგი საგზო, სამეხანეიკო და საელექტრიკო) სწავლამიღებულები აქეთ ძვირათ არიან და როდესაც ამათ ყველას გავათავებ მაშინ ჯამაგირზე არც კი გავალ, არამედ საქმეს გავაკეთებ კომპანიებში, მაგრამ ამაზედ მეტს დავესხნათ ლაპარაკს, რადგანაც მომავლის საქმეა...

მე რამოდენიმეთ ვლაპარაკობ ფრანგულს, ნემეცურს, ისპანურს, იტალიურს და მასთან ინგლისურს. პრაქტიკულათ შემოიძლია ბევრს ნაირ მაშინებზედ მუშაობა ე. ი. უნცროს მქსანიკათ ჩავითვლები დღეს პრაქტიკულათ და ტეორიტიულათ კი უნივერსიტეტში ვსწავლობ.

ახლა თუ რანაირათ ვახერხებ სწავლის ქირას: გავათავე ნიუ-იორკის უნცროსი სასწავლებელი მარშან მისში და ოკტომბერში მინდოდა გაგრძელება ისე, როგორც

დღეს ვარ, მაგრამ ფული სად მაქ მეტი. არც მეველი არავისგან, რადგან მამას არა აქვს და ბიძას ჩემი ამბავი, დამერწმუნეთ, როგორც წერილებს ვატყობ - კიდევ რალაცა საეკოთ აქვს, და ამნაირათ ბაბილინას (არჩილ ზოსხეთელის მეუღლე პე) გამოფუგზანენ სამგზავრო ოცდახუთი თუმანი იმ დროს, როდესაც მე ნამეტანი გაჭირვება მადგა, მაგრამ აბა რა შექნა. გეფიცები ჩემს სინდისს, მარტო პურზედ ვყავი, ისიც ცოტა მქონდა, რადგანაც პური და საზოგადოთ აქ ძვირია ყველაფერი, ამისათვის ავდექი ტავარნი ვაგონში ჩავიპარე ისე, როგორც ჩვენბური ჯობგრი და წავედი კალიფორნიის შტატში. იქ ვისტავკა იყო. გზას დაჭირდებოდა თორმეტი თუმანი, რომ ასე არ გავპარულიყავი, რადგანაც 2700 მილი გზა არის აქამდე და აქ რკინიგზა ძვირი ღირს. გზაზედ, ნევადის შტატშიდ, პოვეზდში დამიჭირეს და წარმადგინეს სუდში. სუდიამ დაადგინა: წარვადგინო ათი დოლარი შტრაფი, წინააღმდეგ შემთხვევაში დავეჯდე ციხეში სამი დღე-ღამე; სამი დღე-ღამე მე ძლიერ მომეწონა (მე მეტს მეგონა გადამიწყვეტდნენ), სამ დღე-ღამეში პატარათ სულს მაინც მოვიბრუნებდი რადგანაც ცოტა პური, რაც თან მქონდა წაღებული და ვიზოგებდი რომ მყოფნიყო ქე გახმა და აღარ ივარგა. გაათიე სამი. დღე და ღამე ციხეში, მაგრამ ქუთაისის ფრანციის" გასტინიცას ბევრათ არ ჩამოუვარდება ეს ციხე. მეორე დღეს გავიარე ერთი სტანცია და კიდევ შევასკუბდი პოვზდს. ამნაირათ მივედი ვისტავკაში. იქ და იქედან... ქალაქს ფორტვორტში ცხენზე თამაშობით გავაკეთე რამოდენიმე ფული, თორემ ისე ვიღუპებოდი კაცი და ეს ერთი წელიწადი მეკარგებოდა.

ძლიერ გაგიკვირდებათ, რომ შემხედოთ იმ აქტის შესრულებაზედ, მაგრამ მეცა რისკს ვწევ, რადგანაც მეტი არ მოხერხება ჩემს საქმეს. ოქტომბერში მივედი ფილადელფიაში. მომეცა ამ ზაფხულის 700 მანეთი. კლასს ჭირდებოდა პირველი ნახევრის ორასორმოცდაათი მანეთი და მე ორასი გადავიხადე, რადგანაც არ მყოფნიდა ფული და ერთი გაკვეთილი გამოვტეე. შემდეგ შემეკითხნენ თუ რატომ გამოვტეე ეს ერთი გაკვეთილი. მე ვუთხარი დირექტორს, რომ ფული ცოტა მქონდა და ამისათვის ვერ ვღებულობ მეთქი. აქ ძლიერ კარგი მიღებული ყავიდი ჩემს პროფესორებს, რადგანაც იციან, რომ მე ყველა მხარეზედ ნამოგზავრები ვარ და ბევრს ენებზედ ცოტ-ცოტათი ვლაპარაკობ, ამიტომ ხშირად წამიყვანენ და მალაპარაკებენ ყველა მხარეების გარემოებას. შემდეგ მორჩიეს გამეგრძელება იმ საგანზედაც სწავლა და შემწეობის აღმოჩენას დამპირდნენ. ამნაირათ ცოტათი გული გამიმდგრეს და იმ საგანზეც ავიღე გაკვეთილი.

აქ, ფილადელფიაში, დიდი ბაღი არის, ასე ვთქვათ მთელი ქუთაისის ოდენა. ეს უფროს ბაღათ ითვლება აქ ამერიკაშიდ. აქ იყო ცხენების რეისი, ავტომობილების და სხვა ამნაირები. მე მივედი და კამპანიას ვუჩვენე ჩემი ცხენზე თამაში, სხვადასხვანაირი ფიგურები როდესაც ცხენი ძლიერ უნდა მიჭენობდეს. კამპანია გამირიგდა ერთ გამოსვლაზე ესე იგი ოც მინუტში უნდა წარმომედგინა ეს აქტი.

გამოვედი მეორე დღეს და ვითამაშე. თუმცა ვითომც ვიმაღავდი სახეს, მაგრამ ვინც დაესწრო იქ პროფესორები და სტუდენტები მიცნენ და დაცხეს: ბრაუო სტუდენტ ზოსხეთელო”.

ფილადელფიის უნივერსიტეტს კლუბი აქვს და სტუდენტებისათვის საეკლესიოა ათი დოლარი წლიური, რომ იქ წევრად ვიყო. ეს ფილადელფიის უნივერსიტეტი ბურჟუაზიულია და ბევრი ხარჯი სჭირია. სამაგიეროდ მეტი სახელი აქვთ ამათ განათლებულებს. აქ კლუბში შემოდინ ბევრი კაპიტალისტები და დღეს ბევრი მიცნობს და წინადადებას მაძლევენ, როდესაც საჭიროება მექნეს ვაცნობო მათ. მაგრამ მე მეორეთ გავედი კიდევ და თუთხმეტი თუმანი მომცეს აკტის შესრულებაზედ. ვიყიდე დიდი კალოსებიანი ველოსიპედი და სალამობით მეორე უნივერსიტეტში დავიარები.

თეატრები ჩემთვის უფასო არის, რადგან აქ ტუზის ქალები შემოდინ ჩვენს კლუბში და გეთხოვენ გავყვეთ თეატრში. ბილეთს თავისასაც ჩვენ ვადმოგვცემენ, ვითომც ჩვენ დავაპტიყეთ ასე ესახელებათ. მხოლოდ მის ფლის (miss) ესე იგი ქმარშვილიანიც რომ იყოს ქალიშვილი უნდა უწოდო, ისე ვადარეული არიან ეს ოჯაქორები. ბეჭედი ხელზე რამდენჯერმე წამართვს, არ სჯერათ თუ ცოლიანი ვარ. აქ ორი თვის მოშორებაც გაყოფსთ ცოლ-ქმარს არა თუ ოთხი-ხუთი წელიწადი. ახლა მე ველი ქუთაისელ ქალს (ბაბილინას) გამოვაწყობ და წარვადგენ, მაშინ კი დამიჯერებენ მგონი.

ჩიკაგოში, ნიუ-იორკში და ფილადელფიაში ბევრი უმუშევარი ხალხი არის. ეს ასეა საზოგადოთ დღეს დღეობით აქეთ, რადგანაც, მაგალითად, ასი კაცის საქმეს ერთი მაშინა და ერთი კაცი აკეთებს. მე ბევრი რამე მინდოდა მომეწერა მაგრამ შემდეგ მოვწერთ...

უნივერსიტეტის ოზღუშნი შარით ხანდახან ახლომასლო დავდივარ. მინდა კარგად მივჩვიო და შემდეგ, როდესაც ერთ უმაღლეს ნაწილზედ მივიღებ სწავლას, მინდა ერთ ზაფხულზედ იაპონიაშიდ წავიდე სამოგზავროთ. ის მხოლოდ დამრჩენია ახლა საინტერესოთ. გამოვიარ ბერლინს, ვენას, პეტერბურგს, მოსკოვს და მოვალ ქუთაისში. აქედან გავიარ ინდიას, შვეალ იაპონიაში. იქ ტოკიოშიდ ერთი თვე უნდა ვაჩერდე და იქედან გამოვალ სან-ფრანცისკოში, ამერიკაში. ამნაირათ ვაგათავებ თელს მოგზაურობას და თქვენც ქე ვნახავთ, იმედია, მექვენაში და თუ გაბედავთ ცოტაზედ გაგაგულავებთ ოზღუშნი შარით.

ბაბილინას წამოყვანა მიტომ მინდა, რომ ძალიან ოხერი ადგილი არის და არ მინდა, რადგანაც ჩემი მიზანი ეგეთი არი, რომ ცოტას საქმეზედ სირცხვილი ვჭამო, თორემ აქ ჯვრის წერას ვინ გთხოვს მხოლოდ საზოგადოებაში ნება კი ქონდეს თქვას, რომ ვითომც ცოლია შენი და რა გინდა არაფერს მოგაკლებს. მაგრამ მე მინდა პატიოსნური ცხოვრებით და ჩემი ოფლით, შეიძლება ბევრიც მომშივდეს, მაგრამ ჩემით მივიღო სწავლა, რომ შემდეგ მე ჩემი თავი მოვახმარო

იმ დანიშნულებას, რომელიც მე გადავწყვიტე და მიზნად ავიღე ბათუმიდან გამოსვლის დროს.

მე ძლიერ კარგათ ვარ, დიდად დასრულებული, ასე რომ ვერ მიცნობთ, რომ ნამსოთ, წვერულვაშს აქეთ სტუდენტები იპარსავენ. ამნაირათ სულ ახალგაზრდა ვეკონები ვინმეს. დღეში სამ-ოთხ გაზეთს მაინც ცკითხულობ (ინგლისურს), პარიზში ან ლონდონში თუ რაიმე მოხდება აქ ტელეგრაფებში მეორე საათში წაიკითხავთ. ხშირად მხვდება მოსკოვის, პეტერბურგის, თბილისის და ხანდისხან ქუთაისის ამბებიც. სხვა მათემატიკაში და ფილოსოფიაში ქე ძლიერ მარჯვეთ ვარ. ერთი სიტყვით იმედი მაქვს სირცხვილს არ გაჭმევთ. ბუჯის ნაირ ფაბრიკა-ზაოდებში ვიპოვებ და შევისწავლე სხვადასხვანაირი მოხელოება და უმაღლესიც მალე იქნება მეონი.

- მე ჭკვიშელი ვარ, გავიზარდე დერჩის საზოგადოებაში და ნახევარი კლდედამართელი ვარ. მე ძლიერ მიყვარს კლდედამართი, რადგანაც იქ ძალიან ცოცხალი ხალხია და ჩემთან დიდათ პატიოსნათ ირუგებოდნენ, როდესაც მე ყმაწვილი ვიყავი- ამ ჩემთვის ძვირფას საზოგადოებაში და თქვენ პირველი და ძვირფასი მეგობარი ხართ ჩემი, ამისათვის გაცუბონებთ ჩემს ამბავს დაწვრილებით.

როდესაც თქვენი წერილი მივიღე ისე გამიბჯდა თქვენი და ბიძის წერილმა, რომ იმ დამეს მეორე უნივერსიტეტის კურსი მქონდა ფილოსოფიის ნაწილზე და ქე დაეკტი მეორე დღეს, საზოგადოთ ასე იციან უნივერსიტეტებმა, მოგწერენ თუ ძალიან სწუხან დაკლებას და გაცნობენ, რომ შემდეგი გაკეთთელი ესა და ეს არისო. დასამტკიცებლად ამისა გიგზავნით იმ წერილს, რომელშიდაც უნივერსიტეტი მწერს შემდეგს: ძლიერ წუხან, რომ დაეკტი და მატყუბონებენ; შემდეგ ლექციას. ამასთან მილოცავს ახალ წელს. ამით დარწმუნდებით, მე შენწეობას არავის ვთხოვ. მინდა, რომ შემდეგ ჩემი თავი შევწირო დაწავრულ ხალხს.

არჩილი
Archil Zascetely
Student Philadelphia university 2610 n. 12
Street Philadelphia Pa U.S.a

არჩილ ზოსხეთელისაგან წერილები მიიღეს სხვა მეგობრებმა და ნათესავებმაც. მოხერხდა არჩილის მეუღლის გამგზავრება აპერიკაში. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ნიუ-იორკში დაბინავდნენ.

შემდეგ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. არჩილ ზოსხეთელთან ურთიერთობა შეწყდა. ომს მოჰყვა რევოლუციები, სამოქალაქო ომი და ინტერვენცია. როგორ წარიმართა არჩილ ზოსხეთელის ცხოვრება, როგორ შეასრულა მან თავისი მიზნები და რატომ ვერ დაბრუნდა სამშობლოში - ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა ახალი მასალების შეგროვება, რომლებიც ნათელს მოჰფენენ არჩილ ზოსხეთელის საინტერესო ბიოგრაფიის უკნობ მხარეებს.

ამერიკიდან დაბრუნებული ერთი ქარ თველის ცნობით არჩილ ზოსხეთელს ნიუ-იორკში მქონდა საუკეთესოდ მოწეობილი ქართული ოჯახი. ჰყავდა სამი

შვილი - ერთი ქალი და ორი ვაჟი, რომლებმაც ქართული მშვენიერად იცინაო.

საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა დახმარებით იქნებ მოხერხდეს კავშირის დამყარება არჩილ ზოსხეთელის შთამომავლობასთან და ახალი დამატებითი მასალების შეგროვება მის შესახებ. იქნებ დაცულია მისი პირადი არქივი. ეგ. კახიძისადმი გამოგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ არჩილ ზოსხეთელი წერდა დღიურებს და სწავლობდა ამერიკის პროლეტარიატის ცხოვრებას. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს ქართველ მკითხველს უფრო ნათლად წარმოუდგინოთ ცხოვრება კაცისა, რომლის უპირველეს მიზანს დაჩაგრული ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლა შეადგენდა.

PETRE VACHIRIDZE

Akaki Tsereteli State University, Professor

SUMMARY

ARCHIL ZOSKHETELI ABOUT AMERICA (IN THE 10-s OF XX CENTURY)

Zoskheteli is pseudonym of Archil Luka Kurtsikidze, who was an active member of 1905-1907 revolution. He was a member of red army in the region of Racha. This army was going to help workers of Kutaisi, but an armed revolt in 1906 January became the reason of army's dismissing. Archil Zoskheteli's house was burnt and it made him leave Georgia. He lived in Europe for some time, worked on the ship as a sailor and travelled around the world. At the end of 1907 he went to America and stayed in New York. Information about Archil Zoskheteli and his impressions about America is kept in two letters and one of this is published in "Amirani", that is the central organ of Georgian socialists and federalists (26 April, 1908). The Second one is devoted to his friend Egnate Mamasakhlisi and is kept in Kutaisi State Historical Museum in handwriting department.

According to the above-mentioned letters Archil Zoskheteli is honest person and he took an active part to defend people's rights. He is ready to sacrifice for the sake of oppressed people. He knows foreign languages and also Latin and Greek. He studies at the Universities of Philadelphia and Temple's and Masters in engineering, historical and philosophical sciences; learns about the life of proletariat, writes diaries and has an intention to describe it in his book. American life in 1910s is highlighted from the Georgian perspective. We have no information about his later life and whether he managed to accomplish his aims remains unknown. It is necessary to continue collecting data about him.

ნინო ზაალიშვილი

თბილისის სამხატვრო აკადემიის
საგანმანათლებლო რესურსების ხელმძღვანელი
ხელოვნების განვითარების ცენტრის
„არტ არსი“ პრეზიდენტი

ამერიკელი მხატვარი ჯოზეფ (ჯო) კეიზლი უმცროსი - ქუთაისის შერეული V საერთაშორისო პლენერის მონაწილე

იმერეთი, ქუთაისი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არამარტო სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ ბურჯად, არამედ ქართული სულიერების მნიშვნელოვან ცენტრად ჩამოყალიბდა. მასთან ასოცირდება მრავალი ფასეული მოვლენა, ფაქტი, პერსონა. იგი არაერთხელ გამხდარა ღრსშესანიშნავი მხატვრულ-ინტელექტუალური იდეების დაბადების და განხორციელების ადგილი. მათ რიცხვს მიეკუთვნება XX საუკუნის 70-იან წლებში იმერეთში დაფუძნებული ფერმწერთა საკავშირო, შემდგომში საერთაშორისოც გარდაქმნილი პლენერების ჩატარების პრაქტიკა. თერჯოლაში წამოწყებულმა საკავშირო (1979, 1983), შემდგომ კი ქუთაისში (1985, 1988, 1990, 2001, 2003) გადანაცვლებულმა საერთაშორისო აქციამ დიდი როლი ითამაშა რეგიონში კულტურული ცხოვრების გამოცოცხლების, კულტურული დიალოგის პროცესში, მსოფლიო კულტურულ სივრცეში ქართველ ხელოვანთა პოტენციალის უკეთეს წარმოჩენაში

სხვადასხვა დროს პლენერებში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 30-ზე მეტი ქვეყნიდან ჩამოსულმა შემოქმედმა. 2001 წელს ფერმწერებს გრაფიკოსებიც შეუერთდნენ. იმავე წელს საფუძველი ჩაეყარა მიქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმსაც. 2003 წელს ჩატარდა ჯერჯერობით ბილო, VI პლენერი.¹ სულიერი სიმდიდრის გარდა პლენერებმა საკმაოდ დიდი მატერიალური ფასეულობების შექმნასაც შეუწყვეს ხელი: ამჟამად ქუთაისის დ. კაკაბაძის სახელობის სამხატვრო გალერეაში დაცულია შესანიშნავი ფონდი - რამდენიმე ასეული ფერწერული ტილო და გრაფიკული ფურცელი. ქუთაისი დაამყენა ორ ათეულზე მეტმა ქანდაკებამ. პლენერის მონაწილეთა ნამუშევრების კოლექციის გამოფენები გაიმართა თერჯოლაში, ქუთაისში, თბილისში, 1995 წელს იუნესკოს ხაზით პარიზში.

2001 წელს, საქართველოში ჩამოსული ფულბრაიტის პროგრამის სწავლული - მხატვარი ჯოზეფ კეიგლ უმცროსი გახდა ოცდაათწლიანი ტრადიციის მქონე ქუთაისის ფერმწერთა საერთაშორისო პლენერის პირველი მონაწილე ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ბედნიერი შემთხვევის წყალობით პლენერზე მოხვდა

პერსონა, რომელსაც შეეძლო დაეფასებინა ორგანიზატორთა ერთუზიანობი, კარგად გამოეყენებინა ახალ, მისთვის უჩვეულო გარემოში მიღებული შთაბეჭდილებები.

ჯოზეფ (ჯო) კეიგლი - მხატვარი, სამუშეო მუშაკი, პედაგოგი დაიბადა 1930 წელს. სამხატვრო განათლება ამერიკის რამდენიმე მნიშვნელოვან ცენტრში მიიღო: სწავლობდა დარტმუთის კოლეჯში (1955), კოლორადოს (1958), არკანზასის (1984) უნივერსიტეტებში, ბრიჯუოტერის სახელმწიფო კოლეჯში. ჯოს ბიოგრაფია სავსეა რთული ამოცანების გადაწყვეტის მდიდარი გამოცდილებით. იგი მრავალი წელი მუშაობდა ტეხასში, ვაკოს სამხატვრო მუშეუმის კურატორად, გაცვლითი პროგრამებით თავის დროზე იმყოფებოდა ტაივანსა და ჩეხეთში. როგორც პედაგოგი მუშაობდა სხვადასხვა პრესტიჟულ სამხატვრო სასწავლებელში ამერიკასა და მის ფარგლებს გარეთ, ბევრს მოგზაურობდა მსოფლიოში. შეიძლება ითქვას, რომ იგი მუდმივად აგრძელებს სწავლას. ყოველი მოგზაურობა, უცხო კულტურის გაცნობა ხდება ახალი იდეების განხორციელების მნიშვნელოვანი იმპულსი...

ჯო კეიგლიმ შემოქმედებითი მოღვაწეობის რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შექმნა ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული, ნამუშევრები, მონუმენტური მხატვრობის, მოზაიკის, ქსოვილების მოხატვის ნიმუშები. მისი ნამუშევრები დაცულია მსოფლიოს მრავალ მუშეუმში, გალერეაში, კერძო კოლექციაში. ნამუშევრების ხასიათიც ძალზე მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც სავსებით რეალისტურ კომპოზიციებს, ისე ექსპრესიონისტულ და აბსტრაქტულ ნამუშევრებსაც, მათ შორის ისეთებსაც, რომელსაც ავტორი სკაისკეიპს - ციდან დანახულ პეიზაჟს (Landscape-ს ანალოგიით) უწოდებს. ჯო კეიგლი არ მიეკუთვნება იმ მხატვართა რიგს, ვისი შემოქმედებაც მოწყვეტილია დროს. იგი საკმაოდ მძაფრად რეაგირებს მის ირგვლივ არსებულ ვითარებაზე. თუმცა პროცესი არ გამოიხატება რეპორტაჟული ან კონიუქტურული ნაწარმოებების შექმნით - მოვლენები მის გულსა და სულში ღრმად გადაიხარშება და მხოლოდ ამის შემდეგ ახდენს შემოქმედი მათ მხატვრულ რეალიზებას.

საქართველოში ჯო კეიგლი, როგორც ფულბრაიტის სწავლული გარკვეული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმით ჩამოვიდა, რომლის მთავარი მიზანი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ერთი აკადემიური წლის განმავლობაში სხვადასხვა სასწავლო კურსის წაკითხვა იყო. თუმცა ადგილზე ჯოს ბევრი ახალი იდეა გაუჩნდა, რომლის წარმატებით რეალიზება მან ჩვეული ერთუზიანობითა და ენერგიით შეძლო.

სამხატვრო აკადემიაში სწავლის დაწყებამდე დარჩენილი ერთი თვის ქუთაისში ფერმწერთა საერთაშორისო პლენერში მონაწილეობის მისაღებად გამოყენების იდეა სპონტანურად წარმოიშვა.² დედაქალაქიდან საკმაოდ დაშორებულ რეგიონში წასვლაზე თანხმობაში, დაუგეგმავ პროექტში ჩართვაში იყო სტუდენტური რეაქციის, ნამდვილი მხატვრისთვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობის გამოვლენა. თავად

ჯო ამგვარად განმარტავს საკუთარ გადაწყვეტილებას: «ხშირად ვმოგზაურობ, რათა მოვძებნო ჩემი მეორე მე, რათა დავივიწყო ის დასავლელი კაცი, რომელიც მხოლოდ დასავლური თვალთი იცქირება».³ ამ სიტყვებში კარგად ჩანს ჯო კეიგლის ზოგიერთი პიროვნული თვისება - ცნობისმოყვარეობა, ზოგჯერ ბავშვური ხედვა, ენერჯია, რომელიც ფართოდ გამოშვლავნდა საქართველოში მისი ორივე ვიზიტის დროს (2001-2002, 2003). ის ოლიმპიური სიმშვიდით, იუმორითაც აღიქვამდა ყოფით სიძნელებებთან დაკავშირებულ პრობლემებს, ახერხებდა ადაპტირებას ყოველგვარ პირობებში. იმერეთის მხარეში ერთი თვის ინტერსიური მუშაობის შედეგად შექმნა ბევრი ნატურული ჩანახატი, რომელშიც გამოამჟღავნა მასხვილი ხედვა, დაკვირვების უნარი, აგრეთვე რამდენიმე მნიშვნელოვანი დასარულებული ნამუშევარი. ქუთაისში ყოფნისას, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში მოგზაურობისას აწარმოებდა დღიურს, რომელიც შეიცავდა ნახატებსაც და ყოველდღიურ ჩანაწერებსაც. იგი აწვდიდა ინფორმაციას ამერიკულ გამოცემებს, მონაწილეობა მიიღო თბილისსა და ქუთაისში გამართულ გამოფენებში. პლენერიდან დაბრუნების შემდგომ, რამდენიმე თვის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს სამხატვრო აკადემიაში, დამატებით კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხვა სასწავლებლებში, ხელი შეუწყო აკადემიაში აშშ შეკრებილი წიგნების, სლაიდების, ვიდეოკასეტების ბაზაზე ამერიკული ხელოვნებისადმი მიძღვნილი კაბინეტის შექმნას - საელჩოს დახმარებით მის გარემონტებას, ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვას, კეთილმოწყობას. ოთახს, რომელიც ამჟამადაც წარმატებით ფუნქციონირებს ოფიციალურად ეწოდება ამერიკულ წყაროთა ჯო კეიგლის სახელობის ოთახი" (ამერიკული ხელოვნების არქივის კოლექცია)".⁴

ყველაზე ზუსტად ჯოს რეაქციას ქუთაისურ ვოიაჟზე აფიქსირებენ მისივე ჩანაწერები: - ახლა, როდესაც ფულბრაიტის სასწავლო წელი უნდა დაბოლოვდეს და არა დასრულდეს, ჩემს წარმოსახვაში უცერად ცოცხლდება სახეები - წელიწადი იმით დავიწყე, რომ როგორც ამერიკის წარმომადგენელი ქუთაისში გავემგზავრე ხელოვნების საერთაშორისო პლენერზე, რომლის სპონსორები იყვნენ საქართველოს მხატვართა კავშირი, იმერეთის მხარის ხელმძღვანელობა, ქუთაისის მერია. ჩემს მეუღლეს და მე საკუთარ სახლში გემასპინძლობდა გუბერნატორი შამიაშვილი. ჩვენ გავვეცანით ქუთაისის და მის გარშემო მდებარე ქალაქების ცხოვრებას, მოვინახულეთ მთის სავანეები, ვქვიფობდით გლქსურ სუფრაზე, ვტკებობდით ხარაგაულის მთავორიანი შემოგარენის სიდიადით, დავუმეგობრდი თითქმის მთელი ევროპიდან ჩამოსულ მხატვრებს და განსაკუთრებით რამდენიმე მხატვარს საქართველოდან. ეს მეგობრობა ვითარდებოდა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში. ჩვენი წლის სექტემბრის კოლექტიური გამოფენის შემდგომ მე ვკითხულობდი ლექციებს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაწყებით სკოლებში, საცეკვაო ანსამბლებთან და ამერიკული ხელოვნების შემოქმედებითი საქმიანობის და თავისუფლებისადმი მიძღვნილ შეხვედრებზე».⁵

ჯო კეიგლისთვის საქართველო "ტერა ინკოგნიტა" იყო. ვიზიტის წინ ინტერნეტის მეშვეობით მოპოვებული ინფორმაცია ძალზე მწირი აღმოჩნდა - მთავარი, რაც მან შეიტყო და რამაც დაინტერესა, წმინდა ნინოს ამბავი იყო. თბილისში ჩამოსვლამდე მან მეუღლესთან ერთად იმოვ ზაურა კაპადოკიაში, წმინდანის სამშობლოში. ამგვარმა დასაწყისმა გამოამჟღავნა ჯო კეიგლის ძალზე სერიოზული დამოკიდებულება ქვეყნისადმი, სადაც მას ერთი აკადემიური წელი უნდა გაეტარებინა. საქართველოში ყოფნის რამდენიმე თვის განმავლობაში იგი ცდილობდა კარგად გაეცნო ქვეყანა, დაენახა ის შიგნიდან. ამ ვითარებაში იგი წარმოჩნდა როგორც მეტად საინტერესო, მდიდარი ემოციური სამყაროს მქონე შემოქმედი. გაოცებას იწვევს სიზუსტე, რომლითაც მხატვარმა შეძლო თავის ჩანაწერებში, ჩანახატებში თუ დასრულებულ ნამუშევრებში საქართველოს, მანამდე მისთვის სრულიად უცნობი ქვეყნის შეცნობა. მისი ხედვა გაღრმავდა დიდი ქართველი მხატვრის, დავით კაკაბაძის შენოქმედებითი მემკვიდრეობის, მისი უნიკალური პიროვნების შესწავლის შედეგადაც.

როგორც უკვე აღინიშნა, ჯო კეიგლის შემოქმედებითი მანერა საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი ქმნის ნატურიდან რეალისტურ ჩანახატებსაც და ექსპრესიონისტულ ან აბსტრაქტულ ნამუშევრებსაც. თელის, რომ მას შემდეგ რაც გაჩნდა ფოტოგრაფია რეალისტურმა ნახატმა ამოწურა თავისი შესაძლებლობანი. ამის მიუხედავად იმერეთში მოვზაურობისას მან შექმნა ასობით გრაფიკული ჩანახატი, რომელზეც რეალისტურად გამოსახა თავისი კოლეგები, სხვა ადამიანები, რომლებმაც იგი მიიზიდეს თავისი გარეგნობით, შინაგანი სამყაროთი, მან დააფიქსირა საინტერესო პეიზაჟური მოტივებიც. იგი ხატავდა ყველგან - ავტობუსში, ბუნების წიაღში, წვეულებაზე, თეატრალური წარმოდგენის თუ კონცერტის დროს.

იმერეთში ყოფნის დროს ჯო კეიგლმა საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა. შექმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნამუშევარი, რომელიც მიუძღვნა იმერეთის ბუნებას, საქართველოს. "საქართველოს ფერები" - ასე ეწოდება კომპოზიციათა ვრცელ ციკლს, რომელშიც მან თავისებურად გამოსახა საკუთარი შთაბეჭდილებები. კატალოგში ჩართული სტატიის ავტორი ქეთევან კინწურაშვილი წერს: "ჯოზზეფ კეიგლის მიერ აბსტრაქტულად გარდასახული საქართველოს პეიზაჟები მხატვრის მიერ სიერცის და ფერის ღრმა განცდას ასახავს. ნაირგვარ ფერთა მონაკვეთების და ფაქტურათა გასათამაშებლად ის კოლაჟის ტექნიკას იყენებს და ყოველ კონკრეტულ კომპოზიციაში განსხვავებულ განწყობას ასახავს. ვინაიდან იღვას მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ის ტექსტებსაც ურთავს საკუთარ ნაწარმოებებს. ეს ტექსტები დამთვლიერებულს მდიდარ საზრდოს აძლევს საფიქრად".⁶ ქართული პეიზაჟის გარდა იგი მოიხიბლა ქართული ანბანიც. იგი აკვირდებოდა წიგნებში, პლაკატებზე გამოყენებულ აკადემიურ შრიფტსაც

და საკუთარი თბილისური სახლის ეზოში, გარაეების კარზე ბავშვების არცთუ გაწაფული ხელით შესრულებულ წარწერებსაც. ესე ფრაგმენტში ახასიათებს რა საქართველოში შესრულებულ საკუთარ ნამუშევრებს, იგი წერს: ჩემს ბოლო ნამუშევრებზე მუშაობისას, მე ჩვენი სახლის უკან მანქანის ფარების კარზე და კედლებზე, ქართველი ბავშვების წარწერები გადავიღე თვალთ, რომელიც სიტყვებს ვერ კითხულობდა, მაგრამ მოსწონდა ფორმა. ვის და როდის ეძლევა საშუალება ცხოვრებაში, რომ ახალი და სალი სინამდვილე იხილოს? ქართული დამწერლობის სიმშვენიერე მანიჭებს ამგვარ ფუფუნებას".⁷

ჯო კეიგლის საქართველოში ყოფნისას შექმნილი ნამუშევართა მეორე ციკლი ამერიკასთან იყო დაკავშირებული. 11 სექტემბერს, ამერიკაში მომხდარი ტრაგედიის დროს იგი იმყოფებოდა სამშობლოდან შორს, იმერეთის მაღალმთიან სოფელში, არ ჰქონდა საშუალება, დაწვრილებით გაეგო ყველაფერი, მაგრამ მასზე ძალზე ღრმა ემოციური ზეგავლენა მოახდინა ადამიანთა დაღუპვის საშინელმა ფაქტმა.

ჯ. კეიგლის შეხედულებით და მისი ნამუშევრებიდან გამომდინარე, ეს იყო ერთ-ერთი ტრაგიკული ფაქტი, რომელმაც განსაკუთრებით იმოქმედა მის სულიერ და შემოქმედებით ცხოვრებაზე. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კეიგლი, როგორც მხატვარი და მოქალაქე რეაგირებდა რეალობაზე. პირველი იყო პრეზიდენტ ჯონ კენედის სიკვდილი, მეორე - ჰოლაკოსტა, ებრაელთა მიმართ გამოჩენილი არაადამიანური სისასტიკის ტრაგიკული ამბავი, რომელზეც მან მეუღლის ახლო ნათესავებისგან, ჰოლაკოსტას უშუალო მსხვერპლთაგან შეიტყო. ეს თემები აისახა ვრცელ გრაფიკულ სერიაში „სიკვდილი ყველგანაა“.⁸ 11 სექტემბრის ტრაგედიამ მხატვარი კიდევ ერთხელ დააფიქრა თავისუფლების ფასზე, იმ მსხვერპლზე, რასაც გაიღებენ ადამიანები მისი შენარჩუნებისათვის. მან შექმნა ნამუშევრები, რომელიც თავისუფლების იდეას მიეძღვნა. განსხვავებით დასახელებული გრაფიკული სერიისგან, წლების შემდგომ დაბრძენებული მხატვარი სულ სხვაგვარად რეაგირებს მომხდარ ტრაგედიაზე. მის მიერ ამ დროს შესრულებულ სურათებში დომინირებს ოპტიმიზმის, იმედის გრძნობა.

ქუთაისში ყოფნისას ჯო კეიგლის პერსონა, მისი უშუალობა, კონტაქტურობა იზიდავდა უზრალო მოქალაქეებსაც და კოლეგებსაც. არსებულმა რეალობამ გვიბიძგა შეგვექმნა ერთობლივი გამოფენის პროექტი, რომელიც ასახავდა ჯოს ურთიერთობას ქუთაისელ კოლეგებთან, პლენერის მონაწილე თბილისელ მხატვრებთან. პროექტის მომზადების პროცესში აღმოჩნდა, რომ ჯოს მეგობრების წრე კიდევ უფრო გაფართოვდა - მას დაემატნენ სხვა მხატვრები და ხელოვნებამცოდნეები: ქუთაისის პლენერის ორგანიზატორი ჯეირან ფაჩუაშვილი, ქეთევან კინწურაშვილი, რომელთან ერთადაც იგი კითხულობდა ლექციების კურსს XX საუკუნის ხელოვნების ისტორიაში, დავით კაკაბაძის ოჯახი, ახალგაზრდა დათო ჯანაშვილი, ჯოს ორგანიზებული კონფერენციების პლაკატების ავტორი,

ტექსტილის მსატვარი ირინა წინამძღვრიშვილი, რომელმაც ჩვენი თხოვნით დაბადების დღისთვის შექმნა ჰალსტუხი დავით კაკაბაძის იმერეთის პეიზაჟის ფრაგმენტით (იგი შეემატა მსოფლიოს დიდი მსატვრებისადმი მიძღვნილ ჰალსტუხების დიდ კოლექციას, რომლებსაც ჯო ოსტატურად იყენებდა თავისი ორიგინალურად შედგენილი ლექციების ფარგლებში), არქიტექტორი დევი ჯანაშვილი, რომელმაც დააპროექტა „კეიგლის ოთახი“, სხვა კოლეგები.

ქუთაისში დამყარებული მეგობრობა რეალურად აისახა გამოფენაზე „ჯო და მეგობრები“, რომლის მოწყობის ჩემული იდეა მოიწონა აშშ საელჩომ. იგი რეალიზებულ იქნა გალერეა „უნივერსში“ 2002 წელს. კატალოგს დართული მასალების შინაარსი კარგად გადმოსცემს თავად ჯოს შეხედულებებსა და შთაბეჭდილებებს საქართველოზე. ქეში იგი თითქოს აჯამებს საკუთარ ცხოვრებას. ჯოს მრავალმხრივმა პერსონამ, მისმა ენთუზიაზმმა გამოხმაურება ჰპოვა ქართველ კოლეგებშიც. მისი 70-ე დაბადების დღე გამოფენაზე დიდი სიხარულით აღინიშნეს ამერიკელმა და ქართველმა სტუმრებმა.

მომდევნო წელს ჯომ მონაწილეობა მიიღო მსატვართა შეხვედრაში საქართველოს სხვა რეგიონში, ქართლში მდებარე არტ ვილა გარიულაშიც¹. მისი პერსონალური ექსპოზიცია მოეწყო თბილისის ისტორიის მუზეუმში „ქარვასლა“, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დროის ნამუშევრები, მათ შორის საქართველოში შექმნილი კომპოზიციები. გამოფენას ქართული სუფრის ანალოგიით ამერიკული სუფრა² ეწოდებოდა.

ჯო კეიგლმა, როგორც პიროვნებამ, მსატვარმა, პედაგოგმა კეთილი კვალი დატოვა საქართველოში, რეალური წვლილი შეიტანა ქართულ-ამერიკულ კულტურულ ურთიერთობაში. ეს კონკრეტული, მასშტაბებით არცთუ დიდი პროექტი კარგი მაგალითია სამთავრობო სტრუქტურების (აშშ მთავრობა, საელჩო, ქუთაისის მერია, გუბერნატორი), სასწავლო დაწესებულებების სხვადასხვა დანაყოფების (თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი, ხელოვნების ისტორიის კათედრა), არასამთავრობო შემოქმედებითი ორგანიზაციების (საქართველოს მსატვართა კავშირი, ქუთაისის მსატვართა შემოქმედებითი ორგანიზაცია, ხელოვნების განვითარების ცენტრი არტ არსი), აგრეთვე კონკრეტული პირების ნაყოფიერი თანამშრომლობისა ქვეყნებს შორის კულტურული დიალოგის პროცესის აქტივიზირების კეთილშობილურ საქმეში.

შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ საქართველოს მსატვართა ქუთაისის ორგანიზაცია. სახვითი ხელოვნების ქრონიკები. 2001, 2002, 2003, 2004, კრებული. ქუთაისი, 2005, გვ. 87.
- ² კატალოგი „ჯო კეიგლი და მეგობრები“. ფერწერა, გრაფიკა. ქანდაკება. 26.04.-4.05. 2002, პროექტის ავტორი ნ. ზაალიშვილი. პაატა ნაცვლიშვილის გამოცემლობა. თბილისი, 2002, გვ. 15.

- 3 Ibid, ჯო კეიგლის ესე - "როდესაც 70 წლის ვხდებით", გვ. 3.
- 4 Ibid, ნ.ზაალიშვილის სტატია - "ჯო და მეგობრები", გვ. 15.
- 5 Ibid, ჯო კეიგლის ესე - "როდესაც 70 წლის ვხდებით", გვ. 3.
- 6 Ibid, ქ. კინწურაშვილის სტატია "თავისუფლების ასალგაზრდული ფერები", გვ. 13
- 7 Ibid, ჯო კეიგლის ესე - "როდესაც 70 წლის ვხდებით", გვ. 3.
- 8 ნ. ზაალიშვილი, ჯ. ლ. კეიგლი უმცროსის ნახატების სერია "სიკვდილი მუდამა". ამერიკის შესწავლის საკითხები, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, ტ. 2, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 386-391.
- 9 Joe Kagle. An American Supra II. An exhibition celebrating Fulbright works of art: before, during and after. Student Technology Center Gallery McLennan Community College. April 5-August 5, 2003; Tbilisi. Georgia. Art Museum. June 26-July 5, 2003.

NINO ZAALISHVILI

Tbilisi | State Academy of Arts, Manager of Education Resources
President of Art Development Center "Art-Arsi"

SUMMARY

AMERICAN PAINTER JOE KAGLE, PARTICIPANT OF THE V KUTAISI INTERNATIONAL PLANNER

The history of Kutaisi plain air is more than 30 years old and enjoys a good reputation. During this time the painters of more than 30 countries participated in this activity. In September of 2001 Joe Kagle the junior - painter, museum worker and teacher is a first American participant of this plain air.

During one month work in Kutaisi he created important pictures dedicated to Georgia, also several compositions concerning the tragedy which had happened in New York in 2001, September 11.

The diverse creative work of Joe Kagle, the pictures created during his two visits (2001-2002, 2003) were displayed in Kutaisi (2001, D.Kakabadze gallery), in Tbilisi (2001, "Joe and Friends", gallery "Universe"), "An American supra II" (gallery "Karvasla", Tbilisi).

The compositions painted by J.Kagle during his visit in Georgia, the lectures conducted by Fulbright program in the Tbilisi Academy of Fine Arts, the exhibitions and conferences held by his initiative and also the establishment of "The "American sources, Joe Kagle's room" with the help of US embassy and on the base of the books given by Mr. Kagle to the department of the history of art, the contacts with the Georgian artists, art critics, and students is a fine example of possibility of cultural dialogue between the countries of diverse history and mentality.

ი ა ა ზ ზ ი ლ ი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ურბანული გარემოს სტრუქტურული ანალიზი ქართულ და ამერიკულ ქალაქებში

ქალაქს ადამიანის ყველაზე დიდ ქმნილებად თვლიან. იგი სივრცის გამოყენების უმადლესი საფეხურია - აქ არის თავმოყრილი კაცობრიობის მიერ შექმნილ სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა უდიდესი ნაწილი. ქალაქი მოსახლეობის სოციალური და სივრცობრივი ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმაა, წარმოქმნილი და განვითარებული სამრეწველო, ადმინისტრაციული, საეკონომიკური, კულტურული, რეკრეაციული და სხვა ფუნქციათა კონცენტრაციის ბაზაზე. ქალაქისათვის დამახასიათებელია დასახლების მაღალი სიმჭიდროვე და განაშენიანების კომპაქტურობა. ქალაქების ზრდასთან ერთად რთულდება მათი პრობლემები, საბინაო მშენებლობა ახალ-ახალ ტერიტორიებს და დიდძალ მატერიალურ სახსრებს მოითხოვს და ა.შ.

ქალაქების შესწავლა არ არის სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის მონოპოლია და მას დისციპლინათაშორისი ხასიათი აქვს. ამავე დროს სწორედ გეოგრაფია აღმოჩნდა პირველი სამეცნიერო დისციპლინა, რომელმაც ქალაქი თანმიმდევრული კვლევის ობიექტად აირჩია.¹

1920 - იანი წლების დასაწყისში, ურბანული სოციოლოგიის ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლების ე. ბერჯესისა და რ. პარკის მიერ, შემოთავაზებულ იქნა ე. წ. *კონცენტრული წრეების მოდელი*.²

ბერჯესს პირველ ყოვლისა ქალაქი აინტერესებდა, როგორც მისი მოსახლეობის ქცევის დეტერმინანტი. მან გამოიკვლია ქ. ჩიკაგოს ტერიტორიაზე სოციალური გადახრები და გოცემული დარჩა ქალაქის სხვადასხვა რაიონში და უბანში მიღებული ძალზე განსხვავებული მაჩვენებლებით. ბერჯესმა და მისმა კოლეგებმა მიღებული ინფორმაცია რუკებზე გადაიტანეს. სწორედ ამ რუკების ანალიზის საფუძველზე გამოიყო ქ. ჩიკაგოს შიდა სტრუქტურა მოსახლეობის სოციალური სტატუსისა და ზოგიერთი სხვა სოციალური მახასიათებლის მიხედვით. ეს საფუძველად დაედო ბერჯესის კონცეფციას ქალაქის შესახებ, რომლის მიხედვით ქალაქი კონცენტრული ზონების ერთობლიობაა.²

ქალაქის ცენტრი (Central Business District), ანუ როგორც მას ამერიკაში უწოდებენ Downtown, წარმოდგენილია სხვადასხვა კორპორაციათა ოფისებით, მომსახურების სფეროს ცენტრებით, სამთავრობო და საეკონომიკური შენობებით. იგი ქალაქის კომერციულ, სოციალურ და ეკონომიკურ ფუნქციათა ბირთვს

წარმოადგენს; მას წრიულად გარს ეკერის სამრეწველო რაიონი საწარმოებისა და სასაწყობო მეურნეობის შენობებით; მესამე ზონას გარადამავალი ზონა ეწოდება, რომელიც მუშებისა და უღარიბესი ფენის სამოსასხლო რაიონია, აქვეა ემიგრანტთა და ეთნიკურ უმცირესობათა ღარიბი კვარტლებიც. თითქმის ყველა მთავანის სამუშაო სამრეწველო ზონაშია; მეოთხე ზონა საშულო კლასის, ხოლო მეხუთე შექმლებულთა საცხოვრებელი რაიონია.

ურბანული სტრუქტურის ასეთი მოდელი კარგად ერგებოდა აშშ-ს დიდ ქალაქებს და იარსება მანამ, სანამ იმიგრაციის პროცესი ინტენსიური იყო და ყველა ადმინისტრაციული და კომერციული შენობა ქალაქის ცენტრში გახლდათ თავმოყრილი.

1939 წელს ამერიკელმა გეოგრაფმა ჰ. ჰოიტმა წარმოადგინა საქალაქო მიწების გამოყენების *სექტორული მოდელი*. სექტორული მოდელის მიხედვით სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე სამოსასხლო უბნები არა კონცენტრულად, არამედ სექტორების მიხედვით ნაწილდება ქალაქის ტერიტორიაზე. მდიდართა უბნები შეიძლება იყოს ქალაქის ცენტრალურ ბირთვთან ახლოსაც და პერიფერიაზეც. ამ მოდელიდან გამომდინარეობს, რომ სწორედ მდიდარი მოსახლეობის უბნების ტერიტორიული ზრდა და გადაადგილება, განაპირობებს ქალაქის ზრდის ხასიათს. სხვადასხვა საქალაქო ფუნქციების მქონე უბნებიც ქალაქის სივრცეში სექტორების მსგავსად არიან განლაგებული.³

ამერიკული ქალაქების მესამე მოდელი, რომელიც ცნობილია *მრავალბირთვული მოდელის* სახელწოდებით შეიქმნა გეოგრაფების ე. ულმანისა და ჩ. ჰარისის მიერ 1945 წელს. ეს ის პერიოდია, როცა საავტომობილო ბუშის, სამომხმარებლო საზოგადოების ჩამოყალიბების და სუბურბანიზაციის პროცესის შედეგად, ამერიკაში იწყება კომერციული თუ ადმინისტრაციული კლასტერების წარმოშობა ქალაქის ცენტრიდან მოშორებით. ეს მოდელი უფრო მობილურია, ვიდრე წინა ორი: დასაქმების ყველა სფერო და ობიექტი აღარ მდებარეობს ქალაქის ცენტრში; მსგავსი განაპირა ცენტრები - Suburban downtowns, მდებარეობენ ცენტრიდან დაახლოებით ერთი საათის საავტომობილო სავალზე და ასრულებენ იგივე ფუნქციას, რასაც ქალაქის მთავარი ცენტრი.⁴

არსებული მოდელები უფრო კონკრეტული ეპოქის ხასიათს ატარებს, ვიდრე უპირისპირდება ერთმანეთს. ომამდე შექმნილი მოდელები მოდერნიზმის პერიოდსა და სტილს შეესაბამება; ომის შემდეგ კი, დასავლეთში პოსტმოდერნიზმი საყოველთაოდ გავრცელდა და თითქმის ყველა სფერო მოიცვა. ქალაქების მრავალბირთვული მოდელიც ამ უკანასკნელს შეესაბამება და XX საუკუნის მეორე ნახევრის ეპოქას ასახავს.

სუბურბანიზაციის პროცესი დასავლეთში დღესაც საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ პროცესი არათუ შენელდა ან სტაბილური

გახდა, არამედ გაძლიერდა კიდევ. ამის შედეგია ე.წ. განაპირა (კიდურა) ქალაქების, ანუ როგორც მას უწოდებენ Edge cities წარმოქმნა. ისინი განვითარდნენ სწორედ განაპირა ცენტრების - Suburban downtowns ირგვლივ და შექმნეს ერთი დიდი ქალაქის თანამედროვე მრავალბირთვული მოდელი (ვაშინგტონი-ბალტიმორის, ფილადელფიის, სანანტონიოს და სხვათა ირგვლივ).⁵

აშშ-ში ყოფნისას საშულება მომეცა დეტალურად გავცნობოდი მონტანას შტატის ქ. მიზულას ურბანულ სტრუქტურას და შემესწავლა მისი რამდენიმე უბანი.

ქ. მიზულას მოსახლეობა 95.000 კაცია და საშულო ქალაქის კატეგორიას განეკუთვნება. გეოურბანისტიები თვლიან, რომ დიდ ქალაქად შეიძლება ჩაითვალოს საქალაქო დასახლება, რომლის მოსახლეობა 100.000 კაცს აღემატება. სწორად, სწორედ ამ ხალხმრავლობის გამო უწოდებენ მათ „ნამდვილ“ ქალაქებს, რადგან ასეთი ქალაქები ამჟღავნებენ სწრაფი ზრდისაკენ და პოლიფუნქციონირებისაკენ მიდრეკილებას. ქალაქის სოციოლოგთა აზრით სწორედ ამ ქალაქებში დომინირებს ქალაქური ცხოვრების წესი, რომელიც საშულო და მცირე ქალაქებში გაბატონებული არ არის. ურბანიზაციის ჭეშმარიტ „გამტარებლებად“ სწორედ 100-ათასიან და უფრო დიდ ქალაქებს თვლიან.⁶

მიზულა სწრაფად მზარდი ქალაქია კარგად გამართული საგანმანათლებლო-საუნივერსიტეტო ფუნქციით და ლიბერალური საგადასახადო სისტემით. სწორედ ამ ფაქტორთა გამო ქალაქი (საერთოდ მონტანას შტატი), იზიდავს მოსახლეობას, როგორც ქვეყნის სხვა შტატებიდან, ასევე უცხოეთიდან (იაპონიიდან, კორეიდან, ჩინეთიდან). ამიტომ, ფვიქრობთ, მიზულა სულ მალე, 3-5 წელიწადში, დიდი ქალაქის კატეგორიაში გადავა.

როგორც ეს ამერიკული ქალაქებისთვისაა დამახასიათებელი საცხოვრებელი და საქმიანი უბანი/ქალაქის ცენტრი (downtown) ერთმანეთისგან გამიჯნულია. სიტყვა „ცენტრი“ გულისხმობს საქალაქო სივრცის ცენტრს, ქალაქის შიგნით მდებარე ცენტრალურ ტერიტორიას; ამავე დროს იგი გულისხმობს ქალაქის იმ რაიონს, რომელსაც განსაკუთრებული საქალაქო ნიშნები ახასიათებს. ეს ნიშნები კი ცენტრის სპეციფიკური ფუნქციებიდან (გონებრივი შრომის კონცენტრაცია, საქალაქო მომსახურება და სხვ.) გამომდინარეობს.⁷ ჩვენ სწორედ ამ სპეციფიკაზე გვირბა ყურადღება გაავამახვილოთ. პირველი - ქ. მიზულას ცენტრი მდებარეობს მდინარის Clark Fork მარჯვენა სანაპიროზე და მეტ-ნაკლებად გამიჯნულია სამოსახლო ზონისაგან, რომელიც უპირატესად მდინარის მარცხენა სანაპიროზეა გაშლილი. მაგრამ იგივე ცენტრში ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებთან ერთად, კერძო საცხოვრებელი სახლებიც გვხვდება (მიზულა „ერთსართულიანი“ ამერიკაა). მეორე - ცენტრის ფუნქციას, სადაც გონებრივი შრომით დასაქმებული მოსახლეობის კონცენტრაცია დღის განმავლობაში მაქსიმალურია,

საუნივერსიტეტო უბანი ასრულებს (University Tract), რომელიც მდინარის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს და გარშემორტყმულია საცხოვრებელი უბნებით.

ამ და სხვა თავისებურებათა გამო, კვლევის ობიექტად სწორედ საუნივერსიტეტო უბანი ავირჩიეთ და შევადარეთ სამოსასხლო ზონას - სამხრეთის დასახლებას (სააღწერო სექტორი 13. 05), რომელიც უშუალოდ ესაზღვრება საუნივერსიტეტო უბანს. Tract 13.05

მოპოვებული სტატისტიკური⁸ და საველე კვლევის მასალების მიხედვით შეიძლება დავასაიათოთ:

1. სამხრეთის დასახლება, როგორც საცხოვრებელი (საძინებელი უბანი), უპირატესად მუდმივად მცხოვრები "თეთრი" მოსახლეობით; უბანი შედარებით მაღალშემოსავლიანია და ძირითადად ჭარბობს ოჯახური შინამეურნეობები ქორწინებაში მყოფი წყვილებით; დემოგრაფიული სტრუქტურა უპირატესად წარმოდგენილია 0-17 წლამდე, 30-59 წლამდე და ხანდაზმული კონტინგენტით; ამიტომ ამ მონაცემების საფუძველზე (კარგად მოვლილი ბუნებრივი ლანდშაფტით, შედარებით დიდი სახლები, გაკრეჭილი გაზონი, საცურაო აუზების სიმცირე და გოლფის მოედნების არარსებობა, დაუფარავი ავტოფარეხები და არცთუ ბოლო მოდელის ავტომობილები), შეგვიძლია დავასაიათოთ, როგორც საშულო კლასის საცხოვრებელი (სამოსასხლო/საძინებელი) უბანი.

2. საუნივერსიტეტო სააღწერო სექტორი შერეული ტიპის უბანია, როგორც მუდმივი, ასევე დროებითი მაცხოვრებლებით; გამოირჩევა ჭრელი ეთნიკური სტრუქტურით; ძირითადი ასაკობრივი ჯგუფია 18-29 წლამდე მოსახლეობა არამუდმივი საშუალო და დაბალი შემოსავლებით. ამ უბანში თავმოყრილია, როგორც კერძო საცხოვრებელი სახლები, ასევე სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი (dormitory); მწვანე ნარგავები ნაკლებად მოვლილია; ფარეხი არ არის და მანქანა ქუჩის სადგომზე დგას. ამდენად, ეს უბანი დაბალი კლასის საცხოვრებელ უბნად უნდა იქნას მიჩნეული.

აღმოსავლეთ ევროპულ და პოსტსაბჭოთა ქალაქებში მოსახლეობის განლაგება ქალაქის ტერიტორიაზე დასავლურ ქალაქებთან შედარებით რამდენადმე განსხვავებული სურათით ხასიათდება. ამაში პირველ ყოვლისა იგულისხმება მოსახლეობის საკმაოდ მაღალი ღამის სიმჭიდროვე ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. აღნიშნული გარემოება იმით აიხსნება, რომ ამ ქალაქების ცენტრალური რაიონები მომსახურების ფუნქციის მაღალ კონცენტრაციასთან ერთად ინარჩუნებენ სამოსასხლო ფუნქციასაც, რომელიც ამ რაიონებისათვის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად რჩება. ამიტომ პოსტსაბჭოთა ქალაქების ცენტრალურ და ცენტრთან მიმდებარე რაიონებში მოსახლეობის ღამის სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალია და იგი პერიფერიებისაკენ კლებულობს, რაც გამოწვეულია ამ უკანასკნელთა ფუნქციური სტრუქტურის თავისებურებებით, კერძოდ, სამრეწველო, სატრანსპორტო,

რეკრუციული და სხვა დანიშნულების ტერიტორიათა სიჭარბით. ზემოთ აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოგვადგება თბილისში მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების სურათი.⁹

სამოსახლო განაშენიანების მაღალი სიმჭიდროვის შენარჩუნება ქალაქის ისტორიულ ბირთვსა და ისტორიულად ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ცენტრში (მტკვრის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ნაპირზე) უზრუნველყოფს მოსახლეობის ღამის სიმჭიდროვის პიკის არსებობას ცენტრალურ რაიონებში. ასევე მაღალი სიმჭიდროვე აღინიშნება ცენტრიდან უმნიშვნელოდ დაშორებულ (3-6 კმ.) რაიონებშიც, სადაც სამოსახლო ფუნქცია ერთ-ერთი ძირითადია მომსახურების ფუნქციასთან ერთად. საწარმოს და სატრანსპორტო ფუნქციების დომინირება თბილისის ცენტრიდან დაშორებულ და პერიფერიულ რაიონებში იწვევს მოსახლეობის სიმჭიდროვის შესამჩნევ შემცირებას. სიმჭიდროვის კლება პერიფერიული ნაწილებისაკენ აიხსნება იმით, რომ პერიფერიებზე სამოსახლო უბნებთან ერთად, ჩვეულებრივ, განლაგებულია საწარმოო და სატრანსპორტო ობიექტები, საწყობები და სხვ. მრავალსართულიანი სამოსახლო განაშენიანების შემთხვევაშიც კი, ქალაქების პერიფერიული ნაწილები მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით არ ხასიათდებიან. ამასთანავე, როგორც წესი, ქალაქის პერიფერიებზე საკმაოდ მაღალია აუთვისებული ტერიტორიების ხვედრითი წილი და, ჩვეულებრივ, დაბალია განაშენიანების სიმჭიდროვე.¹⁰

მიუხედავად აღნიშნული ტენდენციისა, ბინათმშენებლობისა და განსახლების პრობლემა უმწვავესია თბილისში. 1992-93 წლებში განხორციელებულმა პრივატიზაციის პროცესმა ძალზე გაააქტიურა უძრავი ქონების ბაზარი. 2000 წლამდე პროცესი, კიდევ უფრო დინამიური გახდა ემიგრაციის გზით ევროპიდან და აშშ-დან შემოსულმა ფულმა, რომელიც ქართული ბაზრის ფასებთან შედარებით მართლაც არსებითია. დღეისათვის, ქალაქის პერიფერიაზე ფასები კვლავ დაბალია - \$100 კვ. მ., ცენტრში კი \$600 აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სტანდარტებით ეს მაჩვენებელი მაღალი არ არის, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობისათვის ის სრულიად ხელმიუწვდომელია (საშულო ხელფასი ქვეყანაში \$50-100).¹¹

პრობლემას ამწვავეებს ისიც, რომ ყველა საამშენებლო კომპანია კერძოა, სახელმწიფო საერთოდ არ მონაწილეობს ბინათმშენებლობის პროცესში და ამდენად, ვერც იაფ მომსახურებას სთავაზობს თავის მოსახლეობას. არსებული სიტუაცია კი ხელს უწყობს საზოგადოების სეგრეგაციას და მეტად ამძაფრებს ისედაც არსებულ სოციალურ დისბალანსს. იკვეთება კიდევ ერთი ტენდენცია: უძრავი ქონების ბაზარზე მაღალია მოთხოვნა ცენტრალურ უბნებზე, რომლებმაც თავისი „ტერიტორიული ტყუადობის“ პოტენციალი 80-იანი წლების ბოლოს უკვე ამოწურეს. ამიტომ, აქ არსებულ საცხოვრებელ უბნებს იღებენ და ახალი ბინებით

აკმაყოფილებენ როგორც ძველ, ასევე ახალმოსახლეებს. ასეთ მოთხოვნას, პირველ რიგში, განაპირობებს ადგილის ხელმისაწვდომობა (სატრანსპორტო და სხვა თავალსაზრისით) და პრესტიჟულობა, რომელიც საბოლოოდ, ყველაზე ნათლად ფასში აისახება¹²; არ შეიძლება უარყოფილ იქნეს „სნობიზმის ეფექტის“ გავლენაც, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია ტრადიციული /აღმოსავლური/ საზოგადოებებისათვის.

აქდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თბილისში ადგილი აქვს ჰიპერურბანიზაციის პროცესს სუბურბანიზაციის საწინააღმდეგოდ. ეს პროცესი მრავალ ნეგატიურ მოვლენასთან ერთად - ეკოლოგიური გარემოს მკვეთრი გაუარესება (რაც თბილისისათვის უმწვევესია რელიეფური ფაქტორის გამო), არადეკვატური ინფრასტრუქტურა, ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემები და სხვა, ძალზე ზრდის განსხვავებას დედაქალაქსა და საქართველოს დანარჩენ ქალაქებს შორის, მკვეთრად ამუხრუჭებს მათ განვითარებას, რაც კვლავ აქტუალურს ხდის ქვეყნიდან მოსახლეობის გადინების.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ ა. რონდელი, ქალაქის გეოგრაფია, თბ., 1990, გვ. 12.
- ² Kuby M., Harner J., Gober P. Human Geography in Action WILEY, 2004 გვ. 275
- ³ Ibid, გვ. 135.
- ⁴ Kuby M., Harner J., Gober P. Human Geography in Action WILEY, 2004 გვ. 282.
- ⁵ Kuby M., Harner J., Gober P. Human Geography in Action WILEY, 2004 გვ. 283.
- ⁶ Ibid, გვ. 43.
- ⁷ ა. რონდელი, ქალაქის გეოგრაფია, თბ., 1990, გვ. 99.
- ⁸ <http://www.census.gov>.
- ⁹ ა. რონდელი, ქალაქის გეოგრაფია, თბ., 1990, გვ. 43.
- ¹⁰ ა. რონდელი, ქალაქის გეოგრაფია, თბ., 1990, გვ. 49.
- ¹¹ R. Gachechiladze, J. Salukvadze, Urban Growth and Chainging Social Problems in Tbilisi, Caucasian Geographical Review, #5, 2005, p. 127.
- ¹² R. Gachechiladze, J. Salukvadze, Urban Growth and Chainging Social Problems in Tbilisi, Caucasian Geographical Review, #5, 2005, p. 129.

SUMMARY

THE URBAN STRUCTURE OF AMERICAN
AND GEORGIAN CITIES

Three early models attempted to capture land use patterns of the city. The *concentric ring model*, developed in the 1920s by the so-called Chicago School of urban sociology, said that the city was organized in a series of concentric rings. The downtown or Central Business District (CBD), packed with corporate offices, consumer services, shopping and government buildings, was the focus of the city's commercial, social and civic life. Urban employment was concentrated in and around the CBD. It was immediately surrounded by a fringe zone, included wholesaling, light industry and bus and train terminals. Next, a zone of transition was home to the city's newest, poorest residents, often immigrants or ethnic minorities. The outer zones consisted of increasingly well-off residents starting with the homes of blue-color workers, who typically worked in the city's manufacturing plants adjacent to the downtown, then medium-income single family houses and finely the residences of high-income commuters.

Proposed in 1939, the *sector model* rejected the concentric zone theory, arguing instead that housing values in U.S. cities conformed to a pattern of sectors radiating out from the downtown rather than of concentric zones.

A third model of urban land use known as the *multiple nuclei model* was first propose in 1945. What is general about this model is that not all employment is located in the CBD and that certain activities tend to be found in adjacent districts of the city. As the automobile became more prevalent and large suburban cities grew, the multiple nuclei model morphed into the concept of urban realms, or suburban regions functionally tied to a mixed-use "suburban downtown".

Opposite to American cities the process of hipped urbanization is evident in Tbilisi, Georgia. Housing remains a constantly urgent social problem, but it is acquiring new features. The cheapest dwellings are situated on the periphery of the city, at less than \$100 per square meter. The most expensive, over \$450 to \$600, are the apartments in the core areas of the city. More social differentiation and the aggravation of social inequalities and their spatial manifestations are to be expected.

მასილ ბაჭარაზა

ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი,
თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორი

ქართულ-ამერიკული ურთიერთობების შესწავლის ამტყალვბა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის საქმიანობა

როგორც ცნობილია, ისტორიის ზედმიწევნით კარგად ცოდნის გარეშე არამც თუ აწმყოს უზრუნველყოფა, არამედ მომავლის დაგეგმვაც შეუძლებელია. ამ აქსიომიდან გამომდინარე გვინდა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორიის შესახებაც ვისაუბროთ.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ათწლეულებში ჩვენს ქვეყანებს შორის მრავალი, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა მოხდა და რომ ამ ურთიერთობის ცალკეული მომენტები საკმაოდ კარგად არის აღწერილი, როგორც მასშედილაში, ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვენ ჯერ კიდეც არ გავგაჩნია ამ ურთიერთობების სისტემატიზირებული, მეცნიერული თვალსაზრისით ჩამოყალიბებული ზოგადი სურათიც კი.

ქართულ-ამერიკული ურთიერთობების უბრალო ქრონოლოგიაც კი სხვადსხვა წყაროებსა და კვლევებშია მიმოფანტული. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ეს ურთიერთობები ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის, მრავალ, სრულიად სხვადსხვა ასპექტს ეხება. იქნება ეს პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, სამხედრო საქმე, კულტურა, ჯანდაცვა, განათლება, მეცნიერება თუ სხვა. ამის ცოდნა კი ის მინიმუშია, რომელიც ჩვენ ქვეყნებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

რასაკვირველია, ასეთი მრავალმხრივი მიდგომა და ანალიზი დიდ სახსრებსა და მრავალ კვალიფიციურებულ სპეციალისტს მოითხოვს. ამის უზრუნველყოფა კი ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებს უკეთ შეუძლიათ, რომელნიც ორმხრივ ურთიერთობებში ხშირად "უფროსი" პარტნიორის როლში გვევლინებიან. არადა, სწორედ შედარებით სუსტ და პირობითად "უმცროს" პარტნიორს უფრო სჭირდება მსგავსი ინფორმაცია, ვინაიდან მცდარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სწორედ უფრო სუსტი პარტნიორი ზარალდება. მაშინ როდესაც დიდ სახელმწიფოებს, მათი უზარმაზარი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო რესურსები მნიშვნელოვნად უადვილებენ ამა თუ იმ შეცდომის გამოსწორებას.

ალბათ, საქართველოს პირველი და შესამე რესპუბლიკების პერიოდში დაშვებული, რიგ შემთხვევაში, საბედისწერო შეცდომები მნიშვნელოვანწილად სწორედ ასეთი ცოდნის დეფიციტითაც იყო განპირობებული.

დღეს, შეიძლება ითქვას, სწორედ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების შესწავლის ოქროს ხანა" დადგა. დასავლეთისაკენ აღებული კურსმა განაპირობა დასავლური დემოკრატიების უკეთ შესწავლის აუცილებლობა...

უფრო მეტიც, თუ აქამდე, ამერიკამცოდნეობა და ევროპეისტიკა, ძირითადად აშშ-ს, კანადასა და დასავლეთ ევროპას გულისხმობდნენ, დადგა დრო, რომ ლათინური ამერიკა და აღმოსავლეთ ევროპაც უფრო საფუძვლიანად შევისწავლოთ. მით უმეტეს, რომ ამ ქვეყნებმა, დასავლეთთან შედარებით, უფრო გვიან დაიწყეს დემოკრატიისაკენ სვლა და მათი განვითარების სოციალურ-ეკონომიკური დონე და პრობლემებიც უფრო ახლოსაა დღევანდელ საქართველოსთან...

ასეთი მასშტაბური კვლევების წარმოებას დღეს აღარც იდეოლოგია და აღარც დახურული საზღვრები უშლიან ხელს. მაგრამ, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ხელის შემშლელი ფაქტორი თვით საქართველოში აღმოჩნდა. ამ დარგების კიდევ უფრო აქტიური განვითარების მაგიფრად ჩვენში მათი შევიწროება დაიწყეს.

2006 წლის ზაფხულში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ე.წ. კონკურსის შედეგად, უნივერსიტეტიდან დაითხოვეს ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის თითქმის ყველა სპეციალისტი (ეს არ იყო დაკავშირებული ამ სპეციალისტების პროფესიონალურ დონესთან), რის შედეგადაც უნივერსიტეტში მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ამ დარგების შესწავლა.

ამის ახსნა ან პრიმიტიული პროტექციონიზმით და კორუფციით ან კიდევ, საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული სერიოზული და შორს გამიზნული დივერსიით თუ შეიძლება.

თუმცა შედეგი ერთია, საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებელში, რომელსაც საქართველოს სხვა სასწავლებლები ბაძავენ, ევროპისა და ამერიკის შესწავლა ფაქტობრივად შეწყდა. შედეგად შემცირდა საექსპერტო ცოდნა ამ სფეროში, ხოლო მომავალში აღარ გვეყოლება ამ დარგის სპეციალისტები. ან გვეყოლება ძალზე ცოტა და ძალზე ცუდი. მიუხედავად ამისა, ქართველმა ამერიკანისტებმა ბევრი რამ მოასწრეს და სწორედ ამ საქმიანობის ნაწილობრივი მიმოხილვა მაინც არის ამ პატარა სტატიის მიზანი.

ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორია შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს. პირველი, არაოფიციალური, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის, შემდგომში კი საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და ურთიერთობა, ქართველებსა და ამერიკელებს შორის, ძირითადად პირადულ დონეზე მიმდინარეობდა. აგრეთვე გასათვალისწინებელია ქართველ ემიგრანტთა ორგანიზაციების საქმიანობაც.

ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორიის მეორე ნაწილი, 1992 წელს, დამოუკიდებელ საქართველოსა და ამერიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბების დროიდან შეიძლება დავიწყოთ.

პირველი ეტაპი, შეიძლება ითქვას, ამერიკაში რაჭველთა მცირე ჯგუფის ემიგრაციით დაიწყო, რომელნიც 1840-იან წლებში რკინიგზის მშენებლობაზე მუშაობდნენ. შემდეგი, შედარებით მრავალრიცხოვანი კონტაქტი, იყო გურულ მოჯირითეთა მონაწილეობა ბუფალო ბილის შოუში. ამის შემდეგაც არსებობდა ემიგრაცია, მაგრამ მცირე და მეტად ინდივიდუალური ხასიათის.

ასეთ ინდივიდუუმებს შორის, ჯორჯ ბალანჩინის მსოფლიო რანგის ფიგურაც გამოიკვეთა. ნაკლები მასშტაბის, მაგრამ საკმაოდ ცნობილი იყო, ავიოკონსტრუქტორი ალექსანდრე ქართველიშვილი, საზოგადო მოღვაწე, მოგვიანებით კი პარტიუმერული კომპანიის ორინცი მამაბელი" დამაარსებელი გიორგი მამაბელი. თავის დროზე, ამერიკაში საკმაო ინტერესი გამოიწვია ქართველი ემიგრანტების გიორგი და ელენე პაპაშვილების წიგნმა "ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს". ამ წიგნის მიხედვით ფილმიც გადაიღეს.

საქართველოში ამერიკის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა როვენა ქროსს ნაჯაფიმ მეტად საინტერესო მასალები მოგვანწოდა ბათუმსა და თბილისში ამერიკელი კონსულების შესახებ 1914-1921 წლებში.

მოგვიანებით, საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლები ამერიკაში ცდილობდნენ საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების წამოწვევას კონგრესში, ხოლო 1932 წელს ქართველებმა ამერიკის ქართული ასოციაცია ჩამოაყალიბეს.

დღეისათვის ამერიკაში ასევე არსებობს ორგანიზაცია „საქართველოს ამერიკელი მეგობრები“, რომელშიაც ძირითადად ამერიკელები და ქართველი ემიგრანტების შთამომავლები არიან. ამერიკის ქართულ ემიგრაციაში დიდ როლს თამაშობს ასოციაცია „კვალი“, რომელიც უკვე ჩვენს დღეებში შეიქმნა და პროფესორ შოთა ვაშაკიძის თაოსნობით ძირითადად ქართულ-ამერიკულ სამეცნიერო თანამშრომლობას ემსახურება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანული ტყვეობიდან განთავისუფლებული ქართველობის ნაწილი ასევე ამერიკაში ჩავიდა. თუმცა, როგორც ქართული ემიგრაციის მკვლევარი რუსუდან დაუშვილი აღნიშნავს, 1950-იან წლებში ქართველ ემიგრანტთა რაოდენობა ამერიკაში 300-400 ადამიანს არ აღემატებოდა.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში ქართულ-ამერიკული კონტაქტები ძირითადად ხელოვნების სფეროში გამოიკვეთა, იქნებოდა ეს სუბიმივილების ანსამბლის გასტროლები თუ ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის შემოქმედებითი შეხვედრები ამერიკაში.

რაც შეეხება ამერიკელების ყოფნას საქართველოში, ამ მხრივ, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იყო 1947 წელს ჯონ სტანბეკის ვიზიტი საქართველოში. თუმცა ამ სფეროში ორივე მხრიდან სხვა კონტაქტებიც საკმაოდ იყო.

რასაკვირველია, სულ სხვა დონეზე განვითარდა ქართულ-ამერიკული ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ.

პრეზიდენტ ბუშის ვიზიტი საქართველოში. ბუნებრივია, ამ ვიზიტს, ჩვენ, ქართველი ამერიკანისტებიც გამოვეხმაურეთ და ჩვენი მეშვიდე კონფერენცია სწორედ მას მიუძღვნეთ. ეს ვიზიტი გზავნილი იყო საქართველოსა და მთელი კავკასიისადმი, რომ ამერიკა მხარს უჭერდა რეგიონში მიმდინარე ცვლილებებს და მის სწრაფვას დემოკრატიისადმი, რომ იგი მზად იყო უფრო აქტიურად ეთანამშრომლა რეგიონთან და მიუხედავად გეოგრაფიული სიშორისა, აქტიური როლი ეთამაშა აქ მიმდინარე პროცესებში.

ამავე დროს ეს გზავნილი იყო თვით ამერიკელებისათვისაც, კერძოდ კი ის, რომ საქართველო ამერიკის სერიოზული პარტნიორია. ამერიკის მთავრობა, რომელიც მუდამ დგას ამერიკული ბიზნესის ინტერესების სადარაჯოზე, თვლის, რომ საქართველო შეიძლება სასურველ ეკონომიკურ პარტნიორადაც იქცეს. ამ ვიზიტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ აშშ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოზე გამავალ ალტერნატიულ ენერგეტიკულ გზას და, შესაბამისად, რეგიონის სტაბილურობაში დაინტერესებული. ამერიკას სურს, რომ რეგიონი არა დიდი ძალების დაპირისპირების, არამედ ნაყოფიერი თანამშრომლობის ადგილად იქცეს. საქართველო მოიაზრება აგრეთვე, როგორც მოდელი სახელმწიფო პოსტსაბჭოური სივრცისათვის.

ბუნებრივია, ყოველივე ეს ამერიკის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობს. მაგრამ საქმის არსიცა და სიკეთეც იმაშია, რომ ხდება საქართველოსა და ამერიკის ეროვნული ინტერესების მნიშვნელოვანი დამთხვევა, თანხვედრა. აღნიშნულ ორივე პერიოდში, საკმარისზე მეტია შესასწავლი და სწორედ ამ ასპექტზე სურთ უურადლების გამახვილება ქართველ ამერიკანისტებს.

თავის მხრივ, უშუალოდ საქართველოს ამერიკის შესწავლის ასოციაციამ უკვე გარკვეული მუშაობა ჩაატარა ამ მიმართულებით.

ჯერ კიდევ 2003 წელს ჩემს სტუდენტებს ვურჩიე სადიპლომო ნაშრომი სწორედ ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებზე დაეწერათ (თეა გერგედავა - ქართულ-ამერიკული დიპლომატიური ურთიერთობების პირველი ეტაპი 1992-95 წ.წ. და ნინო ბოლქვაძე - საქართველო - აშშ-ს სამხედრო პოლიტიკური თანამშრომლობა 1998 - 2002 წ.წ.). მუშაობას ამ მიმართულებით ჩემს სტუდენტებსა და მაგისტრანტებთან დღესაც ვაგრძელებ.

ასოციაციის თაოსნობით ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებზე და მის მიერ გამოცემულ კრებულებში არაერთი ნაშრომი სწორედ ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებს მიეძღვნა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აგრეთვე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცემულმა კრებულებამაც. უფრო მეტიც, სიტყვიდან საქმეზე პირველად სწორედ ქუთაისელი მეცნიერები გადავიდნენ და 2004 და 2006 წლებში ჩატარებულ კონფერენციებზე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ

ურთიერთობებს, რაც პროფესორ ვახტანგ ამალალობელის დამსახურებაა. თუმცა უმჯობესია თვით გამოქვეყნებული სტატიების ნუსხა განვიხილოთ.

როგორც ვხედავთ, საკმაოდ საინტერესო სურათი გამოიკვეთა. ყველაზე დიდი რაოდენობით კულტურისა და განათლების საკითხებია წარმოდგენილი, შემდეგ პოლიტიკა და სამხედრო საქმე მოდის. შედარებით მოკრძალებულად არის წარმოდგენილი ეკონომიკა და სოციალური საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-ამერიკული თანამშრომლობა ჯანდაცვის სფეროში საკმაოდ მასშტაბურია, ეს სფერო ჩვენს კრებულებში ნაკლებად არის წარმოდგენილი.

თუმცა საერთო სურათი მინც შედარებით ობიექტურად ასახავს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების პრიორიტეტებს.

ბუნებრივია, აღნიშნული მიმოხილვა არსებული რეალობის მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენს და კიდევ დიდი რაოდენობის მასალის მოძიებაა აუცილებელი. იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი გამოადგება ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მკვლევარებს. მით უმეტეს, რომ ამერიკელ კოლეგებთან თანამშრომლობა დღეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს კი, თავის მხრივ, რეალურ საფუძველს შექმნის ქართულ-ამერიკული ურთიერთობის ისტორიის ამასველი ფუნდამენტური ნაშრომისათვის. დღეისათვის კი ასეთი ნაშრომი არც საქართველოში და არც ამერიკაში არ არსებობს.

პოლიტიკა და სამხედრო სფერო

1. ლევან ავალიშვილი - აშშ და ახლადწარმოქმნილი დამოუკიდებელი ქვეყნები. კრებული. №1
2. პატა აბრამია - საქართველო-აშშ-ს შორის სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობა. №2
3. ოთარ ბღათურია - საქართველოს მთავრობის პოლიტიკა აშშ-ს პოლიტიკურ ციკლთა გათვალისწინებით. №2
4. ზაზა განჩილაძე - რა უნდა საქართველოს ამერიკისაგან? №2
5. თემურ კეკელიძე, გიორგი მანჯგალაძე - აშშ-ს როლი საქართველოს ევრო ატლანტიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით. №2
6. ლია უნაძე - 11 სექტემბერი და საქართველო. №2
7. მალსაზ მაცაბერიძე - ამერიკული დემოკრატია და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლები. №2
8. თენგიზ ცხვიტავა - საქართველო და შეერთებული შტატები, სტრატეგიული პარტნიორები და მოკავშირეები. №2
9. ნიკო ჯავახიშვილი - გენერალი ჯონ შალიკაშვილი - აშშ-ს გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე. №2
10. დევიდ ბენდიქტ ბლენი - აშშ-ს საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში; სავარაუდო შედეგები საქართველოსა და სომხეთისათვის. №3
11. შოთა დოლონაძე - თაქდაცვის სფეროში თანამშრომლობის 2004 წლის 10

დეკემბრის შეთანხმება - ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობის ახალი ეტაპი. №3

12. შოთა ვაშაყიძე, ქეთი ქიქოძე - ასოციაცია "კვალის" საქმიანობა აშშ-ს ქართული დიასპორის გაერთიანებისა და საქართველოსთან მისი ურთიერთობის გაღრმავების მიზნით. №3

13. გურამ მანუგალაძე - აშშ საქართველოს სამხედრო ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე 1994-2004. №3

14. ვახტანგ რჩეულიშვილი - "უსაფრთხოების სამკუთხედი"; თბილისი-მოსკოვი - ვაშინგტონი. №3

15. სალომე ყორანაშვილი - პოლიტიკური ურთიერთობები საქართველოს, შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის. №3

16. ნიკო ჯავახიშვილი - ქართულ-ამერიკული სამხედრო კონტაქტები მეორე მსოფლიო ომში (1943-1945). №3

17. ლელა ჯავახიშვილი - აშშ-ს სამხედრო მისია საქართველოში და ქართული პრესა (1919). №3

18. რუსუდან დაუშვილი - საქართველოს დამხმარე ორგანიზაციები XX საუკუნის ოციან წლებში. №4

19. შოთა დოლონაძე - რა იკითხება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ მოხსენებებში. №4

20. სოფო ზურაბიანი - გაზის პოლიტიკა. ბრძოლა კავკასიაში გავლენის მოსაპოვებლად. №4

21. ოთარ ნიკოლეიშვილი - აფხაზეთის 1992-93 წლების ომი გაზეთ "ვაშინგტონ პოსტის" შეფასებით. №4

22. ვახტანგ რჩეულიშვილი - ამერიკის დახმარების იმედი - მითი თუ რეალობა. №4

23. მამუკა ქუსიკაშვილი - შეეუღლმფრენების, მფრინავებისა და ტექნიკური პერსონალის მომზადების აშშ-საქართველოს ერთობლივი პროგრამა. №4

24. ალექსანდრე წურწუშია - აშშ-ს გეოსტრატეგია და სუამის რესტიტუციონირების პერსპექტივები. №4

25. პაატა ცაგარეიშვილი, გოგიტა გვენეტაძე - საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნით აშშ-დან ავღანეთის ჰუმანიტარული ტვირთების მოზიდვის პერსპექტივები. №4

26. რუსუდან დაუშვილი - კონსტანტინე სიდამონ ერისთავი რესპუბლიკური პარტიის წევრი და რეიგანის მხარდამჭერი. კრებული რ. რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა.

27. ვახტანგ რჩეულიშვილი - რონალდ რეიგანი და საქართველოს ვესტერნიზაცია. კრებული რ. რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა.

28. ნიკო ჯავახიშვილი - ქართველი ემიგრანტი - აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერი, კრებული რ. რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა

ეკონომიკა და სიციალური საკითხები

1. რუსუდან დაუშვილი - დიმიტრი მეტრეველი - ქართველი ოქროსმრეწველი ამერიკაში. №2
2. ქეთევან როსტიაშვილი - კორუპცია - ამერიკელ და ქართველ მეცნიერთა ერთობლივი კვლევის საგანი. №2
3. რუსუდან დაუშვილი - ქართული კონსტრუქტორები ამერიკის ავიამრეწველობაში. №3
4. რევაზ ლორთქიფანიძე - ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული გავლენა მსოფლიო ბაზრისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე. №3
5. ნინო პაპაიაშვილი - ამერიკის შეერთებული შტატების გეოეკონომიკური სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში. №3
6. ფარნაოზ სვანიძე - აშშ-ს ინვესტიციური პოტენციალის აქტუალურობა საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. №3

კულტურა, განათლება და მეცნიერება

1. ვახტანგ სართანია - საქართველოში განათლების სფეროს განვითარებაში აშშ-ს როლი. №1
2. ვახტანგ ამბლომელი - აშშ-ს განათლების სისტემა და საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის ზოგიერთი საკითხი. №1
3. თამარ შიოშვილი - ამერიკის შესწავლის პერსპექტივები საქართველოში. №1
4. ქეთევან დგებუაძე - თანამედროვე ლიტერატურული პროცესები ამერიკაში და ახალგაზრდა ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრის" მიერ მათი პოპულარიზაცია საქართველოში. №1
5. ნაირა მამუკელაშვილი - აშშ-ს ისტორიის შესწავლა საქართველოს საშუალო სკოლებში ახალი ისტორიის კურსში. №2
6. თეა ტაბატაძე - სამოქალაქო განათლება ამერიკაში და საქართველო. №2
7. მარინა ტერტეროვი - ამერიკანისტიკის სწავლების მეთოდური საკითხები ქართულენოვან სკოლებში. №2
8. მანანა ხავთასი - ამერიკული სკოლა, პროექტი მოქალაქე" და საქართველო. №2
9. მანანა არველაძე - მახათელების სამი თაობა ამერიკაში. №2
10. ცაცა ბენაშვილი - ჯონ სტიინბეკი საქართველოში. №2
11. მანანა დუმბაძე - უოლტ უიტმენი და მისი დიდი ქართველი მთარგმნელი. №2
12. მარია მინიძე - ვინ არის ქართულად თარგმნილი ამერიკული ნოველის უცნობი ავტორი? №2
13. ჯანეტა ქორიძე - დოჯლაენი ოდგე იონ (ერთი მეგობრობის ისტორია) ნორტონ დოჯი და ვლადიმერ კანდელაკი. №2
14. ვაჟა თვალავაძე - აშშ-ს ისტორიის საკითხები XIX საუკუნის I ნახევრის ქართულ პერიოდიკაში. №3
15. ელისა ქიტაშვილი - აშშ-ში ქართული დიასპორას ზოგიერთი წარმომადგენლის შესახებ. №3

16. მანანა დუმბაძე - "პაიავითას სიმღერის" ერთი ქართული თარგმანის შესახებ. №3
17. ნინო ზაალიშვილი - ქართველ მხატვართა ადრეული ილუსტრაციები ამერიკული საბავშვო ლიტერატურისათვის. №3
18. ქეთევან კინწურაშვილი - ამერიკული პოპ-არტი და მისი ანარქული ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში. №3
19. რუსუდან ნიშნიანიძე - გივი კობახიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა (ასევე რუსუდანის ორტომიანი წიგნი ქართველ ემიგრაციაზე). №3
20. ნუგზარ ბარდაველიძე - საქართველო-ამერიკის ეკლესიათშორისო ურთიერთობები. №4
21. ვახტანგ ამალლობელი - ჯონ დოს პასოსის სტატია "გასაბჭოებული კავკასია" და საქართველო. №4
22. თამარ პაიჭაძე - უოლტ უიტმენი და XX საუკუნის ქართული პოეზია. №4
23. ირინე აბესაძე, დეა გუნია - ქართულ-ამერიკული კულტურული ურთიერთობის ფრაგმენტები (გიგო გაბაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან). №4
24. ნინო ზაალიშვილი - ქართველ მხატვართა ემიგრაციის პირველი ტალღა აშშ-ში (I მსოფლიო ომიდან პერესტროიკამდე). №4
25. თეა ურუშაძე - ამერიკული დრამატურგია ქართულ სცენაზე (ა. მილერის სეილემის პროცესი" ქართველი მხატვრების გაფორმებით). №4
26. ჯანეტა ქორიძე - ოკეანე დისტანციას აღარ წარმოადგენს. №4
27. ნუგზარ რუხაძე - რონალდ რეიგანის ეპოქა და ქართულ-ამერიკული სახელოვნო კრებულს რ. რეიგანი და 1980 -იანი წლების ამერია.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2004 წელს გამოცემულ კრებულში ამერიკული ლიტერატურა და ქართულ-ამერიკული ლიტერატურული ურთიერთობები" წარმოდგენილია:

28. ვახტანგ ამალლობელი - ჯონ დოს პასოსი ქუთაისში
29. რუსუდან დაუშვილი - რადიოსადგურ ამერიკის ხმის" ქართული რედაქციის ორი დირექტორი - ერეკლე ორბელიანი და მერაბ კვიციანი
30. მანანა დუმბაძე - ნოდარ დუმბაძე და ამერია
31. რუსუდან ნიშნიანიძე - "კულტურათა გზაჯვარედინი" - ამერიკაში გამოცემული გიორგი გამყრელიძის პოეტური კრებულები
32. ნატალია ორლოვსკაია - ამერიკელი ავტორის რომანი კავკასიის და საქართველოს შესახებ

ჯანდაცვა

1. მარინა ბალაევაძე, ზ. კირტაევა, ნ ავალიანი, შ. ავალიანი - აშშ-საქართველოს მედიკოსთა თანამშრომლობა დისტანციური სამედიცინო სწავლების პროგრამის ფარგლებში: მწვავე კორონარული სინდრომი. №2
2. არსენ გვენტაძე - აშშ-სა და საქართველოს თანამშრომლობა ოჯახის დაგვემის

თანამედროვე მეთოდების მსოფლიოში დასანერგად და გასავრცელებლად. №2

3. ვლადიმერ მარგველაშვილი - თანამშრომლობის რვა წელიწადი ამერიკელ სტომატოლოგებთან. №2

როგორც ვხედავთ, საკმაოდ საინტერესო სურათი გამოიკვეთა. ყველაზე დიდი რაოდენობით კულტურისა და განათლების საკითხებია წარმოდგენილი, შემდეგ პოლიტიკა და სამხედრო საქმე მოდის. შედარებით მოკრძალებულად არის წარმოდგენილი ეკონომიკა და სოციალური საკითხები. მოუხედავად იმისა, რომ ქართულ-ამერიკული თანამშრომლობა ჯანდაცვის სფეროში საკმაოდ მასშტაბურია, ეს სფერო ჩვენს კრებულებში ნაკლებად არის წარმოდგენილი.

თუმცა საერთო სურათი მაინც შედარებით ობოიექტურად ასახავს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების პრიორიტეტებს.

ბუნებრივია, აღნიშნული მიმოხილვა არსებული რეალობის მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენს და კიდევ დიდი რაოდენობის მასალის მოძიებაა აუცილებელი. იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი გამოადგება ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მკვლევარებს. მით უმეტეს, რომ ამერიკელ კოლეგებთან თანამშრომლობა დღეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს კი, თავის მხრივ, რეალურ საფუძველს შექმნის ქართულ-ამერიკული ურთიერთობის ისტორიის ამსახველი ფუნდამენტური ნაშრომისათვის. დღეისათვის კი ასეთი ნაშრომი არც საქართველოში და არც ამერიკაში არ არსებობს.

VASIL KACHARAVA

Georgian Association for American Studies, President,
TSU American Studies Center Director

SUMMARY

IMPORTANCE OF STUDYING GEORGIAN-AMERICAN RELATIONS AND OPERATION OF AMERICAN STUDIES GEORGIAN ASSOCIATION

There is underlined the great importance of studying of Georgian-American relations for our country. Here is discussed the current situation in this sphere and the activity of Georgian Americanists in this course. Here is also given that there has not been conducted the scientific and classic research of the relationship neither in America nor in Georgia.

The conclusion is very simple in spite of the contrary facts, the main thing is that Georgian Americanists have the potential to do more and this idea is given in the article.

ზინაბ კიკვიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

11 სექტემბრის ტრაგედია და სამაგანოზომილებიანი ნივრცე შოთა იათაშვილის პოემაში „მიმართულება“

ქართულ-უცხოური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორია ერის დიპლომატიას უკავშირდება, საუკუნეების მანძილზე კეთილმეზობლური თუ მტრული დამოკიდებულებანი უცხო ქვეყნებთან სხვადასხვა პერიოდში მწერლობის აქტუალურ თემად იქცეოდა ხოლმე. აღმოსავლეთიცა და დასავლეთიც მეტ-ნაკლები მდგრადობით მკვიდრდებოდა ქართულ აზროვნებაში და გზას იკვლევდა ქართულ მწერლობაში. ეპოქათა კვალდაკვალ იცვლებოდა გამოსახატავი სივრცე, დრო, პრობლემატიკა. მხატვრულობის პარამეტრებიც კი თემატურად ითავსებდა აღნიშნულ ურთიერთობებს.

თანამედროვე ცხოვრებამ და დიპლომატიამ საქართველოს მწერა ამერიკისაკენ მიმართა. თანდათან მწერლობაში გამოჩნდა ოკეანის მიღმა არსებული კონტინენტი და მასთან დაკავშირებული მოვლენები.

11 სექტემბრის ფაქტი არ ყოფილა მხოლოდ ამერიკული ტრაგედია, ის მთელი სიმწვავეით აღიქვა და საკუთარ ტკივილად მიიღო მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ. მართალია, მანკეტენის ტყუები ამერიკის სიამაყე იყო, მაგრამ მრავალი ადამიანისათვის ძალიან ძნელი აღმოჩნდა იმის დაჯერება, რომ, რაც იმ დღეს ტელევიზიით გადმოიცემოდა, რეალობა იყო და არა მძაფრსიუეტიანი ფილმი. თავისთავად გაჩნდა მრავალი კითხვა, მათ შორის კი ერთი ასეთი, როგორ უნდა იცხოვროს თანამედროვე მსოფლიომ? შესაბამისად ხელოვნებაშიც გაიჟღერა ამ პრობლემამ.

შ. იათაშვილის პოემის სათაური, „მიმართულება“, უკვე გვაფიქრებინებს მისი პერსონაჟების ცხოვრებისეულ მიმართულებაზე. აქ მხოლოდ სამი მოქმედი პირია, შესაბამისად მათი არსებობისა და თვითმყოფობის ორიენტირიც სამად იყოფა და იქმნება ე.წ. ლიტერატურული სამაგანოზომილებიანი სივრცე. ავტორი მიმართავს მითო-პოეტური კულტურისათვის უკვე აღიარებულ მოდელს, სამყაროს განფენას სამ სენელს შორის, რაც შესაბამისი მახასიათებლებით წარმოიდგინება.

„მიმართულების“ პერსონაჟები არიან ქართველი გოგონა ცირა, მარადიული აპასფერის არქეტაპის ჰიპოსტასური გამოვლენა; მეოცნებე, რომანტიული ნატურისა და ცხოვრების სტილისა (ქართული ხასიათი). ამერიკელი პიტერი, პრაგმატული ნატურის ადამიანი, მეგაპოლისის მკვიდრი და მუსა, - მაჰმადიანი პილოტი, ფანატიზმის დოქტრინით გატაცებული; ეს არის ერთ დროს ერთიანი, მაგრამ

ასლა დაშლილი და დანაწევრებული სამყაროს სამი ნაწილი. რომელთა გადაქცევა კვლავ ერთიან მთელად უკვე გვიანია, მაგრამ პოემა, რაგინდ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, გვთავაზობს ამ სამი განზომილების ერთ არსად გადაქცევას. ამის თქმის უფლებას პოემის დინამიკა გვაძლევს. ავტორი თხრობას ქართველი ქალიშვილის ამბით იწყებს. ცირა - მეოცნებე მგზავრი, მარადიულად მოარული, ვერც კი ამჩნევს, რომ ადგილებს იცვლის და ქალაქიდან ქალაქში დადის, რადგან ბავშვობის დროინდელმა მძაფრმა სინამდვილემ (მეგობრის სიკვდილმა) გარიყა იგი ხმა სოფლისაგან და ზეცაში აახედა. მისი მიმართულების ვექტორი ყოველთვის ქვემოდან ზემოთ მისწრაფვის. რადგან ის მუდმივად მაღლა მხედველია. სამყაროზე წარმოდგენა მხოლოდ იმის მიხედვით აქვს, რასაც უყურებს, ესენია: - *„ცაში ღრუბლები, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ანგელოზები, ჩიტები და თვითმფრინავები“*. ამ ჩამონათვალში ზეცის ჩვეულებრიობას ორი რამ ემატება: ანგელოზები, - სულის საუფლოს, ღვთაებრივი არეალის ბინადარნი და თვითმფრინავები, - ადამიანის გონის განვითარებისა და ნაღვანის შედეგი. ე. ი. ზეცა ცირასათვის ერთდროულად არის ხილული სივრცის, არახილული სამყაროსა და მიწიერი ცხოვრების ნაერთი.

მიწიერი ყოფა სიზმარივით შემორჩენია მის მახსოვრობას. მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება წააქციონ, ლანძღონ, ბოდიში მოუხადონ და ა. შ. გოგონასათვის არაფერი იცვლება, ავტორის რეპარკა, რომ ცირა „დადის, ქალაქებს იცვლის“ თხრობაში უფრო საჩინო ხდება. ცირა ზეცის ბინადარია, უბრალოდ ის მიწაზე მხოლოდ ფიზიკურად მყოფობს, ხოლო მისი მსოფლშეგრძნება, ასტრალური სხეული და გონითი სამყარო მხოლოდ ზეცასთან ერთად მოიაზრება. ეს არის ერთგვარი სტატუს-ქვო ამ პერსონაჟისათვის. თუმცა ცირა არ არის მთლად მოწყვეტილი მიწას, რადგან ოცნებობს სიყვარულზე, როგორც მოულოდნელობაზე, მისი ვიზუალური გამოხატულებაც კვლავ ზეცას უკავშირდება. მაგალითად, „დაუფერებლად ახლოს სახესთან შავი ღრუბელი ჩამოეფარა - მერე მიხვდა, გრუსათმიანი ბიჭის თავი იყო ეს ღრუბელი, ტუნებზე რომ დააკვდა“, ე. ი. მიწის შეგრძნება, მისი აღქმა და მიწიერთან ურთიერთობაც ცირასათვის ზე-ციური საზომებით განისაზღვრება.

ეს პერსონაჟი არის სამყაროს განფენის სპეციფიკური ნიშნით აღმქმელი ადამიანი და ის ფიზიკურად ცხოვრობს მიწაზე, თორემ სინამდვილეში ზეცის მკვიდრია. მაშასადამე, ერთიან მთელში იჭერს ერთი განზომილების ადგილს, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ქვემოდან - ზემოთ. ასლა ვნახოთ იმავე მთელში რა ფუნქცია აქვს პიტერს. ეს არის ახალგაზრდა ამერიკელი მამაკაცი, ყოველთვის სიმაღლეზე (პირობითად ზეცაში) მყოფი, მაგრამ პიტერი ვერ შეიგრძნობს ზეცის ატრიბუტიკას, ის არც მისი ბინადარია, მისი მაღლა ყოფნა მხოლოდ ვიზუალურია, მატერიალური და არა სულისმიერი. პიტერის

მზერა მუდამ დაბლაა მიმართული, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, ესენია: უნდობლობის ფაქტორი (არაა სანდო ფეხისქვეშეთი), გამოყენებითი, პრაგმატული დასოკიდებულება (როცა დაბლა იყურები, პირტმონეს იპოვი); ფიზიკური ფაქტორი (მაღალია პიტერი, ყველას ზემოდან დასცქერის). თუმცა ამ ნიშნიდან არ გამომდინარეობს ამპარტაუნება. სწორედ ამდაც, ნაცვლად იმისა, რომ პოემის მეორე პერსონაჟი ცირას (ანუ რომანტიული მყოფობის) ოპოზიტად (პრაგმატული მყოფობა) წარმოადგეს, მას ემსგავსება ძიების სურვილით.

ცირა დადის დედამიწაზე და მისტიკურს ეძებს ცაში. პიტერი აღის ცათამბჯენის 92-ე სართულზე და მიწისაკენ იცქირება, მისი მზერის ვექტორი ზემოდან ქვემოთ მიისწრაფვის, ისიც ქვეცნობიერად მისტიკურს ეძებს მიწაზე. პიტერი მოიაზრება უნივერსუმის მეორე განზომილებად (ზემოდან - ქვემოთ).

სამყარო რომ ერთიანი გახდეს, არაა საკმარისი ორი ვექტორული მიმართულება. მათი გამჭვალავი მესამე მიმართულებაც, რომელიც ჰორიზონტალურია და მაჰმადიანს, ტერორისტული ჯგუფის წევრს, პილოტ მუსას უკავშირდება. მისი აზრით, *„ცხოვრებას, სიყვარულს, მშობლებს, სიკდილს პირდაპირ უნდა უყურო. არ არის ახლა პოეზიის ანდა პრაგმატიზმის დრო“*. მუსასთვის *„სიმამაცის“* ჟამი დამდგარა, მან *„სიმართლე“* უნდა დაამკვიდროს, ეს კი აუცილებლად ცათამბჯენის თვითმფრინავით გაბურღვით უნდა გააკეთოს. ამას უკავშირდება ისიც, რომ საბედისწერო ნაბიჯის წინ მუსა ლოცულობს. ტერორისტი აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ ის ღმერთის საქმეს აკეთებს. მუსა არის ერთიანი სამყაროს მესამე განზომილების ჰორიზონტალური ვექტორი. თითქოს ეს დაუშვებელია და პარადოქსულად უღერს, თუმცა პოეტი სწორედ ამისკენ მიისწრაფვის, რომ როგორმე მესამე ნაწილის მიერ დარღვეული სამყარო გაამთლიანოს.

დაუბრუნდეთ ისევ ცირას, რომლის თვლებიდან წასულმა ენერგეტიკულმა ველმა მოძებნა მკვეთი წერტილი პიტერის შემეცნებაში. ამერიკელი ინტუიციით გრძნობს, რომ ეს მისი დიდი ხნის ნანატრი ქალია. ამიტომ უქნევს ხელს აივნიდან, ემუდარება მოიცადოს და არ წავიდეს. მისგან წამოსული საპასუხო რეაქცია მიმართულებას იცვლის და გადადის მუსას მსოფლმეგრძნებაში. რადგან ტერორისტი თუ აქამდე დაპროგრამებული ობიექტია, პიტერის ხელის დაქნევისა და ჰაეროვანი კოცნის შემდეგ ადამიანად იქცევა, მას უკვირს რატომ უგზავნის მტერი ჰაეროვან კოცნას, მას ახსენდება თავისი მშობლიური გარემო, ოჯახი, თუმცა მუსაში კვლავ ბრუნდება დაპროგრამებული პირდაპირობა და თვითმფრინავს დიდი სვეტისაკენ მიმართავს...

წამებული კაცობრიობის (*„მართლა არსებობს ცისქვეშეთი“*) და მაცხოვრის ჯვარცმის (*„ხელისუფლებაში და ტერფებში წერილი ქუხლები ჩაასეს“*) აღუზირებით ავტორი ცირას შეგრძნებაში რეალობას შეუშვებს, როგორც მკაცრ სინამდვილეს,

რადგან აქამდე მიწის უგრძობი გოგონა, ამჩნევს როგორ იცვლის ქალაქებს. პიტერი ეძებს ცირას და ვერ პოულობს, თუმცა მათი ენეაგეტეკული ველები კვლავ ერთდებიან. მუსა კი კვლავ განაგრძობს ფიქრს საიქიოში: *რად დაუქნა დურბინდიანმა კაცმა ხელი, ან კოცნა რატომ გამოიწვია?* დამლილი სამყაროს ფიზიკური გამოვლენა - მანკეტენის *„ტყუებების“* ჩამოქცევა, შემადრწუნებელ ტრაგედიას ქმნის, რადგან აღწერა ცირას ხედვითა და შეგარძნებით ხდება:

ერთხელ ზუსტად ერთნაირი ორი სვეტი დაინახა გვერდივერდ.

გაშეშდა, ასცქერის ამ ორ უცნაურ სვეტს...

მერე თვითმფრინავს მოჰკრა თვალი, გაუხარდა ცირას.

თვითმფრინავი ხომ ცის მშენებაა, ცის ბინადარია,

იქ უნდა იყოს ჩიტებთან და ანგელოზებთან ერთად.

გააყოლა თვალი თვითმფრინავს და

შევიდა თვითმფრინავი სვეტში, დიდმა შუქმა იელვა,

ჩამოსრიალდა დაბლა სვეტი, გაქრა..."

დაირღვა კოსმიური წესრიგი, როგორც მიწაზე, ისე ზეცაში. ავტორი ცირას შემეცნებაში გვახედებს, თითქოს ორი სვეტი ცირასთვის უცნაურობა და ალოგიკურობაა, თვითმფრინავი კი ორგანული ნაწილია. მაგრამ ის, რაც *„ანგელოზებსა და ჩიტებს შორის უნდა იყოს“*, ქმედებს სატანის ხელით, რადგან ნადგურდებიან ადამიანები, მათთან ერთად მათი ოცნებები, ფიქრები, მთელი ცხოვრება. ამ ფაქტის შემდეგ ცირა ველარ არის ისეთი, როგორიც იყო, არც პიტერია ძველებურად პრაგმატიკოსი და აღარც მუსა - ტერორისტი. რადგან ახალგაზრდა ამერიკელი ცირას სახით მარადიულ სიწმინდესა და სიყვარულს დაეძებს. მუსა კი, რომელიც ისე გაზარდეს, რომ საიქიოში სულის ცხონებისათვის შემზარავ ტერორზე დათანხმდა, ნაცვლად იმისა, რომ განისვენოს, მისი აბორგენული სული კი არ ნეტარებს მიღწეულით, არამედ ამერიკელის მეგობრულ ჟესტზე შემფოთებულა.

აქედან გამომდინარე, პოემა უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ *„ტყუებების“* ჩამოქცევა, - სამყაროს მეტაფიზიკური მთლიანობის დაშლა, - იქცევა ათვლის წერტილად, საიდანაც კაცობრიობის ნებელობისა და მსოფლშეგრძნების ვექტორთა ნარეგვარობა ერთ მიმართულებად უნდა იქცეს, რის შედეგად სამყარო დაიბრუნებს სამგანზომილებიან მთლიანობას. რაც ზოგადად დამახასიათებელია სამყაროს უნივერსალური, ჰარმონიული არსებობისათვის.

ბამოყენებული ლიტერატურა:

¹ იათაშვილი შ., მიმართულება, ჩვენი მწერლობა, X, 2003, გვ. 24-30.

ZEINAB KIKVIDZE

Akaki Tsereteli State University, Assist. Prof.

SUMMARY

**THE SEPTEMBER 11 TRAGEDY AND
THE TRI-DIMENSIONAL SPACE
IN SHOTA IATASHVILI'S POEM "DIRECTION"**

The history of international relations of Georgian literature has been associated with the nation's diplomacy; the contemporary life and diplomacy have directed Georgia's glance towards the USA. Gradually, the continent on the other side of the Atlantic and events associated with it tended to show up in Georgian literature. The September 11 event was not only an American tragedy; it was fully perceived and internalized by the whole civilized world. Hence, the question emerged: how should the contemporary world live? The very title of Sh. Iatashvili's poem makes us think about the ways of life of its characters. It has only three figures; hence, the orientation of their being has been divided into three, and thus there is the so called tri-dimensional literary space. The characters of *Direction* are: Tsira, a Georgian girl, a hypostatic variety of the archetype of eternal Ahasfer, Peter, American, a man of pragmatic nature, and Mussa, a Muslim pilot. They are the three parts of the once integral, but now disintegrated world.

The energetic field, coming from Tsira's eyes, found a salient point in Peter's cognition. The response, emerging from him, diverts and penetrates into Mussa's world sight, as far as, whereas the terrorist has so far been a pre-programmed object, after Peter's wave and blow kiss, he becomes a human. He remembers his homeland, family; however, the pre-programmed straightforwardness returns to Mussa, and he directs the aircraft to the high column. The cosmic order was demolished both on earth and in the sky. The author lets us look into Tsira's cognition: two columns seem queer and illogical for the sky, while an aircraft is an organic part; however, what 'should be between angels and birds', has been activated by Satan, because humans perish, and their lives together with them. Following what has happened, Tsira is not the same, as she used to be; Peter too is no longer that pragmatic, and Mussa that terrorist. The is because the young American man seeks eternal purity and love in Tsira, while Mussa, having been brought up so that he agreed to participate in that terrorist act for the sake of getting in Heaven, instead of resting in peace, his raging spirit does not enjoy felicity, rather he thinks about the American's friendly gesture.

The poem allows to assume that the destruction of "the Twins" - the dissolution of the metaphysical integrity of the Universe - will become a starting-point from which the diversity of the vectors of the mankind's volition and world perception should turn into a single direction, as a result of which the world will regain the tri-dimensional integrity.

ნესტან კუტიჯაპე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შერგულ ანდერსონის ბროტმსკული აღამიანი და მიხეილ ჯავახიშვილის პროზა

XX საუკუნის დასაწყისი მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი პერიოდი აღმოჩნდა როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საზოგადოებრივი თუ სოციალ-კულტურული განვითარების თვალსაზრისით. მსოფლმხედველობრივმა ცვლილებებმა შემდგომი პერიოდის მრავალი საყურადღებო მოვლენა განაპირობა და იგი მოიცავდა არა მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებშიც ფორმაციათა შეცვლის ურთულესი პროცესი მიმდინარეობდა, არამედ იმათაც, რომლებშიც სოციალური და ეკონომიკური განვითარების ახალი პერსპექტივები იკვეთებოდა. ამ თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავებული პროცესები მიმდინარეობდა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. თითოეულ ქვეყანაში ობიექტური რეაქციები ქმნის სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურსა და საზოგადოებრივ ვითარებას, აღამიანის სულიერი ყოფის პერიოდები კი ყოველთვის კვეთს ამ კონკრეტულობის საზღვრებს და ინდივიდუალურთან ერთად ყოველთვის აქვს მსგავსი, საერთო მისწრაფებები, რასაც ეროვნულ-ინდივიდუალური სახეცვლილებით ასახავს მხატვრული ლიტერატურა. ჩვეულებრივი რიგითი აღამიანებისათვის საყოველთაო ცვლილებების ეპოქა გაცილებით უფრო მძიმე და რთულია, რთულია ყველგან. ჩვენ შევცდებით XX საუკუნის თვალსაზრისით მწერლების შერგულ ანდერსონისა (1876-1941) და მიხეილ ჯავახიშვილის (1880-1937) შემოქმედების მაგალითზე ვაჩვენოთ საზოგადოებრივი ძვრების თანმდევი ერთი პრობლემის ლიტერატურული გააზრების თავისებურებანი.

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების შესწავლა ევროპული ლიტერატურის კონტექსტში უკვე კარგა ხანია ინტერესს იწვევს. საყურადღებო სტატიები დაიწერა როგორც მ. ჯავახიშვილისა და გი დე მოპასანის პროზის ურთიერთმიმართების, ისე სხვა საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა ამერიკულ მწერლობასთან „ჯაყოს ხიზნების“ ავტორის შემოქმედების მიმართების კვლევა. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ მ. ჯავახიშვილს რამდენიმე მიმოხილვა აქვს დაწერილი XX ს. დასაწყისის ამერიკის სოციალურ საკითხებზე.

XX საუკუნის დასაწყისის რიგითი ამერიკელების პრობლემებს ასახავდა თავის ნოველებსა და რომანებში შერგულ ანდერსონი. როგორც ცნობილია, მწერალმა წარმატებას ფსიქოლოგიური ნოველის ჟანრში მიაღწია. მან თავის ნაწარმოებებში აქცენტი სიუჟეტის სტრუქტურულიდან უმწეო, ცხოვრებისაგან დაღლილი, სულიერად

გატეხილი ადამიანების განცდების აღწერაზე გადაიტანა. უაინსბურგი არის ის გამოგონილი ადგილი, სადაც ცხოვრობენ ეს საზოგადოებისაგანაც და ერთმანეთისაგანაც გაუცხოებული ადამიანები, რომლებსაც თავი ილუზორული, იდეების სამყაროსათვის აქვთ შეფარებული. ერთი შეხედვით, რჩება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი მათი არაპრაქტიციზმის შედეგა და არა იმ გარემოსი, რომელშიც ცხოვრობენ. მაგრამ, ფაქტობრივად, უაინსბურგის სინამდვილე XX საუკუნის დასაწყისის ამერიკის ყოფის ნაწილია.

საყურადღებოა ერთი მომენტიც. პრობლემის სათავეს მწერალი უხსოვარ დროში ხედავს. ეს კი მინიშნებაა იმაზე, რომ ადამიანისა და გარესამყაროს მიმართების საკითხი მარადიულია და ყოველ დროში შეიძლება სხვადასხვა სიმწვათ წამოიჭრას.

შერუდ ანდერსონის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კრებული "უაინსბურგი. ოპიო" (1919) იწყება ნოველით "გროტესკების წიგნი", რომელშიც ავტორი განსაზღვრავს ადამიანთა გარკვეული ნაწილისათვის დამახასიათებელ ზოგად ნიშან-თვისებებს და ამ თავის გამოვლინებაში მრავალფეროვან მოვლენას ერთ სახელს - გროტესკულს - უწოდებს.

"გროტესკების წიგნი" მთავარი გმირი პროფესიით მწერალია, ამდენად, ბუნებრივია, რომ მას მრავალი შეხედულება დაუგროვდა, ბევრ ადამიანს შეხვდა და კარგად გაიცნო მათი სულის ყველაზე დაფარული შრეები. თავად მის ქვეცნობიერში ცოცხლობს მათ აჩრდილთა მთელი გალერეა. თითოეული მათგანი განსხვავებულია: ზოგიერთი საზიზღარია, ზოგი მახინჯია, ზოგი მშვენიერიც კია, მაგრამ ყოველი მათგანი გროტესკულია. სწორედ ესაა ის საერთო, რაც მათ აერთიანებთ, რაც მათი საზოგადოებისაგან გაუცხოების მიზეზიცაა და შედეგიც ერთდროულად. ესენი არიან წარუმატებელი, ყოველდღიურობასთან ბრძოლაში დაღლილი, სულიერად გატეხილი ადამიანები. მათი წარმოშობა კი, მწერლის აზრით, განაპირობა იმან, რომ ოდესღაც ერთი მთლიანი ჭეშმარიტება ნაწილებად დაშალეს, ცალ-ცალკე დაეპატრონენ ამ ნაწილებს და ჩათვალეს, რომ უმთავრესი სწორედ ის იყო, რაც თითოეულს გააჩნდა და შეეცადნენ სიმართლის ეს ცალკეული ნამცეცი გაეხადათ საყოველთაო ჭეშმარიტებად, რამაც თავად ისინი გროტესკულ ადამიანებად აქცია, ჭეშმარიტება კი - სიყალბედ. ანდერსონი თვლის, რომ ჩვეულებრივი ადამიანების უმრავლესობა გროტესკულია. მათი სული დანაწევრებული და დაშლილია. დარღვეული ცნობიერების მატარებელნი კი ვეღარ პოულობენ საკუთარ თავში წინააღმდეგობის გადალახვისა და წარმოსახულის განხორციელების ძალას, რაც არ შეიძლება მხოლოდ პიროვნული თავისებურებებით იყოს გამოწვეული.

საეცილისტთა აზრით, "უაინსბურგი" ასახული არსებობის ტრაგიზმი, რომელიც ადამიანებს "გროტესკებად" აქცევს, განპირობებულია ამერიკის სოციალური

განვითარებით, სადაც ამოსავალ პრინციპად მიჩნეულია ინდივიდუალიზმი, რასაც შეიძლება მოჰყვეს საშვიროება პიროვნების განვითარების შედეგებით, რომლებიც მას მარტოობისა და გაუცხოებისათვის წირავს".¹

გაცილებით უფრო რთული სახელმწიფოებრივი თუ სოციალურ-საზოგადოებრივი კატაკლიზმების წინაშე დგას XX საუკუნის დასაწყისის საქართველო. მძიმე ისტორიულმა ვითარებამ თავისი დალი დაასვა ამ ეპოქის ადამიანთა ყოფასაც. ქართულ ლიტერატურაში სულიერად გატეხილი, უმწეო ადამიანის მხატვრული სახე კარგად არის ცნობილი და მის ჩამოყალიბებას საინტერესო ლიტერატურული ტრადიციაც გააჩნია, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისის მწერლობაში იგი უმძაფრესი ტრაგიზმით ხასიათდება და მიუღებელი სინამდვილის მხატვრული ასახვის ხერხად გამოიყენება.

„ყოფილი ადამიანი“, „აკაცარი“, „ზედმეტი ადამიანი“ - ასე უწოდებს ამ ეპოქის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი იმ ადამიანებს, რომლებიც „წარსულმა მოატყუა, აწყო აწვალეს, მომავალი ამინებს“. რომანში „გივი შადური“ ავტორი არა მარტო ხატავს მათ, არამედ განაზოგადებს კიდევ მათ საერთო ნიშან-თვისებებს.

ნაწარმოები 1928 წელს გამოქვეყნდა და იგი იმთავითვე მიუღებელი აღმოჩნდა ოფიციალური კრიტიკისათვის სწორედ იმიტომ, რომ ავტორი მასში სულიერად გატეხილი ადამიანის ცხოვრებას აღწერდა, თანაც ხაზს უსვამდა, რომ გივი შადურს მთელი საქართველო იცნობდა, რაც იმასაც მიანიშნებდა, რომ სულიერად გატეხილი ადამიანები საკმაოდ დამახასიათებელი იყო მაშინდელი ყოფისათვის.

გივი შადური გამაერთიანებელი პერსონაჟია, ღერძია იმ ამბებისა, რომელიც ამ ნაწარმოებში ხდება. იგი ერთ დროს იყო „კაცურ კაცი“, თავმომწონე, ამაყი, მაგრამ როცა ჩვენ მას მწერალი გვაცნობს თავს ამგვარად მოიხსენიებს - კაცი - უქმი, რომელმაც დაკარგა ღმერთის რწმენა. დაკარგა მადლი - რბილი ნოხი, გოლგოთის გზაზე დაფენილი“, იქცა ნაკაცარად და სულიერად მოდუნდა, რასაც, მისი აზრით, თავის მოკვლა სჯობია. მაგრამ ვიდრე აქამდე მოვიდოდა „იცხოვრა, იარა, და გაიგო“, ერთ დროს ღონივრადაც ეწეოდა ცხოვრების ტვირთს, თუმცა ბრმა სინამდვილის წყალობით იგი ზედმეტ ადამიანად იქცა. შადური, ავტორის აზრით, „ცხოვრების პარადოქსია და გზასაც პარადოქსებით იმოკლებს“, სწორედ ამ პარადოქსებით აყალიბებს შადური საკუთარი ცხოვრების კრელოს, რომელიც გაჯერებულია როგორც იმ დროის ზოგად მოვლენათა ირონიზირებით, ისე თვითირონიის დიდი დოზითაც. ირონიულია მის მიერ საკუთარი საფლავისათვის შერჩეული ეპიტაფიაც: „გივი შადური - ავარა - Rien Nihil - არაფერი“, - ეს არის, როგორც თავად ამბობს, საკუთარ თავში აღმოჩენილი მარადიულობის წყურვილის დადასტურება, არარაობასთან ბრძოლის გზა.

თავისი არსით გროტესკული და ყოფილი ადამიანიც ერთი და იგივე ხასიათია.

ისინი მნიშვნელოვანი ძვრების, თუმცა თვისობრივად სხვადასხვა გარემოში გამოვლინდებიან, მათი ცხოვრება დამსხვრეულია, ერთნაირად ატარებენ საკუთარ თავში არსებობის ტრაგიზმსა და კომიზმსაც. ამ გარემოს პროდუქტები არიან. როდესაც ასე ვსვამთ საკითხს ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოვლენის ზოგადი არსი და არა ცალკეული ადამიანური ინდივიდუალური გამოვლინება, ასეთი შეიძლება უამრავი იყოს. კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ გაცილებით უფრო მკაცრი განაჩენი ამ ადამიანებს ქართველმა მწერალმა გამოუტანა. მათ მიმართ დროც ასეთივე უღმობელი იყო.

20-იანი და შემდგომი წლების საქართველოს სასტიკმა ისტორიულმა ვითარებამ მრავალი ადამიანი გატეხა სულიერად და ფიზიკურად.

მოვლენის დახასიათების, კონკრეტულ თავდადასავლებში გამოსატყული მწერლის თანაგრძნობის იქეთ აუცილებლად უნდა გამოჩნდეს გამოსავალი. რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ იგი არ იქცეს გროტესკად, მით უფრო ნაკაცარად.

მიუხედავად იმისა, რომ „უაინზბურგი. ოპიო“ გროტესკულ ადამიანებზე დაწერილი ნოველების კრებულია, მას მაინც ჰყავს ერთი მთავარი პერსონაჟი - ჯორჯ უილარდი. იგი მოქმედებს ან მოიხსენიება ყველა ნოველაში და ასევე გამოირჩევა ყველასაგან, რაც საბოლოოდ იმ გარემოდან თავის დაღწევით სრულდება, რომელიც მასაც გროტესკად გადაქცევით ეშუქრება. „შეგრძნება წიგნის მთლიანობისა იმდენად დიდი იყო, რომ კრიტიკოსებს შორის ჩნდებოდა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „უაინზბურგს“ რომანის ჟანრს მიაკუთვნებენ, ნაწილი კი საუბრობდა ახალ ჟანრზე - „რომანზე ნოველებში“: ცალკეული მომენტები, რომლებიც ქმნიან მრავალსმოვანებას, გასაოცრად გვახსენებს ცხოვრების მრავალფეროვნებასა და სიმრავლეს“, - წერს მ. კორენევა.²

მრავალ ამბავში, ერთ ეპოქაში მცხოვრები მრავალი ადამიანის სვედრში კარგად იკრებიება ერთი სურათი. ამიტომ მოსახერხებელია ცალკეული ამბებით ერთი მოზაიკის შექმნა. ასეთ ხერხს მიმართა მიხეილ ჯავახიშვილმა „გივი შადურშიც“. გივი შადური აერთიანებს იმ ნოველებს, რომლებსაც თავად გვიამბობს. თითოეული ეს ამბავი, ფაქტობრივად, დასრულებული ნაწარმოებია. რომანში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი რამდენიმე ნოველაა შესული, რომელთაც წინ შესავალი უძღვის თავისებური შესავალი განმარტება (უმთავრესად რომანის მთავარი პერსონაჟის, გივი შადურის სადღეგრძელო-აღსარებები), რომლებშიც კონცენტრირებულია როგორც ამა თუ იმ ნოველის ძირითადი პრობლემა, ისე გივი შადურის მხატვრულ-ესთეტიკური, მორალურ-ეთიკური თუ ფილოსოფიური შესხედულებები, რომლებიც მას, როგორც პიროვნებას, აყალიბებენ“, - წერს ნუგზარ შავგულიძე.³

მკვლევარი თვლის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ აღსარება-მონოლოგებში იგი თავის თავს ნაკაცარს უწოდებს, „გულის სიღრმეში ისევ სულიერად გაუტეხელი,

სულიერი მოღონების წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანად გვევლინება" და მისი რჩევა - "სულიერ მოღონებას ისევ თავის მოკვლა სჯობია" მის შინაგან სიმტკიცეზე მიგვანიშნებს. ცოტა რთულია შადურის შინაგან სიმტკიცეზე საუბარი, რადგან, ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოსავლის ძიებაში უნდა გამოიხატებოდეს და არა ბედთან შეგუებაში, მაგრამ პროტესტის პათოსს გივი შადურის ირონიული აღსარებები და მიმართვები აშკარად ატარებს. და მინც, სადაა გამოსავალი შადურისათვის? საკუთარი შეცდომების აღიარებაში, აწმყოს გააზრებასა და მომავლისაკენ მხურაში. ესაა მისი გამოცდილება, რომელიც, მაგალითად, და ამავე დროს, გზადაც უნდა იქცეს სხვებისათვის. "ალაღი სული, წრფელი გული შეინახეთ და მუდამ იცინეთ, იხარხარეთ, იჭიხინეთ. მთელი ქვეყანაც რომ დაინგრეს, ნუ იდარდებთ, რადგან პირველი ბირთვი - სიხარული - მოკლე ხანში ახალსაც ააშენებს, ხოლო შავი კუშტი სამოთხესაც ჯოჯოხეთად აქცევს", - ასე არიგებს შადური ახალგაზრდებს.⁴

გროტესკად ქცევას შერეულ ანდერსონის მოხუცი მწერალიც ("გროტესკების წიგნი"), იმის წყალობით გადაურჩა, რომ მის ოცნებაში მუდმივად ცხოვრობდა გაუზზარავი სულის მქონე ახალგაზრდა, ამიტომ ინარჩუნებდა სულიერ სიწმინდეს, რაც, როგორც უილიამ ფოლკენერი იგონებს, საერთოდაც იყო ანდერსონის უმთავრესი მიზანი მთელი ცხოვრების განმავლობაში.

საკუთარი უსუსურობისა და უღონობის შეგრძნება მ. ანდერსონისა და მ. ჯავახიშვილის პერსონაჟებს ერთნაირად აწვალვებთ, მაგრამ მათთვის ძნელია რალაცის შეცვლაზე პასუხისმგებლობის აღება. ჯორჯ უილარდი თავს გაქცევით ვეულის, ის არ ეგუება მიუღებელ გარემოს.

ქართველი მწერლისათვის ამგვარი გამოსავალი ფაქტობრივად არ არსებობდა. "მე თამბაქოს ფოთოლივით დავჭკნი", - აბობს გივი შადური და აღარაფრის შეცვლას აღარ ცდილობს თავის ცხოვრებაში. ანდერსონის გროტესკული ადამიანისათვის დამახასიათებელ უმთავრეს ნიშნებს ატარებს თეიმურაზ ხვეისთავის მხატვრული სახეც. მ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო რომანის "ჯაყოს ხიზნების" მთავარი გმირი არამარტო გაუცხოებულია ყველასაგან, უნიათო და უსუსურია, არამედ შეურაცხყოფილიცაა და დამცირებულიც. ხვეისთავი გივი შადურისაგან განსხვავებით თვლის, რომ იგი შეიძლება გაღუნონ, მაგრამ სულიერად ვერ გატეხავენ. ერთადერთი, რასაც ხვეისთავი ინარჩუნებს, ეს ღვთის რწმენაა, ფაქტობრივად, მომავლის რწმენაა, როცა ის კვლავ შეძლებს ემსახუროს თავის ხალხს. საკუთარი უმწიობის ხატია თეიმურაზ ხვეისთავი, ცინიკურად და დაუნდობლად დახატული, ავტორის მიერ თავისი თავისადმი გამოტანილი უღმობელი განაჩენი, რათა ასე გაესრისა უმწიობის კომპლექსი", - თვლის სოსო სიგუა,⁵ რომელსაც "ნაკაცარების" თემა ქართულ ლიტერატურაში ქართული ლეკადანსის ნაწილად მიაჩნია, ხოლო მ. ჯავახიშვილის მიერ ამ პერსონაჟის შექმნა - ეპოქის კარნახად.

როგორც ცნობილია, ლიტერატურული გროტესკი თავის თავში მოიცავს ჰიპერბოლიზებას, გადაჭარბებას, სატირას, ირონიას, რეალურისა და არარეალურის, მშვენიერისა და სიმახინჯის, ტრაგიკულისა და კომიკურის ერთიანობას. მას მიმართავდნენ ყველა ეპოქაში სხვადასხვა მიმდინარეობის მწერლები. ამ ნიშნებს ატარებენ შერვუდ ანდერსონის გმირებიც, ჩვეულებრივი ადამიანები, როგორც მათ მწერალი უწოდებს.⁶

უტრირების უჩვეულო ხელოვნებით, ირონიზმის მომაკვინებელი გამოყენებითა და ქართული სატირის ტრადიციათა გაძლიერებით მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ გ. კანკავას გროტესკული რეალიზმის მეთოდით შესრულებულ ნაწარმოებად მიაჩნია.⁷

სწორედ ლიტერატურული პირობითობის, გაზვიადების წყალობით ამ ადამიანებს, როგორც წესი, მკვეთრად აქვთ ჩამოყალიბებული ინდივიდუალური ნიშან-თვისებები, რაც, ერთი შეხედვით, გვაფიქრებინებს, რომ მათი პროფნული ხასიათი ქმნის მათსავე ტრაგედიას და არა გარე ფაქტორები. ამგვარი მოსაზრება არსებობს როგორც შერვუდ ანდერსონის, ისე მიხეილ ჯავახიშვილის მიერ დახატული პერსონაჟების მიმართ, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა უმართებულოდ მიიჩნევს ამ შეხედულებას. სწორედ სოციალურ-საზოგადოებრივი თუ სხვა ვითარებით გამოწვეული კრიზისი ქმნის იმ გარემოს, რომლის პროდუქტადაც ეს უნიათო, ილუზიათა ტყვეობაში მყოფი, უპერსპექტივო ადამიანები წარმოგვიდგებიან.

საზოგადოებაში პიროვნების ბედს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თავად ამ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების ხასიათი და სიძიძივე; ფიქრობთ, არსით გროტესკული და ზედმეტი ადამიანი (ნაკაცარი, ნაადამიანევი) ერთ მოვლენას გამოხატავს - გარკვეული სოციალური და საზოგადოებრივი ვითარების გამო გატეხილ, უსუსურ არსებას, რომელმაც ვერ შეძლო სინამდვილესთან გამკლავება. და რადგანაც XX საუკუნის ქართულ მწერლობაში ეს ტიპი უმწვავესი კლასობრივი დაპირისპირების ფონზე ჩამოყალიბდა, უფრო მეტად სარკასტული და ირონიული შეფერილობა შეიძინა, ვიდრე ანდერსონის გროტესკებმა, ზოგიერთი მათგანი მწერალს მშვენიერად და მიმზიდველადაც რომ წარმოუდგება.

გამოყენებული ლიტერატურა:

¹ M. Korpeneva, Sherwood Anderson, Selected Short Stories, M., 1981; стр. 11.

² იქვე, გვ. 13.

³ ნ. შაგვულიძე, ჩანჩურადან არსენამდე, თბ., 1988, გვ. 84.

⁴ მ. ჯავახიშვილი, თხზულებანი რვა ტომად. ტ. III, თბ., 1973, გვ. 18.

⁵ ს. სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002, გვ. 236.

⁶ Sherwood Anderson, Selected Short Stories, M., 1981, p. 27.

⁷ გ. კანკავა, ლიტერატურული წერილები, თბ., 1985, გვ. 12.

SUMMARY

**SHERWOOD ANDERSON'S GROTESQUES AND PROSE
WORKS BY MIKHEIL JAVAKHISHVILI**

The beginning of the twentieth century appeared to be an important period worldwide in terms of political as well as social-cultural development. However, the processes were radically different in Georgia and in the United States of America. Objective realities create specific social situation in each country though human's spiritual existence can always get over this peculiarities and together with individuality they always have common aspirations. In the example of the creative works of Sherwood Anderson, 20th century outstanding American writer and Mikheil Javakhishvili, well-known Georgian prosaist, the article describes the fate of common people, accompanying problem of great social changes.

With its essence Sherwood Anderson's grotesques and unnecessary man by Mikheil Javakhishvili represent one and the same problem - helpless and weak creature can't resist life due to certain social conditions. However, in the 20th century Georgian literature this character is more sarcastic and ironic than Sherwood Anderson's grotesques. Even more some of them are described as charming and attractive.

მარინე კახალაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერ-თანამშრომელი

მსუ-ს როლი თანამედროვე ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ განათლების სისტემის წინაშე ახალი პრობლემები დააყენა. მაგალითად, რა და როგორ ვასწავლოთ? მაგრამ რა უნდა გავაკეთოთ, როდესაც ცოდნა ძველდება უკვე ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე? რა უნდა ვიღონოთ როდესაც მისი მოცულობა ცალკეული სპეციალობების მიხედვითაც კი იმდენად დიდია, რომ სწავლების არსებითი მეთოდებით მისი დაუფლება პრაქტიკულად შეუძლებელია? სწორედ მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ წარმოშვა შემოქმედებითი პიროვნების აღზრდის აუცილებლობა, პიროვნებისა, რომელიც შეძლებს ახალი ინფორმაციის დამოუკიდებლად აღქმას და შეფასებას, გადაწყვეტილების მიღებას. მან წინა პლანზე წამოსწია ამოცანა - მაღალკვალიფიციური, ცოდნის გარკვეული დარგის სპეციალისტის, პროფესიონალის მომზადების შერწყმა ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებლობასთან. პრობლემები ეფექტიანობის სხვადასხვა ხარისხის მიხედვით ყოველ საზოგადოებაში თავისებურად წყდება. უცხოეთის გამოცდილების ყოველგვარი იდეალიზების გარეშე, განათლების დასავლურ სისტემებს თავიანთი ღირსებები აქვთ.¹

ვითვლებით რა მსოფლიოს ნაწილად, ჩვენ არ შეგვიძლია მისი კანონებისაგან განცალკევებით დგომა. პროგრესის თანადგომა და უძრაობისადმი წინააღმდეგობა ყოველი ჩვენგანის ვალია. (ვ. ვეიტლინგი). უკანასკნელი წლების მანძილზე აშშ-მა უდიდესი ნახტომი გააკეთა განათლების, მეცნიერების, ტექნიკისა და ეკონომიკის სფეროში.

აშშ-მა შექმნა მეცნიერებისა და ინჟინრების მძლავრი სკოლა. მას აქვს უფრო მეტი პატენტი, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოს ერთად. წარმატების ფორმულა კი იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედებს მხოლოდ ეკონომიკისა და მართვის მოქნილი სისტემა, შერჩევის საკონკურსო და საკონკურენტო პრინციპი. შემოქმედებითი მოღვაწეობის საყრდენი თანამედროვეობის სამი მთავარი ნიშანია - ნიჭი, უმაღლესი პროფესიონალიზმი და ინტელექტუალური სიძლიერე.

XX საუკუნის პირველი ნახევრიდან დღემდე მნივთვნლოვნად გაფართოვდა და ფართოვდება აშშ-ს საგანმანათლებლო სისტემა. კულტურულმა და ინფორმაციულმა რევოლუციამ იგი მზარდ სიდიდედ აქცია. სწავლა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი გახდა. განათლება კი დაფინანსების

უმსვილესი ობიექტი. აშშ-ს საგანმანათლებლო ინსტიტუტების საქმიანობა მოიცავს მილიონობით ადამიანს. სკოლები რეალურად ამზადებენ ახალგაზრდებს პროფესიული ცხოვრებისათვის. ფართოდაა გავრცელებული კადრების მომზადება მოდელით „განათლება ცხოვრებისათვის“, ანუ „განათლება კარიერისათვის“. ჩვენთან შედარებით აშშ-ს სკოლებში 4-5 წლით ადრე კეთდება არჩევანი. ადამიანი ვალდებულია, რომ რაც შეიძლება ადრე გაიაზროს ცხოვრება, აირჩიოს გზა და იგრძნოს პასუხისმგებლობა მომავლის წინაშე. ეს არა მხოლოდ დროის მოთხოვნაა, არამედ პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაც.

აშშ-ს განათლების სისტემის გარდასაქმნელად მნიშვნელოვანი ძვრები ხდება. ეს გასაგებიცაა, რადგან დღეს სპეციალისტი ვალდებულია ფლობდეს ურთულეს კომპიუტერულ პარტიტურას.

ცვლილებები განათლების სისტემაში ყოველწლიურად საგრძნობი ხდება. საქმის წარმატება თუ წარუმატებლობა უპირველეს ყოვლისა, ნიჭსა და პროფესიონალიზმის დონეზეა დამოკიდებული. ისინი მთელ ქვეყანაში ეძებენ პედაგოგ-ენთუშიასტებს საინტერესო და ნაყოფიერი იდეებით. სწავლების ხარისხის ამაღლება დროის მთავარი ამოცანაა. გაძლიერებულია ყურადღება მასწავლებელთა მომზადების მხრივ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. მიღებულია სკოლებში სამეცნიერო ხარისხის მქონე პროფესიონალების მოსვლა.

აშშ-ში სკოლები და სასკოლო ოლქები დამოკიდებულნი არიან: სკოლის ბედი, მასწავლებელთა შერჩევა, მისაღები პროგრამები, სწავლის პროცესი განისაზღვრება ადგილობრივი საბჭოების (ხელისუფლების) და არა ცენტრალური უწყებების მიერ. ასე რომ, აშშ-ში შტატისა და სასკოლო ოლქის ხელისუფალნი თვითონ წყვეტენ რა და როგორ ასწავლონ, რაც სკოლის მოქნილი მუშაობის შესაძლებლობას იძლევა. XXI საუკუნემ მასობრივი უმაღლესი განათლება მოითხოვა. იგი აუცილებლობად იქცა. მილიონობით ადამიანი თავის იმედებს მას უკავშირებს.

აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებში აბიტურიენტთა შერჩევა კონკურსის საფუძველზე ხდება. სტუდენტებს ეძლევათ სესხი, კრედიტი, სტიპენდიები. მსგავსად ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების შესაბამისად 2005 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები ჩატარდა ცენტრალიზებული წესით. გამოცდები ჩატარდა რეგიონალურ საგამოცდო ცენტრებში. საგამოცდო ნამუშევრები გასწორდა „შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში“ უნიფიცირებული შეფასების სქემის მიხედვით. რედაქტორების მიერ შედგა კრებულები სხვადასხვა ჩასაბარებელი საგნებისათვის. თითოეულში მოცემულია საგამოცდო პროგრამა, ტესტის ნიმუშები, შეფასების სქემები და მეთოდური რეკომენდაციები. კრებულმა მეტად საჭირო დახმარება გაუწია აბიტურიენტებს ახალი ფორმატის ტესტური გამოცდისათვის მომზადებაში.²

აშშ-ს უნივერსიტეტები მრავალპროფილიანია (როგორც საბუნებისმეტყველო ისე ჰუმანიტარული მეცნიერებების მხრივ). ამერიკელებს შეუძლებლად მიაჩნიათ ზოგადი განათლება. მათ იციან, რას სწავლობენ და ამიტომ აქვთ მკაფიოდ გამიზნული პროფესიული ორიენტაცია. ჩვენი ზოგადი განათლება კი საკმაოდ ბევრისმთქმელია და სხვადასხვა პროგრამების ფონზე ბევრი ჩვენი სტუდენტი ეუფლება ცოდნას საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში და იმსახურებენ ქებას და მხოლოდ ქებას.

ამჟამად, აშშ-ს მეცნიერების ერთი მესამედი და მეცნიერების დოქტორთა ნახევარზე მეტი დაკავებულნი არიან ფუნდამენტალური გამოკვლევებით. მათი იდეების რეალიზაციისათვის უმსხვილესი ფირმები დიდძალ სახსრებს ხარჯავენ და ასეთი დაფინანსებები ყოველწლიურად იზრდება. ამ მხრივ ჩვენ ნამდვილად ვერ ვიტყვი ბევრს, რადგანაც ზოგჯერ არსებული პროექტები ფინანსდება მხოლოდ ნაწილობრივ, გარკვეული დროით და შემდეგ წყდება, რაც აჭიანურებს საქმის ბოლომდე მიყვანას. მრავლიდან გამომდინარე განათლების სისტემის ამერიკული მოდელის მთავარი ნიშნებია: შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა, კონკურენცია, დიფერენციაცია, სპეციალიზაცია, შესანიშნავი ტექნიკა. ყველა ეს ნიშანი ამ მოდელს სიცოცხლისუნარიანს ხდის.

უკვე რამდენიმე წელია, რაც ქართულ-ამერიკული საგანმანათლებლო ურთიერთობები წარმატებულია ქსუ ფონზე. მაგალითად, 2004 წ. ნოემბერში ქუთაისი-ნიუპორტის საერთაშორისო ასოციაციისა და ქსუ ინგლისური ენის კათედრის ინიციატივით ჩატარდა კონფერენცია: „ბრიტანული, ამერიკული და ქართული კულტურათშორისი ნარკვევები“.³ საუკეთესო მოხსენებათა ავტორების თემები (12) გაიგზავნა ნიუპორტში და მათ მიიღეს ფულადი ჯილდო და სერთიფიკატი. ამ კონფერენციამ კიდევ ერთხელ ცხადყო ახალგაზრდობის მასობრივი მისწრაფება როგორც საკუთარი სამშობლოს, ისე ინგლისურენოვანი ქვეყნების ისტორიისა და კულტურის საფუძვლიანი შესწავლისაკენ.

ქართულ-ამერიკული ურთიერთობის კიდევ ერთი დასტურია 2004 წლის 28-31 ოქტომბერს ქსუ ჩატარებული II საერთაშორისო კონფერენცია ამერიკათმცოდნეობაში - „ამერიკული ლიტერატურა და ქართულ-ამერიკული ლიტერატურული ურთიერთობები“. პროექტი მომზადდა ქსუ საგარეო ურთიერთობათა და განვითარების განყოფილებისა და ამერიკის შესწავლის ცენტრის მიერ, აშშ საელჩოს მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით. გარდა იმისა, რომ წაკითხულ იქნა ბევრი საინტერესო მოხსენება, მოეწყო ექსკურსიები, გაიმართა მანანა დუმბაძის წიგნის „წერილების“ პრეზენტაცია, ქუთაისის სამხატვრო გალერეის ფასადზე გაიხსნა XX საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი მწერლის ჯონ ლოს პასოსის მემორიალური დაფა.⁴

2005 წლის 6-19 აპრილს ამერიკელმა პროფესორებმა ჯეფ რენცმა (სამართლის სკოლა, მონტანას უნივერსიტეტი) და დიანა ბენჯამენმა (ისტორიის დეპარტამენტი, მონტანას უნივერსიტეტი) პროექტის „ამერიკათმცოდნეობა და ამერიკის შემსწავლელი ცენტრის შექმნა ქსუ-სა და თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში“ ფარგლებში ლექციები ჩაატარეს ქსუ სტუდენტებისათვის. ლექციების თემა გახლდათ აშშ-ში რცხოვრები სხვადასხვა ეროვნული და ეთნიკური ჯგუფის კულტურული მემკვიდრეობები და როგორ რეგულირდება მათი თანაცხოვრება ამერიკულ საზოგადოებაში საკანონმდებლო აქტებით. პროფესორმა ჯეფ რენცმა წაიკითხა ლექციები თემაზე: აშშ-ს ადამიანთა უფლებათა დაცვის სამართალი და აშშ-ს კანონმდებლობა ზოგადად“. პროფესორმა დიანა ბენჯამენმა კი - „აშშ-ს კულტურა და ლიტერატურა“. სტუმრებმა ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად 25 წიგნი გადასცეს. პროფ. ჯეფ რენცმა განაცხადა, რომ ეს არის სამწლიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლების გაცვლას ქსუ-ს, თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტსა და მონტანას უნივერსიტეტს შორის. ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ორივე უმაღლესი სასწავლებელი აგზავნის მასწავლებლებს მონტანას უნივერსიტეტში. ისინი ირჩევენ ისეთ საგნებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ამერიკათმცოდნეობასთან. ასევე შეუძლიათ გაეცნონ ისეთ სპეციფიკურ დარგებს, რომლებიც ემთხვევა მათი სპეციალიზაციის სფეროს. მაგ: ჩვენი უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრის თანამშრომელი ქ-ნი ია იაშვილი, რომელმაც სტაჟირება გაიარა მონტანას უნივერსიტეტში, ამერიკათმცოდნეობასთან დაკავშირებულ საგნებთან ერთად გაეცნო ისეთ სპეციფიკურ საგნებს, რომლებიც უნებოდნენ საზოგადოებრივი გეოგრაფიის სფეროს. მან ასევე გენდერთან დაკავშირებული პროგრამაც გაიარა. სტაჟირება გაიარეს ასევე სხვა თანამშრომლებმაც: ი. ცხველიანმა და რ. მიქაუტაძემ. მონტანას უნივერსიტეტი, თავის მხრივ, საქართველოში აგზავნის სპეციალისტებს სხვადასხვა სალექციო კურსის წასაიკითხად. მარშან საქართველოში ჩამოვიდა და ეკონომიკაში ერთთვისანი სალექციო კურსი წაიკითხა პროფ. ჯეფრმა.⁵ წელს კი, 2006 წ. ოქტომბრის თვეში, გეოგრაფიის კათედრას სტუმრობდა ქრისტიან ფონ რაიპერტი, რომელმაც საინტერესო ლექციები ჩაატარა.⁶

2005 წლის 29 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის დეპარტამენტის დოცენტი, ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორი, ბატონი ვახტანგ ამაღლობელი მონაწილეობდა ჰარვარდის უნივერსიტეტის ცენტრალური ვერაზიისა და კავკასიის პროგრამასთან არსებული ცენტრალური ვერაზიის შემსწავლელი საზოგადოების მიერ ორგანიზებულ მეექვსე საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში, რომელიც ჩატარდა აშშ-ში, ბოსტონის, უნივერსიტეტში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 35-მდე ქვეყნის წარმომადგენელი. მუშაობდა 60 სექცია სამი ძირითადი მიმართულებით:

ისტორია, კულტურა, და სოციალური მეცნიერებები. ბ-ნმა ვ. ამაღლობელმა კონფერენციაზე წარადგინა მოხსენება - დოს პასოსი და მე-20 საუკუნის 20-იანი წლების საქართველო", რომელშიც განხილული იყო ამერიკელი მწერლის საქართველოში მოგზაურობის ამასველი ჩვენთვის დღემდე უცნობი პუბლიცისტიკა. აღნიშნული კონფერენცია მეტად ნაყოფიერი გამოდგა ბ-ნი ვახტანგ ამაღლობელისათვის - იგი გახდა ცენტრალური ევრაზიის შემსწავლელი სამეცნიერო საზოგადოების წევრი; დაამყარა კონტაქტები ახლადგაცნობილ უცხოელ კოლეგებთან.⁷

საინტერესო იყო გასულ წელს პარლამენტის წამყვანი სპეციალისტის, განათლების სამინისტროს მწვრთნელის, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბელა გომელაურის ვიზიტი ქსუ-ში. იგი არის შვიდი საერთაშორისო პროექტის დირექტორი და მონაწილე. იგი ავტორია საქართველოს განათლების შესახებ კანონპროექტისა" (1997). მისი სტუმრობა მიზნად ისახავდა ლექტორ-მასწავლებლებისათვის ევროპული სივრცის საკვალიფიკაციო მოდელის გაცნობას. ყველა ევროპული ქვეყანა მსგავსი მოდელით სარგებლობს. ესაა ერთგვარი ჩარჩო, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებს შეუძლიათ საკუთარი აზრების ჩადება.

ურთიერთობები კვლავ გრძელდება, რისი დასტურიცაა 2006 წლის 3-5 ნოემბერს ჩასატარებელი III საერთაშორისო კონფერენცია ამერიკათმცოდნეობაში - ამერიკული ლიტერატურა და ქართულ-ამერიკული ურთიერთობები".⁸

ჩატარებული კონფერენციები ითვისისწინებს არა მარტო ამერიკული ლიტერატურის, არამედ ქართულ-ამერიკული ურთიერთობების შესწავლას. სწორედ, ესაა ამერიკასთან გადებული ხიდი, სახალხო დიპლომატია, რომელიც საკმაოდ ეფექტურია.

ამჟამად, უნივერსიტეტებს მნიშვნელოვანი როლი აქისრიათ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

ბამოყვანილებული ლიტერატურა:

- ¹ აფციური, დ., განათლების სისტემის ამერიკული მოდელი, სკოლა და ცხოვრება, 1990, №11, გვ. 54.
- ² როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, თბ., 2004 წ.
- ³ გაზეთი ქსუ №9, ნოემბერი, 2004 წ., გვ. 4.
- ⁴ Ibid, გვ. 1.
- ⁵ გაზეთი ქსუ №4, აპრილი, 2005 წ., გვ. 2.
- ⁶ გაზეთი აწსუ №10, ოქტომბერი, 2006 წ.
- ⁷ გაზეთი ქსუ №8, ოქტომბერი, 2005 წ., გვ. 2.
- ⁸ ამერიკათმცოდნეობის III საერთაშორისო კონფერენციის პროგრამა, 2006 წ.

SUMMARY

**THE ROLE OF KSU IN MODERN
GEORGIAN-AMERICAN RELATIONS**

1. The scientific-technical revolution raises new problems before the education system. It forms inevitability of upbringing of a creative person, person who can independently perceive new information and estimate it and make decisions. It puts question of highly trained specialist.

2. The USA is a powerful school of science and engineers.

3. The Georgian-American relations in education share according the examples of Kutaisi Akaki Tsereteli State University.

თამარ ლომთაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ანგლო-ამერიკანოზმები თანამედროვე ქართულში

ხალხებს შორის აქტიური კონტაქტები იწვევს ენობრივ ერთეულთა ერთი ენიდან მეორეში გადატანას. ეს კონტაქტები უფრო მასშტაბური გახდა ახლა, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხე მჭიდრო პოლიტიკურ თუ კულტურულ-ეკონომიკურ კავშირშია ერთმანეთთან.

ქართული ენის ლექსიკურ მარაგში გარკვეული ადგილი უჭირავს ნასესხებ სიტყვებს, რადგან ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს მრავალ ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა.

სხვა ენობრივი სამყაროდან სიტყვათა სესხება ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. პირობითად გამოყოფენ ნასესხობათა სამ ჯგუფს: ა) სრულიად ადაპტირებულს, რომლებიც არაფრით გამოირჩევა მკვიდრი ერთეულებისაგან (კოლეჯი, პლედი); ბ) არაადაპტირებული ენობრივი ერთეულები მკვიდრი ერთეულებისაგან გამოირჩევა ბგერითი, ორთოგრაფიული, სემანტიკური, გრამატიკული ნიშნებით. ისინი ძირითადად უცხო რეალიებს აღნიშნავენ ან სპეციალურ, ტერმინოლოგიურ ლექსიკას განეკუთვნებიან. მაგალითად, ბარბაკიუ, ნოკაუტი; გ) ნაწილობრივი ადაპტაციის დროს სიტყვებს შეიძლება ჰქონდეთ ფონეტიკური ან გრამატიკული თავისებურებები. მაგალითად, ი-ფუძიანი სიტყვები ქართულისათვის დამახასიათებელი არ არის. დღეს სესხების გზით ასეთი სახელების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. ამ რიგის სიტყვების მოზღვავებამ კი მათ წარმოთქმასა და დაწერილობაში სიჭრელე შეიტანა, მაგალითად, ლობი, დისალეი, ბრენდო.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „ქართველი მწიგნობრები არ იდგნენ არასაჭირო პურიზმის პრინციპებზე, საყოველთაოდ გავრცელებულ ტერმინოლოგიას სიამოვნებით იღებდნენ უცხოური ენებისაგან და აგუებდნენ ქართულის სტრუქტურულ-სემანტიკურ ნორმებს“.¹ სიტყვათა სესხების დადებით შედეგში ხომ სწორედ ენობრივი ფონდის გამდიდრება და ენის შინაგანი პოტენციის ამოძრავება იგულისხმება. ენობრივი კონტაქტების დროს ყველაზე ხელშეწყობად წარმოჩნდება ენის გავლენა კულტურაზე. სწორედ ამიტომ იყვნენ დაინტერესებულნი ნეოლინგვისტები ენობრივ კონტაქტთა არა მარტო ლინგვისტური პროცესებით, არამედ ენის გავლენით ცივილიზაციასა და კულტურაზე.

საუკუნეების განმავლობაში ქართული ენა მდიდრდებოდა აღმოსავლურ და

ვეროსებულ ენებთან კონტაქტების შედეგად. ქართული ენის უმდიდრეს ლექსიკურ ფონდში არაერთი სპარსული, თურქული, არაბული, ბერძნული, ლათინური, ფრანგული, ესპანური, იტალიური, პოლანდიური, რუსული... სიტყვა დამკვიდრებულა. აქედან წარმართობასთან დაკავშირებული ლექსიკა, ძირითადად, ძველი სპარსულიდანაა ნასესხები, ქრისტიანობასთან დაკავშირებული - ბერძნულიდან, თურქულიდან უსესხებია ქართულს მესაქონლეობის ლექსიკა, რუსულიდან - საყოფაცხოვრებო, ადმინისტრაციული, პოლიტიკური. აღსანიშნავია, რომ სიტყვათსესხება ქართულში წარმოებდა, როგორც უშუალოდ, ისე შუალობით. შუალობით, რუსული ენის მეშვეობით, განსაკუთრებით ბევრი სიტყვა შემოვიდა ქართულში ფრანგულიდან, გერმანულიდან, ინგლისურიდან XIX-XX საუკუნეებში.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის შემდეგ, განსაკუთრებით დაუბრკოლებლად იკავებენ ადგილს ქართულ ლექსიკურ ფონდში ინგლისური ენობრივი სამყაროდან შემოსული სიტყვები. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა ახლად შემოსული უცხო სიტყვა ინგლისურია! ცალკე დადგენას მოითხოვს რა გზით შემოდის თანამედროვე ქართულში ანგლიციზმები - ბრიტანული, ამერიკული თუ რუსული წყაროებიდან.

სიტყვამ შეიძლება მოგვითხროს იმ დროსა და გარემოზე, რომელშიც იგი იმყოფება. მთელი სემანტიკური სიღრმით სიტყვის აღქმა ნათელს ჰყენს ხალხის ცხოვრების, ისტორიის, მატერიალური და რეალური სიმდიდრის გაგებას. იგი ადამიანის აზრის განვითარების ეტაპებზეც მიუთითებს და, ამდენად, ცხადყოფს ხალხის, მისი ეროვნული ენის მზაობას კაცობრიობის ყოველგვარი ახალი მიღწევისა და ნააზრვეის გაცნობიერება-მიღებისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტერმინოლოგიურ ლექსიკას.²

აქედან გამომდინარე, ნამდვილად დადებით მოვლენად და ენის გამდიდრების საშუალებად უნდა ჩაითვალოს ანგლო-ამერიკანიზმების დამკვიდრება იმ შემთხვევებში, როცა ჭირს მათი შესატყვისის გამოძებნა ქართულში. სასარგებლოა, როცა ახალ ყოფასთან, ცხოვრების გარემო-პირობების ცვლასთან, მის გარკვეულ წინსვლასთან, ახალ საგანთან და მოვლენათა გამოჩენასთან დაკავშირებით ენა მეორე ენისაგან შეიძინს ახალ სიტყვას, ახალ გამოთქმას, ან გაააქტიურებს თავის შინაგან ენობრივ შესაძლებლობებს საკუთარი აფიქსაციის ახალწარმოებებით და მისთ.³ ნასესხები სიტყვა უპრობლემოდ მკვიდრდება ენაში ძველი სიტყვების გვერდით, თუ ახალ სიტყვას თან მოაქვს ახალი, ენაში არარსებული მნიშვნელობა. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს უმეტესად, ამ სიტყვების სესხება პირდაპირ, უშუალოდ ინგლისურიდან ხდება და არა რუსულის მეშვეობით (თუმცა ზოგჯერ რუსულიდანაც), როგორც XIX-XX საუკუნის ქართულისათვის იყო დამახასიათებელი. განსაკუთრებით მდიდრდება თანამედროვე ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური, კომპიუტერული ტერმინოლოგიით: კომპიუტერი,

პარლამენტი, კლუბი, პლედი, პიჯაკი... ასეთი სიტყვების შემოსვლა, როგორც წესი, იწვევს არა მხოლოდ ქართული ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრებას, არამედ ქართული ენის შინაგანი პოტენციის ამოძრავებასაც.

მაგრამ ენათა კონტაქტებმა შეიძლება ხშირად უარყოფითი შედეგიც მოგვცეს. ენა კი არ გაამდიდროს, არამედ პირიქით, დაანავიანოს, დაამძიმოს, გააღარიბოს. ასეთ ნასესხობებს ბარბარიზმებს უწოდებენ. ლექსიკურ ერთეულს, რომელიც ინარჩუნებს უცხოურ იერს, მეტ-ნაკლებად რეგულარულად იხმარება მეტყველებაში (რასაც, როგორც წესი, მოდა განაპირობებს) და მკვლრი სინონიმი აქვს, ბარბარიზმი (ბერძნ. barbaros „უცხოური“, „უცხო ქვეყანა“) ეწოდება. ბარბარიზმები დამახასიათებელია გარკვეული სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთა მეტყველებისათვის.⁴ ბარბარიზმებია, მაგალითად: თინეიჯერი, მაუსი, მესიჯი, სეილი, ტრენინგი, ბენდი, შოპინგი, ფეშენი.

ამა თუ იმ ენიდან სიტყვათა სესხებისადმი მიდრეკილებით ვლინდება ერის სულიერი განწყობა. ცნობილი ფაქტია, რომ თუ მოდუნდა ეროვნული სულისკვეთება, მაშინ ენა უცხო სიტყვათა და ფორმათა აშკარა ძალმომრეობას განიცდის. ენა ნაგვიანდება უსარგებლო ბარბარიზმებით. იქნება ხელოვნური კალკები. მაგრამ დროთა განმავლობაში ენა ასრულებს თვითგანწყმენდის მისიას. ამის არაერთი მაგალითი არსებობს ქართული ენის ისტორიაში. ასეთი ლექსიკური ერთეულები, ჩვეულებრივ, სწრაფად გამოდის ხმარებიდან.

დღეს, როგორც ზეპირმეტყველებაში, ასევე ტელევიზიისა და პრესის ენაში, თვალშისაცემია ენის სიწმინდის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება. საზოგადოებაში გაბატონებულია უცხო სიტყვებით თავის მოწონების⁵ ტენდენციები ხშირია ასეთ შემთხვევებში სიტყვის მნიშვნელობის არცოდნა და ამიტომ საჭიროების გარეშე შემოდის სიტყვები, რომლებსაც ქართულში ეკვივალენტი მოუპოვებათ.

ანგლო-ამერიკანიზმების დამკვიდრებას ხელს უწყობს სოციალური პრესტიჟი, რომელიც დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში ინგლისურს აქვს. ტექნოლოგიური ცივილიზაციის აგრესიული ზეწოლა (ამ დროს შეიძლება ენა კიდევ გამდიდრდეს ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ტერმინებით, თუ ზომიერება იქნება დაცული), კანონების თარგმნა (ქართული ენისათვის ერთ-ერთი მტკივნეული ადგილია ოფიციალური დოკუმენტების (კანონები, წესდებები ხელშეკრულებები, დადგენილებები და სხვა) ენა, რომელიც უცხოენოვანი კალკებით გაივსო, იმის გამო, რომ ქართული ენის სიმდიდრე და შესაძლებლობანი მივიწყებულია⁶, რეალობის ენობრივი შენიღბვა (ამ შემთხვევაში უცხო სიტყვა ასრულებს თავისებური ნიღბის როლს. მაგალითად, ს. ომიადე მიუთითებს, რომ სემანტიკურად ჯერ აუთვისებელი უცხო წარმომავლობის სიტყვები შესატყვისი ქართული სიტყვის ეკვივალენტურად არ აღიქმება. მსმენელი მათში რაღაც სხვა სახრისს ეძებს.⁶ განსაკუთრებით „ძძიმე“ სიტუაციაა მასმედიის ენაში, პოლიტიკოსთა და ე.წ. „შოუბიზნესის“ წარმომადგენელთა მეტყველებაში, რაც არაერთხელ იქცა

მსჯელობისა და კამათის საგნად,⁷ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით არაერთი წინსვლა ამ მიმართულებით არ იგრძნობა.

არადა პრესა და ტელევიზია ყველაზე მეტად უწყობს ხელს ამა თუ იმ ფორმის დანერგვას. მაგრამ რარიც გასაკვირიც არ უნდა იყოს, მათთან ყველაზე მეტად იგრძნობა ენის სიწმინდის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება. „გამოიკრა ბილდობრდები“, „ეს მხოლოდ მეშვიდე ნიუი იყო“, „ელექტორატი დაბნეული ჩანდა“, „ერთმანეთი ფართიზე გავიცანი“, „კასტინგზე შეარჩიეს“, „ტრენინგები ჩაუტარდათ“ და ა.შ. ასეთი სიტყვებისა და გამოთქმების გავრცელებას, პირველ რიგში, ხელი ტელევიზიამ და პრესამ შეუწყო.

ხშირად, პირდაპირ, ინგლისურად არის დაწერილი სიტყვა და თუ ინგლისური არ იცი, შეიძლება შინაარსი ვერც კი გაიგო. მაგალითად, მომღერალ ჯგუფს „The Chillions“-ს სიმღერის „She's so fine“ მთავარი თემის მითვისებას აბრალებენ.⁸

ინგლისური ლექსიკა შემოჰყვა კომპიუტერულ თამაშებსაც, რომლებსაც ძირითადად, სკოლის მოსწავლეები თამაშობენ. „ანდერაუნდი ვითამაშოთ“, „ქაუნთერი გაქვთ?“, „პეროტში გავარტყი“ - ამ ასაკის ბავშვები ხშირად ემშვიდობებიან ერთმანეთს „ბაი“, ან კიდევ „ოკეი, ხვალ მეც მოვალ“, „იეს, გაკვეთილი ცდება“ და სხვა.

მაგრამ, იმედია, ენა ახლაც შეასრულებს თვითგაწმენდის ფუნქციას, რაც ქართული ენის ბუნებას მოერგება - დარჩება და გაამდიდრებს ჩვენს ისედაც მდიდარ ლექსიკურ ფონდს, რაც ზედმეტი აღმოჩნდება - დაილექება და დროთა განმავლობაში დავიწყებთ მიეცემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ლლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, გვ. 92
2. ს. ომაძე უკო სტყვა - უცხო მენტალობა ეროვნულ დისკურსში. საენათმეცნიერო ძიებანი XXIII, თბ., 2006, გვ. 215.
3. ქ. ლომთათიძე, 2005, როდის ამდიდრებს კალკები ენას და როდის აღარბებს? გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2, თბ., 2005, გვ. 19.
4. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003, გვ. 394.
5. გ. წიბახაშვილი, ენის კანონები და კანონების ენა, ბურჯი ეროვნებისა, თბ., 2004, გვ. 10-12.
6. ს. ომაძე, Op. cit., გვ. 224.
7. გ. კვარაცხელია, მასმედის ენა - ყველაფერი ნებადართულია? საქართველოს რესპუბლიკა, №84, 14 აპრილი, 2004; მ. ტაბიძე, მასმედის ენის სოციალური შეგნებისათვის. თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის რესპუბლიკური კონფერენცია, თბ., 2001
8. ჟურნალი ახალი ეპოქა, №100, 2001

TAMAR LOMTADZE

Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

SUMMARY

ANGLO-AMERICANISMS IN MODERN GEORGIAN LANGUAGE

The close political, cultural and economic relations between different parts of the world are characteristic of the modern epoch. It has a great influence on the lexical fund.

In XIX-XX centuries the words were borrowed generally from the Russian language. Nowadays all the borrowed words are from English.

Borrowing of words has its advantages and disadvantages. The positive side of this process is when the new word comes into the language and has the meaning which had existed before. Such words are easily settled. But there are some cases when inappropriate borrowings, barbarisms prevent the language from being flexible.

There are a lot of barbarisms in Georgian. For example, boyfriend, shopping, party, band, teenager. These words are spread with the help of mass media.

The social prestige of English language in Georgian society, the influence of technological civilization and the translation of laws help Anglo-Americanisms to be settled.

There are a lot of cases when the word is given in English in the newspaper, even without translation. Such articles are very confusing for people who don't know English.

There are a lot of adopted Anglo-Americanisms in modern Georgian, some of them are partly adapted, and others belong to the non-adapted lingual unit.

დავით მახაშვილი

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გაზეთი „ახალგაზრდა ქართველი“ ამერიკული სკოლის შესახებ

1919 წლის 20 იანვრიდან თელავში გამოსვლას იწყებს ყოველკვირეული მოწაფეთა სამხატვრო-სალიტერატურო, გაზეთი ახალგაზრდა ქართველი. გაზეთი ჟურნალ-გაზეთების არც ერთ ბიბლიოგრაფიაში არ არის აღწერილი.

გაზეთის მხოლოდ ორი ნომერი (№7 და №8) იყო ცნობილი. ისინი სხვადასხვა დროს მიმოიხილეს ალ. გვენცაძემ, ლ. იანვარაშვილმა, გ. იარალოვმა და პროფესორმა გ. ჯავახიშვილმა.

ამჟამად შემონახულია აღნიშნული, გაზეთის კიდევ ოთხი ნომერი (№ 1, 3, 6, 10), აქედან გაზეთის ერთი ნომერი (№9) დაცულია პარიზში, ჩერქეზიშვილების ოჯახში, ხოლო დანარჩენი - თელავში, პროფესორ გ. ჯავახიშვილის პირად ბიბლიოთეკაში.¹

ალბათ, საინტერესოა, თუ როგორ დაიბადა თელავის პირველი გაზეთის გამოსვლის იდეა.

1917 წელს თელაველი მოსწავლე დათუნა აბაშიძე თბილისში ნათესავთან სტუმრობის დროს წაიყვანეს ლიტერატურულ საღამოზე, რომელიც იმართებოდა ხოლმე ახლად ჩამოყალიბებულ „მოსწავლეთა კლუბში“. დათუნამ აქ საკუთარი ლექსი წაიკითხა და დიდი მოწონება დაიმსახურა.

დ. აბაშიძე თელავში დაბრუნებისთანავე შეუდგა „მოსწავლეთა კლუბის“ ჩამოყალიბებისათვის ზრუნვას და ერთ თვეში გაიხსნა კიდევ „მოსწავლეთა კლუბი“, რომლის საქმიანობაში აქტიურად ჩაერთო თელავში მოღვაწე შემოქმედებითი ძალები.

1919 წელს თელავს ეწვივნენ ქართველი მწერლები: დავით კლდიაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე და სხვები. როგორც ნინო მაყაშვილი იუწყება თავის წიგნში ტიცვიანი და მისი მეგობრები, ალავერდობის შემდეგ თელავში პოეზიის საღამო გაემართეთ. ამ საღამოს ორგანიზატორი განხლდათ ახალგაზრდა თელაველი პოეტი დათუნა აბაშიძე. სწორედ მასთან უშუალო შეხვედრისას გაირკვა, რომ თელავს ჰქონდა საკუთარი გაზეთი და მისი რედაქტორი გმირი ქართველი ქალაქი, მარო მაყაშვილის, დახასიათებით თელაველი ცისფერყანწელი იყო.²

ამრიგად, 1919 წლის იანვრიდან თელავის „მოსწავლეთა კლუბმა“, რომელსაც სათავეში ედგა მოსწავლე დავით აბაშიძე, გამოსცა პირველი ნაბეჭდი გაზეთი სტელწოდებით ახალგაზრდა ქართველი.

გაზეთის რედაქტორის დათუნა აბაშიძის წერილში ნათქვამია, რომ ჩვენი ორგანო პოლიტიკის გარეშე იღვება და ჩაერევა მხოლოდ მაშინ, როდესაც სკოლას შეეხება. გაერთიანებული ძალებით და იმედით უფრო უკეთესი მომავლისა, შევიკრიბებით ჩვენ იმ დრომის ქვეშ, რომელზედაც ეწერება თავისუფალი სკოლა და ღირსეულ მამულიშვილთა აღზრდა, გაუმარჯოს თავისუფალ სკოლას.³

გაზეთში ვკითხულობთ, რომ იმდროინდელ სკოლას არაფერი ახალი შემატებია⁴ და საჭიროა - დაქარბულად იქნეს გატარებული სკოლის რეფორმა და საძირკველი ჩაეყაროს თავისუფალ სკოლას.⁴

სწორედ სასკოლო რეფორმის გატარების საკითხებს ეხება დავით აბაშიძის წერილი ამერიკული სკოლა⁵. ავტორი მიანიშნებს, რომ არადგანაც ახალგაზრდა ქართველის⁶ უახლოესი მიზანია თავისუფალი სკოლის იდეის გავრცელება, ამიტომ ჩვენ ვეცდებით შეძლებისდაგვარად გავაცნოთ მკითხველებს ერთ-ერთი ტიპი ამ სკოლისა, სახელდობრ, ამერიკული.⁵

დავით აბაშიძე ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე საყურადღებო ცნობაზე, მაგალითად, გარეგნულ დისციპლინაზე, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა იმდროინდელ ქართულ სკოლაში. აღნიშნავს, რომ ამერიკაში ასეთ წესებს ადგილი არა აქვს და მოჰყავს ინგლისელი პედაგოგის მარკის შეხედულება, რომ „უმთავრესი მიზანი ამერიკული სკოლისა არის სასწავლებლისათვის ოჯახის ელფერის მიცემა, ისეთივე თავისუფლება, როგორც სახლშია და, საერთოდ, იმ აზრის ჩანერგვა, რომ სკოლა იგივე ოჯახია უფრო დიდ ფარგლებში. საუცხოო დისციპლინაა ამერიკულ სკოლაში, მაგრამ გარეგნული კი არა, არამედ დამყარებული მასწავლებლის და მოწაფის ურთიერთნდობა-პატივისცემაზე“.⁶

მოყვანილია მაგალითი ვაშინგტონის სკოლებში არსებული წესების შესახებ: მასწავლებელმა არაფითარი ძალდატანებითი ზომები არ უნდა იხმაროს, იმიტომ, რომ ვერც ფეხზედ აყენება, კლასიდან განდევნა და ვერც სხვა რომელიმე რეპრესია მიზანს ვერ მიაღწევს. ყოველივე ეს ძირსა სცემს მასწავლებლის ავტორიტეტს და წინააღმდეგი შედეგები მოაქვს. ამის გარდა სახალხო გაკიცხვა, დაცინვა და სხვა მოქმედებს მოწაფის თავმოყვარეობაზე და ამწვაეებს მოწაფე-მასწავლებლის დამოკიდებულებას.⁷

ავტორის აზრით, მასწავლებელი უნდა ერიდოს არა მარტო მუქარას, გინებას და ყვირილს, ხმის ამალღებასაც კი, რადგან გინებასა და დისციპლინას შორის საერთო არაფერია. როდესაც მასწავლებელი გამოცდას აბარებს, მას უპირველესად ყოვლისა კითხავენ, შეუძლიან თუ არა მას კლასის მართვა ისე, რომ სასჯელებს არ მიმართოს⁸. აქვე მოყვანილია ინდიანას შტატის პედაგოგის აზრი, რომ სასჯელებს მიმართავენ ხოლმე მხოლოდ უეცინი და თავის საქმის არ მცოდნე პედაგოგნი.⁸

ავტორი გვაცნობს ინგლისელი კომისრის რიშელის მოსაზრებას: აშშ-ში მასწავლებელი მოძალადე კი არ არის, არამედ მათი უფროსი ამხანაგი და მეთაურია და იქ ვერ იპოვი იმ გამწვავებულ მდგომარეობას, როგორსაც ვხედავთ ინგლისში".

და ბოლოს, სტატიის ავტორი დასძენს, ასეთია მოკლედ დამახასიათებელი მხარეები ამერიკული სკოლისა და იმედია ჩვენი საშობლო, რომელიც ალორძინების და განათლების გზაზე დამდგარი, ბევრს გადმონერგავს იქიდან ჩვენში".

გაზეთი „ახალგაზრდა ქართველი“ მნიშვნელოვანი წყაროა თელავის იმდროინდელი სკოლის და ლიტერატურული ცხოვრების შესწავლისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ გ. ჯავახიშვილი, თელავის პრესის ისტორიისათვის, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. IV-V, გვ. 120-137.
- ² ტიცოანი და მისი მეგობრები, ნინო მაყაშვილი, წიგნი, 1985 წ., გვ. 24.
- ³ გაზეთი „ახალგაზრდა ქართველი“, 1919 წ., № 1, 3, 6, 10.
- ⁴ Ibid
- ⁵ Ibid
- ⁶ Ibid
- ⁷ Ibid
- ⁸ Ibid

DAVIT MAKHASHVILI

Telavi State University, Assoc. Prof.

SUMMARY

NEWSPAPER "AKHALGAZRDA KARTVELI" ABOUT THE AMERICAN SCHOOL

In the article is described the question connected with the publication of the newspaper "Akhlagazrda Kartveli", published in Telavi in 10s of XX century. Still the pupil, and already the editor of the newspaper, shows the deep knowledge of the reforms passing in the school. The article "American School" is about the important meaning of passing reforms. The author tries to give the information to the society about the work of American school.

In the article is seen the advantages and disadvantages of free school. And creative youth has the desire to plant as quickly as if possible the progressive points of views of Americans in Georgian schools as well.

ელენე მემპარიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

მართული დიასპორა კალიფორნიაში

ბოლო წლებში დიასპორების და, უფრო ფართოდ, მიგრაციული საკითხები ამერიკელი მეცნიერების გაზარდილი ინტერესის საგანი გახდა. თუმცა, ძირითადად, ისინი მრავალრიცხოვანი დიასპორების პრობლემებს იკვლევენ, ისეთების, როგორებიც არის ლათინოამერიკული ან აზიური დიასპორები, რომელთა წარმომადგენლების როლი უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა შეერთებული შტატების ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. რაც შეეხება ქართულ დიასპორას, სამწუხაროდ, ის დღემდე ორგანიზაციულად გაფორმებული, ფაქტობრივად, არსად არის და ქართველების რაოდენობაც შტატებში საკმაოდ მცირერიცხოვანია იმისათვის, რომ მათ გავლენა მოახდინონ ქვეყნის განვითარებაზე. მაგალითად, ამ პერიოდში (იგულისხმება XX საუკუნის ბოლო ორი ათწლეული - ავტ.). ამერიკელ იმიგრანტთა 73% ლათინური ამერიკიდან და აზიიდან არის, დანარჩენი რეგიონების წარმომადგენლები 35-დან 38%-მდე მერყეობს. მათგან მხოლოდ 9.5% ევროპელია.¹ ამ უკანასკნელებში კი რამდენი ქართველია, ძნელი მისახვედრი არ იქნება. მიუხედავად ამისა, ბევრი კარგად იცნობს ცალკეული ქართველის, ძირითადად, პირველი და მეორე ტალღის ემიგრაციის წარმომადგენლების ამა თუ იმ დამსახურებას ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებაში.²

ქართველი ემიგრანტების უმრავლესობა ამერიკული ოცნების განხორციელების მიზნით ჩავიდა ამ ქვეყანაში. ბევრმა ეს ოცნება რეალობად აქცია. ისინი გამოექცნენ ომებს, ეკონომიკურ სიდუხჭირეს. მათ, როგორც წესი, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დასავლელი მეზობლების მაგალითი ჰქონდათ, რომლებსაც თავიანთ ცხოვრებას ადარებდნენ. შედარება კი ყოველთვის დასავლეთის სასარგებლოდ იყო. ამიტომ ამერიკა, როგორც დასავლეთის ლიდერი ქვეყანა, გაიდელბუღი და სანატორი იყო, მისი იმიჯიც, შესაბამისად, მხოლოდ დადებითი. როგორც არ ცდილობდნენ კომუნისტი იდეოლოგები ამ იმიჯის შელახვას, შედეგი საპირისპირო იყო. ის, რომ შეერთებული შტატები ჯერ კიდევ XX საუკუნის შუახანებში არასამართლებრივი, მილიტარისტული, რასისტული ქვეყანა იყო, ბევრს არ სჯეროდა. აქ იცნობდნენ მხოლოდ ე.წ. პროგრესულ ამერიკელ მწერლებს: უოლტ უიტმანს, ჰარიეტ ბიჩერ სტოუსს, მარკ ტვენს, ჯეკ ლონდონს, თეოდორ დრაიზერს, ერნესტ ჰემინგუეის, ჯონ სტაინბექს, მაგრამ დანარჩენები უცნობი იყო. მიუხედავად კომუნისტების დიდი წინააღმდეგობისა, საქართველოში მაინც

გავრცელდა ამერიკული ჯაზი, როკ-ენ-როლი, ბობ დილანისა და ელვის პრესლის სიმღერები. დიდი როლი ამერიკული კულტურისა და ფასეულობების გავრცელების საქმეში ითამაშა რადიოსადგურებმა "თავისუფლება", "ამერიკის ხმა", "თავისუფალი ევროპა". ასევე მნიშვნელოვანი იყო და დღესაც მნიშვნელოვანია გაცვლითი პროგრამები. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ამ პროგრამებით უმნიშვნელო რაოდენობის და, შესაბამისად, კომუნისტებისათვის განსაკუთრებით სანდო ადამიანები ახერხებდნენ შტატებში გამგზავრებას სამუშაოდ ან სასწავლებლად, უკან დაბრუნებულები კი ახერხებდნენ სიმართლის გავრცელებას ამერიკის შესახებ. 1990-იან წლებში მნიშვნელოვანი იყო შეერთებული შტატების მშვიდობის კორპუსის საქმიანობა. არაერთი ქართული ოჯახი ამ გზით გაეცნო ამერიკელებს, ამ გზით მოხვდა საპასუხო ვიზიტით შტატებში და ზოგიერთი მათგანი სამუდამოდ იქ, განსაკუთრებით კი ატლანტაში, ჩვენს დაძმობილებულ ჯორჯიის შტატში დასახლდა.

მოცემულ სტატიაში ჩენი მიზანია კალიფორნიაში, კერძოდ კი, ლოს ანჯელესა და სან ფრანცისკოში, კალიფორნიის ამ ორ უმსხვილეს ქალაქში მცხოვრები ჩენი ყოფილი თანამემამულეების პრობლემების, განსაკუთრებით კი, ქართული სათვისტომოს შექმნის პრობლემის განხილვა.

ამერიკის დასავლეთ სანაპიროს ათვისება ჯერ კიდევ XIX საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო და დღემდე გრძელდება. სან ფრანცისკოს ერთ-ერთ ბილბორდზე ასეთი წარწერაა: "მადლობა ვუთხრათ ჩვენს წინაპრებს, რომ ისინი პირველად აღმოსავლეთ სანაპიროზე გადმოსხდნენ და არა დასავლეთის. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღესაც, ამერიკის კონტინენტი აუთვისებელი და დაუსახლებელი იქნებოდა". ამით აღნიშნული რეკლამის ავტორებს სურდათ იმის ხაზგასმამ, რომ დასავლეთის სანაპირო, კერძოდ კი, კალიფორნია, საცხოვრებლად ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ადგილია. მიუხედავად ამისა, კალიფორნიაში, ძირითადად, ე.წ. მესამე თაობის ქართველი ემიგრანტები ცხოვრობენ, ანუ ისინი, ვინც მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში გადასახლდნენ ამერიკაში. თუმცა, მათ შორის არიან ისინიც, ვინც 1970-80-იან წლებში მოახერხა საბჭოთა საქართველოდან თავის დაღწევა. ესენი, ძირითადად, ქართველი ებრაელები ან მათი ოჯახის წევრები არიან. დღეს ყველაზე წარმატებულები, ალბათ, სწორედ ისინი და მათი შთამომავლები არიან. მაგრამ, საერთო ჯამში, კალიფორნიის ქართველობა საკმაოდ მცირერიცხოვანია. მაგალითად, ლოს ანჯელესის ქართული დიასპორა, იქ მცხოვრები ქართველების გამოთვლით, დაახლოებით 500 ადამიანს ითვლის. სხვა ცნობით, ამ ქალაქში 45-50 სუფთა ქართული ან შერეული ოჯახია. კიდევ უფრო ნაკლები ქართველი ცხოვრობს სან ფრანცისკოში. მაგრამ ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, რაც ართულებს მესამე თაობის ემიგრანტების პრობლემების კვლევას. ამას ემატება ის, რომ ქართველებს შორის არააღელვალური ემიგრანტებიც არიან, რომლებიც

არსად აღირიცხებიან და რომლებიც ცდილობენ არსად გამოჩნდნენ. დღემდე ყოველი ცდა, შექმნილიყო სათვისტომო, წარუმატებლად დასრულდა, რასაც სხვადასხვა მიზეზით სხნიან. მიზეზებს შორის ყველაზე სმირად ამახელებენ ფინანსურ პრობლემებს, რომელიც ქართველების უმრავლესობას აწუხებს. თუმცა, ჩვენს ყოფილ თანამემამულეებს შორის არიან ამერიკის წარმატებული მოქალაქეებიც, ისინი, ვინც ამერიკაში უმაღლესი განათლება მიიღო, მუშაობს თავისი სპეციალობით ან რაიმე ბიზნესს მიჰყო ხელი. წარმატებული ემიგრანტების დიდ ნაწილს, ძირითადად, შემოქმედებითი ინტელიგენცია და მედიცინის მუშაკები შეადგენენ. ზოგიერთმა საკუთარი მცირე ბიზნესის წამოწყება შეძლო. გვხვდებიან მსხვილი კომპანიებისა და ბანკების თანამშრომლებიც, მათ შორის, მენეჯერები.

ამგვარად ის, რამაც ქართველები ისევე, როგორც დანარჩენები, ამერიკაში მიიზიდა, ანუ საკუთრების და ეკონომიკური უსაფრთხოება, ადამიანის უფლებების ხელშეუხებლობა, რაც ვერ კიდევ დამოუკიდებლობის დეკლარაციაშია გამოცხადებული და ამერიკული პოლიტიკური კულტურის განუყოფელი ნაწილია, ამერიკის მოქალაქეებად ქცეული ქართველებისათვის რეალობად იქცა.

ქართველი ემიგრანტების ძირითად მასას შეადგენენ ადამიანები, რომლებიც საქართველოდან, ძირითადად, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამო გადასახლდნენ. იშვიათად გვხვდებიან პოლიტიკური მოტივით გადასახლებულებიც. თითოეული მათგანის გზა ამერიკისაკენ განსხვავებული იყო. მხოლოდ რამდენიმე ტიპიურ მაგალითს მოვიტან:

პირველი მაგალითია ლოს ანჯელესელი ქალბატონი (მისი თხოვნით, გვარს არ ვასახელებ) - მალალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, მეცნიერი, დედისერთა, ფუფუნებაში გაზრდილი, საქართველოში წარმატებული ადამიანი, გათხოვილი, ორი შვილის დედა. ის პროცენტური ვალით კალიფორნიის ერთ-ერთ ქალაქში ჩავიდა საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად 3 თვიანი ვიზით და მოკლე ხნით დარჩენის გადაწყვეტილებით. ეს გადაწყვეტილება მას მიაღებინა ორჯერ ნაინფარქტალი ქმრისათვის ოპერაციის გაკეთების აუცილებლობამ, რისთვისაც საჭირო თანხა არ ჰქონდათ. ქმარმა სამსახური დაკარგა. ავადმყოფ, უმუშევარ ადამიანს პენსიაზეც უარი უთხრეს. ამასთან ერთად, 1990-იანი წლების დასაწყისში ბინა რამდენჯერმე გაუქურდეს, როგორც ყველას, ხელფასი შეუკვეცეს. ქვეყანაში საშინელი ინფლაცია, ურთულესი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები იყო. ერთ-ერთი შვილი ახლად დაქორწინებული იყო, ახლად გაჩენილი შვილით, მეორე შვილი კი სტუდენტი ჰყავდა. ასე რომ, მას არაერთი მიზეზი ჰქონდა იმისათვის, რომ ამერიკაში დარჩენილიყო და თავის ოჯახზე იქიდან ეზრუნა. სხვა გამოსავალს ის ვერ ხედავდა. თანაც ჩამოსასვლელად აღებული პროცენტური ვალის გასტუმრება იყო საჭირო.

თავდაპირველად, მან მუშაობა დაიწყო ე.წ. კომპანიონად ერთ მოხუც ქალთან

კვირაში 500 დოლარად, მაშინ როდესაც საქართველოში ერთ-ერთ სამეცნიერო დაწესებულებაში ხელფასი თვეში 25 დოლარი ჰქონდა. ქართველები მან რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში გაიცნო. სამწუხაროდ, კალიფორნიაში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია არ არის. მისი აშენება ყოველი იქ მცხოვრები ქართველისათვის ნამდვილი ოცნებაა, ვინაიდან თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ეკლესიას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია. ამის კარგი მაგალითია რუსული მართლმადიდებლური ეკლესიები, რომლებიც ამერიკის არაერთ ქალაქში არსებობს, იქ მცხოვრებ რუსებს აერთიანებს და თვითმყოფადობის შენარჩუნებაში ეხმარება. დღეს ჩვენი ყოფილი თანამემამულე ლოს ანჯელესელი ქალბატონი უკვე აშშ-ს მოქალაქეობის კანდიდატია, ანუ „მწვანე ბარათის“ მფლობელია და ქვეყანაში ლეგალურად ცხოვრობს: მუშაობს, სწავლობს და ახლადჩამოსულ ქართველებსაც ადაპტირების საქმეში ეხმარება.

ქართველი ემიგრანტების ამერიკაში მოხვედრის მეორე ტიპური მაგალითია მელქაძეების ოჯახის ისტორია. ეს არის 4 სულიანი ოჯახი. თამაზმა, ასე ჰქვია ოჯახის უფროსს, „მწვანე ბარათი“ (Green Card) მოიგო და ოჯახთანად ამერიკაში გადასახლდა. ის ენერგეტიკოსია. თბილისში მას თავისი პატარა ბიზნესი ჰქონდა. მეუღლეს სამედიცინო ტექნიკუმი აქვს დამთავრებული. ის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობდა. ინგლისურის შესწავლის შემდეგ, ის ექთნების კურსებზე სიარულს აპირებს. ენის ცოდნის გარეშე ხომ ვერავინ სამსახურს ვერ იშოვის. ბავშვები სკოლაში დადიან.

ასეთია ქართული ემიგრანტული ოჯახების ტიპური მაგალითი. მათ ყველას კარგი მომავლის დიდი იმედი აქვთ და, როგორც წესი, შრომისმოყვარე და მიზანდასახულ ადამიანებს ეს იმედი არ უცრუვდებათ.

კალიფორნიაში წარმატებული ქართველი ემიგრანტები, ძირითადად, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან. შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოტანა, კერძოდ, დათო ბახტაძის, რომელმაც ამერიკაში მიიღო მაგისტრის ხარისხი სამსახიობო ხელოვნებაში და რომლის ფილმმაც „შეჯახება“ 2006 წელს ოსკარი მიიღო, ან გია ჩიკვაძის, რომელიც საკმაოდ წარმატებული მხატვარია. მას მეუღლესთან ერთად სამხატვრო გალერეა აქვს, სადაც ახალგაზრდა ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი გამოფენა-გაყიდვაა.

სან ფრანცისკოში ბევრად ნაკლები ქართველია. აქაც არიან როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური ემიგრანტები, რომლებსაც, როგორც წესი, ერთმანეთთან კავშირი არა აქვთ. ლეგალურებს შორის ერთ-ერთი პირველები, ვინც ამ ულამაზეს ქალაქში 12 წლის წინათ დასახლდნენ, მაიმძელაშვილ-ხიდეშელეების ოჯახია. ეს არის ოჯახი, რომელიც თითქმის ყველა ახლად ჩასულ ქართველს პატრონობს. ოჯახის უფროსი, ირაკლი, საქართველოში დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთი მონაწილეა, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის დამაარსებელი. ის ბავშვობიდან

ოცნებობდა ამერიკაზე და ერთ-ერთი საერთაშორისო შეჯიბრის შემდეგ შტატებში დარჩა. მან და მისმა ცოლმა მოახერხეს გამხდარიყვნენ მენეჯერები. შვილი ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში სწავლობს. დღეს მათი ოჯახი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული ოჯახია სან ფრანცისკოში. მაგრამ ყველაზე დასაფასებელი ის არის, რომ ეს არის დიდი პატრიოტების ოჯახი. მათ შვილიც ნამდვილ ქართველ პატრიოტად გაზარდეს, რომელიც ქართულ სიმღერებს მღერის, დღესასწაულებზე ქართული ჩოხა აცვია და საქართველოში ჩამოსვლა მისთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა. სამწუხაროდ, ყველა ქართულ ოჯახში ასეთი განწყობა არ არის.

შევრთებულ შტატებში, კერძოდ, კალიფორნიაში, ქართველების ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა არის ის, რომ მათ ვერ მოახერხეს თავიანთი დიასპორის ორგანიზაციულად გაფორმება, ისე როგორც, მაგალითად, ეს გააკეთეს სომხებმა, ჩინელებმა და სხვა ქვეყნიებიდან გადმოსახლებულმა ემიგრანტებმა. რა არის ამის მიზეზი?

რასაკვირველია, სათვისტომოს შექმნისათვის საჭიროა გარკვეული ფინანსები, ინიციატივიანი და თანაც შედარებით მოცლილი, დაინტერესებული, ორგანიზატორული ნიჭით და უნარ-ჩვევებით დაჯილდოებული პირები, ნამდვილი (და არა მარტო სუფრასთან) პატრიოტები და ა.შ. მართალია, შევრთებულ შტატებში არიან ფინანსურად შედარებით უზრუნველყოფილი ჩვენი ყოფილი თანამემამულეები, მაგრამ მათი უმრავლესობისათვის ქველმოქმედება უცხოა. არიან აქტიური, ინიციატივიანი ადამიანებიც, მაგრამ ხშირად მათი უმთავრესი საზრუნავი პირადი პრობლემებია. არიან საქართველოს პატრიოტებიც, მაგრამ დიასპორის ჩამოყალიბებისათვის მათ სხვა კომპონენტები აკლიათ.

ერთ-ერთი მიზეზი, რაც ხელს უშლის კალიფორნიაში ქართული სათვისტომოს შექმნას, ქართველების დაქსაქსულობაა. ისინი გათიშულები არიან არა მარტო უზარმაზარი მანძილებით, არამედ ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობითაც. როგორც წესი, ყველა, ვინც მუშაობს იმდენად დაკავებულია, რომ ვერაფრისა და ვერაფრისთვის იცლის. ეს როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ ემიგრანტებს ეხება. მაგრამ როგორც წესი, ლეგალები, ანუ ზოგიერთი უკვე ამერიკის მოქალაქე ან მოქალაქეობის კანდიდატი, ცდილობს შორს დაიჭიროს თავი არალეგალებისაგან. მათი ეკონომიკური და სოციალური სტატუსი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათთვის საერთო ენის გამოჩნება არც ისე ადვილია. მაგალითად, მსგავსი სურათი დამხვდა ორლანდოში (ფლორიდა), სადაც ბევრი ქართველი არ არის, მაგრამ მათი გაერთიანება განსხვავებული სოციალური სტატუსის გამო ადგილობრივ ქართველებს შეუძლებლად მიაჩნიათ, ისე როგორც, მაგალითად, სან ფრანცისკოში მცხოვრებ ქართველებს გაუჭირდათ იმ გაერთიანების შენარჩუნება, რომელიც შაშმელაშვილ-ხიდემელების ოჯახის ინიციატივით რამდენიმე წლის წინ შეიქმნა. შინა დაქსაქსულობამ, პირველობისათვის ბრძოლამ, უმრავლესობის განზე დგომამ, საკმარისი ფინანსების არქონამ (მთელი დატვირთვა

მხოლოდ ორგანიზატორი ოჯახის მხრებს დააწვა), ინტრიგებმა სან ფრანცისკოს სათვისტომო, ფაქტობრივად, დაშლამდე მიიყვანა. სამწუხაროდ, უმრავლესობა მოსახლეობის ლუმპენიზებულ ფენას ეკუთვნის. ბევრი მათგანი ქურდობს, ნარკომანობს. ცხადია, მათთან გაერთიანება დანარჩენებს არ მოუნდებათ. ამავე დროს, დიასპორის დახმარების გარეშე ძალიან ძნელია ახალ, უცნობ ადგილზე დამკვიდრება. აქ არა მარტო მატერიალური, არამედ მორალური დახმარებაც იგულისხმება. მაგალითად, ჩინური, ებრაული ან სომხური დიასპორები უზარმაზარ დახმარებას უწყვენ თავიანთ თანამემამულეებს. ისინი ესმარებიან მათ სამუშაოს, ბინის მოძებნაში. ესმარებიან მანამ, სანამ ახალი ემიგრანტები ფეხზე არ დადგებიან.

ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ლოს ანჯელესში, სადაც შედარებით ერთგვაროვანი სოციალური მდგომარეობის ქართველები ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ გარკვეულ ნაწილს ერთმანეთთან კონტაქტი აქვს, სათვისტომოს ჩამოყალიბება აქაც, ჯერ-ჯერობით, ვერ მოხერხდა, თუმცა 2006 წლის მაისში მათ ამის პირველი სერიოზული ცდა ჰქონდათ. ამის მიზეზად ისინი ასახელებენ, ძირითადად, უფულობას და მოუცლევლობას, მაგრამ, ალბათ მარტო ეს არ არის მიზეზი. სამწუხაროდ, აქ სხვა მიზეზებიც უნდა ვეძებოთ. ბევრი მათგანი თავს უკვე უფრო ამერიკულად თვლის, ვიდრე ქართველად. პირველ რიგში, ახალგაზრდა თაობას ვგულისხმობ, რომელსაც მენტალიტეტის გარდა, ზოგიერთ შემთხვევაში, ენის პრობლემაც ექმნება. ეს ეხება, პირველ რიგში, იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ბავშვობიდან ამერიკაში მოხვდნენ და ინგლისური ენა მშობლიურ ენად ექცათ. სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი ყოფილი თანამემამულე ბავშვებისათვის ვერ იცლის და ენის შენარჩუნებაზე ყოველთვის არ ზრუნავს. საინტერესო კი ის არის, რომ მიუხედავად ქართულის არცოდნისა, ერთ-ერთმა მათგანმა კითხვაზე, თუ ვინ არის ის: ამერიკელი თუ ქართველი, მიპასუხა, რომ თავს უფრო ქართველად აღიქვამს, ვიდრე ამერიკულად, თუმცა გარეგნულად ასე არ ჩანს და საქართველოში ცხოვრება ასეთი გაამერიკელებული ახალგაზრდებისათვის აბსოლუტურად წარმოუდგენელია.

შენიშვნები:

¹ იხ. James A. Banks, Multiculturalism // "American Studies Encyclopedia", p.5; Banks, Cherry A. McGee, The Intergroup Education Movement. In: Multicultural Education, Transformative Knowledge, and Action: Historical and Contemporary Perspectives, ed. by James A. Banks (Teachers College Press 1996); James A. Banks, Cultural Diversity and Education: Foundations, Curriculum, and Teaching, 4th ed. (Allyn & Bacon 2001); United States Bureau of the Census, Statistical Abstract of the United States 1998, 118th ed. (USGPO 1998).

² მაგალითად, იხ. რ. დაუშვილი. ქართველი მრეწველები და გამომგონებლები ამერიკაში. თბ., 2002.

SUMMARY

GEORGIAN DIASPORA IN CALIFORNIA

The author discusses the problems of Georgian Diaspora in California, mainly in Los Angeles and San Francisco. By concrete examples, she responds the questions: why and how have the representatives of third wave of Georgian immigration gone over the ocean, mainly, in California? What kind of problems bothers them? What achievements and perspectives do they have? Why they can not organize the community?

She considers that American Dream became true for many Georgians, though there are some people who are on the lowest level of social strata. Most of them live and work illegally. In this part, Californian Georgians are not exceptions.

In the United States, mainly in California, one of the most serious problems for Georgians is the problem of creating the community. The author thinks that internal dispersion, struggle for superiority, busyness, lack of money and other important things prevent the forming of the community. Unlike San Francisco, in Los Angeles, Georgians are relatively more homogeneous in economical and social conditions. Somehow it gives us hope of forming Georgian Association of Countrymen. The main thing is that our ex-countrymen feel themselves as Georgians, as the part of our country. Georgian government must help them with this.

მანანა მიძაპე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
მარინე ქაცარაზა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

მრნესტ ჰემინგუეის ნაწარმოებთა ქართული თარგმანის ენობრივ-სტილისტური ანალიზი

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ თარგმანი როგორც ენათმშორისი და კულტურათმშორისი კომუნიკაციის აქტი, უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა. თარგმანის საზოგადოებრივი დანიშნულების საკითხი ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. მრავალ სპეციალურ გამოკვლევაში გამოთქმულია ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებანი. ზოგი თარგმანის პროცესში ლიტერატურათმცოდნეობას აძლევდა უპირატესობას, ზოგი - ლინგვისტურ მეთოდებს. გ. გაჩეილაძეს მიაჩნია, რომ მხატვრულ თარგმანში მთავარია ორიგინალის ესთეტიკური ფასეულობები, ხოლო ენობრივი შესიტყვებები ემსახურება მხატვრულ შესატყვისობებს. თუმცა მიგვაჩნია, რომ ორივეს თანაბრად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მჭიდროდ უკავშირდება ერთი მეორეს. შეიძლება მათი განცალკევებაც.

თარგმანისას ყოველი ორი ენის ერთმანეთთან შესვედრისას წარმოიქმნება სიძნელეები. ქართული თარგმანიც, რასაკვირველია, მისი აგებულების, სპეციფიკურობის გამო თავისებურია. მთარგმნელმა უნდა შეძლოს ბუნებრიობა შეუნარჩუნოს ქართულ ენას, რასაც ის შეძლებს ქართულისათვის დამახასიათებელი გრამატიკული შესაძლებლობების დაცვით. ცხადია, ეს არ არის იოლი.

მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მხატვრული ნაწარმოების ენა სალიტერატურო ენას ემყარება. თარგმანისას მეტად მნიშვნელოვანია თარგმანის ენის არსში წვდომა, ემოციური შესატყვისობების დაძებნა.

ერნესტ ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“ (Hemingway, “The Old Man and Sea”) მსოფლიო ლიტერატურის შედევრადაა მიჩნეული და მიჩნეულია საკვებით დამსახურებულად. ეს პატარა ზომის მოთხრობა ადამიანური ყოფისა და ფსიქოლოგიური მომენტების ურთიერთგადაჯახვის საუკეთესო ნიმუშია. მკითხველი მას დიდხანს არ ივიწყებს და ამდენად, ფასეული ნაწარმოებია.

მთარგმნელი მთელი სისრულით გრძნობს ორიგინალს, ასევე ამჟღავნებს კარგ ლიტერატურულ გემოვნებას.

„მოხუცი და ზღვა“ ცნობილი ნაწარმოებია, იგი დიდი მხატვრული ოსტატობითაა შესრულებული, ადვილი არ არის მისი ქართულ ენაზე გადატანა, მაგრამ, ჩვენი

აზრით, მთარგმნელმა შეძლო ნაწარმოების მთავარი აზრი და მისი გამომსახველობითი მხატვრული ხერხების შეძლებისდაგვარად მიტანა ქართველ მკითხველამდე.

როგორი მდიდარი და განვითარებულიც არ უნდა იყოს ენა, მაინც შეუძლებელია მთარგმნელს ყველა შემთხვევაში ჰქონდეს მზამზარეული მასალა, გამოთქმა თუ ტერმინი, მაგრამ მთარგმნელის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ თარგმანში მართლაც ქართულიათვის შესაფერის ბუნებრივ ფორმებს იყენებს.

აღმოსავლეთით ცა ღრუბლებმა ჩამოაბნელეს და ნაცნობი ვარსკვლავები ზედიზედ ქრებოდნენ".¹

"The sky was clouding over to the east and one after another the stars he knew were gone".²

თანდათან იშლებოდა ერთ-ერთი სამარქაფო მორგვი."³

"He let the line slip down".⁴

მოსუცმა რომ დაილაპარაკა, ჩიტმა მოსუცს შეხედა."⁵

"The bird looked at him when he spoke".⁶

ჩიტთან საუბარმა გაამხნევა მოსუცი, თორემ ღამის განმავლობაში ზურგი სულ გაუმეძდა და ახლა ძალიან სტკიოდა".⁷

"It encouraged him to talk because his back had stiffened in the night and it hurt truly now".⁸

ვარსკვლავების შუქზე მოსუცმა შეჭამა თევზის ერთი ნაჭრის ნახევარი და ერთიც უკვე გამოწევილი და თავწაცლილი მკვრივი თევზი".⁹

"Under the stars and with the night colder all the time he ate half of one of the dolphin fillets and one of the flying fish, gutted and with its head cut off".¹⁰

ეს გაიფიქრა და მოსუცს თავბრუ დაესხა. კიდევ უნდა ეჭამა თევზი".¹¹

"When he thought that he knew that he was not being clear-headed and he thought he should shew some more of the dolphin".¹²

ქართული ენის ღერძს ზმნა წარმოადგენს, მის გარეშე ქართული წინადადება (იშვითი გამოწევილი გარდა) არ არსებობს. ეს მშვენივრად ესმის მთარგმნელს (ქალბატონ ანა რატინს). იგი საგანგებო ყურადღებით ეკიდება წინადადების გადმოქართულებას. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ზმნას, ეძებს და უსადაგებს ექსპრესიულობით დატვირთულ გამომსახველობითი ძალის მქონე ზმნებს:

ითოჯ საშუალება მისცა ესრიალა თითებს შუა".¹³

"He let the line slip through his fingers".¹⁴

შენი სიტყვები მახარებს. იმედი მაქვს, ისე ძალიან დიდ თევზი არ შემხვდება, რომ გული გაგვიტყოს".¹⁵

“You make me happy. I hope no fish will come along so great that he will prove us wrong”.¹⁶

კარგი მთარგმნელი ყოველთვის ცდილობს სრულად ან თითქმის სრულად გადაიღოს თარგმანში დედნის მხატვრულ-ესთეტიკური თვისებები და ამით უზრუნველყოს სათანადო ეფექტი. განსაკუთრებით საყურადღებოა ფრაზეოლოგიის თარგმნის საკითხი. ცნობილია, რომ ერთეულთა მეტი წილი ზუსტად არ ითარგმნება, ნაირ-ნაირ ნიუანსებს შეიცავს და მათი შესატყვისების დაძებნა მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ამიტომ ისინი განსაკუთრებულ სირთულეს ქმნიან თარგმნის დროს. თუმცა ანა რატიანი კარგად ფლობს ჩვენი ლექსიკის სიმდიდრეს, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მრავალფეროვნებას და ოსტატურად იყენებს მათ. თუმცა არ შეიმჩნევა ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სიჭარბე.

„მწამს, რომ დღეს ბედი გამიღიმებს“.¹⁷

“I feel confident today”.¹⁸

იქნებ ძალა იმდენი აღარ მომდევდეს, რამდენადაც გული მერჩის“.¹⁹

“I may not be as strong as I think”.²⁰

აქ დევს გამოწველილი და გასუფთავებული. მოხუცმა მარცხენა ხელით აიღო მფრინავი თევზი და გულდაგულ დაღვჭა ძვლიანად“.²¹

“It was there, cleaned and ready, and he picked it up with his left hand and ate it chewing the bones carefully”.²²

ანუთუ ისე წავხდები, რომ ამ რალაც თევზის გამო ამომხდება სული?“²³

“I could not fail myself and die on a fish like this”.²⁴

ისე შეჭამა, რომ ნამცეციც არ დარჩენია“.²⁵

“Eating all of it down to the tail”.²⁶

მთარგმნელმა შეძლო ინგლისურ ტექსტში გამოყენებული ესა თუ ის გამოთქმა ბუნებრივი ქართული შესიტყვებით გადმოეტანა:

„ღმერთო, მიშველე, რომ კრუნჩხვამ გამიაროს“.²⁷

“God help me to have the cramp go!”²⁸

„სისულელეებს ნუ რომაფ, ბერიკაცო!“²⁹

“Don't be silly”.³⁰

ღვთის მშობელო ქალწულო, გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანაა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარო გვიშვე სულთა ჩვენთა, ამინ“.³¹

“Hail Mary full of Grace the lord is with thee. Blessed art thou among women and blessed is the fruit of thy womb Jesus. Holy Mary, Mother of God, pray for us sinner now and at the hour of our death, Amen!”³²

ამ ნაწივეტში უცხო და მშობლიური ერთ მხატვრულ თვისობრიობადაა ქცეული.

ცნობილია, რომ უმეტეს შემთხვევაში დედანს თარგმანი უნდა მისდევდეს, მაგრამ ზოგჯერ ერთი ენის ფრაზის ემოციურობა მეორე ენას არ გამოადგება, ამიტომ მთარგმნელმა უნდა შეუფარდოს მშობლიურ ენას, გადმოსცეს იგივე აზრი, შეუნარჩუნოს ემოციურობა. ჩვენს საანალიზო თარგმანში არის შემდეგი დიალოგი:

- არა. მე უიღბლო კაცი ვარ. ბედი აღარ მწყალობს. ეშმაკსაც წაუღია უიღბლობა - თქვა ბიჭმა, - მე თვითონ გწევ ბედს".³³

"No. I am not lucky. I am not lucky any more! The hell with luck - the boy said - I'll bring the luck with me!"³⁴

ამრიგად, დაღლილი, იმედგაცრუებული მოხუცი ინგლისურად და ქართულად ერთსა და იმავე აზრს სხვადასხვა სიტყვებით ამბობს. მთარგმნელი ზუსტად გადმოგვცემს სათარგმნი ფრაზის დედაარსს, ამის საშუალებას აძლევს ქართული ენის ლექსიკის მრავალფეროვნება და თვითონ ანა რატინიც არჩევს შესაბამის გამოთქმებს.

ქართულ ომის პირიანი ფორმა იძლევა იმის საშუალებას, რომ პირის ნაცვალსახელი არ ვიხმაროთ, რაც ინგლისურში არ ხდება, იქ ნაცვალსახელის გამოყენება პუცილებელია.

მთვარე უკვე დიდ ხანია ამოვიდა, მაგრამ მოხუცს ისევ ეძინა".³⁵

"The moon had been up for along time, but he slept on".³⁶

სამაგიეროდ, ხელი არ მეკრუნჩხება".³⁷

"I have no cramps".³⁸

ახლა დაწეკი და დაიძინე, რომ დილას უფრო მხნედ იქნე".³⁹

"You ought to go to bed now so that you will be fresh in the morning".⁴⁰

ქართულ ზმნას აქვს მეტად საინტერესო კატეგორია ქცევა, რისი საშუალებაც ინგლისურს არა აქვს. მთარგმნელი კი ხშირად იყენებს სათავისო, სასხვისო ქცევიან ფორმებს, რითაც თავს არიდებს ორაზროვნებას, ზედმეტ ნაცვალსახელებს და, რაც მთავარია, ბუნებრივ ქართულ მეტყველებას ვუახლოვდებით.

ბიჭი ჩემთან რომ ყოფილიყო, - გაიფიქრა მოხუცმა, - თოკს დამისველებდა".⁴¹

"If the boy was here he would wet the coils of line, he thought".⁴²

მერე ფეხზეც წამოდგა, თოკს ისევ უშვებდა ხელიდან".⁴³

"... then he rose slowly to his feet. He was ceding line".⁴⁴

ინგლისურში, და საერთოდ ინდოევროპულ ენებში, ხშირად გამოყენებული როგორც სრული, ისე მოკლე მიმღეობური კონსტრუქციები, რომლებიც ქართულში სხვადასხვაგვარად გადმოიცემა. ზმნის პირიანი ფორმით, რთული წინადადებით, თუ სხვა საშუალებით. მაგალითად:

ახლა ცდილობდა, თოკი მხოლოდ ხელის კორძიან ნაწილს შეხებოდა, რომ თითები ან ხელისგული არ გაეჭრა".⁴⁵

“He tried to keep the cutting across the calloused parts and not let the line slip into the palm or cut the fingers”.⁴⁶

სწორედ ამას ველოდებოდი, - გაიფიქრა მოხუცმა, - აბა, მაგრად დადექი!.. მე მას ვაზღვევინებ თოკს, უეჭველად ვაზღვევინებ”.⁴⁷

“This is what we waited for, he thought, so now let us take it”.⁴⁸

„მოხუცი და ზღვის“ მთარგმნელი სიტყვისიტყვით არ იცავს დედნის ტექსტს. იგი ცდილობს სათქმელი უმეტესად ქართულისათვის ბუნებრივი ფრაზებითა და სიტყვებით გადმოსცეს, სიტყვათა წყობილობა ქართულისათვისაა დამახასიათებელი.

„მან ფრთხილად ჩაიჩოქა, რომ თოკი არ შეერხია, რაც შეიძლება ახლოს მიხობდა ნავის ცხვირთან და ხელით მისწვდა ბოთლს, საცობი ამოაძრო და რამდენიმე ყლუბი წყალი მოსვა“.⁴⁹

“He was thirsty too and he got down on his knees and being careful not to jerk on the line, moved as far into the bow as he could get and reached the water bottle with one hand. He opened it and drank a little”.⁵⁰

„მოხუცმა თოკი ძირს დააგდო და ზედ ფეხი დაადგა, მერე ჭვილთი ასწია მაღლა, რამდენადაც შეეძლო, და მთელი ძალით, რაც მას ჰქონდა და რის შემოკრებაც შეეძლო ამ წუთში, ჩასცა თევზს გვერდში, სწორედ მკერდის ვეებერთელა ფარფლის ძირში“.⁵¹

“The old man dropped the line and put his foot on it and lifted the harpoon as high as he could and drove it down with all his strength and more strength he had just summoned, into the fish's side just behind the great chest fin that rost high in the air to the altitude of the man's chest”.⁵²

თითოეული თარგმანი ამდიდრებს არა მარტო კულტურას, თვით ენასაც. ამიტომ უკანასკნელ ხანს დიდი ყურადღება ექცევა თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის ენობრივ-სტილისტურ ანალიზს. მრავალი ნარკვევი მიეძღვნა ამ საკითხს. ჩვენი შრომაც ამ მიზანს ემსახურება, მართლაც ე. ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვის“ თარგმანი ერთ-ერთ კარგ თარგმანად უნდა ჩაითვალოს, მისი განხილვის შემდეგ ცხადი გახდა, რომ რთული იყო ამ სამუშაოს შესრულება. მაგრამ თარგმანში ჩანს დედნის ენის ცოდნაც და, რაც მთავარია, ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი, გამომსახველობითი ფორმების შესაბამისად გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ ე. ჰემინგუეი, მოხუცი და ზღვა, თბ., 1979, გვ. 67.
- ² E. Hemingway, *The Old Man and The Sea*, M., 1966, p. 71.
- ³ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 35.
- ⁴ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 37.
- ⁵ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 45.
- ⁶ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 47.
- ⁷ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 45.
- ⁸ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 47.
- ⁹ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 67.
- ¹⁰ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 70.
- ¹¹ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 71.
- ¹² E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 76.
- ¹³ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 35.
- ¹⁴ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 37.
- ¹⁵ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 17.
- ¹⁶ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 18.
- ¹⁷ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 20.
- ¹⁸ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 21.
- ¹⁹ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 17.
- ²⁰ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 18.
- ²¹ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 71.
- ²² E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 76.
- ²³ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 73.
- ²⁴ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 78.
- ²⁵ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 71.
- ²⁶ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 76.
- ²⁷ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 49.
- ²⁸ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 52.
- ²⁹ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 99.
- ³⁰ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 105.
- ³¹ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 54.
- ³² E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 57.
- ³³ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 106.
- ³⁴ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 113.
- ³⁵ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 68.
- ³⁶ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 72.
- ³⁷ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 74.
- ³⁸ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 79.

- ³⁹ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 17.
⁴⁰ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 19.
⁴¹ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 69.
⁴² E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 73.
⁴³ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 69.
⁴⁴ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 74.
⁴⁵ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 69.
⁴⁶ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 73.
⁴⁷ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 69.
⁴⁸ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 73.
⁴⁹ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 37.
⁵⁰ E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 39.
⁵¹ ე. ჰემინგუეი, *Op. Cit.*, გვ. 79.
⁵² E. Hemingway, *Op. Cit.*, p. 84.

MANANA MIKADZE

Akaki Tsereteli State University, Professor

MARINE KATSARAVA

Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

SUMMARY

LINGUISTIC AND STYLISTIC ANALYSIS OF THE GEORGIAN TRANSLATIONS OF HEMINGWAY'S WORKS

Translation, as the act of interlingual and cross-cultural communication, is of greatest social importance. This kind of importance has always been in the centre of attention. A lot of different ideas have been expressed in recently published special researches. For some researchers the most important point while doing a translation is a good knowledge of literature, for some, on the other hand linguistic methods seem to be valuable. G. Gachechiladze claims that the most important factor of translation is aesthetic values of the original text. We consider both of them to be of vital importance. Though they are closely linked with each other they can also be separated.

We might face some difficulties while rendering the text from one language into another. Georgian translation, of course, is in its own way is original due to its structure and some specific features. The translator should manage to maintain the natural structure of the language and this can only be achieved by preserving the specific grammatical characteristics of the language which seems to be quite difficult.

The translator should take into consideration the fact that the language of fiction is based on literary language and when translating it is very important to try to find the emotional equivalents in the target language.

“The old man and the sea” by E. Hemingway is deservedly considered to be a masterpiece. This short story is the best example of interconnection between the human life and some psychological moments. The reader is under the book’s impression for a long time and that means that it is a valuable work of art.

The translator deeply feels the original version of this book and shows his good taste in literature. The translator is impossible always to have all the readymade materials, phrases and terms, no matter how rich and well-developed the target language is. But it should be mentioned to the translator’s credit that in the translated text the translator uses the natural forms characteristic to the Georgian language.

Every translation enriches not only the culture but also the language itself. That’s why in recent years a great attention is drawn to the stylistic analysis of the literary translation. A lot of research works have been dedicated to this matter. That’s the aim of our research as well. We consider the translation of “The old man and the sea” to be one of the best translation works ever made and its analysis has confirmed the complexity involved in carrying out this work. In the translation the brilliant knowledge and the adequate use of the expressive features of the original language are vividly shown.

აგთანდილ ნიკოლეიუზილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ამერიკაში მოღვაწე ემიგრანტი ქართველი მწერლები. გივი კობახიძე

გივი კობახიძე იმ ქართველ ემიგრანტთა წარმომადგენელია, რომელთა ემიგრაციაში წასვლის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად მეორე მსოფლიო ომი იქცა. იგი 1943 წელს დაატყვევეს გემანელებმა და მთელმა მისმა შემდგომდროინდელმა ცხოვრებამ ჯერ ტყვეობაში, შემდეგ კი ემიგრაციაში განვლო. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროიდან მოყოლებული გივი კობახიძე სამშობლოში ერთხელაც კი აღარ ჩამოსულა, მისი სიცოცხლისა და საქმიანობის უმთავრესი მიზანსწრაფვის საგნად უპირველეს ყოვლისა მაინც საქართველო იყო ქცეული.

როგორც გივი კობახიძის ბიოგრაფიის თუნდაც ზოგადი გაცნობითაც დასტურდება, იგი მრავალმხრივი ინტერესებისა და მისწრაფებების მქონე პიროვნება იყო, რომელმაც თავისი დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობები წარმატებულად გამოავლინა მწერლობაშიც, მეცნიერებაშიც, მედიცინაშიც და პრაქტიკული საქმიანობის სხვადასხვა სფეროშიც. მისივე თქმით, იგი იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიკოსი, ლიტერატორი, ჟურნალისტი, პოეტი, რედაქტორ-გამომცემელი, უცხოთათვის და ქართველთათვის ქართული ენის მასწავლებელი".

გივი კობახიძე დაიბადა 1919 წელს თბილისში. მამამისი წარმოშობით რაჭიდან იყო. მიუხედავად თბილისში ცხოვრებისა, მის ოჯახს მშობლიურ კუთხესთან კავშირი გაწყვეტილი არ ჰქონია და ზაფხულობით ხშირად სტუმრობდა ხოლმე მას.

გ. კობახიძეს 1936 წელს თბილისის 26-ე საცდელ-საჩვენებელი სკოლა დაუმთავრებია და სწავლა გაუგრძელებია თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1941 წლის ივნისში დაუსრულებია. როგორც თავად წერს ავტობიოგრაფიაში, უკანასკნელი სახელმწიფო გამოცდა მას 20 ივნისს, სამაპულო ომის დაწყებამდე ორი დღით ადრე, ჩაუბარებია და მაშინვე გაუწვევიათ ჯარში.

1941 წლის სექტემბერში გ. კობახიძე პერიასლავლთან გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს და ტყვეობიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ განთავისუფლდა. ამ დროიდან მოყოლებული იგი ჯერ გერმანიაში ცხოვრობდა, 1949 წლიდან კი ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა.

გერმანიაში ყოფნის პერიოდში იგი ძირითადად სამედიცინო საქმიანობას ეწეოდა. აქ მას ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონია დამყარებული ისეთ ცნობილ ემიგრანტ ქართველებთან, როგორებიც იყვნენ: მიხაკო წერეთელი, გრიგოლ რომაქიძე, ვიქტორ ნოზაძე, კალისტრატე სალია, ზურაბ ავალიშვილი, ალექსანდრე ნიკურაძე, არჩილ მეტრეველი და სხვები. 1947-49 წლებში გ. კობახიძე მიუნხენის უნივერსიტეტში თანაპროფესორად მიუწვევია ქართული ენის იქაურ პროფესორს არჩილ მეტრეველს. მუშაობის პარალელურად მწერალი თურმე მედიცინის ისტორიის ინსტიტუტშიც სწავლობდა თავისუფალი მსმენელის სტატუსით.

1948 წელს კ. სალიასთან, გრ. რომაქიძესთან და მ. წერეთელთან ერთად გ. კობახიძემ მონაწილეობა მიიღო პარიზში ჟურნალ „ბედი ქართლისას“ დაარსებაში. მათივე ძალისხმევით იქვე საქართველო-კავკასიის სამედიცინო საზოგადოებაც იქნა დაფუძნებული.

როგორც ითქვა, 1949 წლიდან გ. კობახიძე საცხოვრებლად მეუღლესთან - უკრაინელ მარია ტოკარევასთან ერთად ამერიკაში გადავიდა. ამერიკაში ცხოვრების პერიოდში გ. კობახიძემ კიდევ უფრო ფართოდ და მასშტაბურად გაშალა თავისი „ქართული“ საქმიანობა. მიუხედავად ტერიტორიული სიშორისა, მას ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ევროპასა და ამერიკაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან და აქტიურად თანამშრომლობდა მათ მიერ გამოცემულ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ამ ურთიერთობის შესასწავლად და ქართული ემიგრაციის ისტორიის გასაანალიზებლად განსაკუთრებით ფასეულია ის მიმოწერა, რომელიც გ. კობახიძეს ქართველ ემიგრანტებთან ჰქონია. მწერლის თქმით, მის პირად არქივში დაცული მათგან მიღებული წერილები მხოლოდ უბრალო ეპისტოლარული შემკვიდრეობის ნიმუშებს კი არა, იმავდროულად დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტებსაც წარმოადგენენ.

გ. კობახიძის ცხოვრების ამერიკული პერიოდი მეტად მდიდარი და ნაყოფიერია შემოქმედებითი მოღვაწეობის მხრივ. იმის გამო, რომ მწერლის ლიტერატურული ნაწარმოებების დიდი ნაწილი ჯერ-ჯერობით გამოუქვეყნებელია, შესაძლებლობა არა გვაქვს სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნეს გ. კობახიძის მწერლურ შესაძლებლობებზე. კერძოდ, თავად მისი ინფორმაციით, მას დასაბეჭდად ჰქონია გამზადებული შემდეგი წიგნები: 1) ლექსთა კრებული (1943-1989 წწ.); 2) ქართველები ამერიკასა და კანადაში; 3) ქართული მედიცინის მოკლე ისტორია; 4) ქართული ფეოდალიზმის მოკლე ისტორია; 5) ქართული ეკლესიის შემოკლებული ისტორია; 6) ლიტერატურული ნარკვევები (შტუდიები) -

1958 წლიდან გ. კობახიძე იყო ფორდამის (ქ. ნიუ-იორკი) უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი და სამედიცინო ჟურნალის საარედაქციო კოლეგიის

წვერი. მის დიდ სამეცნიერო და საზოგადოებრივ აღიარებაზე მეტყველებს ის ტიტულები და წოდებები, რომლებიც მას ჰქონდა მინიჭებული. კერძოდ, იგი ყოფილა წვერი ამერიკის ისტორიული საზოგადოებისა, არქეოლოგიური ინსტიტუტისა, გეოგრაფიული საზოგადოებისა, ნიუ-იორკის უკრაინული თავისუფალი აკადემიისა, მედიცინის ისტორიის ასოციაციისა და სხვ.

გ. კობახიძის მხატვრული ნაწარმოებები და სამეცნიერო ნაშრომები სისტემატურად იბეჭდებოდა შემდეგ ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემებში: „ბედი ქართლისა“, „კავკასიონი“¹, „გუშაგი“², „ქართველი ერი“, „საქართველო“, „თავისუფლების ტრიბუნა“ – გარდა საკუთარი გვარ-სახელისა, მისი ნაწარმოებები გამოქვეყნებულია შემდეგი ფსევდონიმებით: გივი შაორისპირელი, გივი შაორელი, გ. ხერგასიძე, გორდა მახვილაძე, გიორგი ალანიძე, ომარ თალია, ახალი შეფიცული, ადამ იანიშვილი, მიმომხილველი, ქრონიკოსი, ჟამთააღმწერელი, გ. კ-ძე, თედო რაჭველიშვილი, გივი კობი...

ამერიკაში მცხოვრებ ცნობილ ქართველებთან: ალექსანდრე სულხანიშვილან, ისიდორე გაჟონიასთან, ვახტანგ აბაშიძესთან, გიორგი ლოლობერიძესთან და სანდრო ბარათელთან ერთად გივი კობახიძეს აქტიური მონაწილეობა მიუღია 1952 წლის 5 ოქტომბერს ნიუ-იორკში „ქართველთა დემოკრატიული კავშირის“ დაარსების საქმეში. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამ კავშირის წესდება გ. კობახიძის ხელით ყოფილა დაწერილი.³

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულმა საბჭომ⁴ აქტიურად დაიწყო პრაქტიკული მუშაობა დასახული მიზნის მისაღწევად. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მან თავიდანვე გააკეთა, ამერიკის კონტინენტზე პირველი ქართულენოვანი პერიოდული ორგანოების გამოცემა იყო. კერძოდ, 1953 წლის თებერვალში გამოსვლა დაიწყო საინფორმაციო ბიულეტენმა „ცნობის ფურცელი“ (გამოდიოდა 1954 წლამდე). ხოლო იმავე წლის ივნისში – ჟურნალმა „ჩვენი გზა“ (გამოდიოდა 1961 წლამდე). ორივე მათგანის რედაქტორი გივი კობახიძე გახლდათ. ეს იყო პირველი ნაბეჭდი, თუმცა არა სტამბური (არამედ ჰექტოგრაფიით გამრავლებული - ა. ნ.) ქართული პერიოდული ორგანოები, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული“⁴.

გარდა დასახელებული გამოცემებისა, გ. კობახიძემ მოგვიანებით „ქართველი ერიც“ (1955 წ. გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი) გამოსცა. როგორც რედაქტორ-გამომცემლის მიერ გაზეთისათვის წამძღვრებულ „უანცხადებაში“ აღნიშნული, „ქართველი ერის“ უმთავრესი და უპირველესი მიზანი უნდა ყოფილიყო; „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველებისათვის მშობლიურ ენაზე მიეწოდებინა ქართული კულტურის, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ზნე-ჩვეულებების ამსახველი მასალები... არ დაევიწყებინა მათთვის ძველი სამშობლო – ყოველმხრივ შეეწყო ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის

პოპულარიზაციისათვის შეერთებულ შტატებში". 1957 წელს გ. კობახიძემ გაზეთი "ქართული ერი" უკვე ჟურნალის სახით გამოცა სახელწოდებით "ერებული" (სამწუსაროდ, ისიც მხოლოდ ერთი ნომერი).

ამერიკაში ზემოთ დასახელებული პერიოდული ორგანოების გამოცემამდე გ. კობახიძეს სარედაქციო-საგამომცემლო მუშაობის პრაქტიკა ევროპაში ჰქონდა მიღებული. კერძოდ, მისი აქტიური თანამონაწილეობით 1943-44 წლებში ბერლინში გამოდიოდა ქართული ეროვნული კომიტეტის ორგანო გაზეთი "ქართული ერი" (გ. კობახიძეს მასში რედაქციის მდივნის მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული).

ასეთია გ. კობახიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი ეპიზოდები ჩვენთვის დღესდღეობით ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით. იგი გარდაიცვალა 1998 წელს ვაშინგტონში.

გივი კობახიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ყველაზე ფასეული და მნიშვნელოვანი პირველ ყოვლისა მაინც მისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილებია. ამ წერილებისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მათში ყოველგვარი ცენზურული შეზღუდვებისა და იდეოლოგიური დიქტატის გარეშე გაანალიზებული როგორც საბჭოთა პერიოდის ჩვენი ყოფის საჭირობოროტო მოვლენები, ისე ისტორიული წარსულის პრობლემური საკითხებიც.

გ. კობახიძის პუბლიცისტის უმთავრეს თემად უპირველეს ყოვლისა ეროვნული პრობლემა დამკვიდრებული, რუსული კოლონიალიზმის უღლისაგან ჩვენი ქვეყნის საბოლოოდ განთავისუფლებულისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზათა აქტიური ძიება.

ამ მიზნით მწერალი არა მარტო თანადროულ ეპოქალურ მოვლენებს ანალიზებს და აფასებს მისეული თვალთახედვით, არამედ ისტორიული წარსულის საჭირობოროტო პრობლემებსაც.

გ. კობახიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ იგი ჩვენი ემიგრანტების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებაც გვაწვდის მრავალ უცნობ ინფორმაციას. ამ თვალსაზრისით მისი არა მარტო პუბლიცისტურ-ლიტერატურული წერილებია უაღრესად საინტერესო, არამედ პირად არქივში დაცული მასალებიც.

გ. კობახიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან საგანგებოდ მინდა გამოვყო ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისადმი მიძღვნილი წერილები. მათი მეშვეობით მკითხველი არა მარტო კონკრეტულ პიროვნებათა შესახებ იღებს მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციებს, არამედ, საზოგადოდ, ამერიკის კონტინენტზე ქართული ემიგრაციის გაჩენასა და საქმიანობასთან დაკავშირებითაც. ამ თვალსაზრისით რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა გ. კობახიძის წერილებზე - "ქართველები კანადაში" და "მარად იბრწყინებს", რომლებიც მას 1990 წელს დაუწერია.

ავტორის განმარტებით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ქართველთა მიგრაცია, მართალია, მე-19 საუკუნის 20-იანი წლებში დაიწყო მაგრამ ამ ქვეყნებისაკენ ლტოლვამ მასობრივი ხასიათი ხსენებული საუკუნის სამოციანი წლებიდან შეიძინა, როცა რუსეთის იმპერიაში მოხდა გლეხთა ყმობიდან გათავისუფლება და ამერიკაში კი დამთავრდა სისხლიანი სამოქალაქო ომი (1860-64), რომლის შედეგი იყო აქ მანამდე არსებული მონობის გაუქმება და ზანგთა განთავისუფლება".

ამერიკისა და კანადისაკენ ქართველთა მასობრივი მიდინების პროცესს გ. კობახიძე ეკონომიკური ფაქტორებით ხსნის. მისი მტკიცებით, სწორედ ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნებში ქართველთა გადასახლება საქართველოს იმ რეგიონებიდან მოხდა, სადაც ხალხი მიწის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. ესენი იყვნენ: რაჭველები, ლეჩხუმელები, იმერლები, გურულები, მეგრელები და სვანები. ქართლ-კახეთის მდიდარი სახნავ-სათესი მიწები და უხვი მოსავალი კი ნაკლებად აიძულებდა ამ კუთხის შეილებს გარეთ ეძებნათ დამატებითი საარსებო წყარო".

გ. კობახიძის შეფასებით, ამერიკისა და კანადისკენ ქართველთა მასობრივი სწრაფვის პირველი ეტაპი მე-19 საუკუნის სამოციანი წლებში დაიწყო და შემდგომში ამ პროცესმა კიდევ უფრო მასშტაბური სახე მიიღო. გარდა ეკონომიკური ფაქტორისა, მომდევნო ხანაში ამ მოვლენას საფუძვლად პოლიტიკური ვითარებაც დაედო. ასე რომ, მე-19 საუკუნის 60-იანი წლების დასასრულიდან მოყოლებული ამერიკაში ქართველთა საკმაოდ დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი. გ. კობახიძე არა მარტო ზოგადად საუბრობს ამ მოვლენის შესახებ, არამედ კონკრეტულადაც ასახელებს გაამერიკელებულ ქართველთა ცნობილ წარმომადგენლებს. მაგალითად, 1905 წლის შემდეგ ამერიკაში ნოე ინსკირველის ხელმძღვანელობით ჩასულა გურულ ცხენოსანთა 50 კაციანი ჯგუფი, რომელსაც თავისი საციროკო და საცხენოსნო ხელოვნებით ფართოდ გაუთქვამს სახელი მთელს ქვეყანაში.

გ. კობახიძის ინფორმაციით, ოცდაათიანი წლების დასაწყისში ამერიკაში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა იმდენად თვალსაჩინო ხდება, რომ იზადება ქართული სათვისტომოს დაარსების აზრი. ამ მამულიშვილურ საქმეს ხელი მოჰკიდეს პავლე კვარაცხელიამ მეუღლით თამარით და ბატონმა ვანო კობახიძემ. მათი თაოსნობით 1931 წლის პირველ დეკემბერს ნიუ-იორკში დაარსდა ქართველი სათვისტომო ამერიკის შეერთებულ შტატებში". ამ საზოგადოებამ მიიღო წესდება, რომელიც დამტკიცებულ იქნა საშტატო იუსტიციის სამინისტროს მიერაც, როგორც ლეგალური ორგანიზაცია. სათვისტომოს პირველი თავმჯდომარე იყო პავლე კვარაცხელია, ხოლო მდივანი - ვანო კობახიძე".

თავის წერილებში გ. კობახიძე ღრმა შთამბეჭდაობით წარმოაჩენს იმ დიდ სიყვარულს, რითაც ამერიკაში მცხოვრები ქართველები შორეულ საქართველოსთან

იყენენ სულიერად დაკავშირებულნი. მიუხედავად იმისა, რომ მათი უდიდესი ნაწილი მატერიალურად წელგამართულად ცხოვრობდა, სამშობლოსაგან იძულებითი სიშორის გამო ისინი თავს ბედნიერად მანაც არ გრძნობდნენ. ამის შესანიშნავი მაგალითია ის ანდერძი, რომელიც ამერიკელ ქართველთა სათვისტომოს დამფუძნებელსა და პირველ თავმჯდომარეს პავლე კვარაცხელიას დაუტოვებია მუღლისათვის - სიკვდილის შემდეგ მისი სხეულისათვის კრემაცია გაეკეთებინათ და იმის იმედით, იქნებ ერთი ფერფლი მანაც მოხვედრილიყო საქართველოში, ნამწვავი თვითმფრინავიდან ოკეანის თავზე მიმოფანტათ.

გ. კობახიძის წერილებში კონკრეტულადაა დასახელებული ის ქალაქები და რეგიონები, სადაც ქართველი ემიგრანტები კომპაქტურად ყოფილან დასახლებულნი. მაგალითად, ავტორის განმარტებით, თუ «დიდი ნიუ-იორკი იმით გამოირჩეოდა სხვათაგან, რომ იქ ცხოვრობდა და მუშაობდა მრავალი ქართველი, ჩამოსული სხვადასხვა კუთხიდან, ჩიკაგოს არეში უმთავრესად გურულები დაჯგუფდნენ და მათი ტალღები გადადიოდნენ კანადის მხარეზე, ტორონტოსა და ოტავაში. ხოლო დასავლეთის სანაპიროზე, შტატ ვაშინგტონის ქალაქ სიეტლში და კანადის ქალაქ ვანკუვერში დაჯგუფდნენ რაჭველები. სხვა ქალაქები, როგორც მაგალითად სან-ფრანცისკო, ლოს-ანჯელესი, დენვერი - იყო შორეული. ამ არეებში სეზონურად და მრავალწლიურად მომუშავე ქართველთა რიცხვი საგრძნობი გახდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში, ცხრაასიანი და ათიანი წლებიდან».⁷

მართალია, ამერიკის კონტინენტზე საარსებო სახსრის მოსაპოვებლად ჩასულ ქართველთა უმეტესობა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კვლავ ბრუნდებოდა სამშობლოში, მაგრამ მათი «ერთი ნაწილი სამუდამოდ დასახლდა კანადასა და ამერიკაში და მათი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები შეუერთდნენ ამერიკა-კანადის მთავარ დინებას, გადაიქცნენ რა ამ ქვეყანათა ქვეშევრდომ მოქალაქეებად და ისინი ისეთივე ამერიკელები და კანადელები არიან, როგორც სხვანი».

გ. კობახიძე არა მარტო ზოგადად მსჯელობს გაამერიკელების ამ პროცესზე, არამედ იმის შესახებაც საუბრობს პატრიოტული გულისტკივილით, უცხო ქვეყნებში დამკვიდრებული ჩვენი თანამემამულეები გვარებითაც, ენითაც და ცხოვრების წესითაც თანდათანობით როგორ წყდებოდნენ მშობლიურ ფესვებს. მწერლის თქმით, «დრო და ჟამმა თავისი გაიტანა და მომრავლებული ოჯახები თანდათან ცალკე გავიდნენ საცხოვრებლად, გადასახლდნენ სხვადასხვა ქალაქებში სამსახურებრივი მოთხოვნილებების გამო. ქართული ენა მხოლოდ ღრმა მოხუცებს შერჩათ, მომღვერო თაობები კი გაკანადელდნენ და გაამერიკელდნენ და შთაინთქნენ ეგრეთ წოდებულ «შემადნობელი ქვაბის» ალმურში. მაგრამ მათ იციან, რომ ისინი წარმომავლობით ქართველნი არიან. ამას არ იფიწყებენ».

საქართველოდან ემიგრირებული ამ ადმიანების სანაცვლოდ, მწერლის თქმით, დღეს უკვე „მხოლოდ მათი მღუბარე საფლავებია დარჩენილი ქართულ-ინგლისური ეპიტაფიებით!“ და კიდევ: „გაყვითლებული დოკუმენტები საქალაქო არქივებსა და მუზეუმებში, რომელნიც მათს ამბავს მოგვითხრობენ“.

სწინებულ პუბლიკაციაში გ. კობახიძემ ერთ-ერთი ასეთი ქართველის ცხოვრების ამბავიც მოუთხრო მკითხველს შთამბეჭდავი ფორმით - სოფელ უწერაში 1895 წელს დაბადებული დიმიტრი მეტრეველისა, რომელიც 1913 წელს ჯერ ამერიკაში გადასახლდა, შემდეგ კი კანადაში. აქ მან იმდენად დიდი წარმატებები მოიპოვა, რომ ოქროს საკუთარი საბადოები შექმნა და უმდიდრეს პიროვნებად იქცა. იგი ისე პოპულარული და პატივცემული ადამიანი ყოფილა, რომ კვებეკის ოლქში არსებული მისი საცხოვრებელი დაბისათვის ხალხს სახელად მეტრეველი დაურქმევია. ასე გაჩენილა ადგილობრივ რუკებზე დაბის სახელი „მეტრეველი“.

ჩვენ გაკანადებული თანამემამულე, რომელმაც თურმე უზარმაზარი სიმდიდრე დააგროვა, გ. კობახიძის თქმით, „უმურველად ესმარებოდა არა მარტო თავის ოჯახსა და ნათესავ-მეზობლებს საქართველოში, არამედ მკვიდრ კანადელებს, ბალტიელებს, უკრაინელებს და თავის თანამემამულე ქართველებს“. სამწუხაროდ, ამერიკასა და კანადაში მე-20 საუკუნის 30-იანი წლებში მომხდარმა დიდმა ეკონომიკურმა კრიზისმა დიმიტრი მეტრეველსაც მიაყენა „ასასტიკი დარტყმა“, რის შედეგადაც მისი სახელობის დაბა ხალხისაგან დაიცალა. დიმიტრი მეტრეველი 1970 წელს გარდაიცვალა. მას დარჩენია ორი ვაჟი და ერთი ასული, რომელნიც, სამწუხაროდ, იმდენად არიან თავიანთ ქართულ ფესვებს მოწყვეტილნი, რომ მხოლოდ გადმოცემით იციან თავიანთი ქართული წარმომავლობის ამბავი.

გ. კობახიძის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მექედირეობის გაანალიზების დროს მკითხველის ყურადღება მის იმ წერილებსაც მიხნდა მივაპყრო, რომლებშიც ამერიკასა და კანადაში მოღვაწე სხვა ქართველ ემიგრანტთა მამულიშვილური მოღვაწეობის ახალი მხარეებია წარმოჩენილი. ესენი არიან: საქართველოში ცხოვრების პერიოდში გაზუთ თემის“ რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ (გიგო) ღიასამიძე, ცნობილი ექიმი და მეცნიერი ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჯიშყარიანი, ამერიკაში ქართველთა სათვისტომოს დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარე პავლე კვარაცხელია, პოეტი გიორგი ლოლუა და სხვ.

თავის ამერიკული ციკლის“ წერილებში გ. კობახიძე ეროვნული სიამაყის გრძნობით იხსენებს იმ სახელოვან ქართველებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მათი ახალი სამშობლოს“. კულტურის, მეცნიერებისა და ეკონომიკის განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ „ქართველთა რიცხოვნობას, რა თქმა უნდა, ვერ შევადარებთ სხვა ერებისას, მწერლის შეფასებით, ამ „ერთმა მუჭა“ ქართველებმაც მისცეს ამერიკას გამოჩენილი პიროვნებანი: დიდი ქორეოგრაფი ჯორჯ ბალანჩინი (გიორგი ბალანჩივაძე); საბუნდრო თვითმფრინავების

ბრწყინვალე კონსტრუქტორი ელევზენდერ კარტველი (ალექსანდრე ქართველიშვილი); პარფიუმერიის სპეციალური სახეობის გამომგონებელი და მწარმოებელი პრინცი ჯორჯ მაჩაბელი (გიორგი მაჩაბელი); ცნობილი მწერალი და მოქანდაკე ჯორჯ პაპაშვილი (გიორგი პაპაშვილი); თავის დროზე საკმაოდ ცნობილი მწერლები სანდრო ნებლო (ალექსანდრე პაპუაშვილი), ნიკო ჩხოტუა (ნიკოლოზ ჭყონია) და პავლე ჭავჭავაძე; პრიმა ბალერინა ტამარა ტუმანოვა (თამარ თუმანიშვილი), მინის მწარმოებელი ინდუსტრიალისტი ჯორჯ კობი (გრიგოლ კობახიძე); ცნობილი მეცნიერი ანთროპოლოგი ალექსანდრე გრიგოლია (პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი); ისტორიკოსი ალ. ტარსაიძე; კლასიკური ჭიდაობის ფალავანი კოლია ქვარიანი და რამდენიმე სხეაც.⁸

სამწუხაროდ, ამ და ამერიკაში მცხოვრებ სხვა ცნობილ ქართველთა მოღვაწეობის შესახებ საქართველოში დღესდღეობით ბევრი რამ ან მხოლოდ ზედაპირულადაა ცნობილი, ანდა საერთოდ უცნობია. გ. კობახიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი ინტერესს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ იგი ნაწილობრივ მაინც ავსებს ჩვენი ისტორიის ამ ხარვეზს.

როგორც წინამდებარე მიმოხილვიდანაც ჩანს, გივი კობახიძე მრავალმხრივი მოღვაწე იყო. მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ბევრი მხარე სასურველ დონეზე ჯერაც არაა ცნობილი და ხელმისაწვდომი, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვითაც კი იგი ერთ-ერთი გამორჩეული და ღირსეული წარმომადგენელია მეოცე საუკუნის ქართული ემიგრაციისა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟურნალი „კავკასიონი“, პარიზი, 1964 წ., №9.
2. ჟურნალი „გუშაგი“, პარიზი, 1986 წ., №11, 1987 წ., №12, 14.
3. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, თბილისი, ტ. 2, 1991, გვ. 260-262.
4. იქვე, გვ. 262.
5. გ. კობახიძე, ქართველები კანადაში. გაზ. „თბილისი“, 1990 წ. 14-16 აპრილი.
6. გ. კობახიძე, მარად იბრწყინებს. „თბილისი“, 1990 წ. 27-28 აპრილი.
7. გ. კობახიძე, ქართველები კანადაში. „თბილისი“, 1991, 24 ივნისი.
8. Ibid.

SUMMARY

EMIGRANT GEORGIAN WRITERS IN USA.
GIVI KOBAKHIDZE

Givi Kobakhidze is one of the representatives of Georgian Emigrants who had to immigrate to different countries due to the World War II. he was taken captive by Germans in 1943. And he spent the rest of his life as a prisoner and then as an emigrant.

Since 1949 till his death (1998) he lived and worked in America. There in the United States he served "Georgian" interests. Despite the distance he kept in touch and cooperated with Georgian Emigrants and the newspapers and magazines edited by them.

G Kobakhidze was a professor of Formada University (New York) and member of Board of Editors of the medical magazine. Titles given to him speak of his scientific and social activities. He was a member of Historical Society of the United States, Archaeological Institute, Geographic Society, Ukrainian Independent Society in New York, Association of Medical History, etc.

Together with other Georgians living in the US, Givi Kobakhidze took an active part in foundation of "Democratic Union of Georgians" i.e. "American Council of Regaining Georgian Democracy" in 1952 in New York. He was an editor of the first periodic editions of "Tsnobis Purtseli", "Chveni Gza" (later "Kartveli Eri") first edited in 1953.

The letters dedicated (addressed) to Georgian Emigrants are of particular importance in the literal heritage of G Kobakhidze. They provide the reader with profound and significant information not only about particular people, but the origin of Georgian Emigration and its activities in America as well.

მთარ ნიკოლოიზმილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

აფხაზეთის საპითხი გაზეთი

„ნიუ-იორკ ტაიმის“ შეფასებით

(ომისუფმფტომ ბერიოფი გამომამხნაუული ფარილუბის მიხამდით)

სოხუმის დაცემის შემდეგ (1993 წლის 27 სექტემბერი) გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმის“ ფურცლებზე კვლავაც სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიც ამ კონფლიქტთან დაკავშირებული პრობლემები იყო განხილული.

განსვავებით ფაშინგტონ ჰოსტისაგან, რომელიც აფხაზეთის საკითხს ძირითადად მოსკოვის ბიუროს მასალებზე დაყრდნობით ამუშეებდა, „ნიუ-იორკ ტაიმის“ ჟურნალისტები აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებულ მოვლენებს უშუალოდ კონფლიქტის ზონაში მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით აანალიზებდნენ. ამ გარემოებამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ ამ ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ და პოპულარულ გაზეთში აფხაზეთის პრობლემა ძირითადად ობიექტურად არის გაშუქებული.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმისში“ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული წერილების შესწავლამ ცხადყო, გაზეთის ჟურნალისტები ღრმად და საფუძვლიანად არა მარტო ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ პრობლემებს იცნობდნენ, არამედ საკუთრივ აფხაზეთში არსებულ ვითარებასაც. ზემოთქმული თვალსაზრისით გაზეთი მეტ-ნაკლები ობიექტურობით აფასებს იმ რთულ მდგომარეობას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა შევარდნაძის მმართველობითი რეჟიმისა და „ზვიადისტების“ დაპირისპირების შედეგად. ეს დაპირისპირება, რომელიც სამოქალაქო ომშიც გადაიზარდა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა აფხაზეთის კონფლიქტში ქართული მხარის დამარცხებისა. ასევე უაღრესად საინტერესოა ის მოსაზრებები, რომელთაც „ნიუ-იორკ ტაიმის“ ჟურნალისტები გამოთქვამენ რუსეთის ანტიქართულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. მათი მართებული შეფასებით, აფხაზ სეპარატისტთა აგრესიის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს მათდამი რუსეთის აქტიური მხარდაჭერა წარმოადგენდა.

ქვეყანაში არსებული უმძიმესი მდგომარეობის ნათლად წარმოსაჩინად „ნიუ-იორკ ტაიმის“ პარალელს ავლებს საბჭოთა პერიოდთან და დასძენს, რომ ამას შემდეგ, რაც 1989 წლის მაისში საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ქვეყანაში კატასტროფა კატასტროფას მოსდევს - სახელმწიფო გადატრიალება, სეპარატისტული ომი, ლტოლვილთა ნაკადები, დანგრეული ეკონომიკა და ახლა კიდევ სამოქალაქო ომი, რომელმაც, შესაძლოა, შუაზე გახლიჩოს ქვეყანა. სულ

ცოტა ხნის წინ ხუთ მილიონახევრიანი ერი ცხოვრობდა იმდენად კარგად, რამდენადაც ამის შესაძლებლობა იყო საბჭოთა კომუნიზმის პერიოდში. კავკასიის მთებიდან შავი ზღვის სანაპიროებამდე საქართველო იწოდებოდა აღმოსავლეთის იტალიად...¹

ფიქრობ, ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტი მცირე ისტორიული უზუსტობის მიუხედავად (ვგულისხმობ საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების თარიღს, იგი 1989 წლის მაისში კი არა, 1991 წლის 9 აპრილს იქნა გამოცხადებული), მაინც ფრიად საინტერესოა, მეტადრე იმ თვალსაზრისით, თუ რა წარმოდგენა ჰქონდათ საბჭოთა პერიოდში დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს ჩვენზე.

თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ჟურნალისტის აზრით, სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა. რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამო ქვეყნის ხელისუფლება იძულებული გახდა დახმარებისათვის კვლავ რუსეთისათვის მიემართა. ჟურნალისტის აზრით, რუსეთის ამგვარ გავლენას საქართველოზე ისტორიული ფესვები გააჩნია. რუსეთი საქართველოს ისტორიაში რეალურად XVI საუკუნის II ნახევრამდე არც კი ფიგურირებდა, ანუ იმ დრომდე, როდესაც შუა საუკუნეებში თავისი სახელმწიფოებრივი ძლიერებით გამორჩეული საქართველოს სამეფო ერთმანეთის მოქიშე რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ არ დაიშალა. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილი სპარსათა გავლენის ქვეშ მოექცა, ხოლო დასავლეთში ოსმალეთის იმპერია გაბატონდა.

იყურებოდნენ რა მოსკოვისაკენ, ქართველ მეფეთა ერთი ნაწილი იმედოვნებდა, რომ ისინი შეძლებდნენ მათი მუსლიმანი ბატონების ჩანაცვლებას ქრისტიანი ხელმწიფით. თუმცა მოსკოვთან დაკავშირებული იმედები მათ ხშირად უცრუვდებოდათ. დარღვეულ იქნა რუსეთთან 1783 წელს გაფორმებული გეორგიევსკის მფარველობითი ხელშეკრულებაც. 1801 წელს კი საქართველო ოფიციალურად იქნა ანექსირებული რუსეთის იმპერიის მიერ...²

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი რუსეთი ყველანაირად შეეცადა კვლავ შეენარჩუნებინა მასზე ადრინდელი გავლენა, რისთვისაც ეფექტურად გამოიყენა მის მიერვე შექმნილი კონფლიქტური კერები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში³.

სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც რუსეთის მიერ ზურგგამაგრებულ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერად ვლადისლავ არძინბა იქნა ჯერ დანიშნული, ხოლო შემდეგ უკვე არჩეული. ჟურნალისტის აზრით, არძინბას პიროვნების „სამამედლობას“ რუსეთისათვის ის ფაქტიც განაპირობებდა, რომ იგი რუსეთის ულტრანაციონალისტთა ლიდერის ვლადიმერ ჟირინოვსკის ახლო მეგობრად ითვლებოდა.³

სწორედ რუსეთის მსგავსი მხარდაჭერის პირობებში შეძლეს აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთში ქართველებისათვის გენოციდის მოწყობა. კერძოდ, ასეა დიპლომატიის განცხადებით, - ნათქვამია სტატიაში, - ბატონმა არძინბამ დაარღვია ყველა ხელშეკრულება, რაც კი მას ოდესმე დაუღვია. აფხაზმა ჯარისკაცებმა კი ჩაატარეს სამხედრო ოპერაცია, რათა გაეწმინდათ სოფლები, იქ შემორჩენილ ქართველთა პატარ-პატარა ჯგუფებისაგან".

გაზეთის ცნობით, აფხაზეთში საერთოდ აღარ დარჩა ეთნიკური ქართველი გალის რაიონის გარდა... ქართველები, რომელთა უმეტესობაც ასაკოვანია, რჩებიან მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სწამთ, უმჯობესია ნასახლარებზე იცხოვრონ, ვიდრე დევნილობაში". სწორედ ამიტომ, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთომ) აფხაზი სეპარატისტები "ეთნოწმენდაში" დაადანაშაულა.

რუსეთის მიერ მხარდაჭერილი აფხაზი სეპარატისტები ყველანაირად ცდილობდნენ მათი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას. ამ საქმეში მათ ფაქტობრივად დამხმარე ძალად მოეყვინნენ რუსი ე. წ. "მშვიდობისმყოფელები", რომლებიც არძინბას სურვილისამებრ მდინარე ენგურის ხიდზე განლაგდნენ და იგი დე-ფაქტო სახელმწიფო საზღვრად აქციეს. ამას დაემატა ისიც, რომ 1994 წლის ანოემბერში აფხაზეთის პარლამენტმა გაავრცელა კონსტიტუცია, სადაც რეგიონი მოხსენიებულია როგორც "სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფო". პრეზიდენტ ვლადისლავ არძინბას ინაუგურაცია შედგა (იმავე წლის - ო. ნ.) 6 დეკემბერს".⁴

ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში აფხაზი სეპარატისტები ქართველთა მხრიდან ყოველგვარ შეთავაზებას უარით პასუხობდნენ, მათ შორის ისეთსაც, რომელშიც აფხაზი ეთნოსის უფლებები სრულად იქნებოდა დაცული. მაგალითისათვის მოვიტან ფრაგმენტს სტატიიდან: "გაეროს ოფიციალური პირების განცხადებით, ბატონი შევარდნაძის მთავრობამ შესთავაზა აფხაზებს მნიშვნელოვანი ავტონომია, ისეთი, როგორსაც სუვერენული სახელმწიფო აძლევს მის საზღვრებში მცხოვრებ ერებს. მის თანახმად, პროვინციას შეუძლია ჰქონდეს საკუთარი კონსტიტუცია, პარლამენტი და სიმბოლოები, როგორებიცაა დროშა და ჰიმნი. თავდაცვა, საგარეო პოლიტიკა და საგარეო ვაჭრობა კი დარჩება ფედერალური სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ".⁵

ჩემი აზრით, ქართველებისთვისაც და აფხაზეთისთვისაც ასეთი მისაღები წინადადების შეთავაზების მიუხედავად, სეპარატისტები არანაირად არ აპირებდნენ ისეთი ვარიანტის განხილვასაც კი, რომელშიც საქართველოს სამართლიანი ტერიტორიული მთლიანობის ინტერესები იქნებოდა დაცული.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, ანუ-იორკ ტაიმსში" განვლილი ომიც კიდევ ერთხელაა შეფასებული და იგი სხვადასხვა კუთხითაა დანახული. კერძოდ, რამდენიმე

სტატიაში ნათლადაა მინიშნებული იმ აშკარა მხარდაჭერაზე, რასაც რუსეთი პირდაპირ თუ ფარულად იჩენდა სეპარატისტთა მიმართ.

იმის დასტურად, რომ რუსი სამხედროები ნამდვილად მონაწილეობდნენ სოხუმისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში, გაზეთში წერია: „რუსი ნაციონალისტები მხარს უჭერდნენ სეპარატისტებს. რუსი ოფიცრები შეპყრობილ იქნენ ომის დროს, ხოლო ქართველების მიერ საბრძოლო თვითმფრინავების ჩამოგდების შემდეგ პილოტებს აღმოაჩნდათ რუსეთის სამხედრო ნიშნები“.⁶

„ნიუ-იორკ ტაიმსში“ მოყვანილია უფრო დეტალური ფაქტებიც. მაგალითად, ერთ-ერთ სტატიაში ნათქვამია, რომ აშიძე ბრძოლის დროს, როდესაც 500-700 საარტილერიო ჭურვი ეცემოდა სოხუმს, ბატონმა შევარდნაძემ გაგზავნა შემრიგებლური (Conciliator) ტელეგრამა მოსკოვში, რომელშიც იღებდა გენერალ გრაჩოვის შეთავაზებას საქართველოში ორი დღეის განთავსებისა და ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შეყვანის შესახებ“.⁷

მაგრამ, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, აღნიშნული შეთავაზება უკვე „დაგვიანებული“ აღმოჩნდა. მართალია, ქვეყანა შევიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში და რუსის ჯარიც დარჩა საქართველოში, მაგრამ ამას არანაირი სასიკეთო ძვრა არ მოჰყოლია აფხაზეთთან მიმართებაში.

ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, გაზეთის აზრით, საქართველოში მაინც არსებობდა აფხაზეთის მალე დაბრუნების იმედი, რის დასტურადაც მოყვანილია ნაწყვეტი შევარდნაძის პრესკონფერენციიდან, სადაც იგი ამბობს: „სოხუმის დაკარგვა იყო უდიდესი მორალური და პოლიტიკური უბედურება... ჩვენ უნდა დავიბრუნოთ სოხუმი. თუ ეს თაობა ვერ შეძლებს ამას, მომავალი თაობა უსათუოდ მიაღწევს მიზანს“.⁸

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ გაზეთი არ ზალავს თავის სიმპათიას შევარდნაძის პიროვნების მიმართ და ხშირად მას გადაჭარბებული საქებარი ეპითეტებითაც კი ამკობს. მაგალითისათვის მოვიყვან რამდენიმე მათგანს: „16-დან 27 სექტემბრამდე, იმ დრომდე, როცა სოხუმი დაეცა, ბატონი შევარდნაძე, ყოფილი საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი, ცნობილი თავისი საერთაშორისო რეპუტაციით, გახდა უშიშარი მთავარსარდალი... სოხუმში უიარაღოდ დარჩენილი ქართული ძალებისა, რომელიც გამოყვანილ იქნა თბილისის მთავრობის მიერ ექვსი კვირის წინათ მიღებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული ხელშეკრულების საფუძველზე.“

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ბატონი შევარდნაძის პირადი სიმამაცე არ გამოდგა საკმარისი საქართველოს გადასარჩენად და კვირის ბოლოს სეპარატისტებმა მთელ აფხაზეთზე სრული კონტროლი დააწესეს“.⁹

ფიქრობ, გაზეთის მიერ ზემოთ ციტირებული შეფასებები, როგორც უკვე ითქვა, ხშირად გადაჭარბებულია და რეალობას მოკლებული, თუმც მათში მანაც ცხვდებით მეტად საინტერესო და ყურადსაღებ კომენტარებსაც.

აფხაზეთისთვის ომში ქართველთა დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად გაზეთი ე. წ. „ზვიადისტებსა“ და არსებული ხელისუფლების მომხრეებს შორის არსებულ დაპირისპირებასაც მიიჩნევს. ეს პრობლემა გაზეთში მრავალი კუთხითაა გაშუქებული: და ბევრი საინტერესო პარალელია გავლებული. მეტი სიცხადისათვის მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: „შევარდნაძე და მისი მომხრეები ემზადებიან თავიანთი მეორე კრიზისის მოსაგვარებლად, რომელიც უკავშირდება ბატონ გამსახურდიას, მსურველ ქართველ ეროვნულ მოღვაწეს, რომელიც განდევნილ იქნა 1992 წლის იანვარში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად და რომელიც ჩავიდა თავის მშობლიურ სამეგრელოში ხელისუფლებაში დასაბრუნებელი გზების საძიებლად.

მიუხედავად დაპირებებისა სოხუმის დაცვის დროს დახმარების თაობაზე, გამსახურდიას მომხრეები II დღიანი ალყის დროს არ გამოჩნილან და ძალებს იკრებდნენ კვირის ბოლოს ფოთზე შეტევისათვის, რომელიც წარმოადგენს შავი ზღვის კიდევ ერთ სანაპირო და სასიცოცხლო მნიშვნელობის ქალაქს თბილისისათვის“.¹⁰

„სოხუმში დამარცხების შემდეგ, ეს ქანცვაწყვეტილი ქვეყანა ემზადება ბრძოლისთვის ორ ძველ მეტოქეს - ყოფილ ეროვნულ დისიდენტ გამსახურდიასა და საქართველოს კომუნისტური პარტიის უფროსად ნამყოფ შევარდნაძეს - შორის, რამაც შესაძლოა ფატალური შედეგი გამოიღოს“.¹¹

როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, სახელმწიფოს მაშინდელმა მეთაურმა ქვეყანაში სახელმწიფოებრივი წესრიგის აღსადგენად კვლავინდებურად რუსული ჯარის გამოყენება გადაწყვიტა. ამ ფაქტს გაზეთმა შემდეგი შეფასება მისცა: „ამი კვირის წინ ბატონი შევარდნაძე... ადანაშაულებდა მოსკოვს სეპარატისტთა მხარდაჭერაში, მაგრამ გამსახურდიას ჯარების მიერ სასიცოცხლო გზისა და თბილისის შავ ზღვასთან დამაკავშირებელი მაგისტრალების დაკარგვის შემდეგ აღნიშნული ბრალდებები ღალატის შესახებ უმაღლეს იქნა დაფიქსურებული. საქართველოს დამლა-დაქუცმაცების უმთავრესი ბოროტმოქმედიდან (Arch-villain) რუსეთი უეცრად გადაიქცა საქართველოს ერთიანობის ბოლო და საუკეთესო იმედად.

ეს შეიძლება არაორდინალურ და სწრაფ ცვლილებად მივიჩნიოთ, მაგრამ მსგავსი შემთხვევები არა არის უცხო საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიაში, რომელშიც მოსკოვის მფარველობის ქვეშ თავშესაფრის პოვნის იმპულსი ხშირად სრულდებოდა“ მოსკოვისაგან თავის დახსნის სურვილის წარმოქმნით...

...ახლაც, დგას რა ძმათამკვლელი ომის საშიშროების წინაშე, საქართველოს ხელისუფლებამ კვლავ მიმართა მოსკოვს დახმარებისათვის ქვეყნის გასაერთიანებლად, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ყოველთვის პირნათლად როდი ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს".¹²

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დაბრუნებული შევარდნაძე ყველანაირად შეეცადა რუსეთის გავლენისაგან თავის დაღწევას, მან ეს ვერ შეძლო და საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მომავლის გასაღები კვლავაც რუსეთის ხელში აღმოჩნდა".¹³

პრობლემათა გადაწყვეტა მხოლოდ მოსკოვს შეუძლია, - განაცხადა ერთ-ერთმა დასაუფლელმა (დიპლომატმა - ო. ნ.)... მაგრამ, დილემა შემდეგია: მას (ედუარდ შევარდნაძეს - ო. ნ.) არ ძალუძს გადაჭრას ქვეყნის პრობლემები რუსეთთან დაპირისპირებით, ან რუსეთის გარეშე და ასევე არ შეუძლია მოავგაროს ისინი რუსეთის დახმარებით".¹⁴

რა შეიძლება ითქვას ზემოთ ციტირებულ შეფასებათა შესახებ? მათი ნაწილი, ჩემი აზრით, დაზუსტებას საჭიროებს, ძირითადად კი პრობლემა სწორ ჭრილშია დანახული. ვგულისხმობ იმას, რომ ქვეყნის შიგნით არსებულმა განხეთქილებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა აფხაზეთის ომში ქართველთა დამარცხება, წყალი დაასხა მტრის წისქვილზე და დიდად შეაფერხა ჩვენი ქვეყნის განვითარება.

როგორც ვხედავთ, აფხაზური პრობლემისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში "ნიუ იორკ ტაიმსმა" ძირითადად სწორად და ობიექტურად შეაფასა აღნიშნული კონფლიქტი, რითაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ზემოთქმულ მოვლენასთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოებრიობის სწორად ინფორმირების საქმეში.

მოკლედ, ასეთია მსოფლიოში ერთ-ერთი ავტორიტეტული გაზეთის პოზიცია ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემასთან დაკავშირებით. მასალების სიღრმისეულად გაცნობის შემდეგ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმაში, რომ თუ ჩვენ მეტ გონიერებას გამოვიჩენდით, არ ავყუებოდით გარეშე ძალის მიერ მოწყობილ პროვოკაციებს და მოვლენათა განსჯა-განაალიზებას მეტ დროს დავუთმობდით, ამ უაზრო ომსაც ავიცილებდით თავიდან და აღნიშნული პრობლემაც აღარ იარსებებდა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

¹ New-York Times, October 24, 1993.

² Ibid.

³ Op. Cit., June 8, 1994.

⁴ Op. Cit., January 12, 1995.

⁵ Op. Cit., February 5, 1995.

⁶ Op. Cit., September 29, 1993.

⁷ Op. Cit., October 3, 1993.

⁸ Op. Cit., September 29, 1993.

⁹ Op. Cit., October 3, 1993.

¹⁰ Ibid.

¹¹ Ibid.

¹² Op. Cit., October 24, 1993.

¹³ Op. Cit., October 3, 1993.

¹⁴ Ibid.

OTAR NIKOLEISHVILI

Akaki Tsereteli State University, Assist. Prof.

SUMMARY

ISSUE OF ABKHAZIA ESTIMATED BY THE NEWSPAPER "NEW-YORK TIMES" (AFTER POST-WAR PUBLISHED LETTERS)

After the fall of Sokhumi (September 27, 1993) there were systematically published letters in "New-York Times", which discussed the problems connected with this conflict.

Despite the "Washington Post", that published articles according the material of Moscow's bureaus, the journalists of the "New-York Times" highlighted the matters gained from the conflict zone. This is the main factor that the problems of Abkhazia were so objectively discussed in this popular newspaper.

The study of the problems issued in the letters in "New-York Times" showed that journalists comprehensively and totally knew not only the problems of our country, but they also knew the situation in Abkhazia. As we pointed above the newspaper with more or less objectivity estimates the hard situation, the result of confrontation between the Shevardnadze's ruling and "Zviadists". This confrontation overgrown into the civil war was the main reason of the defeat of the Georgian side in the conflict. The ideas of the journalists of the "New-York Times" about the anti-Georgian policy are very interesting. They evaluate that the aggression of Abkhazian separatists was conditioned by the active support of Russia.

It is clear, that in publications of "New-York Times" about the problems of Abkhazia the conflict were estimated correctly and they objectively informed the international society.

რუსუდან ნიშნიანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სიკვდილის თემა ქართულ ემიგრანტულ პოეზიაში

სიკვდილის თემა ხელოვნების არაერთ სფეროში შეიძინა მნიშვნელოვანი და განსხვავებული დამოკიდებულება. ყოველი ერის ინტელექტუალური ნააზრევი თავის ანგარიშგასაწევ ასაქებებს ავლენს. გამონაკლისი არც ქართული კულტურაა. ეროვნული მწერლობის ისტორიაში არაერთი საყურადღებო ნაწარმოებია შექმნილი; ცალკე აღნიშვნის ღირსია ემიგრანტული პოეზიის ნიმუშებიც. ეს ლიტერატურული ტექსტები მრავალფეროვანი დამოკიდებულების და ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევიან. თავის მხრივ, ეს თემა ამოუწურავია.

რამეთუ სიკვდილი გარდაუვალია, ამიტომ მას ყოველ წამს უნდა ელოდე. ეს შეხედულება ზნეობის საფუძველია ყველა რელიგიაში. ამ სოფელში ცხოვრება მოკლეა; იცოცხლე და იცხოვრე კეთილად... შენს სიცოცხლეში, შენს მოკლე სტუმრობაში ამ ქვეყნად ყოველთვის სიკვდილი უნდა გახსოვდეს და კეთილ ზნეობად აღასრულებდე.

ქრისტიანულმა მწერლობამ ეს შეხედულება XI საუკუნეში ლათინური მოკლე სიტყვით გამოსახა - მემენტო მორი! = გახსოვდეს სიკვდილი! ასეთი იყო ის ლექსი, რომელიც გერმანიის ერთ-ერთ მონასტერში დაიწერა 1055 წ. და იგი შემდეგ ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში გავრცელდა,¹ - ამ სიტყვებს ვიკტორ ნოზაძე დაწერს, როცა „ფეფხისტყაოსანში“ იმავე თემის კვლევას შეუდგება და მთელი გულმოდგინებით მოიძიეს ამა თუ იმ ფაქტს, რომელიც საბოლოო ჯამში თითქმის ენციკლოპედიურ ინფორმაციას მოიცავს. ერთ საინტერესო და უჩვეულო რიტუალსაც აღწერს, რომელიც მ სექტემბერს აღესრულებოდა. ეს თქმა „გახსოვდეს სიკვდილი!“ ბიზანტიის საკარისკაცო ცერემონიასაც ეკუთვნოდა. „აკაკია“, ანუ „ანეზიაკაკია“ იყო აბრეშუმის ბალიში, რომელიც საფლავის მტკვრით იყო გასტეხული. ეკლესიაში მისვლისას ყოველი ორი ნაბიჯის შემდეგ იმპერატორს = ბასილევუსს მინისტრი ეტყოდა ხოლმე: „გახსოვდეს სიკვდილი!“ იმპერატორი იმ წამსვე მტკვრით საესე ბალიშს დახედავდა და ატირდებოდა.² ეს ორი სიტყვა წელიწადში ერთხელ ყველას უნდა გახსენებოდა - იმპერატორიდან კარისკაცამდე.

“Memento Mori” - ასე დაასათაურებს ტერენტი გრანელი თავის წიგნს, რომელსაც 1924 წელს თბილისში დაბეჭდავს.

ყოველ ღამეს მოაქვს ფიქრი სიკვდილზე და სიშორეზე.

და მემინია,³ - წერს ავტორი და ამ ფრაზით უკვე წინასწარ განწყობას ამზადებს. არა მხოლოდ იმ დროზე წუხს, როცა აღარ იქნება, არამედ იმასაც

მოისაკლისებს, როცა არ იყო; ანუ არა სიცოცხლის შემდეგ სიკვდილი, არამედ დაბადებამდე არყოფნა:

ეწუხვარ დალუქვას ჩემს სულთან ერთად,
სილაზე ნელა დაფრინავს ყვაეი.
ამ ღრუბელს, ამ ცას, ვილაც უმზერდა
წინეთ, როდესაც მე არ ვიყავი—

(„შემოდგომა მინდვრებში“)⁴

და მანც - სიკვდილი არსებობს. მას თავისი ფერიცა აქვს, რომელიც არც შავია, არც თეთრი, არც წითელი და არც სხვა, არამედ საკუთარი სიკვდილის ფერი.

დავტოვე სურვილი ბევრი.
(ქარია და ზარი კივის)
ციმციმებს სიკვდილის ფერი,
დაეშვა ღლეები ცივი.

(„ზამთრის ბარელიეფი“)⁵

ღლეები. ეს სიტყვა ვფიქრობ, შემთხვევით არ თქმულა. აქვე მინდა გავიხსენო 1924 წელი. საბედისწერო წელი. (ტერენტი გრანელის ზემოსენებული წიგნიც ხომ ამ წელს დაისტამბა). საქართველოში გამოიცა პოეტური კრებულები. წიგნის ყდებზე გამოტანილი სათაურები თვით ყველაზე უუურადღებო მკითხველსაც კი დააფიქრებდა. სტროფებს შორის მოქცეული სათქმელი სულაც არ გახლავთ ე.წ. პოლიტიკიდან შორს. ეს განცდა არსებულმა რეალობამაც განაპირობა. ამ ეპოციას სხვა შემამოფოთებელი პოეტური წინათგრძნობა ბადებს. ეს წიგნებია: ლადო მაჭავარიანის „სარკოფაგები“, ერთაწმინდელის „ეშაფოტი“, ერისთავ-ხოშტარიას „მიწა“, კ. ნადირაძის „ბალდახინი“, თარიშვილის „მზეში“ (1926) და ა.შ. სიკვდილის თემაზე მსჯელობისას ეს კრებულები ზოგადი შთაბეჭდილების შექმნას შესანიშნავად ასწერებენ.

თუ დიდხანს დავრჩი კიდევ ამ ყოფაში,
მე აღარ მექნება მეტი. მოთმინება,
ტირილში სიარული დიად მომწყინდება -
და არ შემიძლია გავძლო თეთრ სარკოფაგში“⁶

ესაა სტრიქონები ლადო მაჭავარიანის ლექსიდან „დიდ სიმარტოვეში“. წიგნში რამდენიმე ქვეთავია. ერთ-ერთ მათგანში: „აყალმაყალი მწვერვალის“ დაბეჭდილია ლექსი, რომლის მხოლოდ სათაურს მოვიხმობ: „ააათის ისარს ხსნის ბალდახინი“. ბალდახინს დრო აღარ სჭირდება, ისევე, როგორც ახლა საათს - ისარი. დრო ჩერდება!

ყოველ ადამიანს განსაკუთრებული გრძნობა ეუფლება, როდესაც პირისპირ დგება ყოფნა-არყოფნის წინაშე. განცდის სიცხადისა თუ სირთულის წინაშე

თითოეული მათგანი ეჭიდება საკითხის ყოველ დეტალს. ეს ის დროისმიერი შეზღუდვაა, ამ საწუთროში რომ დაუდგენია არსთაგანშირეგეს. ჰიკვდილი თვით სიცოცხლეში მარხია, - მიიჩნევდა დ. უხნაძეც, - იწყება თუ არა სიცოცხლე, იწყება იგიც და მასთან ერთად წინ მიილტვის. სიკვდილი ამგვარად, იმანენტური მოვლენაა და არა - ტრანსცენდენტური".⁷ და როგორც ამბობენ, ყოველი ჩავლილი დღე გვაახლოებს სიკვდილთან.

თუმცა

არსის ხეიერი არსშია თვითონ

არა არს სიმართლე უმაღლეს ამისა",⁸ - იტყვის გრ. რობაქიძე თავისი გმირების მეშვეობით და ამავე რომანში ("გველის პერანგი") ხალხურ ანდაზასაც დაიმოწმებს: "რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. ასეა - არა?"⁹ ხალხური სიბრძნე არაერთ ვარიაციას შემოგვთავაზებს: "სადაც სიკვდილ გიწერავის, ფეხნიც იქ მიგიყვანენო", ან: "სიკვდილის მეტს ყველაფერი ეშველება", "უკვდავ-უბერებელი არავინ არისო", ან: "ყველა თავის სამარეს ამოაესებსო", ან კიდევ: "სხვისი საფლავი არავის ამოუესიაო".¹⁰ არის კი ეს ე.წ. სიმშვიდე?" (მხოლოდ იმიტომ, რომ ის ყველას შეეხება). კაცმა რომ თქვას, ეს რა შეღავათია, მაგრამ, ალბათ, შეღავათია, სწორედ იმიტომ, რომ ყველას ეხება! აკი "ცის ქვეშ რაც კაცია, ყველა სიკვდილისააო".

ადამიანი შეძლებისდაგვარად, არ უნდა გაურბოდეს საკუთარი ფიზიკური მოკვდავობის შეგნებას და იმაზე უნდა ფიქრობდეს, შეძლებს კი აქ დატოვებული სახელით უკვდავობის შენარჩუნებას თუნდაც იმ ადამიანების ჯგუფში, რომლებიც მის გარშემო ცხოვრობენ, თაობების შეგნებაში თუ არა, იმ ახლობელი ადამიანების სიცოცხლის განმავლობაში მინც, სანამ ისინი იქნებიან დედამიწაზე. ერთ ზღაპარს მოგაგონებდით. ბაბუა შვილიშვილს ეფერება, ეთამაშება და ამგვარ ფრაზას ეტყვის: - ბაბუ, მე და შენ ერთად მოკვდებითო. ბებია, რომელიც იქვე საქმიანობს, ანაზღად ყურს მოჰკრავს ქმრის ნათქვამს და ანგარიშშიუცემლად დააყრის ქმარს თავზე ქოქოლას: - ენა ჩაგივარდა, შე ყიამყრალო ბერიკაცო, შენ ცალი ფეხი უკვე სამარეში გიდგას, ამგვარ რამეს როგორ ეუბნები ბავშვს, რომელმაც დღეის ამას იქით ასი წელიწადი აწი უნდა იცოცხლოსო! ქალი ბერიკაცს ნათქვამს ვერ მიუხვდა. არადა, მოხუცმა სხვა რამ იგულისხმა, სხვა რამ იტკივლა: როცა მისი მომგონებელი აღარავინ დარჩებოდა ქვეყანაზე, აი, მაშინ ჩამოდგებოდა სწორედ რეალური სიკვდილი (ასეთი რამ ბაბუასთვის მხოლოდ შვილიშვილის სიკვდილის შემდეგ მოხდებოდა).

ადამიანები მესხიურებაში აგრძელებენ არსებობას. უფრო მეტიც, ხანდახან იმდენად "ცოცხალია" თითოეული იმათგანი პიროვნულად, ისეთი ცხადი და რეალური, რომ შეუძლებელია, არ მოგაგონდეს არაჩვეულებრივი სტრიქონები:

გადაურა ბალახმა

საფლავს - სიცოცხლის წერტილს..

ჩემთვის შენ როგორ არა ხარ?! -

მე აღარა ვარ შენთვის!"¹¹

ფინალი ახალი აზრის დასაწყისი ხდება. აზრისა, რომელიც სხვაგვარად ჩაგაფიქრებს, იჭვენულს სამანს იქით გახედვის სურვილს გაგინებს და რაც მთავარია, თითქოს ორიენტაციაც იკარგება.

სიკვდილი - სამშობლოში.

სიკვდილი - უცხოეთში.

თითქოს არაფრით გამოჩნეული. თითქოს. ერთი შეხედვით და ისიც ზერეულე-არადა, რაოდენი განსხვავების მატარებელი.

მშვიდობით, მშვიდობით ჩემო ქვეყანავ. მე არაფერი მიმაქვს შენი, გარდა ერთი მუჭა მიწის და ერთი გულის, რომელიც საესეა შენი სიყვარულით. არ გეთხოვები და არ მინდა შეგხედო უკანასკნელად. მინდა ვიყო შენი ღირსი, თუ არა და - მოაკლდეს შენს ნიადაგს ერთი მუჭა ქვიშა, ავგაროხად რომ რჩება ჩემს გულზე".¹² ეს მხოლოდ ერთი კაცის ნაფიქრი არ არის. ასე მუჭა-მუჭა ედოთ ქართული მიწა გულისჯიბეში საქართველოდან წასულებს და საქართველოდან გაქცეულებს. ედოთ ავგაროხად. შეფარულად თითოეულზე შეიძლება გავრცელდეს ნ. მიწიშვილის ლოცვასავით ნაფიქრი: „ხშირად ვფიქრობდი შემდეგ: ეს მიწა მშვიდობით მიმაბრუნებს მე თავის დედასთან“,¹³ აქ, ალბათ, ორგვარი დატვირთვა: იგულისხმება, დაუბრუნდებოდნენ მშობელ ერსა და დედას და დაუბრუნდებოდნენ თავის სალოცავ რწმენას, ავგილის დედას, იმ დედას - საქართველო რომ ჰქვია სახელად.

მიწა - განსაკუთრებული ფენომენი: რწმენისმიერი თვალსაზრისი და ესთეტიური დამოკიდებულება. ერთი საინტერესო ასპექტი ქართულ ემიგრანტულ პოეზიაში. უცხო მიწაზე სიკვდილი კიდევ უფრო ამძაფრებდა განცდას. მოვა დრო, როცა აღარ ვიქნები - თავზარდამცემია არა მხოლოდ ეს ფიქრი, არამედ ისიც, არ ვიქნები ჩემიანებთან. ეს კიდევ უფრო ამღიერებდა მარტოობის „სიშორის“ დამთრგუნველ შეგრძნებას.

„თუ განსრულდა ეს ცხოვრება

შენგან ჩემთვის განგებული,

გთხოვ, არ მოგკვდე უცხოეთში

სიყრმით დღემდის დაკარგული".¹⁴

შ. ვარდიძის ეს ლექსი (ჩემი ლოცვა) პარიზში დაიწერა. დაწერის დრო პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს. ის შემამფოთებელი განცდა: „არ მოგკვდე უცხოეთში“ სხვის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე აფორიაქებს აწ უკვე ემიგრანტებს. თუკი სამშობლოს ხილვა არ ეღირსებათ, აქ სიკვდილის ადგილი მაინც არ არის. არყოფნა - თუნდაც მშობელ ქვეყანაში. პარადოქსია, მაგრამ საკუთარ მამულში ის „ყოფნის“ რაღაც დეტალებს მაინც შეიცავს:

„იქ საფლავიც ტკბილ მექნება,

ნანას მეტყვის ნაზი ქარი.
ზაფხულს მდელი რა შემოსავს,
ზამთარს თოვლიც მთლად სპეტაკი,
გაზაფხულზე იით, ვარდით,
არ დაფრჩები მე ლატაკი".⁵

მის სამარეს არც მნახველი მოაკლდება და არც ცრემლი. საღვთო ლოცვასაც ტკბილ-ქართულად შეასრულებენ, "დიდებასაც" იმღერებენ და "ეროვნულ აღდგენასაც ჩემ ძვალთ ნეშტათაც ახარებენ" ე.ი. განსხვავებული, მაგრამ მაინც არსებობა, სამშობლოში კვლავ გრძელდება.

იქ სიკვდილი მირჩენია
ამ ცხოვრებას უცხო მხარეს.
ღმერთო, ზენით გადმომხედე
ნუ გამითხრი აქ სამარეს!"

ეს სასოწარკვეთილის თხოვნაა. იქ, აქ მკვეთრად გამოიჯნული მონაკვეთები. აქ არც კარგი ცხოვრება უნდა და არც სიკვდილი. იქ სიკვდილიც სანატრელი გახდომია. ლექსის ლირიკული გმირი სიცოცხლეს კი არ თხოვს ღმერთს, არამედ იქ სიკვდილს. იქ სამშობლოა მისი, მიწა და მამული. იქ იმ მიწას უნდა შეუერთდეს, რომლისაგანაც შექმნილა.

ნატვრა და თხოვნა ქართველ ემიგრანტებს საზიარო აქვთ. ძველი ოცნებებით თბება გიორგი გამყრელიძის ლექსის ("მგ ზაფხვის ოცნება") გმირიც. ვსარგებლობ კრებულით: "გვიანი რთველი", სანტიაგო დე ჩილე, 1960 წ. საკუთარი ფუძე ახსენდება, ვენახი, სახნავეები, სათიბები, ტყეები... ერთი "მაგრამ" არ ასვენებს:

და თუ მომცემს უცხოეთის
მიწას ბედი ავი,
თუ ჩემს საფლავს ვერ იტირებს
ძმა და ნათესავი, -
ოკეანეს გადმოლახავს
საქართველოს ქარი
და ჩამძახებს: "ხალამს გითვლის
რიონი და მტკვარი".⁶

უცხო მიწაზეც მშობლიური სიო დაუბერავს, მის საფლავს მოივლის. იმ კაცის სამუდამო განსასვენებელს, რომელიც მიუხედავად ამდენი წლის სხვაგან რეალური ცხოვრებისა, მაინც მგ ზაფხვად რომ თვლის თავს (ლექსის სათაური: "მგ ზაფხვის ოცნება"), მაინც რომ ვერ გაითავისა აქაურობა. ეს ლექსი 1956 წ. დაიწერა. ცოტა ხნით ადრე (1954 წ.) იწერება პოეტური ნაწარმოები ამიწა ქართული, რომელიც რამდენიმე ნაკვეთისაგან შედგება. ერთ-ერთ ნაკვეთში (გ) სიკვდილის შემდგომ მარადიულ საუფლოში გადასვლას უფლის ხატება მოჰყვება. ეს გამოცხადება

არაა, არამედ ლირიკული გმირი თუ ავტორი უშეგებს ამგვარ შესაძლებლობას: მკვლარს რომ ჩამესმას უფლის ხმა ზარად". რომ - სხვა განზომილებაა. სამყაროს შემოქმედთან მოკრძალებული გასაუბრება იმ სურვილის ასრულებას გულისხმობს, ღმერთის მეტს აღარაფის რომ არ ძალუძს ამ მზისქვეშეთში; უფლის შეთავაზებული წყალობა და გმირის პასუხი:

აჰა, განიჭებ სიმშვიდეს მარადს
და სამოთხეში თავშესაფარსა, -
ვეტყოდი: გმადლობ, მამაო წმიდა,
მაგრამ თუ ჩემი ცხონება გინდა:
მშობელი მიწა მარგუნე მკვდარსაც".¹⁷

აკი ლექსსაც ასე ჰქვია "მიწა ქართული". მინდა აქვე გაეხსენო სოსო ჟორჯოლიანის ერთი სტროფი (მთლიანად ლექსი დაკარგულია), რომელიც სწორედ გიორგი გამყრელიძის ეძღვნება. ავტორმა იგი, როგორც ჩანს, სრულად ვერ აღადგინა, მაგრამ თავის პოეტურ კრებულში ("ლექსები", მიუნხენი, 1971 წ.) მინც შეიტანა. მთავარი სათქმელი თქვა, სხვა ვერ გაიხსენა. ეგებ აღარც დაამატა რამე?!

კიდევ მოტყდა მუხსას ერთი ტოტი
უცხო მიწას უცხოდ მიებარა".¹⁸

კიდევ ერთი ნაწარმოები გიორგი გამყრელიძის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, პოემა "პოეტი და სიკვდილი". სიკვდილთან გაბაასება უცხო არაა ქართულ პოეზიაში, განსაკუთრებით აღორძინების პერიოდის ლიტერატურაში. ამჯერად არ შეუდგები შედარებას, პარალელების მოძიებას. ყოველ ეპოქას თავისი კითხვები გააჩნია და მწერლობა ცდილობს, მას საკუთარი პასუხი გასცეს. ბუნებრივია, ემიგრანტი პოეტის შეჭირვებული ფიქრები სიკვდილს კიდევ უფრო მძაფრად განიცდის.

არსებობს სიტყვები და შესაბამისად, ზოგადად, მე გამოვყოფ თემებს, რომლებიც სიკვდილს უკავშირდება. უფრო სწორად, ესა ერთი თემიდან გამომავალი სხვადასხვა ასპექტი: მიწა, გლოვის ნიშანი, შავი, სამარე, ანდერძი... თუმცა მათზე სხვა დროს და სხვა განწყობით. განწყობა ვახსენე. მშვიდად ვერ წაიკითხავ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგარი ბ-ნი რევაზ გაბაშვილის განდობას. 87 წლის ხანდაზმული ქართველი სამ შემთხვევას გაიხსენებს, როცა ცრემლი წასკდა. გაბარების იყო ის თუ ტკივილის, ფაქტი ერთია, თითქმის საუკუნეს მიტანებულ კაცს სამგზის (!) მომხდარი ახსენდება მხოლოდ: ერთი იყო სიბარულის ტირილი დამოუკიდებლობის აღდგენის გამო, მეორე - ამ დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგად და მესამე კი - უცხოეთის მიწაში ჩაწოლის ახლო მოლოდინში.

სიკვდილის თემა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გიორგი ყიფიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაშიც.

მგლოვიარე ფოთლები, სასაფლაოს სიჩუმე - ეს განწყობა გიორგი ყიფიანის ლექსში იკვეთება - „მწუხრის ხე“. ლამაზად მოფიქრებული სათაური, ასეთივე მშვენიერი სტრიქონების გაცნობას გვპირდება.

იღვა მწუხრის ხე განმარტოებით,

შავი ნისლების გამხმარი ჩონჩხი,¹⁹ - ეს მხატვრული სახე ზუსტად მიესადაგება სიკვდილის თემაზე დაწერილი ნაწარმოებების რიგს. არა აყვავებული, აფეთქებული, ან წვიმაში გაწუწული, ან თუნდაც შემკრთალი ხე, რომლის მსგავსიც არაერთი იცის ქართულმა პოეზიამ, არამედ მწუხრის; სასაფლაოზე საგანგებოდ დარგული, რომლის ყველაზე ხშირი მნახველი მგლოვიარე ჭირისუფალი იქნება.

„მიწა მოთქვამდა ზეცის გოდებით,

ღამე აქსოვდა ყინვის გაროზებს,

მხოლოდ მწუხრის ხე განმარტოებით

იღვა იღუმალ სასაფლაოზე“.²⁰

ლექსი დაიწერა 1931 წელს პარიზში. ორი წლის შემდეგ (1933 წ.) ამავე ქალაქში იწერება „იქნებ ვიში“. სათაურშივეა გამოტანილი ის კითხვა თუ იჭვი, რომელიც პოეტს აწუხებს:

იქნებ ვიში დაწყევლიდან,

რომ სიცოცხლე მიცქერს მწყრალად,

სასოებით სულის კითხვამ

სასაფლაო შემაყვარა...²¹

მესამე სტრიქონის ბუნდოვანების მიუხედავად, მკითხველისათვის გასაგებია, რომ ავტორს სურს, ახლა სხვა თვალთ მიმოიხედოს. „კარგი გამოგონებაა სასაფლაო“, - იტყვის ნ. ბარათაშვილი და შეეცდება ერთგვარი სიმსუბუქით შეხედოს საგნებსა და მოვლენებს. გიორგი ყიფიანიც სრულიად დამოუკიდებლად (უბრალოდ, განწყობათა დამთხვევით) მოინდომებს, სცადოს, რამდენად გამოუვა ჩანაფიქრის განხორციელება...

ა- ის ლოდი, საფლავის ქვა!

ჩუმი ჩრდილის ლოცვა მესმის,

რა კარგია, რა დაფარქვა?!

უსხეულო ეს ალერსი!²²

სასაფლაოზე აღარ არსებობს ამქვეყნიური პრობლემები, ყოველდღიური საწუხარი და საფიქრალი.

ლექსი „ააავადმყოფო - სიჩუმე“ გიორგი ყიფიანმა 1964 წელს დაწერა სირ-დემლოში. საავადმყოფო თავისთავად განსაკურნავი ადგილია. აქ აღამიანები ჯანმრთელობისათვის ზრუნავენ, რათა თავი დააღწიონ ავადობას, ან უკიდურეს შემთხვევაში - სიკვდილს.

„აიციოცხლეს ასე სურს,

რომ მის დასასრულს

სუფევდეს სირუმე!
ჩურჩულებს ფოთლები,
საავადმყოფო - სირუმე".²³

მდუმარებას დაუსადგურებია. ავტორი უტრირებულად წარმოადგენს თეთრხალათიანების საქმიანობას; სარკაზმია ეს თუ?

ხერხავენ ხელებს,
ხერხავენ ფეხებს;
დახერხილ სხეულს
ტკივილი ასელებს;
მძინარე ღმუის,
შფოთაფს და სწუხს".²⁴

გამოლევიძებული ბედნიერია, რომ გადარჩა, მაგრამ ფეხი? ცალი ფეხი მოუკვეთიათ. ამ შემთხვევაში არაა საჭირო არც ყვავილები, არც შესანდობარი; საოპერაციო დარბაზის სირუმე ერთს გვაუწყებს: კაცი გადარჩა, მაგრამ ფეხი დაკარგა. ფეხი?! როგორც ჰეკელი იტყოდა: „სხეულის სხვადასხვა ასონი მხოლოდ სხეულთან მათს მთლიანობასა და მიმართებაში არიან ის, რაღაც არიან თავისთავად. ასე მაგალითად, სხეულს მოკვეთილი ხელი, როგორც უკვე შენიშნა არისტოტელემ, მხოლოდ სახელითაა ხელი და არა თავისი ჭეშმარიტი არსით".²⁵

ყოველი თემა თანადამოკიდებულ ფორმებს გულისხმობს. ასევე ამ შემთხვევაშიც. ძირითადი საკვლევე არეალი და როგორც ვთქვი, შიდა შრეები.

დასასრულ, კონსტანტინე სავარსამიძისა და ინდოელი ბრაჰმინ აბსენ ტუნგის დილოგი მინდა გავისხენო (კ. გამსახურდიას რომანიდან „დიონისოს ღიმილი“). სავარსამიძე ერთსა და იმავე თემას უტრიალებს: სადაა სიკვდილი, რად ვიქცევით გარდაცვალების შემდეგ - ბრაჰმინი პირველი კითხვის საპასუხოდ განდარას ქვეყნიდან წაყვანილი ერთი თვალახვეული კაცის იგავს უაპრობს, რომელიც მთელ ქვეყნიერებას მოივლის: აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით, ხან კი სამხრეთისა და დასავლეთისაკენ ივლის, მაგრამ თავის ქვეყანას მაინც ვერ მიაგნებს. მოვა ისევ ის, მისი განდარადან წამომყვანი, აუხვევს თვალებს და ისევ განდარაში ჩამოიყვანს. „ასე ემართება კაცს დედითშობილს და ამას ეძახიან ადამიანები სიკვდილს“, - ასწავლის ბრაჰმინი კონსტანტინეს... და როცა ყველა ხმას ქარი წაიღებს, ყველა ფერს წყალი წარეცხავს, დგება სიკვდილი... რა შეიძლება იყოს მის შემდეგ? სასოწარკვეთილი კითხვა... და მწერლის გენიალური განმარტება (პერსონაჟის მეშვეობით) თავისი მკითხველისათვის: „როგორც კარგი ფეიქარი ყაჭის ძაფს აიღებს, მერე იმ ძაფიდან ისეთ რამეს მოქსოვს, რაც ყაჭის ძაფს საესებით არ ემგვანება, ისე ჩვენი სული შემოიძარცვავს ჩვენს სხეულს და სხვად გადავა და იგიც სულ არ ემსგავსება იმას, რაც წინად იყო".²⁶ თავს ნებას მივცემ, დაუმატო: აბრეშუმის პარკის იგივე ყაჭის მომავალი (თუ პერსპექტივა) არ შეიძლება უფრო

იმედინი იყოს, ვიდრე „ღვთის ხატად“ შექმნილი კაცისა. ყოფნის“ განსხვავებული ფორმა - სრულიად განსხვავებული (ოღონდ არა მხვა) (შემოქმედის ხელში მოხვედრილი - აბრეშუმის ჭია - მერე პარკი (ყაჭი) - შემდეგ პეპლად ქცევა - ძაფი და მისგან მოქაოვილი ქაოვილი...) არსებობის გაგრძელების სხვადასხვა სახე; და ბოლოს, საოცარი საიდუმლო, გაცხადებული ქართულ ენაში იღუმალი და შვიდი სიტყვით: გარდაცვალება.

ზოგადი დასკვნა, ფიქრობ, ამგვარია: სიკვდილის თემას ეროვნულ მწერლობაში დიდი და მნიშვნელოვანი მხატვრული დატვირთვა ენიჭება. ასეთივე სერიოზულ ფორმად მიიჩნევა ის სათქმელის გადმოცემისათვის ქართულ ემიგრანტულ პოეზიაშიც. აქ მას თავისი იდეური მნიშვნელობაც აქვს და ესთეტიკური ფუნქციაც გააჩნია.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველება“, პარიზი, 1963, გვ. 67.
- ² Ibid, გვ. 69.
- ³ ტერენტი გრანელი, "Memento Mori", თბილისი, 1924, გვ. 17.
- ⁴ Ibid, გვ. 18.
- ⁵ Ibid, გვ. 21.
- ⁶ ლადო მაჭავარიანი, „სარკოფაგები“, თფილისი, 1924, გვ. 28.
- ⁷ დ. უზნაძე, ფილოსოფიური შრომები, თსუ, გამომც. თბ., 1984, გვ. 102.
- ⁸ გრ. რობაქიძე, „გველის პერანგი“, თბილისი, 1993, გვ. 87.
- ⁹ Ibid, გვ. 94.
- ¹⁰ ხალხური სიბრძნე ხუთ ტომად, ტ. V, გამომც. ნაკად, თბ., 1965, გვ. 56.
- ¹¹ ზ. ბოლქვაძე, „ლექსები“, თბ., 1982, გვ. 12.
- ¹² ნ. მიწიშვილი, „ეპოპეია, ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან“, წიგნი I, ტფილისი, 1928, გვ. 10.
- ¹³ Ibid, გვ. 17.
- ¹⁴ სამეცნ. ისტ. ლიტ. კრებული ჰედი ქართლისა, №7, V, პარიზი, 1950, გვ. 54.
- ¹⁵ გ. გამყრელიძე, „გვიანი რთველი“, სანტიაგო დე ჩილე, 1960, გვ. 18.
- ¹⁶ Ibid, გვ. 21.
- ¹⁷ ს. ფორჯოლიანი, „ლექსები“, მიუნხენი, 1971, გვ. 7.
- ¹⁸ გიორგი ყიფიანი, „ლექსები“, პარიზი, 1930-1965, გვ. 9.
- ¹⁹ Ibid, გვ. 14.
- ²⁰ Ibid, გვ. 16.
- ²¹ Ibid, გვ. 19.
- ²² Ibid, გვ. 19.
- ²³ Ibid, გვ. 26.
- ²⁴ Ibid, გვ. 42.
- ²⁵ ბლეს პასკალი, „აზრები“, თბ., 1981, გვ. 63.
- ²⁶ კ. გამსახურდია, „ღიონისოს ღიმილი“, რჩ. თხზ. 8 ტომად, ტ. V თბილისი, 1961, გვ. 920.

SUMMARY

THEME OF DEATH IN GEORGIAN EMIGRANT POETRY

Theme of death acquired the different and important attitude in a number of fields of art. The intellectual ideas of each nation have its own considerable aspects. Georgian culture is not the exclusion; a number of works worth of attention have been created in national literature; we should separately point out the samples of emigrant poetry. These literary texts enable the great variety of attitudes and interpretations. This theme is endless on its side.

The work presents one theme and different aspects proceeding from it - ground, sign of mourning - black, cemetery, will. Each of the themes implies the concomitant forms. It is the same case - the main area to be researched and inner layers.

If the artistic and geographic area is wide we will be able to simultaneously consider the poetic collections printed in Georgia (Tbilisi), Europe (Paris, Munich) and America (Santiago De Chile). Analysis of this vast material made it clear that the theme of death has an important function for expressing the ideas and it is regarded as an interesting form in Georgian emigrant poetry. There it has its ideological significance and the esthetic function as well.

ირინა სარუხანოვა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

მართვლი ამერიკელი ღირიშორი (გახტანზ შორდანიას პორტრეტისათვის)

არიან ადამიანები, რომელთა ნიჭი ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ საშემსრულებლო არენაზე გამოჩენისთანავე გვევლინებიან სიმწიფეს მიღწეულ ხელოვანებად; თითქოს მათ უკვე დაიპყრეს ოსტატობის ყველა მწვერვალი. მათი ინდივიდუალური ხელწერის შემდგომი დახვეწა სივრცეში განვითარებით თუ იქნება მხოლოდ შესაძლებელი. ამ ტიპის შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ქართველი ღირიშორი ვახტანგ ჟორდანია.

1983 წლიდან ვ. ჟორდანია აშშ-ში ცხოვრობდა. სიცოცხლის 62 წლიდან 22 მან ამერიკას დაუკავშირა და ამერიკული კულტურის ისტორიაში შევიდა როგორც გამოჩენილი მუსიკოსი.¹

ყველა, ვინც ბატონ ვახტანგს იცნობდა (მათ შორის ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა ამის პატივი ლენიგრადსა თუ ხარკოვში) მას ახასიათებენ, როგორც მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულ ხელოვანს, ბრწყინვალე ღირიშორს, უნაკლო გემოვნების მქონე ადამიანს, ერუდიტს და ამასთან ერთად, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, სუფთა, კეთილშობილურ, საიმედო ადამიანსა და მეგობარს, ჭეშმარიტ ინტელიგენტს.

ვ. ჟორდანიამ აირჩია რთული გზა, რომლისკენაც ბავშვობიდანვე მიიღებოდა. მუსიკის სწავლა დაიწყო ხუთი წლის ასაკში. წარმატებით დაამთავრა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლა, სადაც ფორტეპიანოზე დაკრას უფლებობდა შექანიშნაფი პედაგოგის - მრავალი ჩინებული მუსიკოსის აღმზრდელის - ე. ჩერნიავსკაიას კლასში.

ვ. ჟორდანიას გადმოცემით მას ფორტეპიანოზე დაკრის დროს ყოველთვის ესმოდა ორკესტრის ჟღერადობა. იმავეთვე ღირიშობობაზე ოცნებობდა. 1961 წელს პროფესორ ე. ექსანიშვილის ხელმძღვანელობით მან წარმატებით დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტი და იმავე წელს ლენინგრადის კონსერვატორიის საღირიშორო ფაკულტეტის მესამე კურსზე ჩაირიცხა, პროფ. ე. გრიკუროვის კლასში. ახალგაზრდა ღირიშორი მთელი არსებით ორკესტრისაკენ მიიღებოდა. საბედნიეროდ, მას ამის შესაძლებლობა საკმაოდ ხშირად ეძლეოდა. სწავლების წლებში ვ. ჟორდანიამ ლენინგრადის საოპერო სტუდიაში ორმოცეჯერ წარმატებით უღირიშორა სხვადასხვა სპექტაკლს, მის რეპერტუარში იყო ვერდის „ტრაფიატა“, ჩაიკოვსკის „ევგენი

ონეგინი", დარგომიუსკის ალი", შებალნის ჭირვეულის მორჯულება" და სხვ. ამასთან ერთად, იგი ითვისებდა სიმფონიური მუსიკის რეპერტუარსაც - ჩაიკოვსკისა და შოსტაკოვიჩის პირველ სიმფონიებს, პროკოფიევის კამერულ სიმფონიას, ბეთჰოვენის IV. და V სიმფონიებს, რაველის მიერ გაორკესტრებულ მუსორგსკის „სურათებს გამოფენიდან“ და სხვა ნაწარმოებებს. ყველაფერ ამას იგი ღირიჯობდა ლენინგრადის ნ. რიმსკი-კორსაკოვის სახელობის კონსერვატორიის კედლებში.²

1971 წლის იანვარში ვ. ჟორდანიამ გამოვიდა ტრადიციულ საკონცერტო საღამოზე - „ახალგაზრდა ღირიჯორის დებიუტი“, რომელიც ლენინგრადის ფილარმონიის დიდ დარბაზში იმართებოდა ხოლმე. მან წარმატებით შეასრულა შოსტაკოვიჩის V სიმფონია, რომელზედაც თვით ავტორი წერდა: ჩემი სიმფონიის თემა პიროვნების ჩამოყალიბებაა. ამ ნაწარმოების ცენტრში დგას მრავალნაირი განცდებით შეპყრობილი ადამიანი“...³

შოსტაკოვიჩის V სიმფონიის შესრულების ფაქტი ვ. ჟორდანიას ბიოგრაფიაში მტკიცედ დამკვიდრდა, ეს არ იყო ერთჯერადი გაეღვება. მისი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბება, ბევრად არის დაკავშირებული ამ უმაღლესი სულიერების მატარებელ სიმფონიასთან. შოსტაკოვიჩის V სიმფონია ვ. ჟორდანიასთვის „უზის მანათობელი“ ვარსკვლავი გახდა. სწორედ რომ ამ სიმფონიის ინტერპრეტაციით გახდა შესაძლებელი ამერიკული მსმენელის დაპყრობა.

ნიშანდობლივი და ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ შოსტაკოვიჩის V სიმფონია ქართველებით აღსავსე მძიმე 1937 წელს შეიქმნა და შესრულდა, როგორც ავტორის გამოსარჩლება ხელოვანის თავისუფლებაზე. ამ სიმფონიით შოსტაკოვიჩმა პასუხი გასცა მისი ცნობილი ოპერის „კატერინა იზმაილოვას“ მოწინააღმდეგეებს. V სიმფონია ისევე, როგორც მის წინ დაწერილი და არ შესრულებული IV და შემდგომში VI ერთ თემას ეძღვნება. თემას, რომელიც შეიძლება ასე განიხარტოს, ადამიანი და თანამედროვე სამყარო“.

ამ სიმფონიის პირველი და შესანიშნავი შემსრულებელი, შოსტაკოვიჩის მრავალი ნაწარმოების ბრწყინვალე ინტერპრეტატორი, ლევენდარული ღირიჯორი ე. მრავინსკი იყო. ის ჟორდანიას დებიუტს ესწრებოდა, რის შემდეგაც მან ჟორდანიას თავის ასისტენტად მიიწვია მსოფლიოში განთქმულ ლენინგრადის ფილარმონიულ ორკესტრში (მას მრავინსკის ორკესტრს უწოდებდნენ).⁴

ხელოვნებაში ქრონოლოგიას ყოველთვის არ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, უფრო საგულისხმოა იდეის წარმომავლობა და განვითარების პროცესი. თუ ამ კუთხიდან მივუდგებით ვ. ჟორდანიას შემოქმედებას, მაშინ, უთუოდ, აღმოვაჩინებთ იმ შინაგან აზრობრივ კავშირს, რომელმაც იგი შოსტაკოვიჩიდან ბეთჰოვენის ჰეროიკასთან მიიყვანა. ხოლო, როცა ჟორდანიას მიერ შესრულებულ ბეთჰოვენის მუსიკას უსმენ, გრძნობ თავდაჭერილობას, რუბატო-პათეტიკის სრულ უარყოფას, იმას, რისკენაც მუსიკოსებს მოუწოდებდა

სახელგანთქმული ღირიეორი ფურტვენგლერი. ვ. ჟორდანია ბეთჰოვენის მუსიკის შესრულეპის დროს ხაზს უსვამდა აზრის სიცხადეს, ჩანაფიქრის სიმკვეთრეს. მისი მიზანია გამოაააშკარავოს ნაწარმოების იდეა, გამოაჩინოს მისი მთლიანობა, რომელსაც წარმოქმნის ურთიერთსაწინააღმდეგო თემატური საწყისების შეტაკება, რითაც გამოხატულია მაღალი სულის ბრძოლა ცხოვრებისეულ პერიპეტებთან.

მუსიკალურ სამყაროში კარაიანის ფონდის მიერ დაარსებული კონკურსები განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობენ. თვით კარაიანმა ასე განმარტა ამ კონკურსების მიზანი: „დაე მუსიკამ, რომელიც ადამიანებს, ხალხებს აერთიანებს, ხელი შეუწყოს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას დამყარონ ერთმანეთთან კავშირი (და ერთად ემსახურონ მაღალ ხელოვნებას“.

კარაიანის II საერთაშორისო კონკურსზე (1971 წელი) ვ. ჟორდანია წარსდგა მრავენსკის რეკომენდაციით. მან წარმატებით განვლო ექვსი ტური და უმკაცრესი ჟიურის წინაშე შეასრულა 14 დიდი ფორმის სხვადასხვა სტილისა და ეპოქის ნაწარმოები - დაწყებული ჰაიდნისა და მოცარტის ქმნილებებით დამთავრებული პროკოფიევის, ბერგის, ბარტოკის, სტრავენსკის ნაწარმოებებით. კონკურსიდან ჟორდანია ლაურეატის წოდებით დაბრუნდა.

ამ წარმატების შემდეგ ვ. ჟორდანიას მიერ მომზადებული და შესრულებული საკონცერტო პროგრამა რამდენიმე ასეულს ითვლიდა. მისი რეპერტუარი ფართო და მრავალფეროვანი იყო - გადაჭიმული XVIII საუკუნიდან ჩვენი დროის მუსიკამდე იგი მრავალი თანამედროვე ნაწარმოების პირველი შემსრულებელი გახლდათ. საბჭოთა კავშირში მან პირველმა შეასრულა სტრავენსკის „კაპრიჩიო“, მარტინუს საბალეტო სუიტა „ცეროდენა“, აირლენდის „საკონცერტო ვარიაციები“, ბრიტენის კონცერტი ფორტეპიანოსათვის, ჩერუბინის IV სიმფონია, გუბარნკოს სიმფონია-ბალეტი „ასოლი“, ცინცაძის IV სიმფონია.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს გახლავთ ყოველდღიური დაძაბული მუშაობის შედეგი. ძალზე საინტერესო იყო ვ. ჟორდანიას მიერ ჩატარებული რეპეტიციები - არაფერი შედმეტი, არაფერი მეორესხარისხოვანი, მას პარტატურის ყოველი დეტალი საფუძვლიანად ჰქონდა გააზრებული. იგი დაჟინებით ამეორებინებდა ხოლმე ორკესტრს ერთ რომელიმე ფრაზას, მელოდიურ მოტივს, პასაჟს ან აკორდს. კონცერტის დროს მელანდებოდა, რომ მუსიკალური დრამატურგიის მთლიანობის გამოსავლინებლად სწორედ ამ ელემენტების ხაზგასმა იყო საჭირო. სარეპეტიციო პროცესის ორგანიზებულობასა და სიხუსტეს წინ უძღოდა პარტიტურის სკრუპულოზური შესწავლა. შესანიშნავი მუსიკალური მეხსიერების წყალობით იგი მოკლე დროში ითვისებდა ნაწარმოებებს, გრძნობდა მათ ფორმასა და დრამატურგიას. განსაკუთრებული მომთხოვნელობის შედეგად ვ. ჟორდანია აღწევდა სიმებიანთა სინქრონულ ჟღერადობას, ყოველი ინსტრუმენტის სოლო-რეპლიკების გამომსახველობას, ანსამბლურობას. ორკესტრთან შემოქმედებითი

კონტაქტის დამყარებაში მას ხელს უწყობდა არა მარტო ჩინებული მუსიკალური სმენა, მაღალი კულტურა, ნებისყოფა, რამედ დახვეწილი და მეტყველი მანუალური ტექნიკაც. მისი უესტი სულ უფრო გაიზარდა და ლაკონური ხდებოდა. ჭარბი უესტიკულაცია ხომ მხოლოდ აღიზიანებს, ანერვიულებს ორკესტრს და ხელს უშლის ნაწარმოების მთლიანობის აღქმაში, ნაწილთა შორის წონასწორობის დამყარებაში. იმისათვის, რომ დირიჟორის შემოქმედებითა იმპულსმა მიაღწიოს ორკესტრის ყოველ წევრს, მისი უესტი, გამობედვა, მიმიკა უაღრესად ზუსტი, დინამიკური და კონცენტრირებული უნდა იყოს. ვ. ჟორდანიას ხელის მტკევანთა შეუმჩნეველი მოძრაობით, ზოგჯერ ერთი თითის საშუალებითაც კი სასურველ საშემსრულებლო ეფექტს აღწევდა.

1974 წელს ვ. ჟორდანიას ხდება სარტოვის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი, ხოლო 1977 წლიდან მისი შემოქმედება და ცხოვრება უკავშირდება უკრაინას. იგი ხელმძღვანელობდა ხარკოვის სიმფონიურ ორკესტრს და პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ხარკოვის კოტლიარევსკის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტში. მისი ოსტატობის წყალობით ამ კოლექტივმა შესანიშნავ შედეგებს მიაღწია. ეს გამოიხატა იმაში, რომ ჩაიკოვსკის სახელობის VI საერთაშორისო საშემსრულებლო კონკურსის მესამე ტურში ხარკოვის სიმფონიური ორკესტრი და მისი დირიჟორი აკომპანიმენტს უწევდნენ კონკურსანტებს. უკრაინაში მან მიიღო სახალხო არტისტის წოდება.

ვ. ჟორდანიას წინსვლა-წარმატებები სავსებით კანონზომიერი იყო. მისი სახით საბჭოთა სადირიჟორო ხელოვნებას ჰყავდა მკაფიო შემოქმედებითი ინდივიდუალობის, თავისებური ხელეწერის, ღრმად და მასშტაბურად მოაზროვნე ხელოვანი, რომელსაც შეეძლო ნაწარმოების მისეული ინტერპრეტაციით გაეტაცებინა და აეღელეებინა მსმენელი.

ასეთი წარმატების პიკზე მყოფი დირიჟორი ღებულობს გადაწყვეტილებას დატოვოს სამშობლო. 1983 წელს მან შეძლო გაერღვია საბჭოთა სივრცე და ამერიკაში მიემგზავნა.

1983 წლიდან ვ. ჟორდანიას ამერიკაშია. ჩასვლიდან ორი თვის თავზე მას უკვე შესაძლებლობა მიეცა ედირიჟორა ცნობილი კარნეგი-ჰოლის საკონცერტო დარბაზში. ამერიკელი მსმენელის წინაშე ის წარსდგა ისევ და ისევ მოსტაკოვიჩის V სიმფონიით, იმ ნაწარმოებით, რომელიც მისთვის ყოველთვის მსმენელთან ღია და გულწრფელი საუბრის საშუალება იყო. კარნეგი-ჰოლში, უკვე მოგვიანებით, 1998 წლის მისში ჩატარებული კონცერტი, რომლის პროგრამაში ჩაიკოვსკის უვერტიურა-ფანტაზია „რომეო და ჯულიეტა“, მენდელსონის I საფორტეპიანო კონცერტი და კვლავ მოსტაკოვიჩის V სიმფონია იყო - ასე შეფასდა პრესაში: „ჟორდანიას დაბრუნდა კარნეგი-ჰოლში, რომ გახსნას საკუთარი სული მოსტაკოვიჩის V სიმფონიაში“.

ამერიკამ აღიარა ჟორდანია. 1985-1992 წლებში ის ხელმძღვანელობდა ჩატანუგას (Chattanooga) (ტენესის შტატი) სიმფონიურ ორკესტრს და ოპერას. 1991-93 წლებში "Spokane Symphony"-ს (შტატი ვაშინგტონი) მთავარი დირიჟორია.

შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ვ. ჟორდანია მხოლოდ სიმფონისტ-დირიჟორია. ის პირველ რიგში მუსიკოსი იყო და ვერ წარმოედგინა დირიჟორის „დანაწევრება“ დირიჟორის სახეობად. მას ერთნაირად აინტერესებდა და იზიდავდა როგორც სიმფონიური ორკესტრის პულტი, ასევე საოპეროსიცი. ასეთ სადირიჟორო „მრავალსახიერებას“ მისი ამერიკული მოღვაწეობის პერიოდი ამტკიცებს. ასე, მაგალითად, მინესოტაში მან განახორციელა (პირველად ამერიკაში) დვორჟაკის ოპერა „ალის“ და იუტას შტატის ოპერაში დონიცეტის „ლუნია დი ლამერმურის“ დადგმები.

საინტერესო ფაქტს ვ. ჟორდანიას საშემსრულებლო ბიოგრაფიაში წარმოადგენს მისი შემოქმედებითი კონტაქტი თანამედროვეობის ისეთ დიდ რეჟისორთან, როგორიც აკირო კუროსავაა. მისი დირიჟორობით გახმოვანებულ იქნა რუსულ-იაპონური ფილმი „დერსუ უზალა“. ბატონი ვახტანგი აღფრთოვანებით იგონებდა კუროსავასთან ურთიერთობას და მასთან ერთობლივ მუშაობას.

ამერიკული პერიოდი ვ. ჟორდანიას შემოქმედებაში იმითაც გამოირჩევა, რომ საკონცერტო მოღვაწეობის პარალელურად იგი აქტიურად იწყებს მუშაობას ჩანაწერებზე. ჩაწერილი აქვს 60-ზე მეტი კომპაქტ-დისკი მსოფლიოს სხვადასხვა მუსიკალურ ფირმებში. აქედან ექვსმა მუსიკალურ სამყაროში პრესტიჟული „გრემის“ ჯილდო დაიმსახურა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. ჟორდანიათა მუსიკალური ჩაიკოვსკისა და შოსტაკოვიჩის სიმფონიური ნაწარმოებების ჩანაწერები (ჩაიკოვსკის „ფრანჩესკა და რიმინი“, „რომეო და ჯულიეტა“, შოსტაკოვიჩის V, VI, IX, X-სიმფონიები).

1985-1992 წლებში ტენესის უნივერსიტეტში ვ. ჟორდანიას სადირიჟორო ხელოვნების „მასტერ-კლასები“ მიჰყავდა. ისი გამოცდილება და ჭეშმარიტი სადირიჟორო ნიჭი (ასეთებზე ამბობენ, რომ ხელში სადირიჟორო ჯოხითაა დაბადებული) მას ამის გაქანებას აძლევდა. რას ასწავლიდა მაესტრო მოსწავლეებს? ალბათ იმას, რაც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: რომ დირიჟორს უნდა ჰქონდეს მუსიკალური ქსოვილის შეგრძნების უნარი; ინტონაციურმა სმენამ მკვეთრად უნდა აღიქვას მუსიკის მელოდიური ხატოვანება; რომ მთავარია ინტონაციის შინაგანი დინამიზმი, რომელიც კომპოზიტორის ფანტაზიის ნაყოფია; მუსიკალური სახეების დრამატურგიული განვითარების ენერგეტიკა; რომ კომპოზიტორის აზრის პულსის ცემა, პირველ რიგში, უნდა გაიხსნას მელოდიის ინტონაციური იმპულსების საშუალებით; როგორიც არ უნდა იყოს შესასრულებელი პარტიტურის სახიერი და სტილისტური სპექტრი, ერთი მოთხოვნა უდავოა: მუსიკის შინაარსი ყოველთვის, ყველა შემთხვევაში უნდა იქოს ღრმა,

დრამატურგიულად დატვირთული, ემოციურად მომხიბლავი და კეთილშობილური. ღირიყორი მუსიკას პარტიტურით კი არ აკითხულობს¹, არამედ პარტიტურის საშუალებით მუსიკას აქმნის". აი, ასეთი იყო თვით ჟორდანია-ღირიყორი და ადვილი წარმოსადგენია, როგორ შეეძლო მას ჩაეტარებინა ამსტერ-კლასები".²

ბოლო წლებში ვ. ჟორდანია მთავისუფალი მსოფლიო მოქალაქის სტატუსი აირჩია. იგი ხან რუსეთის სახელმწიფო ორკესტრის მთავარი ღირიყორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო, ხანაც - სეულის (სამხრეთ კორეა) საოპერო თეატრის და კორეის რადიომაუწყებლობის ორკესტრის ღირიყორი; ჰქონდა უამრავი გასტროლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის - საქართველოშიც, მაგრამ მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად სიცოცხლის ბოლომდე ამერიკა დარჩა, კერძოდ, ამჟამად ვირჯინიის შტატი, სადაც ის ამერიკაში შექმნილ ოჯახთან ერთად ცხოვრობდა.

ვ. ჟორდანიას მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო; იგი საქველმოქმედო საქმიანობითაც გამოირჩეოდა 2001 წელს მან ხარკოვში დააარსა თავისივე სახელობის ახალგაზრდა ღირიყორთა კონკურსი³; საკუთარი უმდიდრესი ბიბლიოთეკა, შეფასებული 1 მილიონ დოლარად, უანდერძა ჩატანუგას უნივერსიტეტს. მოპოვებული ინფორმაციით აღნიშნული უნივერსიტეტის მუსიკალური დეპარტამენტი მის სახელს ატარებს.

ბატონმა ვახტანგმა ცოტა ხანს იავადყოფა. თითქმის გარდაცვალებამდე არ დაუნებებია თავი საყვარელი საქმისათვის. ბოლო კონცერტი უკრაინის ქალაქ იალტაში გამართა 2005 წლის 25 აგვისტოს. იგი ამავე წლის 5 ოქტომბერს გარდაიცვალა ვირჯინიაში. მის გარდაცვალებას პრაქტიკულად ყველა დიდი ამერიკული გაზეთი გამოეხმაურა, მათ შორის ვაშინგტონ პოსტი და ანიუ-იორკ ტაიმსი".

ორი დღის განმავლობაში ჩატანუგას რადიო ეთერში მხოლოდ მის მუსიკალურ ჩანაწერებს გადასცემდა. ყველა იმ ქალაქში (აშშ, რუსეთი, უკრაინა, კორეა), რომელთა ორკესტრებთანაც უმუშევია ღირიყორს, მის მოსაგონებლად საციალური კონცერტები გაიმართა. სამწუხაროდ, ამათ რიცხვში არ იყო საქართველო.

ვ. ჟორდანიას ანდერძის თაისხმად, მისმა შვილმა ღირიყორმა გიორგი ჟორდანია ურნა ფერფლით თბილისის დიდუბის პანთეონის მიწას მიაბარა - მისი მამის, გამოჩენილი ისტორიკოსის, პროფესორ გივი ჟორდანიას და დედის, ხელოვნებათმცოდნის, ქალბატონ კერა გლადკოვა-ჟორდანიას გვერდით.

ბამოქენეხული ლიტერატურა:

- 1 ის. მასალები ვ. ჟორდანიას პირადი არქივიდან.
- 2 სარუხანოვა ი., ვახტანგ ჟორდანია საბჭოთა ხელოვნება, 1940, №4, გვ. 75-76.
- 3 Д. Д. Шостакович. Изд-во «Музыка», Москва, 1980, стр. 96.

⁴ Современные дирижеры. Изд-во «Советский композитор», Москва, 1967, стр. 180-184.

⁵ Ibid, стр. 180-184.

⁶ ივ. მასალაძე ვ. ჯორჯანიას პირადი არქივიდან.

IRINA SARUKHANOVA

Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

SUMMARY

GERORGIAN AMERICAN CONDUCTOR (VAKHTANG ZHORDANIA'S PORTRAIT)

Vakhtang Jordania's extensive musical career was formed by the best school of the former Soviet Union. Born in the Republic of Georgia, Jordania studied piano from the age of 5. After graduating from the Tbilisi Conservatory he studied symphonic and operatic conducting in the Leningrad Conservatory graduating with honors. A top prize at the 1971 Herbert von Karajan Competition catapulted him to the highest circles of Soviet artistry. From his assistantship with the legendary Yevgeny Mravinsky until his defection to the U.S. in 1983, Jordania held such celebrated positions as Music Director of the Leningrad Radio Orchestra, the Saratov Philharmonic, and the Kharkov Philharmonic, and achieved the title of Peoples Artist. Twice the Tchaikovsky Competition was under his baton. Conducting more than 100 concerts a year, he regularly toured the USSR, collaborating with such recognized musicians as David and Igor Oistrakh, Leonid Kogan, Dmitri Shostakovich, Kiril Kohdrashin and Emil Gilels.

Immediately after his defection, his Carnegie Hall debut was hailed by the New York Times as "a confident and spirited performance... the full house leaped to its feet". Success quickly followed in France, Germany, Austria, Holland, Belgium, Japan, Korea, Ireland, New Zealand, Australia, South America and elsewhere. In the United States his appearances in New York, Los Angeles, Salt Lake City, Minneapolis, Rochester, Denver, Fort Worth, and many other cities brought more critical acclaim. Since his defection he has held Music Director positions with the Chattanooga Symphony and Opera, the Spokane Symphony, the Korean Broadcasting System Symphony Orchestra in Seoul, and the Russian Federal Orchestra.

In the U.S. he had outstanding success with the Minnesota Opera where he conducted the North American premiere of Dvorak's "Rusalka".

He recorded many soundtracks including the award winning "Dersu Usala" with Akira Kurasawa.

პასივის საპიოხი ქართულ ზმნაში ალის ჰარისის თვალთახედვით

ქართული ენის სტრუქტურის საკითხებს არაერთი უცხოელი მკვლევარი შექება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ამერიკელი ენათმეცნიერის, ქართველოლოგის, პროფესორ ალის ჰარისის მოღვაწეობა. მის ნაშრომთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს „ქართული სინტაქსი“, რომელიც 1981 წელს გამოსცა კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. ესაა მისი სადოქტორო დისერტაციის გადამუშავებული ვარიანტი. ქართული ენის სტრუქტურას ავტორი განიხილავს ე.წ. რელაციური გრამატიკის თვალსაზრისით, რომელიც წარმოადგენს გენერაციული (წარმომშობი) ლინგვისტიკის ახალ საფეხურს.¹

სინტაქსის საკითხების გარდა, ა. ჰარისი იკვლევს ქართული ზმნის ისეთ პრობლემებს, როგორცაა სუბიექტისა და ობიექტის მიმართება, ქცევა, კაუზაცია, პასივიზაცია, ინვერსია, გარდამავლობა და სხვა.

ქართული ენა მდიდარია სხვადასხვაგვარი წარმოების ზმნური ფორმებით. ქართული ზმნის მრავალფეროვნებასა და სირთულეს განაპირობებს მისი პოლიპერსონალიზმი, აგრეთვე კატეგორიების სიუხვე. შესაბამისად, რთულია იმ კანონზომიერებათა დადგენა, რაც ზმნურ ფორმათა წარმოებას უდევს საფუძვლად.

ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა გვარი, რომლის შესწავლასაც მიეძღვნა უამრავი გამოკვლევა. მიუხედავად ამისა, ზოგი რამ გვართან დაკავშირებით არ არის გარკვეული. ასეთია, მაგალითად, ზმნის აქტიურ და პასიურ კონსტრუქციათა მიმართების საკითხი, ტერმინები „ვნებითი“ და „პასივი“ და სხვა. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება ა. ჰარისის ნაშრომი „ვნებითი ქართულში“.² ავტორი იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ სხვადასხვა ენის კონსტრუქციების მიმართ ერთი და იმავე ტერმინის გამოყენებისათვის არაა საკმარისი მხოლოდ ის ფაქტორი, რომ ამ კონსტრუქციებთან დაკავშირებული მნიშვნელობანი მსგავსია და რომ ზოგჯერ ეს კონსტრუქციები ერთმანეთის სათარგმნელად იხმარება. უნივერსალური ენათმეცნიერების მიხედვით, ტერმინოლოგია შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ სტრუქტურული კრიტერიუმების მიხედვით და ისიც ზოგჯერ მხოლოდ აბსტრაქტულ დონეზე.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვნებითი გვარი ასე განიმარტება: ვნებითი გვარი გვიჩვენებს, რომ S თვითონ განიცდის მოქმედებას, ოღონდ ზმნის

ფორმით არ ჩანს, თუ ვისგან ან რისგან (ე. ი. ვნებითის S იმასვე განიცდის, რასაც პირდაპირი O სათანადო მოქმედებითში): იწერება ის (წერილი).³

ვნებითის უნივერსალური განსაზღვრებისას ა. ჰარისი ემყარება პოსტალისა და პერლმუტერის გრამატიკას. მისთვის პასივი არის ისეთი კონსტრუქცია, რომელიც თავისი ჩამოყალიბების პროცესში ორი თავისებურებით ხასიათდება:

1. ბაზისური ანუ ლოგიკური: პირდაპირი დამატება იქცევა ზედაპირულ ანუ გრამატიკულ ქვემდებარედ პროდუქტიული სინტაქსური პროცესის საშუალებით.

2. ბაზისურ ქვემდებარეს გაწყვეტილი აქვს გრამატიკული მიმართება ზმნასთან.⁴

პასივის ეს ორი თავისებურება აუცილებელი და საკმარისია ამ კონსტრუქციის განსაზღვრისათვის მსოფლიოს სხვა ენებში, მაგრამ მას აქვს სხვა თავისებურებებიც, რასაც განიხილავს ა. ჰარისი. მას მიაჩნია, რომ, თუ ბაზისური ქვემდებარე ჩანს ზედაპირულ სტრუქტურაში, იგი იქნება უბრალო დამატება - თანდებულიანი ან უთანდებულო. ზოგ ენაში ვნებითი შეიძლება იყოს მხოლოდ მამინ, თუ ქვემდებარე არ ჩანს ზედაპირზე. ეს თავისებურება განსხვავდება ავტორის მიერ აღნიშნული თავისებურებისაგან: ის ფაქტი, რომ არსებითი სახელი წარმოადგენს უბრალო დამატებას, აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ მას არა აქვს გრამატიკული მიმართება ზმნასთან.

როგორც წესი, ქართულში ვნებითი შესაბამისი ფუძის მოქმედებითი გვარის კონვერსიული სახეა. კონვერსიის დროს ერთი პირი (S) იკარგება, პირდაპირი O კი S-ად გადაკეთდება. მაგალითად: აშენებს ის მას - შენდება ის.

ა. ჰარისს მიაჩნია, რომ ვნებითად ქცევის წესი შეიძლება მგრძნობიარე იყოს მმართველი (მოქმედებითი გვარის) ზმნის სემანტიკის მიმართ, მაგრამ ეს ზმნა ვერ გადაწყვეტს იმას, თუ როგორ გამოიყენება ეს წესი, არამედ მხოლოდ იმას - შეიძლება თუ არა ამ წესის გამოყენება. ამდენად, ვნებითად ქცევის წესი შეიძლება მიქსადაგოს ან ვერ მიქსადაგოს ამა თუ იმ კერძო ზმნის შემცველ წინადადებას.

ვნებითი ბრძანებითში ვერ დაისმის, თუმცა ქართულში ზოგიერთ ზმნას ეწარმოება ბრძანებითი: დაემალე! გაიზარდე!

პასიური კონსტრუქციის თავისებურება ისაა, რომ მოქმედება სრულდება არა ზედაპირული ქვემდებარის მიერ, არამედ ქვემდებარის მიმართ. ბრძანებით კონსტრუქციაში კი თვითონ ზედაპირული ქვემდებარე ასრულებს მოქმედებას. ეს ორი მოვლენა, ავტორის აზრით, შეუთავსებადია.

ვნებითის ეს განსაზღვრა გამორიცხავს ზოგ კონსტრუქციას, რომლებსაც სხვადასხვა ენაში (მაგალითად, იაპონურში, ვიეტნამურში, ესპანურში) ვნებითს უწოდებენ ტრადიციულად.

ქართულში გვარი სინტაქსურ კატეგორიადაა მიჩნეული ა. ჰარისის მიხედვითაც, სტრუქტურებს, რომლებიც სემანტიკურად და ზედაპირულად ჰგავს ვნებითს, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლება ეწოდოს „პასივი“, თუ ისინი აკმაყოფილებენ მის მიერ: ზემოთ წარმოდგენილ ზუსტ სინტაქსურ განსაზღვრას (ორ თავისებურებას). თუ ამ ტერმინს ნებისმიერად გამოვიყენებთ იმ კონსტრუქციების მიმართ, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ზუსტ განსაზღვრას, იგი დაკარგავს თავის მნიშვნელობას.

ა. ჰარისი ესება ტერმინ „ვნებითსაც“. ის კონფიქსიან ვნებითს უწოდებს დინამიკურ ანუ ინიან, ენიან, დონიანსა და უნიშნო ვნებითი გვარის ზმნებს (ი-ება (ე-ება), Ø-დება, Ø-ება). ეს ტერმინოლოგია მას მიაჩნია პრობლემატურად, რადგან ამ ვგუფის ზმნისათვის ყოველთვის არაა შესაძლებელი ბაზისური პირდაპირი O-ის დაკავშირება ზედაპირულ ქვემდებარესთან. სამაგიეროდ, მკვლევარი თვლის, რომ ეს პრობლემები მოხსნილია აღწერით ვნებითთან.

ქართულში იქ, სადაც ვერ ხერხდება ვნებითის ფორმათა ორგანული წარმოება, მის მაგივრობას ეწევა აღწერილობითი ანუ პერიფრასტული ვნებითი. აღწერილობითი ვნებითი არ არჩევს სულიერსა და უსულოს: ძმა გაგზავნილ იქნა, თანხა გაღებულ იქნება... „გააღეს კარი“ - ვნებითია „გაიღო კარი“, მაგრამ „გაიღეს თანხა“, - ამის ვნებითია „გაღებულ იქნა თანხა“.

ა. ჰარისი კონფიქსიან ვნებითთან მიმართებაში განიხილავს აღწერით ვნებითს. ესაა არის“ მეშველ-ზმნიანი მიმღებური ფორმები აწმყოსა და წყვეტილში.

მკვლევარი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ე.წ. აღწერითი ვნებითი ნამდვილი „პასივია“ უნივერსალური განსაზღვრის მიხედვით, ხოლო კონფიქსიანი (დინამიკური) ვნებითი არ არის „პასივი“. მას ტერმინი „პასივი“ გამოყენებული აქვს უნივერსალური ცნებისათვის, ხოლო იმ კონსტრუქციებს, რომელთაც ქართული ენის ტრადიციულ გრამატიკებში „ვნებითს“ უწოდებენ, ისიც ასე მოიხსენიებს.

ა. ჰარისი ყურადღებას ამახვილებს აქტიურ და პასიურ კონსტრუქციათა მიმართების სხვადასხვა შემთხვევაზე. ქართულში ვნებითი გვარის ზმნათა უმრავლესობას აქვს ქვემდებარე, რომელიც შეესაბამება აქტივის პირდაპირ დამატებას. ა. ჰარისს შემჩნეული აქვს ბევრი ისეთი ზმნა, რომელთა ვნებითის S ემთხვევა აქტივის S-ს. ასეთ ზმნებს ა. შანიძემ უწოდა დეპონენსები (ფორმით პასივი, მნიშვნელობით აქტივი), თუმცა ეს მანც ვერ აღმოჩნდა გამოსავალი იმ პრობლემის გადასაწყვეტად, რაც ვნებითი გვარის განმარტებიდან გამომდინარე დგას ე.წ. დეპონენსებთან მიმართებაში. პრობლემის დაძლევის მცდელობა მოცემულია ა. ჰარისთან. მას განხილული აქვს ვნებითი გვარის ზმნა იგინება, რომელიც შეესაბამება აქტივს აგინებს. აქ აქტივისა და პასივის ქვემდებარე ერთი და იგივეა, რადგან, ავტორის აზრით, ორივეს აკმაყოფილებს ერთი და იგივე შეზღუდვები. ამ შემთხვევაში ორივე უნდა იყოს დაბიანი. ამიტომ იგინება

ზმნა აგინებს ზმნას ვერ დაუკავშირდება ერთი წესით, რომელიც ამ უკანასკნელის (აგინებს) პირდაპირ 0-ს ვნებითის ქვემდებარედ აქცევს. ამდენად, ა. ჰარისი თვლის, რომ ეს კონსტრუქცია არ არის პასივი, არ აკმაყოფილებს პასივის უნივერსალურ განსაზღვრას.

ა. ჰარისი განიხილავს შემთხვევებს, როცა ამავე ზმნებს აქვთ ნამდვილი პასივი, რომლის ზედაპირული ქვემდებარე შეესაბამება ბაზისურ პირდაპირ დამატებას:

1. ა) ძალმა დაკბინა ადამიანი. ბ) ძალი იკბინება. გ) ადამიანი დაკბენილია (ძალის მიერ).

2. ა) ის ლანძღავს შვილს. ბ) რას ილანძღები? გ) ის გალანძღულია.⁵

ამგვარი კონსტრუქციები (დაკბენილია, გალანძღულია) არის მიჩნეული ავტორის მიერ პასივად.

ა. ჰარისი გამოყოფს ზმნებს, რომელთაც აქვთ სპეციალური არჩევითი შეზღუდვები კონფიქსიანი ვნებითის ქვემდებარისათვის, მაგრამ არა აქტივის ობიექტისთვის. მაგალითად, აქტიური ზმნა მალაგს მოითხოვს, რომ პირდაპირი დამატება იყოს კონკრეტული, მაგრამ არ აზუსტებს - სულიერია, უსულოა თუ სხვა, მაგრამ შესაბამისი კონფიქსიანი ვნებითი იმალება ირჩევს მხოლოდ სულიერ ქვემდებარეს:

*დავმალე გასაღები - * გასაღები დაიძალა. შდრ.: ბავშვი დაიძალა.*

ა. ჰარისის აზრით, ეს არ არის წმინდა გამონაკლისი, ე.ი. ისეთი ზმნა, რომელსაც არ შეიძლება ჰქონდეს პასივი, არამედ უფრო ისეთი ზმნაა, რომლის აქტივი არ შეესაბამება კონფიქსიან ვნებითს, სამაგიეროდ, აღწერილი ვნებითის ქვემდებარეზე არ ვრცელდება ასეთი შეზღუდვა, მისი ქვემდებარე შეიძლება უსულოც იყოს: *გასაღები დამალულია. ბავშვი დამალულია.*

ქართულში არის ბევრი ისეთი ვნებითი გვარის ზმნა, რომელთაც არა აქვთ შესაბამისი აქტივი. ასეთი ზმნები მკვლევარს მიაჩნია არა გამონაკლისად, არამედ ენის რეგულარულ ნაწილად. იგი გულისხმობს ზმნებს: რჩება, შვრება, ეფერება, იღრუბლება... ის ფაქტი, რომ ქართულში არ გამოიყოფა აქტივის შესაბამისი ნამდვილი ანუ აღწერილი პასივი, ა. ჰარისისათვის წარმოადგენს შესამე მიზეზს, რაც განაპირობებს აქტივისაგან მხოლოდ აღწერილი ვნებითის წარმოებას და გამოორიცხავს კონფიქსურ ვნებითს.

კონფიქსიანი ვნებითის მნიშვნელობა ვერ დაუკავშირდება შესაბამისი აქტივის მნიშვნელობას, აღწერილი ვნებითი კი აქტივს შეესაბამება როგორც სინტაქსურად, ისე სემანტიკურად.

ა. ჰარისის მხედველობიდან არ გამოორჩენია გარდამავალი ზმნები, რომელთაც არ გააჩნიათ კონფიქსიანი ვნებითი, მაგრამ აქვთ აღწერილი ვნებითი. ასეთია, მაგალითად, წაყვანა და ჩაბარება.

ბავშვი წაიყვანა სახლში - ბავშვი წაყვანილი იყო სახლში.

გამოცდა ჩაიბარა - გამოცდა ჩაბარებულია.

ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ სწორედ ასეთ შემთხვევებში იჩენს თავს ქართულში ზემოთ ნახსენები აღწერილობითი ვნებითი წარსულსა და მომავალში იქნა, იქნება მეშველ ზმნათა გამოყენებით. ამგვარ შემთხვევებს ა. ჰარისი საერთოდ არ ესება.

ა. ჰარისი თვლის, რომ პასივის კონსტრუქციის მთლიანობისათვის აუცილებელია მიერ თანდებულნიან ფრაზის არსებობა, თუმცა ასეთი ფრაზა ყველა ვნებითთან მას ხელოვნურად მიაჩნია, მაგრამ მაინც ამის მიხედვით განასხვავებს კონფიქსიან და აღწერით ფორმებს. მაგალითად:

ბავშვი დაიძალა დედის მიერ - ბავშვი დამალულია დედის მიერ.

სარეცხი შეგროვდა ოჯახის მიერ - სარეცხი შეგროვებულია ოჯახის მიერ.

ა. ჰარისი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან კონფიქსიან ვნებითსა და აღწერით ვნებითს. პირველისაგან განსხვავებით ამ უკანასკნელის დაკავშირება ბაზისურ სტრუქტურასთან (შესაბამის აქტივთან) შესაძლებელია. მართალია, ამ წესსაც აქვს გამონაკლისები, როგორცაა: ჩამოსულია, ყოფილია, არსებულია, ნაკითხია, ნაჭამია, ნასვამია, მაგრამ ესენი გამონაკლისებია და არა სისტემა.

ასევე ზოგ ინიან ზმნას აქვს მნიშვნელობა, რომელიც თითქმის შეესაბამება პასივის მნიშვნელობას ევროპულ ენებში (მაგალითად, დაიჭრა), მაგრამ ეს არის სემანტიკის საკითხი. პასივის პრობლემას ა. ჰარისი განიხილავს სინტაქსურ დონეზე, თუმცა თვლის, რომ სემანტიკა ხელს არ უშლის პასივიზაციას.

ჩანს, ა. ჰარისი კარგად იცნობს ქართული ენის ბუნებას, იცის, რომ ქართული აქტიურ ფორმათა ენაა, თუმცა არ გამოიცილებს, რომ აღწერითი ვნებითი არ არის ნამდვილი ქართული კონსტრუქცია. ამის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ აღწერითი ფორმები მიჩნეულია ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფაქტად. ჯერ კიდევ ძველ ქართულში გაჩენილი პასიური კონსტრუქციების არსებობას ბერძნულის გავლენით ხსნიან.⁶ მაგალითად: „აღმოიყვანა“ ზმნა ვნებითა წინადადებაში: „*მაშინ იესუ აღმოიყვანა სულისაგან უდაბნოდ*“ (მათ. 4, 1) და ეს თარგმანის შედეგია. იმავე ფუძის ზმნა სხვა ზმნისწინთან მოქმედებითა წინადადებაში: „*სულმან განიყვანა იგი უდაბნოდ*“ (მარკ. 1, 12).⁷

პასიური კონსტრუქციის იშვიათობას ა. ჰარისი იმით ხსნის, რომ ქართულ პასივს აქვს სულ ცოტა სამი შეზღუდვა, რაც არ გააჩნია, მაგალითად, ინგლისურ პასივს:

1. ქართულში ყველა პასივი სრული ასპექტისაა (პერფექტივია).
2. ქართულში ყველა პასივი (აღწერითი ვნებითი) სტატიკურია.

3. ქართულში მხოლოდ ბაზისური პირდაპირი O შეიძლება იყოს პასივის ზედპირული ქვემდებარე. ზოგ სხვა ენაში ირიბი O შეიძლება გადაიქცეს ჯერ პირდაპირ O-ად და შემდეგ განიცადოს პასივიზაცია (*ქურდმა ვაშლი მომპარა მე - მე ვიყავი მოპარული ვაშლი*).

აქტივის მქონე წინადადების პასივიზაციისას ირიბი O შედის - თვის თანდებულთან ფრაზაში: *ვილაცამ მისცა ვანოს ფირფიტა - ფირფიტა იყო მიცემული ვანოსთვის*. ზოგი მეტყველისთვის ირიბი O-ის არსებობა გამორიცხავს პასივიზაციას.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ა. ჰარისის მიხედვით, ქართული კონფიქსიანი (დინამიკური) ვნებითი არ არის პასივი, აღწერითი ვნებითი კი პასივია, თუმცა იშვიათად იხმარება მისი შეზღუდვების სიმრავლის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ ა. ჰარისის შეხედულებებში არის სადავო საკითხები ვნებითისა და პასივის მიმართების თვალსაზრისით, ერთი რამ ნათელია: მეცნიერი ცდილობს ჩასწვდეს ქართული ენის ბუნებას, სტრუქტურას, აღწეროს იგი ზოგადლინგვისტური (უნივერსალური) წესების მიხედვით და წარმოადგინოს, როგორც ერთიანი მთლიანი სისტემა.

ქართულის აღწერითი პასივი ჯერ არ ყოფილა განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში. ამდენად, ა. ჰარისის შეხედულებათა გათვალისწინება აუცილებელია ქართული ზმნის ვნებითი გვარის პრობლემური საკითხების კვლევისას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ გ. ნებიერიძე, ქართველოლოგიის შენაძენი, ვაზ. აკომ., 13/IX, 1981, გვ. 3.
- ² ა. ჰარისი, ვნებითი ქართულში, მაცნე, №3, თბ., 1981.
- ³ ა. შანიძე, თსზ., III, თბ., 1980, გვ. 280.
- ⁴ ა. ჰარისი, Op. cit., გვ. 109.
- ⁵ Ibid, გვ. 110.
- ⁶ ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997, გვ. 177.
- ⁷ ი. ქავთარაძე, ზმნის აღწერითი წარმოების ფორმების ორგანული შეცვლის ისტორიიდან ქართულში, იკე, XIV, თბ., 1964, გვ. 171.

SUMMARY

PASSIVE IN GEORGIAN VERB BY ALIS HARIS

The questions of the structures of the Georgian Language have been discussed by foreign scientists more than once. The work of the modern American linguist, Professor Alis Haris, "The Passive in the Georgian Language" seems to be very interesting from this point of view. The author considers the questions of passive in accordance with common universal linguistic rules. He pits dynamic passive and descriptive passive in opposition to each other. He gives a decisive role not to semantics but to syntax and he considers the descriptive passive the only passive form. The author thinks that the small amount of passive structures in the Georgian Language is caused by the fact that passive has a great number of limitations.

CHRISTIANE VON REICHERT

The University of Montana (USA),

Assoc. Prof. of Geography

THE USA POPULATION DYNAMICS: HEARTLANDS-MOUNTAINS CONTRASTS

Introduction

Population change as people are born or die, and they also change as people move in or move out. At the national level, immigration contributes to population growth, as in the case for America; emigration, on the other hand, reduces the population base, as in the case of Georgia. While internal migration, the moves within a country, does not affect a nation's population size, it contributes much to shifting and redistributing the population across a country's territory. In the case of Georgia, for instance, migration from rural to larger urban areas is a major force in redistributing the population within the country. In the United States of America, a highly urbanized country, rural-to-urban migration is largely a phenomenon of periods past. After World War II, Americans have moved from city to suburbs, and-more recently-to exurbs. Additionally, many Americans leave more urbanized, metropolitan areas for more rural, non-metropolitan places.

This paper will focus on the forces underlying internal migration and residential choice for two largely non-metropolitan regions within the U.S., namely the Northern Rockies and the Northern Great Plains. The population dynamics in the American Mountain West and the Great Plains-and their northern part-stand in stark contrast to each other: many areas in the Rocky Mountains are gaining and areas in the Great Plains are losing population. This paper draws on two surveys: a survey of in-migrants to Montana in the Northern Rockies and a survey of residents of states of the Northern Great Plains. The purpose of the research is to understand a) what factors draw migrants to the Rocky Mountain West and b) what factors hold residents of the Northern Great Plains in place.

Context: Contrasting Population Dynamics

The Northern Rockies are part of an extensive area called 'The Empty Quarter' by Joel Garreau in his 'Nine Nations of America'. The trade mark of the 1960s 'Empty Quarter' were sparse populations and very low population densities. Traditionally, people in this 'Empty Quarter' depended for their livelihood on mining, forestry and wood products, and on extensive agriculture, such as grazing. The population of the 'Empty Quarter' used to rise and fall with economic booms and busts: (the prices of minerals affected mining, and the price of lumber affected forestry and wood products, and with them rose and slumped the employment base. Mechanization reduced the labor force needs, and this depressed the population size. High interest rates of the 1980s additionally slowed construction, and this was widely felt throughout the wood processing sector. However, in the 1990s, people flocked to the Mountain West in large numbers.) The Northern Rockies, such as Western Montana, continue to be known for low wages and poor employment prospects, however, the population of this region has surged in the last 15 to 20 years. Survey researchers who ask a broad range of closed and open-ended questions are finding out that quality of life, and not economic factors, are the major draw for people to move to the Mountain West.

The Northern Great Plains are part of Joel Garreau's 'Bread Basket'. The population of this area surged in the early 1900s, as settlers moved here drawn by the fertility of virgin soils, exceptionally favorable weather conditions up to the 1920s, and heavy promotions through the railroad. When the weather changed to more arid conditions, many settlers perished, and some communities disappeared as quickly as they had appeared.

Since the 1950s, many communities of the Northern Plains lost population through out-migration: (the most rural areas with the smallest populations have been the most affected by the population loss). Mechanization in farming simultaneously resulted in reduced farm employment and increases in farm size. (While favorable farming years in the 1970s partly buffered the rural population drop, high interest rates in the 1980s fueled a national farm crisis which was strongly felt in the Northern Great Plains). To get a sense of how economic stresses play out at the family level, I recommend to view the 3-part documentary 'The Farmer's Wife'.

While the scenic places in the Mountain West, rich in natural amenities, experienced a population boom, the smaller places in the Northern Plains with low natural amenities generally suffered a population decline. This means, communities in the mountains moan and groan under the pressures of population surge: loss of open space, increases in traffic, surging housing prices, and loss of sense community as more newcomers move in. In the Northern Plains, on the other hand, housing can be bought for rather little, and who could complain about lack of space, traffic or congestion. However, services-and service employment-continue to diminish with a declining population base. Lack of local services and long distances to urban services continue to reduce the appeal of communities on the Plains. Some fear for the 'Return of the Buffalo Commons', a scenario articulated by Popper&Popper (1987) based on the depopulation of the Great Plains by humans and repopulation by bisons.

Data

This research draws on two separate telephone surveys of migrants and residents, each with over 2000 respondents, and response rates of roughly 70 percent. The first survey targeted migrants to Montana throughout the 1990s, a period of strong in-migration to the Mountain West. These migrants were asked why they move. A distinction was made between new migrants to Montana and returning migrants, who had previously lived in the state. The second survey, conducted in 2001, targeted residents of the Northern Great Plains, and the main purpose was to identify what factors hold people in place, and what conditions cause people to consider a move. Besides these attitudinal questions, questions about socio-demographic characteristics were asked as well.

Findings

I will discuss here the findings in non-technical, descriptive terms (as the scientific statistical methods used here are discussed in detail in peer-reviewed publications.)


Reasons for Moving to the Montana

Economic theory suggest that people move in pursuit of employment opportunities and for higher wages. And while employment is mentioned as a reason for moving by quite a few, it is only second ranked: Migrants to Montana quote 'family' as the most important reason for moving, both

350

returning migrants and especially new migrants. Migrants to Montana mention 'environment and rural character' as the third-most important reason for moving. Some also move for 'urban amenities', while the remaining migrants move for other reasons, such as education.

Return Migrants' Primary Reasons for Moving New Migrants' Primary Reasons for Moving











Overall, personal (family) and quality of life reasons (environment & rurality, or urban amenities) out-strip career reasons (employment, or education) as reasons for moving to this largely rural state. The survey shows that reasons for moving are very similar for new migrants and returning migrants. (This is surprising because previous research found differences between returning and other (on-)migrants, who left the same origin. The findings from the Montana survey, however, indicate that both migrant types move to the same destinations for very similar reasons.)

An in-depth analysis of reason for moving by socio-demographic attributes (age, education, gender, income) revealed that reasons for moving, which vary so little by migrant status, vary a good deal more for other socio-demographic characteristics:

- the 45-60 year olds are more inclined to move for quality of life (environmental and rural quality), while young adults move to pursue an education .
- The highly-educated are less inclined to move for family reasons, while women are more inclined to move for family reasons

Higher income groups tend to move in pursuit of employment opportunities



	Employ	Family	Environ	Urban	Other
ModChiSq, 13 df	89.9	78.6	41.0	27.3	128.9
G(age), 3df	5.2	2.7	22.7	14.6	46.4
G(education), 3df	3.1	21.5	4.7	1.8	10.2
G(income), 5df	60.3	11.8	9.5	7.9	29.9
G(gender), 1df	0.3	24.3	1.9	4.1	15.8
G(migration), 1df	0.0	5.9	0.1	2.8	1.7

In sum, reasons for moving are similar for returning and new migrants. However, reasons for moving differ significantly between socio-demographic groups. Overall, career reasons matter less than quality-of-life reasons.

Why Do People Live on the Northern Great Plains

To understand why people live in a region that many have left, residents of the Northern Great Plains were asked open-ended questions about positive and negative evaluations of their place, both in an emotional and in a rational sense. We may think of positive evaluations as attraction and negative evaluations as aversion to place.



The following questions were asked:

- What do you like most about living here? (emotional attraction)
- What is the primary reason for staying here? (rational attraction)
- What do you dislike most about living here? (emotional aversion)
- What would be the primary reason for moving away from here? (rational aversion)



Open-ended responses were tediously re-coded in order to identify the main components of attraction and aversion.

People like their community as nice place to live in, and they stay for place characteristic, for family, or for a job. Many people dislike nothing, while others are dissatisfied with the Northern Plains' harsh natural environment (including hot summers, cold winters, wind, mosquitos, etc.), the lack of services, or the social climate (narrow-mindedness, nepotism, lack of professional contact, and more). A poor employment situation is by far the most frequently quoted reason for leaving-mentioned by 40 percent.


Attraction: Emotional and Rational



Aversion: Emotional and Rational



The Complexity of Place



Responses reveal a good deal of complexity in emotional and rational attraction and aversion, with attraction being mainly place and personal ties, and aversion being dominated by limited career opportunities.

Summary and Conclusions

Migrants to the Rocky Mountain West and residents of the Northern Great Plains seem to make very different choices about the places where they live. However, their responses reveal that place characteristics and personal family ties are important to both groups. This means that migrants to and residents of non-metropolitan areas show a more limited career-orientation than economic theory suggest. They largely value unique, location-specific attributes and inter-personal and family relationships.

These findings may come as a surprise: Americans are often admired, even envied, for their apparent economic and materialistic achievements. Additionally, Americans are often depicted as core-family oriented, without close ties to other relatives. Findings from the two surveys suggest that Americans—at least those who live in largely non-metropolitan areas—attach a much greater importance to family ties and place qualities than commonly thought.

რეზიუმე

აშშ-ს მოსახლეობის ღინამიკა:

ღაბლოზისა ღა მთიანი რეგიონების კონტრასტები

ნაშრომში საუბარია ამერიკელთა არჩევანის შესახებ განსახლების ადგილის მიმართ გეოგრაფიული და სოციალური პარამეტრების მიხედვით. კვლევა შეეხება აშშ-ს ორ რეგიონს - მონტანას შტატს, რომელიც კლდოვან მთებში მდებარეობს და ვრცელი ვაკეების ჩრდილოეთ ნაწილს.

მთიანი დასავლეთი, რომელიც ცნობილია ბუნებრივი რესურსებით და არა მზარდი ეკონომიკით, ბევრ მიგრანტს იზიდავს; მაშინ როცა ვრცელი ვაკეები, როგორც სასოფლო-სამეურნეო რეგიონი, კარგავს მოსახლეობას, ისმის შეკითხვა:

1. რატომ იზიდავს მთიანი დასავლეთი მოსახლეობას?

2. რატომ რჩება ვრცელ ვაკეებზე მოსახლეობა?

გამოკითხვაში, რომელიც ეყრდნობა სატელეფონო საუბრებს, მონაწილეობდა 2000 რესპოდენტი და პასუხი გასცა 70%-მა.

მონტანას რეგიონში ხალხი უპირატესად მიემგზავრება ოჯახური ფაქტორების გამო. ასაკობრივი სხვაობა მნიშვნელოვანია. ახალგაზრდები ამ რეგიონს მიმართავენ სასწავლებლად, საშუალო ხნის მოსახლეობა - ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, კარიერის მაძიებლებისათვის კი მონტანას შტატი ნაკლებად მიმზიდველია.

ვრცელ ვაკეებზე ხალხის დამაგრების მთავარი ფაქტორი ისევ ოჯახია, ან სხვა შემთხვევაში შერვული სამუშაო. უარყოფითად ფასდება მომსახურების სფეროს ობიექტებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა.

ამდენად, ორივე რეგიონში განმსაზღვრელი აღმოჩნდა ოჯახის წევრებთან სიახლოვე. შეიძლება ითქვას, რომ საკვლევი მოსახლეობისათვის უფრო მნიშვნელოვანია პირადი ოჯახური ურთიერთობები, ვიდრე სამსახური და კარიერა.

გიორგი ლაშთაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

აშშ უმაღლესი განათლების სისტემა და დასაქმების საკითხები

აშშ უმაღლესი განათლების სისტემა წარმოადგენს დინამიურ, პროგრესირებად და მოქნილ საგანმანათლებლო სტრუქტურას, რომლის წარმატებაზე და პრობლემებზე ბევრად არის დამოკიდებული მთლიანად ქვეყნის აწმყო და მომავალი მსურს თქვენი ყურადღება შევაჩერო, ჩემი აზრით, რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე, რომლებიც განსაკუთრებით უსვამენ ხაზს აშშ საგანმანათლებლო სტრატეგიას და აქტუალურ პრობლემებს წარმოადგენენ საქართველოსათვის, ჩვენთან მიმდინარე უმაღლესი განათლების რეფორმის მიზნებიდან და განხორციელების პრინციპებიდან გამომდინარე. ამასთან, ისინი მეტ-ნაკლებ წარმოდგენას გვიქმნიან აღნიშნული სისტემის განვითარების ხარისხსა და მომავალზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი საგანმანათლებლო რეფორმა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ამერიკული გამოცდილების გამოყენებასთან, საქართველოს რეალობაში შესაბამისი პარალელების გაელება და დასკვნების გამოტანა ფრიად აუცილებელ და საშურ საქმედ გვესახება.

ცნობილია, რომ საქართველოში, ისევე, როგორც სსრკ სხვა რესპუბლიკებში მოქმედებდა განათლების ე.წ. გერმანული მოდელი, რომელიც თავის მხრივ მეფის რუსეთის პერიოდიდან გვერგო მემკვიდრეობად. ვერ ვიტყვი, რომ ეს მოდელი მხოლოდ უარყოფითია, მაგრამ როგორც ჩანს, დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აუცილებელი შეიქნა მისი შეცვლა (სხვათა შორის, თვით გერმანიაშიც გარკვეული ცვლილებები შეიმჩნევა ამ მიმართულებით).

მინდა აღნიშნო, რომ სხვადასხვა დროს, მე მქონდა საუბარი ევროპული უნივერსიტეტების პროფესორებთან, დარგის სპეციალისტებთან, რომელთა უმრავლესობაც ერთხმად აღიარებდა განათლების ამერიკული მოდელის და შესაბამისი მიდგომების უპირატესობას, გადაჰქონდათ რა აქცენტები მის მობილობაზე, ტრანსფერაბულობასა და სტუდენტზე ორიენტირებულობაზე. მაინც რაში მდგომარეობს ეს უპირატესობა?

დავიწყით იქედან, რომ აშშ უმაღლესი განათლების სისტემა წარმოადგენს ამერიკელი ხალხის მიზნების, მისწრაფებების, პრინციპების, რწმენის და ცხოვრების წესის აშკარა გამოსატყულებას და სრულ შესაბამისობაშია ამერიკული საზოგადოების ღირებულებებთან (იხ. სქემა №1).

ამ ღირებულებებს შორის აღნიშვნის ღირსად მიმაჩნია შემდეგი:

პირველი - აშშ უმაღლესი განათლების სისტემა ეფუძნება იმავე პრინციპებს, არასც მთლიანად სახელმწიფო. უპირველეს ყოვლისა, ეს არის შეუზღუდავი (დასაშვების ფარგლებში, თუ ის არ ქმნის სხვათა თავისუფლების შეზღუდვის საშიშროებას) თავისუფლება. უნივერსიტეტების რეალური ავტონომია და აკადემიური თავისუფლება განაპირობებს მათ მიერ დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებას. თვით სწავლების ხარისხის კონტროლი და მონიტორინგი წესდება არა სახელმწიფოს, არამედ უნივერსიტეტების მიერ დამოუკიდებელი სააკრედიტაციო კომისიების ფორმირებით. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს თავისუფლება არ მოსულა ერთბაშად და იგი უნივერსიტეტების ხანგრძლივი, დაჟინებული და მიზანმიმართული მუშაობის შედეგად შეიძლება განვიხილოთ. თავისუფლებაში იმავდროულად იგულისხმება უდიდესი პასუხისმგებლობაც. როდესაც სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიიღება, უნივერსიტეტების მმართველობითი ორგანოების მიერ, მიღებული შედეგებიც მათი კომპეტენციის და პასუხისმგებლობის არეალს განეკუთვნება და შესაბამისად, მთელი სიძვირცემით სწორედ მათ აწევა კისერზე. საქართველოს რეალობაში, უმაღლესი განათლების შესახებ" კანონით უზრუნველყოფილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური თავისუფლება, მაგრამ რეფორმების წარმატებით განხორციელების აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭირო ხდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მაკოორდინირებელი და მორიენტირებული როლის აქტიური შესრულება;

მორე - ეს არის კონკურენცია. იგი განსაზღვრავს სწავლების ხარისხს. შეიძლება, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ ამ ტერმინის გამოყენება ვინმეს უხერხულად მოეჩვენოს, მაგრამ არსებული მდგომარეობა სწორედ მასზე მიგანიშნებს, რადგან თავისუფლება, ანუ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ასეთ ვითარებას. სახელმწიფოს მხრიდან ობიექტური და მიუკერძოებელი პოზიციის დაჭერა გამორიცხავს რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის მონოპოლიურ მდგომარეობას და განაპირობებს უნივერსიტეტებისათვის თანაბარი პოზიციების მინიჭებას;

მესამე - განათლების ორიენტირება ბაზრის მოთხოვნებზე. ურთიერთობა საზოგადოებას, ბიზნესებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ვითარდება საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე - მოთხოვნა განსაზღვრავს მიწოდებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავის მხრივ, უნივერსიტეტების მეცნიერული წარმატებები განაპირობებენ საზოგადოების ცხოვრების დონის ზრდას და მოთხოვნათა გაფართოებას. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, უმაღლესი სასწავლებელი წარმოგვიდგება, როგორც შუალედური რგოლი საზოგადოებასა და დასაქმების ბაზარს შორის. იგი იკვლევს ბაზრის მოთხოვნებს

და საჭიროებებს, შეიმუშავენ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს და შედეგად ორიენტაციის საშუალებას აძლევს სწავლის მსურველს;

მეოთხე - მჭიდრო კონტაქტები ბიზნესებთან. ურთიერთობა ეყრდნობა ურთიერთსასარგებლო პარტნიორობას: უნივერსიტეტებს სჭირდება ფულადი, ხოლო ბიზნესებს კი - ინტელექტუალური რესურსი. მათ შორის დამოკიდებულება ყალიბდება პარტნიორულ საწყისებზე და ვითარდება ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით;

მეხუთე - შესაბამისობა სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკასა და საუნივერსიტეტო განათლებას შორის. აქ არ უნდა ვიგულისხმოთ, თითქოს მხოლოდ მთავრობა ქმნის სამუშაო ადგილებს და უზრუნველყოფს შრომის უფლებით მოსახლეობის დაქაოცილებას. ხელისუფლება ქმნის გარემოს, სადაც ყველას აქვს საშუალება მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები, პოტენციალი, შეძლოს დასახული მიზნების მიღწევა და მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზაცია. ასეთ ვითარებაში, უმაღლესი სასწავლებლები გვევლინებიან მათრიენტირებელი როლის შემსრულებელ დაწესებულებებად, რომლებიც ამზადებენ კადრებს, სპეციალისტებს, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ განვითარებასა და პროგრესს, როგორც საერთო სახელმწიფოებრივ, ისე მეურნე სუბიექტთა და საოჯახო მეურნეობათა დონეზე;

ზემოაღნიშნულის მიხედვით შეიძლება წინა პლანზე წამოვიწიოთ აშშ უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ორი ძირითადი ფუნქცია:

- საერთო-სახელმწიფოებრივი სტრატეგიის განხორციელების საშუალება და ქმედითი მექანიზმი;
- საზოგადოებისათვის დასახული მიზნის მიღწევის საშუალება.

საქართველოს რეალობაშიც შესაძლებელია, რომ უმაღლესი განათლების სისტემა აღვჭურვოთ მსგავსი ფუნქციებით, მაგრამ დღემდე ეს გართულებულია მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ბ-ნ კ. ლომაიას თქმით, რეფორმების გატარების მიმართულებით მდგომარეობა გაცილებით უფრო გაიოლებული იქნებოდა, რომ იგი დაწყებულიყო იმ დროს, როდესაც საამისო მოთხოვნა არსებობდა ევროგაერთიანების მხრიდან (1998 წლიდან). მაშინ, ამ ცვლილებებს უფრო თანმიმდევრული და დინამიური ხასიათი ექნებოდა.

ცნობილია, რომ ეს ასე არ მოხდა და შედეგად მივიღეთ რეფორმის ზედმეტად დაჩქარებული ტემპები, შეზღუდული დროითი პოტენციალი (2010 წლამდე, ანუ ბოლონის პროცესში სრულად ჩართვამდე) და ზოგ შემთხვევაში, შეუსაბამობა საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესებსა და სახელმწიფოებრივი თუ ზოგადად საზოგადოებრივი განვითარების ტემპებს შორის.

აშშ გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება ვთქვათ, რომ ამჟამად საქართველოს უმაღლესი განათლების დონეებსა და დასაქმების ბაზარს შორის შესაბამისობა ფაქტობრივად არ არსებობს. განსაკუთრებით მწვეველ ეს საკითხი ეხება ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს, რომელთათვის არ არის ცალსახად განსაზღვრული ის პასუხისმგებლობები და კომპეტენციები, რომლებსაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ. გარდა ამისა, ფაქტობრივად არ არსებობს მათი პოტენციური დასაქმების არეალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ხდება მიმდინარე ეტაპზე ბაკალავრების გამოშვება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

ჩვენი მსჯელობით არ გვინდა ვინმეს დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს არ გვესმოდა, რომ ეს მხოლოდ დროითი მოვლენაა და მისი აღმოფხვრა საესესებით შესაძლებელია რამდენიმე წელიწადში, მაგრამ პრობლემის არაღნიშვნამ და შესაძლო გართულებებზე საუბრისაგან თავის შეკავებამ, შეიძლება მეტად რთულ და ძვირადღირებულ არასასურველ პროცესებს დაუდოს საფუძველი.

მდგომარეობის გამოსწორება ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და შრომის ბაზრის განვითარებაზე, რაც შესაძლებლობას მისცემს:

- უნივერსიტეტებს - მიმართონ თავიანთი საგანმანათლებლო პროგრამები ბაზრის მოთხოვნებზე და

- აბიტურიენტებს - სწორად და მიზანმიმართულად გათვალონ თავიანთი სამომავლო პერსპექტივა და მოიყვანონ იგი შესაბამისობაში გარემო პირობებთან.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გვინდა ყურადღება შევაჩეროთ კიდევ ერთ მომენტზე. სახელმწიფოებრივი განვითარების პრიორიტეტებიდან გამომდინარე, მიმდინარე ეტაპზე აუცილებლად მიგვაჩნია, რომ საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა საკუთარ თავზე აიღონ კიდევ რამდენიმე დამატებითი ფუნქცია. კერძოდ, ისინი უნდა მოგვევლინონ:

- მსოფლიოში მიმდინარე უახლესი ტენდენციების შესწავლის, სამომავლო პერსპექტივების გამოვლენის, ყოველივე დადებითის ჩვენს რეალობაში იმპორტირების და დანერგვის ინიციატორებად და ნოვატორებად;


- საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენის, განვითარების, სრულად გამოყენების და სამეურნეო-ეკონომიკური, სამართლებრივი, სამეცნიერო, დიპლომატიური და ა.შ. განვითარების საქმეში მისი მიმართვის მექანიზმად;

- სახელმწიფოებრივი პროგრესის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შემქმნელებად და მისი რეალიზების ინსტრუმენტად;

მოვლენების ამ მიმართულებით განვითარების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება კავშირი სახელმწიფო პრიორიტეტებსა და საზოგადოების საჭიროებებსა

თუ მიზნებს შორის. ამ შემთხვევაში, უმაღლესი სასწავლებლები მოგვევლინებიან იმ შუალედური რგოლის როლში, რომელიც უზრუნველყოფს ბალანსის არსებობას და შეასრულებელ მაკოორდინირებელ როლს ერთის მხრივ, მოსახლეობის ფართო ფენებისათვის დასაქმების და საკუთარი თავის რეალიზაციის უზრუნველყოფის, ხოლო მეორეს მხრივ, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორების მაღალკვალიფიციური კადრებით შეუფერხებელი დაკომპლექტების და მათი განვითარების საქმეში.

სქემა №1. აშშ განათლების სისტემის სტრუქტურა



SUMMARY

**USA EDUCATION SYSTEM AND THE EMPLOYMENT
PROBLEMS**

The US system of higher education is a dynamic, progressive and flexible educational structure and its achievements and problems determine to a great degree the country's present state and future perspectives. It is a clear expression of American peoples' aims, principles, beliefs and lifestyle and fully reflects the values of the USA society.

Taking into consideration the experience of the US educational system as well as the priorities of Georgia's state development, we believe that universities of Georgia should take responsibility for the following:

- getting acquainted with modern trends existing in the world and introducing all that is positive into our reality;
- revealing and developing intellectual potential of the society and applying it for the purpose of state development;
- creating theoretical and methodological basis for the further progress of the state.

**ედგარ ალან პოს პოეზია და
სმრბში რახმანინოვის „ზარები“**

მუსიკალური ისტორიოგრაფია სერგეი რახმანინოვის შემოქმედებიდან ძირითადად საფორტეპიანო თხზულებებს გამოარჩევს. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მხატვრული სახეების, ფილოსოფიური სიღრმის თვალსაზრისით, კომპოზიტორის მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს „ზარები“ (პოემა ორკესტრის, გუნდისა და სოლისტებისთვის), რომელსაც საფუძვლად უდევს ედგარ ალან პოს პოემის „ზარების“ ბალმონტიკული თარგმანი. რახმანინოვის შემოქმედების შესწავლის პროცესში ეს ნაწარმოები ცხოველ ინტერესს იწვევს, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ზარებს“ იგი თავის ყველაზე სრულყოფილ თხზულებად მიიჩნევდა. რახმანინოვი პოემის ბალმონტიკული თარგმანის გაცნობისთანავე შეუდგა მუშაობას. როგორც ჩანს, პოემის ფილოსოფიური კონცეფცია ამკარად ეხმიანებოდა რახმანინოვის რომანტიკულ მხატვრულ სამყაროს და მან კომპოზიტორის რომანტიკულ ცნობიერებაზე უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინა. კომპოზიტორი პირველ რიგში მოიხიბლა პოემის ღრმა ფილოსოფიური ასპექტებით, მაგრამ არანაკლებ საყურადღებო აღმოჩნდა პოს პოემის და ბალმონტიკული თარგმანის შინაგანი მუსიკალობა. დასმული საკითხიდან გამომდინარე, პირველ რიგში, შევეხოთ პოს პოეზიის თავისებურებებს. ედგარ პოს შემოქმედებას უზარმაზარი შემოქმედების ძალა გააჩნია. შემთხვევითი არ იყო, რომ ამ მწერლის გავლენის ქვეშ მოექცა მრავალი ამერიკელი და უცხოელი მწერალი¹, აგრეთვე კომპოზიტორებიც. კლოდ დებიუსი მუდამ მიუთითებდა პოს პოეზიის გავლენას მის მუსიკაზე. მწერლის შემოქმედებით შთაგონებულნი იყვნენ ნაკლებად ცნობილი კომპოზიტორებიც, მაგალითად, დებიუსის თანამედროვე ფლორან შმიდტი, ანდრე კაპლე და ჯოზეფ ჰოლბრუკი², აგრეთვე მინიმალისტი ფილიპ გლასი და საგუნდო მუსიკის კომპოზიტორი ჯონათან ადამსი. ფფიქრობთ, ეს არასრული ჩამონათვალი სრულიად საკმარისია პოს პოპულარობის და მისი შემოქმედების ზემოქმედების ფართო არეალის ნათელსაყოფად.

რახმანინოვის „ზარების“ შესწავლის პროცესში გამოიყოფა საკითხთა შემდეგი წრე - პოეტური პირველწყაროს ფილოსოფიური კონცეფციის რაობა, ლექსის მუსიკალობა, ბალმონტის თარგმანის თავისებურებები და საბოლოოდ რახმანინოვის მიერ ყოველივეს ინტერპრეტირება „ზარებში“.

პირველ რიგში შევეხთ პოეტურ პირველწყაროს და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას, რომელიც რასმანიოვის ნაწარმოებთან მიმართებაშია მნიშვნელოვანი. პოს ნაწარმოებების, მათ შორის "ზარების" ანალიზი მკვლევარს მეტად სიღრმისეული შრეების წვდომისკენ უბიძგებს, მათში ჩადებული მისტიკურ-ალეგორიული აზროვნების სპეციფიკიდან გამომდინარე, რომლისთვისაც ტიპიური სიმბოლოებით აპელირებაა. ამავე მიზეზით, პოემის მხატვრული შეფასებისას მისი რამდენიმე ინტერპრეტაცია იმთავითვე წარმოიშვა. ერთის თანახმად, პოეტურ ქმნილებაში ასახულია ის ემოციები, რაც სხვადასხვა მასალისგან დამზადებული ზარების ხმოვანებას უკავშირდება, მეორის თანახმად, პოემაში მოცემულია ადამიანის ცხოვრების ოთხი ასაკის დემონსტრაცია, კიდევ ერთი ინტერპრეტაციის თანახმად, ნაწარმოებში გადმოიცემა სეზონების ცვლა გაზაფხულიდან ზამთრის ჩათვლით. მეტად შთაბეჭდავია პოემის ინტერპრეტაცია მასში ალეგორიული შრის არსებობაზე მინიშნებით, რომლის თანახმად, პომ სიყვარულის შემჭიდროებული ისტორია გადმოსცა³. ეს ინტერპრეტაციები უდავოდ გასათვალისწინებელია, თუმცა ნაწილობრივ სადავოც. მიუთითებთ იმ აზრობრივ აქცენტებზე, რომლებზეც თავად მწერალმა მიგვაქცევინა ყურადღება. მან ერთგვარად გაგვიმანვილა ინტერესი აზრობრივად საკვანძო სიტყვების მიმართ - ყინულივით ცივი, წყნარი და ღამის ჰაერი, ცეცხლი, ვარსკვლავები, ღამე, ზარები. ეს რომანტიკული მხატვრული სახეები ბალმონტის თარგმანშიც იქცევა ყურადღებას და რასმანიოვის ნაწარმოების ინტონაციურ ბუნებასაც აძლევს ტონს. რუსი პოეტის "ზარები" პოს პოემის არა მექანიკური თარგმანია, არამედ მასში პირველწყაროს შინაარსის საკუთარი კონცეფცია გადმოსცა. საგულისხმოა მიუთითოდ იმ მცირედად განსხვავებულ ნიუანსებზეც, რომლებიც რუსულ ტექსტში გვხვდება; კერძოდ ყურადღებას იქცევს სიტყვები - მკაფიო, მშვიდი ჰაერი, ნაზი, ტკბილი სიზმარი, დაუსრულებელი სიზმარი. პოს პოეტური სტილისთვის დამახასიათებელი თავისებურებები - ცალკეული სიტყვების რეპეტიციები, ოდნავ "შერბილებულია" ბალმონტის თარგმანში. თუკი პოს პოემაში სიკვდილის მხატვრული სახე ხასიათდება იმით, რომ იგი მოულოდნელი და თავზარდამცემია, ბალმონტის თარგმანში "მედიტაცია" სიკვდილის თემაზე წინა პლანზეა წამოწეული⁴ და უფრო სიღრმისეულადაც არის გააზრებული. სიკვდილის სახე ბალმონტის თარგმანში არ არის ინტერპრეტირებული, როგორც მოულოდნელად დამდგარი აღსასრულის დღე. ილუზიებისგან თავისუფალი ადამიანი სიკვდილს მთელი ცხოვრება ელოდება და იგი აღიქმება, როგორც ღვთის საჩუქარი, შვება, თავის დაღწევა ცხოვრების ქარცქცხლისგან, განსაცდელისგან. ეს უკანასკნელი პოემის შესამე ნაწილშია აღწერილი. თუკი პოს ლექსში ვამპირები, მოჩვენებები ფიგურირებენ, ბალმონტის თარგმანში გადმოცემული მხატვრული სახეობრიობა უფრო რეალისტურია, მასთან შავი

დემონი, ემბაკეულის სახე ფიგურირებს. ბალმონტი სიკვდილის იღვის გახსნას ტექსტში პოეტურ ფორმას უძებნის, მთელი პოემის მანძილზე (I, II, III ნაწილები) ფიგურირებს ნაზი სიზმრის, მეოთხე ნაწილში კი - დაუსრულებელი სიზმრის მოტივი. ეს საბოლოოდ ფენს ნათელს ბალმონტის მიერ ამ სიტყვაში ჩადებულ სიმბოლურ მნიშვნელობას, რომლის თანახმად სიზმარი ცხოვრების სიმბოლოა, მისი უსასრულოდ გაგრძელება კი გარდაცვალების ჟამის დადგომას მოასწავებს. ცალკე უნდა გამოიყოს პოს პოემის შინაგანი მუსიკალობის საკითხი, რადგან პოეტური სახეების გარდა, რახმანინოვის ყურადღება პირველ რიგში სწორედ რუსული თარგმანის მუსიკალობამ მიიპყრო, რომლის პირველმიზეზი, ცხადია, პოს ლექსია, პოემის და მისი ბალმონტისეული თარგმანის შინაგან მუსიკალობას უდავოდ განსაზღვრავს მათი ვერსიფიკაციის თავისებურებები, მნიშვნელოვანია ზარების სხვადასხვა ხმოვანების აღმნიშვნელი ზმნების სიუხვე, სიტყვების გამეორებები. პოს პოემაში აშკარად ფიქსირდება მიზანმიმართული ლტოლვა მუსიკალური საწყისის გაძლიერებისკენ, მწერლის პოეტური აზროვნების პრინციპებიდან გამომდინარე, აზრი ყოველ სტრიქონში კონდენსირებულია, რაც საერთო ჯამში მას დინამიურობას ანიჭებს და „გაძჭოლი ხაზის“ შეგრძნებაც არ იკარგება. მეოთხე ნაწილში დინამიკა სულ უფრო სწრაფვითი ხდება, ზარების ჟღარუნის მოტივი განმეორებად ხასიათს იძენს, რაც ძალაუფებურად იმ მუსიკალურ ნაწარმოებს გვაგონებს, რომელიც Piano-დან დაწყებული forte-ზე თავდება, სიტყვების - bells, tells, rolls, knells გამეორება კი თითქოს ერთგვარ ობერტონებად აღიქმება ბგერის გაქლერებისას. პოეტური აზრი მუსიკალური აზრის მსგავსად გაივლის ჩამოყალიბების ეტაპებს და გრანდიოზულ ხმოვანებით კულმინაციას აღწევს. ამგვარად პოემას „შინაგანი სიმფონიზმი“ (ამ სიტყვის ფართო გაგებით) უდავოდ გამოარჩევს. სიკვდილის ცეკვის მოტივი კი ფინალში ძალაუფებურად გვაგონებს ბერლიოზის ფანტასტიკურ სიმფონიას, რომლის მეხუთე ნაწილიც მისტიკითაა გაჯერებული. პოემის და მისი თარგმანის გადაკითხვისას, მათი შინაგანი მუსიკალობის გათვალისწინებით, ადვილი მისახვედრია, თუ რამ შთააგონა კომპოზიტორი. საინტერესოა პოემის რომელი მოტივები წამოსწია რახმანინოვმა წინა პლანზე. ნაწარმოებში აშკარად შეიმჩნევა ბალმონტისეული თარგმანის ძლიერი გავლენა რახმანინოვზე. რუსი მწერლის მიერ ლექსში ჩამოყალიბებული კონცეფციის თანახმად, ადამიანის ცხოვრება არის ჯამი სხვადასხვა განცდების და მოვლენებისა - ოცნების, ბედნიერებისკენ სწრაფვის, განსაცდელის, გარდაცვალების. არ არის მოცემული ბედისწერასთან შეჭიდება. კომპოზიტორის გმირიც ცხოვრებას ისეთად იღებს, როგორც ის არის. მიუხედავად იმისა, რომ რახმანინოვი ნაწარმოებს საგუნდო სიმფონიად მოიხსენიებდა⁵, კლასიკური სიმფონიის ტრადიციული პრობლემა - ადამიანისა და ბედისწერის შერკინება „ზარებში“ არ არის წარმოჩენილი. მსგავსება სონატა-სიმფონიურ ციკლთან მხოლოდ გარეგნული

ხასიათისაა. მეორე ნაწილი ჰგავს Adagio-ს, მესამე - დემონურ სკერცოს, თუმცა იგივე მიზეზიდან გამომდინარე პირველი ნაწილი და ფინალი, სონატა-სიმფონიური ციკლის ტრადიციულ ფუნქციას არ ასრულებენ. „ზარებში“ გადმოიციემა არა ნაწილებს შორის კონტრასტი, არამედ სურათების დაპირისპირება. ინტონაციურ დონეზე ყურადღებას იპყრობს მასალის თანდათან გახსნის მეთოდი, მუსიკალური სახე ყალიბდება ეტაპობრივად პატარა მარცვლებიდან, ისევე როგორც ცხოვრება ყალიბდება თანდათან, როგორც მოვლენების ჯაჭვი. იმდენად, რამდენადაც კონსტრუქციული პარალელები სიმფონიასთან არ ატარებს კონტრასტულ სახეს, ხაზი უნდა გაესვას ნაწარმოების მხოლოდ შინაგან სიმფონიზმს. აქვე აღსანიშნავია ამ თხზულების განზოგადების მაღალი ხარისხი, რაც სიმფონიური აზროვნებისთვის ძალზე ტიპიურია. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ნაწილში ტენორის პარტია სიმბოლიზირებს რწმენით ანთებულ ახალგაზრდას, მეორე ნაწილში სოპრანოს პარტია პატარძლის მონოლოგად აღიქმება, ბარიტონალური პარტია მეოთხე ნაწილში კი იმ ადამიანს სიმბოლიზირებს, რომელმაც უკვე გაიარა ცხოვრება და თავისუფალია ილუზიებისგან, მუსიკაში არა პიროვნული, არამედ უნივერსალური, ზეპიროვნული ხასიათის გრძნობები გადმოიციემა. განსაკუთრებით ეს მესამე ნაწილზე ითქმის, რომელშიც იხსნება კატასტროფის მოლოდინში მყოფი კაცობრიობის სახე, ეს ნაწილი მთლიანად ნონპერსონიფიცირებულია, მეტიც, მასში არ არის ჩამოყალიბებული მელოდიური ხაზი, მხოლოდ ჩივილის, ტირილის და მოთქმის ინტონაციები ქლერს, რომლებიც ერთგვარ სონორულ ეფექტსაც კი ბადებს. მუსიკის დრამატიზმით იგი Dies irae-ს გვაგონებს ვერდის „რეკვიემიდან“.

რახმანინოვის „ზარების“ პირველ ნაწილში ჩვენს გამახვილებულ ყურადღებას იპყრობს ბალმონტის თარგმანის მნიშვნელოვანი სენტენციის შემცველი სიტყვები - ტკბილი სიზმარი, რომელიც გადმოცემულია ნანას ჟანრისთვის ტიპიური ინტონაციებით. როგორც ჩანს, სიზმრის მოტივი რუსულ ეროვნულ ცნობიერებაში ძალზე სიმპტომატურია, რადგან ჯადოსნური სიზმრის სიმბოლური სახე გახსნილია რიმსკის „უკვდავ კაშჩეიში“, ლიადოვის „კიკიმორაში“, სტრავინსკის „ფასკუნჯში“.

საგულსხმოა, რომ მეორე ნაწილის ინტონაციური გადაწყვეტა მნიშვნელოვნად განსხვავდება პოეტური ტექსტისგან. თუკი ვერბალურ ტექსტში ადამიანური ყოფის ყველაზე ლამაზ ხანაზეა მინიშნება და იგი ცხოვრების ზეიმად არის აღქმული, ეს ემოციური მუსტი მუსიკაში შერბილებულია, მეორე ნაწილი ლირიკული ცენტრია, ერთგვარი ნოქტიურნია, სადაც გადმოიციემა სულიერი თვითჩაღრმავება და ბოლომდე გამოუთქმელი განცდები, მასში სევდის ინტონაციებიც გამოსჭვივის. შესაძლოა ამ მომენტს შემდეგი ახსნა მოეძებნოს. რახმანინოვს სურდა არა ქორწინებასთან დაკავშირებული სასიხარულო განცდების ჩვენება, არამედ იმ ამაღლებულობისა, რაც ადამიანური ყოფის ამ ეტაპს ახასიათებს.

კომპოზიტორის ფილოსოფიური კონცეფცია სრულიად ბოლომდე იხსნება მეოთხე ნაწილში, რომლის ინტონაციური მსგავსება მეორე ნაწილთან აშკარაა. ამით კომპოზიტორს სურდა ეჩვენებინა, რომ სიყვარული და თვით გარდაცვალებაც სულის ამალღებულ მდგომარეობას უკავშირდება. სიკვდილის მხატვრული სახის გააზრებისას რახმანინოვი ბალმონტს ეთანხმება. კომპოზიტორისთვისაც ამოსავალი ხანდაზმული ადამიანის სულიერი სიმწიდეა, რომლისთვისაც ოცნება, ბედნიერება, განსაცდელი და გარდაცვალება ცხოვრების ერთიან სურათად მთლიანდება, ამიტომაც არ არსებობს დაპირისპირებანი; სიკვდილიც ცხოვრებისეული ციკლის ბოლო ეტაპია, რომელსაც იგი მუდამ ელის, შემთხვევითი არ არის, რომ ნაწარმოების პირველივე ნაწილში გაიჟღერებს cis moll მოტივი, რომელიც ინტონაციურად სამგლოვიარო მარშის ასოციაციას იწვევს, როგორც სიკვდილის ერთგვარი წინათგრძნობა. ამ ნაწილის სოლისტი ბარიტონია, მამაკაცის ეს ტემბრი უდავოდ არის მინიშნება კომპოზიტორის მხრიდან ადამიანის ცხოვრებაში სიბრძნის სტადიის მიღწევაზე, რაც თავისთავად გულისხმობს სიცოცხლის და სიკვდილის საზრისის სიღრმისეულ გაცნობიერებას.

ნაწარმოების ინტონაციური ბუნება გვიბიძგებს დაესვათ საკითხი ერთგვარი რელიგიური განწყობის შემქმნელი ინტონაციების შესახებ ნაწარმოებში, რაც რახმანინოვის „ზარების“ კვლევის პროცესში მნიშვნელოვან ასპექტად შეიძლება აღვიქვათ. ნაწარმოები არ ეფუძნება სასულიერო შინაარსის ტექსტს, თუმცა ინტონაციურ ასპექტში აშკარად შეინიშნება საკრალურის, რელიგიური განცდის ის იდუმალება, რაც უშუალოდ სასულიერო თემაზე ან კანონიკურ ტექსტზე დაწერილ თხზულებებს ახასიათებთ. ემოცია, რომელიც მუსიკის მოსმენისას გუუფლება, თავისი არსით ქარიზმატულია. ამ განცდების წყარო კვლავ პოეტური ტექსტიდან მომდინარე იმპულსებია. ნაწარმოებში წარმოჩენილია ის თემატიკა, რომელიც ბუნებრივად ბადებს პარალელის გავლების სურვილს სასულიერო მოტივებზე აგებულ ნაწარმოებთან. ეს მოტივებია - სიცოცხლე და მის წიაღში მომწიფებული აზრი სიკვდილის გარდაუვალობის შესახებ, კათარზისი, სიკვდილის როკის მოტივი. ყოველივე ეს შესაბამის ინტონაციურ გადაწყვეტას იღებს მუსიკაში. სანტერესოა უფრო ვრცლად შევეხოთ მათ. რახმანინოვის „ზარების“ ფილოსოფიურ კონცეფციას, ვფიქრობთ, ზუსტად მიესადაგება ფსიქოლოგ ერიკ ერიკსონის გამოკვლევებიდან მოხმობილი ციტატა - სიბრძნე ეს არის თავად ცხოვრების უცილობელი მნიშვნელობის გაცნობიერება საკუთრივ სიკვდილის პირისპირა⁶. ამ საკითხთან დაკავშირებით შეუძლებელია არ შევჩერდეთ მუსიკისმცოდნე ბორის ასაფიევის მოსაზრებაზე. მან სიკვდილის მოლოდინის მოტივის ამგვარი ინტერპრეტაცია რახმანინოვის „ზარებში“ რუსული ცნობიერების კატეგორიას დაუკავშირა. „ზარები“ ჟღერს, როგორც ნაციონალური ფსიქოლოგიიდან ამოზრდილი ნაწარმოები⁷ ასაფიევის აზრით, ნაწარმოებში აისახა რუსული

ფსიქოლოგიის ის თავისებურება, რომელიც გულისხმობს მუდმივ ერთადყოფნას ცხოვრების მოულოდნელობებთან პირისპირ შესახვედრად. მოსალოდნელი და გარდუვალი ფინალის კონცეფცია რახმანინოვთან მუსიკალური ინტონაციის დონეზე მკაფიოდაა საზგასმული, მეოთხე ნაწილში ჭარბობს კათარზისული ხმოვანებები. ამ მხრივ რახმანინოვი ეთანხმება ბალმონტს, რომელმაც სიცოცხლე სიზმრის ფორმით წარმოსახა. სიკვდილს, როგორც გარდუვალ აღსასრულს, რახმანინოვის გმირიც მშვიდად ხედება, ამიტომაც პოემის ეს ტრაგიკული კონცეფცია მუსიკაში გადმოცემულია ზღვრული სევდით, გაწონასწორებული ემოციით, მეტიც, აქცენტი სულიერ ამაღლებაზე და არა ტრაგიზმზეა, რაც რელიგიური ნაწარმოებებისთვის ტიპიურია და ტრაგიზმის მართლმადიდებლურ აღქმაზეც მიანიშნებს. ეს ერთგვარი კათარზისი, გამოხატული ქორალური ხმოვანებებით და კილოურადაც (ერთსახელა მაჟორი), ძალაუნებურად გვაგონებს ჩაიკოვსკის „პიკის ქალის“ და მეექვსე სიმფონიის ფინალებს. თუ კიდევ უფრო ჩავუღრმავდებით დასმულ პრობლემას, შესაძლოა პირველი, მეორე და მეოთხე ნაწილების დასაწყისები და ფინალები, რომლებიც თითქოს სიჩუმიდან იბადება და კვლავ სიჩუმეში შთაინთქმება, გვაგონებს ქორალის ერთ-ერთ თვისებას, აღიქმებოდეს მარადიულობის კონტექსტიდან ამოკლევჯილ ხმოვან ფრაგმენტად, რომელიც თითქოს უსასრულობიდან იბადება და მარადისობაშივე ბრუნდება. ამას გარდა გამოყენებულია *Dies irae*-ს თემის ინტონაციური ინვარიანტი, რომლის სხვა ინვარიანტები ჟღერს კომპოზიტორის III სიმფონიაში, რაფსოდიაში, სიმფონიურ პოემაში „გარდაცვლილთა კუნძული“, „სიმფონიურ ცეკვებში“ ორკესტრისთვის. ნაწარმოების ყველა ნაწილში მოცემული ზარების ხმოვანების იმიტაცია კი პირდაპირ ასოციაციას იწვევს მართლმადიდებლური რუსული ზარის ფენომენტთან. ყოველივე ეს უცხო არ იყო რახმანინოვისთვის, რომელსაც ექვსი მნიშვნელოვანი თხზულება რელიგიურ მოტივებზე აქვს დაწერილი.

ამგვარად, პოს პოემის ფილოსოფიურმა კონცეფციამ, შინაგანმა მუსიკალობამ უმნიშვნელოვანესი იმპულსები მიაწოდა ორ ხელოვანს, რომელთაც თავისებურად გაიაზრეს იგი, მაგრამ თუ ბალმონტის „ზარები“ მინც თარგმანია რახმანინოვის „ზარები“ განეკუთვნება იდეურ-ესთეტიკური და მხატვრულ-ინტონაციური თვალსაზრისით სრულიად ორიგინალურ ნაწარმოებს, მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების შედევრს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ http://en.wikipedia.org/wiki/Edgar_Allan_Poe
- ² http://en.wikipedia.org/wiki/Edgar_Allan_Poe_and_music
- ³ http://en.wikipedia.org/wiki/The_Bells

- 4 http://www.americansymphony.org/dialogues_extensions/99_2000season/1999_10_15/rachmaninoff.cfm - Robert McColley, Sergei Rachmaninoff, The Bells
- 5 Келдыш Ю., Рахманинов и его время, издательство «Музыка», Москва, 1973 г., стр. 34.
- 6 Erikson. E.H., The life Cycle completed, New York: Norton, 1982, p. 61.
- 7 Соколова О., Хоровые и вокально-симфонические произведения Рахманинова, гос. муз. изд. Москва, 1955 г., стр. 57.

GVANTSA GVINJILIA

Tbilisi State Conservatory, Assist. Prof.

SUMMARY

EDGAR ALLAN POE'S POETRY AND SERGEI RACHMANINOFF'S "THE BELLS"

The article concerns "Bells" by Sergey Rachmaninoff, which has Balmont's translation of Edgar Poe's "Bells" as a background. It appeared to be important for the composer the philosophical concept of the poem as well as its internal musicality. In the article there are discussed the following topics: features of Poe's poetic style, Poe's "The Bells" and philosophical concepts of the Balmont's translation, particularities of the internal musicality of the verse and of versification in relation with the "Bells" by Sergei Rachmaninoff and interpretation of all the above-said in the musical piece. The attention is focused onto the internal keywords of the poem, which are marked out of the general context by Poe. They attract attention in Balmont's translation, too and also significantly supplies tones to the intonation nature of Rachmaninoff's work. There is substantiated the opinion that Balmont's translation of "The Bells" represents itself a conceptual re-thinking of the poem. The most important difference is the interpretation of the image of death. If in Poe's poem the artistic image of death is characterized by the feature that it is sudden and horrifying, in Balmont's "Bells" a man always awaits it. The attention is also pointed to the particularities of versification of the poem, which condition its internal musicality. In Poe's poem there are indicated the factors stipulating for the strengthening of musical source, which influences the Rachmaninoff's piece. There is substantiated the sensibility to Balmont's conception in "The Bells" by Rachmaninoff. In the cross-section of the discussed topics there are characterized the ideal, esthetical and intonation features of Rachmaninoff's "The Bells", as well as relationship of the piece to the symphony and the question of interpretation of religious motives into the intonation sphere.

WHY DO WE LIKE AMERICA?

Since this conference is dedicated to the Georgian-American relations, I'd like to speak about the progressive trend of these relations.

We realize that in an attempt to help understand the changing global context, our world has become more intertwined, than during any previous period of history. Sophisticated transportation and communication systems have bridged what in earlier times were "natural or geographic barriers" to cross-national and cross-cultural interchange. American citizens deal more directly and more frequently with citizens of the other nations than was even thought possible a few years ago. We witness the unexpected increase in communication, travel, and diverse interchange with extremely distant lands.

Books and articles proclaim the 1980s and 1990s the "Information Era", the "Age of Interdependence", and the "Global Village". An important aspect of international dialogue and communication is the ability to respond to the questions. Because of the impact of American society in their lives, people in other nations have many questions and concerns about the United States. They want information and answers that will help them better interact and live with Americans. They want understanding of various aspects of American life, ranging from society and culture to economics and foreign policy.

Herein people of other nations ask Americans the common question: "Why do your people know so little about us and our culture? You know nothing about our people, our cities, our politics, and our government. Doesn't this really prove that Americans are not interested in anybody else, especially our country?"

This was a very frequent observation made by people from all parts of the world before 9/11, even when they visited America, or read American publications, or saw on television a small item about their country. And they also talked to Americans coming to their country and found out how little they often knew about the people that they were visiting. As we all know, communication and media are basic aspects of Americans life. Americans have busy and demanding individual lives. There is so much that they are exposed to with huge newspapers, radio, television, educational systems, and books. Americans are generally aware of other countries only as they

are high-lighted in the media during a crisis. If it does not directly influence American life, or Americans interest, they just do not take the time to learn about it. They also often fail to keep up with what is happening in different parts of their own country.

The United States impacts on many other countries economically, socially, politically, and culturally, because of its power, outreach, and influence. The United States has an effect on almost every country of the world. The lives of Americans are not reciprocally influenced by actions of all other countries, and it's natural. Everyone is looking at the United States out of their own national or self interest. For example, someone in Poland says "you do not know anything about Poland. Look at your TIME magazine: maybe once a year you have three paragraphs about Poland in magazine". The fact is that TIME magazine may get a ten-page report every week from their correspondent in Poland. But, because of competition for space, they may only print two or three paragraphs. Two or three paragraphs may be better than nothing. In the United States, unless it is a crisis or something of broad interest, Poland may have relatively little impact, interest, or effect on the average American readers and thus be neglected by the competitive media. The reverse is true for many Polish, who may know relatively more about the United States than many American citizens. They know more about the United States than Americans will know about their own country because certain things in the United States are likely to be more essential to them personally and to their country.

According Prof. Charles T. Vetter¹, another factor to consider is that there is less attention to world history and geography because those seem to be more relevant to the parents and to those who set up the curriculum. Another aspect of this is the pattern of American history which has brought people into a land isolated by two oceans, where the whole attention was focused on the continent. Isolationism, in other words, was somehow programmed into the American style.

However, after 9/11 isolationism was put aside by Americans, and their attitude towards other nations of the globe has dramatically changed. Active Bilateral relationships with different countries started, which promote mutual understanding and sharing each others concerns. This huge country is no longer self-contained. We observe widespread and multifaceted elements of globalization in different spheres, as well as in higher education.

Promoting for example, the Fulbright International Exchange programs by enlarging the number of scholars visiting the U.S. is the vivid example of putting focus on international education and exchange as an important means of developing constructive relationships among nations. Even from such a small country, like Georgia, the number of scholars, being invited to the U.S. has increased from one to five, six.

I, personally was lucky to participate in the Fulbright International Exchange Program in 2004/2005 at George Washington University, where I did research on multicultural studies, prepared interdisciplinary course on American Civilization and American Women's Studies for my lectures at the Am. Studies Department at IBSU. As a dean of the faculty, I made contact with the University of Connecticut and the PENNSTATE University to establish partnership with IBSU. We are working on it and I hope it's realizable. A couple of days ago I got a letter from professor Michael Barton from the PENNSTATE university, offering the course "Popular Culture and American Folklore", to be delivered over the World Wide Web by Prof. Dr. Simon Bronner. The PENNSTATE university American Studies scholars are looking for funding now, so that international students might be enrolled.

Internationalization as a major trend in higher education is a worldwide phenomenon. It implies flows of students across borders. The university I work at, is also international, International Black Sea University (IBSU), the binational university, where students come from 12 countries, including former soviet republics, Europe and Africa. As a lecturer of Am. Culture and Multicultural Studies, during my research at George Washington University I tried to examine the challenges and difficulties of teaching multiculturalism. While delivering lectures on Georgian History and Georgia-US relations for the George Washington University Am. Studies Program students and lecturers, as well as the students and academic staff of the University of Connecticut, I was asked the common question: "Why do you have strong interest in multiculturalism and how that interest connects the study of the United States to the circumstances of Georgia?"

Due to the Soviet Legacy, the major parts of societies in post-Soviet republics have a rather superficial and sometimes contradictory knowledge about the multicultural world-power despite the end of informational vacuum as a result of restoration of independence of these republics. The same can be said about some other countries. Many still perceive the United States through the prism of general stereotypes only. International students want

information and answers that will help them better interact with Americans. They want understanding of various aspects of American life, ranging from society and culture to economics and foreign policy.

Especially vulnerable is the question of ethnicity for Georgian students at the moment. Georgia is a multicultural country with 16 different nationalities. We'd lived peacefully throughout the centuries. But after dissolving of the U.S.S.R ethnic conflicts started with Abkhazia and South Ossetia due to the interference of the third side in our relationships. The change of the system, hard economic situation, corruption, bad conditions of citizens even worsened the relationships in the conflicting zones. Georgia is experiencing the hardest times.

My survey showed that one hundred percent of the IBSU AM. Studies program students consider the consolidation as the main important characteristic of the American ethnic society.

However, according Americans The U.S is not a model multicultural country, where ethnic issues are ideally well organized. Even the term "ethnicity" is highly debatable, the word "ethnic", derives via Latin from the Greek *ethnikos*, the adjectival form of *ethnos*, a nation or race. "Ethnic" is adjective, and English never adopted a noun from Greek *ethnos*. The lack of convenient substantive form has induced writers to coin a number of substitutes all of which have their drawbacks. Of these the commonest is "ethnic group". According critics, users of this term too often forget the crucial distinction between a *group*, which has some degree of coherence and solidarity, and a *subpopulation, category, grouping, or section* which denote no more than a patterned differentiation. The connotation of ethnic "group" is that its members are at least latently aware of common interests. Despite the difficulty of determining at what point people become a group that is the point at which coherence is established, it is important to retain distinction between a group and a category, because many of the processes analyzed in the study of ethnic relations consist of the interaction between the two. William Petersen² suggests the term "subnation". It denotes simply a unit smaller than a nation, but otherwise similar to it. A nation is a people linked by common descent from a putative ancestor and by its common territory, history, language, religion, and or way of life. Obviously neither all nations nor all sub nations conform to every element of this list. Analysts haven't adopted "sub nation" in place of the terms it was intended to supplant.

One reason is that it is ambiguous in suggesting that all of a nation's characteristics are typically shared by its ethnic parts.

The same difficulties are encountered in trying to fix the meanings of other derivatives from the word "nation", "originally", "nationality", meant "national quality or character", then "a nation, frequently of a people potentially, but not actually a nation". However, in the most common current usage in such multiethnic countries as the United States or the former Soviet Union, it denotes a particular type of ethnic category. The words "nationalism" and "nationalist" can pertain to existent nations (in which case they are more or less equivalent to "patriotism" and "patriot"), but they are more likely to refer to ethnic sentiment with or without an implicit wish to establish an independent country.

According to analysts, in recent popular writing "ethnic" has been used as a substantive, usually applied only to certain categories: "white ethnic" are Italians and Poles, for example. If the meaning of the noun became comprehensive, like that of the adjective, and if the usage did not remain substandard, "ethnic" might be the most suitable term.

Since the United States has received recurring waves of mass-immigration, a persistent theme of American history has been that of the incorporation of the foreign born into the body of the country.

The dominant interpretation in American historiography and nationalist ideology had been rapid and easy assimilation. Theories which predicted this outcome, i.e., Anglo-conformity and the Melting Pot, shaped the underlying assumptions of several generation of historians and social scientists.³

Historical studies in the U.S. over the past two decades have put question to these assumptions. Scholars have increasingly emphasized the resistance with which immigrants often opposed to Americanization and their efforts at language and culture maintenance. At the same time according to recent studies the immigrants' "traditional" cultures did not remain unchanged. Immigrants ceased to be "foreigners" and yet did not become "One Hundred per Cent Americans".⁴ Ethnicity has therefore become a key concept in the analysis of the process of immigrant adaptation. From 1960s on, the rise of ethnic movement in the U.S. and throughout the world have demonstrated an unexpected persistence and vitality of ethnicity as a source of group identity and solidarity.

Too complicated to be described as a melting pot, or a mosaic, that society today is really a collection of interdependent subcultures each

contributing its own character to the nation's life from food to fashion, from art to politics while retaining its distinctiveness. However, normally tolerant Americans succumb to complaints about the newcomers' contributions to crime and disease, about the burdens of schools and welfare rolls. Three quarters of questioned U.S. citizens feel that, nation's current policy has got out of hand and that government should limit immigration more strictly. Does it mean the end of the American pact with newcomers to its shores? According to scholars-almost surely not.

Though different and perhaps more problematic than those who have come before, the latest immigrants are helping form a new society, a variation and intensification of the great American experiment. According Prof. Robert A. Gross⁵ the present popular discontent may produce some needed changes in immigration laws. But there is no turning back: diversity breeds diversity. It is the fuel that runs today's America in a world, being transformed daily, by technologies that renders distances meaningless. The differences among Americans gain their impact, however from the bonds that unite them. They are differences that should not divide or weaken America, but distinguish and strengthen it. How is "The American" constructed as the national subject?"

Janice Radway⁶ considers alternative approaches to that question. The first is the

"exceptionalist tradition", whose goal was, supposedly, to identify a unique, homogeneous "American Mind" coterminous with the geographical boundaries of the nation itself. The other tradition was created by W.E.B. Dubois and Jose Marti, who viewed the United States in "international context". It was one national site for conflict over "racism, classism, xenophobia". National identity was forged in the crucible of those fights, and Radway embraces this second.

In the 1960's and 1970's a new generation of scholars set out to demolish the myth of exceptionalism. A long line of intellectuals have cultivated an internationalist outlook to strengthen liberal American values. Transnationalism brings new voices and forcefully disputes and deconstructs Hector St. Jean de Crevecoeur's⁷ class question: "What is this American, this new man?" Transnationalism represents an intellectual outlook born of new global realities. Who can deny the far-ranging transformation of the world economy over the last two decades, as transnational corporations have brought about an unprecedented integration of finance, production, and distribution around the globe? And who has been untouched by fundamental instrument of

globalization, electronic communications? Information technology serves multiple ends. Like the telegraph in the 19th century, it “annihilates time and space”.

Organizations, both large and small, in every field can pursue activities in the international arena. In the academic community desktop computers ease cross-national communications and research and foster cosmopolitan ties. It is through the news and popular culture that global communications have made the most dramatic impact. Broadcast track the price of interdependence for the environment: oil spills, nuclear accidents, global warming, the spread of AIDS. As for popular entertainment, the U.S, in the words of a popular tune and exhibit at Walt Disney world in Orlando, Florida, “a small, small world”, thanks to the marketing power of mega-companies like Disney, have made the sale of American “software and entertainment products” abroad a 60 billion a year. America’s largest export is no longer the fruit of its fields or the output of its factories,” according to “the Washington Post, “but the mass-produced products of its popular culture-movies, TV programs, music, books and computer software”.⁸

As America becomes increasingly a transnational “mélange”, it ratifies anti-exceptionalism.

Summarizing the above-mentioned the best objectives for Georgia at the moment could be: maintain national identity, preserve old good relationship with other ex-Soviet republics and of course, revive tight, friendly ties with ethnic societies, those whatsoever paradoxical it may sound, we were exercising during Soviet times; meanwhile, vigorously follow the globalization process. The U.S may also have nationalistic problems, but this is the best democratic and economically strongest country among others with the best mosaic of multicultural ties, based on a strong judicial system, strictly followed by law-abiding American people. Since Georgia is leading the most intensive dialogue with the U.S today, it should copy and adopt the crucial elements of the U.S judicial system, economic and multicultural experience and try to establish multinational democratic zone in Caucasus.

შენიშვნები და ბამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ Charles T. Vetter, *Citizen Ambassadors*. USA Brigham Young University, 1984. pp. 17-25.
- ² William Petersen, *The Classification of Subnation in Hawaii: An Essay in the Sociology of Knowledge*, *American Sociological Review* 34, 1969, pp. 863-877.
- ³ Milton Gordon, *Assimilation in American Life: The Role of Race, Religion and National Origins*, New York, 1964. *Ethnicity: A Neglected Dimension of American History*, Rudolph J. Vecoli, Chicago, 1970, pp.70-88.
- ⁴ A. Fishman, "Language Loyalty in the United States", the Hague, 1966. p. 20.
- ⁵ Robert A. Gross, "The Transnational Turn; Rediscovering American Studies in a Wider World". *Journal of American Studies*, Cambridge University Press. 2000, pp. 343, 373-393.
- ⁶ Janice Radway, "What's in a Name?" Presidential Address to the American Studies Association, 20 November 1998. *American Quarterly*, 51, (1999). pp. 1-32.
- ⁷ Hector St. Jean Crevecoeur, "Letters from an American Farmer and Sketches of Eighteenth-century America". England and New York: Penguin, 1981, p. 69.
- ⁸ Frederick Buell, "Nationalist Post nationalism: Globalist Discourse in Contemporary American culture", *American Quarterly*, 50, 1998, p. 548.

თამარ შიოშვილი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

რატომ მოგხწონს ამერიკა?

ჩვენ ხშირად გვესმის სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ხალხების მიერ დასმული კითხვა: რატომ აქვთ ამერიკელებს მწირი ინფორმაცია ჩვენზე და ჩვენს კულტურაზე, ხალხზე, პოლიტიკაზე, მთავრობაზე? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ამერიკელები არ არიან დაინტერესებული სხვა ხალხების ცხოვრებით? ეს კითხვა ხშირად ისმოდა 2001 წლის 9 სექტემბრის მოვლენებამდე. ამ მოვლენების შემდეგ კი ამერიკელებმა "იზოლაციაში" უკანა პლანზე გადასწიეს და დაიწყეს აქტიური ორმხრივი ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან. ეს გეგანტური სახელმწიფო აღარ არის იზოლირებული ჩვენ ვხედავთ სწრაფი ტემპებით გავრცელებული გლობალიზაციის მრავალმხრივი ელემენტების განვითარების მაგალითებს სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის უმაღლესი განათლების სფეროშიც. თუ წინათ საქართველოდან ერთი პროფესორი ხვდებოდა აშშ-ში ფულბრაიტის პროგრამით, ახლა ეს რიცხვი ექვსამდე გაიზარდა. "ინტერნაციონალიზაცია" გახდა უმაღლესი განათლების ძირითადი მიმართულება მთელს მსოფლიოში. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკანისტიკის

სტუდენტებს სურთ, შეისწავლონ და მეტი ინფორმაცია მიიღონ ამერიკული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე, დაწყებული საზოგადოებით და კულტურით, დამთავრებული ეკონომიკით და საგარეო პოლიტიკით. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამერიკანისტიკის განყოფილების სტუდენტებს შორის ამერიკაში მცხოვრები სხვადასხვა კულტურის მატარებელი ეთნიკური ჯგუფების საკითხების შესწავლა, ვინაიდან ეთნიკურობის პრობლემები დღეს ასე მწვავედ დაუდგა საქართველოს.

გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ შსსუ ამერიკანისტიკის განყოფილების სტუდენტების აზრით, ამერიკის ეთნიკური საზოგადოების მთავარი დამახასიათებელი ნიშან-თვისება კონსოლიდაცია და ამ უცხოური სემინტების კარგად შერწყმა და შესისხლხორცება ერთიან, ახალ, ზესახელმწიფოს ცხოვრების რიტმში. ეთნიკური სხვადასხვაობა წარმოშობს სხვაობას. ეს არის ის საწვავი, რომელიც დღევანდელ ამერიკას მართავს მთელს მსოფლიოში, ამერიკას, რომელიც ყოველდღიურად იცვლება და აქრობს მანძილებს ქვეყნებს შორის ახალი ტექნოლოგიური ინოვაციების მეშვეობით.

დღევანდელი საქართველოსთვის კი, ჩვენის აზრით, აუცილებელია დაიცვას ეროვნული იდენტურობა; შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობები ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან და აღადგინოს მეგობრული ურთიერთობები კონფლიქტის ზონაში მყოფ ეთნიკურ ჯგუფებთან; ამაღდროულად ენერგიულად ჩაებას გლობალიზაციის პროცესში.

გაბატა ჩხეიძე

ლოქტორი. პროფესორი.

დამოუკიდებელი ექსპერტი

შთაბამოვით დემოკრატიას (ლოქ. ბია ნოდისა და ლოქ. სტივენ უნაბის პოლემიკა დემოკრატიის საკითხებზე)

სათაური უკვე დაწერილი მქონდა ქალაქის ფურცელზე, რომ წუთით შევჩერდი და დაფიქრდი, ეგებ „ვეგემავთ დემოკრატიას“ სჯობდეს, რადგან იდეა თუ იდეოლოგია „დემოკრატიის გავრცელებისა“, ბუნდოვნად მომავონებს საბჭოური ეკონომიკის „ვეგემიურ სისტემას“ თავისი მგზნებარებითა და იდეოლოგიური მძვინვარებით. ასეთი იყო განწყობა ერთი პოლიტოლოგისა, „ფოქს ნიუს“ არხზე რომ მოვუსმინე ამას წინათ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ამერიკა დაეხმარა დემოკრატიულ რევოლუციებს უკრაინასა და საქართველოში და რომ ისინი კვლავაც დაეხმარებიან დემოკრატიულ რევოლუციებს სხვა ქვეყნებში. არ მახსოვს იმ ექსპერტის სახელი, თუმცა ასეთები უამრავია.

ამერიკის შეერთებულ შტატებს დემოკრატიის უმდიდრესი ტრადიცია აქვს, ეგებ უფრო დიდიც, თუმცა ნაკლებად ხანგრძლივი, ვიდრე დიდ ბრიტანეთს. ეს არის ცოცხალი ტრადიცია, წარსულით, აწმყოთი და მომავლით; მას ჰყავს შემოქმედი მამები და მემკვიდრენი - შემნახველნი და მატარებელნი ამ ღირებული ტრადიციისა. საბჭოთა კავშირის დარღვევისა და ე.წ. „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ პრინციპის მარცხის შემდეგ, დაიწყო ახალი დემოკრატიების დაფუძნება ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში. შეერთებული შტატები, როგორც მთავარი როლის შემსრულებელი ნგრევაში, უმთავრეს შემწედ მოგვევლინა დემოკრატიების „დაფუძნებისა“ და „მშენებლობისა“.

ამ კონტექსტში, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, დემოკრატიის განვითარების შესაფასებლად, საგულისხმოდ პოლემიკას ვხვდებით პოსტსაბჭოელ პოლიტოლოგ გია ნოდისა და ამერიკელ პოლიტოლოგ სტივენ უნაბის შორის, წიგნში, „ეროვნული სახე, როგორც ცოდნისა და ზნეობის გამოვლინება“.

ნაციონალიზმისა და დემოკრატიის გააზრება

წერილში „ნაციონალიზმისა და დემოკრატიის გააზრება“ პოსტკომუნისტური გამოცდილების შუქზე, გია ნოდია მიზნად ისახავს გაამართლოს ნაციონალიზმი და დაამტკიცოს მისი შესაბამისობა დემოკრატიასთან. გიანოდის წერილი გახლავთ

გამოხმაურება ფრენსის ფუკუიამას ცნობილ ნაშრომზე „ისტორიის დასასრული?“ იგი ზოგადად იზიარებს ფუკუიამას შეხედულებებს, მაგრამ ეკამათება დასავლურ პოლიტიკაში გაბატონებულ იდეას, რომ „დემოკრატია“ ერთია, ხოლო „ნაციონალიზმი“ კი - სხვა. დასაწყისში გია ნოდია გვაწვდის საკუთარ თვალსაზრისს, რაც გაზიარებულია დასავლეთზე რადიკალურად ორიენტირებული მოაზროვნეების მიერ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში; ისინი სიხარულით ეგებებოდნენ და ცდილობდნენ დაუყოვნებლივ დაემკვიდრებინათ დემოკრატიული ცხოვრების წესი ახალ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში.

ძე მაქვს საწინააღმდეგო მოსაზრება: ნაციონალიზმი და დემოკრატია ორი განსხვავებული მოვლენა არ არის, არამედ ერთი და იგივე იდეის ორი მხარეა - ან უფრო ზუსტად, ნაციონალიზმი გახლავთ კომპონენტი უფრო რთული იდეისა, რასაც „ლიბერალური დემოკრატია“ ეწოდება. ნაციონალიზმის იდეა შეუძლებელი და მიუწევდომელია დემოკრატიის იდეის გარეშე და არც არსებობს დემოკრატია ნაციონალიზმის გარეშე.²

ამგვარი მოსაზრებები, როგორც აღვნიშნე, გაზიარებული და დიდად დაფასებული გახლდათ ადრეულ ოთხმოცდაათიან წლებში, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, მაგრამ მაშინ ცოტას თუ ახსოვდა მეორე-არგუმენტი, რაც მოხსენიებულია გია ნოდის წერილში და რამდენჯერმეა გამეორებული ფუკუიამას ნაშრომში: „პირველ ყოვლისა ნაციონალიზმი ერთეული ფენომენი კი არ არის, არამედ მრავალი გახლავთ, რაც ცვალებადობს ზომიერი კულტურული ნოსტალგიიდან მაღალორგანიზებულ და დახვეწილ დოქტრინამდე ნაციონალ-სოციალიზმისა“.³ შემდეგ მოდის ფუკუიამას სკეპტიკური დამოკიდებულება თანამედროვე ნაციონალური მოძრაობებისადმი: „ასოფლიოს ნაციონალური მოძრაობების დიდ უმრავლესობას არ გააჩნია პოლიტიკური პროგრამა, გარდა ნეგატიური სურვილისა დამოუკიდებლობა მოიპოვოს სხვა ადამიანების ჯგუფისაგან და არ გეთავაზობენ გააზრებულ გეგმას სოციალ-ეკონომიკური ორგანიზაციისა“.⁴

ჩემის აზრით, ფრენსის ფუკუიამა სათანადოდ ვერ აფასებს ნაციონალური მოძრაობის მძლავრ სურვილს, დაიცვას თავისი ეროვნული: სახე, რაც კულტურული აღორძინების დასაწყისიდანვე ვლინდება და რასაც გია ნოდია უწოდებს „უფრო ნაციონალურს, ვიდრე კულტურულს“, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, კულტურული აღორძინება არსებობს და ესწრაფვის იპოვოს თავისი თავი არა როგორც განყენებულმა, არამედ როგორც ნიშანდობლივმა ნაწილმა ადამიანის კულტურისა.

მაგრამ ფრენსის ფუკუიამა მართალია, როცა მიანიშნებს ნაციონალიზმის მრავალფეროვნებაზე და ამიტომ, უნდა განვსაზღვროთ, თუ რა სახის ნაციონალიზმია ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში.

უპირველეს ყოვლისა ეს გახლავთ ეროვნული მოძრაობები, რომელთაც აქვთ

როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური ნებაც, ანუ მათი ნება, ერთდროულად ნეგატიურიც არის და პოზიტიურიც: ა) უარი თქვან ღესპოტურ კულტურულ ერთფეროვნებაზე (ნეგატიური); ბ) დაუბრუნდნენ ტრადიციულ კულტურულ მრავალფეროვნებას (პოზიტიური).

მეორე, ეს გახლავთ მოძრაობები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის. ყველა ისწრაფვის დააფუძნოს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო.

მესამე, ზოგიერთი ამ მოძრაობებიდან დაფუძნებულია სახელმწიფოს ძველ ცხოვრებაზე, დამოუკიდებელი ქვეყნის ისტორიაზე, რომელიც მსოფლიო ისტორიის ნაწილი იყო და აღიარებული იყო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ასეთებია, კავკასიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები, სხვები ეყრდნობიან თავის ეთნიკურ თვითმყოფადობას და საბჭოთა კავშირის მიერ ნაბოძებ რესპუბლიკურ საზღვრებს.

ამ ქვეყნებს არ გააჩნიათ უფრო იქტი ამბიცია, ვიდრე თავისი თვითმყოფადობის დაცვა და ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაფუძნება. მაგრამ ზემოთ მოტანილ განსაზღვრებებს ნაციონალ-ბოლშევიზმიც⁵ უნდა დაემატოს; ერთგვარი „ინტერნაციონალურ“ საბჭოთა ნაციონალიზმი, რაც, ეგებ, სინამდვილეში არც იყო გაზიარებული და ღრმად შეთვისებული, მაგრამ სამოცდაათი წელიწადი ნერგავდნენ დამორჩილებულ ხალხებში და შეუძლებელი უყვალოდ დაკარგულიყო. ამის გათვალისწინებით პოსტსაბჭოთა სწავლულებმა უნდა გვაეცნობიეროთ, თუ რას გულისხმობს ფრენსის ფუკუიამა, როცა აცხადებს, ნაციონალიზმი კვლავაც საფრთხეა (ლიბერალიზმისათვის, როგორც ისტორიულად იყო საფრთხე ლიბერალიზმისათვის ა გერმანიაში⁶ და იმამიც უნდა დავეთანხმოთ, რომ „ლენინის დემოკრატიული ცენტრალიზმის არსი იყო ცენტრალიზმი და არა დემოკრატია; ე.ი. აბსოლუტურად მტკიცე, მონოლითური და დისციპლინირებული დიქტატურა; დემოსის სახელით მოლაპარაკე, კომუნისტური პარტიის იერარქიულად ორგანიზებული ავანგარდისა.“⁷ ეს მემკვიდრეობა დარჩათ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს და ისინი (უმრავლესობა) დიდხანს ვერ დაიძვრენ თავს ამ სნეულებისაგან.

ამ საკითხის გამო დავობს გრა ნოდია და დისკუსიის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ნაციონალიზმი ‘a priori’ (ჩინებული უარყოფით გამოვლინებად ადამიანური გამოცდილებისა და ლიბერალიზმი კი - დადებით, პროგრესულ გამოვლინებად.

გრა ნოდია ცდილობს გააანალიზოს სხვადასხვა ტიპის დემოკრატიები და თვით იდეა ლიბერალური დემოკრატისა და განსხვავებას აღმოაჩინოს ამ შეერთებულ იდეაში - ლიბერალიზმი და დემოკრატია - და წინააღმდეგობასაც კი⁸ ხედავს მათ შორის, რაც, როგორც თვითონ ამბობს უმთავრესია მისი თემისათვის.⁹

იგი ხედავს განსხვავებას ახალსა და დაფუძნებულ, გაწონასწორებულ, სტაბილურ დემოკრატიებს შორის და მიიჩნევს, რომ ზოგიერთი სოციალური ძალა, სახელდობრ ნაციონალიზმი, განსხვავებულად მოქმედებს ამ ორ შემთხვევაში.⁹

მესამე განსხვავება გახლავთ „ორიგინალურსა“ და „იმპორტირებულ“ ლიბერალურ დემოკრატიებს შორის.

ამრიგად, ავტორის სურვილია გვაჩვენოს განსხვავება დემოკრატიებს შორის, მაგრამ, სინამდვილეში, ეს „დემოკრატიები“, ფაქტიურად, ერთი და იგივეა.

შემდგომ თავში, „დემოკრატია და ნაციონალიზმი“ გია ნოდია გვაძლევს დემოკრატიის საკუთარ გააზრებას: „დემოკრატიაში“ მე მოვიაზრებ პრინციპს, რომლის მიხედვითაც მთავრობა ლეგიტიმაციას იღებს მხოლოდ მისგან მართული ხალხის ნებით.“¹⁰ იგი ამტკიცებს, რომ „დემოკრატიაში იგულისხმება ღრმად რაციონალური ორგანიზაცია. შემთხვევითი არ არის, რომ ის დაფუძნებული იყო რაციონალისტურ ფილოსოფიურ ტრადიციასზე და ყველაზე უფრო ნათელი გამოხატულება ამ იდეისა სოციალური კონსტიტუციის კონცეფცია გახლავთ.“¹¹

ცხადია, რომ გია ნოდია საუბრობს იმ ტიპის დემოკრატიაზე, როგორც საფრანგეთის რევოლუციამ შესთავაზა მსოფლიოს; „დემოკრატიაში“ იგი გულისხმობს რუსოსტური ტიპის მთავრობას, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ბრიტანული და ამერიკული ტიპის დემოკრატიული ტრადიციისაგან.

ფიქრობ, უნდა მოვიშველიოთ ის განსხვავება, რაც ნამდვილად არსებობს პლემბისციტურსა და კონსტიტუციურ დემოკრატიებს შორის: ეს დაგვეხმარება ჩავწვდეთ პოსტსაბჭოური ქვეყნების „დემოკრატიების“ ნაკლოვანებებს.

პლემბისციტურ დემოკრატიაში იგულისხმება სახელმწიფოები, რომლებიც იმართება მხოლოდ ხალხის ნებით, მოსახლეობის უმრავლესობის სურვილით, ხოლო კონსტიტუციურში - სახელმწიფოები, რომლებიც იმართება კონსტიტუციითა და კანონით.

გია ნოდია აღნიშნავს, რომ „ზოგიერთი სისტემა სპეციფიური წესებისა (კონსტიტუცია და კანონები) შექმნილია ხალხის სახელით, მაგრამ არასად არ ასწენებს კონსტიტუციის უდიდეს მნიშვნელობას და განსხვავებას ორი ტიპის დემოკრატია შორის.

აქ იგი პირველად კარგავს შესაძლებლობას დაახასიათოს პოსტსაბჭოთა დემოკრატიების განსაკუთრებული ტიპი და დემოკრატიული იდეის უნივერსალობისაკენ გადაუხვევს; იგი ფიქრობს, რომ რაკი დემოკრატიის იდეა უნივერსალურია, სახალხო ხელისუფლების პრინციპი უნდა განხორციელდეს მთელს მსოფლიოში.

ამავე დროს, გია ნოდია ცდილობს ერი და „ნაციონალიზმი“ გამოაცხადოს რაციონალურ და უნივერსალურ იდეად და შესაძლებლად მიიჩნევს მათ დაახლოებას დემოკრატიასთან; იგი დემოკრატიას ნაციონალიზმზე დაფუძნებულად მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ დემოკრატიული პოლიტიკა აყალიბებს ერებს მანამდე არსებული ეთნიკური მასალისაგან.

ფიქრობ, მისი მოსაზრებები მეტისმეტადაა განზოგადებული და ამსტრაქტულიც

კია, როცა ცდილობს უნივერსალურად წარმოასახოს ყოველად კონკრეტული მოვლენები.

გია ნოდია საერთო ნიშნებს ლიბერალიზმსა და ნაციონალიზმს შორისაც პოულობს: „საზოგადოება წარმოდგენილია“, როგორც დიდი ოჯახი, საერთო წინაპრისაგან რომ იღებს სათავეს. თუ ერთ რამედ წარმოიდგენს თავის თავს, ის თავის თავს წარმოიდგენს როგორც პიროვნება და თუ ერთ ის არის რაღაც თავს წარმოიდგენს, მაშინ ის პიროვნებაა.“² კაცს შეიძლება სურვილი გაუჩნდეს გაანალიზოს ეს სადავო მიქაზრება, მგრამ ანალიზამდე თავს წამოყოფს ლიბერალიზმისა და ნაციონალიზმის საკითხები და ესედათ, რომ პირველი აბსტრაქტულ იდეას გვთავაზობს და მეორე კი – მრავალფეროვნებასა და კონკრეტულობას და თვით ლიბერალიზმიც განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნების ისტორიებში.

ეროვნული კულტურებისა და რელიგიების აღორძინებაზე საუბრისა და მათი ასპექტების ჩვენებისას პოსტსაბჭოურ ეპოქაში, გია ნოდია გვაწვდის მეტად ნიშანდობლივსა და საკამათო დებულებას: ამრიგად, ნაციონალიზმი გადაიქცევა მთავარ დესტრუქციულ ძალად (დესტრუქციულად კომუნიზმისათვის), აგრეთვე კონსტრუქციულ ძალად (შეაქვს ერთიანობა მსოფლიო უწყესრიგობაში); ნაციონალიზმი გვევლინება მთავარ დაბრკოლებად (ლიბერალური დემოკრატიის ასაშენებლად) და მთავარ იმედად (იგივე მიზნის მიღწევაში).³ საბჭოური მემკვიდრეობის ნაცნობი და გაანალიზებული ნიშნები განგაწყობს დაეთანხმო და გაიზიარო ფიქრები რუსული ნაციონალიზმის შესახებ, მაგრამ როცა ავტორი „პოსტკომუნისტურ“ ქვეყნებს ასხენებს და ნათელს არ ჰფენს კონკრეტულად რომელ ქვეყანას გულისხმობს, მაშინვე ჩნდება კითხვები:

1. განა ყველა პოსტსაბჭოური ქვეყნის შესაძლებლობები და პერსპექტივები ერთნაირია?

2. განა ამ ქვეყნებს ერთნაირად შეუძლიათ დემოკრატიის „უნივერსალური“ მიზნის მიღწევა?

3. განა ისინი ერთსა და იმავე ბილიკს აირჩევენ მიზნამდე მოკლე ან გრძელი გზის ძიებისას?

4. რომელია ის კონკრეტული ქვეყანა, რომელზეც ავტორი უნდა საუბრობდეს?

პირდაპირი და ირიბი პასუხები ამ კითხვებზე შეიძლება ვიპოვოთ დოქტორ სტივენ შნეკის წერილში, „ნაციონალიზმი და დემოკრატიის პრობლემა, პასუხი პროფესორ ნოდისა“.

ნაციონალიზმი და დემოკრატიის პრობლემა

თავის ესეში სტივენ შნეკი თავიდანვე ცხადპყფს, რომ ძალზე ძნელია ნაციონალიზმისა და დემოკრატიის საერთო ნიშნების მიგნება, რადგან

– ნაციონალიზმი და მის მიერ ნაქადაგები მძლავრი საერო სიქველე ძალზე ოლად გადაფარავს ლეგიტიმური დემოკრატიის სამოქალაქო შესაძლებლობებს.¹⁴

თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად, სტივენ შნეკი იმეულიებს დემოკრატიის ორ კონკრეტულ ნიმუშს, ძველ ბერძნულსა და ამერიკულს, განხილულს არისტოტელესა და ჯეიმს მედისონის მიერ.

დემოკრატიის შესახებ არისტოტელესეული კონცეფციის შესახებ მსჯელობისას, სტივენ შნეკი მიუთითებს ამ კონცეფციის მთავარ მიმართულებაზე, რაც ერთგვარი გაფრთხილება გახლავთ, მიმართული დემოკრატიული ქვეყნებისადმი; იგი გვიჩვენებს განსხვავებას „ჭეშმარიტსა“ და „ყალბ“ დემოკრატიებს შორის და გვეუბნება: „ჭეშმარიტი დემოკრატია მუდამ ყალბ დემოკრატიაში გადაზრდის ზღვარზე დგას.“¹⁵

სტივენ შნეკი ნათლად მიანიშნებს, რომ მოქალაქეებმა უნდა აღზარდონ თავისი გულები საზოგადო სიკეთის მისაღწევად. როგორც არისტოტელე ამბობს: „საუკეთესო კანონები, თუნდაც სახელმწიფოს ყველა მოქალაქის მიერ სანქცირებული, ფუჭად დარჩება თუკი ახალგაზრდები ჩვეულებათა და განათლების საშუალებით არ შეითვისებენ კონსტიტუციის დემოკრატიულ სულს, თუ კანონები დემოკრატიულია“, – დიდი ხნის წინათ არისტოტელესაგან ნასწავლი ამ საერო სიქველის შეუთვისებლად, დემოკრატია უსათუოდ გადაიზრდება ყალბ სახეობაში.“¹⁶ ამის შემდგომ სტივენ შნეკი წერს, რომ ყალბი დემოკრატია, რაც არ უნდა იყოს, კლასიკური შესვდულების მიხედვით, პირველი ნაბიჯია რეგრესის მოღიაულ ბილიკზე. ყალბი დემოკრატია, ანუ პირად ინტერესებს გამოდევნებული უმრავლესობის მმართველობა, არისტოტელესთვის, ანარქიად გარდაიქმნება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით; გარდაიქმნება პოლიტიკურ ვაკუუმად, სასწრაფოდ წესრიგს რომ საჭიროებს; ხელისუფლების ვაკუუმი დემოკრატიულ კულტურაში დემაგოგებს აჩენს, დემაგოგები კი ტირანებად გადაიქცევიან. ანადგოვი დემოკრატიის ყოველი რღვევა სწრაფად მიემართება ტირანიისაკენ. დემოკრატიის კლასიკური გააზრება ნათლად გვიჩვენებს, რომ დემოკრატიის დროს საყოველთაო სიკეთეზე ზრუნვისას ამოქმედდება ხოლმე მძლავრი იმპერატივი.“¹⁷

ისტორიასა და პოლიტიკურ გამოცდილებაზე დაფუძნებული ეს სწორი და ღირებული მოსაზრება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ერთსა და იმავე დროს ზოგადიც არის და კონკრეტულიც.

გია ნოდის სტატია 1994 წელს გამოქვეყნდა; დაწერის თარიღი უცნობია, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ცოტა ხნით ადრე დაიწერებოდა და, დარწმუნებული ვარ, ავტორს სტატიის წერისას თვალწინ უნდა სდგომოდა 1991–92 წლის სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების დეტალები. კერძოდ ის, რომ გადატრიალებამდე და მის დროს ლეგიტიმური ხელისუფლების დევიზი იყო „ჯერ დამოუკიდებლობა“! რაც შეეხება ამბოხებულებს, ვეჭვობ, რაიმეგვარად

ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა და პოზიცია ჰქონოდათ, მაგრამ მათი დევიზი გახლდათ, „ჯერ დემოკრატია“!

სურვილის მიუხედავად, ამჯერად არ ვაპირებ გავამართლო ერთი და გავამტყუნო მეორე, მხოლოდ „დემოკრატიულ რევოლუციად“ წოდებულ სახელმწიფო გადატრიალების შედეგებს გავიხსენებ. საქართველოში ჯერ სამხედრო დიქტატურა დამყარდა და შემდეგ შევარდნაძის ავტორიტარული რეჟიმი; ორ წელიწადში საქართველო შევიდა დსთ-ში და ნება დართო რუსეთის სამხედრო ნაწილებს „სამშვიდობო ფუნქცია“ შეესრულებინათ ორ სპარატისტულ რეგიონში. ამრიგად, საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობის ნაწილი და არაფერი მოუგია დემოკრატიის მიმართულეებით.

ცხადია, რომ სტივენ შნეკი სწორად აფასებს საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს, თუმცა ყოველი წერილმანის (თუნდაც ლოზუნგების) შესახებ არ იცის.

სტივენ შნეკის „პასუხი“ განსხვავდება ვია ნოდის სტატიისაგან არა მარტო იმით, რომ ეჭვქვეშ აყენებს ნაციონალიზმისა და დემოკრატიის თანაარსებობას, არამედ თემისადმი დამოკიდებულებითაც. სტივენ შნეკი დემოკრატიის კონკრეტულ ნიმუშებს (ძველ ბერძენულსა და ამერიკულს) განიხილავს და პირველად ახსენებს ქვეყანას, რომელიც ვია ნოდის უნდა ეხსენებინა, მაგრამ გამოტოვა, რადგან უნივერსალური შეფასებებისაკენ ისწრაფვოდა: „პოლიტიკაში“, არისტოტელე ცდილობს დეტალურად აღწეროს თავისი დროის ხალხთა ეროვნული ხასიათები. ბალკანეთის ევროპელებსა [და ქართველებს] გვიხასიათებს ცხელთავიან და ამაყ ერებად, სპარსელებს - დამჯერებად და მორჩილად, ფინიკიელებს - უნდო და თავკერძა, ხოლო ეგვიპტელებს - ფლეგმატურ და მგზნებარებას მოკლებულ ხალხებად. კრეტელებს ძუნწებად გვიხასიათებს. კონსტიტუციები, მისი აზრით, ამ ეროვნულ ხასიათებს უნდა „შექამოს“. ზოგიერთი ერი, მაგალითად სპარსელები, როგორც ზომის, ასევე ტემპერამენტის გათვალისწინებით, კარგად ეწყობიან მონარქიას. სხვები [აქ არისტოტელე გარკვევით არ მიგვითითებს] დემოკრატიას უკეთ შეეწყობიან“.⁸

ამგვარი დამოკიდებულების უპირატესობა არისტოტელეს მითითებები კი არ არის - ორი ათას წელზე მეტი ადამიანებს, მათ ხასიათსა და ცხოვრების წესს საფუძვლიანად შეცვლის - არამედ თემის კონკრეტული დამუშავება, კონკრეტული ხალხების განხილვა, კონკრეტული მთავრობების შექამება და, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციისა და არა ხალხის ზოგადი ნების აღიარება.

ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია სტივენ შნეკის შეხედულებების გათვალისწინება ამერიკული გამოცდილებიდან - ფედერალისტებისა და ანტიფედერალისტების კამათი. იგი მიიჩნევს, რომ დასაწყისისათვის მედისონის პოზიცია უფრო დემოკრატიული იყო: „მედისონი და ფედერალისტები მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ

ინდივიდუალურ თავისუფლებას და უფროსოდნენ მჭიდრო თემების სულისშემხუთველ ყოფას. ამ მიზეზით, ანტიფედერალისტები ესწრაფვოდნენ შიდა დემოკრატიას, მოქალაქეთა გრძობა-გონების აღზრდას სამოქალაქო სიკვდილით, ხოლო ფედერალისტები ესწრაფვოდნენ გარეგან დემოკრატიას, ცენტრალური ხელისუფლების ძალით, მოქალაქეთა ანარქიული და ტირანული უკიდურესობების შეზღუდვას.¹⁹ ამის საწინააღმდეგოდ ანტიფედერალისტები ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერებას მოითხოვდნენ. მათი აზრით, მხოლოდ ადგილობრივ ხელისუფლებას შეეძლო დაეოკებინა მოქალაქეთა თავკერძობა, საყოველთაო სიკეთისათვის ზრუნვა.

სტივენ შნეკი ყურადღებას ამახვილებს ორივე მხარის პატრიოტულ გრძობებზე და შიშზე ახალი, ძლიერამოსილი სახელმწიფოს მზარდი ნაციონალიზმის გამო რომ გაჩნდა. იგი აღნიშნავს, რომ მედისონი უფროსის თემის გაძლიერებასაც და ნაციონალიზმის ზრდასაც და აღნიშნავს: «ენებების მგზნებარე კრიტიკოსს პოლიტიკაში, მედისონს, სწამდა, რომ უსისხლო და რაციონალური ნაციონალიზმი შეიძლება წარმოიშვას ინდივიდუალური ინტერესების თანხედრის შედეგად».²⁰ და იქვე ამბობს, «მედისონზე უფრო მეტად ანტიფედერალისტებს ემინოდათ იმისა, რასაც «უმრავლესობის ტირანიას» ვუწოდებთ».²¹

დასკვნაში სტივენ შნეკი სამ პუნქტს გამოყოფს: «ბრველი, მედისონი აკრიტიკებს საყოველთაო სიკეთესა და სამოქალაქო სიკვდილს დემოკრატიის პრობლემების გადაწყვეტისას. ... მეორე, ნაციონალიზმი, ალბათ, შეუძლებელია საკმარისად სუსტი და უსისხლო გახდეს, რომ შესაბამისი ღირებულებების ჩაგონების მედიუმად გამოდგეს – აქედან, მესამე, ანტიფედერალისტების დაჟინება, რომ დემოკრატიისათვის მცირე თემები უმჯობესია, უფრო ახლოსაა საღ აზრთან. თუმცა მედისონი მართალი იყო, როდესაც შიშობდა, რომ მცირე თემები ინდივიდის ავტონომიურობას მოგუდავს, რაც დემოკრატიის განუყოველი ნაწილიაო, ანტიფედერალისტები მართლები იყვნენ, როცა მიიჩნევდნენ, რომ ერთნაირი სახელმწიფო დაწყვილებული ნაციონალიზმთან, არანაკლებ და უფრო მეტადაც გვემუქება ამგვარი ტირანიით».²²

კონსერვატიული თვალსაზრისი

ჩემის აზრით, აღნიშნული თემის შესახებ კონსერვატიული პოზიცია საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რატომ მაინცაღმანაც კონსერვატიულიო; – იმიტომ, რომ კონსერვატიზმი განდევნილია საქართველოს პოლიტიკური სცენიდან მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული და სოციალ-დემოკრატიული იდეები დღემდე მბრძანებლობს ჩვენს ქვეყანაში, თუმცა დღეს ლიბერალურ-დემოკრატიულს უწოდებენ.

უკვე აღნიშნე, რომ დემოკრატიაზე საუბრისას, გაა ნოდია ყოველთვის ფრანგულ გამოცდილებას, პლებისციტური ტიპის დემოკრატიას გულისხმობს და აცხადებს,

რომ სიტყვა „დემოკრატია“ ყოველთვის უკავშირდებოდა სიტყვებს „კარგი“, „ცივილიზებული“, „პროგრესული“, „რაციონალური“, და ა.შ.

მაგრამ ცნობილია სხვა განმარტებებიც. განვითარებადი ქვეყნებისათვის სამაგალითოდ ყველაზე უფრო პოპულარული და ღირებული ამერიკული პოლიტიკური სისტემაა.

ვერაფერს ვიტყვი „პროგრესულზე“, გააჩნია რა ტიპის პროგრესს ვგულისხმობთ, მაგრამ დემოკრატია და განსაკუთრებით ფრანგული, რევოლუციური ტიპისა, ყოველთვის არ არის მიჩნეული „დადებით“ და „ცივილიზებულ“ მოვლენად. ამას რომ ვამბობ, უპირველეს ყოვლისა ჯონ ადამსსა და ელიგზანდერ ჰამილტონს ვგულისხმობ, ვისაც ამდისონთან და ჯეისთან ერთად, შეერთებული შტატები უმაღლეს კონსტიტუციის მიღებას²³

ჯონ ადამსი, ამერიკის შეერთებული შტატების მეორე პრეზიდენტი, ეს მკაცრი და პირდაპირი, ტანდაბალი მასაჩუსეტსელი ვექილი, მთელი ცხოვრება არაფრად აგდებდა თავის პოპულარობას და აცხადებდა, რომ თავისუფლების მიღწევა და შენარჩუნება შეუძლიათ მხოლოდ გონიერ ადამიანებს, ვინც კაცობრიობას აღიქვამენ ისეთად, როგორც არის და არა ისეთად, როგორც უნდა იყოს“²⁴

თავის წიგნში „კონსერვატიული გონი“ რუსულ კერკი მრავალჯერ იმეორებს, რომ ამერიკული რევოლუცია, სინამდვილეში იყო რეაქცია მეფის ანტიკონსტიტუციური სიახლეების წინააღმდეგ და ამერიკელები იბრძოდნენ თავისუფლებისათვის და არა თავისუფლება, ძმობა, ერთობისათვის“.

„დემოკრატიისა ადამსს ისევე ეშინია, როგორც ხელისუფლების სხვა შეურეველი ფორმისა: ზერ ვიტყვი, რომ დემოკრატია მთლიანობაში უფრო დამღუპველი იყოს, ვიდრე სხვა რომელიმე ფორმა. მისი სიმახინჯე უფრო ხანმოკლეა, სხვებისა - უფრო ხანგრძლივი. ...დემოკრატია უნდა იყოს არსებითი, შემადგენელი ნაწილი ძალაუფლებისა და აკონტროლებდეს მთელ ხელისუფლებას, თუ არა და ზნეობრივი ან სხვა სახის თავისუფლება არ იარსებებს“²⁵ სიტყვები „კონტროლი“, „შეკავება“, „ზნეობა“ ის სიტყვებია, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება ჯონ ადამსისა და მისი მიმდევრების შრომებში, მაგრამ იშვიათად თუ გადავეყრებით უნივერსალური დემოკრატიის გამავრცელებელთა შემოქმედებაში.

არაერთარი დემოკრატია არც არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, პირდაპირ განაცხადა ადამსმა; წერს რასელ კერკი²⁶

და კვლავ: „მას [ელიგზანდერ ჰამილტონს] სძულდა სახალხო და ადგილობრივი მისწრაფებანი და სწამდა, რომ გამათანასწორებელი იდეებისაგან ხსნა მტკიცე ეროვნულ ხელისუფლებაში იყო“²⁷

პლებისციტური დემოკრატიის მქადაგებლები გამუდმებით იმოწმებენ ზალსსა და ხალხის ნებას, როგორც ერთადერთ საფუძველს კანონიერი ხელისუფლებისა. ამ ლოგიკის მიხედვით შეგვიძლია გავამართლოთ ყოველი ამბოხება, რეგულაცია

თუ აურზაური, თუ მასში ხალხის უმრავლესობა მონაწილეობს. მაგრამ არსებობს სხვა თვალსაზრისიც, გამოთქმული ედმუნდ ბერკის მიერ საფრანგეთის რევოლუციის აფეთქებისთანავე და დაპირისპირებული რევოლუციურ სულისკვეთებას: ამიტომ, როცა ადამიანები დაარღვევენ საწყის შეთანხმებას, რაც სახელმწიფოს კორპორატიულ ფორმასა და ძალას ანიჭებს, ისინი აღარ ჩაითვლებიან ხალხად: მათ აღარ გააჩნიათ კორპორატიული არსი; აღარც კანონიერი საფუძველი აქვთ და აღარც საზღვარგარეთიდან აღიარების იმედი უნდა ჰქონდეთ. ისინი დაბნეული, გზადაკარგული ინდივიდები არიან და მეტი არაფერი. მათ ყველაფერი ხელახლა უნდა დაიწყონ. ეჰ! ოდნავ თუ ესმით, თუ რაოდენ ქანცისგამწყვეტი სიარული მოუწევთ, სანამ არ ჩამოყალიბდებიან ჯგუფად, რომელსაც ჭეშმარიტი პოლიტიკური სახე გააჩნია”²⁸

ამრიგად, ადამიანთა ყოველ ჯგუფს ვერ ვუწოდებთ ხალხს და საჭიროა ხანგრძლივი სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარება და სიმწიფე, რათა ღირსი გახდნენ, რომ ხალხად იწოდებოდნენ. ედმუნდ ბერკი და ჟან-ჟაკ რუსო ერთსა და იმავე ეპოქაში ცხოვრობდნენ, მაგრამ სხვადასხვა იდეები და პოზიცია ჰქონდათ. რუსო იყო შთამბგონებელი რევოლუციებისა, ხოლო ბერკი ამხელდა იმ ბოროტებას, რაც რევოლუციებს მოჰქონდა; რუსოს ბრალი იყო გავრომის სიკვდილი, ხოლო ბერკი გახლდათ მხსნელი მრავალი ბავშვისა, ვინც რევოლუციის საშიშროებას გადაურჩა. ბერკი დგას ტრადიციული ზნეობის საფუძველზე და რუსო კი სპონტანური ნების წამქეზებელია.

რამდენადაა შესაძლებელი ხალხის თანხმობაზე დაუფიქრებულმა ხელისუფლების რომელიმე ფორმამ შეინარჩუნოს და გაავრცელოს ზნეობრივი ღირებულებები? ჟან-ჟაკ რუსო, ვინც საყოველთაოდაა აღიარებული თანამედროვე დემოკრატიის მამად, პასუხს საყოველთაო ნებაში პოულობს. ეს უკანასკნელი ყოველთვის ზნეობრივად მიჩნეული და ხალხის ნების კანონიერ გამოხატულებად ითვლება. ხელისუფლების ზნეობრიობისათვის საჭიროა შეიქმნას ვითარება, როცა საყოველთაო ნება შეძლებს გამოხატოს თავისი თავი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რუსოს აზრით, საყოველთაო ნება ვერ ითმენს ხალხის კონსტიტუციურ შეზღუდვას და ასე იმიტომ ფიქრობს, რომ ზნეობას შეუზღუდავ სპონტანურობასთან აკავშირებს”²⁹ - წერს კლაეს გ. რინი თავის წიგნში „დემოკრატია და ეთიკური ცხოვრება“.

მაგრამ თუ ზნეობაში ვიგულისხმებთ ეთიკურ ცხოვრებას თავისუფალი, რელიგიური და მორწმუნე ხალხისა, ვისი თავისუფლებაც დაფუძნებულია კონსტიტუციურ შეზღუდვებზე, ტრადიციულ კულტურაზე, ადათ-წესებსა. და კერძო საკუთრებაზე; და თუ შევეცდებით ამგვარი ხალხი პოსტსაბჭოურ ქვეყნებში დავძებნოთ, მეტად გაკვივრდება; მასები, რომელთა შორისაც რუსოისტური დემოკრატია იწერება, გახლავთ გაღატაკებული, შეშინებული, ძალით გაუღმერთოებული, ათწლეულთა მანძილზე დათრგუნული, კომუნისტური

ინტერნაციონალიზმითა და ნაციონალ-ბოლშევიზმით ტენგამორეცხილ ადამიანთა ჯგუფები. მათ შეძლეს შეენარჩუნებინათ ეროვნული სიამაყის ნაპერწკალი, თავი აეწიათ და თავისუფლება მოეთხოვათ, მაგრამ ვერ შეძლეს, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, შეეთვისებინათ საესებით განსხვავებული ცხოვრების წესი. მანამდე სანამ უცხოური გამოცდილების შეთვისებას შეძლებენ, უნდა აღიდგინონ თავისი ისტორიული ცხოვრების წესი, ტრადიციები და ადათ-წესები. რუსოისტური იდეები მოხერხებული იარაღია დემაგოგთა ხელში, ვინც „ხალხის ნების“ წაღმა-უკუღმა გამოყენებით პოლიტიკური ძალაუფლებისათვის იბრძვიან.

ახალი სახელმწიფოებისათვის უკეთესია კონსტიტუციური დემოკრატიის გზა. კლავს გ. რინი მიიჩნევს, რომ „...დემოკრატიის იდეა, განხილული როგორც ადამიანური შესაძლებლობების რეალისტური მდგომარეობა, იმავე დროს კონსტიტუციური დემოკრატიის იდეაც გახლავთ, ეს კი ნიშნავს, რომ სახალხო მმართველობა ძნელად შესაცვლელი კანონებით უნდა შევზღუდოთ, რადგან ადამიანი ზნეობრივად არასრულყოფილია“.³⁰ და უფრო მეტიც: „დემოკრატიის დროს, კონსტიტუციური შეზღუდვები შეიძლება განვიხილოთ, როგორც აკრძალვები, რასაც ხალხი და მისი წარმომადგენლები საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართავენ... კონსტიტუციური დემოკრატიის იდეა, დაპირისპირებული პლებისციტური დემოკრატიის რუსოისტურ გააზრებასთან, შეიძლება განვიხილოთ აღიარებად თვით ხალხის მიერ, რომ საჭიროა დავიცვათ საკუთარი თავი საკუთარი პოლიტიკური სპონტანურობისაგან“.³¹

სპონტანურობა ზედგამოჭრილი სიუყვავა, როცა საქართველოსა და ზოგიერთ პოსტსაბჭოურ ქვეყანაზე ვსაუბრობთ. პოლიტიკური არასტაბილურობა სპონტანური საშინაო და საგარეო პოლიტიკის ბრალის; სპონტანურობა მოჩანს რადიკალურ „ინოვაციურ“ პოლიტიკაში. „ინოვაციები“ თითქმის ყოველთვის დაშორებულია ხალხის რეალური საჭიროებიდან და წინააღმდეგობაშია ძველი და ღრმად ტრადიციული ქვეყნის პოლიტიკური ტრადიციისა და გამოცდილებისაგან.

დასკვნა

საქართველოს ისტორიაში იყო კონკრეტული ეტაპები, როცა ცდილობდნენ სახელმწიფოს საფუძვლების ჩაყრას, მაგრამ დაბრკოლება ამ გზაზე ხშირად ის გახლდათ, რომ არჩევა გეიხდებოდა მეტად წინააღმდეგობრივ სახელმწიფო სისტემებსა და ორიენტაციურს შორის - სპარსულ, ბიზანტიურ, არაბულ, ოტომანთა, მონღოლთა თუ რუსთა.

საქართველო კვლავ გზაჯვარედინზეა. მან უნდა აირჩიოს ერთ-ერთი პლებისციტურსა და კონსტიტუციურ დემოკრატიებს შორის. პირველი

რევოლუციებსა და სპონტანურ ცვლილებებს გვთავაზობს, მეორეს ხანგრძლივი შრომა, მოთმინება და მოქალაქეობრივი სიქველე სჭირდება. საქართველომ სწორი გზა უნდა აირჩიოს. ჩემის აზრით, სწორი გზა ქართულ ტრადიციებსა და ადათ-წესებსზე, მართლმადიდებლურ რელიგიაზე დაყრდნობილი კონსტიტუციის შექმნასა და ქვეყანაში კონსტიტუციური დემოკრატიის დაფუძნება-განმტკიცებაზე გადის.

ბამოყენებული ლიტერატურა და შენიშვნები:

- ¹ გაა ნოდია, ანაციონალიზმისა და დემოკრატიის გააზრება პოსტკომუნისტური გამოცდილების შუქზე", *ეროვნული თვითმყოფადობა, როგორც ცოდნისა და ზნეობის გამოვლინება, ქართული ფილოსოფიური შრომები, I, პაიდეია პრეს და ფილოსოფიის, ლირებულელებისა და კვლევის საბჭო, 1994.*
- ² Ibid, გვ. 40.
- ³ იდეალები და იდეოლოგიები, საკითხავი, ჰარპერ კოლინზ ფაბლიშერს ინქ. 1995, გვ. 458.
- ⁴ Ibid, გვ. 458.
- ⁵ პიტერ ვიერეკი, "მიბრუნება კონსერვატიზმთან" - *თრანსექშენ ფაბლიშერს 2005, ნიუ ბრუნსუიკ, ნიუ ჯერსი, გვ. 171.*
- ⁶ იდეალები და იდეოლოგიები, გვ. 458.
- ⁷ Ibid, 457.
- ⁸ გაა ნოდია, Op. cit., გვ. 41.
- ⁹ Ibid, გვ. 41.
- ¹⁰ Ibid, გვ. 42.
- ¹¹ Ibid, გვ. 41.
- ¹² Ibid, გვ. 49.
- ¹³ Ibid, გვ. 59.
- ¹⁴ სტივენ შნეკი, ანაციონალიზმი და დემოკრატიის პრობლემა, პასუხი პროფესორ ნოდიას", *ეროვნული თვითმყოფადობა...*, გვ. 147.
- ¹⁵ Ibid, გვ. 148.
- ¹⁶ Ibid, გვ. 149.
- ¹⁷ Ibid, გვ. 149.
- ¹⁸ Ibid, გვ. 152.
- ¹⁹ Ibid, გვ. 150.
- ²⁰ Ibid, გვ. 152.
- ²¹ Ibid, გვ. 153.
- ²² Ibid, გვ. 155.
- ²³ რასელ კერკი, "კონსერვატული გონი", *რეგნი ფაბლიშინგ ინქ. ვაშინგტონ დს. 2001, გვ. 75-76.*
- ²⁴ Ibid, გვ. 71.
- ²⁵ Ibid, გვ. 108.

²⁶ Ibid, გვ. 75.

²⁷ Ibid, გვ. 75.

²⁸ ედმუნდ ბერკი, "ვინ ლაპარაკობს ხალხის სახელით?" კონსერვატიული საკითხავი, გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო რასკლ კერკმა. ვიკინგ პრესი, ნიუ იორკი, 1982, გვ. 41

²⁹ კლაუს გ. რინი, "დემოკრატია და ეთიკური ცხოვრება", კეთილი უნივერსითი პრესს, ვაშინგტონ დ.ს., 1990, გვ. 13.

³⁰ Ibid, გვ. 14.

³¹ Ibid, გვ. 15.

PAATA CHKHEIDZE

Doctor, Professor. Independent Expert

SUMMARY

WE ARE PLAYING DEMOCRACY (POLEMICS OF DR. GIA NODIA AND DR. STEVEN SHNACK ABOUT DEMOCRACY)

The United States of America has one of the greatest traditions of democracy; may be even greater, though not longer, than Great Britain. This is a live tradition, with its past, present and future. It has fathers, men who created it and sons, men who are caring for, preserving and are actual bearers of this valuable tradition.

After the collapse of Soviet Union, destruction of the principles of so called "Democratic Centralism", the will to found new democracies emerged in post Soviet countries. The USA as the main actor of the destruction was and is the major supporter of these foundations or buildings of new democracies.

In this context, in order to evaluate the development of democracy in post Soviet countries for last fifteen years, there is very interesting polemics between post Soviet scholar Dr. Ghia Nodia and American scholar Dr. Stephen Schneck, in the volume, *National Identity as an Issue of Knowledge and Morality*.

There were several moments in the history of Georgia, when the efforts were made to begin the foundations of State, but the obstacles and confusions on that way was the permanent problem to make choice between very controversial systems of State - Persian, Byzantine, Arabic, Ottoman, Mongolian, and Russian.

Georgia is on crossroads once more. It has to make a choice between Constitutional and Plebiscitarian types of democracy, that is, the American and Russian types of democracy. The former demands long time, patience and training the citizenry, the latter offers spontaneous changes and revolutions. Georgia has to make a right choice. There is an urgent need of creating a new Constitution, based on old Georgian legal Traditions and found and care for the State, with the Plebiscitarian type of democracy.

მარტოობისა და განწირულობის მისტიკური-ალემორიული განცდა კენ-კიზისა და ჭოლა ლომთათიძის ნაწარმოებებში

საუკუნეები მიდის, კაცობრიობა სულიერი სრულყოფისა და სრულქმნის მწვერვალებს ეუფლება. ადამიანის შემეცნება, მისი გრძნობა-ემოციები და ესთეტიკური თვალთახედვა (ხვეწება, თითქოს მისი ღვთიური ემანაცია ხდება, მაგრამ იტანჯება მარტოობისა და განწირულობის უსაშველო სენით და ეს არ არის მხოლოდ ცალკეული ერებისა და ხალხების მახასიათებელი - ესაა მსოფლიოს საყოველთაო ტკივილი და მარადიული საგოდებელი. მარტოობისა და განწირულობის განცდა მშვიდი მგელივით მოსდევს კაცობრიობას და უმწეობის, უსაშველოობის ლაბირინთებში მიერეკება. ლიტერატურა და ხელოვნება ზოგადად იმედი და საყრდენია ადამიანებისა, რომელიც უმსუბუქებს და ზოგჯერ უქარვებს კიდევ მათ მარტოობისა და მიუსაფრობის ტვირთსა და სევდას. ნ. კაკაბაძე მიუთითებს: „ხელოვანი კაცი, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ინტუიციით გამოირჩევა და ამიტომ ცხოვრების ახალი იდეალის დანახვისა და ძველის კრიტიკული მხილების და უარყოფის მხრივ, ანუ ისტორიის ქმნის მხრივ უკან კი არ მოსდევს სხვებს, არამედ წინ მიუძღვის. აქედან - ხელოვნების ნაწარმოები ცხოვრების ახალი იდეალის დანახვისა და ძველის კრიტიკული გადალახვის, ანუ ისტორიის ქმნის თავდაპირველი აქტია და არა უკვე შესრულებულის უბრალო განმეორება“. ამდენად, ლიტერატურა, და საერთოდ ხელოვნება, ერთგვარი ხილია ადამიანსა და ცხოვრებას შორის, დამხმარე - ადამიანის „ცხოვრების სარკეში“ ჩახედვისა. იგი არა მარტო საკუთარ სულში ჩახედვის უნარს უვითარებს, ცხოვრებასთანაც აახლოებს და ყველაფრის შემეცნებაში ესმარება ადამიანს, რადგანაც თავისთავად დიდი ხელოვანის შექმნილი ტილო თუ ძეგლი გაჯერებულია როგორც ინდივიდუალური განცდებით, ისე ცხოვრების უღრანებსა და ლაბირინთებში წვდომის ინტუიტიური ცოდნითაც, სწორედ ამიტომ შემხთვევითობის ფაქტორი არ ეომინირებს, როდესაც კენ-კიზისა და ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებას ერთ ჭრილში წარმოვადგენთ და იმ საყოველთაო განცდების ფონზე წარმოვსახეთ, რასაც მარტოობისა და განწირულობის მისტიკურ-ალემორიული ფორმა ეძლევა.

სამყარო, მართალია, გეოგრაფიულად ვრცელი და უსაზღვროა, მაგრამ ადამიანურ განცდათა რაკურსი მანც ერთ პრიზმაში გადატყდება და ხელოვან

ადამიანებს ყოველთვის გამოეძებნებათ საერთო შტრიხები, თუმცა არსებითი და კონკრეტული პრობლემების თანახმდომა, როგორც ეს კენ კიზისა და ჭოლა ლომათათიძის შემთხვევაში შეიძლება წარმოვადგინოთ, იშვიათ შემთხვევაში ფიქსირდება. დავიწყით იმით, რომ ამერიკელი მწერლის კენ-კიზის რომანი - "ვიღაცამ გუგულის ბუდე გადაუფრინა" - შეიძლება დოკუმენტურ ნაწარმოებადც ჩაითვალოს. რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის მსგავსად იგი წარმოშობით ინდიელია, ოცდახუთი წლის ასაკში იგი საარსებო სახსრების მოპოვების მიზნით საკუთარი სურვილით მოთავსდა ფსიქიატრიულ კლინიკაში, სადაც ახალ ფსიქომიმეტურ საშუალებას აწარმოებდნენ და საკუთარ თავზე იწვინა მეოცე საუკუნის ამ საშუალების "ყოვლისშემძლეობა". სწორედ ეს გარემოება ანიჭებს მის თხრობას ესოდენ დიდ ზემოქმედებით ძალას.²

ახლა ისიც გავითვალისწინოთ, თუ რატომ აქვს ასე დიდი ზემოქმედებითი ძალა ჭოლა ლომათათიძის ნაწარმოებებს: "1912 წელს ამდენ მწერალი სხვადასხვა დროს სასჯელს იხდიდა პეტერბურგის, სევასტოპოლის, ბათუმის, ახალციხის, თბილისისა და რუსეთის იმპერიის სხვა სატყუარლოებში.

1914 წელს, პატიმრობის ვადის გასვლის შემდგომ, ჭ. ლომათათიძე ციხიდან ფორმალურად კი გაათავისუფლეს, მაგრამ თავისუფალი ცხოვრების უფლება შეუზღუდეს, სამშობლოში ჩამოსვლის ნება არ მისცეს და ასტრახანის დაფრდომილთა თავშესაფარში გაამწყესეს. ამ დროისათვის იგი იმდენად მძიმე ავადმყოფი იყო, რომ როგორც თავადვე წერს, "შვიდი დღის განმავლობაში დღეში სამჯერ დიოდა სისხლი პირიდან", ამას ემატებოდა ის აუტანელი საყოფაცხოვრებო პირობები, თავშესაფარში რომ სუფევდა. ამისდა მიუხედავად, იქვე, ისევე როგორც ციხეში, ჭოლა სულით მანაც არ დაცემულა და ინტენსიურ ზემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა. უპატრონოდ, უწამლოდ, უექიმოდ მწერალი მანაც პოულობდა შინაგან ძალას თავი მოეყარა მისი ნაწერებისათვის და სათანადოდ დაემუშავებინა ისინი იმის რწმენით, რომ ოდესმე დაბეჭდვაც გახდებოდა "ესაძლეველი".³

მონაკვეთი ორივე მწერლის ბიოგრაფიიდან ნათელიყოფს ფაქტს, რომ სახელმწიფო და მისი სტრუქტურები ვერ უზრუნველყოფენ ადამიანს ის არსებობის მინიმალურ შესაძლებლობებს. "უდანაშაულო დამნაშავეთა" წინაშე უსიყრის ტყე თუ გაუგალი კედელი აღიმართა. ერთ შემთხვევაში, ინდიელი ბრძოლმდენის წარმოდგენაში ცივილიზებული სამყარო "კომპინატის" ფორმითაა ასოცირებული. სწორედ ეს "კომპინატია" ყველაფერში დამნაშავე. მის შესვეურებს არ შეუძლიათ დაუშვან, რომ ვინმე - დიდი დადიოდეს ამ ქვეყანაზე, - ამბობს ბროკლინი. ისინი ყოველნაირად ცდილობენ მშობლიური მიწიდან გააძევონ თავისუფალ ინდიელთა ტომი და ეს მიწა თავიანთი შემოსავლის ახალ წყაროდ აქციონ. ინდიელთა თავისუფლებისმოყვარე სულის ჩახშობას ცდილობენ სწორედ მთავრობის ნაძირალები და ვერაფერსაც ვერ გახდები. ერთადერთი რაც შეიძლება გააკეთო

- მთელი ამ მეურნეობის აფეთქებაა, ყველაფერი უნდა ააფეთქო". ასეთ დასკვნამდე მიღის ძირძველი ამერიკელი, რომელიც ამ მთავრობამ ორმეტრიან საგველ მანქანად აქცია. „კომბინატი“, ანუ ფსიქიატრიული საავადმყოფო, მედლა გნუსენის ფენომენით მჭიდროდ უზშობს კარებს ავადმყოფებს - სიხარულისა და დამოუკიდებლობის სხივისა რომ არ შემოანათოს ამ პირქუშ კედლებში; ისევე როგორც ჭოლა ლომთაიძის ნაწარმოებებში ასახულ ცინიკებშიც დახშულია კარები, მის მიღმა კი მარტოობისა და მიუსაფრობის გრიგალი ამსხვრევს და ანადგურებს ადამიანთა აუღს. როგორაც არ უნდა ეცადო, გისოსებს მიღმა არვინ შეგახედებს. იქ მზისა და სიხარულის სხივს არვინ შეგატანინებს. არადა ოს განწყობილება, რომელიც ადამიანს ონტოლოგიურ საფუძველს უნათებს (ონტოლოგიური საფუძველი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ღირებულებათა საფუძველი), რინტლენის მიხედვით, ეს არის სიხარული, სიხარული არის სულის ამაღლებული განწყობილება (ბოლნოვი), არსებობის გამდიდრების გრძნობა, რომელიც საგნობრივადაა წარმართული (ლერში) და ამიტომ განსაზღვრული ონტოლოგიური" საფუძვლის მქონედ ივარაუდება. როგორც ასეთი, სიხარული არ არის მხოლოდ მდგომარეობითი ფენომენი და მდგომარეობითი განწყობილება: მასში გადალახულია წმინდა განწყობილების "ზღურბლი და ხდება ძაფსეობისა და სიკეთის გამოცხადება", რითაც ჩვენ გვეხსნება, როგორც საკუთარი, ისე გარემომცველი სამყაროს სიმყარე და სრულყოფილება: სიხარული ესაა ყოველთვის ახალი დაგეგმვა, გათავისუფლება ტანჯვისა და წვალებისაგან. აქ ხდება დროის დაფიწყება, მიმქროლი დროის გაკვეთა და აგება", დროის მოხსნა, რომელიც შეიძლება გაგებულ იქნეს; როგორც დროულობის უდროო ფორმა".⁴

ქნ კიზის ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი ამ სიხარულის სხივად მოველინება დანარჩენთ. მაკ-მიორფიმ თითქოს წმინდანისებრ იტვირთა დანარჩენთა მიუსაფრობისა და უიმედობის სიმძიმე, და ბედისწერის გამხმარი კლანჭებიდან „კომბინატელთათვის" არააუ რამდენიმე წუთისა თუ საათის სიხარული, რამდენიმე დღის თავისუფლება, ტანჯვისა და წვალებისგან ხსნა მოიტანა. მაკ-მიორფი ერთგვარად თავად არის თავისუფლების სიმბოლო, სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი და მისტიკურ-ალეგორიული ფენომენი. მართალია, ლობიტომოს ოპერაციაში მისი ფიზიკური სხეული სულისა და სისასისგან, სიკეთისაგან დაცალა და ეს ამაღლებულ განცდათაგან დაცლილი სხეული უკვე მისტიკური ზმანებაა სიკვდილისა, მაგრამ ისიც ხომ კარგად ვიცით, რომ სხეული კაცთა ისედაც მოკვდავია და მხოლოდ სული ჰგეებს სამარადისოდ... მაკ-მიორფის გარდაცვალებასთან ერთად რომ მისი სულიც გამქრალიყო, მაშინ ბრომდენი ვერ გააქცეოდა „კომბინატიდან", იგი ვერ შეძლებდა თავისუფლების იმ ტვირთის აზიდვას, რომლის გადალახვის რწმენა თავად მაკ-მიორფიმ ჩაუნერგა. „კომბინატიდან" გაქცეული ბრომდენი თავად სიხარულისა და თავისუფლების

ნათელია, თავად თავისუფლების სიმბოლოა, სწორედ მთავრობის მიერ ორმეტრიან საგველ მანქანად ქცეული ბრომდენი გარბის ღრაკონების ბუნაგიდან და პ არმონიულ პირველყოფილ სამყაროში ეცდება დაბრუნებას". ეს ერთი შეხედვით მარტივი პროცესი სხვადასხვა ფილოსოფიურ ასპექტში შეიძლება იყოს განხილული, მაგრამ ერთი და უმნიშვნელოვანესი ის არის, რომ თავად თავისუფლების სიყვარული, ლტოლვა თავისუფლებისაკენ, სიხარული და მასწავლებლისა და სიკეთის გამოცხადებაა", თუ სულს სიკეთითა და სინათლით ვერ აივსებ. თავისუფლებასთან მიმასხლოებული ბილიკი დაიწროვდება, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ მაკ-მიორფიმ ორმეტრიანი საგველი მანქანა" ისევე ადამიანად აქცია, სული შთაბერა, რწმენა დაუბრუნა საკუთარი მეობისა და ამიერიდან, მაკ-მიორფის შთავგონებით მოძრაობაში მოყვანილი მისი სული და სხეული თავად ხდება თავისუფლების სიმბოლო. „კომბინატის“ აფეთქების მოსურნე მწერალმა იცის, რომ როგორც მაკ-მიორფის მოჰყავს ადამიანურ მოქმედებაში ბრომდენი, ასე თავად მწერალიც მაკ-მიორფის დარად აღავსებს მკითხველთა სულს, მასწავლებლისა და სიკეთის" სამანთან მიჰყავს იგი და მის მიერ შექმნილი მხატვრული სინამდვილე იძლეოდ ძლიერმოქმედია ადამიანის სულზე - ცხოვრების ყოველ რთულ ასპექტებში, მთლიანად ჩაბნელებულ გარემოში, გამოუვალ სიტუაციაში მისი ნათელი გეგმარება რწმენისა და იმედის აღდგენაში. ლიტერატურა და ხელოვნება რომ ადამიანებზე ძლიერ ზემოქმედი საშუალებაა, ამაზე დაფიქრებაც არ გეჭირდება, მაგრამ ის ფაქტი, რომ მისი სიმბოლური, ალევორიული სახეები ჩვენი ცხოვრების თანამდევნი ხდება, რომ ზოგჯერ ამ მხატვრული სინამდვილიდან ამოსვლაც არ ძალგეიძს, მრავალგზის გვიგრძენია და ვფიქრობთ, რომ არა კენ-კიზი, ჭოლა ლომთათიძე, სტიანიბეკი (ამ შემთხვევაში ამრისხანების მტყენებით) და სხვა მრავალნი, თავისუფლების, სიხარულისა და სიკეთის სავეობის მითს დაასამარებდნენ ღრაკონის ბუდეები", „კომბინატები", ფსიქიატრიული საავამდყოფოები, საყრობილეები და სხვა ათასგვარი სიბნელის, უმეცრების, მიუსაფრობის, უიმედობისა და განწირულობის ბუნაგები, რომლებიც ადამიანთა სულის წნეხს წარმოადგენენ. მართალია, ჭოლა ლომთათიძის პერსონაჟი ჯეირან ვარდოსანიძე ფიზიკურად ნადგურდება „კომბინატის" მიერ, მაგრამ იგი კვლავ ბრძოლის ჟინს გაიყოლებს იმქვეყნადაც: მოკვდება, როგორც შეშენის სიკვდილი დამარცხებულ მეზრძოლს", ისევე როგორც კენ-კიზის მაკ-მიორფი, ჯეირან ვარდოსანიძეც, თითქოს ნებაყოფლობით უყარდება ლომს ხახაში, მაგრამ ერთიცა და მეორეც ადამიანური სრულფასოვნების იდეალს უახლოვდება, მართალია ჯეირან ვარდოსანიძის მისტიკურ-ალევორიული ხილვები ცხოვრების მიუსაფრობითა და გაუტანლობით გულუკახსნილი ადამიანის სულიერი წვა და ღალადისია, მაგრამ თუნდაც ის ფაქტი, რომ თავად უკვე სიკვდილმისჯილი და უიმედო - საათს სხვას უსახსოვრებს. ეს მიგვანიშნებს, რომ ჯეირან ვარდოსანიძის მოძრაი და დაუდგრომელი სულიც ამ საათშია გარდასული და მისი ამაყი და

უდრეკი გულის ნაცვლად ამიერიდან მისი საათი იმუშავებს და იწიკწიკებს, და ეს საათი კი დროის მარადიულობის შეგრძნებას ქმნის და საბოლოო დასკვნა ასეთი გვირგნობა ორივე მწერლის შემოქმედებაზე, რომ მათ შექმნეს მარადისობის ტრაგიკული ჰიმნი და ამ ტრაგიკულ ფონზე - რწმენისა და იმედის სანთელიც ააციმციმეს.

საერთოდ მწერლის მიერ შექმნილი და წარმოსახული სამყარო ხომ ახალი მხატვრული სინამდვილეა - რეალურ, მატერიალურ ყოფაზეც ძლიერმოქმედი, რადგანაც მხატვრულ სინამდვილეში კონდესირებულია რეალობის ის შტრისები, რომელიც გრძნობად-ემოციური თვალთახედვით აღიქმება და ამასთან ერთად ყოფიერების ყველაზე შთამბეჭდავ და საინტერესო ფონს ქმნის, თითქოს არსებითითა და არაარსებითით შეჯერებული სინამდვილე მხატვრული წარმოსახვის წნეხში მოექცა, მისგან არსებითი, ონტოლოგიურად ღირებული და ადამიანის სულზე შემოქმედი, მისი არსებობის შემაცნობელი იდეალური ხატი შექმნეს. მწერალი ხომ ოქროსმადიებელს ჩამოვაგას, მთელი მისი არსება ყოველ ჟამს მობილიზებულია, რათა ბუნებასა და სამყაროში, თავად ადამიანში, ცხოვრების რთულ თუ მარტივ სიტუაციებში მარცვალ-მარცვალ ამოკრიბოს ოქრო და ძვირადღირებული მხატვრული სახეები, განცდები, ესთეტიკურ-ალეგორიული პრობლემები, რათა შემდეგ შემოქმედის ემბაზში განწმენდილი და გასხვივონებული დაუბრუნოს მკითხველს, ადამიანს.

და ეს ყოველივე რისთვის?

- იმისთვის, რომ რწმენას, იმედს, სიხარულსა და სინათლეს აზიაროს მკითხველის სული. თითქოს ყველა მწერალმა და შემოქმედმა ისე, როგორც მაკ-მიორფიმ იცის: უნდა იცინო იმაზე, რაც გაწუხებს, თორემ სამყარო ჭკუიდან შეგშლის. მან იცის, რომ ცხოვრებას დიდი სატანჯველი ახლავს: იცის, რომ მე თითო მტკივა, რომ მის გოგოს ძუძუ აქვს გაგლეჯილი, რომ ექიმმა სათვალეები დაკარგა - მაგრამ ტკივილს კომედიის დაზრდილების ნებას არ აძლევს, ისევე, როგორც კომედიას არა რთავს ნებას ტკივილი გადაფაროს." ვფიქრობთ, მაკ-მიორფი ცხოვრების ხელოვნებას დაუფლებული, მისი გამომბრძმედილი მესაჭეა. სხვათა მსხნელი და გამამხნეველები... იშვიათად, მაგრამ მაინც ხომ ჩდნებიან მსგავსი სულის ადამიანები, სხვათათვის სინათლისა და სიხარულის მადიებელნი, მუდამ მზითა და სიყვარულით დამუხტულნი, ადამიანთმცოდნენი და ადამიანთა მოყვარულნი, სწორედ სიცოცხლისა და ცხოვრების უსაზღვრო სიყვარულის გამოცხადებაა კენ-კიზის მაკ-მიორფის სიცილი და ჭოლა ლომთათიძის ჯეირან ვარდოსანიძის გოდების ცრემლი თუ ღიმილი, ანუ ალეგორიული სიმბოლოებია ადამიანისა და ადამიანობის არსში წედომისათვის. ორივე მწერლის ასახვის საყრდენი და ცხოვრების მხატვრულად გამახმოვანებელი ადამიანის სიხარული და მწუხარებაა, ეს ორი სიმბოლო, მათი არსებობის შემაცნობელი - ზოგჯერ

ჰიპერბოლურად ესეთქება არსებობის მიჯნას - მაგალითად, მაკ-შიორფის ჰომერული ხარხარი - ზოგჯერ მისტიკურ ზღვრამდეც აღწევს, ხოლო ჯეირან ვარდოსანიძის გულსაკლავი გოდება ჯურღმულთა სიბნელესაც განკვეთს და საბოლოოდ გვრჩება უდიდესი და უმდიდრესი შეგონება - ადამიანი ადამიანია, არა აქვს მნიშვნელობა სად დაიბადება იგი, როგორ ბედს არგუნებს არსთავმრიგე - თუ კენ-კიზისეული „კომბინატი“, ან ღრაკონის ბუდე“, - თუნდაც ფსიქიატრიული საავამდყოფოს პაციენტი, თუნდაც საპრობილეში გამომწყველელი ეული პატიმარი იყოს, იგი მინც ერთადერთი და განუმეორებელია - როგორც ნ. ლორთქიფანიძე აღნიშნავდა. ადამიანის, მისი ერთადერთობისა და განუმეორებლობის, გამორჩეულობის ჰიპნი მარადეჟმს ლიტერატურა და ხელოვნებაა. თითოეული პერსონაჟი, რომელიც მკითხველზე ზეგავლენას ახდენს და მის წარმოსახვაშიც იმკვიდრებს, ადგილს სიმბოლოა ზოგადად ადამიანობისა და ადამიანურის. მაკ-შიორფისა და ჯეირან ვარდოსანიძის მხატვრული სახეები არღვევს იმ ჯეგირებს, რასაც ვიწრონაციონალური ხედვა და ორიენტირი განაპირობებს, ისინი ზოგადად ადამიანურ სფეროს უახლოვდებიან თავიანთი მარადიული ტკივილითა და მარადიულ სავადებელით, თუმცა როგორც უკვე მივუთითეთ, თავად კენ-კიზი და ჭოლა ლომთათიძეც, თავისი ბიოგრაფიებით მარადიული ტანჯვა-ვაებითა და გრძნობა-განცდებით აღსაყსენი, ალგორიული სახეებია თავიანთი ნაწარმოებების სახე-სიმბოლოებისა. ერთიც უნდა აღვნიშნოთ, რომ არა ის უსაშველო პიროვნული ტკივილი, რომ არა სიღრმისეული წვდომა, ყოფნა-არყოფნის მიჯნისა, ვერცერთი მათგანი დიდი მწერალი ვერ გახდებოდა და მკითხველზეც ასეთი ზეგავლენა არ ექნებოდათ. მწერლის ინდივიდუალური ცხოვრების გზა ყოველთვის მყარი ნიდაგია მხატვრული სინამდვილის გასამრავალფეროვნებლად და, ამ მხრივ, კენ-კიზიცა და ჭოლა ლომთათიძეც თავიანთი ტანჯვა-მწუხარებით რეალობისაგან ფრიად დავალბულნი ბრძანდებიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ¹ ზ. კაკაბაძე, ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება, 1979, გვ. 202.
- ² ი. მჭედლიძე, „კენ კიზი, ვიდაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“, თბილისი, 1992, გვ. 52, გვ. 4.
- ³ ა. ნიკოლეიშვილი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ქუთაისი, III, 2000, გვ. 129.
- ⁴ „განწირულობის ფილოსოფია“, მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1979, გვ. 111.

SUMMARY

**THE MYSTERICAL-ALLEGORIC FEELING OF SOLITUDE
AND DOOM IN THE WORKS OF KEN-KEEZ AND
CHOLA LOMTATIDZE**

The feeling of solitude and doomlessness is expressed psychologically in creative work of Ken Keez and Chola Lomtadidze. The individual and creative imagination of these authors is the same, as well as the circumstances, where they have to live.

The biography of Ken Keez and Chola Lomtadidze gives the mystical and allegoric background of their creative works, because they themselves are the main characters of their works. The article made by Nazi Khelaia produces this subject from the above mentioned view point.

The basic of both authors is the happiness and sadness of a man (human being).

The article shows that McMurphy and Jeiran Vardosanidze's characters ruin the frames of narrow nationalism. They come nearer to common human feelings and thoughts with their eternal pain and cry.

Without Ken Keez, Chola Lomtadidze, Stainback and many others the myth of liberty, kindness, happiness, harmony will be buried by prisons, asylums, "Dragon's dens", jails and other dens of ignorance, doomlessness, darkness and hopelessness that serve as a press of man's soul.

წიგნი დაკაბადონდა და დაიბეჭდა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობასა და სტამბაში

გამომცემლობის დირექტორი: შალვა პირთაძე
ტექნიკური რედაქტორი: ნათია ოდილაშაძე
კორექტორი: მალვინა ღვითიშულიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: შორენა ხუნდაძე

წიგნი დაიბეჭდა აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში

ნაბეჭდი ფორმა 25
ქალაქის ზომა 60X84. 1/16

გადაეცა წარმოებას ნ. 12 2007 წ.

ტირაჟი 300